ჭიო პრაბვისპირელი

ქოთხოანი

ხახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1981

„ესაა ჩვენი ცხოვრება!..“

(სურათი)

— აბა, თითო ტაქანი არაყი დაგვისხი, რო ერთი კარგა შეგვახუროს! — უთხრეს გლეხებმა მედუქნეს, როცა შეშის ცარიელ ურმებში საქონელი შეაბეს.

— ეხლავე მოგართმევთ! — მედუქნე შევიდა დუქანში და გლეხებიც შეჰყვნენ. მედუქნემ დახლზე გადმოაწყო ჭიქები და მერე არაყით დაავსო.

— მიირთვით, თქვენი ჭირიმეთ!.. სხვას ხომ არას მიირთმევთ? — ცოტა ხნის შემდეგ დაეკითხა მედუქნე.

— არა, ჩემო შაქრო! — უპასუხა ერთმა გლეხმა და არაყით სავსე ჭიქას ხელი წამოავლო; მერე მიუბრუნდა დანარჩენებს და უთხრა:

— დალიეთ, ნუღარ ვიგვიანებთ!

სხვა გლეხებმაც აიღეს ჭიქები და მედუქნე ადღეგრძელეს, რომელმაც სამაგიეროდ უსურვა ყოველივე კეთილი.

— მაშ არ იშლით, მიდიხართ? — ჰკითხა მედუქნემ გლეხებს, როცა ჭიქები გამოსცალეს.

თითო ლუკმა გამხმარი პური, მედუქნისაგან გადმოღებული, პირში ჩაიდეს და საცოდავად ალავლავებდნენ.

— აღარა, შენი ჭირიმე! სხვა დრო რო იყოს, კიდევ დავრჩებოდით, — დაიწყო ერთმა გლეხმა: — საქონელსაც ბოლში თბილად შევინახავდით და ჩვენც კარგად დავიძინებდით; მაგრამ, რა ვუყოთ, ხვალინდელ დღეს არ ეღალატება. თუ ამაღამ შინ არ მივედით, არ იქნება. ზოგს დანიშნულისთვის „ბუზიკა“ მიგვაქვს, ზოგს ნათლიდედისთვის კელაპტარი, „პოლშაპოჭკი“ და ზოგს კიდევ ვისთვის... თუ ხვალ ადრიანათ არ ჩავუგზავნეთ, მერე მადლი აღარ ექნება.

ამ ლაპარაკის დროს გლეხმა, უბიდან ამოიღო ცხრად ჩანასკული მჩვარი, რის ვაი-ვაგლახით განათავისუფლა შიგ მომწყვდეული შაურიანი, დახლზე გადაატყაპუნა და თანაც დაუმატა:

— ენდე, შვილოსა, ეგღა დამრჩა ხუთი მანათიდან და ეგეც შენა!

— ხუთ-ხუთ მანათად გაჰყიდეთ შეშა? — ჰკითხა მედუქნემ და მერე დაუმატა: — კაი მაზანდა ჰქონია!

— კაი მოგცეს ღმერთმა, რო კაი მაზანდა აქვს ახლა, მაგრამ სადაა ე ოხერი შეშა! — თითქმის ყველამ ერთად უთხრეს და თანაც დახლზედ შაურიანებს რახა-რუხი აუყენეს.

— აგაშენოთ ღმერთმა! — უთხრა მედუქნემ და შაურიანები დახლის უჯრაში მოაქცია.

— აბა, ახლა-კი წავიდეთ, თორემ დაგვიგვიანდება! — მოაგონა ერთმა გლეხმა წასვლა და გარედ გავიდა.

ამას სხვებიც მიჰყვნენ და გარედან შემოსძახეს მედუქნეს:

— გამარჯვებით იყავი, შაქრო!

— გამარჯვებით მგზავრობა მოგცესთ ღმერთმა! — დახლიდან გასძახა მედუქნემ.

გლეხები გაემგზავრნენ შინისაკენ და ხმამაღლივ ლაპარაკობდხენ, მომავალს ბედნიერს დღეს რანაირად გაახარებდნენ საჩუქრებით იმათ, ვისთვისაც რამ მიჰქონდათ; თანაც თავიანთს საჩუქრებს აქებდნენ და აზვიადებდნენ.

— ჩემი ბუზიკა ასეთია, რომ თავი-თავად დაუკრამს, — დაიწყო ერთმა.

— კაცო, ი მამაცხონებულმა მებუზიკემ, — განაგრძო ისევ მან: — ისე დააწიკწიკა, რო არ ვიცი როგორა! სამი მანათი რო დაეფასებინა, მიმცემი ვიყავი, მაგრამ ღმერთმა უშველოს, ორათ მომცა.

— არ გინდა, ილიკო, ისე ჩაწიკწიკება შენც იცოდე? — ჰკითხა ერთმა მეურმემ.

— ჰაი, ჰაი, რო მინდა! ღვთის წყალობა გაქვს, მაშინ მე ჩვენებურს გოგოებს გულს ავუთამაშებდი! — სიცილით უპასუხა ილიკომ.

— ბუზიკის დაკვრა-კი არა, გინდა დაირის დაკვრა ისწავ-

ლო, მაინც ჩვენებურს გოგოებს გულს ვერ აუთამაშებ. შენ ჩემო ძმაო, აგითვალწუნეს, აღარ მოგთხოვდებიან...

— ი სალავათ-დასაქცევები ქოქოლას მაყრიან ხოლმე, როცა მე თვალს ჩაუკრენხამ, კაცო, და პირს მამიჩემი სალოცავისკენ მიიბრუნებენ ხოლმე.

— შენი თვალის კრენხვას ისე ყურს არ უგდებენ, როგორც ბეხრეკი ძაღლის ღრინვასა, — გაეხუმრა ერთი მეურმე.

— აკი რო ეგრეა, შვილოსა! ი ურჯულოები რაში მწუნობენ, მე რა სხვაზე ნაკლები ბიჭი ვარ. ერთი ხუთზე მაინც არ დავაპირე დანიშვნა, რო მე არ მამთხოვდნენ და სხვებს კი გაჰყვნენ, ლამის არის ესე დამაბერონ!

— დაბერებული თუ არ გგონია შენი თავი?! — სიცილით უთხრა ერთმა მეურმემ და სხვებმაც სიცილი ასტეხეს.

— მართლა, ილიკო, ბუზიკა ვისთვის იყიდე?

— ვისთვის ვიყიდდი, ჩემი დისთვის ვიყიდე! ეს ოხერი, კაცო, ნათლიათაც არავის მივყევარ; ჯერ ერთი ნათლი-დედაც არა მყავს! — გულ-ნაკლულად და ღრეჯით წამოიძახა ილიკომ.

— რაკი დაგიბრიყვეს, ჩემო ილიკო, დაგიბრიყვეს, ვეღარას გახდები...

ასე ლაპარაკით და ხუმრობა-სიცილით კარგად დაშორდნენ სოფ. მცხეთას. ბოლოს ძილი მოერიათ და, ფარაჯებსა და ნაბდებში გახვეულებმა, ურმებში ჩაიძინეს.

— აბა, სიმნო, ხალისიანად გარეკე ე შენი კამეჩები, აგება შინ დილაზე ღამიანათ მივიდეთ, რომ მეკვლეები ჩვენ ვიყვნეთ, — დაუძახა ილიკომ წინა ურემზედ მჯდომს ცხრამეტისა თუ ოცის წლის ახალგაზრდა მეურმეს, როცა ისიც მობღუნძული ურემში მიეგდო.

— რა ხალისიანად გავრეკო, მამლი ყიულამდე შინ მივალთ.

— ნეტა არ იქნება! — წამოიძახა ილიკომ და მერე ხმა აღარ ამოუღია.

დაეძინათ მეურმეებს. დასძინებიათ აგრეთვე არაგვის გაღმა-გამოღმა თეთრად შემოსილს მთებსა და მინდვრებს; ამ მთვარიანს ღამეს, რაც იშვიათად არ არის არაგვის ხეობაზედ,

ტკბილს ძილს არა არღვევს-რა. არა სძინავთ მხოლოდ ურემ-
ში შებმულს დაჩულულს ხარ-კამეჩებს, რომლებიც ცოხნითა
და კუდის ოდნავ ქნევით ძლივს მიათრევენ ფეხებს, თეთრად
შემოსილს მთა-ბარს შუა გაკვეთილს, შავის ზოლივით მი-
კლაკ-მოკლაკნილს გზა-ტკეცილზედ, არა სძინავს აგრეთვე
სიმნოს, რომელიც წინა ურმის კოფოზედ მობღუნძულა და
მწარედ დაჰღუღუნებს ურმულს, რაც მხოლოთ იმის „ლომას
და ნიკორას“ ესმის. სიმნოს შეურყეველს და წმინდა აკანკა-
ლებულს ხმაში რა არ იხატება?!.. თითქმის მთელი იმისი, მარ-
ტო იმისი არა, ყველა იმის მოძმეთა არსება, მთელი მათი წარ-
სული, აწმყო და მომავალი ცხოვრება, — მათი სიხარული და
სიმწუხარე, ავი და კარგი სულ ერთიანად იხატებოდა იმის
სიმღერაში და ამ გულის სიღრმიდგან ამომჩქეფარს გლეხთა
ცხოვრების ვაებას ანდობს მხოლოდ თავის ერთგულ საქო-
ნელს: ლომას და ნიკორას, რომელთაც სიმღერის ყოველს
მუხლსა და მუხლს შუა წასძახებს ხოლმე: — „თბფეო, ნიკო-
რავ!“ თითქოს იმას უნდა ამითი უთხრას ნიკორასა და ლო-
მას: — „არ დაგეძინოთ, ყური დამიგდეთ!.. ხომ ხედავთ, თქვენ
მეტი ყურის მგდებელი და გულშემატკივარი არავინა
გვყავს!“ — კამეჩებიც სიმნოს ყოველს ამისთანა მიმართვა-
ზედ წაიშმუილებენ, თითქოს ეუბნებიან: — „ნუ გეშინიან,
გულს ნუ გაიტეხო!“—წახალისებული, რომ ყურის მგდებლე-
ბი მყავსო, სიმნო უფრო მწარედ, უფრო გრძნობით დაჰღიღი-
ნებს და მოსთქვამს ლექსებს.

ერთმანეთის გულის-პასუხებში გართულებს სიმნოსა და
იმის საქონელს არ გაუგიათ, თუ როგორ მიადგნენ ნარეკვავის
თავდაღმართს, საიდგანაც აღმოსავლეთით მოსჩანს საგურამოს
ტყით შემოსილი მთები, დასავლეთით-კი — ტრიალი და დაცე-
მული საწილკანო და სამუხრანო ჭალა-მინდორი. სხვა დროს
მშვენიერი სანახავი, ახლა ერთგვარს მოსაწყენს სურათს წარ-
მოადგენდა მთებიცა და მინდვრებიც; ახლა ისინი ერთნაირად
იყვნენ თოვლით გადალესილნი და სიცოცხლის ნიშანი არც
ერთს არ ეტყობოდა. ამგვარი სურათი მგზავრის თვალს უწყა-
ლოდ ღლის, ასუსტებს და ძილს აპარებს.

ამ სურათმა თავისი მოქმედება თითქოს სიმნოზედაც იქო-

ნია. აგერ იმანაც გულზედ თავი მძიმედ ჩამოაკანტურა და ღიღინში თვალები მილულა, შესწყდა იმისი ღიღინი. ნარეკვავის თავდაღმართში ურმებმა ლომას და ნიკორას წინამძღოლობით თავიანთ ნებაზედ ჩაიარეს, გასცდნენ ნარეკვავის დუქანსაც, რომელიც იქვე თავდაღმართის ძირშია და საიდანაც ახლა ოდნავ-ღა გაძობეუტავდა სიხათლე...

ლომა და ნიკორა მიიზლაზნებოდნენ და თან ელოდებოდნენ თავის პატრონის გამამხნევებელს ხმას, მაგრამ აგერ რამდენი ხანია, იმას აღარ დაუძახნია და სძინავს. რაკი ველარ ეღირსნენ პატრონის ხმის გაცემას, იმათაც მოიწყინეს და მძიმედ შედგნენ, რომ თითონაც ძილს მისცემოდნენ. მაგრამ გარემოების შეცვლაზედ სიმნომ მაშინვე გამოიღვიძა და „თბფე" დასძახა. კამეჩებმა ხმის გაგონებაზედ კვლავ გასწიეს და ურემი მძიმედ გააგორეს. სიმნომ-კი ისევ მოხუჭა თვალები და მიიძინა...

ამ დროს გამოჩნდა პირდაპირ ამათკენ მომავალი ეტლი, რომელსაც წინ და უკან ორი შეიარაღებული ჩაფარი მოსდევდა. ეტლი თანდათან უახლოვდებოდა ურმებს და უფრო გარკვევით მოისმოდა ცხენების ფრუტუნი და მათის ფეხების აჩქარებული ხათქა-ხუთქი. წინამორბედმა ჩაფარმა ურმებს თვალი მოასწრო და ცხენი გამოაჩქარა. იმას მეორე ჩაფარიც წამოეწია და ორნივე საჩქაროდ ურმებთან დაიბადნენ.

— აი, თქვე ასეთ-ისეთებო! — დასჭყივლეს ჩაფრებმა და მძინარე სიმნოს და იმის კამეჩებს მათრახები დაუშინეს.

საცოდავი სიმნო დაფეთიანებული წამოვარდა და უეცრივ ურმიდან თავდაყირა გადაიარა.

— მირეკეთ იქით! მირეკეთ! — ლანძღვა-გინებით და მათრახების ჟაპა-ჟუპით ჩაუქროლეს ურემს.

აირივნენ ურმები და მეურმეები ერთმანეთში. ამ უეცარს ჭყივილსა და ცემაზედ დაფეთიანებული მეურმეები გონს ვერ მოსულიყვნენ და „ჰოი, ჰო"-ს ძახილით ზოგი საით გარბოდა და ზოგი საით. ასე ეგონათ, მილეთის ჯარი თავს დაგვესხა და

ლამობენ ჩვენს ამოქლეტასაო. ურმებიც ზოგი გზიდან გადავარდა და ზოგი გზის პირის თხრილებში გაიხიდა და ისე იდგა.

ამ არევ-დარევის დროს ურმების გვერდით გაიგრიალა კავკავიდან მომავალმა ეტლმა და მეურმეებიც გამოლაგდნენ გზაზე.

— ეტლი ყოფილა ეგ ვერანი! — წამოიძახა ილიკომ, როცა ჯაგებიდან გამოძვრა და გაიხედა იქით, საითკენაც მიქროლავდა ეტლი.

— ეეი, ის უღმერთოები, რანაირად იცემებოდნენ! — სთქვა ერთმა ზურგის ქექით.

— ერთი ისეთი გადმომიჭირა ი ოჯახ-ჩანელებულმა ზურგში, რო თვალებიდან სულ წინწკლები წამომცვივდა! — სთქვა მეორემ.

— მე რომ დროით არ გამომღვიძებოდა და თავისათვის არ მეშველა, მეც-კი მითავაზებდნენ, — სთქვა ყველაზედ ბოლოს ილომ.

— შენ რა, შვილოსა, ყველაში ეშმაკი ხარ, უკან იმითვის არ მოექეცი?! — უპასუხა ერთმა.

— ე გველი რო ხარ. იმითვის გწუნობენ ჩვენებური გოგოები, — უთხრა ახლა მეორემ.

— ნეტა არ იქნება, გველი ვიყო, რო ი ჩვენებურ გოგოებს... — წამოიძახა სიცილით ილიკომ.

— აი, გამჩენმა ამოგაგდოს, გამჩენმა, კაი ადამიანიშვილი შენა ხარ! — თითქმის ყველამ ერთად უთხრეს სიცილით ილიკოს.

ამ ლაპარაკში იმათ თავ-თავიანთი ურმები მოაბრუნეს და გზაზე დააყენეს. ის იყო გამგზავრებას აპირებდნენ. რომ ერთმა მათგანმა გზის პირას თხრილში გახიდული ურემი დაინახა და დაიძახა:

— აი ვისი ურემი დგა „კანაოში?!“

ყველამ იქით მიიხედეს და დაიძახეს:

— ვინ გვაკლია?!

— სიმნოს ურემია, ბიჭებო! — წამოიძახა ერთმა და მერე იკითხა: — თითონ სად-ღა წასულა?

— სიმნო! — დაიძახა ერთმა, მაგრამ პასუხი არსაიდან მოესმა.

ილიკო გადმოხტა ურმიდან და საჩქაროდ სიმნოს კამეჩებთან მიირბინა. უეცრივ შესდგა და ფერ-მიხდილმა ძლივსღა წამოიძახა:

— ე რა უბედურება დატრიალებულა, თქვენი ჭირიმეთ!!

— რა, კაცო?! — ელდა-ნაკრავებმა ერთხმად იკითხეს და საჩქაროდ ილიკოსთან მიირბინეს.

თქვენი მტერი გაშრეს ისე, როგორც მეურმეები გაშრნენ და პირი დააღეს, როცა კამეჩებთან ახლო გულდაღმა გაშხლართული, საფეთქელ-გახეთქილი სიმნო დაინახეს...

— ახლა ამის დედის საცოდაობას ვიღა იხილავს?! — წამოიძახა ისევ ილიკომ.

— ბედნიერი დღე უბედურად არ შეეცვლება იმ საცოდავს! — სთქვა ერთმა და თავი ნაღვლიანად ჩაჰკიდა.

მეურმეები შემოეხვივნენ სიმნოს გვამს და კარგა ხანს მწარედ დაღვრემილები და ათასნაირს შავს ფიქრში გართულები, ხმის ამოუღებლად, მუნჯად დასცქეროდნენ.

თითქო ლომამა და ნიკორამაც იგრძნეს თავიანთ პატრონის უბედურება, იმათაც მოიგრიხეს კისრები და წყლით სავსე თვალები მოწყენით სიმნოს მიაპყრეს და სხვაგნით აღარსაით აღარ იხედებოდნენ; შესწყვიტეს ცოხნა და ხამუშ-ხამუშ ოხვრის მაგივრად ღრმად წამოიფშუვლებდნენ ხოლმე.

მთვარე-კი გულ-გრილად, შეუბრალებლად დასცქერის ზემოდგან და თითქოს ეუბნება: — „აი, თქვე საცოდავებო, თქვენა!.. რა ჩაგიკიდნიათ თავები და ჩამოგტირისთ ცხვირ-პირი?! მაგ ერთი მღილისათვის თქვენ მაგრე იქრუშებით და იწუხებთ თავებს... მაშ, მე რაღა უნდა ვქნა, როდესაც ჩემ

თვალ-წინ უსამართლოდ დახოცილის ხალხის სისხლის მორევები დგება, როდესაც მრავალი ერი სხვის ხელში უსამართლოდ იღუპება და ანთხევს სისხლს?!. ეეჰ, თქვე უბედურებო, თქვენა!“

ამ დროს მთვარე ნაწყვეტს ღრუბელს მოეფარა და მიხუჭა თვალები, თითქოს ამითი უნდა ანიშნოს მეურმეებს, საკმარისია წუხილიო...

— ესაა ჩვენი ცხოვრება!.. — წამოიძახა დიდის ხნის სიჩუმის შემდეგ ერთმა მეურმემ და მწარედ ჩაიქნია თავი; რამდენიმე ტყვიასავით ცხელი ცრემლი გადმოვარდა და სიმნოს გაყინულს სახეს დაეცა...

1889 წ.

მოგონება

(ყმაწვილების ცხოვრებიდან)

კვირა დილით ძილში სტვენა შემომესმა. საჩქაროდ ლოგინიდან წამოვხტი და პერანგა გარეთ გამოვვარდი. მეც გავუსტვინე. ერთი კიდევ გამოუსტვინეს და შემდეგ სტვენა აღარ გაუმეორებიათ. მე შინ შევბრუნდი ტანისამოსის ჩასაცმელად.

მე, სოსომ, შაქრომ და გიგლამ სამწყერაოდ წასვლის პირობა შევკარით. დედა-ჩემი, როცა კი გაიგებდა, რომ მინდორში წასვლას ვაპირებ, გვერდიდან აღარ მიშორებდა და სულ იმას ცდილობდა, როგორმე შინ დავეჭირე. აი, ამისთვის, დასაძახებელ ნიშნად სტკენა გვქონდა. დედა ამას ვერ მიჰხვდებოდა ხოლმე და მეც თავისუფლად გავდიოდი სოფლის გარეთ, სადაც ჩემი ამხანაგები მიცდიდნენ.

ქალმის თასმებს ვიხვევდი, როცა დედა-ჩემი შინ შემოვიდა. იმას ჩემი ასე არაჩვეულებრივი ადრე ადგომა გაუკვირდა და მითხრა:

— ეს როგორ მოხდა, შვილო, რომ ადრე გაგიღვიძნია?! ხომ არავინ იყო?

— ვინ უნდა ყოფილიყო, — ვუპასუხე თავჩაღუნულმა. ვატყობდი ჩემს თავს, რომ ვწითლდებოდი, და ამისათვის თავი მაღლა ვეღარ ავიღე.

— უთუოდ წასვლას აპირებ სადმე და იმიტომ აგრე გაფაციცებული იცვამ, — არ მეხსნებოდა დედა-ჩემი.

— სად უნდა ვაპირებდე? — ვუთხარი და უფრო ძალიან გავწითლდი.

პატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. დედა-ჩემი რაღაცას ფიქრობდა. ბოლოს, მოვიდა ჩემთან ახლოს და მითხრა:

— შვილო, გულს ნუ მიხეთქავ!.. სხვების აყოლა შენ არ

გამოგადგება. გიგლასა და შაქროს რომ დასდევ, აბა, რას მოგიტანს იმათი აყოლა? იმათ დედ-მამას იმათ გარდა სხვებიცა ჰყავთ, შენ-კი დედის ერთა მყევხარ. შენ რომ მოგივიდეს რამე, ხომ მეც თავს მოვიკლავ, თავს როგორღა ვიცოცხლებ!..

მე თავჩაღუნული და ტუჩ-დაშვერილი ყურს ვუგდებდი. მეორე ფეხზედ ნახევრად შემოხვეული თასმა ხელში ისე დამრჩა.

— შენოდენას ეხლა მინდორში როგორ გაესვლება! გუშინ ახსაბაძიანთ დათა კინაღამ ცოფიან ძაღლს დაეგლიჯა...

დედა-ჩემმა ამ დროს თვალი მოჰკრა კატას, რომელიც საწველელს მიჰპაროდა და რძეს სლაპავდა.

— აცხა, აცხა!.. აი შე ვერანავ, შენა!.. — დაუყვირა კატას დედაჩემმა და საწველელისკენ გაეშურა. კატა ძირს გადმოხტა და გარეთ გავარდა.

— ამ ვერანას შიშით თავ-ახდილი ვეღარა დამიდგამს რა! — სთქვა, საწველელს ჯამი დაჰხურა, მერე მომიბრუნდა და მითხრა:

— სანდრო! აქ იყავი, თვალ-ყური დაიჭირე აქაურობაზედ. ძროხას გავაგდებ ნახირში, ეხლავე უკან დავბრუნდები და ვენახში წავიდეთ.

დედა-ჩემი რომ გარეთ გავიდა, მე ისევ ისე ვიჯექი. მომაგონდა, რომ სამწყერაოდ უნდა წავსულიყავი, მაგრამ იმის სიტყვებმა როგორღაც დამაფიქრა და დამაღონა. ცოფიანი ძაღლის ხსენებაზედ ხომ ტანში სულ ჟრუანტელმა დამიარა. ერთი კვირის წინათ დიდედა-ჩემმა მიამბო, რომ ცოფიან ძაღლს ერთი კაცი დაეგლიჯა და ის კაცი გაცოფებულიყო: „მუცელში ძაღლის ლეკვები გაუჩნდაო და სულ ერთიანად გამოაჭამეს გულ-ღვიძლიო“.

ეს სიტყვები გულში ჩამეჭრა, ეხლა ცოფიანის ძაღლის ხსენებაზედ მომაგონდა და არ ვიცოდი, შინ დავრჩენილიყავ, თუ სამწყერაოდ წავსულიყავი. ბოლოს მაინც სამწყერაოდ წასვლის სურვილმა დამძლია. საჩქაროდ დავიხვიე მეორე ქალ-

მის თასმა, ტახტის ქვეშ შევძვერ და ჩემი სხალტა* გამოვიტანე.

პატარა ხანს შემდეგ, მე და ჩემი ამხანაგები ლაპარაკით ორღობეზედ მივდიოდით მინდვრისაკენ. უფრო სხალტებზედ გვქონდა ბაასი. ყველანი თავ-თავის სხალტას და ჩვენს მარჯვე სროლას ვაქებდით. გიშერა კი, წინ მიგვიხტოდა: წავიდოდა შორს ხტუნაობით და სიხარულით; კარგათ რომ დაგვშორდებოდა, უეცრად შედგებოდა, შეჰყეფდა, მოტრიალდებოდა და ისევ ისე ხტუნაობით ჩვენკენ წამოვიდოდა. მოვიდოდა, ყველას სათითაოდ დაგვსუნავდა, მოგვეალერსებოდა და ისევ გასწევდა წინ.

მზემაც მთის წვერიდგან თავი ამოჰყო.

— ბიჭებო! — გვითხრა გიგლამ, — ასე ადრიანად რომ მივდივართ, შვილოსა, რას გავაკეთებთ: სანამ არ დაცხება, ხომ ვერ ვიმწყერავებთ!

— ჰოდა მინდორში რას გავაკეთებთ! — კვერი დაუკრა სოსომ.

— სანამ დაცხებოდეს, წყაროს პირას ვითამაშოთ, — გვირჩია შაქრომ.

ყველანი დავეთანხმენით და ხტუნაობით წავედით კიდეც. მაგრამ ღობის პირას მდგომმა მწიფე თუთამ შეგვაყენა.

— ერთი ამას შეხედეთ, ბიჭებო, რანაირად მწიფს, ეი! — წამოიძახა სოსომ, — მოდი ვჭამოთ.

— მართლა რანაირად მწიფს! თამაშობას, შვილოსა, ესა ვჭამოთ! — სთქვა შაქრომ.

— ყადაღა რომ არის? — ვუთხარი მე: — მეველეებმა თუ მოგვასწრეს, ძროხას დაგვიკლავენ.

ამ სიტყვებმა ყველანი შეგვაყენა და დაგვაღონა. მწიფე თუთა კი, თავისკენ გვიზიდავდა. მოშორება აღარ გვინდოდა. სულმა წაგვძლია, შაქრომ აიღო ქვა და თუთას ესროლა. რამდენიმე მარცვალი ღობეს გარეთ ჩამოცვივდა. ქორებივით დავეხვიენით და საჩქაროდ ავკრიფეთ.

---

* სხალტა — ჯოხია, რომელსაც გვერდებზედ დამწვეტებული ტოტები აქვს. ყმაწვილები ამას მწყერაობის დროს ხმარობენ. ავტორი.

— უჰ, უჰ, რა ტკბილია! — ტუჩების ცმაცუნით და სიამოვნებით ვიძახდით ყველანი.

— ბებიანთ თუთაც ძალიანა მწიფს, — გვითხრა გიგლამ,— იქ წავიდეთ, მეველეები რომ მოვიდნენ კიდეც, არას გვეტყვიან. ბებემ მეველეებს უთხრა: „გიგლას ნუ დაუშლითო“.

გიგლას ბებიანთ ვენახი იქვე ახლოს იყო. სიხარულით გადავხტით ღობეზედ და იქით გავეშურენით. გიშერაც თან მოგვყვა...

II

შუადღემ მოატანა. გაცხარებულები ვმწყერაობდით. კიჟინითა და სხალტების ქნევით ერთის ნამკლიდგან მეორეში გადავრბოდით. თავპირზედ წურწურით ოფლი ჩამოგვდიოდა. ჩვენ მაინც რაღაც სასიამოვნო სურვილი გვიზიდავდა და ძალას გვაძლევდა. თუმცა კარგმა ხანმა გაიარა, ვმწყერაობდით და ყველას რამდენიმე მოკლული მწყერი, კაი მონადირეებსავით, ქამრებზედ გვქონდა ჩამოკიდული, მაგრამ არც ერთ ჩვენგანს მაინც დასვენებაზედ ხმა არ ამოგვიღია და თითქმის დაღლილობაც არ გვიგრძნია.

სიცხის გულზედ მწყერი ბუზივით ამოდიოდა. ხანდისხან ცხვირ წინ აგვივლიდა. ვინც კი მოასწრებდა, მაშინვე უკან სხალტს გააყოლებდა, და მწყერიც სხალტთან ერთად ძირს ვარდებოდა ან ფრთამოვარდნილი, ან თავ-მოგლეჯილი, ან კიდევ, როცა სხალტა მარჯვედ და მაგრად მოჰხვდებოდა, ზედ შუაზედ გაგლეჯილი.

რა სიამოვნებით გვიხტოდა გული, როცა მკვდარი მწყერი ძირს ჩამოვარდებოდა, და რანაირი სიხარულით მივრბოდით მწყრის ასაღებად! რა თავმომწონედ დავანახვებდით ხოლმე ერთმანეთს ჩვენგნით მოკლულს მწყერს!..

რაც უფრო ბევრსა ვხოცდით, მით უფრო გვიცხოველდებოდა მწყერაობის სურვილი. მით უფრო გვეხალისებოდა მწყერაობა და ძალაც გვემატებოდა.

„ნახე, ნახე“!.. — ვუძახდით გიშერას, როცა მწყერი აღარ ამოდიოდა.

გიშერაც გამალებული დაეძებდა, ხანდისხან შესდგებოდა და ერთ ადგილს დიდხანს კუდის ქნევით უცქეროდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მწყრის სუნი აიღო და ახლა მწყერს ეძებს. ჩვენც გარს შემოვერტყმოდით და გულის ფანცქალით ველოდით მწყრის ამოფრენას. გიშერა ხშირად უფრო გვატყუებდა და მწყრის მაგივრად თაგვის სოროებს ეძებდა. განგებ კი არ ჩადიოდა ამას, არა, — თითონაც სცდებოდა, რადგან მწყრის სუნსა და თაგვის სუნს ერთმანეთში ვერ არჩევდა.

ერთი ნამკლის თავში გიშერამ კიდევ მოგვატყუა. ჩვენ გვეგონა, მწყერს დააცქერდაო, და თაგვმა კი ფეხებში გაგვირბინა.

— აი, შე ოხერო, შენა! — სიცილით დავძახეთ ყველამ.

— ვა-ვა, ვა-ვა! ქვით-კირი, ქვით-კირი! — მოისმა ამ დროს ნამკლის ბოლოდგან მწყრის ძახილი.

— არიქათ, ბიჭებო, წავიდეთ იქით! დედა-მწყრის ხმაა. რანაირ მჭახედ იძახის! — გვითხრა სოსომ და გაიქცა ნამკლის ბოლოსკენ.

ჩვენც მაშინვე უკან გავყევით.

გიშერას ერთი ალიაქოთი შევუყენეთ: „ნახე, გიშერ, ნახე!“ და „ჰაი, ჰაა, ჰაი, ჰაი“-ს ძახილს ერთმანეთს აღარ ვაცდიდით. საწყალი გიშერა ხან ერთს შემოგვხედავდა და ხან მეორეს, არ იცოდა, საით წასულიყო და ან როგორ დაეწყო ძებნა.

ბოლოს, როგორც იყო, მიაგნო მწყრის კვალსა და გაცხარებულმა დაუწყო ძებნა... აგერ, გიშერა შედგა, აიღო კუდი მაღლა, ყურები დააცქვიტა, თვალები დიდათ დააჭყიტა და თავი წინ წაიღო! ჩვენ სულ გავინაბეთ და გარს შემოვერტყით. ჩამოვარდა სიჩუმე. გულმა აჩქარებით დაგვიწყო ფანცქალი... სუნთქვა შევაყენეთ.

გიშერამ სახე შეიჭმუხნა, უეცრად გადახტა და წინა ტოტები მიწას მაგრად დაარტყა... მოგვესმა რაღაც წრიპინი. გიშერამ თავი მაღლა აიღო და იმის პირში დავინახეთ საცოდავად გამომცქერალი დედა-მწყერი.

რანაირი სიბრალული აღმეძრა!.. ჩემ დღეში არ დამავიწყ-
დება იმისი ცრემლ-მორეული თვალები!..

„რა გინდათ ჩემგან, რა დაგიშავეთ! რად მისპობთ სიცოცხ-
ლეს და შვილებს ობლად რად მიტოვებთ?! თუ თქვენ გინ-
დათ სიცოცხლე, მეც მინდა ვიცოცხლოო!“ — თითქოს გვეუბ-
ნებოდა საბრალო მწყერი ამ საყვედურით სავსე სიტყვებს.

გიგლა მაშინვე მიჰვარდა გიშერას და მომაკვდავი მწყერი
პირიდან წაჰგლიჯა. საწყალისთვის გიშერას კბილი შიგ გულში
ჩაეყარა.

გიგლას დიდხანს ეჭირა ხელში და გაშტერებით დასცქე-
როდა. ჩვენც გარს შემოვეხვიენით და გაჩუმებულები შევ-
ცქეროდით მწყერს. ყველას ნაღვლიანი სახე გვქონდა, ყველას
გულზედ ლოდივით რაღაც დაგვაწვა.

მწყერი-კი, ძლივს-ღა სუნთქავდა. თავისს პატარა ჭრელ
თვალებს ძალას ატანდა, თვალის ქუთუთოებს რაც შეეძლო
სჭიმავდა, — ეტყობოდა, თვალთ-უბნელდებოდა და ბუნდად-
ღა ჰხედავდა.

— სანდრო, წავიდეთ ჩქარა შინ, — შემომხედა თვალ-
ცრემლიანმა გიგლამ და მითხრა: — დედა-შენს კარგი მალამო
ექნება, იქნება მორჩეს.

— „რას ამბობ, ბიჭო, ეს ეხლავ მოკვდება, — ვუპასუხე
მე.

გიგლამ ერთი კიდევ დაჰხედა მწყერს.

— აჰა, დაიჭი!.. — მომაწოდა მწყერი და ქვითინი ამოუშო.

— თავი მაინც მოჰგლიჯეთ, ნუ სტანჯავთ! — ტირილით
გვეუბნებოდა გიგლა.

თავის მოგლეჯა ვერავინ გავბედეთ. მწყერმა უკანასკნე-
ლად გადაატრიალ-გადმოატრიალა თვალის კაკლები, დაგვა-
თვალიერა ყველანი, თითქოს გვემშვიდობებაო, და სამუდამოთ
დახუჭა თვალები.

— ეს ვერანა, ესა!.. — ტირილით ჯავრობდა გიგლა გიშ-
რაზე. — გულში რომ არ ეკბინა, არ იქნებოდა?!

გიშერამაც იგრძნო თავისი დანაშაული და საცოდავათ ი-
იბუზა.

ჩვენ, ყველამ, გადავწყვიტეთ მწყრის დამარხვა, — გავთხარეთ ღრმად მიწა და მწყერი ჩავფალით, ზედაც ნიშნად დიდი ქვა დავადეთ.

დაღონებული წამოვედით შინ. გიგლამ თავისი მოკლული მწყრები ჩვენ მოგვცა.

— მე არ მინდა! — გვიპასუხა გიგლამ, როდესაც ჩვენ ვკითხეთ: „შენ-კი არ გინდაო?“

ამ სურათმა გიგლაზედ ისე იმოქმედა, რომ მერე ჭიანჭველასაც-კი არ დაადგამდა ფეხს. „ეგეც სულდგმულიაო“, — იტყოდა ხოლმე. სახლში რომ ეხვეწნონ. ქათამს ვერ დააკვლევინებენ, თუმცა-კი ის ახლა წვერ-ულვაშით არის შემოსილი.

1890 წ.

ახალწლის ღამეს

(ეტიუდი)

სანთლების ანთების დროს გიგოლას სახლის ტლანქმა ფიცრის კარებმა გულის გასაგმირავი ჭრიალი მოიღო და უეცრად ერთის ვაი-ვაგლახით კედელს დაეძგერა. სახლში ავადმყოფმა გიგოლამ ამ რახუნზედ წამოიწია, უნდოდა წამომჯდარიყო, მაგრამ წელი ვეღარ აიტანა და ისევ ისე ბალიშზედ მიესვენა.

— დედი, დედი!.. — კარების ბრახუნთან ერთად დაიძახა ცხრა წლის ყმაწვილმა, რომელიც სიხარულით შემოვარდა სახლში. ყმაწვილი ჩქარა შედგა. რაკი დედის ხმა არსაიდან მოესმა, თავი მოიფხანა და ცხვირ-პირი ჩამოუშვა; რაღაც უკმაყოფილება გამოიხატა მის სახეზედ.

— დამაცალოს იმ შავ-ქალამა!.. — წაიბუტბუტა ყმაწვილმა.

— რა იყო, ნელა ვერ გააღებ, შვილო, კარებს, რომ ეგრე არ დაარახუნო? — მიმქრალის ხმით უთხრა გიგოლამ თავისს შვილს.

— მე ვაყურებინებ იმას!.. — კიდევ წაიბუტბუტა ყმაწვილმა.

— შავ-ქალამ რაღა დაგიშავა, რო ემუქრები?

— ისა, რომ მომატყუილა!

— ეჰ!.. რა მოგატყუილა, რატომ... სწორედ... არ მეტყვი?! — სვენებ-სვენებით ძლივს დაეკითხა გიგოლა.

— იმათ ბოსელში ბიჭები ვიყავით და ვთამაშობდით, ის ჩამოვიდა და მითხრა: „აქ რას აკეთებ, დედა-შენმა თაფლი იყიდაო!..“

— მერე ე მაგაზე ემუქრები?! ეჰ!.. — ამოიოხრა გიგოლამ და გადაბრუნდა.

— შვილო, შაქრო, კარები მიხურე, თორემ ძალიან ცივა.

შაქრო კარების მისახურად მიტრიალდა, მაგრამ ამ დროს მაგდანას ხმა შემოესმა: „აბა, თუ მოერევი, ჩემო დათა, შემოიტანე“.

— აგერ, დედა-ჩემიც მოდის!.. — წამოიძახა შაქრომ და საჩქაროდ გარედ გავარდა.

— რა კაი საახალწლო კუნძია, ეს დალოცვილი!.. ღმერთმანი, ისე დაგუგუნდება, რო... — სთქვა დათამ და თანაც რამდენჯერმე ფეხი წაჰკრა თოვლიანს კუნძს, მერე დაიღუნა, უნდოდა აეწია, მაგრამ წელი ვერ აიმართა.

— მაიცა, შენ გენაცვალე, წელი არ იტკინო, ორივემ ავწიოთ! აჰა, დაიჭი ე ჯამი! — თაფლით სავსე ჯამი საჩქაროდ მიაჩეჩა შაქროს და დათას მიეშველა.

დათამ და მაგდანამ ასწიეს კუნძი და, ორივე წელში მოდრეკილები და თავი-თავს მიბჯენილები, სახლის კარებისკენ მიბარბაცებდნენ. შაქრო იმათ უკან მისდევდა და სიხარულით დასცქეროდა თაფლით სავსე ჯამს. გულმა აღარ მოუთმინა, ჩაჰყო თითი თაფლში და პირისაკენ გააქანა. ღიმილით გააწლაპუნა ტუჩები, ჩაილოკა თითი და ისევ გაიმეორა. ვიდრე მაგდანა და დათა სახლში შევიდოდნენ, იმან რამდენჯერმე მოასწრო თითის ჩაყოფა და გალოკვა.

— მადლობელი, ჩემო დათა! — უთხრა მაგდანამ, როცა კუნძი გაასწორეს.

— გიგოლა როგორ-ღა არის? — ჰკითხა დათამ.

— შენი მტერი და დუშმანი იყოს ისე, როგორც გიგოლაა!.. — გულამოსკვნით უპასუხა მაგდანამ: — ეს სამი დღეა წამოჯდომას ვეღარ ახერხებს. გულს ძალიან იტკიებს.

— ღმერთი მოწყალეა, კარგად გახდება! — ანუგეშა დათამ.

— დათა, შენა ხარ, ბიჭო!!. ოხ, დედავ!.. ერთხელ რატომ მაინც არ შამოხვალ, ბიჭო!.. შამოსვლაზე ხომ არ გადაგახდევინებენ?

— განა არ შამოვიდოდი, მაგრამ ეს ოხერი დრო ხელთ ვერ ჩავიგდე.

— ეეჰ!.. გული, გული!.. ბიჭო, იქნება, დედა-შენმა იცოდეს რამე, აბა, ერთი ჰკითხე, შენი ჭირიმე, თორემ, ლამის არის, მოვკვდე... რა ვიცი, იქნება, იმისი ხელი წამლად მექცეს და მოვრჩე...

— თუ-კი იცის რამე, საროდიოდლა შეინახავს თავის ცოდნას? ამაღამვე ვეტყვი.

— თუ მოვრჩი, ღმერთმანი, იმის სიკეთეს გადავიხდი...

— ჰო, ჩემო დათა, არ დაგავიწყდეს, — შეეხვეწა მაგდანა: — ჩვენებიანთ ბაბალეს დავეკითხე და იმან არაყი მასწავლა: „უთუოდ მჭვალი ედგებაო და არაყი ძალიან არგებსო“. გუშინ-წინ დავალევინე და უფრო უარესად გახდა. მას აქეთ ნახველს სისხლი ამოსდის, — უკანასკნელი სიტყვები მაგდანამ ყურში წასჩურჩულა დათას.

— არ დავივიწყებ, ჩემმა მზემ!.. ღამე მშვიდობისათ!

— მშვიდობა მოგცეს ღმერთმა! — გიგოლამ და მაგდანამ ერთად მიაძახეს მიმავალ დათას.

— ხვალ მოდი, დათა! — უთხრა მაგდანამ, როცა ის კარებთან მივიდა.

— მოვალ, თუ გოზინაყს მაჭმევ!

— მაშ, უგოზინაყოდ როგორ იქნება!

შაქრომ ამ დროთი ისარგებლა: სანამ ესენი ლაპარაკობდნენ, ეს თაფლს შეექცეოდა. შაქრო თაფლის ჭამაში ისე იყო გართული, რომ დათას წასვლა ვერ გაიგო და, როცა მაგდანამ თვალი შეასწრო და დაუყვირა, ისე შეკრთა, რომ თითი პირში დარჩა და კინაღამ ხელიდან ჯამი არ გაჰვარდა. ისე იდგა გაშტერებული, ვიდრე მაგდანამ ჯამი არ წაჰგლიჯა და კარების მისახურავად არ გაგზავნა.

— ადამიანო, — დაიძახა გიგოლამ: — ხვალისათვის არას ამზადებ?.. ბედნიერი დღეა... ან მტერი მოვა, ან მოკეთე, ყველას დახვედრა უნდა...

— ღვთის მოწყალება რაცა გვაქვს, ყველას მოვამზადებ. ქათამს ეხლა მოვხარშავ, გოზინაყსაც გავაკეთებ და სხვა რაღა მოვამზადო? პური კიდევ დღეს გამოვაცხე. — ამ ლაპარაკ-

ში მაგდანამ აანთო თუნუქის ლამპარი, რომელმაც ბუნდ სინათლესთან ერთად სახლი ცუდი სუნითა და ბოლით აავსო.

მაგდანამ გააჩაღა ცეცხლი. საახალწლო კუნძმა ტკბილად დაიწყო გუგუნი. კუნძის გვერდით ქვაბი შემოსდგა, რომელშიაც მსუქანი დედალი იდო, მოიტანა ნიგოზი და დაუწყო გარჩევა. შაქრო დედას მოუჯდა გვერდით და იმანაც რჩევა დაუწყო, თუმცა იმდენს არ არჩევდა, რამდენსაც სჭამდა.

— დედი, ხვალ ახალწელიწადია? — ჰკითხა შაქრომ: — განა დიდ ჩურჩხელებს მომცემ?.. რა კარგია ჩურჩხელა!.. ისეთი ძალიან მიყვარს ჩურჩხელა, ისეთი, ისეთი, რომ არ ვიცი, როგორ!..

მაგდანა-კი რაღაცას ჰფიქრობდა და შაქროს ლაპარაკი არ ესმოდა.

— დედი, — დაიწყო შაქრომ და თან დიდი ლებანი პირისაკენ გააქანა, — ხვალ ჩვენებიანთას წავალ და ისინი კამფეტს მომცემენ.

— წადი, შვილო, ტაფა მომიტანე!

შაქრომ საჩქაროდ მოარბენინა ტაფა. მაგდანამ ჩაასხა შიგ თაფლი და ცეცხლზე შემოდგა, მერე ნიგოზს წვრილად დაუწყო ჭრა. შაქროც შესცქეროდა დედას ხელებში და რაღაცას ელაპარაკებოდა, რომლის სიტყვები მაგდანას სრულიად არ ესმოდა.

მაგდანა ამ დროს სხვა ფიქრებში იყო გართული. ის ფიქრობდა თავისს ავადმყოფ ქმარზე. ეს ორი დღეა, რაც გიგოლას პირიდან სისხლი ამოსდის და აი, ეს აფიქრებს მაგდანას. „ვაი, თუ აღარ მორჩეს და...“ მალ-მალ გაურბენს ხოლმე ეს ფიქრი თავში და სულ ერთიანად შეარყევს. უნდა მოიშოროს თავიდან ეს მწარე ფიქრი, მაგრამ იმის დაუკითხავად აეშლება ხოლმე. მალ-მალ წარმოიდგენს თავის თავს ქვრივად, შაქროს კიდევ — ობლად, ყველასაგან დაბრიყვებულად, და ეს ხომ ჩაჰფუფქავს და აადუღებს. თვალიდან ნაკადულსავით გადმოჰხეთქს ხოლმე ცრემლი; ახლაც ერთი წყვილი ცრემლი გადმოვარდა მაგდანას და დაჭრილს ნიგოზში ჩავარდა, პირველს წყვილს მეორე მოსდევდა, მაგრამ მოწმენდა მოასწრო. მაგდანას არ უნდოდა თავისი ცრემლი შაქროსათვის დაენახვებინა.

ბედნიერმა დღემაც ვერ მოაშორა მაგდანას ცრემლი. იმას ახლა არაფრის მომზადება არ უნდოდა, ყველაფერს უგულოდ ეკიდებოდა, — ყველა ეს სიხარულისათვის, სიამოვნებისათვის მზადდებოდა, მაგრამ იქ სიამოვნებას ადგილი არა აქვს, სადაც მწუხარება სუფევს, სადაც, შავ ყორანსავით, მწარე ფიქრები დასჩხავიან. როცა კაცის გულში ნამდვილი მწუხარებაა, მაშინ იმას ვერა ასიამოვნებს-რა...

მაგდანასაც ბედნიერის დღისათვის მზადება უფრო უცხოველებდა შავ ფიქრებს, უფრო ფრთებს ასხამდა. უეცრად წარმოუდგა გიგოლა კუბოში, თავისი თავი კიდევ — კუბოს თავით, შავებში, თმაგაწეწილი და ლოყებ დაკაწრული მჯდომი. ამას ვეღარ გაუძლო, დაანება ხელი დანას, საჩქაროდ პირჯვარი გადაიწერა და წამოიძახა: „ღმერთო, მაშორე! ღმერთო, შენ დამიფარე!..“

— დედი, დედი, თაფლი გადმოვა! — შესძახა ამ დროს შაქრომ და ტაფას წასწვდა.

შაქროს სიტყვებმა მაგდანა გამოაფხიზლა. საჩქაროდ გადმოიღო ცეცხლიდან ტაფა და კოვზით რამდენჯერმე აუქაფა. შემდეგ წვრილად დაჭრილი ნიგოზი ტაფაში ჩაყარა და ისევ ცეცხლზე შემოდგა. მაგდანა ისევ თავის შავს ფიქრს მიეცა. შაქრო-კი მოუთმენლად უცქეროდა ადუღებულს თაფლში არეულს ნიგოზს. მალ-მალე წაეტანებოდა ამოსაღებათ, მაგრამ მაგდანა თვალს შეასწრობდა და დაუშლიდა.

— მოიცადე, შვილო, თორემ ხელებს დაიფუფქავ.

შაქრო მაინც არ უჯერებდა თავის დედას.

მაგდანამ თავი ძირს ჩაჰკიდა. შაქრომ იფიქრა: „ახლა-კი ვეღარ დამინახავსო“, და თითი ტაფაში ჩაატაკა. საცოდავმა არ იცოდა, რა ექნა! დამწვარი თითი მაშინვე პირისაკენ გაიქანა, ეგონა, დამიტკბებაო, მაგრამ თითზე მიკრულმა ცხელმა თაფლმა ტუჩები და ენა დაუდაღა. ახლა-კი ვეღარ გაუძლო სიმწვავეს, შეჰყვირა და თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით გადმოსცვივდა.

— რა მოგვიდათ, რა ამბავია?!. — კვნესით იკითხა გიგოლამ.

— რა მოგვვიდა, ამასა და ამის თავს, კარგი რამ ეს არის!

წუწკი კატასავით, საცა არა მგონია, თითს წაჰყოფს, — უპასუხა მაგდანამ და თანაც თითს უწმენდდა შაქროს.

შაქრო გრძნობდა, რომ დამნაშავე თითონვე იყო, და ამისათვის ჩქარა დაჩუმდა, თუმცა თითი და ტუჩი ძალიან აწუხებდა.

— მოდი ჩემთან, შვილო! — დაუძახა გიგოლამ. — რაღას მოსჯდომიხარ და არ დაიძინებ, დილაზე ადრე უნდა ადგე... ჩვენი მეკვლე შენ იქნები.

შაქროს არ ეძინებოდა, მაგრამ რას იზამდა, ხმის ამოუღებლივ წავიდა მამისაკენ და გვერდით მიუწვა. შაქრო ხანდახან ლოგინიდან გადაჰხედავდა ბუხარს და ისევ მიწვებოდა. ბოლოს, მოეწყინა ისე შორიდან ხმის ამოუღებლივ ცქერა, მოუვიდა ძილი და ცოტა ხნის შემდეგ ტკბილად ამოუშვა ხვრინვა.

მაგდანა-კი ისევ ბუხართან იჯდა თავ-ჩაკიდული და შავს ფიქრებში გართული.

არც გიგოლა იყო დამშვიდებული. თვალებჩახუჭული გულაღმა იწვა და ათასნაირი სურათი ეხატებოდა თვალწინ. გიგოლას ისე თავისი თავი არ ენანებოდა, როგორც თავისი ცოლშვილი; თავისი თავი იმდენად აგონდებოდა, რამდენადაც საჭირო იყო იმათთვის. გრძნობდა, რა მწარე დღეში ჩავარდებოდა ეს ორი ძვირფასი არსება იმის სიკვდილის შემდეგ. ქვეყანაზე არავინ ეგულებოდა, რომ ეპატრონებინა მაგდანასა და შაქროსთვის: „ყველას თავისი თავი გასჭირებია, — ფიქრობდა გიგოლა: — და აბა, ჩემს ქვრივსა და ობოლს ვინ მოუვლის!“ ამასთან ერთად სხვა აზრმაც სწრაფად გაურბინა თავში: „მაგდანა ჩქარა სხვა ქმარს იშოვის და ისე გამოიხსნის თავს გაჭირებისაგან“. გიგოლას ეს ფიქრი ტყვიასავით მოხვდა გულში, გაახილა თვალები და მძიმედ გადმოჰხედა მაგდანას. დაინახა მაგდანა თავ-ჩაკიდებული, ჩაფიქრებული. იმისს მშვენიერს სახეს ცეცხლის ალზედ ლაპლაპი გაჰქონდა. მაგდანა სიცოცხლით სდუღდა და გადმოდიოდა. მწარე ფიქრებისაგან დაღვრემილი სახე უფრო გაჰმშვენიერებოდა. გიგოლას თვალებში ხომ იმისი სიმშვენიერე გაათკეცდა და ყველა ქალებში პირველი ადგილი დაიჭირა.

გიგოლას დაენანა დათმობა, გულს უკლავდა ის აზრი, რომ ჩემს სიკვდილს შემდეგ სხვა გახდება პატრონი ამ მშვენიერებისაო. „განა, — გაიფიქრა გიგოლამ, — მაგდანა სხვაზე გამცვლის?!. ჩემს სიკვდილს შემდეგ სხვას დაუწყებს ხვევნას?!. არა, მაგდანა ამას არ იზამს. მაგდანას ისე ვუყვარვარ, რომ სხვაზედ არ გამცვლის!...“ — ფიქრობდა გიგოლა და თან მაგდანას თვალს ვერ აშორებდა. უნდოდა ხმა მიეცა მაგდანასთვის და ფიცი ჩამოერთმია, რომ ჩემს შემდეგ სხვას არ მისთხოვდეო, მაგრამ ვერ ახერხებდა. „ვაი თუ ძალიან შევაშინო მაგდანა და მერე... მერე რაღა ვქნა? ეეჰ!..“ გიგოლას უნებურად ამოსკდა გულიდან ოხვრა... და უეცრივ ფიქრად გაუელვა: „თუ არ გათხოვდა, მაშ რითი ირჩინოს თავი, რითი გამოზარდოს ობოლი... ვაიმე!“ წამოიძახა გიგოლამ და თვალებიდან წყვილი ცრემლი გადმოვარდა, რომელმაც კვალი დააჩნია იმის გამხმარსა და ჩაცვივნულს ლოყებს. თითქოს ამ ერთმა წყვილმა ცრემლმა თან გამოიტანა, რაც-კი რამ გიგოლას ნაღველი აწუხებდა; ცოტა არ იყოს, დამშვიდდა, დახუჭა თვალები და ხმის ამოუღებლივ შეევედრა ღმერთს: „ღმერთო, მიშველე“... ეს ორი სიტყვა იყო იმისი ლოცვა...

გიგოლა დამშვიდდა, მაგრამ ამ დამშვიდებამ დიდხანს არ გასტანა. ისევ ჩქარა აეშალა შავი ფიქრი, ისევ ისე დაუწყო ქენჯნა გულმა.

— ჭივ-ჭავ!.. — გარედან შემოესმა ბაიყუშის ხმა.

ცოლიცა და ქმარიც ამ ხმაზედ შეკრთნენ, გაფითრდნენ, ორსავე ცივმა ოფლმა დაასხა, ორსავე ტანში ჟრუანტელმა გაურბინა.

— ჭივ-ჭაუ! — დაიძახა კიდევ ბაიყუშმა.

— გათავდა!.. — ისეთის ხმით წამოიძახა გიგოლამ, რომ კაცს შეაკრჟოლებდა.

— ფუი, დაგწყევლოს წმინდა გიორგიმ!.. — გიგოლასთან ერთად სთქვა მაგდანამ და პირჯვარი გადაიწერა.

— აბა, თუ ხმა გაიწყვიტოს იმ წყეულმა! — მაგდანამ აიღო ჯოხი და კარებისკენ წავიდა.

— სად მიხვალ? — გულ-ჩაწყვეტილი დაეკითხა გიგოლა.

— ის წყეული მინდა გავაფრთხო.

— ეხლა... ეხლა თუნდ გააფრთხე და თუნდ ნუ!.. — სთქვა გიგოლამ და ცრემლები გადმოჰყარა, — ქალო, აქ მოდი!.. — ტირილის ხმით დაუძახა.

მაგდანა მივიდა და გვერდით მიუჯდა. ხმის ამოუღებლივ, ცრემლიანის თვალებით ერთმანეთს შესცქეროდნენ ცოლ-ქმარი, თითქოს ისეც იცოდნენ ურთი-ერთის აზრი. ორსავეს ხმის ამოღებისა ეშინოდათ, არ უნდოდათ სიჩუმე დაერღვიათ... ბოლოს, გიგოლამ გაუწოდა ორივე ხელი და წამოიძახა:

— მშვიდობით, ჩემო მაგდან!

ამ სიტყვებმა მაგდანას თავ-ზარი დასცა, და შმაგსავით დაეცა გიგოლას გულზე. გიგოლამ მოჰხვია ორივე ხელი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიიკრა გულზე და მაგდანას ტუჩებს ჩაეკონა. მაგდანამ იგრძნო ქმრის ალერსი, მოვიდა გონს და იმანაც მოჰხვია ხელები...

სიცოცხლით სავსე მაგდანა და სიკვდილის პირას მისული გიგოლა ერთად იყვნენ შეერთებულნი, ერთ არსებათ გადიქცნენ, ერთნაირად სცემდა იმათი მაჯა, ერთნაირად ფეთქავდა იმათი გული, ორნივე ერთნაირად სუნთქავდნენ, თითქოს მაგდანამ თავისი ნახევარი სისაღე სუნთქვასთან ერთად გიგოლას გადასცა და ისე მოიყვანა ჯანსაღ...

დიდხანს იყვნენ ესე. ამათ ახლა აღარა ადარდებდათ-რა. ამათი სურვილი ის-ღა იყო, რომ საუკუნოდ ესე ყოფილიყვნენ. ახლა აღარ ესმოდათ ბაიყუშის ძახილი, თუმცა იმან ერთი-სამჯერ კიდევ შემოსძახა.

მაგრამ, დახეთ!.. გიგოლას ბედმა ჩქარა უმტყუნა!

ავადმყოფის მიმქრალმა სხეულმა ვერ აიტანა ასეთი ძლიერი მღელვარება სულისა, ამან შეუმოკლა სიცოცხლის წუთი, და შფოთვა და ბრძოლა დაიწყო. გრძნობა დაჰკარგა და, პირველად რომ მამალმა შეჰყივლა, სული განუტევა.

1891 წ.

სოფლად

(სურათები ყმაწვილების ცხოვრებისა)

— დილილმე, დილილმე, ხვალ ჩურჩხელებსა ვჭამო, გოზინაყსაცა ვჭამო!.. — სიხარულით ვიძახოდი ახალწლის ღამეს და თან ლოგინში ტანისამოსიანი ვგორაობდი და ყირაზე ვდგებოდი.

— დედი, დედილო! ჰა დედა!.. აბა, თუ ხმა გამცეს, ეე!..— ვუყვიროდი დედა-ჩემს, როცა ის ბუხართან იჯდა და მეორე დღისთვის ტკბილეულობას ამზადებდა. საქმეში გართული იყო და ჩემი ყვირილი არ ესმოდა.

— დე...დი...ლო!.. — ბოლოს გაგრძელებით დავუყვირე.

— რა მოგივიდა შე...ული, შე თავმკვდარო, წინაღამ თავი არ დამაწყევლინე ამ ბედნიერ ღამეს! — მშვიდად მითხრა დედა-ჩემმა.

— ხი, ხი, ხი! — ჩავიხითხითე, როცა ეს მითხრა, და თან გავაჯავრე: — „თავმკვდაროვო“, და თანაც იძახი: „წინაღამ თავი დამაწყევლინეო“.

— შენ ვის არ წააცდენ!

— დედილო!

— რა გინდა, რა?.. ნუ გაჰგიჟდი. ხომ იცი, ხვალ ახალი წელიწადია. ნუ ცელქობ, თორემ დაგეკვებება და მთელს წელიწადს მაგეთი დამთხვეული და ყველასი თავმომაბეზრებელი იქნები.

— მართლა, დამეკვებება?

— მართლა, მაშ გატყუებ?!

— აღარ ვიგიჟებ, ღმერთმანი! — ავდექი და დედა-ჩემს ზუხლის ძირში გამოვენასკვე.

— აი, ესე ჭკვიანად ვიჯდები.

— ემაგრე არა სჯობია! ცოტა იქით კი მიიწიე, თორემ ზიშლი.

— აჰა! მივიწიე იქით. რამდენ ჩურჩხელას მომცემ? — ცოტა ხანს შემდეგ ისევ ჩურჩხელებზე დავუწყე ლაპარაკი.

— რამდენიც იქნება.

— ღმერთმანი, დედილო, რამდენს მომცემ?

— ოჰ, ოჰ! თავის სარქველი-კი ამხადე მაგდენის ჩიჩინით! თუ გამაჯავრებ, არც ერთს არ მოგცემ! — დამიყვირა დედა-ჩემმა.

დედამ ამ დროს ამოიღო ცხელი შაქრის პურები და ზედ ფხვნილი შაქარი წააყარა. მე წავეტანე, მინდოდა ერთისთვის ხელი დამეცა, მაგრამ დედა-ჩემმა თვალი შემასწრო და კოვზი ხელის ზურგში დამკრა.

— აი, შე მსუნაგო კატავ, შენა! ღმერთი გათენებას აღარ დაგაცლის?!

— ერთის მეტს ხომ არ ავიღებდი, რა! უ, უ, უ... — ზუზუნით ავდექი და ლოგინში პირქვე წავწექი.

დავწექი, მაგრამ ჩემი სული და გული შაქრის პურებთან იყო. ერბოს შრიტინი ხომ უფრო მბნედავდა, მადას უფრო მიღვიძებდა. კარგა ხანს ვიწექი და უფრო დიდის ხმით ვზუზუნებდი, რომ რა არის, დედა-ჩემს ყურადღება მიექცია ამისთვის და მოეცა შაქრის პური; მაგრამ ჩემს ზუზუნს აინუნშიაც არ იგდებდა. მე, ის-ის იყო, უნდა ავმდგარიყავ და ისევ დედასთან მივსულიყავ, რომ, ცქერით, არის მაინც, გავმძღარიყავ. სწორედ ამ დროს დედა-ჩემმა დამიძახა და მე ისევ ლოგინს გავეკარ და გავტვრინდი.

— გაიქე, გენაცვალოს, შვილო, დედა! ორიოდე ხმელი ღერი შეშა შამამიტანე, თორემ ამ კუნძს მოკიდება არ ეღირსა.

— ჰო, „შეშა შამამიტანე“! — ბუზღუნით ვუთხარი.

— ნუ ხარ, შვილო, გაუგონარი, და!..

— ერთი შაქრის პური არ მომცა, და „შეშა შამამიტანე“-ო!..

— შენი ბუზღუნის თავი არა მაქვს, წადი ჩქარა, შამაიტანე!

— შაქრის პური მამეცი და შემოვიტან.

— ჰო, კარგი!

— მაშ მამცემ?

— ჰო, ჰო, წადი ჩქარა, შამაიტა.

მე საჩქაროდ გავიქეცი და კარები გავაჭრიალე. მშვენიერი ნათელი ღამე იყო. სავსე მთვარე ნაზად დასცქეროდა ჩვენს თეთრად შემოსილს სოფელს და უხვად უგზავნიდა მკრთალს ნათელს. იმას ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ ეს ახალწლის ღამე იყო. ისევ ისე კეკლუცად მისცურავდა, როგორც წინა ღამეს. ქვეით-კი, ძირს დედამიწაზე, ყველა რაღაც მოძრაობაში და მზადებაში იყო, ყველას ერდოდგან ბოლი და ნაპერწკლები ამოდიოდა. მოისმოდა ლაპარაკი, ძაღლების არაჩვეულებრივი ყეფა და ყმუილი, ქათმების ჩხავილი, ფრთხიალი.

აგე, ჩვენმა მეზობელმა საქათმიდან ჩხავილით გამოიყვანა ქათამი.

— კეკე, ცული გამაიტანე! — დაუძახა ქიტუამ. ხმაზე ვიცანი, ჩვენი მეზობელი ქიტუა იყო. ქათამი-კი ისევ ჩხაოდა.

— რა გაყვირებს, შე მუდრეგო, ხომ არ გიპარავ! — წაუტია ქიტუამ ქათამს.

— რა დაგემართა, გოგო!

— მამაქვს, — მომესმა კეკეს ხმაც. კეკე ქიტუას და იყო. ჩვენს სოფელში იმისთანა ლამაზი არავინ იყო. ეხლა აღარ არის. საწყალი, ერთი წლის პატარძალი მოკვდა.

ქათამი გაჩუმდა. „დუ“... მომესმა ცულის ბრახუნი და შემდეგ ქათმის ფრთხიალიც.

— თავი მანდ არ დაგრჩეს! — უთხრა კეკელას ქიტუამ.

— სანდრო! — გამომძახა შიგნიდან დედაჩემმა.

მე აღარც-კი მახსოვდა, რომ შეშისთვის გამოველ; დედაჩემმა რომ დამიძახა, მაშინ-ღა მომაგონდა. ავიღე რამდენიმე ნაჭერი და შევიტანე შინ. დედას რომ არ დაეძახნა, ვინ იცის, რამდენი ხანი ვიდგებოდი.

— ტყეში ხომ არ გაგგზავნე, აქამდის რა დაგემართა?

მე ყური არ ვათხოვე და პასუხიც არ მივეცი. საჩქაროდ დავყარე შეშები და შაქრის პური ავიღე.

— ხელი-ხელთ არა მაქვს, შენვე შეუკეთე.

— იჰ, იჰ, რა გემრიელია! — ადგილობრივ ვფუნდრუკობდი და ტუჩების წკაპა-წკუპით ვიძახდი.

— არ გეყურება, შეშა შეუკეთე-მეთქი?

— ერთიც მამეცი და შევუკეთებ.

— მე ვიცი, რასაც მოგცემ!.. ე შეშა შეუკეთე, თორემ, ღვთის წყალობა ჰქონდეს სანდროს, რომ მე ის გველივით ავაჭრელო! — გაჯავრებით მითხრა დედა-ჩემმა.

ვიცოდი, თუ გავაჯავრებდი, მუქარას ამისრულებდა, და ამისათვის ხმის ამოუღებლივ დავემორჩილე და შეშები შევუკეთე. საახალწლო კუნძს ჩქარა მოეკიდა და ყუათიანი გუგუნი მორთო.

შაქრის პურების კეთებას მორჩა დედა-ჩემი და ახლა გოზინაყს შეუდგა.

— დედი, ალვახაზსაც გააკეთებ?

— ჰო, შვილო.

— მაჭმევ, განა? მერე რანაირად მიყვარს!..

— მე მითხრეს, სანდროს ეჯავრებაო!

— ვინ გითხრა?

— ვინც იყო. ძალიან ეჯავრებაო.

— ღმერთმანი, დედი, ძალიან მიყვარს.

— არცა გწყენს?

— დედა არ მომიკვდება, არცა მწყენს!

— სტყუი!

— არა ვსტყუი! არა ვსტყუი, ღმერთმანი!

— არა, შვილო, რო გაწყინოს, მერე რაღა მეშველება?

— არა მწყენს მეთქი, ადამიანო, არ გეყურება?!.

— არც გოზინაყი?

— არა-მეთქი, აბაიმე!..

თაფლი რომ არ გადმოსულიყო და დედა-ჩემს კიდევ ეთქვა რამ, მე ტირილსაც დავიწყებდი, ისე ამიჩუყდა გული დედი-ჩემის სიტყვებზე. რას ამბობთ, მე სული-მწარედ მოველოდი ალვახაზის ჭამას და ის-კი მეუბნებოდა: „არ გიყვარს, გაწყენსო“. რაც ყველაზე ძალიან მიყვარდა, ის ძალათი უნდა შეეჯავრებინათ. განა ხუმრობა საქმე იყო?

ვიდრე დედა-ჩემი გოზინაყს გააკეთებდა, კარგა ხანმა გაი-

არა. როცა მორჩა, ცხელი გოზინაყი პატარა სპილენძის სინზე დაასხა და გასაციებლად ტახტზე გადადგა. მე ცხელს გოზინაყს წამოვუწექი გვერდით; დედამ-კი ფალუსტაკის კეთება დაიწყო. გოზინაყს დავადე თითი, მინდოდა გემოთი მენახა, მაგრამ თითი ისე დამეწვა, რომ კინაღამ არ შევყვირე.

— ეჰე, ე მანდ რო წამოუწექი, ხელი არ ახლო, თორემ!.. — დამიყვირა დედა-ჩემმა.

— ხელს როგორ ვახლებ, ძალზე ცხელია.

— იქნება, კიდევაც გასინჯე!..

— გავსინჯე კი-არა და!...

დედა თავისს საქმეში გაერთო; მე-კი ისევ ისე წამოწოლილი ვიყავი და მოუთმენლად ველოდი გოზინაყის გაციებას. ოშხივარი ცხვირთან მომდიოდა, პირში ნერწყვსა მგვრიდა და სურვილს მიღვიძებდა. ვიწექ და ვფიქრობდი: დედა-ჩემმა რომ მთელი სინი მომცეს, რა კარგი იქნება... მე მაშინვე გარეულ გავიტანდი და სოფელში ისე ვივლიდი; თანაც ნება-ნება ჭამას დავუწყებდი. ვუყურებდი ჩვენებურს ბიჭებს, როგორ დამედევნებოდნენ და თხოვნას დამიწყებდნენ. მეც თითო ბეწოს მივცემდი. დანარჩენს კი... მე, სოსო, შაქრო, გიგლა დავსხდებოდით ჩვენს ბანზე და... აგერ, მართლა, მომცა დედა-ჩემმა და მე სიხარულით ბანისაკენ მივარბენინებ. ავედი ბანზე და წინ დავიდგი სინი. სიხარულით გარს ვუვლი, მინდა გვერდით მოვუჯდე. ამ დროს დავინახე სოსო, შაქრო და გიგლა იცინიან, ხელში ჩურჩხელები უჭირავთ და ერთმანეთს დასდევენ... მე დავაღე პირი, მინდა დავუძახო... იმათ ამ დროს თვალი შემასწრეს და ჩემკენ გამოიქცნენ... სინს გარს შემოვუსხედით. იმათაც ჩურჩული დაიწყეს...

— ამოდენა გოზინაყი ვინ მოგცა? — მეკითხება გიგლა.

— დედა-ჩემმა... ჩვენ ბევრი გავაკეთეთ.

სოსომ ამოიღო დანა და უნდოდა დაეჭრა.

— მოიცა, ჯერ ცხელია, — ვუთხარი მე.

— მაშ ჩურჩხელები ვჭამოთ!

ჩურჩხელებს ვჭამთ და თან ვიცინით.

— აი, თქვე ეშმაკებო, თქვენა!..

ავიხედეთ მაღლა. ქიტუას და კეკე თავს დაგვდგომოდა. შორთული იყო და ღიმილით დაგვცქეროდა ზემოდგან.

— ესე ტკბილად დაბერდით! — ყველას თითო კამფეტი შოგვცა და გვაკოცა.

— ეგრე შენ შენის ენითა! — მივაწოდეთ ჩვენც ჩურჩხელა.

— გოზინაყი მომეცით, ჩურჩხელა არ მინდა!

სოსომ გოზინაყს დანა დაუგდო.

— ნუ სჭრი, ნუ! სინიანად მომეცით.

ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ.

— არ გემეტებათ?

ჩვენ ხმას არა ვცემთ.

— მაშ თუ აგრეა, აი! — დაეწოდა და სინი აიღო. კეკე გაიქცა.

— სად მიგაქ, ეი! უ, უ, უ!.. — დავიწყე ტირილი.

— სანდრო, რათა სტირი, შვილო?

— ჰა!.. — გავახილე თვალები და დედა-ჩემი დავინახე; ჩემკენ მობრუნებულიყო.

— რა გატირებს? — მკითხა კიდევ.

— გოზინაყი მომტაცა!.. — ტირილის ხმით ვუპასუხე.

— ვინ მოგტაცა? ემანდე, მანდვე არა სდგას!

— აბა? — დავხედე და, მართლა, იქ იდგა სინი. — სიზმარში მინახავს!

— აი, რა სულელი რამა ხარ, სიზმარშიაც გოზინაყი გელანდება! წადი, ლოგინში დაწექ, თორემ შეგცივა.

მეძინებოდა და ამისათვის ხმის ამოუღებლივ გავიხადე და ჩავწექ ლოგინში.

II

— სანდრო, სანდრო!.. ადექი, შვილო, ნუ გამაჯავრებ კიდა!..

— დაიცადა, აბაიმე!..

— ადე, კარგი, ნუ ხარ ჯიუტი!

— ეხლავ, ეხლავ!..

— ადე, გოზინაყი ჭამე!

— აბა?! — წამოვჯექ ლოგინში.

ახლა-ღა მომაგონდა, რომ მეკვლედ მე უნდა ვყოფილიყავი. მეკვლეობა ჩემთვის დიდი რამ სასიამოვნო ამბავი იყო და ამისათვის მარდად ჩავიცვი.

დედა-ჩემმა სავსე ხონჩა მომცა ხელში და კარები გამიღო.

— ხომ გახსოვს, როგორ უნდა მოიქცე?

— როგორ არ მახსოვს!

იმ წელიწადს პირველად ვიყავი მეკვლედ და ამისათვის დედაჩემმა წინა დღით გამაზეპირებინა, რა სიტყვებიც უნდა მეთქვა, როცა შინ მოვბრუნდებოდი, და ან გარედ როგორ უნდა შემოვტრიალებულიყავ.

ხონჩა გარედ გავიტანე. ჯერ ისევ ბნელოდა.

„ნაუ!“ — გაისმა ამ დროს დიდის ზარის ბოხი ხმა და მოეფინა მთელ სოფელს. რამდენისამე ადგილიდგან ზარის ხმასთან ერთად მომესმა ძაღლების ყმუილი. ჩვენმა მურიამაც სხვებს მიჰბაძა და მორთო უსიამოვნო წკმუტუნი.

— მურია, მურია! აჰაა, შენი თავი ამოიჭამე! — კარებიდან გამოსძახა დედა-ჩემმა და გაჩუმდა *.

მე ხონჩა შემოვატრიალე დერეფანში და, კარებში რო შევედი, წარმოვთქვი:

„შამოვდგი ფეხი, გწყალობდესთ ღმერთი, ფეხი ჩემი — კვალი ანგელოზისა!“ — ეს სიტყვები სამჯერ გავიმეორე და მერე ხონჩა დედა-ჩემს გადავეცი ამ სიტყვებით: — „დაესწარით მრავალს ახალწელიწადს სიხარულით, ჯანმრთელობით და სიცოცხლით!“

— ეგრე შენ, შენის ენითა, შვილო! — მიპასუხა დედა-ჩემმა და ხონჩა გამომართვა.

შემდეგ მივედი ბუხართან და საახალწლო კუნძს ჩინჩხვლა დავუწყე. ნაპერწკლები რომ ბღუჯა-ბღუჯა ადიოდა, მე ვიძახდი: „ამდენი ძროხა, ამდენი ცხენი, ამდენი ხარი, კამეჩი, ამდენი ფარა ცხვარი, ამდენი ქათამი, ამდენი სკა-ფუტკარი, ამ-

---

* ზოგ-ზოგს სოფელში სწამთ, რომ ვისი ძაღლიც ზარის რეკვას ყმუილით აჰყვება, იმის პატრონს ზარალი მიეცემაო. ავტორი.

დენი... ოოო! დედი, დედი, დედი, აქ უცქირე, რამდენი ნაპერწკალი ადის! ამდენი, ამდენი... უჰ!.. უცქირე, უცქირე... ამდენი, რა?.. ამდენი ძაღლი!..“

— ძაღლები რაღად გინდა, სულელო!

— მაშ ამდენი საქონელი ხომ დაგვიჭამეს მგლებმა! „ამდენი, ამდენი“...

— კარგი, გეყოფა!

— უჰ, რამდენი საქონელი გვეყოლება!

— წამოდი ახლა, დაგაბერო!

დედა-ჩემმა მიმიყვანა ხონჩასთან და მითხრა:

— ესე ტკბილად დამიბერდი, შვილო, ღმერთმა შენს ბედნიერებას და თეთრად დაბერებას შემასწროს! — აიღო თითო ნაჭერი გოზინაყისა, ალვახაზისა და სხვა ტკბილეულობისა და შაშვსავით პირში ჩამიდო.

— ესე ტკბილად მეც დავბერდე! — თითონაც შეჭამა რამდენიმე ნაჭერი.

— სანდრო, აბა ჩურჩხელები წვრილად დაიჭერ და, ვინძლო, ჭკვიანად მოიქცე დღეს. თუ დაგაბეროს ვინმემ, შენც თითო ნაჭერი მიეცი. — მომცა რამდენიმე ჩურჩხელა და დანა.

მე მივჯექი ბუხართან და ნება-ნება დავუწყე ჭრა. ისე გავერთე ჩურჩხელების ჭრაში, რომ არ დამინახავს, დედა-ჩემი ამ დროს რას აკეთებდა.

— აბა, შვილო, — მითხრა დედა-ჩემმა, როცა სოფელში გასვლას ვაპირებდი, — თუ შეხვიდე სადმე, ფრთხილად იყავი, ქვეშ ნაკმაზი არავინ დაგიყაროს! *

პირდაპირ ძალუანთას წავედი. მილოცვის შემდეგ ძალუამ დამაბერა და მითხრა:

— ფეხებს დაგამტვრევ, თუ ცუდი ფეხი გექნება!

— ღმერთმანი, ძალო, კარგი ფეხი მაქვს!

— აი გამოჩნდება, თუ კაი ფეხი გაქვს. იცი, სანდრო, თუ

---

* ახალწელიწადს თუ ქვეშ ნაკმაზი დაუყარეს ვისმე, ქათამს ვეღარ გაზრდიანო. ავტორი.

მართლა კაი ფეხი გაქვს და ბევრი ქათამი გავზარდე, ერთ ქოჩორა ვარიას ბერზვარად დაგიყენებ!

— რატომ არ დაჯდები? — მითხრა ძალუამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა მე იმის პატარა თამროს მასხარაობა დავუწყე.

— გინდა კი, ქვეშ ნაკმაზი დამიყარო!

— ხა, ხა, ხა! — თავისებურად გადიხარხარა ძალუამ. — ეგ ვიღამ გასწავლა?

— ვინ უნდა მასწავლოს!..

— გაბრო, ნაკმაზი გამოიტა, სანდროს ქვეშ მინდა დავუყარო. — სიცილით დაუძახა თავისს შვილსა და თან დასაჭერად მე წამომეტანა.

რაკი ეს გავიგე, მაშინვე კარებისაკენ მოვკურცხლე და ერთს თვალის დახამხამებაზედ გარედ გამოვირბინე.

— აბა, დამიყარე! — გარედგან შევსძახე.

— სად გარბიხარ, გეხუმრები, შე სულელო, განა მართლა დაგიყრი! — სიცილით მეუბნებოდა.

— სანდრო! — ვიღაცამ დამიძახა ამ დროს.

მივიხედე იქით, საიდანაც ხმა მომესმა, და გიგლა დავინახე.

— გიგლა! — წამოვიძახე უეცრად და იქით გავექანე.

— ბიჭო, მე თქვენსა ვიყავი!

— ესე ტკბილად დამიბერდი! — მივეცი ერთი ნაჭერი ჩურჩხელა და ერთმანეთს ვაკოცეთ.

— ესეც შენ, შენის ენითა! — იმანაც სამაგიერო მომცა.

— რატომ ჩვენსა არ მოხვედი?! — საყვედურით მითხრა გიგლამ.

— რატომ შენ კი არ მოხვედი? — კითხვითვე ვუპასუხე.

— აკი გეუბნები, თქვენსა ვიყავი-მეთქი! ბიჭო, დედა-შენმა რამდენი რამე მაჭამა!..

— შინ იყო დედა-ჩემი?

— შინ იყო. წამოდი ახლა ჩვენსა! ჩვენს უბანში ბიჭები თამაშობენ და ჩვენც ვითამაშოთ!

— წავიდეთ.

— ჯერ შაქროსთან წავიდეთ. იმასაც დავუძახოთ!

— წავიდეთ.

მე და გიგლა შაქროსთან წავედით. იმისი სახლი იქვე იყო და, ამისათვის, საჩქაროდ მივედით, შესვლა კი ვეღარ გავბედეთ. დერეფანში ხალხი ირეოდა, ყველას სახეზედ მწუხარება ეხატებოდა.

ვიდექით ისე დიდხანს; ვერც არავის ვკითხეთ, თუ რა მოხდა და ჩვენც შიგ შესვლას ვერ ვახერხებდით. ბოლოს, როგორც იყო, გავბედეთ და სახლში შევედით.

შევედით თუ არა, მოგვესმა მარინეს ხმა: „გიგოლა, გიგოლა!“ — მოსთქვამდა სიტყვებს და სხვა, იქ მსხდომნი დედაკაცები, ბანს აძლევდნენ. ყველა ლექსს მარინე ასე ათავებდა: „ვაი, იჰ, იჰ,“ დედაკაცებიც იმასთან ერთად იმეორებდნენ. მარინე განთქმული იყო, როგორც მომტირალი. თითქმის ყველა მკვდრის დამტირებელი და გამაპატიოსნებელი, როგორც ჩვენში ამბობენ, ის იყო. ისე მიცვალებული არ იქნებოდა, რომ მარინესთვის არ დაეძახნათ. ხან-და-ხან სხვა სოფელშიაც მიიპატიჟებდნენ ხოლმე...

— ადე, ადე, გიგოლი! — დაიძახა მარინემ, როცა ჩვენ თვალი შემოგვასწრო, — ადექი, ნუ ხარ გაუგონარი! ადე, ბედნიერი დღე ნუ გაუმწარე შენს შაქრიკასა; აგერ იმისი ტოლები მოვიდნენ და სათამაშოდ იწვევენ! ვაი, იჰ, იჰ...

ეს რომ გავიგონეთ, კედელს აეკარით და მოვიპუზენით. შეგვრცხვა და ვიგინებოდით გულში, ჩვენ რად გვახსენაო. ჩვენ იმაზედ უფრო შეგვრცხვა, რომ მარინემ, თითქოს გულთმისანიაო, ისე მართლა სთქვა, „შაქრიკოს სათამაშოდ იწვევენო“.

— ეს-კი შენ ჩამოგტირის და თავს ვეღარ განებებს! — დაიწყო კიდევ მარინემ.

— ვაი, მე დამწვარს! — წამოიძახა მაგდანამ, რომელიც თმა-გაწეწილი და ლოყებ-დასისხლიანებული ორს დედაკაცს

გაკავებული ეჭირა, მალ-მალ თავს ხან იქით აქნევდა და ხან აქეთ. შაქრიკა კი იქვე დედის ზურგს უკან იდგა და ცრემლით თვალებს ითხრიდა.

— მამი! — უეცრივ წამოიძახა შაქრიკამ.

— მამა მოგიკვდა, შვილო, მამა-შენი ხმას აღარ გაგცემს!— დაიღრიალა მაგდანამ ისეთის ხმით, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

ყველამ ქვითინი დაიწყო. მეც ვეღარ დავიმაგრე ცრემლები და ნაკადულივით გადმომსკდა; გიგლა ხომ ხმა-მაღლა ღრიალებდა...

1891 წ.

აბრეშუმის ცხვირსახოცი

ვინც ზაფხულობით თბილისში დარჩენილა, მარტო ის იგრძნობს, რა გემო აქვს აქაურ სიცხეს. თერთმეტ ჟამამდე კიდევ შეიძლება კაცმა თავი გარეთ გამოჰყოს და, თუ საქმე აქვს, ისაქმოს; შემდეგ-კი ღმერთმა დაიფაროს ყველა სულ-დგმული. ყველგან სიცხის ბუღი ტრიალებს. სიცხეს კიდევ ჯანი და სული წაუვიდეს, ამაზე ხმას ვინ ამოიღებდა, რომ აიცხესთან სხვა სენი არა სჭირდეს თბილისს. ავის სუნით და მტვრით ჰაერი ისეა მოწამლული, რომ კაცს სუნთქვას უხუთავს; სუნთქვის დროს ჰაერის მაგივრად, გეგონებათ, ტყვია მხვდება გულ-ღვიძლშიო. მტვერი და თბილისი ისეა დაკავშირებული ჩემ გონებაში, რომ ერთის ხსენებაზედ უეჭველად მეორე უნდა მომაგონდეს. თუ თბილისი ახსენა ვინმემ ზაფხულობით, მაშინვე მტვრის ნისლი და ბუღი მომაგონდება, ის ნისლი და ბუღი, რომლითაც მოცულია თბილისის არემარე.

აი, ამისთანა მდგომარეობაში იყო თბილისის ჰაერი, როცა ამ რამდენისამე წლის წინად პირველად ვესტუმრე ქალაქს. რადგანაც სულ ერთის კვირის სტუმარი ვიყავ, დაფაციცებული დავდიოდი და ჩემს თავს მოსვენებას არ ვაძლევდი; დილიდგან მოკიდებული საღამომდის ჩემი ფეხი არ ჩაიდრიკებოდა. მინდოდა თბილისის ყველა კუნჭული მენახა, გამეცნო და ისე წავსულიყავ.

შუადღე იქნებოდა. მზე თბილისისკენ უხვად ისროდა ცეცხლის ისრებს. როგორც საკირეს, ცეცხლის ალი ისე ასდიოდა ქალაქს.

ავლაბრისკენ მივეშურებოდი. აღმართს შევუდექი. სიცხემ და მტვერმა რომ ძალა დამატანა, ერთის სახლის კედელს ავე-

ტუზე; კედლის ჩრდილი ძლივს მფარავდა. ამ დროს ისე ვიყავ დარეტიანებული, რომ არ ვიცოდი, სად ვიყავი და სად არა. ვიდექ ისე გაშტერებული და თვალებს აქა-იქ ვაცეცებდი... არ ვიცი, ვფიქრობდი რასმე მაშინ თუ არა: ხშირად მოუვა ხოლმე კაცს ასე: ჰგონია, ვფიქრობო, მაგრამ ანგარიში რომ მოსთხოვოს თავის-თავს და ჰკითხოს: რასა ვფიქრობო, პასუხს ვერ მოახერხებს. აი, სწორედ ამისთანა მდგომარეობაში ვიყავი მაშინ.

ამ გამოურკვეველი მდგომარეობიდან გამომიყვანა უცნაურმა ხველამ. მივიხედე, საიდგანაც ხველა მომესმა, და დავინახე თავ-თავქვე მომავალი ცამეტისა თუ თოთხმეტის წლის, ძონძებში გახვეული, ფეხ-შიშველა და თავ-მოხდილი ქალი. ზურგზედ კარგა მოზრდილი კოკა ეკიდა. იმისმა მინაზებულმა სახემ, ტანჯვით სავსემ, ძალა-უნებურად მიმიზიდა და თვალი ვეღარ მოვაშორე. რამდენადაც დამიახლოვდა და დავუკვირდი იმის მეტყველ სახეს, იმდენად უფრო მიიპყრო ჩემი გონება, იმდენად უფრო გულს ჩამწვდა... კუპრივით შავი თვალები, გრძელი, ისრებივით გადაჭიმული წარბები, დაუვარცხნელი, ცოტათი მოყვითალო თმა, რომელიც მხარზედ გადაჰფენოდა და გარს ეხვეოდა იმის ლოყებს, მშვენიერებას უმატებდა ამ ქალს. ისე გამოიცქირებოდა ძონძებში, როგორც წვიმის შემდეგ ნაწყვეტ-ნაწყვეტა ღრუბლებში მთვარე გამოიცქირება ხოლმე... აი, დამიპირდაპირდა. ერთი ნაბიჯი წინ წავსდგი, მინდოდა ხმა გამეცა, მაგრამ, როცა მძიმედ ასწია თვალის ქუთუთოები და მძიმედ გადმომხედა, მაშინვე ენა მუცელში ჩამივარდა და ადგილიდან ვეღარ დავიძარ. ქალმა ჩაიარა. მე ასე გაშტერებული ვიდექი და ვუმზერდი მიმავალს. ცოტათი რომ დამშორდა, უკან მოიხედა და უკან-უკან ცქერით მიდიოდა. ალბათ უნდოდა გაეგო ასე გაშტერებული რად დამაცქერდაო. საწყალმა ჩემს ცქერაში ფეხი ქვას წამოჰკრა და პირქვე დაეცა; კოკა კი წინ გაგორდა და ლუკმა-ლუკმად იქცა.

ქალი საჩქაროდ წამოდგა და კოკის ნამტვრევებს დააცქერდა. დიდხანს იდგა ისე, მერე მე შემომხედა. რა არ იხატებოდა იმის თვალებში! საყვედურიც, ჩემდა მომართული, სირ-

ცხვილიც და შიშიც. დამნაშავედ დავსახე ჩემი თავი და საჩქაროდ მივედი ქალთან.

— ქალო, ხომ არა იტკინე რა?

პასუხის მაგივრად, შიგ თვალებში ჩამაცქერდა და ისე დამიწყო ყურება, თითქოს სურს შეიტყოს, გულწრფელი იყო ჩემი სიტყვები თუ არა. მე ვერ გავუძელ ამ ცქერას და რაღაცნაირი ტოკვა დავიწყე.

— ნეტავი თავი გამეტეხნა და კოკა კი არ გატეხილიყო! — მითხრა მან ბოლოს.

— შენს პატრონს განა კოკა შენზე ძვირად უღირს?

— მგონი, თავი რომ გამეტეხნა, დედა-ჩემი ხმას არ გამცემდა; ესლა კი, ვინ იცის, ცემით ტყავი გამაძროს.

ამ სიტყვებთან ერთად კოკის ყურს დაეწოდა და ხელში აიღო. რამდენჯერმე გადაატრიალ-გადმოატრიალა, ამოიოხრა და შორსა სტყორცნა. ამ დროს შევნიშნე, რომ ხელის გულიდან სისხლი სდიოდა.

— ეგ რა არის, ქალო? — ვკითხე და მივაქციე მისი ყურადღება სისხლს.

ქალს სისხლი არ შეენიშნა, დაიხედა ხელის გულზედ და ძერე ისე მომცა პასუხი.

— ხელის გული გადამგლეჯია, — დინჯად მიპასუხა და კაბის კალთა გადაიხვია.

ჯიბიდან აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოვიღე, სხვა თან არ გამომყოლოდა, და, თუმცა ქალი უარზე იყო, მაგრამ მაინც შევუხვიე.

— გმადლობ!.. — გრძნობით მითხრა და ღრმად ჩაფიქრდა.

დიდ სიამოვნებასა ვგრძნობდი. ხმის ამოუღებლივ შევცქეროდი და ვნატრობდი, რომ ჩქარა არ წასულიყო.

— გმადლობ, ყმაწვილო! — მითხრა კიდევ და წასვლა დაიპირა.

— არ შეიძლება, მითხრა, კოკა რა ღირს?

— არ ვიცი, მაგრამ რად გინდა გაიგო ფასი?

— ისე! — ვუპასუხე და ფული მივაწოდე.

ქალს თვალები გაუბრწყინდა. სახეზედ სიხარულმა გადუარა. იდგა და შემომცქეროდა. სახეზედ სიამოვნების ალმური

ასდიოდა. „ამ ოხერ ფულს რა შეუძლიან! ფული რო დაინახა, როგორ სიხარული შეეტყო!“ — ძალაუნებურად გავიფიქრე.

— რატომ არ გამომართმევ, აჰა!

— ყმაწვილო, ფული ისევ ჯიბეში ჩაიდე, მე მაგას არ გამოგართმევ, — დამიჭირა ქალმა მარცხენა ხელი და მაგრად მომხვია ორივე ხელი.

„პატარა ხარ, მაგრამ კუდიანობა-კი დიდი გაქვს, გინდა, რომ შეგეხვეწო“, — ვიფიქრე კიდევ, რადგანაც იმისი სიხარული ფულის დანახვაზედ სულ არ შეესაბამებოდა იმის სიტყვებს.

— შენ, იქნება, გგონია, რომ ფულის დანახვა გამეხარდა?! არა, მაგას ნუ იფიქრებ! თუ გინდა გაიგო, რა გამეხარდა, აი გეტყვი: აქამდე მე ვფიქრობდი, რომ ქვეყანაზედ ისეთი კაცი არ იქნება-მეთქი, რომელსაც ჩემთვის გული შესტკივნოდეს, მაგრამ ეხლა კი ვხედავ, რომ ყოფილა ისეთი კაცი; ეს კაცი შენა ხარ.

— ძალიან ადრე მოგძულებია ადამიანი. ეხლა ხომ ნახე, რომ შენი გულშემატკივარიცა ყოფილა ქვეყანაზე! მაშ, გამომართვი ფული, რომ დედა-შენმა არა გცემოს.

— არა, მაინც არ გამოგართმევ. ფულიც რომ მივუტანო, დედა-ჩემი მაშინაცა მცემს, და აბა, ტყუილად შენ რაღად დაგაკლო.

— როგორ, ფული რომ მიუტანო, მაინცა გცემს?!

— დიაღ.

— მეც რომ წამოვიდე და ვუთხრა, კოკა მე გავტეხე-მეთქი და ფული მივცე, მაშინაცა გცემს?

— იქნება არა მცემოს!

— მაშ, წავიდეთ!

— ოჰ, რა კეთილი გულისა ყოფილხარ? — სიხარულით წამოიძახა და უფრო მაგრად მოხვია ხელები ჩემს ხელს.

— მაინც არა მჯერა, რომ კაცები მაგეთი კეთილი გულიანი იყვნენ: მე მგონია, შენც იმიტომ გაქვს კეთილი გული, რომ ჯერ ახალგაზრდა ხარ. მარტო ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ კეთილი გული, თუმცა ჯერ შენ მეტი არავინ მინახავს მაგეთი გულისა. განა ჯერ ოცი წლისა არ იქნები?

— მე?! ჰო!-და დავიწყე ჭოჭმანი. — მართლაც მაშინ თვრამეტი წლისა თუ ვიყავი.

— აკი გეუბნები, მარტო ახალგაზრდებს შეუძლიანთ შეიბრალონ კაცი! რამდენიც ხანში შედის ადამიანი, იმდენი თანდა-თან გული უქვავდება.

იმისმა ლაპარაკმა გამაკვირვა. ისე გონივრულად სჯიდა, ისე დარბაისლურად და წყობისად, რომ კაცი ვერ წარმოიდგენდა, თუ ეს ცამეტი წლისა არისო. იმისი გონებრივი განვითარება სრულებით არ შეესაბამებოდა მის წლოვანობას... ბევრ ჩვენს ვითომ მოზრდილ ქალებს შეშურდებოდათ იმისი ჭკუა-დამჯდარი ლაპარაკი, მაგრამ რას ვამბობ?! განა ზრდილთ შეშურდებათ ვისიმე გონებრივი განვითარება?! რომ შეშურდეთ, ხომ კიდევაც ეცდებიან განვითარებას. იმათი სასურველი საგანი მარტო ჩაცმა-დახურვა, ტუალეტია და აკი კიდევაც ცდილობენ იმის შეძენას.

ლაპარაკით ავიარეთ აღმართი. ჩვენი ბაასი დედ-მამის და შვილების ერთმანეთში მოთავსებას შეეხებოდა.

— რა ვქნა, მე კიდევ ვერ გამიგია! აი, რამდენი რამა სთქვი დედ-მამის შესახებ, რამდენიმე მაგალითიც დამისახელე, რომ მშობლები დიდის ალერსით და სიყვარულით ეკიდებიან თავიანთ შვილებს, მაშ ეს დედა-შენი რაღა გამოვიდა, რამ გაუქვავა გული, რომ ეგრე, როგორც შენ ამბობ, ცეცხლის ალში ჰყევხარ? — ვკითხე ბოლოს.

— დედა-ჩემს რამ გაუქვავა გული?! ჰმ!.. — ქალმა მწარედ გაიღიმა და ისე ამოიოხრა, რომ, გეგონებოდათ, გული თან ამოატანაო. — დედა-ჩემზედ ნუღარას მკითხავ. დედა-ჩემს დედას ვერ დაუძახებ. იხ ჩემი დედა არ... არა, ვერ ვიტყვი!.. იქნება, შენც შეგაშინოს ამ საიდუმლომ და ეხლავე თავი დამანებო.

— რა საიდუმლომ? — დავეკითხე განცვიფრებული.

— გთხოვ, ნუღარას მკითხავ! შენ ხომ კეთილი გული გაქვს და ამ თხოვნის ასრულებას არ დაიზარებ, თორემ ამაზედ ლაპარაკი გულს მიკლავს... ეჰ!.. — კიდევ ამოიოხრა და, სანამ სახლის კარებამდის არ მივედით, ხმა არ გაუცია. მეც

გაჩუმებული გვერდით მივსდევდი და მთელი ჩემი არსება ამ ქალის შესახებ ფიქრებით აივსო.

— აი, ჩვენი ეზოს კარები, აქეთ მოდი! — მითხრა და შევიდა ერთ მინგრეულ ალაყაფის კარებში. მე მივყევი უკან. ეზო ძალიან უსუფთაო იყო: შუა ეზოში ერთი ვეებერთელა წუმპე იდგა, რომელსაც საშინელი ავი სუნი ასდიოდა. ეზოს სამი მხარე დაჭერილი იყო დაბალ მინგრეულ-მონგრეული უყავრო ოთახებით. ერთ ოთახთაგანში შევედით და შესვლისთანავე თვალებში გამეჩხირა უზარმაზარი, ტლანქი, ლაშებგადმობრუნებული, შავი, როგორც ნახშირი, ტახტზე გაგორებული დედაკაცი.

— აი, დედა-ჩემი! — მიიშვირა ქალმა ხელი ამ ჯადოსან დედაკაცისაკენ.

„ნუ თუ ეს ჯოჯო ამ მშვენიერების წყაროა!.. დახე, ბუნების სიცელქე კუდიანობას! ამ უმსგავსისთვის რა მშვენიერი უშობინებია?“ — გავიფიქრე ჩემდა უნებურად.

მაჯლაჯუნა, — სწორედ მაჯლაჯუნასა ჰგავდა, — წამოხტა, გადაატრიალა ჩასისხლიანებული თვალები და ერთი ისეთი წამოირუხრუხა, რომ გული გამიხეთქა.

— გოგო, აგრემც ბრაგვა გაგცვივა; კოკა რა უყავი? იქნება გასტეხე!..

ქალი კარებს აეტუზა; მეც ენა მუცელში ჩამივარდა; მაჯლაჯუნამ-კი ხელი ჯოხს წამოავლო და უნდოდა გოგოსთვის ესროლა, მაგრამ მე მოვიკრიბე უკანასკნელი ძალა და დავუჭირე ხელი, თუმცა მეშინოდა, რომ გოგოს მაგივრად ჩემთვის არ დაეკრა.

— ეს ვიღა მოთრეულა და ხელს მიჭერს! გამიშვი, თორემ შენც მოგხვდება!

— მე... მე... — სიტყვის თქმა ვეღარ მოვახერხე.

— შენ-და ღვთის რისხვა, გაიგე თუ არა?!

ამ სიტყვებმა გამომაფხიზლა, დამიკარგა შიში და გული ამიმღვრია. ვგრძნობდი, რომ სისხლი თავში ამივარდა, თვალებში მომერია.

— რას რუხრუხებ, შე ქოფაკო, შენა?! — შევუტიე და

ერთი ისეთი დავწიე იმის მკლავს, რომ მაჯლაჯუნამ ტახტზედ ბრახვანი მოიღო.

— რა გინდა, შვილო, ჩემგან, რა დაგიშავე? — დაბალის და მოლბილებულის ხმით მითხრა.

— ღმერთმა დამიფაროს შენი შვილობისაგან! არა, რო ღრიალებ, ვითომ ვინ უნდა შეაშინო! ჯერ გაიგე, რისთვის მოვსულვარ და ისე ირუხრუხე.

— რისთვის მოსულხარ, რატომ არ მეტყვი?! — უფრო დაიდაბლა ხმა.

— რისთვის მოვსულვარ?.. აი რისთვის: ამ ქალს ხელი არ ახლო, თორემა... ეხლავე...

— კრინტი გამიწყდეს, თუ ხმა გავცე!

ჩემმა ბრძანების კილომ ძალიან შეაშინა ეს რუხი და ჯოჯოხეთის მაშხალა დედაკაცი.

— კოკაც რომ გაეტეხნოს? — ვკითხე მე.

კოკის ხსენებამ ბრაზები მოურია. უნდოდა დაეჭექნა, მაგრამ თავი შეიმაგრა და სიბრალულის ხმით დაიწყო:

— აბა, შენ თითონ მითხარი, ნურაფერს ვეტყვი? ვინ იცის, ეს რამდენი რამ გაუტეხნია. ხომ ხედავს შენი კაი თვალები, როგორა ვცხოვრობთ, საიდან ან რითი ვიყიდი?

— ცემის შემდეგ კოკა გაგიმთელდება?..

— არ გამიმთელდება, მაგრამ...

— მაგრამ თავი დაანებე და ეს მითხარი: ხომ არაფერს ეტყვი?

— აკი გითხარ, ხმას არ გავცემ მეთქი, — ჩმუჩნით მითხრა. ალბათ, უნდოდა ჩქარა თავიდან მოეშორებინე და მერე ამოეყარა ჯავრი.

— ის კოკა მე გავტეხე და აი ამის ფასიც. — ამოვიღე ერთი მანეთი და მივეცი. მაჯლაჯუნამ ფული. სიხარულით გამომართვა.

— ეხლა ხომ აინაზღაურე კოკა? მაშ სიტყვა მომეცი, რომ შენს ქალს აღარას ეტყვი.

— წმინდა მარინე იყოს თავდები...

— ამას-კი ხელს ნუ ახლებ და თავდები ვინც გინდა დააყენე, თორემ, თუ გავიგე... ეხლა-კი მშვიდობით.

ამ სიტყვასთან ერთათ გამოველ გარედ. ეზოს კარებში ქალის ხმა შემომესმა, — უკან გამომყოლოდა.

— ყმაწვილო, რატომ მე კი არ გამომემშვიდობე?

მე შევდექი, ცოტა არ იყოს, იმისმა სიტყვებმა გამაწითლა.

— დედა-შენმა ისე გამაბრაზა, რომ სულ დამავიწყდა.

— არა უშავს-რა! ეხლა გამომემშვიდობე. — გამომიწოდა ხელი, რომელიც მე გრძნობით ჩამოვართვი. ქალი ხელზედ საკოცნელად დამეწოდა, მაგრამ ნება არ მივეცი.

— ნუ, ნუ, ამაზედ უარს ნუ მეტყვი! მაშ მადლობა რითი გადაგიხადო?!

— აი რითი! — მე მოვხვიე ხელი და მარწყვისფერ ტუჩებში ვაკოცე.

— მშვიდობით!

— მშვიდობით, მშვიდობით, კეთილო ყმაწვილო! — მითხრა და კიდევ მომეხვია.

ჩავეკონევით ერთმანეთს და ისე ვიყავით რამდენსამე ხანს. ამ სურათის მოწმად მარტო მინგრეულ-მონგრეული ალაყაფის კარები იყო.

— შენი სახელი მაინც მითხარ? — მთხოვა ქალმა.

— ჩემი სახელი თედოა. შენი?

— ჩემი — თამარ.

— თამარ, მშვიდობით!

— მშვიდობით, თედო, გთხოვ, არ დამივიწყო!

— ჩემო თამარ, უეჭველად გნახავ, თუ როდისმე ჩამოვალ თბილისს. ეხლა კი სოფელში მივდივარ.

ამ სიტყვებით დავშორდით ერთმანეთს.

რაღაც გამოუთქმელ სიამოვნებასა ვგრძნობდი. თავ-დალმართი ისე ჩამოვიარე, რომ არა დამინახავს-რა, არც გამიგია, როგორ ჩამოველ. მარტო თამარი მეხატებოდა თვალწინ, მარტო ისა ტრიალებდა ჩემს თვალში...

II

გავიდა ხუთი წელიწადი. ამ ხუთი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, ბევრმა კოკა წყალმა ჩაიარა, მაგრამ თბილისი-კი ისევ ისეთი იყო. ვერაფერი ცვლილება ვერ შევატყვერა... ისევ ის სუნი, ისევ ის ოღრო-ჩოღრო.

დიაღ, თბილისი ისევ ისეთი დამხვდა, როცა ხუთი წლის შემდეგ მეორედ ვესტუმრე. თუმცა ძალიან სურვილი მქონდა თბილისის ნახვისა, უფრო კი თამარისა, მაგრამ გარემოებამ ნება არ მომცა ადრე ჩამოვსულიყავ... არ ვიცი, რად და რისთვის მაგონდებოდა ყოველს წამს თამარი. იმისი სახე ამ ხუთი წლის განმავლობაში სულ თვალ-წინ მედგა. ისეთ დღეს ვერ გამოვარჩევ, რა დღესაც ის არ მომგონებოდეს.

ჩამოვედი თუ არა, მაშინვე თამროსკენ გავეშურე. საჩქაროდ მივირბინე ნაცნობ აღმართამდის. აქ, უეცრივ თავში გამიელვა იქვმა და, ცოტა არ იყოს, შემაფერხა. ნელის ნაბიჯით შევუდექი აღმართს. პირველს იქვს მოჰყვა მეორე და ისე მოება ერთი-მეორესა. ამ დრომდე ერთხელაც არ დამბადებია ამ გვარი იქვები, ახლა-კი თითქმის სულ იქვებათ გარდავიქეცი. „სად მისდიხარ, ან რისთვის?“ ჩამომძახოდა რაღაც იდუმალი ხმა: „თამარ მაშინ ბავშვი იყო და იმისთვის ასიამოვნა შენმა საქციელმა; მაშინ დედისაგან დატანჯული იყო და შენმა გულკეთილობამ განაცვიფრა და დაგიწყო ალერსი; ეხლა რომ გნახოს, სირცხვილი დასწვავს. შენს საქციელს მოწყალებად ჩასთვლის და დიდათ დაიტანჯება!“ — „მართლა და, — დავუმატე ახლა ჩემ თავად; — უნდა მივიდე და მოვაგონო, რა მოწყალებაც გავუწიე!.. უნდა ვუთხრა: გახსოვს ამა და ამ დროს, დედა-შენს ერთი მანეთი მივეცი, რომ შენთვის არ ეცემა-მეთქი. ან ეხსომება-კი? იქნება, გათხოვდა კიდეც და ეხლა ქმარიც გვერდით ჰყავდეს. რომ დამინახავს, ხომ... ან ის რომ მოაგონდეს... რა ის? ჰო, კოცნა... მაშინ... არა, ისა სჯობია, არა ვნახო“.

ამ ფიქრებში გართულმა ისე ავიარე აღმართი, რომ ვერ გავიგე. აღმართის თავს შევდექი და უკან დაბრუნებას ვაპირებდი.

„არ გცხვენიან, — ახალ› მეორე ხმამ ჩამძახა, — თბილისში ჩამოხვედი და თამრო კი არ გინდა ჰნახო, ის თამრო, რომელმაც სიყვარულით მიგიღო, რომელიც ყოველ დღე გაგონდებოდა! მოიგონე შენი პირობა: „თუ როდისმე ჩამოვედი, უეჭველად გნახავ“. იქნება რა გაჭირვებაშია და შენგან ელის შველას...“

„ჰე!..“ ამოვიოხრე და გავსწიე თამროსაკენ.

ოთახის კარი ღია იყო. შევედი შიგ და დავინახე ფანჯარასთან ახლო მჯდარი, ჩაფიქრებული ქალი, რომელსაც ზურგი მთლად დაფენილი ჰქონდა გრძელის გაშლილის თმით. ზურგი კარებისკენ ჰქონდა შემოქცეული, ამიტომ ჩემი შესვლა ვერ გაიგო. მე შევდექი და გამოსვლას ვაპირებდი, ვიფიქრე, იქნება სხვა სახლში შევედი-მეთქი, მაგრამ ბოლოს ვარჩიე გამოვლაპარაკებოდი.

— თუ უკაცრავად არ ვიყო...

— ვინა ხართ? — აღარ დამათავებინა სათქმელი ქალმა, მობრუნდა ჩემკენ და შემომაცქერდა.

— თედო!.. თამარ!.. — თითქმის ერთად წამოვიძახეთ ორთავემ. თამარი მაშინვე წამოხტა და მომეხვია. მგონია, კარგა ხანი ვიყავით ესე ერთმანეთს მოხვეულები და ხმის ამოუღებლივ ვსტკბებოდით.

— თედო, თედო! — დაიწყო თამრომ, როცა ცოტათი დავშშვიდდით: — სული ამომხდა შენს ლოდინში! ეს ხუთი წელიწადი ჩემთვის ხუთ საუკუნეთ გარდაიქცა. სადა ხარ აქნობამდის? ნუ თუ ამ ხუთი წლის განმავლობაში ერთხელ მაინც არ ჩამოხველ თბილისს?!

— რო ჩამოვსულიყავ, არა გნახავდი? თუმცა ისიც-კი უნდა გითხრა, რომ ეხლაც მიძნელდებოდა შენი ნახვა...

— რად გიძნელდებოდა, რა იყო მიზეზი?! — გაოცებით დამეკითხა და თან გაფითრდა — ხომ არა გაგიგონია-რა?

— რა უნდა გამეგონოს, მაგრამ ისე: მე მეგონა, გეწყინებოდა ჩემი ნახვა.

— თედო! თედო! რა აზრი მოგდის, ეგ რა საფიქრებელი იყო! — საყვედურის კილოთი მითხრა თამრომ. — შენი ნახვაც რომ მეწყინოს, მაშ ვიღას ნახვა გამეხარდეს! განა აგრე მიცნობ? იქნება შენ ტყუილი გეგონოს, ეგ შენი ნებაა, მაგრამ მე კი უნდა გითხრა, რომ ჩემ გულში, ცამეტის წლიდან, როცა პირველად გნახე, მარტო შენ იყავ ჩემი სალოცავი...

— მჯერა, მჯერა, ჩემო თამრო, — გავაწყვეტინე ლაპარაკი, — და ვხედავ კიდეც, რომ აგრეა. განა შენი სახე და საქციელი ნათლად არ მიმტკიცებს, რომ ეგ სიტყვა მართალია?

რომელი თავხედი ქალი გადაეხვევა კაცს, თუ განუსაზღვრელად არ უყვარს?

— მართალია, გჯერა, მაგრამ მე იმისთვის უფრო...

— თამრო! — გავაწყვეტინე კიდევ ლაპარაკი, — დავანებოთ თავი მაგას. ორივე ცხადათ ვხედავთ და ვგრძნობთ, რომ გვიყვარს ერთმანეთი, რომ უერთმანეთოდ ვერ გავძლებთ და რომ ძნელია ჩვენი დაშორება, განცალკევება. მაშ რაღა გვიშვილს? დავიწეროთ ჯვარი და ისე ვიცხოვროთ.

თამარ გაჩუმდა — მისდიოდა და მოსდიოდა ფერი.

— თამარ, რატომ არას იტყვი, ხომ თანახმა ხარ? — დავუჭირე ორივე ხელი და ისე შევცქეროდი თვალებში. იმან მაინც ხმა არ გამცა. სულ ჰკანკალებდა და ცივ ოფლს ასხამდა ხელპირზედ.

— რა გემართება, რათა ჰკანკალებ? მითხარ, მითხარ, ნუ გაჩუმებულხარ!

თამარ მივიზიდე ჩემკენ და მაგრად ჩავიკარ გულში.

— ვაი, მე უბედურს! რატომ ამ ორის წლის წინად არ მითხარი ეგა, რომ ბედნიერები ვყოფილიყავით... ეხლა გვიანღაა.

— როგორ? — ტყვიასავით მეცა გულში იმისი პასუხი. — განა თანახმა არა ხარ?

— არა!

— იქნება, დედამ ნება არ მოგცეს? სად არის დედა-შენი? — მაშინ-ღა მომაგონდა იმისი დედა.

— არც ეგ არის. დედა-ჩემს არ დავეკითხებოდი ჩემის ბედნიერების შესახებ.

— მონაზნობის აღთქმა ხომ არ დასდე? სწორედ ასე იქნება, რადგანაც...

— არა! არც ეგ არის. ვერას გეტყვი „არას“ მეტსა, რაც უნდა მკითხო.

— „არას“ მეტს ვერას მეტყვი?!. მაშ სვენად გადავიქცევი და ხმას არ ამოვიღებ, მაგრამ ერთ რასმე კიდევ გკითხავ და იმაზე-კი „არას“ ვერ მეტყვი. მითხარ, რა არის მიზეზი, რომ „არას“ მეუბნები?

თამარ გაფითრებული იდგა და ძლივს-ღა ჰსუნთქავდა. იმისი სახე, ხან შეიკუმუხნებოდა და ხან გაიწლებოდა. მეც ვიდექ გა-

ჩუმებული და ათასნაირი ფიქრი მეხატებოდა თავში და მიკიდებდა ცეცხლს. ბოლოს თამარმა შემომხედა და გაშტერებით დამიწყო ცქერა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. თუმცა ცდილობდა შეეკავებინა ცრემლი, მაგრამ ვეღარ მოახერხა, ღაპა-ღუპით გადმოჰყარა ცრემლები. ერუანტელმა დამიარა ტანში და მეც გული ამიჩუყდა.

— თამარ, რატომ არ მეტყვი, რა გტანჯავს? რა არის შენის ცრემლების მიზეზი? მითხარ, ნუღარ მტანჯავ?! — ვეხვეწებოდი გულამომჯდარი.

— თედო! — წამოიძახა ბოლოს ცრემლის ყლაპვით თამრომ და ყელზედ ჩამომეკიდა. — თედო, გეხვეწები, ნურას მათქმევინებ და ამაზედ მეტად ნუღარ დამტანჯავ! შემიბრალე, გევედრები!.. — მეუბნებოდა ტირილით თამრო და აპნევდა თან მდუღარებას.

— ლამის არის, გავგიჟდე, ვეღარა გამიგია-რა!.. — ვწუწუნებდი მეცა და, ჩემდაუნებურად, მცვიოდა ცრემლები.

— შენ გენაცვალე, შემიბრალე! შენს მეტი ქვეყანაზედ გულშემატკივარი არავინა მყავს. ამ უკანასკნელ ორ წელიწადს ის იყო ჩემი სანატრელი, რომ შენ მენახე და სიყვარულით გამოგთხოვებოდი. ამ ნატვრამ გადამარჩინა დღემდე ცოცხალი, თორემ ეხლა ჩემ ძვლებსაც ვერა ნახავდი. აი, ეხლა ამისრულდა ნატვრა, ბედნიერი ვარ და ამ უკანასკნელ წამის სიამოვნებას ნუღარ მომიწამლავ. დეე, მქონდეს ამ უკანასკნელ დროს სანუგეშოთ, რომ ქვეყანაზედ მოიპოვება ისეთი კაცი, რომელსაც ვუყვარვარ და ვებრალები. თუ ჩემი სიყვარულის ნაპერწკალი, ოდნავაც არის, კიდევ გიღვივის გულში, ნურას მათქმევინებ, თორემ შენც შეგძულდები, შენც ხელსა მკრავ, და მაშინ ხომ მე... მე... ოჰ, თედო, ნუ წამართმევ ამ უკანასკნელ ნუგეშს!

ის უფრო მომეკრა.

უფრო მოუმატა ქვითინს და ცრემლების ფრქვევას.

— თამარ! მაკვირვებს შენი ქცევა და თანაც მაშინებს. ვგრძნობ, რომ რაღაც შესაზარი რამ უნდა მოვისმინო.

— კიდეც ამიტომ გეხვეწები, ნუღარას მკითხავ-მეთქი, ჩემო კარგო!

უცნაურმა ცნობის-მოყვარეობამ ამიტაცა და იმისმა მდუღარე ცრემლებმა ვერ შეჰკვეცა ფრთა ამ ჩემს გახელებულ სურვილს თამარის საიდუმლოს გაგებისას. მე მაინც ჩავაცივდი და რაკი შევატყე, რომ არაფრის თქმა არ უნდოდა, ვკარი ხელი და წამოსვლა დავაპირე.

— თედო! — შეჰღრიალა შესაზარის ხმით: — შემიბრალე, ნუ მიხვალ, გეტყვი ყველაფერს!

თამარმა გიჟივით მომხვია ხელები და შემაყენა.

— ოჰ, რატომ მიწა არ გასქდება და შიგ არ ჩამიტანს მე საცოდავს! რატომ მეხი არ დამეცემა და სიცოცხლეს არ მომისპობს, რომ აღარ შემეძლოს იმის თქმა, რის გაგებაც შენა გსურს!

— თამარ, დამშვიდდი და ისე მიამბე, რა მოხდა, რა იყო ისეთი!

— მაშ ყური დამიგდე: მე დედ-მამა არა მყავს...

— როგორ, განა დედაც მოგიკვდა და ეხლა მარტო ხარ?

— არა, მე ისევ იმასთანა ვარ, ვისთანაც ვიყავი, მაგრამ ის ჩემი მშობელი დედა არ არის.

— სჩანს, მაშ, მაგიტომ გექცეოდა ისე ცუდათ!.. მაშ, ვინ იყვნენ შენი მშობლები, ვინ ჩაგაგდო მაგ ტარტაროზის ხელში და ვინ გახდა შენი მოვალე?

— ვინ იყვნენ ჩემი მშობლები? ეგ არც მე ვიცი. არ ვიცი, რა გვარისა ვარ, რა სჯულისა: ქართველი, რუსი, თუ ვინ. უფრო ქართველი უნდა ვიყო, რადგანაც თამარი დაურქმევიათ სახელად. მე... მე... ნაბუშარი ვარ!..

— ნაბუშარი?!

— ნაბუშარი. იქნება მე პირველად დავებადე ჩემს მშობლებს, დავებადე პირველსავე სიყვარულის ნაყოფად! ვინ იცის, რა სიტკბოებითა და სიხარულით ეხვეოდნენ ერთმანეთს ისინი პირველში, მაგრამ ბოლოს გაუმწარდებოდათ ის სიხარული, როცა მე დამინახავდნენ. ღმერთო, ნეტა რად არის ესე მწარე ნაყოფი სიყვარულისა, რომ გავჩნდი თუ არა, როგორც უხმარი ნივთი, ისე მომიშორეს თავიდან? ზედაც, თურმე, ასეთი ქაღალდის ნახევი დამაგდეს: „მოუნათლავია. სახელად თამარი დაარქვითო“. ჩემის ვინაობისა მეტი არა ვიცი-რა.

— ნაბუშარი!.. ნაბუშარი!.. თამარი ნაბუშარია!.. — ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ვისროდი მე ამ სიტყვებს.

— თამარ, არა მჯერა, რომ შენ ნაბუშარი იყო! რომელი ნადირი გადაგაგდებდა, რომელი?..

— შეგაშინა ამ სახელმა?! ეხლა ხომ ხედავ, რადაც ვუარობდი ჩემის თავ-გარდასავალის თქმას?

— შემაშინა?! ჰმ!.. ჩემო თამარ, მე ეგ ვერ შემაშინებს. კიდეეაც გიმეორებ: წამოდი, წავიდეთ და ჯვარი დავიწეროთ.

— ნუ ჩქარობ, ჩემო ნუგეშო, ჯერ არ გამითავებია ჩემი ამბავი.

— მიამბე, მიამბე.

— ხომ კარგათ იცი ნაბუშრების გარემოება? მაწოვარ დედაკაცებს ურიგებენ და გამოსაკვებ ფულს თვიურად აძლევენ, ვიდრე შვიდის წლისა არ გახდება. მე ბედმა ეგ მარგუნა, რომელსაც შენ ტარტაროზი უწოდე; შვიდის წლისა რომ გავხდი, მოვიდნენ ჩემს წასაყვანათ, მაგრამ მაგან აღარ დამანება და შვილად ამიყვანა. მაშინ გავიგე ჩემი ვინაობა და მას აქეთ სიცოცხლე მოვიძაგე და ქვეყანა შემძაგდა. ოჰ, რატომ რამემ არ გამსრისა, რატომ სული არ ამომხდა, როცა ჩვრებში გახვეული გარედ ვეგდე?! რისთვის მიპოვეს ცოცხალი, ან რისთვის გამომზარდეს!..

თამარი გაჩუმდა. ჩაჰკიდა თავი, რამდენსამე ხანს ასე იყო. მეც ვიჯექ გაჩუმებული და თვალს ვადევნებდი მისი სახის ცვლილებას.

III

— რაც თავი შემისწავლია, — დაიწყო ისევ თამარმა, — ერთი დღე კარგი არ მახსოვს, თუ იმ დღეს გამოვაკლებთ, რა დღესაც პირველად შენ გნახე და გამომემშვიდობე. ოჰ, თედო, არ ვიცი, როგორ გამოვსთქვა ის სიამოვნება, რომელიც მე ვიგრძენი მაშინ, როცა ხელზედ მინდოდა მეკოცნა და მის მაგიერ შენ პირზე მაკოცე! მაშინ მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა. ვიგრძენ, რომ მეც ადამიანი ვიყავ, აღარავის ვეჯავრებოდი. ყველა შემირიგდა, ყველამ დაივიწყა ჩემი ვინაობა. იმ კოცნას ეხ-

ლაცა ვგრძნობ, მაგრამ ჩემი სიხარული ნაადრევი იყო. ამ დღესვე მაგრძნობინეს მეზობლებმა, ვინც ვიყავ და რაც ვიყავ. ისევ მალე ამიგდეს მასხარად, ისევ მალე დამჩაგრეს და კვლავ შემაძულეს ადამიანი. კაცის დანახვა კვლავ გულს მიკლავდა; იმის სიხარული და სიამოვნება ჩემთვის ვაება იყო. ტარტაროზი ჯერ-კი კარგათ მექცეოდა, ექვსი თვის განმავლობაში ხმას არა მცემდა. როცა-კი ცემას დამიპირებდა, მაშინვე შენ გახსენებდი და ისიც მიყუჩდებოდა ხოლმე, მოიბუზებოდა და ტკბილად დამიწყებდა ლაპარაკს. იმ ექვს თვეს შენი შიში ვერ მოიშორა იმან თავიდან. ერთხელ გველივით შემომიჩნდა და მათქმევინა, რომ შენ სოფელში წახვედი. ისიც-კი ვუთხარ, რომ იმის სოფლის სახელი არ ვიცი-მეთქი. ამის თქმა და ჩემი მიბეგვა ერთი იყო. მომდგა მაშინვე და რაც ექვს თვეს დამაკლო, სულ ერთად შემისრულა. გიძახდი, გნატრობდი, მაგრამ შენ არსად სჩანდი, მეზობლებს ვეხვეწებოდი, მაგრამ ვერავინ ბედავდა გამოქომაგებას. ამ ცემის შემდეგ დაიწყო კვლავ ჩემი გამუდმებული ტანჯვა. სამ წელიწადს გასტანა ასეთმა ცხოვრებამ. სამის წლის შემდეგ შევსრულდი თექვსმეტის წლისა და მას უკან ხომ სულ უკუღმართად დატრიალდა ჩემი ბედი.

— საწყალო თამარ, — ვუთხარი მე შებრალებით, — რანაირად გიტანჯნია, რამდენი ვაება გამოგივლია! მე კი ერთხელაც არ ვიკითხე შენი ამბავი.

— ყოველ დღე მოგელოდი. ბევრჯელ თავის მოკვლა დავაპირე, მაგრამ მაშინვე შენი სახე წარმომიდგებოდა თვალ-წინ და თავს შევიმაგრებდი ხოლმე, ამოვიღებდი შენს მოცემულს ცხვირსახოცს და ამაზედ ვიკლავდი შენს სიყვარულის ჟინს. ის ცხვირსახოცი გვერდიდან არ მომიშორებია; დღეცა და ღამეც თანა მაქვს.

ამ სიტყვებთან ერთად ამოიღო უბიდან ცხვირსახოცი და მაჩვენა:

— აი, ხომ ეს არის?

— თამარ, თამარ!.. — გიჟივით მოვხვიე ხელები და ჩაეიკარ გულში. — თამარ, ღირსი არა ვარ შენის სიყვარულისა. მაპატივე!

— მაგას ნუღარ მეტყვი, — საყვედურით მითხრა თამარ-

მა: — მე ვიცი, ვინ ვისი სიყვარულის ღირსი არ არის და შენც ჩქარა დაგიმტკიცებ ამას.

ქალი ადგა და ჭიქაში რაღაც ფხვნილი გახსნა, რომელიც შემდეგ გვერდით მოიდგა.

— ეგ რა არის, თამარ? — ვკითხე, როცა ისევ გვერდით მომიჯდა.

— გულის დასამშვიდებელი წამალია.

— მერე რად გინდა?

იქნება ძალიან ავღელდე და ეს დამიმშვიდებს გულს.

— ისე რამ უნდა აგაღელვოს, რომ წამალი დაგჭირდეს?

— ეხლავ მოისმენ, ჩემო თედო... რაზე დავდექი?!. ჰო, თექვსმეტის წლისა რომ შევსრულდი, სულ სხვანაირად შეიცვალა ჩემი ცხოვრება. ტარტაროზი ალერსით მექცეოდა, წყალზედაც აღარ მგზავნიდა. მიკვირდა, ვერ მიმხვდარიყავ, რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ასეთის დატკბობისა. შემდეგ-კი მივხვდი. ერთ დღეს მომიჯდა გვერდით და კოცნა დამიწყო. მეზიზღებოდა ასეთი ალერსი ომისი, მაგრამ ვერა მოვახერხე-რა. „შვილო, — მითხრა ბოლოს: — არ იცი, ჩვენი წუთი-სოფელი როგორია და ქალმა როგორ უნდა იცხოვროს!“ — რას მეუბნები, ვერ მიმხვდარვარ-მეთქი, — დავეკითხე მე. ვითომდა არ ვიცოდი... „შენ სხვა კუდიანი ხარ, ყველაფერი იცი!“ — ღიმილით მითხრა. მერე... ოჰ, რატომ მაშინვე თავი არ მოვიკალ. დამიწყო რჩევა: ასე და ასე უნდა მოიქცე, თუ გინდა, რომ რიგიანათ იცხოვრო, კარგი გეცვას, კარგი გეხუროსო. ამ ლაპარაკის გაგონებაზე სულ ცეცხლი მომეკიდა, სირცხვილმა დამწვა, გონდაკარგული წამოვხტი და გარეთ გამოვვარდი.

— ის ქოფაკი, ის ტარტაროზი ისა! მოსაკლავია ჩემის ხელით!

— საღამომდის შინ არ შემოვსულვარ, — განაგრძო თამარმა: — არ მინდოდა დაბრუნება, მაგრამ სად წავიდოდი, ვის მივადგებოდი კარს? შენი სოფლის სახელი რომ მცოდნოდა, იქნება შენთან მოვსულიყავ. ბევრი ვიტირე, ბევრი თავში ვიეც, ბევრჯელ გახსენე, მაგრამ ამან არა მიშველა-რა. მერე მომივიდა ფიქრად უკანვე დაბრუნება, ხოლო დროებით, ვიდრე მოვიკითხავდი სადმე მოახლის ადგილს. მივედი შინ. კარგა

შებინდებული იყო. იმას ჩემთვის ხმა არ გაუცია. გავიდა რამდენიმე კვირა. ადგილი ვერსად ვერ ვიშოვე, თუმცა-კი დამპირდნენ. ტარტაროზი აღარას მეუბნებოდა. თითქოს დარცხვენითაც მელაპარაკებოდა. მე მეგონა, შეინანია თავისი საქციელი და ამის შემდეგ ვეღარას გამიბედავს-მეთქი. მართლაც აღარა უხსენებია-რა. თავის ბოროტების შესასრულებლად თურმე სხვა გზა ამოერჩია. ერთ ღამეს ძილში ტუტუნი შემომესმა. გავახილე თვალები და რა დავინახე?.. ჩემს ლოგინთან იდგნენ ტარტაროზი და ვიღაც ორი კაცი. „ვინა ხართ, რა გინდათ-მეთქი!“ წამოვიყვირე მაშინვე. „ვინ უნდა ვიყვნეთ, ადამიანები ვართო“, მიპასუხა ერთმა კაცმა უსირცხვილოდ. „ადამიანები-კი არა, ეშმაკები ხართ! აქედან დაიღუპენით, თორემ!..“ „თორემ რაო?“ მიპასუხა ისევ იმან. „შენ გაზდას, ნუ სცხარობ, ჯერ გაიგე, რა თუმნიანები დავუთვალეთ დედა-შენსა და“... „ოჰ, შე ქოფაკო შენა!..“ წამოვხტი ლოგინიდან და ყელში წავუჭირე ტარტაროზს, მაგრამ ჩქარა გამაგდებინეს ხელიდან. ახლა ამ კაცებს დავუწყე კბენა, ფხაჭვნა, კაწვრა სახისა, დავიწყე ღრიალი, მაგრამ... ოჰ, აღარ შემიძლიან მეტი!.. — მიიფარა ხელები პირზე და ქვითინი ამოუშვა.

— მერე, მერე?! — შევღრიალე და ხელები პირიდგან ჩამოვაცალე.

— მერე?.. ამიხვიეს პირი, რომ აღარ მეყვირნა, გამიკრეს ხელები, შემკრეს მაგრა და... ვაი!.. მომკალ, ნუღარ მაცოცხლებ!.. ხომ ხედავ, მე სიცოცხლის ღირსი აღარა ვარ... აქნობამდისაც მოვიკლავდი თავს... მაგრამ შენის ნახვის სურვილმა გადამარჩინა ცოცხალი.

თამარი მომვარდა და მეხვეოდა.

თვალი დამიბნელდა, სული მიგუბდებოდა, სიტყვის თქმას ვეღარ ვახერხებდი. თითქოს თავში დამკრეს რამეო, ისე დავრეტიანდი და თავს ვეღარ ვიმაგრებდი.

— თედო, თედო, რა გემართება? გონს მოდი!.. — ტირილით მეხვეოდა თამარი...

— შორს, შორს! შეე... მაგის შემდეგ, ცოცხალი როგორღა ხარ?!. რატომ თავი არ მოიკალ?.. ღმერთო!

— შენ ნახვას ველოდი!...

— ჩემსას?! ეხლა ხომ გნახე! ენა რატომ მუცელში არ ჩაგივარდა, რატომ სული არ ამოგხდა, ვიდრე მაგას მეტყოდი!..

— ვაი, მე უბედურს!.. მშვიდობით!.. მშვიდობით!..

თამარმა წამოავლო ჭიქას ხელი და უეცრად დალია ჭიქაში მომზადებული გახსნილი ფხვნილი.

— ჰო, გინდა დამშვიდდე?!. ღმერთო!.. სად არის შენი საბართალი?!.

ვიტაცე თმაში ხელი და ტახტზე დავეშვი. ისე წამერთვა ღონე, რომ მუხლები მეკეცებოდა.

— მიშველეთ!.. — ამოვილუღლუღე ძლივს.

— თედო, წყალი დალიე! აჰა! ეს მომივიდა და რა ღმერთი გამიწყრა, რომ გიამბე ყველაფერი! — მეხვეოდა ტირილით თამარი.

წყალი დავლიე და იმან ცოტათი დამამშვიდა. თავბრუმ სულ გამიარა.

— მადლობელი ვარ, ჩემო თამარ, რომ წყალი დამალევინე. ოჰ, რა მომივიდა?!.. თამარ, წამო ჩქარა, წამოდი, წავიდეთ აქედგან, თორემ დავიხრჩობით ორივენი.

— თედო, შენ მეუბნები მაგას? მაშ არ შეგძულდი?!. მაშ ისევ გიყვარვარ?! — სიხარულით მეუბნებოდა.

— ჩაიცვი დროით, ნუღარ აგვიანებ! — ვაჩქარებდი მე თამროს.

— ეხლავ!

თამრო საჩქაროდ მივარდა სკივრს, ამოშალა, ამოწეწა და მიჰკრა-მოჰკრა თავისი საცვლები ბოხჩაში. ბოლოს ჩაიცვა ტანთ და ბოხჩიანი, სიხარულით ისევ მე მომვარდა.

— წავიდეთ, წავიდეთ, თედო! ოჰ, ღმერთო, განა მოვიფიქრებდი ასეთ ბედნიერებას!

მე ხელი ჩავავლე და კარებისკენ გამოვეშურე, მაგრამ თამრო უეცრივ შედგა, გაფითრდა და წამოიყვირა:

— ვაიმე!

— რა მოგივიდა, ეგრე რამ გაგაფითრა ან რათ შეჰყვირე?!

— მე... მე... თედო!.. ოჰ, რა ჩქარა იმოქმედა ამ წყეულმა!...

თამროს ტანი სულ ერთიანად უკანკალებდა. ფერი დაეკარ-

გა და ცივმა ოფლმა დაასხა პირის სახეზე. ბოხჩა ხელიდან გავარდა და ბარბაცი დაიწყო.

— მიშველე!.. სული მეხუთება... წყალი!..

— მითხარ, მითხარ, რა მოგივიდა? — ვეკითხებოდი თვალებდაჭყეტილი და გონზე ვეღარ მოვედი.

თამრო დავსვი სკამზედ და საჩქაროდ წყალი შევურბენინე.

— ოჰ!.. — დამშვიდებით ამოიოხრა თამარმა, როცა წყალი დალია, — თედო! იცოცხლე დიდხანს, იყავ კარგათ, სიხარულით დაბერდი. მე-კი გამომემშვიდობე... ვკვდები... ბედმა არ მაღირსა შენის სიყვარულით დავმტკბარიყავ... — თვალ-ცრემლიანი მეუბნებოდა თამრო და თან გული უკვდებოდა.

მე-კი ენა აღარ მემორჩილებოდა, ნერწყვი გამიშრა და გაშტერებული ვიდექი. ვერ მომეფიქრებინა, ასე უეცრივ რა მოუვიდა.

— თედო!.. — განაგრძო კვლავ თამრომ: — ვერა ხედავ, დასამშვიდებელმა წამალმა როგორ გასჭრა... ის... ის საწამლავი იყო...

— საწამლავი?! ექიმი! — შევყვირე მე.

— რა ვიცოდი მე უბედურმა, თუ კიდევ გულს მოიბრუნებდი ჩემზე იმ ამბის შემდეგ, რაც გიამბე... შენის სიყვარულის დამკარგველს სიცოცხლე რაღათ მინდოდა... ამიტომ დავლიე.

— თამარ... საყვარელო თამარ!.. — მხეცივით მივვარდი და დაუწყე ხვევნა ძალზე მისუსტებულს თამარს.

— თედო, მიშველე!.. სიკვდილი აღარ მინდა, თავი მენანება... ვაიმე!.. გულ-მუცელი მეწვის, ცეცხლი მეკიდება!..

— ექიმი, ექიმი! — საშინლად ვღრიალებდი ოთახში ჭკუაშეშლილივით, ამოდენა ღრიალზე ძე ხორციელი არსად გაჩნდა და ზედ არავინ შემოგვხედა.

— ექიმი, ექიმი!.. — გამოვვარდი გარედ ყვირილით.

— ნურსად მიხვალ!.. — მომესმა თამარის ხმა.

მაგრამ მე იმისათვის ყური აღარ მიგდია და ერთ წუთას ქუჩაში გავჩნდი. სწორედ გიჟსა ვგავდი იმ დროს, და ვინ იცის, რამდენი ცნობის-მოყვარეობით და გაკვირვებით შესდგა და ცქერა დამიწყო, როცა მე თავშიშველა, თმა-გაწეწილი

ეტლში ვიჯექი, ვიჯექ-კი არა, ვიდექი მეეტლეზე გადაყრდნობილი, რომელსაც ხელიდან მათრახი წავგლიჯე და ცხენებს ვერეკებოდი ყვირილით: „ჩქარა, ექიმთან, ექიმთან-მეთქი!..“ ყოველი წუთი ჩემთვის საუკუნეთ გარდაიქცა...

როგორც იყო ექიმი ვიპოვე...

ექიმთან ერთად გულის კანკალით მივუახლოვდი ოთახის კარებს; ოთახიდან დედა-კაცების ხმა მომესმა. თმა მაღლა წამივიდა, მეგონა, ვაი თუ თამრო გათავდა კიდევაც-მეთქი.

— ერთხელ კიდევ დამანახვეთ!... — მომესმა დედა-კაცების ღრიანცელში თამარის მისუსტებული ხმა.

სიხარულმა ამიტაცა და წამოვიყვირე: „ცოცხალია-მეთქი“. ექიმი და მე ერთად შევედით ოთახში.

თამარი ბალიშზე იყო გადასვენებული, იმისი გრძელი და სქელი თმა გადაშლილიყო ზედ და მთელს ბალიშს ჰფარავდა თითქოს სურათის ფონიაო. ამ შავ ფონს შუა თამარის მთლად მიმქრალი თვალები და მილულული სახე გამოიცქირებოდა. ტუჩები სისხლისაგან ჭიაფერივით ჰქონდა შეღებილი. მარტო ტუჩების სიწითლე და აჩქარებული სუნთქვა-ღა ამტკიცებდა, რომ ჩემ წინ ცოცხალი ადამიანი იყო და არა სურათი.

ჩვენს შესვლაზე ყველანი გაჩუმდნენ. ჩამოვარდა მდუმარება. თამარმა თვალები ძლივს გაახილა, მძიმედ გადახედა ყველას და უგონოდ იცქირებოდა აქეთ-იქით. ხელი მაღლა აიღო და ისევ ტახტზე დაუშვა, თითქოს მოწყვეტილი აქვსო. ხელში აბრეშუმის ხელსახოცი ეჭირა.

— ოჰ, თედო, მო... — სიტყვა ვეღარ დაათავა და მიხუჭა თვალები.

— თამარ!... — მივიწიე იმისკენ, მაგრამ მკურნალმა ხელი დამიჭირა და შემაყენა.

— მოიცადეთ! — მითხრა მკურნალმა და თვითონ მივიდა. ალბათ თამარმა ჩემი ხმა იცნო, რომ ესე უეცრივ თვალები გაახილა და წამოიწია.

— ჰა, აქა ხარ?!.

— დამშვიდდი, ქალო, ნუ მღელვარებ! — უთხრა მკურნალმა და მოჰკიდა ხელი.

— ვინა ხარ?..

— მკურნალი ვარ, ნუ გეშინიან!

— მკურნალი?! მე აღარა მომარჩენს-რა... ტყუილათ ნუ... ოჰ!..

ექიმმა გასინჯა და მითხრა:

— საშველი აღარ არის.

— ნუთუ აღარ ეშველება-რა... ბატონო მკურნალო, ნუ მომიკლავთ ჩემს თამარს, გევედრებით, უშველეთ რამე!.. — შევყვირე მე.

— ნუ ჰყვირით, ქალს შეეშინდება! — მითხრა ჩუმად მკურნალმა.

— თედო, აქა ხარ?.. მოდი!..

თამრომ წამოიწია და ორივე ხელი გამომიწოდა.

— თამარ, ჩემო სიცოცხლე! — მივვარდი თამარს და მოვეხვიე.

— თედო... მიხარიან, რო... შენს ხელში... ვაი... მითხარი, რო... გიყვა...

— თამარ, მიყვარხარ!..

— მშვი...დობით.

— თამარ, თამარ!.. — ჩავსძახოდი მე, მაგრამ ქალი ხმას აღარ იღებდა.

1891 წ.

„მოგილოცნია ახალიწელი!..“

(ფსიქოლოგიური ეტიუდი)

„ხვალ ახალი წელიწადია!..“ — წამოიძახა მთლად ჩამოგ-ხმარმა და წელში ორად მოხრილმა დედაბერმა, რომელიც ჩულის ნაგლეჯებზე მიგდებულიყო სარდაფის პატარა ნესტიან ოთახის ერთ კუნჭულში და ზევიდან ისეთივე ჩულის ნაგლეჯი წაეხურა...

„ახალი წელიწადია!“ — სიცივისაგან აკანკალებულის ხმით და თავის კანტურით გაიმეორა და მორღვეული თვალები გამურულ, გვერდით მდგომ ლამპრის შუშას მიაპყრო, რომელიც ისე ბჟუტავდა, როგორც იმისი თვალები.

ვერც ერთი მათგანი ერთი მეორეს ვერ ეტყოდა: „არა, მე შენზე უკეთ ვანათებ, არა მეო“. ორივეს ერთგვარად გამოლეოდათ სინათლე და ერთმანეთის ტანჯვის ძალა-უნებური მოწმენი იყვნენ.

დედაბერს ტანჯვისაგან მთლად ჩანაოჭებული სახე ხან გაეშლებოდა ოდნავ და ხან უფრო ჩაენაოჭებოდა; ლამპარი კი წრიპინებდა და უფრო მურავდა შუშას.

— ღმერთო, ძილი მაინც მომგვარე! — წამოიძახა კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ დედაბერმა და თვალები ვედრების ნიშნად ჭერს მიაპყრო.

— რა დაგიშავე ისეთი, — განაგრძო მან. — რო ამ მდგომარეობამდის მიმაღწევინე?!. ერთად-ერთი ცხოვრების სახსარიც, მოძრაობა, რითაც თავს ვირჩენდი, მომისპე ამ უკანასკნელს დროს. შემეძლო სიარული და ნაგავში კონკებსა და ჩვრებს ვაგროვებდი, შემდეგ ვყიდდი და მის ნაფასურით თავს ვირჩენდი. ეხლა?! მოძრაობაც მომისპე და დამაგდე ისე... ჰა დასტკბი, დასტკბი ჩემის ტანჯვით!.. ამაზე მეტს რაღას მი-

ზამ?! — წამოიღრიალა მან და ხელები მაღლა აიწოდა, მაგრამ მაშინვე ჩამოუშვა, და ერთბაშად გაკვესებულმა თვალებმა ისევ ლმობიერად ბეუტვა დაიწყო.

— ღმერთო, მაპატივე, რომ ასე კადნიერად... არა, არა... პატივებას არა გთხოვ!.. — დაიღრიალა მოხუცმა და უეცრივ წამოჯდა. — უაღრესი ტანჯვაც რომ მომერგოს, რასაც აუცილებლივ მოველი, მაინც შენ აღარ მოგმართავ, არა... ამაზე კადნიერადაც რომ მოგიხსენიო, მაშინაც არა გთხოვ პატივებას! მე მუდამ შენგნით დევნილი ვიყავ: ბევრჯელ მოგმართე გულწრფელად, ბევრჯელ მოგაპყარ ცრემლიანი თვალები, მაგრამ შენგან ნუგეში ვერ მივიღე. ეხლა, როცა ჩემი დღენი დათვლილია, არ მინდა შენი შველა, უშენოდაც მოვკვდები...

— ოჰ, სანატრელო სიკვდილო, რაღას იგვიანებ?!. — გულის სიღრმიდან ამოსკდა ეს ნატვრა და თვალთ ცრემლები მოერია.

დიდხანს იჯდა და პირდაპირ კედელს გაშტერებით გასცქეროდა, თუმცა-კი ამ საგანს სრულებით ვერა ხედავდა. მის მაგივრად თვალებ წინ დაუხტოდნენ ბრჭყვიალა წერტილები, რომლებიც იმის თვალში ჩასახტომად ერთმანეთს ეცილებოდნენ.

თვალის სიღრმეში მოგროვილი ცრემლი ძლივს დარგვალდა და ქუთუთოებს წყვილად გადმოეკიდა. ცოტა ხანიც და ორი მსხვილი ცრემლის მარცვალი იმის ლოყებზე ჩამოეკიდა. თვალის კაკლები მოეწმინდა და გაუსინათდა; ბრჭყვიალა წერტილებიც უეცრივ მიიმალა, და პირდაპირმა, სინოტიოსაგან ჩაშავებულმა კედელმა ლამპრის ბუნდ შუქზედ რხევა დაიწყო...

— ღმერთო! — გულ-ჩაწყვეტით წამოიძახა დედაბერმა და თვალებზე ხელები მიიფარა; ისე აწვებოდა თვალებს, თითქოს სურდა თვალის კაკლები გაესრისნა, რომ იმით გამოწვეულ ტანჯვას სულიერი ტანჯვა გაექარვებინა, მაგრამ სულ ამაოდ, იმის სულისკვეთებას არა აკლდებოდა-რა.

— ჰმ... — თავის ქნევით მწარედ გაიღიმა დედაბერმა ღრმად ჩაფიქრების შემდეგ და სასოწარკვეთილებით ხელები მუხლებზე დაირტყა.

— ჩემის წარსული ცხოვრებისათვის მარგუნე ეს დღე?. — ღიმილითვე და თავის ქნევით დაიწყო მან: — ჩემი წარსული ცოდვად მიგაჩნია და იმისთვის მსჯი?.. მერე მე ვარ დამნაშავე?.. უმანკო, გამოუცდელ თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის უთვისტომო ქალს რა უნდა მომეგვარებინა?.. ყველას ენდობი, ყოველივე სიმართლედ მიგაჩნია, მაგრამ, თურმე ნუ იტყვი, ყოველივე შხამი ყოფილა და მათი მიკარება ადამიანს უწყალოდ სწამლავს. ჩემი გულწრფელი გრძნობა, ჩემი წმინდათა-წმინდა უსინიდისოდ შემილახეს, მიწასთან გამისწორეს, ტალახით შემითხუპნეს და, ვაი სათქმელადაც ძნელია, იქამდე მიმიყვანეს, რომ ჩემ ხორცს, ხორცს ყიდვა დავუწყე... დახელოვნებულ ვაჭარსავით, ვფლიდობდი, ვთვალთმაქცობდი: ვეხვეოდი იმას, ვინც მძაგდა, ვიცინოდი, ვხარხარებდი, დავხტოდი და დავფუნდრუკებდი მაშინ, როდესაც მეტირებოდა... განა ის ტანჯვა არ კმაროდა, რომ ეხლა ესეც არ დაგემატებინა?.. აჰა, შემომხედე, ორმოცდაათი წლის დედაკაცი რასა ვგევარ?.. ოთხმოცდაათის წლის დედაკაცივით დავუძლურებულვარ და მშიერ-მწყურვალს სული მერთმევა... ნუ თუ გგონია, ქუჩაში გავცურდები და ლუკმა პურისათვის ხელს ვისმე გავუწვდი?. არა, არა... მეყოფა ამდენი დამცირება! ხა, ხა, ხა... გავუწოდო ხელი იმათ, ვინც ამ დღემდე მიმიყვანა, გავუწოდო ხელი, რომ მოწყალება მოიღონ ჩემზე... კმარა, მე იმათ ხელს არ გავუწვდი, რომელთაც მსრისეს, მტანჯეს, ვიდრემდის ჩემი სახე ხიბლავდა, და ეხლა-კი, როგორც უხმარი ნივთი, ამ სოროში ჩამომიძახეს... არა, არა!.. — წამოიყვირა დედაკაცმა და უეცრივ ფეხზე წამოვარდა.

მამაცათ გაიმართა წელში, და თვალებმა საშინელი ელვარება დაუწყო.

ვინ იტყოდა, რომ ეს დაუძლურებული ადამიანიაო?

მან მაგრა დაიკრა მჯილი გულში, რომელმაც დაიგრიალა და სხაპა-სხუპით წამოიძახა:

— რატომ არ შემიძლიან, რომ ეხლა ყველა, ყველა გავსრისო, ჩემი დამცირებისათვის სამაგიერო მივუწყო?!. ნეტავი ეხლა მოვიგდო ვინმე ხელში, რომ ჩემის კბილებით დავ-

გლიჯო, დავფლითო და იმის ტანჯვით დავსტკბე, იმის ვაებაზე ვიკასკასო!..

ამ დროს ზევიდან ჩამოესმა ბრახა-ბრუხი და ხმაურობა. ცოტა ხნის შემდეგ მოესმა როიალის გრიალიც.

— ააა!.. — უცნაურის ხმით დაიღრიალა მან, და ტანი აუთრთოლდა.

— ااا!.. — კიდევ დაიღრიალა, შემდეგ კბილებით თავის გამხმარ ხელს დასწვდა და ერთი ლუკმა ხორცი ამოგლიჯა.

სისხლით შეთხუპნული სწორედ გამძვინვარებულ მხეცს ჰგვანდა.

— ახალი წელიწადი უკვე დადგა!.. ახალ წელს ეგებებიან! ერთმანეთს სიხარულით ულოცავენ!.. ჩემი მტანჯველნი მხიარულობენ!.. — მეტის-მეტი სიასპიტისაგან მიხრინწიანებულის ხმით ჰყვიროდა და გამალებული დარბოდა ოთახში იმ დროს, როდესაც როიალის გრიალი და ხმაურობა უფრო და უფრო მკაფიოდ მოისმოდა.

— იმათ უნდა იმხიარულონ?! არა, მაგ მხიარულებას ვაებად გადაგიგცევთ, თქვე მტარვალნო!.. — წამოიძახა ბოლოს და ლამპარს ხელი დაავლო.

დედაკაცი გიჟივით ეზოში გავარდა და საჩქაროდ ნავთი მიასხ-მოასხა იმ კარებთან და ფანჯრებთან, საიდგანაც მხიარულების ხმაურობა მოისმოდა. სულ არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ ცეცხლი გაჩაღდა და მთელი ეზო გაასინათა.

სახლში უეცრივ როიალის გრიალი და ხმაურობა შესწყდა. ყველანი გაელვარებულ ფანჯრებს მოაწყდნენ და გულ-დახეთქილებმა ყვირილი მორთეს.

— ხა, ხა, ხა!.. მომილოცნია ახალი წელი!..

ხარხარით შესძახა ამ დროს დედაბერმა სარკმლიდან და გაძლიერებულ ცეცხლს შეუერთდა.

13 დეკემბერს 92 წ.

„ჩემო შვინდავ!“

(სურათი)

I

ღამის სიბნელეს ერთი ალიაქოთი შეუდგა და შიშისაგან ტუჩისფერი დაჰკარგა, როცა დღის ნათელს თვალი შეასწრო. სიბნელე ჰგმინავდა, ფორთხიალობდა, ებრძოდა სინათლეს, მაგრამ ვერას გამხდარიყო. სასოწარკვეთილებით მიმართა თავის დარაჯ-ვარსკვლავებს და საშველად იხმობდა. მაგრამ ისინიც შიშისაგან სადღაც მიმალულიყვნენ და თავის დედის— სიბნელის მომაკვდავი ხმა არ ესმოდათ. მარტო შორს, სადღაც ცის კიდეს, გამოჩნდა ამ ხმაზე ერთი დარაჯი, მალვით გამოაბეჟუტა თვალები და, თავისი დედა — სიბნელე მთლად ნაცრისფრად ქცეული რომ დაინახა, ნაღვლიანად ჩაიქნია თავი და ისევ მიიმალა.

დარაჯთ ამნაირ სამარცხვინო საქციელისთვის ხმელეთიდან ფრინველთ ყიჟინა დასცეს და სინათლეს-კი „ვაშა, ვაშა“-ს შესძახოდნენ. ტოროლა მაშინვე წამოვარდა თავის ბინიდან და სიხარულით გაეშურა ცისკენ სინათლის მისაგებებლად...

ჯერ ისევ ნორჩმა, ხავსივით მწვანე ბალახმა ღამის სიბნელისაგან მოხრილი წელი აიმართა და ღიმილით შეხედა სინათლეს, რომელიც ალერსით დასცქეროდა ზემოდან. აგერ, ახლად გაფურჩქვნილმა ვარდმაც მორცხვად და კეკლუცად დაუწყო მზერა სინათლეს, ვითომდა ყურს არ უგდებსო ბულბულის გულსაკლავ სტვენას, რომელიც, აგერ რამდენი ხანია, სასოწარკვეთილებით დაკვნესის და ეტრფიალება. საწყალი ვარდი მთლად დამთვრალია ბულბულის ალერსით. მაგრამ

რა ქნას, როცა მეტის-მეტი მორცხვი და კრძალული არსებაა და ვერ გამოუთქვამს ბულბულისთვის თავისი გრძნობა! აგერ, როგორ გაწითლებულა გულის-თქმით და ალმური ასდის... ბულბული კი ვერ მიმხვდარა ამას და, ვარდის ამ გაათკეცებული სიმშვენიერით დამწვარი, უფრო გულსაკლავს ხმებს დაჰკვნესის და სტვენს, თითქოს გული უნდა ამოიგლიჯოს და ვარდს ესროლოს, რომ, ამით მაინც არის, დაიმსახუროს მისი ყურადღებაო.

ძირს, ხმელეთს ფრინველთ უკანასკნელად კიდევ დასცეს სიბნელეს ყიჟინა, სინათლეს გამარჯვება მიულოცეს და საზრდოს საძებნელად გაემგზავრნენ სხვადასხვა მხარეს. ყვინჩილამაც მიბაძა სხვა ფრინველთ, ფრთხიალით გადმოეშვა ძირს ხის ტოტიდან და იქვე ნაგვის გროვას რუკ-რუკით ქექა დაუწყო და ეძახდა თავისთან დედლებსა და ვარიებს, რომელთაც დიდხანს არ ალოდინეს და ნაგვის ქექით მხარში ამოუდგნენ.

ქათმებთან ერთად სოსოს დედაც წამოდგა, საჩქაროდ დაგავა სახლი და დერეფანი. ნაგავს კიდევ ახალი ნაგავი მიუმატა და ამით ყვინჩილა და იმისი ჯალაბობა ძალიან გაახარა. სოსო კი დილის ძილში იყო და ტკბილად ხვრინავდა დერეფანში. დედა მივიდა, უნდოდა გამოეღვიძებინა, მაგრამ შენანდა თავისი შვილი, ისევ თავი დაანება და, საწველელით ხელში, ხბო გამოუშვა; ხბომ მაშინვე შებღავლა და ხტუნაობით თავის დედისკენ გაეშურა, რომელიც მხიარულად მიეგება და ზმუილით ლოკვა დაუწყო. ხბო თავის პატარა თავს ცურზე უსვამდა და თან ხან ერთს ძუძუს ჩაიდებდა პირში და ხან მეორეს. სოსოს დედაც საწველელით იქვე იდგა და ხბოს შველოდა ძუძუების მორიგებას.

— ჯერ ეს გეყოფა, ჩემო ფუჩინავ! — სთქვა სოსოს დედამ და ხბო ძროხას წინ მიუბა, თითონ კი მიუჯდა ცურს და ცოტა ხნის შემდეგ საწველელში რძეს ჩხრიალი დააწყებინა.

საწყალი ხბო ამ ჩხრიალზედ მადა-გაღვიძებული გამალებით იწევდა ცურისაკენ, მაგრამ თოკი არ უშვებდა.

— ბაბალე, — ღობის გარედან გადმოსძახა შუახნის კაცმა, როცა სოსოს დედამ წველა გაათავა და ხბოს მოსაწოვად უშ-

ვებდა. — დილა მშვიდობისა, — მიესალმა ისევ ის, როცა ბაბალემ იქით მიიხედა, საიდანაც ხმა მოესმა.

— მშვიდობა მოგცეს ღმერთმა, ჩემო ქიტესავ!

— ჯერ სოსო არ ამდგარა? ნუღარ დააგვიანებ!

— ეხლავ გავაღვიძებ.

ბაბალემ საწველელს ხელი დაავლო და, ის იყო, უნდა შინ შესულიყო, რომ ამ დროს სოსოც გამოვიდა გარეთ.

— ოჰ, ამდგარხარ კიდეც, შვილო! — სიყვარულით უთხრა დედამ.

— გუთნი-დედამ ხომ არ გაიარა? — კითხა სოსომ დედას.

— გუთნი-დედა აქ გელის, — გადმოსძახა ღობის გარედან ქიტესამ, რომელიც სოსომ აქამდე ვერ შეამჩნია.

სოსო ამ ხმაზე გაწითლდა და დედას საყვედურის კილოთი უთხრა:

— აკი გითხარი, დილაზე, როცა შენ ადგე, მეც გამაღვიძე-მეთქი.

— აკი გითხარი, დილაზე, როცა შენ ადგე, მეც გამაღვიძე — გაეხუმრა ქიტესა.

— როცა ლოგინში ჩაწვება ხოლმე, სულ იმას მეჩიჩინება: „დილაზე ადრე გამაღვიძე, გუთნი-დედას მინდა ავუსწროვო“, — ღიმილით უთხრა ბაბალემ ქიტესას.

— ღმერთმა მოგცეს და მაგის ბედნიერებას ორივე შეგვასწროს, და აი, ეს დღე ნიშანი იყოს, — ეგ ისეთი ვაჟკაცი დადგება, რომ ამ ჩვენს სოფელში ცალი არ ეყოლება. ჯერ რა არის, სულ თითის სიგძე ბალღია და...

— ჰო, მეთერთმეტე წელშია გადამდგარი, — გააწყვეტინა სიტყვა ბაბალემ.

— ჰო და, აკი ვამბობ, ჯერ თითის სიგრძე ბალღია-მეთქი და ახლავ ისეთს უნარს იჩენს, რომ კაცი ვერ წარმოიდგენს. ეგ რო არ გვყვანდეს გუთანზე, სულ უგემური იქნებოდა ჩვენი ხვნა. ამ ქალაქია-დღე ისეთს „ოროველას“ დასძახის და ისე ერეკება წინა ხარებს, რომ კაცსაც და ხარსაც დაღალვას არ გვამჩნევინებს...

ბაბალეს გული სიხარულით თავის ადგილს აღარ უდგებოდა, როცა ქიტესა ასეთის ქებით ამკობდა სოსოს. სოსო-კი ამ

დროს ხბოს ეალერსებოდა და ქიტესას ქებას ყურს არ უგ-
დებდა.

— ხარიც რო ისეთი ყავს, ი დალოცვილი! ქედ-მადლია-
ნია, ისე მუყაითად ეწევა, რო ტოლი არა ყავს მთელ გუთნე-
ულში.

— ამის გაზრდილია. ექვსი წლისა იყო ჩემი სოსო, ენა-
ცვალოს თავისი დედა, როცა ის ძროხამ მოიგო, და მას აქეთ
სულ ეს უვლის. ისე შეუყვარდა, რომ თითქმის ღამე გვერდით
მიიბამდა ხოლმე და ისე ეძინა. ყოველს ცისმარე დღეს ახალ-
ახალი ბალახი მოქონდა და თავისი ხელით აჭმევდა.

— კაი ხარი კი დამდგარა-და... ღმერთმანი, სოსოზე და მა-
გის ხარზე ორი დღის ანეულიც ალალია. თუ ღმერთმა დარები
დაგვიყენა, სწორედ ორი დღის ანეულს გადვუჭრამავ...

— მადლობელი ვარ, ჩემო ქიტესავ, მაგრამ მოდგმეებმა
რო არ იყაბულონ? ჩემს სოსოს, როგორც დღის მეხრეს, ერ-
თი დღისა ერგება; ცალ-ხარს კიდევ — ნახევარი დღისა. აი,
უღელი ხარი რო მყვანდეს, მაშინ სხვა იქნება: მაშინ ორი
დღისა გვერგებოდა.

— რას ამბობ, ადამიანო, რომელი მოდგმე არ მიყაბუ-
ლებს?! განა, ისინი არა ხედავენ, რომ ბიჭი ძალზე მუყაი-
თად ეკიდება?!

— დედი, — დაუძახა სოსომ თავისს დედას, — ძროხას ძუ-
ძუებს დააჭრის, მოვაშორო?

— მოაშორე, შვილო!

— ჰე, ფუჩინო, აბა, თუ მოშორდეს!... აბამე, აბამე, რა-
ნაირი ღონიერია!..

სოსო აშორებდა ხბოს. მაგრამ ის ისევ ხელიდან უსხლტე-
ბოდა, ძროხის ცურს ვარდებოდა და გულიანად ლოღნიდა.

— ღმერთმანი, სამი წლის შემდეგ მოზვერი დადგება და
ჩემს შვინდას ტოლობას გაუწევს, — სთქვა სოსომ და ორივე
ხელი ხბოს კისერზე მოხვია.

— წამოდი, გეყოფა, ხომ ხედავ, დედაშენს რძე აღარ უდ-
გა, — უთხრა სოსომ ხბოს და გამოათრია. მაგრამ ხბო ცდი-
ლობდა, ისევ გასხლტომოდა ხელიდან.

— აბა წავიდეთ, სოსო, თორემ ღამის მეხრეები, სანამ

ჩვენ გავალთ, გუთნეულს კიდეც მირეკენ, — სთქვა ქიტესამ და თავისს გზას გაუდგა.

— მე თითონ მოვაშორებ, შვილო, — უთხრა ბაბალემ სოსოს, როცა ის კიდევ ხბოს დაეჯაჯგურა, რადგანაც ხბო კიდევ გაუსხლტა და ახლა მეორე მხრიდან დაუწყო წოვნა.

სოსომ ხბოს თავი ანება, წამოავლო ხელი საგუთნე სახრეს და ქიტესას დაედევნა. ცოტა ხანს შემდეგ ქიტესას ამოუდგა მხარში და ორნივე ბაასით წავიდნენ. ბაბალე კი გაყურებდა თავისს იმედს და თავისთვის იძახდა: „ნეტა, ვეღირსები იმ დროს, რომ ჩემი სოსოც ქიტესასავით დაბინავებული და ცოლ-შვილით გახარებული იყოს!?“ თვალი არ მოუშორებია შვილისათვის, სანამ სოსო და ქიტესა საბძელს არ მოეფარნენ...

II

— სადა ხართ, კაცო? — შეჭმუხვნილის სახით უთხრა ქიტესამ ღამის მეხრეებს, როცა იმათ გუთნეული მორეკეს: — აბა, მაღლა აიხედეთ, მზე ორი შუბის სიგრძეზეა აწეული.

— სადა ვართ რა, განა ხალიფაფასა ვჭამდით! აი, ი ვერანა ხარს დავეძებდით — მკვახედ უპასუხა ერთმა ღამის მეხრემ.

— რა ვერანა ხარს, რას ამბობ, ბიჭო? — კითხა ქიტესამ.

მეორე ღამის მეხრემ კი ამ დროს თავისი გუთნის ხარები შეაბა უღელში და ელოდა დანარჩენებს, ისინი როდის-ღა შეაბამენო.

— ენდე, ე ბალღის სამგლე ხარს! — მიუთითა ღამის მეხრემ სოსოზე, რომელიც ამ დროს გაფითრებული გუთნის დედასთან მოვარდა.

— ჩემი შვინდა სად არის? — აკანკალებულის ხმით დაეკითხა სოსო ღამის მეხრეს.

— ჯანაბას! — გულ-ცივად უპასუხა იმან.

— მერე, შე ოჯახ-დანგრეულო, — დაუყვირა ქიტესამ, — თვალები სადა გქონდა? ეხლა აგება თვალები, როცა ჩემი ჯერია?... შვიდუღლივ რა ეშმაკი უნდა ვხნათ!

— ოჯახ-დასანგრევო და არც-რა იცი-რა? — უფრო მაღლა შეყვირა იმან: — შვიდ-უღლივ რათა ხნამ, იმის საბადლოდ ჩემი ხარი მოგიყვანე.

იქნება ჩხუბიც მოსვლოდათ ქიტესასა და პირველს ღამის მეხრეს, რომ მეორე ღამის მეხრე არ ჩარეულიყო ლაპარაკში და პირველი იქით არ წაეყვანა.

— რა გულ-არეული რამა ხარ, კაცო, — უთხრა მეორე ღამის მეხრემ: — შენზე უფროსმა რო სიტყვა გითხრას, როგორ არ უნდა დაუთმო?

სოსო კი იმ ღამის მეხრეს თავს არ ანებებდა და მალ-მალე დაეკითხებოდა:

— კაცო, რატომ არ მეტყვი, სად დაგრჩათ ჩემი ხარი?

— თავი დამანებე, ბალღო, თორემ, აი, ი ღვთიშობლის მადლმა, ისეთ ალიყურს გაჭმევ ამ გაჯავრებულს გულზედ, რომ ხარი-კი არა, თავიც დაგავიწყდეს! — შეუტია ღამის მეხრემ.

— რათაო, ე, რატომ არ მეტყვი?! — ტირილით უთხრა სოსომ.

პირველი ღამის მეხრის მაგიერად მეორემ უამბო სოსოს ღამის ხარი საითაც ყოლოდა და სად დარჩენოდათ იმისი შვინდა. სოსომ მაშინვე დააპირა საძებნელად წასვლა, მაგრამ ქიტესამ არ გაუშვა, რადგანაც წინა ხარების გამომრეკი აღარავინ ეყოლებოდა. ისიც ძალაუნებურად დარჩა, მაგრამ სოსო ის სოსო აღარ იყო, როგორიც დილას ქიტესამ აგვიწერა. სამხრობამდე ერთხელაც არ შემოუძახნია „ოროველა“ და ხარებსაც ისე მუყაითად არ ეკიდებოდა, როგორც წინად. ქიტესა მალ-მალე წასძახებდა ხოლმე: „აბა, ჩემო სოსო, ნუ მოგიწყენია, ერთი შენებური „ოროველა“ შემოსძახე“-ო, და თან ანუგეშებდა: „რისა გეშინიან, შე კაი კაცო, ხარს არა უშავს-რა! ის თითონვე მოვა დილაზე და ან საღამოზე“-ო. მაგრამ ამისთანა ნუგეში სოსოსთვის ნუგეში არ იყო. „ამაღამ რომ ჩემი შვინდა უპატრონოდ მინდორში გავუშვა, — ფიქრობდა სოსო, — ხომ მგლები შემიჭამენ და მერე?.. მერე?...“ „ვინ იცის, — ფიქრობდა სოსო, როცა სადილს შემდეგ ისევ უღელზედ შეჯდა და პირველს კვალს უვლიდნენ. — იქნება მგლებმა

კიდეც გამოფაშვეს ჩემი შვინდა!“ სოსოს ამ ფიქრზედ გული ამოუჯდა და ცრემლები ვეღარ შეიმაგრა. თითქოს იმის ჯავრს სხვებიც თანაუგრძნობენო, ყველანი რაღაცნაირად დაღონებულები და ღრმად ჩაფიქრებულები იყვნენ. ასე გაჩუმებულები ხან ერთს კვალს აუვლიდნენ და ხან მეორეს ჩამოუვლიდნენ. მარტო, როცა ერთი კვალის ბოლოს, ან თავში გავიდოდნენ და მეხრეები უღლიდან ჩამოხტებოდნენ და ქიტესაც გუთანს აუგდებდა, მაშინ თუ ამოიღებდნენ ხმას, ისიც ხარებს ან კამეჩებს გამოეხმაურებოდნენ, რომ ახლა მეორე მხრის კვალში ჩაეყენებინათ, თორემ დანარჩენს დროს, რაკი კვალში ჩადგებოდნენ, სულ გაჩუმებულნი იყვნენ. ხარებიც ცოხნითა და კუდის ქნევით მიიზლაზნებოდნენ და სჭიმავდნენ ჭაპანს. მზე კი თანდათან ზემოდ იწევდა და ისე აცხუნებდა, რომ ზოგი კამეჩი გაალექა და პირიდან ენა გამოაყოფინა.

— ეს ოხერა, რა ნაირად ჩამოცხა და იკბინება, უთუოდ გაავდარდება! — წამოიძახა მეორე ღამის მეხრემ.

როცა სამხრობისას გუთნეული გამოუშვეს, იქვე თელის ქვეშ რძის კორკოტს შემოუსხდნენ და ჭამა დაუწყეს საჭმელს, რომელიც ქიტესას თოთხმეტის წლის თეკლემ ის-ის იყო მოუტანა.

— წვიმისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, ჯერ არ გვეჭირება! — უპასუხა ქიტესამ და ერთი დიდი ლუკმა მადიანად ჩაიდო პირში. საჩქაროდ გადაყლაპა და მერე თეკლეს მიმართა:

— ეე, შენი მამა ცხონდეს, თეკლე, ე რა გემრიელი რძის კორკოტი გაგიკეთებია! შენ გააკეთე, შვილო, თუ დედა-შენმა? — ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ ქიტესამ.

— მე. — ჩუმად წამოიძახა თეკლემ და თან თავ-ჩაღუნულს ეღიმებოდა.

— იმიტომ არის ესე გემრიელი, რო შენ გაგიკეთებია! — წამოიძახა მეორე ღამის მეხრემ.

ამ სიტყვების გაგონებისთანავე, თეკლე სულ ერთიან წამოწითლდა. აქამდის ფეხზე იდგა, ეხლა კი დარცხვენით თავის მამის ზურგს უკან ჩაჯდა და კარგა ხანს მაღლა აღარ აუხედნია.

ყველანი ჭამაში გაერთვნენ. ზოგმა მეორე ჯამიც მიიმატა

და ხელმეორედ შეუდგა ჭამას. მოქანცული გუთნის ხარიც იქვე დაყრილიყო და უმადურად იცოხნებოდა. ზოგი ისე დაღალულიყო, ნამეტნავად კამეჩები, რომ კუდის გაქნევის თავიც აღარა ჰქონდათ და ფშუილით ბუზებს ძლივს-ღა იგერებდნენ.

— შენ გენაცვალე, ჩემო სოსო, ეგრე დაღონებული რადა ხარ და პურს არა სჭამ? — ჰკითხა თეკლემ, როცა სოსოს თვალი შეასწრო.

სხვებმა მაშინ-ღა მიაქციეს ყურადღება და დაინახეს, რომ სოსოს თავის ჯამისათვის ხელი არ ეხლო და ისე გაჩუმებული და თავჩაღუნული იჯდა.

— ე ბალღი დღეს მშიერი მოკვდება, მაგას არც სადილობას უჭამია რამ. — სთქვა პირველმა ღამის მეხრემ, რომელსაც სოსოს უმანკო და დაღვრემილმა სახემ ამაყი გული მოულბო.

— ე რა ღმერთი გაგვიწყრა და მაგის ხარი დავკარგეთ! — განაგრძო ისევ იმან. — სოსო, თუ დილაზედ შენი შვინდა აქ არ მოვიყვანო, მაშ კაცი ნუღარ ვყოფილვარ!

სოსო აქამდის გაჩუმებული იყო და სულ თავის შვინდაზე ფიქრობდა. ახლა, როცა ყველამ იმას შეხედა და სიბრალულის თვალით დაუწყეს ყურება, ტირილი მოუვიდა და ცრემლები ვეღარ შეიმაგრა.

— ჩემო ქიტესო, ეხლა მაინც წავალ საძებნელად. ჩემ მაგიერად აგერ, აი, მეხბორეს გამოვგზავნი! — ტირილით ეხვეწებოდა ქიტესას.

— კარგი, შვილო, წადი, მაგრამ ჭალაში-კი არ გაება და არ დაგიღამდეს.

— ე წყლის პირს დაყევი, მანდ ეგდება სადმე. თუ მანდ არ იყოს, ჭალის პირას, გრილოში იქნება, იქ მოძებნე, — ურჩია პირველმა ღამის მეხრემ, როცა სოსო სიხარულით წამოვარდა ფეხზე, რაკი ქიტესასაგან ძებნის ნებართვა აიღო.

— მოიცა, შენ გენაცვალე, ჩემო სოსო, პატარა შეჭამე რამე, — უთხრა თეკლემ, — თორემ მშიერი მოკვდები.

— არა მშიან.

— ცარიელი კორკოტი მაინც დახვრიპე, აი, რა გემრიე-

ლია! იჰ, იჰ! თეკლემ აიღო სავსე ჯამი ხელში და რამდენიმე კოვზის პირი შეხვრიპა. მერე ჯამი სოსოსთან მიიტანა და გაუშვირა. სოსომ უარი ვეღარ უთხრა და საჩქაროდ დააცარიელა ჯამი...

სოსომ და დღის მეხრემ გუთნის ხარი აშალეს და წინ გაირეკეს. ღამის მეხრეები გუთნის დედით თელის ქვეშ წამოწვნენ და ძილს თავი მისცეს. თეკლემ-კი საჩქაროდ ჯამები ჩაალაგა ხურჯინში და შინისკენ გაეშურა.

— ბიჭო, გუთნის ხარი არ დააგვიანო, ჩქარა მორეკე, თორემ ვეღარას მოვხნავთ, კიდეც დაღამდება! — გასძახა ქიტესამ დღის მეხრეს, როცა ისა და სოსო თელას კარგა დაშორდნენ.

III

კარგა შეღამდა. ცა საშინლად მოიღრუბლა და განრისხებული სახე მიიღო, თანდათან უფრო იჭმუხნებოდა და დედამიწას მუქარით ჩამორუხრუხებდა. ხან ერთს ცისკიდეს, ხან მეორეს გველივით გაიკლაკნებოდა ელვა და ერთს წამს გაასინათლებდა ხმელეთს, თითქოს ცას სურს თვალი გადაავლოს ქვეყანასაო. დედამიწა კი ძრწოდა განრისხებულის ცის დანახვით და რაღაც საშინელებას ელოდა. ჩამი-ჩუმი არსაიდან ისმოდა. ის ფრინველნიც, რომელნიც ისე სიხარულითა და ჟივილ-ხივილით მიეგებნენ დღის სინათლეს, ახლა სადღაც მიმალულიყვნენ და ხმას არ იღებდნენ; ზოგს მათგანს ხშირი ფოთლები მოენახა და ცდილობდა ამ ფოთლების შემწეობით აეცდინა ის ვაება, რა ვაებასაც ცა უქადდა. აგერ, ბეღურები ჯაგის ქვემო ტოტებზე ჩამწკრივებულან და ერთმანეთს რასღაც ჩასჩურჩულებენ. ამ ჩურჩულზე იქვე ჯაგის ძირს განაბული კურდღელი აქცქვეტს ყურებს და სიფრთხილით გადაავლებს თვალს გარეშემო მიდამოს. აგერ, ეშმაკი ქედანი მუხის ფუღუროს შეფარებია და საწყალს გვრიტს კი, რომელიც იქვე ფუღუროს პირს ჩამოსკუპებულა, აღარ უშვებს თავისთან და გასრისხებული ცის ანაბარა სტოვებს. სხვა სულდგმულთაც მოუნახავთ თავშესაფარი და აქ ელიან ცის რი-

სხვას. მგელსაც კი, ამ ღამით მოწანწალე ცხოველს, მოუძებნია სორო, კურთ-უკუღმა შემძვრალა და იქიდან გამოაკვესებს თვალებს. ყველა სულდგმული უფრთხის და ემალება განრისხებულს ცას. მარტო ერთი სულდგმული არ უფრთხის და გულმოდგინედ რასღაც დაეძებს. ეს სულდგმული სოსოა, რომელიც სამხრობისას წამოვიდა თავის შვინდას საძებნელად, მაგრამ ჯერაც ვერ უპოვია. თუმცა მთლად შემოიარა წყლის ნაპირები, მაგრამ იმის კვალიც ვერ იპოვა და აი, ახლაც შუა ჭალაშია და სასოწარკვეთილებით იძახის: „შვინდავ, ფშვიე... ე...ე, ჩემო შვინდავ!“ მაგრამ პასუხი არსაიდან მოესმის!

„ამ ბნელში სადღა წავიდე და სად მოვნახო?! არ ვიცი, რა ვქნა?!“ აკანკალებულის ხმით იძახდა სოსო.

უეცრად შედგა, თითქოს რისღაც ფაჩუნი მოესმა. სახე გაუბრწყინდა და გულს იმედი ჩაესახა. სულ ერთიანად სმენად გარდაიქცა და თავი იქით გადიხარა, საიდანაც ფაჩუნი მოესმა.

„შვინდავ!“ — აჩქარებით და დაბალის ხმით წამოიძახა და უფრო გატვრინდა. რამდენსამე ხანს ისე გატვრინებული იდგა. მაგრამ გარშემო ისევ წინანდებური სიჩუმე მეფობდა და არა ხმაურობდა-რა.

„შვინდავ, შვინდავ... სადა ხარ?!“ გასძახა ერთი კიდევ და როცა დარწმუნდა, რომ იმედი ტყუილი გამოდგა, მერე ღაპაღუპით ცრემლები გადმოყარა.

ამ დროს, ცა ერთის კიდიდან მეორემდე გაიხსნა და მთლად არემარე ერთს წამს გაანათა... შემდეგ ერთი ისეთი დაიჭექა, რომ კაცს ეგონებოდა, ცა სულ ერთიანად გადმოანგრიეო. ბევრი მძინარე დააფეთიანა ამ ჭექამ და პირჯვარი დააწერინა. სოფელში ძაღლებმა ღმუილი შექმნეს, ჭალაში კი ყველა სულდგმული შეირყა და ხმაურობა მორთო. თითქოს ამ ცის დაჭექებას ელოდა ქარიო, უეცრივ დაქროლა ძლიერმა ზენაქარმა და მთელი ჭალა ერთ წამს ააშფოთა: ხეებს ჭრიალი დააწყებინა, ფოთლებს შრიალი. ერთის ხიდან მეორეზე მარდათ ხტოდა და გაქონდა შუილ-ზუილი. ცამ კი ელვას და ქუხილს უფრო უმატა. ცოტა ხნის შემდეგ წამოუშინა ხშირი და მსხვილი წვიმა, რომელშიაც ჯერ წვრილი და თითო-ოროლა სეტყვა

ერია, შემდეგ-კი წვიმა მთლად სეტყვად გადაიქცა და ხეების ტოტებს ლაწა-ლუწი აუყენა. ქარის შრიალი და ზუილი, ხეების ჭრიალი და ტოტების ლაწუნი, თვით სეტყვის ხუვილი სულ ერთად აირია და რაღაც გამოურკვეველი და საშინელი ხმაურობა ასტყდა შუა ჭალაში, სადაც ახლა სოსო ერთის ხის ძირს ქვენა მხრით ამოფარებოდა. სოსოს უეცრად მოესმა დიდი ზარის გუგუნი, რომელსაც იმის სოფელში სეტყვის მოსვლაზე დაუწყეს ხშირი რეკვა იმ იმედით, რომ სეტყვას გადიღებსო. დიდის ზარის გუგუნს, წვრილის ზარების წკრიალიც მოჰყვა და ამ გამოურკვეველმა და შემაძრწუნებელმა ხმაურობამ უფრო გამოურკვეველი ხასიათი მიიღო. სოსომ მოიხადა ქუდი, ცრემლიანის თვალით რამდენჯერმე წამოიძახა: „ღმერთო, შენ მიშველეო!“ და პირჯვარი გადაიწერა ბოლოს ამოიოხრა და გულსაკლავად ხმა-მაღლა დაიძახა: „ვაიმე, ჩემო შვინდავ!.“

IV

რაკი ჯავრი ამოიყარა, ცა დაიშაშრა და უჯრებად დაიყო, ვარსკვლავებმა გამოიხედეს და ბრჭყვიალი დაიწყეს. ცოტა ხანს შემდეგ ცა სულ ერთიანად მოიწმინდა. მარტო ალაგ-ალაგ ღრუბლის პატარა ნაგლეჯები-ღა იყო მიკრული, რომელიც თანდათან ფერსა კარგავდა და გაურბოდა ღამის მნათობს, რომელმაც აგერ, მთის წვერიდან თავი ამოჰყო და თეთრად შემოსილს ქვეყანას მკრთალი ნათელი მოჰფინა. შესაბრალისს სურათს წარმოადგენდა ამ დროს ჭალა, სადაც მთლად გაწუწული და გაზუნზული სოსო დაფლატუნებდა და სიცივისაგან კანკალი გაჰქონდა. ერთი ხეც აღარ მოიძებნებოდა მთელს ჭალაში, რომ ან ფოთოლი და ან ნორჩი ტოტი შერჩენოდა. სულ ძირს იყო გაფენილი და მიწასთან გასწორებული. ვინ იცის, რამდენს ფრინველს და პატარა გარეულ ნადირთ, უსაფაროდ დარჩენილთ, თავი გაეჭეჭყა და სამუდამოდ გამოესალმა წუთი-სოფელს! ეხლა იმათი სხეული ფოთოლთან ერთად არის არეული. აგერ, ერთს ამისთანა დამახინჯებულს გვრიტის სხეულს სოსომ ფეხი წამოჰკრა და ხელში აი-

ღო... ამან უფრო მწარე ფიქრები აუშალა საცოდავს სოსოს: „იქნება, ჩემი შვინდაც ეხლა ამ გვრიტივით თავ-გატეხილი გდია სადმე და მგლები ხარობენ იმის ხორცითაო“, — ფიქრობდა სოსო და თან ცრემლებს აფრქვევდა. ამ მწარე ფიქრებში გართულმა, გაიარა ხშირი ჭალა და მეორე ნაპირს გავიდა. საცოდავი აქ შესდგა და იმედის გადაწყვეტით გაჰხედა ჭალას. რამდენიმე წუთი დაჰყო ასე გაჩუმებულმა და ჩაფიქრებულმა: „განა, ჩემს შვინდას ვეღარა ვნახავ?!“ და გაშტერებით უმზერდა ჭალას.

— შვინდავ, შვინდავ, ფშვი...ე...ე, ჩემო შვინდავ! — უეცრად ისეთის ხმით წამოიძახა, რომ ხეებს რომ გული და გრძნობა ქონოდათ, ისინიც ტირილს დაიწყებდნენ.

— მმუ...უ...მმუ...უ...უ! — პასუხად მოესმა იქვე ახლოდან რაღაც ზმუილი და ფაჩუნი.

— ჰა... შვინდავ, შვინდავ... ისაა... — ზედი-ზედ ისროდა სიტყვებს სოსო და ძლივს-ღა სუნთქავდა.

— მუუ...უ... მუუ...უ... — თანდათან უფრო ახლო მოისმოდა ზმუილი.

— ჩემო შვინდავ! ჩემო შვინდავ!.. — ძახილით გაექანა სოსო იქით, საიდანაც ზმუილი მოისმოდა.

ამ დროს, ჭალის პირას მშვენივრად დარგვალებული და ჩასუქებული შვინდა-ფერის ხარი გამოჩნდა.

— შვინდავ!.. — მივარდა სოსო და კოცნა დაუწყო.

ხარიც ალერსით შეზმუოდა გახარებულს სოსოს და კოცნის მაგივრად პირს ულოკავდა.

1892 წ.

ჰარამ-ხანის სურათი

(ფსიქოლოგიური ეტიუდი)

ღამის ორი ჟამი იქნებოდა, როცა სოლომონ ბერიკაშვილი უეცრად ლოგინში წამოჯდა აღშფოთებული და ერთს ადგილს დააცქერდა. რამდენსამე ხანს გაშტერებული იჯდა, თითქოს ჯდომელას ჩაეძინაო, შემდეგ საჩქაროდ მოიფშვნიტა თვალები და სთქვა: „სიზმარი ყოფილაო“-ო. მერე მძიმედ მიესვენა ბალიშზე და ხვრინვა ამოუშვა. იმის ტკბილს ხვრინვას ბანს აძლევდა ერთის მხრით კედლის საჟამის განუწყვეტლივი კაკუნი და მეორე მხრით — ღამის ლამპრის შრიალი... კედლის საჟამემ სამჯერ წამოაწკარუნა და სწორედ იმ დროს, სოლომონიც დაჭრილი მშველივით წამოვარდა ლოგინიდან და აჩქარებულად დაიწყო სიარული ნოხით დაფენილ იატაკზე.

— ახა, ღმერთო! ამისთანა საშინელება-ღა იქნება რამე?.. — სიარულის დროს აკანკალებულის ხმით ყვიროდა და თან ხელებს აფათურებდა. — პირში მაფურთხებდნენ!.. მე... მე... იმოდენა ხალხში დამდგომოდნენ და მარცხვენდნენ!.. ნეტავი, ხალხი მაინც არა ყოფილიყო და რაც უნდა ექნათ!

ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ამბობდა სოლომონი და მეტის აღელვებისაგან იმისი გული ადიოდა და ჩადიოდა და საშინელი ბაგა-ბუგი გაქონდა, რაიც სუნთქვას უხუთავდა და ლაპარაკს უშლიდა.

— მიყვიროდნენ, — განაგრძო სოლომონმა: — რატომ პირობა არ შეასრულეო, შე უსირცხვილოვო, შე უსვინიდისოვო!.. ჰმ, ჰმ!.. იმ მასხარებმაც მე უნდა მარცხვინონ?!. პირობა რატომ არ შეასრულეო? ჰმ! — სოლომონმა მწარედ გაიღიმა. — მერე რა პირობა! იმისთანა სულელურის პირობის აღ-

სრულება შესაძლებელია?! განა, შეიძლება კაცმა თავის ცხოვრებაში ის აზრები გაატაროს, რომელსაც ბავშვობის დროს, ოცნებობით გატაცებული, მაღლა ფარდებში ფრენის დროს, გაიძახის და რომლის აღსრულებაზე ფიცსა და პირობასა სდებს?! ცხოვრების ყოვლად უმეცარნი, იმ დროს გავიძახით, ამასა და ამას გავაკეთებთ, ასე და ასე მოვიქცევითო; სიამოვნებით ფიცსა ვსდებთ, მაგრამ იმ აზრების, იმ ფიცის აღსრულება ყოვლად შეუძლებელია. მაშინ ის გატაცება ამისთანა აზრებით იმისთვის არის ისე ტკბილი, რომ ოცნებაა და არა სინამდვილე; თორემ სინამდვილე რომ იყოს, ისე ტკბილი აღარ იქნება. შესაძლებელია იმ პირობის აღსრულება, რომელიც, ძალას გვატანს, რომ ჩვენის მოქმედების ასპარეზად სოფელი გავიხადოთ, აღვადგინოთ დაცემული ხალხი, გავანათლოთ, ამოვუდგეთ მხარში, იმათთან ერთად ვიტანჯოთ და ამ ტანჯვით და შრომით, როგორც მაშინ, ოცნების დროს, გავიძახდით, ვისიამოვნოთ? თუ-კი ტანჯვითა და შრომით შესაძლებელია ისიამოვნოს კაცმა, მაშ რაღად გვინდა შევუმოკლოთ იმ ტანჯულთა და მშრომელთ ტანჯვა და შრომა? ეჰ, ბევრი იმისთანა სისულელე წარმოგვითქვამს და გვიყვირნია, მაგრამ იმათი შესრულება ყოვლად შეუძლებელია! ვინც ამას ასრულებს, მე ვიცი, იმისთანა სიკეთეს შეეყრება, რომ მეტი აღარ იქნება. განა აქნამდის ვერ დარწმუნდნენ, რომ განათლებული კაცი სოფელში გამოტვინდება, გამოყრუვდება და ვერას გაარიგებს? სულელები, სულელები! სხვასაც არცხვენენ, პირში აფურთხებენ გამოფხიზლებისათვის, ოცნებიდან გამორკვევისათვის.

სოლომონი ამ მსჯელობის დროს მშვიდდებოდა და აჩქარებულს სიარულს უკლებდა. ბოლოს, ისე დამშვიდდა და გულმა ისევ ჩვეულებრივ დაუწყო მუშაობა, რომ კაცი ვეღარც-კი შეატყობდა, თუ ამ რამდენისამე წუთის წინ ისე გაშმაგებული და გაბრაზებული იყო ცუდის სიზმრის გამო. ცოტა ხანს კიდევ სიამოვნობდა ბოლთის ცემით და შემდეგ საწოლთან შეჩერდა. შეჩერებას გულაღმა გადაწოლაც მოჰყვა. თუმცა დამშვიდდა, მაგრამ ძილი მაინც გაუფრთხა და, გულაღმა გადაწოლილი, ათასნაირს ოცნებასა და ფიქრს მიეცა.

სოლომონმა გადაავლო გონების თვალი თავის წარსულს, თავის სტუდენტობის დროის ცხოვრებას.

ბევრი რამ კარგი მოაგონდა სოლომონს იმ ცხოვრებიდან და ამ მოგონებამ ძალიან კარგს გუნებაზე დააყენა. მოაგონდა ის საღამოც, როდესაც ამხანაგებმა უკანასკნელი გამოცდის შემდეგ ერთმანეთთან გამოსამშვიდობებლად ნადიმი გამართეს. დასაწყისიცა და დასასრულიც ამ საღამოსი ისე ნათლად წარმოუდგა სოლომონს, თითქოს ლოგინზე კი არ არის გადაჭიმული, ამხანაგებს შუაა და იმათთან ერთად მუსაიფობს და მხიარულობსო. აგერ, თავის ამხანაგის ის პატარა ოთახი, რომელშიაც ძლივს ეტეოდნენ სტუდენტობიდან იმ დღეს გამოსული ამხანაგები. აი, ის მაგიდაცა, რომელზედაც ლუდითა და არყით სავსე ბოთლები და ცარიელი ჭიქები ეწყო, რადგანაც ჯერ კიდევ რამდენიმე ამხანაგი არ მოსულიყო და ამათ მისვლას-ღა ელოდნენ, რომ ჭიქები გაევსოთ... აი, დანარჩენებიც მოვიდნენ. ახლა უფრო გამხიარულდა ოთახი; ეხლა უფრო სხვანაირი ფერი დაედო ამხანაგების წრეს, ეხლა ერთმანეთის სადღეგრძელოს სმენ და მხიარულობენ. ბაასი უფრო გაცხოველდა, რომელიც ხან და ხან, საერთო სიმღერებისა გამო, შესწყდებოდა ხოლმე. ასე და ამგვარად, წამი წამს მისდევდა, ჟამი ჟამს და შუა ღამე ისე გადავიდა, რომ ვერც კი შეიტყვეს. ბოლოს, ერთი მათგანი წამოდგა, აიღო ხელში სავსე ჭიქა და ლაპარაკი დაიწყო. დანარჩენთ სული განაბეს და სმენად გადაიქცნენ.

„ამხანაგებო, — ასე დაიწყო ორატორმა: ვინ იცის, ეს უკანასკნელად ვართ ერთად შეყრილნი, უკანასკნელად ვხედავთ ასე შეკრებილს ერთმანეთს! დღეს, ხვალ, ზეგ სათითაოდ გავეშურებით ჩვენის ბუდეებისაკენ, ჩვენის ქალაქებისაკენ, ჩვენის სამშობლოსაკენ, სადაც სიხარულით და გულის ფანცქალით მიგველიან ჩვენი მშობლები, ჩვენი ძმები და ერი. ვინ წარმოიდგენს იმათს სიხარულსა და აღტაცებას, როდესაც თვალს მოგვკრავენ? განა მარტო ჩვენი ნახვა გაახარებსთ, განა მარტო ჩვენი ხილვა დააკმაყოფილებსთ? არა და არა! მარტო ჩვენი ხილვა არა კმარა იმათთვის. ისინი უფრო სხვა რასმე მოელიან ჩვენგან, უფრო სხვა დიდ მოვალეობას გვდებენ

კისერზე, რომლის პირნათლად აღსრულებაც ჩვენის მხრით საჭიროა. აბა, ყოველმა ჩვენგანმა მიიხედოს უკან, რას დაინახავს? დაინახავს ერთ უზარმაზარ მთას, კავკასიონის მთებზე უმაღლესს (ამ სიტყვების ხსენებაზე იმან სოლომონსა და სხვა იქ მყოფს ორს ქართველს სტუდენტს გადაჰხედა და გაუღიმა), იმ ნივთიერებისაგან შემდგარს, რომელიც ჩვენს გამოზრდაზე ჩვენმა ტანჯულმა ერმა, ჩვენმა მშობელმა ერმა ცრემლითა და ოფლით შეადუღა. განა ამას შემცირება, ამას სამაგიეროს გადახდა არ უნდა? განა ეს ამოდენა მთა ვალად უნდა გვედოს კისერზე? არა, თუ კაცნი ვართ და გვსურს კაცის სახელის ტარება, უნდა ვეცადნეთ, რომ ერთი-ორად მივუწყოთ ჩვენ ტანჯულთ. ვიცი, ყველანი დამეთანხმებით, მაგრამ აი საქმე ის არის, რა გზით, რა საშუალებით, როგორ უნდა ვიშრომოთ ცხოვრებაში, რომ სამაგიერო გადავუხადოთ ჩვენის მოქმედებით, რადგანაც ყოველს მოქმედებას არ მოაქვს სასურველი სარგებლობა. აი, ამისათვის მე მსურს, ჩემი აზრი წარმოვსთქვა იმის შესახებ, თუ რა უნდა ვაკეთოთ ცხოვრებაში, რომ თვალსაჩინო სარგებლობა მოვუტანოთ ერს, და ამითი მოვიშოროთ ის ვალი, რომელიც კისრად გვაწევს". ამას შემდეგ ორატორმა დაწვრილებით განმარტა მომავალი მათი მოღვაწეობა.

სოლომონი ამ დროს ისე გატვრინებული იყო და გადაწოლილი თავისს ლოგინში, თითქოს იმისი ამხანაგი ახლა ლაპარაკობდა და არა მაშინ. „იქნება, — მოესმა სოლომონს თავის ამხანაგის სიტყვებიც: — იქნება, მოხელეებათ ყოფნით, რომელსამე დაწესებულებაში სამსახურით რამე სარგებლობა მოვუტანოთ? არა მგონია, რომელმამე თქვენგანმა სთქვას: „იქნებაო", რადგანაც კარგად ვიცით, რომ სამსახურში შესვლისთანავე ისეთ თანამდებობას არ მოგვცემენ, რომ ამ თანამდებობის საშუალებით რაიმე კეთილი მოვიმოქმედოთ. ხომ ასეა: თუ გინდა სამსახური, უეჭველად პირველი საფეხურიდან უნდა დაიწყო და მერე თანდათან ზემოთ წახვიდე. პირველის საფეხურიდან სამსახურის დაწყება ჩვენთვის კი შეუძლებელია... არა, შესაძლებელია, მე იმას არ ვამბობ, ვითომც ვერ შევსძლებთ-მეთქი, ან კიდევ არავინ მიგვიღებს... არა, შესაძლებელია, მა-

გრამ ეს „შესაძლებლობა“ გამოყრუებას, გამოტვინებას ეთანაბრება, რადგანაც სამსახურში პირველი საფეხური ისეთი ეკლიანია, ისე არიან დატვირთულნი ამ საფეხურზე მდგომნი, რომ გამოტვინება აუცილებელი შედეგია. ხომ ასეა: თითქმის მთელის დაწესებულების მექანიკური ტვირთი პირველ საფეხურზე მდგომთ, ეგრედ წოდებულ „გადამწერელთ“ აწევსთ კისერზე. ეს ტვირთი კი ისე მოქმედებს კაცის გონებასა და გრძნობაზე, როგორც ჭლექი ფილტვებზე. კაცს ისე შეუმჩნევლად, ნელის ნაბიჯით, იმ მდგომარეობამდის მიახწევინებს, რომელსაც „გამოჩურჩუტება და გამოტვინება“ ეწოდება. საქმეც იმნაირად არის დაყენებული, რომ ვიდრე გამოჩურჩუტებას და გამოტვინებას არ შეგატყობენ, ვიდრე თავიანთებურად არ მოგაწყობენ და არ მოგმართავენ, წარმატებას არ გაღირსებენ და ამასთან დროსაც არ მოგცემენ, და აბა, ახლა თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, გამოფიტებული რაღას გააკეთებს? ყველას გეყოლებათ ის საცოდავი „გადამწერლები“ ნანახი. ისეთი გამორეცხილი და გამოშრეტილი, ყოველსავე აზრის გამომეტყველებას მოკლებული თვალები აქვს, რომ კაცი პირველ შეხედვაზედვე შეატყობს, თუ რა საქაჯავში არის გამოსუტურებული. თუ ამნაირი თვალები არ გინახავსთ მაშ ნაშუადღევის ორიდან ოთხ საათამდე დადექით რომელი-სამე დაწესებულების კარებთან და ადვილად შეგიძლიანთ ნახოთ... ოჰ, რა თვალებს ნახავთ!.. ეხლაც ვხედავ ამ თვალებს; აი, თითქოს ამ ჭიქიდან გამოიცქირება და უაზროდ ეცეცება!.. დახუჭე, დახუჭე, თქვენი გულგრილად ნახვა არ შემიძლიან!..“

„აბა, გინდათ, თქვენც ამ დასში ჩაეწეროთ?..“ — ეს სიტყვები რომ მოაგონდა, სოლომონი შეიშმუხნა და ხელები გაიფათურა: „ეგ ტყუილია, მეც ვიყავი ცოტა ხნით, მაგრამ არ გამოვტვინებულვარ“. ამ სიტყვების შემდეგ სოლომონს მოაგონდა ახლა სამსახურში შესვლა, — ის დრო, როდესაც უმაღლესი სწავლით აღჭურვილი დაბრუნდა სამშობლოში, მაშინვე თბილისისკენ გაეშურა სამსახურში შესასვლელად და ჩქარაც შევიდა თავის დედიდა მარიამის წყალობით, რომელიც ფრიად განთქმული იყო (ჭკუით და გონებით-კი არა, ამ თვი-

ხებით თბილისში დედაკაცი ძნელად გაითქვამს სახელს), თავისი სილამაზით.

მარიამი მართლაც ისეთი ლამაზი იყო, ძნელად თუ რომელიმე წვეროსანი გულ-გრილად დაუწყებდა მზერას. ამისთანა სილამაზისა იყო დედიდა მარიამი და აბა, რომელი თავხედი უფროსი არ აასრულებდა იმის თხოვნას!

აი, სწორედ ამ დედიდა მარიამმა შეაყოფინა თავი ერთ დაწესებულებაში, სადაც ეხლა კარგი ადგილი უჭირავს, თუმცა კი ექვსი თვე უჯამაგიროდ იყო და უბრალო გადამწერლის თანამდებობას ასრულებდა; მაგრამ ექვსი თვეც საკმარისი იყო, რომ სოლომონის თავის ჩარხები ისე მოეწყოთ, როგორც სურდათ, ან როგორც სხვა იქ მსახურების თავი იყო მოწყობილი. იმ ექვსი თვის განმავლობაში იმნაირად მოიმართა სოლომონი, რომ სხვა თავის ძმებს არ ჩამოუვარდებოდა. დაწესებულების ადამის ჟამის დროს მიღებული წერილების ფორმები ისე შეითვისა, რომ კალმით, ხელი რომ ისეც გაექნია, შაშინვე „მაქვს პატივი, წარმოგიძღვნათ... და ამასთანავე უმორჩილესად გთხოვთ...“ და სხ. გამოიხატებოდა. იმისი თავი გამადიდებელის შუშითაც რომ გაგესინჯათ, ამაზე მეტს ვერას ჰპოვებდით; მაგრამ სოლომონი ამას გამოტვინებას არ უძახდა და აი ამისთვის წარმოსთქვა ახლა ის წინააღმდეგი აზრი, არ გამოვტვინდიო, როცა თავის ამხანაგის უკანასკნელი სიტყვები მოაგონდა.

ამას შემდეგ სოლომონი ისევ გატვრინდა და გონების თვალით ისევ იმ საღამოს დაუბრუნდა. „..მაშასადამე, — მოაგონდა სოლომონს ისევ თავისი ამხანაგის სიტყვები, — ჩვენ ამ ეკლით სავსე გზაზე ბევრი გაჭირვება, ბევრი უსამართლობა დაგვატყდება, მაგრამ, რაც ძალი და ღონე შეგვწევს, უნდა ვეწინააღმდეგოთ ამ უსამართლობას, ამ გაჭირვებას. ეკლიანი გზაა, მაგრამ ფხიზელია და სიფხიზლე ხომ ადამიანის ერთი საუკეთესო განძთაგანია; მაშ, ნუ შევუშინდებით ამ ეკლიანს გზას, ზედ ვიაროთ, თუ რამ უბედურება შეგვემთხვა, რაც ხშირად მოსალოდნელია, ჩვენც ისე მოვიქცეთ, როგორც მთავარ-ანგელოზი ურჩევს თავის ქვეშევრდომთ „ფაუსტში“:

„რაც არ მოგწონთ, უარჰყავით,
რაც გაშფოთებთ უცნაურად,
ნუ მოითმენთ, ყოველ ძალას
წინ დაუხვდით ვაჟკაცურად“.

ამით ვათავებ ჩემს სიტყვებს და ამასთანავე ჭიქასაცა ვცლი“.

სოლომონს მოაგონდა, როგორის „ვაშა, ვაშას“ ძახილით დააჯილდოვეს ორატორი და შემდეგ იმისმა სიტყვამ რა აყალმაყალი, სჯა და ბაასი გამოიწვია იმათ შორის. განთიადისას ერთმანეთს გამოეთხოვნენ, გადაჰკოცნეს, ყოველივე კეთილი ისურვეს ერთმანეთისთვის და დაიფიცეს, რომ ყველანი სინდისიერად შეავასრულებთ რასაც ვესწრაფვითო.

— კარგია ყველა ეს, მაგრამ ოცნებაა! — წარმოსთქვა სოლომონმა, როცა ყოველივე წარმოუდგა თვალწინ.

შემდეგ გაიზმორა, ერთი საშინლად დაამთქნარა, თვალები მილულა და მძიმედ დაიწყო სუნთქვა. ტუჩებზე კი ღიმი უხტოდა და უთამაშებდა. ბოლოს, მძიმედ გაახილა, მძიმედვე გადაატრიალ-გადმოატრიალა თვალები და პირდაპირ კედელზე ჩამოკიდებულს ჰარამხანის სურათს ჩააკვირდა, იმ სურათს, რომელზედაც მშვენიერნი და კეკლუცნი იყვნენ გამოხატულნი. სამი ქალი იყო ამ სურათზე გამოხატული და სამივე ერთი ერთმანეთის მჯობი. ერთი მათგანი უდარდელად იყო წამოწოლილი და წამოხურული ჰქონდა ფარჩის საბანი, რომელიც მარტო ქვედა ტანს ჰფარავდა.. სიცოცხლით სავსე მკერდი და მოღიმარი სახე სოლომონისაკენ მიექცია. მეორე თავით ეჯდა ამ ქალს, მესამე კი ფეხზე იდგა. სამსავე თითო თუთიყუში ეჯდა სალოკ თითზე და ეალერსებოდნენ. „რა კარგი იქნება, რომ გაცოცხლდნენ“, — ცოტა ხნის შემდეგ გაიფიქრა სოლომონმა და უფრო ძალიან ჩააკვირდა ამ სურათს.

ღამის ლამპარი კი თავისებურად შიშინებდა. იმისი ალი მძიმედ იბუშტებოდა და ოთახს მკვარივით ანათებდა. მაგრამ უეცრად იფეთქავდა, მოიღებდა ოდნავ ტკაცანს, ძირს ჩაექანებოდა და ოდნავ მბჟუტავს წერტილს-ღა ემსგავსებოდა. ასე

ადიოდა და ჩადიოდა ლამპრის ალი, რომლის მოძრაობაზე-დაც მთელი ოთახი და მისი მოწყობილება ციმციმებდა.

სოლომონმა ინატრა იმათი გაცოცხლება და მერე კვლავ ათასნაირს ოცნებას მიეცა. ფიქრმა წაიღო, როგორ ვისიამოვნებდი, რომ გაცოცხლებულიყვნენო. სურათისთვის თვალი აღარ მოუშორებია.

თითქოს სოლომონს ნატვრა უსრულდებაო, სურათი თანდათან მოძრაობაში მოდის. აგერ, თუთიყუშებიც შეინძრნენ, ფრთები შეიბერტყეს, შეფრთხიალდნენ და ქალებს უეცრად ხელიდან გაუსხლტნენ. ქალებს თუთიყუშების თავგახელება არ ესიამოვნათ და სახე შეიკმუხნეს უსიამოვნების ნიშნად. ერთი მათგანი ისარივით იატაკზე ჩამოეშვა და თუთიყუშებს დაედევნა. სხვა ორი ქალიც მიეშველა და ახლა სამი ხოლოდშობილი ქალი ცდილობდა თუთიყუშების დაჭერას; მაგრამ გაეშმაკებული თუთიყუშები მაღლა დაფრინავდნენ და დაცინვით თავს დასჩხაოდნენ. საწყალი ქალები დევნით მოიქანცნენ, ვერას გახდნენ-რა. თითქოს ამათმა მოქანცულობამ სხვა სურათების ქალებს შორის სიბრალული აღძრა, ისინიც მიეშველნენ ამათ. აი, ახლა გაიმართა საზოგადო სირბილი, ყიჟინ-ყვირილი, სიცილ-კისკისი, ხვევნა-კოცნა...

სოლომონი ხედავს ამ სურათს, უნდა ისიც წამოდგეს და ამ ხოლოშობილთა გუნდში ჩაერიოს, მაგრამ ვერ მოუხერხებია.

აქამდის შეუმჩნეველი, ახლა ერთმა ყველაზე ლამაზმა ჰარამხანის ქალმა, რომელიც იმის პირდაპირ შესდგა, შენიშნა სოლომონი. ქალმა გაუღიმა, შეათამაშა მკერდი და იმისკენ სრიალით წავიდა. სოლომონი აღტაცებაშია. წამოვარდა ლოგინიდან და ხელები მოსახვევათ გაშალა, მაგრამ... მაგრამ იატაკზე კი პირქვე გაიშხლართა. ამ დროს მოესმა საშინელი კისკისი.

„ჰა!“ შეჰღრიალა სოლომონმა და მარდათ წამოდგა, მაგრამ მარტოოდენი საყამის კაკუნი და ლამპრის შრიალი-ღა მოესმა.

1892 წ.

„ადამიანი!..“

I

თედო გელიაშვილმა გაჰკრა ასანთი და ყელმოღერებული ლამპარი აანთო. იმის ბუნდ შუქზედ პირველად თვით გელიაშვილის მიმკრთალმა სახემ დაიწყო ციმციმი და შემდეგ მთელი ოთახი კედლებით და მოწყობილობით გამოირკვა: ორი დაძველებული, თავებით ერთმანეთზე მიდებული ტახტი, ორი დანჯღრეული მაგიდა და აგრეთვე ტაბლა, რომელზედაც დაბროვებული იყო წიგნები და სხვადასხვა საგნები, როგორც: ჭიქები, საწერ-კალამი, ცარიელი ასანთისა და თუთუნის კოლოფები, ნემსი და ძაფი, გამხმარი პურის ნამტვრევები და კიდევ სხვა ამისთანები. აი, მთლად ოთახის სამკაული, თუ-კი მხედველობაში არ მივიღებთ და სამკაულად არ ჩავთვლით ერთ თიხის მათრათს, რომელშიაც თედო და იმისი ამხანაგი გაბო აბურაშვილი პირს იბანდნენ, და თუნუქის ჩაიდანს, თუნუქისავე ნავთის ჭურჭელს და ნავთის სამზარეულოს, რომელზედაც ჩაისთვის წყალს ადუღებდნენ.

თედო თავის დიდრონისა და მორღვეულის თვალებით დიდხანს დასცქეროდა ყელ-მოღერებულს ლამპარს და რასღაც ფიქრობდა.

— ეჰ, ამისთანა ცხოვრებაც დაიქცეს! — წამოიძახა ბოლოს იმან და წიგნებს წამოავლო ხელი. — დღეს თუ იმას ფული არ მისცეს, სიცივით დავიხოცებით! — განაგრძო ისევ და იქავ ტახტზე მოწყვეტით დაეშვა. ტახტი შეირყა, შეტორტმანდა და უეცრად შუა წელში ჩაიკეცა. თედოც დაჰყვა შუა წელს, რადგანაც ადგომა ვერ მოასწრო და, როგორც ხაფანგში, ტახტის თავსა და ბოლოს შუა მოჰყვა.

— ფუ, შე ვერანო!... — წამოიძახა თედომ და ხველა აუვარდა.

დიდხანს ახველა ყრუდ თედომ და, როდესაც ხველა გადაუვარდა, თავი გაითავისუფლა.

— რა გატოკებთ, თქვე ოხრებო?!. — ბუზღუნით წაუტია გადმოფანტულს წიგნებს, რომლებიც ტახტის შუა წელის ფეხების დანიშნულებას ასრულებდნენ, და შემდეგ ტახტს სწორება დაუწყო.

— მობრძანდით! შენ საფუძვლად დაედე, ხომ თითქმის შენზეა დამყარებული ეხლანდელი მეცნიერება. ახლა შენ ვინ დაგადო ზევიდან, რომ ჩხუბი არ მოგივიდეს?!. აბა შენ ვინა ხარ?.. ჰო შენა?! არა, შენ სულ არ ჩაგრთავ აქ, თორემ არავის მოუსვენებ და ჩემს კოჭლ ტახტს ისევ ეშმაკს შეუსვამ... ისევ შენ მოდი, ჩემო ჭკვიანო, შენ უწყინარი რამა ხარ... ახლა? ეჰ, ვინც უნდა იყოს! თქვენ ფილოსოფოსი-მეცნიერები ხართ, ჩხუბი არ უნდა მოგივიდეთ, თუ აზრებში არ ეთანხმებით ერთმანეთს, ისე უტოკველად, ტანის შეურხევლად იკამათეთ და დაარღვიეთ ერთმანეთის აზრი... რა არის, თქვე დალოცვილებო, მთელი ქვეყნის გასწორებას, შეცვლას ლამობდით და ეს ჩემი მინგრეული ტახტი-კი ვერ დაგიმაგრებიათ!.. ამას შემდეგ რას უნდა მოველოდე თქვენგან?!.

ასე ებაასებოდა თედო წიგნებს ტახტის სწორების დროს და ხამუშ-ხამუშ ყრუთ ახველებდა. ლამპარი-კი ზევიდან ყელმოღერებული თითქოს ზიზღით და დაცინვით დაჰფირფიტებდა იმას.

როდესაც თედომ გაამაგრა ტახტი, საბანი წაიხურა და ისე დაიწყო წიგნის კითხვა. ამ დროს კარები ვიღაცამ დააბრახუნა.

— შემოდი, ვინა ხარ? — წამოიძახა თედომ და ფეხზე წამოდგა.

— წერილი არის თქვენთან! — შემოსვლისთანავე წამოიძახა მოსამსახურე გოგომა და წერილი გაუწოდა.

— ვინ მოიტანა?

— ფოსტალიონმა.

თედომ მაშინვე მოხია თავი და წაიბუტბუტა: „შინიდან იქნება“.

— ქალბატონმა, სახლის ქირა გამოგზავნეთო!

— რაო? — წაუტია თედომ, როდესაც წერილის ფურცლები გაშალა.

— რაო და, სახლის ქირა გამოგზავნეთო! — თამამად უპასუხა გოგომ.

— სახლის ქირა-კი არა, ჭირს გავუგზავნი! — წადი და უთხარ ქალბატონს, ფულებს რომ თხოულობ, რატომ სახლს არ გვითბობ-თქო.

— რითი გაათბოს, თუკი ქირას არ იძლევით?

— შენ ვინ რას გკითხავს?! წადი, ასე უთხარი: „თუ ოთახს თბობას არ დაუწყებ, ერთ გროშსაც ვერ მიიღებ-თქო“.

გოგო გაბრუნდა და ბუზღუნით კარი გაიბრახუნა.

— რა უსინდისოებს შევხვდით!.. ნეტავი ეხლა ფული გვქონდეს, რომ გავსწორებულიყავით და სხვაგან გადავსულიყავით, — გოგოს თვალის გაყოლებით წამოიძახა თედომ და ერთი ორჯერ გაიარ-გამოიარა, რის შემდეგაც ისევ ლოგინს მიმართა — მგონი გარეთ უფრო თბილა, ვიდრე ჩემს ოთახში! — საბნის წახურვის დროს წამოიძახა მან და წერილის კითხვა დაიწყო.

კითხულობდა უხმოდ, ჩუმად და რამდენადაც ქვეით მიდიოდა, იმდენად სახე ეჭმუხნებოდა და უსიამოვნების ნიშანი ეტყობოდა ზედ. წაიკითხა ერთი გვერდი, მეორე და მესამის წაკითხვა კი ვეღარ შესძლო, რადგანაც თვალები ცრემლით აევსო და ტანში მოშლილსავით მკლავები ძირს ჩამოუცვივდა.

— საყვარელო მშობელო! — ტირილის ხმით წამოიძახა და ლოგინში წამოჯდა: — უკანასკნელ მდგომარეობამდის მიგიხწევიათ, არიარად გიხდებათ სიარული და მე-კი იმის მაგიერ, რომ ამისთანა გაჭირების დროს დაგეხმაროთ, პირიქით „ფულები გამომიგზავნეთ“-მეთქი, გწერთ!.. დახმარების მაგიერ, მინდა კიდევ თქვენ გამოგართოთ; გწერთ ჩემის უკიდურესი მდგომარეობის ამბავს, გთხოვთ ფულს და მით გიორკეცებთ თქვენს ტანჯვას. საიდან მოვიპოვე ამისთანა უსინდისობა, რომ მაგრე... ეჰ! საყვარელო მშობელო, მაპატივე, დამნაშავე ვარ

შენს წინაშე... შენმა წერილმა თვალები ამიხილა და ეხლა ცხადად ვხედავ, რომ მე უსინდისოთ მოგექეცით; ვხედავ ჩემს დანაშაულს და კიდეც ეს მტანჯავს, ცეცხლს მიკიდებს; შენი სიტყვები ისარივით მხვდება გულში და ისეც დაწყლულებულს წყლულს მიმატებს... მამი, მამი, შენს თეთრ წვერს პატივი არ ვეცი, შენი ცრემლები შეურაცხვყავ და არ გაგიგონე. ეხლა ვგრძნობ, რომ შენი სიტყვები: „იკმარე, შვილო, ნუ მიდიხარ... შენ გარემოებას დახედე და ისე მოიქეც!..“ — მე არ გაგიგონე. მეგონა, ჩემი გზა ია და ვარდით იქნება დაფენილი და მოვიკლავ სწავლის წყურვილს-მეთქი, მაგრამ რას ვხედავ?!. ხა, ხა, ხა!.. სწავლის წყურვილის მაგივრად, უმნიშვნელოდ, ლუკმა-პურის მოპოვების ბრძოლაში მირბის ცხოვრება!.. რომელს მივდიო?.. ლუკმა-პურს თუ სწავლას? ორსავე ჩავეჭიდე და აი შედეგი: ორად მოხრილი რისღა მაქნისი ვარ? ცუდი გარემოება ზოგს კლდეთ აქცევს და ზოგს კი... ზოგს კი მიწასთან ასწორებს, აქცევს ბუმბულად და, საითაც უნდა, იქით გააქანებს. ნეტარება პირველთ! ისინი ცხოვრებაში გამარჯვებულნი არიან, გმირებად ხდებიან; მეორენი-კი...

სიტყვა ვეღარ დაათავა თედომ, რადგანაც სამინელი ყრუ ხველა აუვარდა, რამაც სული აღარ მოაქცევინა და ჩაბეჭირა. გულზე რაღაც აწვებოდა, უნდოდა ნახველისათვის ამოეყოლებინა, მაგრამ ნახველიც არ ამოდიოდა. დიდხანს ახველა და ბოლოს ძლივძლივობით ამოიღო ნახველი...

რანაირად ესიამოვნა! ამისთანა სიამოვნება, რაც თავი შეუსწავლია, თავის სიცოცხლეში ჯერ არ უგრძვნია. თედო დამშვიდდა, დაწყნარდა და სიამოვნების ოფლმა შუბლზე გადმოჰხეთქა. მთლად დამშვიდებული წამოდგა, სიამოვნებისაგან აცახცახებულ გამხმარ თითებით შუბლი მოიწმინდა და თიხის მათრათში პირიდან ნახველი გადმოაგდო...

— ოჰ, დედავ!.. — წამოიძახა თედომ, როცა პირი გაინთავისუფლა და გაფითრებული სახე ნახველს მიაპყრო, რო ენახა, ასე რა არჩობდა და რის მოშორებამ აგრძნობინა ისეთი სიამოვნება. ყელმოღერებულ ლამპრის ბუნდ შუქზე კარგად ვერ გაარჩია ნახველი და ამისათვის მათრათი ლამპრის ახლო მიიტანა.

რა მოუვიდა თედოს, რომ მაგრე, ისეც გაფითრებული, უფრო გაფითრდა, ხელები საშინლად აუცახცახდა და მათრათი ხელიდან გაჰვარდა, რომელიც მაშინვე იატაკზე ზედ შუაზე გადიშალა?

თედომ ტაბლას ხელი სტაცა, რომ არ გადაქცეულიყო, რადგანაც მუხლები მოეკეცა და გული გადაეფერა, ყურებმა საშინლად შუილი დაუწყო, წელი გაუხურდა და ცივმა ჭირისოფლმა დაასხა ტანზე.

ასე გადაქცევაზე კარგა ხანს იდგა და განძრევას ვეღარ ახერხებდა. იდგა და გაშტერებით, უგონოდ კედლის ერთ წერტილს მისჩერებოდა, რომელიც ჯერ დამსხივნულ რგოლად სჩანდა, მერე თანდათან გადიდდა, სხივები შორს გაჰფანტა; რამდენადაც დიდდებოდა ეს რგოლი, იმდენად უფრო შემოხაზულობას ჰკარგავდა და ბუნდით იმოსებოდა; ბოლოს მთელი კედელი სულ შეიპყრო ამ რგოლმა და მთლად შავ ზეწრად გადაიქცა, რომელზედაც წვრილი ბრჭყვიალა წერტილები დაციმციმებდა და ხანდისხან ბრჭყვიალავე ხაზი გველივით გაიკლაკნებოდა...

წერტილი ჩქარა გამოირკვა. თედოს გაუგრილდა ზურგი, ყურების შუილი შეუდგა და გონი მოეცა, მაგრამ ახლა სიცივის კანკალმა აიტანა.

— ჰუ, ჰუ, ჰუ!.. — განგებ ჩაახველა თედომ და ნახველს თითები მიუშვირა. გადმოფურთხვის უმალვე ის თითები წითლად შეეღება.

— ეს-ღა მაკლდა!.. — გულდაწყვეტით წამოიძახა იმან, როცა წითლად შეღებილ თითებს დაჰხედა, და სასოწარკვეთილებით ჩაიქნია ხელი...

— უჰ, უჰ!.. რანაირად ჰყინავს! — წამოიყვირა ამ დროს შემოსულმა გაბომ, რომელსაც წვერი და ულვაში წვრილის ლოლუებით მოჰედოდა, რის გამოც ის ჭაღარა შერეულ ადამიანსავით გამოიცქირებოდა.

იმას მოჰყვა ორი იმავე სახის და სიცივისაგან წელში ორად მოხრილი ამხანაგი.

— სწორედ გითხრა, ქუჩაზე მეტად არც აქ თბილა!.. —

ხელების ფშვნეტით წამოიძახა ერთმა მათგანმა და თედოსთან ხელის ჩამოსართმევად მივიდა.

— ჩვენ, ჩემო გიგილო, პრინციპით არ ვათბობთ ოთახს! — უპასუხა გაბომ და ისიც თედოსთან მივიდა, რომელმაც ღიმილით გაუწოდა ხელი ჯერ გიგილოს და მერე მეორე ამხანაგს.

— ბიჭო, რა მოგსვლია, რა ნაირად გაფითრებულხარ?! — გაკვირვებით ჰკითხა გაბომ თედოს.

— არაფერი, რა უნდა მომსვლოდეს! — ძალ-დატანებულის ღიმილით უპასუხა თედომ.

— ეგ სულ ეგეთი გაყვითლებულია და ეხლა შეამჩნიე? — უპასუხა მეორე ამხანაგმა თედოსთან ერთად გაბოს და, როცა არყით სავსე დიდი ბოთლი ტაბლაზე დასდგა, დაუმატა: — აბა, ე ქაფიანი გადაჰკრას, როგორ გაწითლდეს!

— ეგ სადღა გიშოვნია?

— არ იცი, რომ მამა-შენმა გამოგიგზავნა? — სიცილით უპასუხა გიგლამ.

— რაც მამა-ჩემმა გამომიგზავნოს, ის მამა-შენს დააკვეხე, — სამაგიეროდ თედომაც იოხუნჯა და გაიცინა.

— ემანდე, ქაფიანის დანახვაზე როგორ მომხიარულდი!.. — სიცილით სთქვა მეორე ამხანაგმა და თედოს მხარზე ხელი დაჰკრა.

— ქაფიანის დანახვაზე-კი არა, შენ დანახვაზე მოვმხიარულდი, ჩემო ფიდო!

— ბიჭო, მე ხომ ქალი არა ვარ, რომ კომპლიმენტს მეუბნები?!

— რა დროს ეგენია, ძალზე მშიან! — გააჩუმა გიგლამ ფიდო და თედო და შემდეგ გაბოს ჯიბეებს დაუწყო ქექვა.

— ამოალაგე, საროდიოდ-ღა ინახავ!

— აჰა, გაძეხ! — უპასუხა გაბომ და ჯიბიდან ქაღალდში გახვეული ხორცეულობა ამოაწყო.

— რა, ფული მოგცეს, გაბო? — ჰკითხა თედომ, როდესაც გიგლომ გახსნა ხორცეულობა.

— მომცეს და ეს ოხრებიც მაშინვე გზაში შემხვდნენ. რა-

კი გაიგეს, რომ ფული მაქვს, აღარ მომცილდნენ, — სიცილით უპასუხა გაბომ.

— იცი, თედო, მე და ფიდო მოვდივართ და შევხედოთ, შენი გაბო არყის სავაჭრო დუქნისკენ აცეცებს თვალებს. მაშინვე ვსთქვით: „აქ კაი ამბავი უნდა იყოსო“, და წინ ვუყურეთ. „აი, თქვე... კუდმა გაგიგოთო!“ წამოიყვირა გაბომ, ჩვენ რომ წინ შევეფეთეთ, და სიცილი მორთო. კუდმა კი არა, თითონვე გაგვაგებინა. ჩვენც, რასაკვირველია, ამის სიცილს ბანი მივეცით...

— რას არ მომცემდით ბანს, როცა ჩემს ჯიბეში გეგულებოდათ!.. — სიცილით გააწყვეტინა გიგლას სიტყვა გაბომ და პალტოს გახდა დაიწყო.

— ნუ გეშინიან, ჩემო გაბო, სახვალიოდაც დაგრჩა:

„სანამ გვქონდეს ფულები,
ვჭამოთ მოხრაკულები,
როცა შამოგველიოს,
ჩამოვყაროთ ყურები“.

— ვაი, ვაი, შენს პატრონს!.. ეხლა მამა-შენი ფიქრობს, შვილი უნივერსიტეტში მყავს, მეცნიერი ჩამომივაო!.. — სიცილით უთხრა გაბომ და მერე თედოს მიუბრუნდა: — ბიჭო, გაკვეთილზე არ წახვალ?

— მართლა, სულ გადამავიწყდა! პალტო რა უყავი?

— აი, — უპასუხა გაბომ და თავისი პალტო მიაწოდა.

— რა დროს გაკვეთილია, ქაფიანი აქა დგას! — წამოიძახა გიგილომ.

— სანამ ჩაის მოამზადებთ, მეც მოვალ. — უპასუხა თედომ და პალტოს ჩაცმა დაიწყო.

— შენი პალტო რაღა უყავ? — ჰკითხა ამ დროს ფიდომ.

— ჩემი კასსაში მივაბარე, რომ არ გამიფუჭდეს, — სიცილით უპასუხა თედომ და გაბოს პალტო ჩაიცვა.

— მაინც?

— მაინც და — დავაგირავე.

თედომ აიჯეჯა პალტოს საყელო ყურებ ზევით. გაბომ კი ჩაიდანს ხელი წამოავლო და ჩაის თადარიგს შეუდგა.

— დიდხანს არ გვალოდინო! — თითქმის ყველამ ერთად შიაძახეს მიმავალ თედოს.

— არა, — უპასუხა თედომა და კარი გაიხურა.

ის იყო თუნუქის ჩაიდანში წყალი ადუღდა, რომ თედომაც კარი შემოაღო.

— ბიჭო, ჩვენ გვეგონა, ცდა დაგვჭირდებოდა, შენ კი მაგრე ჩქარა მოხვედი! — ერთხმად წამოიძახა ყველამ და მაშინვე ფაცა-ფუცი შეუდგათ, რომ უკედ შემოსხდომიყვნენ ტაბლას.

— დაუმადლეთ ჩემს შეგირდს!

— როგორ, შინ არ დაგიხვდა? — ჰკითხა გაბომ.

— ღმერთმა უშველოს! — წამოიძახა გიგლამ გაბოს კითხვის შემდეგ.

— შინ კი დამიხვდა, მაგრამ ისე გამაჯავრა, რომ გამოვეჭეცი.

— როგორ, ხომ დაგეკარგება გაკვეთილი?!

— თვითონაც რომ ძალიან მოისურვოს ჩემი იქ მისვლა, მე აღარ წავალ.

— რა მოუვიდა, რომ მაგრე გასწყრომიხარ?

— ეშმაკმა რომ წაიღოს იმისი თავი! ღმერთმანი, ჩემი ამბავი სასაცილოც არის და სამწუხაროც. კაცო, ის იმოდენა ჩოკინაა, მეხუთე კლასშია და იმდენი არ იცის, რომ, როცა რეპეტიტორი უხსნის, ყურის გდება უნდა...

— მერე, რა მოუვიდა? — ცნობის-მოყვარეობით ჰკითხა გაბომ და ჩაიდანი ტაბლაზე დადგა.

— ისა, რომ მე გამალებული ალგებრის ამოცანას ვუხსნი, ვეჩქარები, არ დამაგვიანდეს-მეთქი და ის კი ამ დროს, ვინ იცის, სად დაფრინავს!.. მე ვეკითხები: „შემდეგ რა მოქმედებას უნდა მივმართოთ, რომ“... იმან გამაწყვეტინა კითხვა და: „ხვალ სტუმრად მივდივართ და იქ ჩემ პაშას ვნახავო“, მითხრა. ეს კიდევ არაფერი. ცოტა ხანს შემდეგ, ეშმაკად იმისმა დამ ზალაში ფორტოპიანოზე რაღაც ვალსი დაუკრა და ამ ბიჭს ელექტრონივით დაუარა ტანში. პასუხის მაგივრად იმან ხმის აყოლება და სავარძელზე მჯდომარემ ნაზად მთელი ტანით

რხევა დაიწყო; მერე, როცა უფრო ეშხზე მოვიდა, წამოვარდა და თავ-გადაგლეჯით ცეკვა მორთო.

მე ვეუბნები: „რა გემართებათ, მოდით!“ შენ არ მომიკვდე, რომ იმან ყური არც კი მათხოვა. ვზივარ და ველი, როდის მოიკლავს ცეკვის ჟინს-მეთქი, რომ განვაგრძო, იმისი და კი, უფრო და უფრო უკეთ უკრავს და ფორტოპიანოს გრიალი გააქვს. „ადექით, ვიცეკვოთ!“ უეცრად დამტაცა ხელი და წამომაყენა. მე ისეთი ჯავრი მომივიდა, რომ კინაღამ სილა ვაჭამე. კიდევ კარგი, თავი შევიმაგრე, თორემ, შენი მტერი, სისულელეს ჩავიდენდი რასმე. მე გავაშვებინე ხელი და ხმის ამოუღებლად წამოვედი...

— ნეტა, მაშინ იქ ვყოფილიყავი და დამენახა შენი თავი, როგორ შემოგატრიალებდა შენი შეგირდი! — ხარხარით წამოიძახა ფიდომ, რომლის ხარხარსაც ბანს აძლევდნენ დანარჩენებიც.

თედოს ამბავმა ყველანი გულიანად გააცინა. იცინოდნენ დიდხანს და თან მასხარაობდნენ. იცინოდა თედოც...

— ხვალ მივწერ იმის მამას, რომ აღარ შემიძლიან იმის შვილთან მეცადინეობა.

— შენა გგონია, შეგეხვეწებიან! — თითქმის ყველამ ერთად უთხრა თედოს.

— ნუ შემეხვეწებიან რა! თავი მოსაკლავი კი არა მაქვს, რომ ყოველ დღე ნაღველზე ვსკდებოდე!

— თუ დაანებე, ხვალ გაკვეთილს იშოვი, აი!

— არ ვიშოვი და ჯანი და სული წაუვიდეს! ისევ სიმშილით სიკვდილი სჯობია, ემაგნაირს გულის ხეთქას. ეგ ერთხელ რომ მოსვლოდეს, კიდევ არაფერი, მაგრამ თითქმის ყოველ გაკვეთილზე მაგრე იქცევა. ათასი სისულელე უნდა ჩაიდინოს.

— ხვალამდის დაგავიწყდება, ჩემო თედო! ჯერ მოდი, ემას მოველაპარაკოთ! — წამოიძახა გიგლამ და არაყი დაასხა.

— ეს შენი შეგირდის დაჭკვიანებისა იყოს! — სიცილით წამოიძახა იმან და სავსე ჭიქა უეცრად გამოცალა.

ამით აუხსნა გიგლამ დანარჩენებს პირი. ყველამ ჩამოირიგა ორ-ორი ჭიქა და თან გამალებულებმა ჭამა დაიწყეს.

დაასხეს კიდევ და დალიეს. კიდევ, კიდევ და კიდევ. როცა არაყმა თავისი ძალა გამოიჩინა და ენა ამოადგმევინათ, მაშინ შეასვენეს ბოთლი და ბაასს მოჰყვნენ: ბაასობდნენ თავიანთ წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. ბევრი ვარამი და დარდი, ბევრი ავი და კარგი მოაგონდათ წარსულისა და შესაფერი გრძნობა იპყრობდა იმათ გულს, რის მიხედვითაც იმათი სახე ხან იღრუბლებოდა და ხან იდარებდა; ხოლო ახლა უფრო მკაფიოდ და ნათლად აჩნევდა კვალს იმათ სახეს გრძნობა, ვიდრე სიფხიზლეში; ახლა გრძნობა უფრო ღრმად, მთელის არსებით იპყრობდა იმათ. ყოველი მათი სიტყვა უფრო გრძნობით ითქმოდა, რის გამოც ერთმანეთზე უფრო ძლიერად მოქმედებდნენ.

არც ერთი ღირსშესანიშნავი შემთხვევა, თუკი რაიმე მნიშვნელობა ჰქონია იმათ ცხოვრებაში, მოუგონებელი არ დარჩენილა.

წარსულიდან და აწმყოდან, თავიანთ შეუმჩნევლად, მომავალზე გადავიდნენ. წარსულიდან უკვე მომხდარ ამბებს იგონებდნენ და ამის შესახებ მსჯელობდნენ, ხოლო ის კი ვერ გამოეკვლიათ, თუ რანი იყვნენ და რანი არიან, მომავალზე ხომ სულ ვეღარა სთქვეს-რა და მსჯელობის ძაფი გაუწყდათ.

ვერც ერთმა მათგანმა ცოტად თუ ბევრად ვერ დაასურათა თავიანთი მომავალი, ვერ გამოარკვია, თუ რისთვის ითმენდა წარსულში ან ითმენს ახლა ამოდენა სიდუხჭირეს; რა იქნება და ან რას გააკეთებს მომავალში, როცა ცხოვრების მორევში ჩაერევა. ყოველივე ეს ბუნდით იყო მოცული. მარტო გრძნობდნენ, სწამდათ, გონების თვალით ხედავდნენ შორს, ძალიან შორს რაღაც ბრწყინვალეს, რომელსაც უნდა ემსახურნენ, რაც იდეალად უნდა ჰქონოდათ, მაგრამ იმას კი ვერ მიხვედრილიყვნენ, თუ ეს საგანი რა იყო: ვერ გამოერკვიათ, ღირსი იყო ეს საგანი იმისი, რომ იდეალად დაესახათ, მაგოგად გაეხადათ, რომელსაც უნდა ემსახურნენ და სიცოცხლე შესწირონ, რომელიც აწმყოში და მომავალში უნდა აღფრთოვანდეს. იქნება ეს შავი ფარდის იქით მბრწყინავი საგანი მათი მუცელი იყოს, რომელსაც დაუღია ხახა და მარტო იმას გაიძახის: „მე მომიტანეთ მსხვერპლი, მე!.. ჩემს გარდა ყოვე-

ლივე ფუჭია!..“ არა, არა!.. გინდაც ეგ გაიხადონ მომავალში თავიანთ კერპად, ახლა მაინც არ იყაბულებენ ამ აზრს; ამის გაგონებაც კი ჟრუანტელს მოჰგვრის ტანში ისე, როგორც ახლა ფიდოს სიტყვებმა მოჰგვარა, როცა იმან მუცელზე ხელი დაიკრა და დაიძახა: „აი, ჩვენი პირველი და უკანასკნელი „მიზანიო!“

— დამისხით არაყი!.. — უეცრად შესწყვიტა თედომ სიტყვა. თედო ამტკიცებდა დიდის გრძნობით თავიანთ უნუგეშო მდგომარეობას. ახლა უცებ მიმართა გიგლას, რომლის წინაც ბოთლი იდგა. — დამისხი! — კიდევ წამოიძახა მან და, როცა სავსე ჭიქა მიაწოდა გიგლამ, სწრაფად გამოსცალა. — კიდევ!.. — სასოწარკვეთილებით წამოიძახა და ცარიელი ჭიქა გიგლას გაუწოდა, რომელმაც გაკვირვებით მაშინვე აუვსო, რადგან თედო ამნაირად აღელვებული ჯერ არ ენახა.

— მეგობრებო, — განაგრძო შეწყვეტილი სიტყვა მისუსტებულის ხმით, როცა ჭიქა აუვსეს: — ჩვენ ახლა გალიაში ახლად გამომწყვდეულ ლომს ვემსგავსებით, რომელიც ხან ერთს კედელს ეცემა და ხან მეორეს; უნდა გასვლა, მაგრამ ვერ გაუნგრევია მისი კედლები. ჩვენც ხან იქით ვეცემით და ხან აქეთ, ხან ერთს საგანს ჩავჭიდებთ ხელს, ხან მეორეს, გვინდა ესეც, ისიც; გვინდა, ამასაც მოვკიდოთ მაგრად ხელი და იმასაც, და ვერც ერთს კი მივწდომივართ, არა გვაქვს გამორკვეული საგანი ცხოვრებისა, იდეალი. ჩვენის წინაპრების სასურველ-სატრფიალო უარვყავით, ის აღარ გვაკმაყოფილებს, ახალი კი ჯერ არა შეგვიქმნია-რა. ძნელია ამნაირი უკიდურესი მდგომარეობა, ძნელი, და როდის მოეღება ბოლო ამისთანა ყოფას, ამის გამოცნობაც ძნელია. ვინ იცის, იქნება სულ მოკლე ხანში მოეღოს ბოლო, რადგანაც ცოტაოდენ ნიშნებსა ვხედავ, და ეს, ცოტა არ იყოს, იმედის ნაპერწკალს გვიღვივებს!.. ვწუხვარ, ვწუხვარ სულითა და ხორცით, რომ ჩვენ ამ... ჰუ... ჰუ... ჰუ... — თედომ ველარ დაათავა სიტყვა, რადგანაც ხმა მიუწყდა და ძლიერი ხველა აუვარდა.

თედომ დასდგა სავსე ჭიქა და ნახველს თითები შეუშვირა. ნახველს ერთი ვეება სისხლის კუნთი ამოაყოლა. ამხანაგებმაც და თითონაც ეს გარემოება კარგათ შენიშნეს.

— აი... შედეგი ამ მდგომარეობისა!.. ნეტავი თქვენ!.. იქნება მოესწროთ ამ უკიდურეს მდგომარეობის მოსპობას, მე კი... მე კი, ეჰ!.. — მწარედ ჩაიქნია ხელი და მოსხლეტით დაეშვა ტახტზე.

II

დიდი ხანია, რაც და-მოწყალებისამ დაათვალიერა კლინიკის შინაგანი ავადმყოფობის განყოფილება, სადაც თედო ბალიშზე გადასვენებული, მთლად ყვითლად მოქცეული, იწვა და აჩქარებით სუნთქავდა. იმან აიარ-ჩაიარა და როდესაც თედოსთან მივიდა, შედგა და გულმტკივნეულობით თავის ქნევა დაიწყო: „საწყალი, წუხელის მოიყვანეს და როგორ ჩქარა მისუსტდა!..“ მერე ლამპარს ჩაუწია და ფეხაკრეფით გავიდა. ამ დროს თედომ გაახილა თვალები და მიმავალ დას ლმობიერებით გახედა, რადგანაც დღეს მარტო იმან შეიბრალა და ღვიძლ დასავით თავს ევლებოდა. ის რომ არ ყოფილიყო, დღეს პროფესორი სტუდენტებით ზეზეულად სულს ამოართმევდა „ღმერთო, რანაირად მტანჯავენ“, — ფიქრობდა თედო, როდესაც პროფესორმა ის ზეზე წამოაყენა და მთელი საათი ხან ზურგზე და ხან გულზე ჩაქუჩებით სტუდენტებს აბრაგუნებინებდა. „გესმით, — ეუბნებოდა პროფესორი სტუდენტებს: — როგორ ხმას იღებს?.. აბა, ეხლა ყური მიადეთ და სუნთქვის ხასიათი კარგად დაიხსომეთ... როგორც ანემნეზი გვიჩვენებს, წუხელის ამოსდენია სისხლი და ვეღარ შეუწყვეტიათ. აი, ეხლაც რამოდენა სისხლს ანთხევს ყოველ დახველებაზე. თითქმის ნახველის მაგივრად სულ სისხლი ამოსდის“. — ამ სიტყვებზე სისხლით სავსე ჭიქა გამოართო თედოს და სტუდენტებს მიაწოდა. „აბა, ნახეთ, თქვენის აზრით, რაგვარი სისხლია, არტერიისა თუ ვენისა?“ სტუდენტები რომ სისხლის გაჩხრეკაში იყვნენ და ხან არტერიისას, ხან ვენისას გაიძახოდნენ, ზოგი კი ამ დროს „შერეულიაო“, იძახდა, თედოს გული აუჩქროლდა და კინაღამ არ გადაიქცა. კიდევაც გადიქცევოდა, რომ ამ დროს შემოსულ დას ხელი არ ეტაცნა და მზრუნველობით ლოგინში არ ჩაეწვინა. „დაიღალეთ? — ჰკი-

თხა პროფესორმა თედოს, როდესაც ის დამ მიაწვინა და თან დაუმატა: — არა გიშავთ-რა, მეცნიერების გულისათვის მოითმინეთ". — ვითმენ, ბატონო პროფესორო, ვითმენ მეცნიერების გულისათვის, ხოლო თქვენ კიდევ კაცთ-მოყვარეობის გულისათვის შეიბრალეთ ხოლმე ავადმყოფი!.. — მწარის ღიმილით უპასუხა თედომ და და-მოწყალებისას შეჰხედა, რომელსაც იმის სიტყვებზე თვალებზე ცრემლი გადმოეკიდა. ცრემლის დანახვაზე თედოს გულში სიხარულის სხივი ჩაეშვა და მთელი ტანი სულ შეურყია. იმას გაუხარდა, რომ აქ მოიპოვება ისეთი არსებაც, რომელსაც სხვისი ჭირი თავისად მიაჩნია. თედომ გატაცებით სტაცა ხელი და თავდავიწყებით დაეკონა. „ნუ ღელავ, ნუ, ჩემო ძმაო!" უთხრა ანგელოზისებრ წყნარად დამ და შუბლზე აკოცა.

აი, ეს იყო მიზეზი, რომ თედომ მაგრე ლმობიერად გააყოლა თვალი დას და დიდხანს უმზერდა კარებს, სადაც იმისი ჩრდილი კარგა ხნობამდის არ მოშორებია თედოს თვალებს. გაქრა აჩრდილიც, მაგრამ თედო მაინც თვალს არ აშორებდა იმ ადგილს და სახე თანდათან ეჭმუხნებოდა.

— ოჰ, ღმერთო!.. მიშველეთ!.. — ამ გულის სიღრმიდან ამოხეთქილმა სიტყვებმა გამოიყვანეს ფიქრიდან და იქით მიაზედეს, საიდანაც ხმა მოესმა.

ჩაწეულ ლამპრის ბუნდ შუქზე გაარჩია, რომ მისი მეზობელი ავადმყოფი მბრწყინავ თვალის კაკლებს უგონოდ აბლატუნებდა და ხელებს, თითქოს ეძებს რამესაო, აქა-იქ აცაცუნებდა.

— ძმობილო, რას ეძებ? — მისუსტებულის ხმით ჰკითხა თედომ, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

კიდევ განუმეორა კითხვა.

— ჰა!.. ჰა!.. არ მინ...და...არ... — პასუხის მაგივრად წაშოიძახა მეზობელმა და ქვითინი მორთო.

„სიზმარში იქნება", გაიფიქრა თედომ და ადგომა დააპირა, რომ გაეღვიძებინა, მაგრამ წელი ვეღარ აიტანა.

— ააა!.. — წამოიყვირა ამ დროს მეზობელმა და უეცრად წამოჯდა. იმის თვალებს ელვარება უფრო მოემატა; ელვარე მისი თვალები დააშტერდა ერთ წერტილს.

თედოს ტანში შიშის ჟრუანტელმა დაურბინა. უნდოდა თვალი მოეშორებინა, რომ მისი მოელვარე თვალები აღარ დაენახა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

— ცა�ა! — აკანკალებულის ხმით წამოიძახა მან ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მოელვარე გაშტერებულ თვალების წინ დაიჭირა.

— ცااا!.. — ცა! ცა!.. ცცცც!.. ცს... სსს!. — უაზროდ გაიძახოდა ის და თან თითი წინ მიჰქონდა. ხოლო, როდესაც „ცა“... „ცს“.. და „სს“...-ზედ შეეცვალა და მარტო ოდნავ-ღა სისინებდა, თითის მოძრაობა შეაჩერა. ცოტა ხანიც და ხმა სულ მიუწყდა.

თედომ მოიკრიბა უკანასკნელი ღონე და უეცრად ფეხზე წამოვარდა. ის-ის იყო თედოს ხელი უნდა წაევლო გაშეშებულ ავადმყოფისათვის, რომ იმან საშინლად წამოიყვირა; „ვაი!... ვაი!...“ და გულაღმა ლეიბზე გაიშოტა. ამ მოულოდნელმა ღრიალმა თედოს თავზარი დასცა და ის უგონოდ იატაკზე დაეცა.

როდესაც გონს მოვიდა, დაინახა, რომ რამდენიმე ავადმყოფი თავს ედგა და საბანს უსწორებდა.

— რა ამბავია? — მიკნავებულის ხმით იკითხა მან თვალების გახელის უმალ.

— არაფერი, ლოგინში ჩაგაწვინეთ, — უპასუხეს იმათ და საბანი ჩაუკუნჭეს.

— როგორ, საიდან?

— ძირს გადმოვარდნილიყავ და შენს ყვირილზე და ბრახუნზე გამოგვეღვიძა.

— აა!.. ის... ის როგორ არის?

— ვინ?

— აი ის, — უპასუხა თედომ და ხელი მეზობლისკენ გაიშვირა.

— მომკვდარა! — თითქმის ერთხმად წამოიძახეს ავადმყოფებმა თავების ქნევით, როცა თედოს მეზობელი გასინჯეს.

— მომკვდარაააა! — სულის კვეთებით შესძახა თედომ და თვალები მიელულა.

ავადმყოფებმაც ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მოსამსახურეს შეატყობინეს ეს ამბავი, რომელმაც მაშინვე მიცვალებულის ორი გამტანი მოიყვანა. იმათ შეახვიეს თედოს მეზობლის გვამი ტილოში და გულ-გრილად, თითქოს აქ არა ამბავია რაო, ოთახიდან გაიტანეს.

მიწყდა ფეხის ხმა. მიწყდა ამ ამბით გამოწვეული ოხვრა და დაბალის ხმით ბაასი გამოღვიძებულ ავადმყოფებს შორის. ყველა ამათ, მწარე ფიქრებში გართულებს, მიეძინათ და ხამუშ-ხამუშ ძილში-ღა წამოსკდებოდათ ხოლმე ღრმა ოხვრა და კვნესა.

მარტო თედოს თვალს არ ეკარებოდა ძილი. იმას ათასი შავი ფიქრი აეშალა და უწყალოდ ქეჯნიდა. უნდოდა როგორმე დაეძინა, რომ ცოტა ხანს მაინც განთავისუფლებულიყო ამ ფიქრებისაგან და გახურებული თავი გაეგრილებინა, მაგრამ ამისათვის ძილი არსადა სჩანდა. მალი-მალ წარმოუდგებოდა თვალწინ მომაკვდავი მეზობელი და ეს გარემოება ძალა-უნებურად აფიქრებინებდა, რომ ისიც. ეხლავე თუ არა, ცოტა ხანს შემდეგ, ან ხვალ, იმავე გარემოებაში ჩავარდება, რომელშიაც იყო იმისი მეზობელი და იმის უსულო გვამსაც ისე გაიტანენ, როგორც მეზობლის გვამი გაიტანეს. გრძნობდა, რომ მალე უნდა მომკვდარიყო; პროფესორმა სტუდენტებს ხომ მასთან პირდაპირ გამოუცხადა, რომ ფილტვის ავადმყოფობა დამართნია და ამასთან, როგორც ნახველის მიკროსკოპიულმა განხილვამ გვიჩვენა, დიდის ხნის Tuberculosis pucumonym (ჯირკვლიანი სიჭლექე), რომელიც ახლა ამის სხეულზე სწრაფ მოქმედებას იჩენსო.

„უნდა მოვკვდე!..“ — გაიფიქრა თედომ და მწარე ღიმილმა ტუჩებზე ოდნავ გადუქროლა: „მაგრამ, — განაგრძო მან: — მაგრე მალე?.. ჯერ რა მიცოცხლია, რა გამიკეთებია, რომ ასე მალე მესპობა სიცოცხლე?!. რა კვალი დარჩება ჩემს შემდეგ?.. ნუ თუ ასე უმნიშვნელოდ უნდა გავიარო, კვალდაუმჩნევლად, ისე როგორც არ სტოვებს კვამლი ჰაერში კვალს?! ფუ-კი მაგრე უმნიშვნელოდ გავივლიდი ცხოვრების

გზას, რისთვის-ღა გავჩნდი, რა ჰქონდა აზრად ჩემს გაჩენაში ბუნებას?.. ნუ თუ იმისათვის ვცოცხლობდი, რომ გავჩნდი და ვკვდები, რომ ვცოცხლობდი, ვვარსებობდი?!. ჰმ!.. მაშ რა ვარ, რა სახელი მეწოდების?..“

თედო ამ კითხვაზე უეცრად ორ პიროვნებად გაიყო, ორ არსებად გადაიქცა, და ერთმა მათგანმა წამოიძახა: „ადამიანი!..“ — „ადამიანი?!“ — გაკვირვებით დაეკითხა მეორე პიროვნება თედოსი პირველს. „ჰო!“ „ხახახა... ადამიანი!.. რისთვის უნდა ვიყო ადამიანი, როდესაც მე ჯერ არა გამიკეთებია-რა!.. რა გავაკეთე?..“ „არაფერი“. „არაფერი და მაინც ადამიანი ვარ?!. სტყუი, სტყუი, გაჩუმდი!“ „მაშ რა არის ადამიანი?..“ „ადამიანი არისსს...“—დაიწყო თედოს პირველმა პიროვნებამ, მაგრამ აზრი ვეღარ დაათავა. ის სწრაფად შეუერთდა მეორეს და თედო ისევ ერთ პიროვნებად გადაიქცა, რომელსაც უნდა აეხსნა საკითხი.

„ადამიანი!.. ადამიანი!.. აადამიანიიი!..“ ძალას ატანდა თავის თავს თედო, მაგრამ აზრი აზრს არ ეკარებოდა; თითქმის იმის თავში მარტო ერთი წარმოდგენის მეტი აღარა მოიპოვებოდა-რა, და სიტყვა „ადამიანი“ ისევ სიტყვად დარჩა და შინაარსი ვერა მოუპოვა-რა.

გონება თანდათან უჩლუნგდებოდა, და „ადამიანის“ რამდენჯერმე ნაწყვეტ-ნაწყვეტ გამეორებით ბურანში შევიდა...

— ის ვინ მოჩანს? — წამოიყვირა თედომ, როდესაც თვალწინ წარმოუდგა ყვავილებით შემკულ ბექობზე მშვენიერი არსება.

— ისაა, ისა!.. ჩემი ელო!.. აკი მამა-ჩემი მწერდა: ელომ თავი მოიწამლა, რადგანაც ძალით სხვაზე ჯვარი უნდა დაეწერათო... აი, მამაჩემო, რად მატყუებდი, რადა?..

ქალი-კი ამ დროს თავ-ჩაღუნული იდგა და ყვავილებს უღიმოდა.

— ისაა!.. ჩემი ელო!.. აგერ, თავი მაღლა უნდა აიღოს!.. მიცინის... ვეღარ მცნობ, ჩემო ელო?!. — წამოიყვირა და გაექანა იმისაკენ.

— თედო, აქ ვინ მოგიყვანა?.. ღმერთო, კიდევ შევხვდით ერთმანეთს!.. თედო, თედო, თედო!.. ჩემო ძვირფასო!..

— ელო, ელო!.. — დაიძახა თედომ და თავდავიწყებით ჯულში ჩაიკრა.

— თედო, გენაცვა, ეს რა მოჩვენებაა?! ნუ თუ ეს ყველაფერი მართალია?! — სვენებ-სვენებით იძახდა ელო, რადგანაც მეტის აღელვებისაგან მოუძლურდა და თედოს მკლავებს შუა ლაფანივით იქნებოდა.

ქალს მკლავები თედოს მხრებზე ჰქონდა გადადებული, და ასე მიშვებულს თედო თავის ტუჩებს გიჟსავით აწებებდა იმის მშვენიერს ლოყებსა და ტუჩებზე. ნიავი კი, ყვავილების სუნელოვანებით მაძღარი, ნაზად არხევდა ელოს ზურგზე გადაფენილ თმას და, როდესაც ცოტათი მოუმატებდა თავის ძალას, თედოს კისერს გველსავით შემოახვევდა ხოლმე.

— ეხლა სულ ერთად ვიქნებით, განა, ჩემო ელო!.. ჩვენ ერთმანეთს ველარავინ გაგვაშორებს! — ეუბნებოდა თედო ხვევნაში და თან გრძნობა უფრო უცხოველდებოდა.

— ჰო, ჰო, ჩემო კარგო!.. — თავის მხრივ ეუბნებოდა ელო.

— სამი წელიწადია განა, ერთმანეთი არ გვინახავს? — ჰკითხა თედომ, როდესაც კოცნა შესწყვიტა და აღგზნებულის თვალებით მზერა დაუწყო ელოს.

— სამია და მე სამ საუკუნედ მეჩვენა, ჩემო თედო! ეხლა კი აღარსად გაგიშვებ, სულ ჩემთან იქნები!..

— ძალითაც რომ გამაგდო, არსად წავალ! შენი ვარ სამუდამოდ. ეხლა ჩქარა გავათავებ უნივერსიტეტს და ჯვარს დავიწერთ. აი, მაშინ იქნება ჩვენი დრო! — აღტაცებით წამოიძახა თედომ და მოსახვევნად ხელები გაშალა.

— არ მინდიხარ!.. — ეშმაკურად ხელი ჰკრა ელომ და გაიქცა.

— სად გარბიხარ, კუდრაჭავ, შენი ეშმაკობა მოიგონე?! — მიაძახა თედომ და უკან დაედევნა.

თედოს სიტყვებზე ელო უეცრად მოტრიალდა და ხელები მოსახვევნად თედოსაკენ გაიშვირა.

— ვერ გარბენინე?! — გულიანის, უმანკო სიცილით უთხ-

რა ნიშნის მოგებით და გადაშლილი თმა თავის გაქნევით შეიბერტყა.

— ელო, რა ლამაზი რამა ხარ! — გატაცებით შესძახა თედომ და გულში ჩასაკონად მომზადებულ ელოს ღონივრად მოჰხვია მკლავები.

— აღარ გახსოვს, ჩემო ბუტიავ, როგორ დავრბოდით ხოლმე მე და შენ მინდორში და ვკრებდით ყვავილებს?

— განა ეგ დამავიწყდება. ჩემო კუდრაჭავ! ეგეც რომ დამავიწყდეს, სხვა რაღა უნდა მახსოვდეს. მაგის მეტი სიკეთე რა მომაგონდება ჩემი ცხოვრებიდან!

თედო და ელო გადახვეულები ჩასხდნენ იქვე ყვავილებს შუა და დაიწყეს ტკბილად ჭუკჭუკი. იგონებდნენ წარსულს, ერთად გატარებულ დროს, და ამით სიამოვნებდნენ.

მოიგონეს ისიც, თუ როგორ განშორდნენ ერთმანეთს ამ სამი წლის წინად, როდესაც თედო სასწავლებლად გაემგზავრა და ერთმანეთს შეჰფიცეს...

— იცი, თედო, შენ რომ მიდიოდი, მე მეგონა, აღარ დაბრუნდებოდი; მტანჯავდა ეს აზრი, მინდოდა დამეშალა შენთვის, მაგრამ ვეღარ გაგიბედე, ვაი თუ დამცინოს-მეთქი.

— სულელო, ეგ რამ გაფიქრებინა?! — სიცილით უთხრა თედომ.

— რა ვიცი!.. — სიცილითვე უპასუხა ელომ.

— ხომ დაისვენე? — ჰკითხა ელომ ცოტა სიჩუმის შემდეგ და მარდად წამოხტა ფეხზე. — წავიდეთ, კიდევ ვირბინოთ.

— ვირბინოთ! სირცხვილიც არის, ბებრებივით ჩავსხედით და წარსულს ვიგონებთ, როდესაც წინ ჯერ ბევრი რამ უკეთესი მოგველის! — უპასუხა თედომ. ისიც მარდად წამოხტა.

— აბა, ვინ წინ და ვინ უკან! — წამოიძახა ელომა და გაიქცა.

— დაგეწევი, კუდრაჭავ!

— ვერა!

გარბის ელო, უკან თედო მისდევს. ორივენი ცდილობენ,

რაც შეიძლება, მარდად გაიქცნენ. უეცრად ორივემ იგრძნეს, რომ ფრენა შეუძლიანთ. გარბიან, თითქმის დედამიწას ფეხს არ აკარებენ. მიფრინავენ, დასრიალებენ, დანავარდობენ ჰაერში და უზრუნველად ერთმანეთს ეალერსებიან და ეხვევიან. გაისრიალეს ათასფრად აყვავებული ტყე, მინდორი, ღელეები და მთები. ყველა ამათის მზერით სტკბებოდა და ამათ მნახველთ ერთმანეთისადმი გრძნობა უცხო

— ელო, ელო, ჩემო კარგო! რა ბედნიერი ვარ, რომ შენ ჩემთანა ხარ!.. — ეუბნებოდა თედო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ელოს გულში იკრავდა, თითქოს უნდოდა ელო სრულიად შეეხორც-შეეთვისებინა და ასე ერთ არსებად ქცეულიყვნენ ორივენი...

უკვე ერაჟრაჟნა. და მოწყალებისა შემოვიდა, რომ ავადმყოფებისათვის დილის ლოცვა წაეკითხნა და პირველად თედოსთან მივიდა. თედო ამ დროს უკანასკნელად შეკრჟოლდა და სამუდამოდ თვალები დახუჭა.

— გარდაიცვალა!.. — წამოიძახა მწუხარებით დამ და თედოს გამხმარ სახეს დაეკონა.

მშობლის მაგივრად მან დაასველა თედოს სახე ცრემლით და საუკუნოდ განსვენება უსურვა.

ვარშავა. 3 დეკემბერს 1892 წ.

„არ გვინდა, არა!“

(სურათი)

— ტყუილად შეეცდებით, თქვენო კეთილშობილებავ, არ ისურვებენ! — უთხრა მღვდელმა ბოქაულს, როდესაც წირვის შემდეგ გალავანში გამოვიდნენ და დაბურული ხის ქვეშ დადგნენ. მათთან ერთად დადგა კიდევ ერთი სერთუკოსანი ახალგაზრდა, რომელიც იმათ გამოსვლამდის გალავანში დადიოდა და ხან რომელს საფლავის ქვას დააკვირდებოდა და ხან რომელს. ახალგაზრდა ხმა-ამოუღებლად ამოუდგა ბოქაულს მხარში და თავჩაღუნულმა მიწაზე ჯოხით რაღაცის ხაზვა დაიწყო.

იქვე ახლოს ქუდ-მოხდილები და გულხელდაკრეფილები იდგნენ სოფლის მოხელენი და კიდევ რამდენიმე გლეხი და დაღვრემილები გასცქეროდნენ ცის სივრცეს. „რად შეგვაყრევინა ნეტა, ეს სოფელი, — ფიქრობდნენ ისინი: — იქნება კიდევ რამე გამოგვიტყვრინა და ამ სისხლი-პური ჭამის დღეს უნდა მოგვაცდინოს. კაი საქმე კი არ იქნება, ხარჯი უნდა მოგვიტანონ, რომ მთელი სოფელი შეგვაყრევინა“-ო, ფიქრობდნენ და ვერ გამოეცნოთ, რა მიზეზით უნდოდა ბოქაულს სოფლის ყრილობა...

— მაშ მაგრე გგონიათ, მამაო?! — ღიმილით უპასუხა ბოქაულმა და ბოლთის-ცემა დაიწყო ხის ქვეშ.

მღვდელი ამ დროს დაებჯინა შევერცხლილ თავიან ბზის ჯოხს, იღლიით დაეყრდნო და მოსიარულე ბოქაულს თვალს ადევნებდა. ბოქაული ამ ტრიალის დროს, რაც ძალი და ღონე ქონდა, ულვაშებს უბერავდა. ხან დოინჯს შემოიყრიდა და დამთქნარებით ზანტად გადიჭიმებოდა წელში, თითქოს ტკბი-

ლის ძილიდან ეს არის ეხლა გამოაღვიძეს და ლოგინში იზმორებაო; ხან ხმალზე ხელს წაივლებდა და გახოკილ დედამიწაზე მაგრად გაუსვამდა; ხან კიდევ უეცრად შედგებოდა და წაღის ქუსლებზე უცბად მოტრიალდებოდა. ბოლოს, მიუბრუნდა გლეხებს და ბრძანების კილოთი მამასახლისს დაეკითხა:

— ყველას შეატყობინე?

— ყველას, შენი ჭირიმე! — უპასუხა მამასახლისმა.

— შეიკრიბნენ კიდევაც?

— კანცელარიასთან არიან შეკრებილები და შენს მობრძანებას ელიან.

— კარგი, წადით და უთხარით, პრისტავი ეხლავე მობრძანდება-თქო.

— ეხლავე, შენი ჭირიმე, ბატონო!

მამასახლისი და სხვა გლეხებიც მაშინვე გაბრუნდნენ და, ვიდრე გალავნის კარებს არ გასცდნენ, ქუდები არ დაუხურავთ.

— Да, да, მამაო, ტყუილად გგონიათ, ვითომ გლეხები არ ისურვებენ.

— მე, თქვენო კეთილშობილებავ, გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ არ ინდომებენ.

— როგორ?

— ისე, რომ ამ ოთხის წლის წინად, მის უსამღვდელოესობის უქაზის თანახმად, სამრევლო სკოლა გავმართე და, აი, დღეს იმისი ხსენებაც აღარ არის. ამისი მიზეზი გლეხები არიან. წარმოიდგინეთ, თქვენო კეთილშობილებავ, მეორე წლის გასვლამდის, ერთი რა არის, წამლად ერთი ბავშვიც აღარ დაიარებოდა სკოლაში, თუმცა კი პირველს წელს ზედა-ხორა ქონდათ და ადგილის უქონლობით ბევრი არ მივიღე.

— ეე, მამაო, სამრევლო სკოლა. რა სახსენებელია სამინისტრო სკოლასთან, რომლისთვისაც ათასნაირი პოპეჩიტელსტვოები და ინსპექტორსტვოებია დაარსებული, რომელშიაც სულ იმისთანა სპეციალისტი, როგორიც ვლადიმირ სერგეიჩია, მასწავლებლები ინიშნებიან. ვლადიმირ სერგეიჩმა გორის საოსტატო სემინარია დაამთავრა და მოწმობაც კარგი მიიღო... რასაკვირველია, — განაგრძო ისევ ბოქაულმა, როდესაც ისი-

ნიც კანცელარიისკენ წავიდნენ: — ვლადიმირ სერგეიჩისთანა მასწავლებლები კარგად წაიყვანენ საქმეს. ესეც რომ არ იყოს, სირცხვილიც არის, რომ ორას კომლიანს სოფელში სამინისტრო სკოლა არ არსებობდეს. აქ, რასაკვირველია, სამრევლო სკოლა არ ივარგებს. სამრევლო სკოლები იმ სოფლებში უნდა გამართონ, სადაც ათიდან ოცამდის კომლი მცხოვრებია, ან კიდევ ცოტა მეტ-ნაკლები.

— ეგ სულ ერთია, თქვენო კეთილშობილებავ, სამრევლო იქნება თუ სამინისტრო, არ იხეირებს, როდესაც გლეხებს სწავლის სურვილი არა აქვთ. გლეხს რო სწავლის მნიშვნელობა ესმოდეს, იმისთვისაც კარგი იქნებოდა, მაგრამ რო არ ესმით, რას ვიზამთ!

— რო არ ესმით, უნდა გავაგებინოთ; აი, ეხლა ვნახავთ, რა სიხარულით მიიღებენ ჩვენს წინადადებას, როდესაც... როდესაც ვლადიმირ სერგეიჩი აუხსნის სწავლის მნიშვნელობას.

ვლადიმირ სერგეიჩმა გაიღიმა ამ სიტყვებზე და თვალწინ წარმოიდგინა, თუ როგორ გამოვალ შეკრებილი ხალხის წინ ამ რამდენისამე წუთის შემდეგ და დავიწყებ ჩემ „სიტყვას“, რომელიც ხალხს აღტაცებაში მოიყვანს და დაუყოვნებლივ სურვილს გამოაცხადებსო. „გლეხებმა, — გაიფიქრა ვლადიმირ სერგეიჩმა: — თავიანთ აღტაცების გამოთქმა ტაშის დაკვრით არ იციან, თორემ, ჩემი სიტყვის დამთავრებას, უთუოდ ტაშით შეხვდებოდნენ“. მერე წარმოუდგა თვალწინ, ვითომ ვლადიმირ სერგეიჩი უკვე დაამტკიცეს მასწავლებლად და სალდათობისა-კი აღარა ეფიქრება-რა. ის იქნება და ის, ვეღარ წამიყვანენ სალდათად და დროს ტყუილად აღარ დამაკარგვინებენო. სალდათობა რომ მოაგონდა, ტანში ჟრუანტელმა გაუარა და ბოქაულის მიმართ მადლობით აივსო. „ეგ რო ჩემი ნათესავი არა ყოფილიყო, — ამბობდა თავის გულში ვლადიმირ სერგეიჩი — და ხელის გამართვას არა სცდილობდეს, ხომ მე ადგილს ვერ ვიშოვი და სალდათობა არ ამცდება, რადგანაც თავისუფალი ადგილი აღარსად მოიძებნება“-ო... ამ ფიქრებში ჩვენი ახალგაზრდა, დავალიანებულის კაცის სახით შესცქეროდა ბოქაულს, რომელიც უკვე გაჩუმებულიყო და

თავის ფიქრებს მისცემოდა. იმას უნდოდა მადლობის ნიშნად მივარდნოდა ბოქაულს და გადაეკოცნა, მაგრამ შუამავალი მღვდელი უშლიდა ხელს.

ბოქაული კი კმაყოფილის სახით გაიცქირებოდა წინ და ისიც თავის მხრით ტკბილს ოცნებას ეძლეოდა. რა წამს ხალხს გამოვუცხადებო, — ოცნებობდა ბოქაული, — მაშინვე მიიღებენ ჩემს წინადადებას და ამით ჩემს ნათესავს ვლადიმირ სერგეიჩს, ჯერ ერთი, სალდათობისაგან დავიხსნი, მეორე კიდევ, თავის ლუკმას გავუჩენ. მერე ვლადიმირ სერგეიჩი, რასაკვირველია, მადლობის გადასახდელად გაგზავნის გაზეთში წერილს და ქებას დამიწყებს, რომ იმის დაუცხრომელი მეცადინეობით ამა და ამ სოფელს სამინისტრო სკოლა ეღირსა და გლეხებს განათლების გზა მიეცაო. რასაკვირველია, ჩემს მეცადინეობას ერთი-ორად ასწერს და, ოჰ, ვინც წაიკითხავს, მაშინვე წამოიძახებს: „აი, ამისთანა პრისტავები უნდა გვყავდეს პატარა ბლომად, რომ...“ მაგრამ ამ დროს, თითქოს ყურში ჩასძახა ვინმემო, მოაგონდა გალავანში მღვდლისაგან ნათქვამი სიტყვები: „არ ისურვებენო“. ამ გარემოებამ, ცოტა არ იყოს, აუმღვრია სული და აფიქრებინა: „მართლა რომ არ მოინდომონ, მაშინ ხომ ყოველი ჩემი ცდა სულ ტყუილად ჩაივლის!.. ჰმ!.. როგორ შეუძლიანთ გამიბედონ და უარი მითხრან!“ — ხმა-მაღლა წამოიძახა უკანასკნელი სიტყვები ბოქაულმა და მრისხანე თავის გაქნევით შეხედა კანცელარიის წინ შეყრილს გლეხებს, რომლებიც იმის დანახვაზე წამოიშალნენ და ქუდმოხდილები გაჩერდნენ.

ბოქაულმა ვერც კი გაიგო, როგორ მივიდა კანცელარიამდის. რაკი დაინახა ხალხი, მრისხანე სახე უფრო მოიჭმუხნა და კანცელარიის დერეფნის გრილოში ამაღლებულ ადგილზე ავიდა.

— გამარჯვებათ თქვენი! — დაიძახა მაშინვე მან.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — უპასუხეს აქაიქიდან გლეხებმა.

— ხალხო, — სთქვა შემდეგ ბოქაულმა, — იცით, დღეს რისთვის შეგყარეთ ერთად?..

— არ ვიცით, ბატონო! — უეცრად გაისმა ხალხში ხმა და ბოქაულს სიტყვა გააწყვეტინა.

— ჰო, ეგ მეც ვიცი, რომ არ იცით და აი, ეხლავე გეტყვით, — დაიწყო ისევ ბოქაულმა და ცოტა ხანს შემდეგ განაგრძო: — თქვენ უვიცები ხართ, არაფერი გესმით! ქვეყანაში სცხოვრობთ და არ იცით კია, რა ხდება თქვენს ცხვირწინ! განა თქვენი ცხოვრება ცხოვრებაა?! არა, თქვენ მხეცურად სცხოვრობთ...

ხმა-გაკმენდილი ხალხი გაკვირვებით ფიქრობდა: „ნეტა, პრიჰტავი ხომ არ გადარეულა, რომ ასე გვლანძღავსო“.

— თქვენ რომ გესმოდეთ რამე, თქვენ რომ ცოდნა გქონდეთ, მაშინ აგრე აღარ იცხოვრებდით, მაშინ სხვანაირად მოეწყობოდით...

— ჩვენთვინაც კარგი იყო, შენი ჭირიმე, რო ვიცოდეთ რამე, მაგრამ ჩამგონებელი არავინა გვყავს! — წამოიძახა ბოქაულს ახლო მდგომმა ერთმა გლეხმა.

— აქნობამდის თუ ჩამგონებელი არა გყავდათ, — ბოქაულმა დაიხვია ხელზე გლეხის სიტყვები, თორემ აღარ იცოდა, კიდევ რა ეთქვა და ან როგორ ელაპარაკნა ვლადიმირ სერგეიჩის შესახებ, — ეხლა გიჩნდებათ. აი, ეს იქნება თქვენი ჩამგონებელი და მასწავლებელი, ეს გამოგიზრდით შვილებს და გასწავლით, როგორ უნდა ცხოვრება კაცურად, თუკი მოისურვებთ და ინდომებთ სამინისტრო სკოლის გამართვას...

— როგორია ე სამინიჰტრო სკოლა? — დაეკითხა ერთი ახალგაზრდა, ოც-და-რვისა თუ ოც-და-ათი წლის გლეხი, რომელიც კანცელარიის წინ მიქუჩებულ ქვებზე შემდგარიყო და ყველას თავს დასცქეროდა.

— აი, ეხლავე აგიხსნით ეს ყმაწვილი, როგორიც არის და რა მნიშვნელობაც ექმნება თქვენს ცხოვრებაში ამ სკოლას. აბა, ვლადიმირ სერგეიჩ, აუხსენ ყველაფერი, — მიმართა სერთუკოსანს ახალგაზრდას და თითქოს განგებ გაკეთებული ამაღლებული ადგილი დაუთმო მომავალს მასწავლებელს.

ვლადიმირ სერგეიჩი შედგა ამაღლებულს ადგილზე და იქიდან ხალხს რამდენჯერმე გადაავლო თვალი. სერთუკოსანი

კარგა ხანს იდგა დაფიქრებული და ხმა ვერ ამოიღო, რადგანაც მეტისმეტი აღელვებისაგან, როგორც ამბობენ: „სული ყელში მოებჯინა“.

როგორც იყო, ძლივს-ძლივობით აღახვნა პირი და აკანკალებულის ხმით წამოიძახა: „ხალხნო და ჯამაათნო!“ ხალხი ამ ხმაზე გატვრინდა და „სული განაბა“. ვლადიმირ სერგეიჩმა განაგრძო თავისი სიტყვა ისევ აკანკალებულის ხმით და თან მთელის ტანით თრთოდა. ეს მხოლოდ პირველში მოუვიდა-რაც დრო გადიოდა და, როგორც იტყვიან, „თავის როლში შედიოდა“, იმის ხმას სიმაგრე და სიმაღლე ეძლეოდა, ტანის თრთოლა უცხრებოდა, და ცოტა ხნის შემდეგ მთლად დამშვიდებული ხელების ქნევითა და სხვადასხვა ჰანგებით ღაღადებდა ხალხის წინაშე. ვლადიმირ სერგეიჩმა დაწვრილებით აუწერა ხალხს სამინისტრო სკოლა. ჯერ ის აუხსნა, სამინისტრო სკოლა ვის მზრუნველობის ქვეშ არის და ამისთანა სკოლებში მასწავლებლად ვისა ნიშნავენ. ამ საგნის შესახებ ბევრი ილაპარაკა და, სხვათა შორის, ისა სთქვა, რომ მასწავლებლად მარტო იმას ნიშნავენ, ვინც დიდს სკოლას გაათავებსო, იმ სკოლასაო, სადაც მასწავლებლებს ამზადებენო. „იქაო, — განაგრძო ვლადიმირ სერგეიჩმა: — ყველაფერს, ყველაფერს ასწავლიანო“.

შემდეგ ილაპარაკა იმის გამო, თუ ყმაწვილებს როგორ ექცევიან სკოლაში სწავლის დროს, ან როგორ და რას ასწავლიან. როცა ვლადიმირ სერგეიჩმა სკოლის აღწერა გაათავა და დაიწყო, რა მნიშვნელობა ექმნება ამისთანა სკოლას ხალხის ცხოვრებაში, მაშინ იმის ფრთაგაშლილს აზრს საზღვარი არა ჰქონდა. რა სიკეთე გინდათ, რომ არ ეხსენებინოს, რომ სკოლის შედეგად არ დაეხატოს... „შეიძლებაო, — სთქვა მან ბოლოს, — ერთს ბედნიერს დღეს თქვენი შვილები ჩინებით და ორდენებით პოლკოვნიკის და გენერლის მუნდირებში მოგივიდეთ... მაშინ ვინ აღწერს თქვენს სიხარულს?! მაშინ ვილა გიცნობთ, რომ თქვენ ოდესღაც უბრალო გლეხები იყავით“-ო. რომ ეს შესაძლებელია, მაგალითად მოუყვანა ლომონოსოვი და კიდევ უცხო ქვეყნების რამდენიმე სხვა სახელოვანი კაცი. „აი, ასეთი ბედნიერება მოგენიჭებათ, — დაასკვნა მან, — თუ

მოისურვებთ სკოლის გამართვას და იკისრებთ იმის შესანახ ხარჯს, დანარჩენი ჩვენ მოგვკითხეთ. ჩვენ თითონ დავამტკიცებინებთ თქვენს განაჩენს და თქვენ აღარას შეგაწუხებთ"-ო. ვლადიმირ სერგეიჩი გაჩუმდა. ახალგაზრდა კაცმა გადაავლო თვალი ხალხს და ჰკვირობდა, რომ ხალხი გაჩუმებული იყო. მუნჯობდა და თავის აღტაცებას და სურვილს არაფრით არ აცხადებდა...

— გავათავე! — უეცრად წამოიძახა სერთუკოსანმა. იმას ეგონა, ხალხი იმის გამოა გაჩუმებული, რომ კიდევ მოელის რასმეო.

არც გათავების მოგონებამ გამოიყვანა გლეხები სიჩუმიდან. ამ გარემოებამ სულ ერთიანად დაანელა ის და მაშინვე თავისდა უნებლიედ გაიფიქრა: „ნუ თუ ჩემმა სიტყვებმა ამათზე არავითარი მოქმედება არ იქონიეს?" ამ დროს ბოქაულმა წაავლო ხელი მკლავში და აღტაცებით უთხრა:

— მშვენიერი სიტყვა იყო! აი, ამისთანა სიტყვები უნდა გააგონონ ხოლმე ხშირად, რომ გლეხები გონს მოვიდნენ. არა, მამაო? — დაეკითხა ბოქაული მღვდელს, რომელიც იმათ მიუახლოვდა და ვლადიმირ სერგეიჩს ულოცავდა მჭერმეტყველების უნარს.

— მშვენივრად განმარტა, მშვენივრად!—უპასუხა მღვდელმა.

— მეც მგონია, კარგად ვსთქვი, მაგრამ ამათი სიჩუმე რას მივაწერო? — წამოიძახა ვლადიმირ სერგეიჩმა და თვალები ბოქაულს მიაშტერა.

— ხალხო, — დაიძახა ბოქაულმა! — ხომ გაიგეთ ყველაფერი?

— გავიგეთ, ბატონო! — დაიძახა რამდენმამე გლეხმა.

— ჰო და, თუ გაიგეთ, რაღას გაჩუმებულხართ და არას ამბობთ?

ხალხში რაღაც ხმა-დაბლა ლაპარაკი ჩამოვარდა და ყველა ისევ ჩქარა მიჩუმდა.

— ჰა, შევადგინო პროტოკოლი, რომ სკოლის გამართვის თანახმა ხართ?

ხალხში ისევ ხმა-დაბალი ჩოჩქოლი ჩამოვარდა.

— მაგრე რას ყაყანებთ?.. ვისაც სათქმელი აქვს რამე, ხმამაღლა სთქვას?

— მე მაქვს სათქმელი, შენი ჭირიმე, ბატონო, და ვიტყვი კიდეცა, თუ არ გამიწყრები! — წამოიძახა იმ გლეხმა, რომელიც წინად დაეკითხა: „როგორია სამინისტრო სკოლაო“.

— ხალხო, გაჩუმდით! ენდე, ე მაგას უნდა ლაპარაკი. შენი სახელი? — გაწყვიტა სიტყვა ბოქაულმა და სახელი ჰკითხა გლეხს.

— სესია მქვიან, ბატონო!

— ჰო, სესიას უნდა თქვას რამე, გაჩუმდით, — დაიძახა ბოქაულმა, როცა გლეხმა თავისი სახელი უთხრა.

დანარჩენი გლეხები გაჩუმდნენ და სესიას დაუწყეს ცქერა.

— როგორ განგებ მაღლაც შემდგარხარ! — სიცილით მიმართა ბოქაულმა და შემდეგ დაუმატა: — აბა, სესი, დაიწყე!

— ის უნდა მეთქვა, — დაიწყო სესიამ, — რომ ე სამინიჰტრო სკოლა, ღვდელს რო სკოლა ჰქონდა, იმასა ჰგვანებია.

— იმას არა ჰგავს, — დაიძახა ბოქაულმა და სიტყვა გაუწყვეტინა: — მღვდლისა სამრევლო სკოლა იყო.

— სამრევლო იყო თუ რომელი, ისე კი ასწავლიდა მღვდლის შვილი, როგორც ენდე ე ყმაწვილმა ილაპარაკა. იმ სკოლაში თვეში თითო მანათს ახდევინებდა შაგირდებს. ვინცა სწავლობდა, ის იხდიდა, შენი ჭირიმე. აი, ე ყმაწვილმა სკოლაზე რომ ილაპარაკა, იმისთვის კი ყველამ უნდა ვიხადოთ. შენი შვილი ისწავლის თუ არა, მაინც უნდა იხადო...

— მაშ, ერთმანეთს არ უნდა დაეხმაროთ!? — სასტიკად უთხრა ბოქაულმა.

— მე იმას როდი ვიძახი, ბატონო, რო არ უნდა დაეხმაროთ-მეთქი. ჯანი და სული წავიდეს, დეე, ყველამ ვიხადოთ, მაგრამ რად უნდა ვიხადოთ, როცა ბალღები ტყუილად სცდებიან, როცა სკოლაში არაფერს აკეთებენ...

— როგორ თუ რას აკეთებენ? მაშ, წიგნს არ ასწავლიან? — გაჯავრებით კითხა ბოქაულმა.

— ასწავლიან-კი, მაგრამ რა ნაირად ასწავლიან?! „ანაბა-ნას“ ძლივს დაასწავლიან, მერე ისიც ავიწყდებათ. ტყუილად იძახდა ენდე ე ყმაწვილი, რო თქვენი შვილები იარანალ-პოლ-პონიკები დახდებიანო. იარანალ-პოლპონიკად მაგრე ადვილად რო დახდებოდნენ, რატო თითონ არ გახდა, მაგას უფრო დიდ სკოლაში არ უსწავლია?.. არა, ჩემო მამავ და ძმაო, ჩვენ, აი, ე მიწის შვილები ვართ, ჩვენ მამა-პაპას ე მიწისთვის შაულ-ვია სიცოცხლე და ჩვენც ისე უნდა შავალიოთ. ჩვენ უნდა ვხნათ და ვთესოთ, ღვინო და პური მოვიყვანოთ. აი, თუ კი იმისთანა სკოლას გაგვიმართავთ, რომ კარგა ხვნა-დათესვა და პურისა და ღვინის მოყვანა ვისწავლოთ, მაშინ ვინ თავ-მკვდა-რი ხარჯს გაექცევა და ფულს დაინანებს. აი, გვიწინამძღვრეთ და ისეთი სკოლა გაგვიმართეთ, როგორიც წინამძღვარიანთკა-რის სკოლაა. ეე, თქვენი ჭირიმეთ, ხალხო, რეებს არ ასწავ-ლიან! გაზაფხულზე ჩემ ცოლეურთან ვიყავი. ჩემი ცოლი-ძმამ მითხრა: „აბა, წამოდი, ჩვენი სკოლა ნახე, ხომ არ გინახამსო“. „არა-მეთქი“ და წავედით. რო არ შავედით, ხალხო, თვალი ზედ დამრჩა იმათ მუშაობაზე. საკვირველება რამ იყო. ი თი-თი სიგრძე ბალღები ისე ლამაზათა ბარამდნენ, რო მეც-კი ვერ დავბარამ ისე. მასწავლებელიც თავს ედგა და, როცა შესცდე-ბოდა, ასწავლიდა. მერე იმან წამიყვანა და ბალღების ნამუშა-ვარი მაჩვენა. რეები არა ვნახე, ხალხო, ვინ ჩამოთვლის! ვუ-ცქეროდი ი ბალღებისაგან გაკეთებულ სკამებსა, გუთნებსა და ვკვირდებოდი. არა მჯეროდა, თუ იმათი გაკეთებული იყო. ახ-ლა ეზოს გარედ გამიყვანა და მინდორზე გამახედა: „აი, ე ჯე-ჯილებს ხო ხედავო“. „ჰო-მეთქი“. „ჰოდა, ეგენი სუ ი ბალ-ღების მოხნულ-დაფარცხულიაო“. აი, დიდება შენთვის ღმერთო! ვუცქეროდი იმ მშვენიერ ჯეჯილს და ვნატრობდი: „ნეტავი ჩემი შაქრიკა ერთი რვა-ცხრა წლისად მიქცია ღმერ-თმა, რო წამამეყვანა და აქ მიმაბარებინა-მეთქი.

— მეცა ვნახე ი სკოლა! — წამოიძახა ამ დროს ერთმა გლეხმა.

— ხო მართალს ვამბობ? განა, გოგლა, სულ ბალღები მუშაობენ?

— მართალს ამბობ, ღმერთმანი, მართალს! — უპასუხა გოგლამ.

— ჰოდა, მართალს ვამბობ! აი ე პრიჰტავი აქა ბრძანდება და ვთხოვოთ, რო ისეთი სკოლა გაგვიმართოს.

— მაგისთანა სკოლების გამართვა ჩვენ არ შეგვიძლიან. სამინისტროს სკოლებს ეგეთებს არ ხსნიან და ამისათვის მაგას თავი დაანებე, ტყუილად ბევრს ნუ ლაპარაკობ, — უთხრა ბოქაულმა სესიას.

— ამისთანას არა ხსნიან და მაშ, ნურც სხვანაირს გახსნიან. ხალხო! — მიუბრუნდა მერე ხალხს: — ხომ იცით, აგერა, აი, იმ სოფელში რო სკოლაა. ისიც, მგონი, სამინისტროა. ეხლა იქ გლეხები ბევრსა ნანობენ: „ნეტავი ღმერთი გაგვწყრომოდა და ხელი არ მოგვეწერა სკოლის გამართვაზე. ამოდენა ხარჯს სულ ტყუილად გვახდევინებენო. აღარ გვინდა სკოლაო, მაგრამ ვიღა გიჯერებს, რაკი ერთი მოვაწერეთ ხელი, ახლა ძალად გვახდევინებენო. გინდა თუ არა, უნდა იხადოთო“. მართლადა, ოროლი მასწავლებელი იმათ ბატონებად გახდომიან და სულს ართმევენ. არა, ხალხო, არ შესცდეთ და ხელი არ მოუწეროთ! — მაღლა დაიძახა ეს სიტყვები სესიამ და თვალი გადაავლო გაჩუმებულს ხალხს.

ბოქაული ამ სიტყვებმა სულ ერთიანად გააცეცხლა. შედგა უეცრად ამაღლებულს ადგილზე და სასტიკად შესძახა:

— ხალხო, ე მაგ სულელს არ გაუგონოთ და უარი არა სთქვათ!..

— სულელი რადა ვარ, შენი ჭირიმე, ბატ...

— გაჩუმდი, თორემ ეხლავე ტყავს გაგაძრობ!.. — შეუტია ბოქაულმა.

— ტყავი რად უნდა გამაძრო, ისეთი რა დავაშავე. ჯერა გვკითხავ და მერე...

— არ ეყურება ამასა!.. შენ ეი, შენთვის იყავ, თორემ ციხეში დაგალპობინებ. შენ ვინ მოგცა ნება, ეგრე ცუდად მოი-

ხსენიო სამინისტრო სკოლა, მაგით შენ მთავრობას ლანძღავ, ხალხს უჯანყებ. — ბოქაული თანდათან უფრო ცეცხლდებოდა და პირიდან დორბლსა ყრიდა.

— მე არც არავინ გამილანძღავს და არც არაფერი. მე...

— კიდევ! მამასახლისო, გაათრევინე ეგ...

მამასახლისმა არ იცოდა რა ექნა, საცოდავად იდგა გაოცებული და ხალხს გაშტერებით შესცქეროდა.

— რად უნდა გამათრიოს, რა დავაშავე! — სესია უფრო უხირდებოდა და სიტყვას არ უთმობდა ბოქაულს, რაც, რასაკვირველია, იმის კეთილშობილების თავმოყვარეობას ძალიან არ მოსწონდა.

— არ გეყურება, დაიჭირე-მეთქი?! — დაიღრიალა ბოქაულმა და საცოდავ მამასახლისს ერთი ისეთი მათრახი გადაჰკრა, რომ გველივით გადიკლაკნა. ამის შემდეგ კი იკადრა მამასახლისმა, მაშინვე მეველეებით მივარდა სესიას, მაგრამ სესია გრძელი კომბლით იგერიებდა და ახლოს არ უშვებდა მეველეებს.

— დაიჭით, დაიჭით!.. — უყვიროდა ბოქაული.

— დაჰკარით! — დაუძახა მეველეებს თავის მხრივ მამასახლისმა, რადგანაც ეშინოდა, რომ ბოქაულს კიდევ არ ეთავაზებინა იმისთვის.

მეველეებმა დაკვრით კი არ დაჰკრეს, მაგრამ დაიჭირეს-კი. სესია თითონვე დანებდა, რადგანაც იფიქრა: „რო გავუძალიანდე, ვაი, თუ უფრო ძვირად დამიჯდესო“!

სესია გაათრიეს.

— წაიყვათ, ჯერ ერთი სამი დღე ბოსელში შეამწყვდიეთ, მერე ვასწავლი ჭკუას! — მეველეებმა სესია პატარა იქით გაიყვანეს და ცოტახანს შეფერხდნენ, როდესაც ბოქაულმა ზურგი იქითკენ მიიბრუნა. იმათ უნდოდათ გაეგოთ, ეს ამბავი რითი გათავდებოდა.

— ხალხო! — დაიძახა ბოქაულმა, როცა ცოტათი დამშვიდდა: — არ დაუჯეროთ იმ სულელს. ეს სკოლა თქვენთვის

გვინდა და არა ჩვენთვის. დიდ სარგებლობას მოგიტანთ. მაშ, ჰა, პროტოკოლს შევადგენ, რო გინდათ სკოლის გამართვა.

— არ შეადგინო, არ გვინდა! — მიაძახა სესიამ შორიდან ბოქაულისკენ პირ-უკუღმა მიბრუნებულმა.

— ეგ ისევ მანდა გყავთ, თქვე...

— არ გვინდა, არა! — უეცრად დაიგრიალა ხალხმა და ბოქაულს სიტყვა გააწყვეტინა.

ბოქაული სულ გადაირია და არ იცოდა, რა ექნა. ვლადიმირ სერგეიჩი ხომ ტანში მოიშალა. მხოლოდ მღვდელი იყო დამშვიდებული და შეურყეველი. მოძღვარს ტუჩებზე ღიმილი უქროდა და ამით თითქოს ეუბნებოდა ბოქაულს: „აკი მოგახსენე, არ ისურვებენ-მეთქი“.

[1892 წ.]

„მამას მიწა მივაყალეთ!..“

(სურათი)

გუშინ თითონ უშველა ორ მესაფლავეს თავის ქმრის გამოტანა და ურემზე დადება. ისე, უკუბოდ, უმღვდელოდ, უხარჯოდ და შენდობის უთქმელად, ლეიბიანად გაშოტილი შეუდეს ურემზე სოსიკა და შეზარხოშებულმა მესაფლავეებმა ღიღინით შეატარეს სოფელი და სამარის კარამდის მიიტანეს...

— ამას რას ვხედავ, ჩემო კარგო სოსიკო!.. — წამოიძახა მართიკომ, როცა სოსიკოს გვამს ურემზე უდებდნენ, და გაცეტებულმა თვალების აქეთ-იქით ცეცება დაიწყო. — მოდით, ქა, რას იმალებით?!. დავიტიროთ ჩემი კარგი სოსიკო. რა დაგიშავათ, ხალხნო, რომ მაგრე დაუტირებელს და დაუმარხავად უშვებთ სოსიკოსა?! — იძახოდა ის, მაგრამ ხალხი არსადა სჩანდა. მარტო აქა-იქ ბანიდან რამდენიმე ადამიანი გამოსცქეროდა მართიკოს და მწუხარებით გაიძახოდა: „ღმერთო, ეხლა კი ნუ მოგვკლავ და მერე თუნდ ერთ წამსაც ნუ გვაცოცხლებო“. მომეტებული ნაწილი კი სოფლელებისა დიდი ხანია თავზარდაცემული გავარდა და ტყესა და მინდორს მოხვდა.

იმისმა მაზლმაც, როცა ქმარი ავად გაუხდა, თავი დაანებზა და თავისი ცოლშვილი მინდორში გახიზნა.

დარჩა მარტოკა მართიკო თავის ოთხის წლის გოგოთი ავადმყოფის გვერდით. ის თავგანწირულებით უვლიდა, მორიდება თავში აზრად არ მოსვლია, მაგრამ ამ თავგანწირუ-

ლებამაც ვერა უშველა-რა. სამის დღის შემდეგ ქმარი ხელიდან გამოეცალა.

— თქვენი ჭირიმეთ, ხომ კარგად დაასაფლავეთ?!. მიწა ხომ ბლომად მიაყარეთ?! — შესძახა მართიკომ მესაფლავეებს, როცა იმათ ცარიელი ურემი კარებზე ჩამოუტარეს.

— საფლავი ჯერ სულ არ ამოგვიმსია, — თითქმის ერთხმად უპასუხა ორმავე მესაფლავემ.

— რას მეუბნებით?! ნუ დაიღუპავთ, თქვენი ჭირიმეთ, ნადირს ნუ შემიჭმევთ! — შეღრიალა მართიკომ.

— დავიღალენით, შე დალოცვილი შვილო, ასე გონია ალალობა იყოს! ჩვენც ადამიანისშვილები ვართ. დღეს ეს მესამე საფლავი გაგვითხრია და მესამე მიცვალებული გაგვიტანია. — უთხრა ერთმა მესაფლავემ და ხარებს სახრე გადაჰკრა.

— არა გიშავთ-რა, ღვთის გულისთვის, ისიც კარგად დამარხეთ! — უკანიდან მიაძახა მართიკომ.

— არა გიშავთ-რა რას მიქვიან, წადი და ახლა შენ მოუარე შენ მიცვალებულს! — უკან მოუხედავად უპასუხა ერთმა მესაფლავემ, რომელიც ურმის თავს იჯდა და ჩქარა საბძელსაც მოეფარა. მათიკო კი გაშტერებული დარჩა იმის პასუხით და ასე რამდენსამე ხანს იდგა.

— შვილო, წავიდეთ, ჩვენ მაინც მივაყაროთ მიწა!.. — სასოწარკვეთილებით წამოიძახა მართიკომ და ხელით აითრია თავისი პატარა ქალი, რომელიც იქვე, დედის გვერდით მობუზული იდგა და მოწყენით შესცქეროდა დედას.

სულ სირბილით მივიდა ქმრის ნახევრად მოყრილ საფლავამდის და მაშინვე მიწის ფხაჭნა და საფლავის ამოვსება დაიწყო. პატარა ქალიც თავის პატარა ხელებით მუჭა-მუჭა მიწას იღებდა და მამის საფლავს აყრიდა.

— ქა, მე თავმკვდარი, ამასაც შევესწარი, სოსიკო, რომ ჩემი ხელით გმარხამ, ჩემი ხელით მიწას გაყრი!.. — გაწარებულმა წამოიძახა და იქამდის შეგუბებულს ცრემლს გზა მისცა.

მიწას აყრიდა თავის ქმარს და თან ცრემლით ალბობდა. დედის ტირილზე პატარა ქალმაც ტირილი მორთო და ცრემლით სავსე თვალებით მიწას ჩასცქეროდა...

— დავმარხოთ, შვილო, მამა-შენი, დავმარხოთ!.. კარგად იმუშავე!.. — მალ-მალე წასძახებდა თავის ქალს და თითონაც აჩქარებით ფხაჭნიდა მიწას.

გუშინ თავის ხელით დამარხა ქმარი, დღეს-კი თითონ ის აგერ წამოგდებულია კერის პირას და პირიდან ნასაქმებში დამბალა.

წუხელ შუაღამისას აუვარდა პირსაქმება და მუცლის წვა. წინადაც, ქმრის ავადმყოფობის დროს, უჩუხჩუხებდა მუცელი, მაგრამ თავს იმაგრებდა და ქმრის წუხილთან თავისი სულ დაავიწყდა. წუხელის კი აუვარდა მუცლის წვა და სულ თეთრად გაათენა. მასთან ერთად არც პატარა გოგოს მოუხუჯავს თვალი. ის, როცა დედა გამწარებული გაიძახდა: „მიშველეთ, წყალი, წყალი“-ო, ჯამით მიუტანდა წყალს და ეუბნებოდა: „დედი, აი დალიე“. ისიც სვამდა წყალს, მაგრამ უკანვე აბრუნებდა დალეულს. მუცელში არა უდგებოდა-რა. თანდათან უფრო სუსტდებოდა და აი... მზის გადახრაზე უკვე მიიბნიდა და მიკნავებულის ხმით ხანდახან წამოიძახებდა ხოლმე: „მიშველეთ“! მაგრამ ვინ იყო მშველელი? თავს მარტო ოთხი წლის გოგო ეჯდა თვალცრემლიანი.

— შვილო! — მიმართა მიკნავებულის ხმით თავის პატარა ქალს, როცა თვალის ქუთუთოები ძლივას ასწია და მსხვილი თვალის კაკლები თავის მოწყენილს გოგოს თვალებს დაუპირდაპირა.

— შვილო, გარეთ გადი, შენც არ შეგეყაროს ხორველა!.. წადი, წადი, შვილო!.. ეჰ! — ამოიკვნესა შემდეგ და თვალის ქუთუთოები მძიმედ ჩამოიფარა, რომ გულის საკლავი სურათი აღარ დაენახა... — მეც რომ მოვკვდე, ვიღა მოუვლის ჩემს პატარა სოფას!... ღმერთო!.. — წამოიძახა მართიკომ და ცრემლები გადმოსცვივდა მილულული თვალებიდან...

სოფა კი ზლაზნით წამოდგა და კარების გვერდს აეყუდა.

ის გასცქეროდა კარგა ხანს მოწყენით ჩამავალს მზეს და თან თვალის ქუთუთოებს აჩქარებით ანძრევდა მზის სხივების გავლენის ქვეშ.

— ძია!.. — უეცრად წამოიძახა სოფამ და აჩქარებით გაექანა მომავალი კაცისაკენ.

— გოგო, მამა რა უყავ? — ტირილით მოაძახა შორიდან მართიკოს მაზლმა, რომელმაც მინდორში ჭორად გაიგო, რომ მისი ძმა სოსიკა გუშინ დაასაფლავესო. იგი ნამდვილის შესატყობად წამოვიდა.

გოგო მაშინვე შესდგა და გულამოსკვნით წამოიძახა:

— მამას მიწა მივაყალეთ!..

[1892 წ.]

„ყველაი დავკარგე!..“

I

ცხვრის ბინის ახლო ათასფრად აყვავებულ პატარა ბექობზე, რომელიც კოხტად შეკრულს თაიგულს ემსგავსებოდა, იჯდა ყვავილთა დედოფალი, სიმშვენიერის გვირგვინი, ჯერ ახლად გადაშლილი მთიულის ქალი და აღგზნებულის თვალით გატაცებით უმზერდა ყვავილების ჯგუფებს, რომელთაც ერთმანეთისათვის თავი თავს გადაედოთ და ასე ჩახუტულებს საღამოს ნიავზე ტკბილის, შეუშფოთებელის და შეუხამებელი ალერსისათვის მიეცათ თავი. ზევიდან კი წყვილი, ერთმანეთის სიყვარულით გატაცებული პეპელა დაცქრიალებდა და იმის რჩევაში იყო, თუ რომელი ჯგუფი ყვავილებისა უკეთეს მასპინძლობას გაუწევდა და სულს გადაუშლიდა. ორი მოარშიყე ხახ რომელს ყვავილების ჯგუფს დააფრინდებოდა და ხან რომელს. ისინიც მოარშიყეთა ყოველ მიტანებაზე სწყვეტდნენ ალერსს, უღებდნენ გულს და ნებას აძლევდნენ დამტკბარიყო წყვილი პეპელა მათის გამაცოცხლებელის ნექტარით და, როდესაც გულ-ასუყებული ორი მოარშიყე აფრინდებოდა ერთის ჯგუფიდან და ახლა სხვა ჯგუფს დაუწყებდა გარს ფრენას, ისევ ჩაეხუტებოდნენ და განაგრძობდნენ ტკბილს ალერსს.

უმზერდა გატაცებით ამას ამათ შუა მჯდომი ქალი და ტუჩებზე ტკბილი ღიმი უქროდა; ყელმოღერებული შესცქეროდა ამათს ალერსს და იმასაც გულში უღვივოდა სიყვარულის ნაპერწკალი. ხომ ამ ორის წლის წინად სწორედ ამ ადგილას აიღო ყვავილებისაგან მაგალითი; ხომ ყვავილებმა სუნთან ერთად გარდასცეს ამ ბუნების შვილს სიყვარულის თესლი.

რამაც იმის გულში შესაფერი ნიადაგი იპოვა და ფესვები ღრმად და მკვიდრად გაიდგა. ბუნების შვილმა ბუნებისაგან აიღო მაგალითი და, როდესაც ამ ორი წლის წინად ესა და ის სწორედ ამ ადგილას ისხდნენ და, ორნივე გაჩუმებულნი, ყვავილების ალერსს თვალს ადევნებდნენ, თავის-და უნებურად გადახარა თავი და თავისი მრთოლვარე ტუჩები მის ტუჩებს შეახო. რამ გამოიწვია ეს მოძრაობა იმათში, ისინი ამას ვერ მიხვდნენ და არც ამის გამოკვლევას გამოსდგომიან. ასე ჩახუტებულები კარგა ხნობამდის იყვნენ და აჩქარებით სუნთქავდნენ. როდესაც გააშორეს ტუჩები, ორმავე თითქმის ერთხმად წამოიძახა: „ჩემო ყველავ“, და თვალი თვალს გაუყარეს, თითქოს სურდათ სამუდამოდ ერთ არსებად ქცეულიყვნენ.

უმზერდა ყვავილების ალერსს ქალი და აგონდებოდა ეს ამბავი, და ქალის დამამშვენებელი და უპირველესი ღირსება უმანკოებისა და კრძალულებისა — სიწითლე იმის ლოყებს არა შორდებოდა. ქალს ახლაც აჩქარებით უცემდა გული, უნდოდა თავდავიწყებით ჩაჰკროდა ისევ მეგობარს, მაგრამ როგორ მოეხერხებინა, როდესაც ის შორს იყო, როდესაც ესა და ის ამ ორი წლის წინადვე დააშორეს. ის ჯარის-კაცად გაიწვიეს და კენჭიც ერგო. მას შემდეგ ერთმანეთი აღარ უნახავთ... „ნინიავ, ნინიავ!.. ჩემო ყველავ, რაისთვის არ იკითხავ შენთვის მკვდარს?!“ გრძნობით წამოიძახა ქალმა და ისევ ისე მიტვრინდა. რამდენჯერმე გონებაში გადითვალა, თუ რახანი კიდევ უნდა იყოს ნინია ჯარისკაცადა და როდის მობრუნდება. რა ღამესაც მობრუნდება, მაშინვე ფიქრობდა ქალი, ჩემს თავსა სთხოვსო მამას და მერე კი ველარაფინ გაგვაშორებს. მაგრამ ამ დროს ელვასავით გაურბინა თავში აზრმა, რომ მამა ნებას არ მისცემს, რადგანაც ნინიას არავინა ჰყავს და არც არა აქვს-რა, რამდენისამე სულის ცხვრის გარდა, ისიც იმის მამისაგან მიცემული, როცა ის ამათ მეცხვარედ ედგათ. ცოტა არ იყოს, ამ აზრმა შეაფიქრიანა და შეაღონა. უეცრად გაუქრა ტუჩებზე ღიმი და სახე მოექუშა. „ნინიავ. ნინიავ, მამაიმაც რო ნება არ დამრთოს, მე თავს არ დაგანებებ, გამოვიქცევი, ყველგან წამოვალ შენთან!.. რა ვუ-

ჟო, რო არავინა გყავს და არაი გაქვს! მე კი მიყორხარ და...“ გადაწყვეტით წარმოსთქვა ქალმა ცოტა ხნის დაღონების შემდეგ და ისევ თავი მოიმხიარულა.

— ქალავ, რას ჩაფიქრებულხარ?! — უკანიდან მოესმა ვისღაც ხმა. ქალმა მიიხედა უკან და იმის თვალს წარმოუდგა ჯარისკაცი, ქართულის დრუჟინის ტანთსაცმელში.

— ბარამ, შენი კვნესა მე, საით გივლია?! მოხვედ მშვიდობით!.. — სიხარულით წამოვარდა ფეხზე და ალერსიანად დაუწყო მზერა.

— დამხვდი მშვიდობით! როგორ არიან თქვენები, დედასად არის?..

— ვეძას* წავიდა და ჯერედ არ მოსულა. კარგად არის. შენი კვნესა მე!

— ვეძასა?

— ჰო. საით გივლია, ბარამ?

— სანადიროდ ვიყავ და ვერა მოვკალი-რა. მინდოდა უფროსისთვის წამეღო ნანადირევი, მაგრამ დასწყევლოს ლომისამ, არა შემეფეთა-რა.

— სად უნდა წაგეღო?

— დუშეთს, სადაც ვარ.

— ახლა მიდიხარ?

— ჰო, შინ ჩავივლი და ფეხად ისევ გავბრუნდები.

— მაგრე ჩქარა რაისთვის მიხვალ, რატომ არ დარჩები ცოტა ხანს?

— განა ცოტა ხანია აქა ვარ. ერთი კვირაა, რაც შინ მოვედი და თუ ხვალ არ გამოვცხადდი, არ იქნების.

— მშვიდობით, ქალავ, დედაის მოკითხვა! — ცოტა ხნის ლაპარაკის შემდეგ გამოეთხოვა ბარამი და წასასვლელად გაბრუნდა.

ქალმა კი რაღაც ყოყმანობა დაიწყო, უნდოდა ეკითხა რამე, მაგრამ ვერ ახერხებდა, სცხვენოდა. ბოლოს, როცა ბარამი კარგად დაშორდა, უკან დაედევნა და აკანკალებულის ხმით დაუძახა:

---

* ბჟავე წყალი.

— ბარამ, შენს მზესა, ნინიას ვერ ხედულობ, ისაც სალ-
დათად არ არის?!

— როგორ არა, სულ ერთად არა ვართ!

— როგორ არის?

— რა უჭირს, სმა და ჭამა არ აკლია და ქალებთან ქეი-
ფი, — ღიმილით უთხრა ბარამმა.

— სტყუი, ის ქალებთან არ იქეიფებს! — წყრომით უპა-
სუხა ქალმა და გამოტრიალდა.

II

დაღამდა. დიდი ხანია მეცხვარეებმა თავთავიანთი ადგი-
ლები მონახეს და ცხვარი დააბინავეს. სულ მაღლა მოზარდი
დააყენეს, რომ ღამე ქვევით, ხევში, სადაც ბინა აქვთ, არ
დაცხეს; მას მოაყოლეს თოხლობა, მერე ყოჩობა და სულ
ქვევით, ზედ ბინის გვერდით, მეწველი ცხვარი დააყენეს.
თითონაც დაიყვნენ და ზოგი მოზარდს მოუწვა გვერდით და
ზოგი კიდევ დანარჩენებს. ძაღლებიც, მათი ერთგული მე-
გობრები, მეცხვარეებთან ახლო წამოეყარნენ და პატრონე-
ბივით ყურმახვილად სძინავთ. ყოველ ცხვრის დაფშვენვაზე,
ყოველ იმათ განძრევასა და ფეხების ბარტყუნზე მძიმედ ას-
წევენ წინა ტოტებს და ასე დაყუნცულები ზემოდან მძიმედ-
ვე თვალით წრეს ავლებენ მთელს ბინას, და რაკი დარწმუნ-
დებიან, რომ მტერი არსად არისო, განგებ ერთი-ორჯელ
წაჰყეფენ. და ისევ საძილედ მიეყრებიან.

ბინაში კი მხოლოდ ცხვრის პატრონის ჯალაბობამ იწვა
ქოხში და მათგანვე გაკეთებული ყველი თავით მიიწყეს. სულ
სამი ქალი იყო: ერთი ცხვრის პატრონის ცოლი, მეორე იმისი
გასათხოვარი ქალი და მესამე რძალი. ესენი ყოველთვის,
როცა კი ცხვრის წველის დროა, მთაში ამოდიან, რომ ყველი
თითონვე გააკეთონ და აქ რჩებიან, ვიდრე ცხვარი არ
გაშრება. ახლაც იმისთვის ამოვიდნენ და აგერ მეორე
კვირაა, რაც აქ ცხვრის ბინაზე არიან ღამეცა და დღეც.

მიჩუმდა ყველაფერი. ცხვარმაც შესწყვიტა ფრუტუნი და
ფეხების ბაკიბუკი, რაც ძაღლებს ძილს უფრთხობდა და მალ-

მალ ზარმაცად შეაყეფინებდა. მარტო ნანასავით ეწვეთება ყურში აქ მყოფთ მთის წვერიდან ცელქად ჩამომდინარი წყლის ჩანჩქერი, რომელიც ჩამოკიდებულ მთის კალთებზე მარდად ჩამოხტის და მარგალიტებრ წინწკლებს ესვრის გარშემო უხვად ამოფეთქილს ყვავილ-ბალახებს. მთვარემაც უკანასკნელად გადმოხედა მთის წვერიდან ცხვრის ბინას და მძიმედ, თითქოს ენანება, რომ ასე მალე ანებებს თავს ამ მშვენიერ ბუნებასაო, ჩაეშვა. აგერ, იმისი უკანასკნელი მკრთალი სხივებიც გაიფანტა ცის სივრცეში და აქამდის გაცრიაგებულმა ვარსკვლავებმა კაშკაში მორთეს. ამ დროს მოისმა მთის ზემო კალთიდან, სადაც ბატკანი არის დაბინავებული, საამური ხმა სალამურისა, ჯერ მძიმედ და დაბლად, მერე ამაყად და მედგრად, როგორც მთიულის გული, და ბოლოს კი ისევ მიწყნარდა, მიჩუმდა და წყლის ჩანჩქერთან შეერთებული ოდნავ-ღა გამოისმოდა იმისი ხმა. რაღაც ზეციურს საიდუმლოს მოგვითხრობდა წყლის ჩანჩქერთან შეერთებული სალამურის ხმა...

„ნეტავი, თევდორავ, არ მასმენდე მაგ ხმას! — წამოიძახა ქოხში ქალმა და გულღმა გადაწვა. — რაი ვქნა, მე ბეჩავმა, რაი?!“ მალმალ წამოიძახებდა ხოლმე ქალი და სასოწარკვეთილებით ხან ერთს მხარეს გადავარდებოდა და ხან მეორეს. თავი საშინლად უხურდა და თვალები უბრწყინავდა. ტირილი უნდოდა, ისე უნდოდა, რომ ასე თავის სიცოცხლეში არა მოსდომებია-რა, თითქმის, როგორც ამბობენ, ტირილი ყელშიაც ჰქონდა მობჯენილი და არჩობდა, მაგრამ იმის თვალებს ცრემლი არ ეკარებოდა. თევდორა კი უფრო გულსაკლავ ხმებს ათქმევინებდა სალამურს და ბოლოს სულ კვნესის ხმად აქცია, რომელიც ქალს ყურს ეწვეთებოდა და სდაგავდა იმის გულს.

„ბარამ, ბარამ, რაი დაგიშავე, რაისთვის მასმინე?.. არა, ბარამ, ლომისის მადლმა, სტყუი, ცილსა სწამებ ნინიას, ის მე არ დამივიწყებდა, არა!.. ნინიაი მაგას არ იზამს!.. მე ის მიყვარს და!..“ — წამოიძახა ქალმა, როცა თევდორამ ცოტას ხნობით სალამური შესწყვიტა, მაგრამ იმან ისევ ჩქარა ჩაბერა სალამურს და სამწუხარო ხმები ისევ ჩააწვეთა ყურში.

ქალი გატვრინდა, ის უგდებდა ყურს და ხმის მაგიერად ყურში ესმოდა: „ნინია გატყუებს, ნინია გატყუებს!...“ ამას ჩასძახოდა სალამურის ხმა, ხოლო წყლის ჩანჩქერი კვერს უკრავდა: „ჰო, შე ბეჩავო... ჰო, შე ბეჩავო!...“ ქალმა ვეღარ გაუძლო ამ იდუმალ ხმებს და გიჟივით წამოვარდა. წამოვარდნისთანავე წამოიძახა: „არა, არა!... ნინია არ მამატყუებს..“ „როგორ არა!... როგორ არა!... ხა, ხა, ხა!.. გატყუებს!“ — მოესმა თავისი სიტყვების პასუხად ქალს... „ჩემი თვალით თუ არ ვნახე, არ დავიჯერებ, არა!... ეხლავე წავალ იქ!“ — ხმამაღლა წამოიყვირა ქალმა და ჯოხს წამოავლო ხელი...

— ვინა ხარ? — წამოიძახა ქალის ხმაურობასა და ფაჩუნზე გამოღვიძებულმა იმისმა დედამ.

— მე... — უპასუხა ქალმა.

— რაისთვის არ დასწვები, რას ფროტიალობ?! — შეუტია დედამ და გადაბრუნდა.

III

ქ. დუშეთის გამონაპირებით, ზედ გზატკეცილის პირად ორსართულიანი სახლები სდგას, რომელშიაც მოთავსებულია დუქანი და სადგომი ოთახები. წინ დიდი ბაკი აქვს. ეს დუქანი თავის სადგომი ოთახებით და ბაკით იმითია შესანიშნავი, რომ თბილისს თუ კავკავს მიმავალი არ ასცდება. ამის გამო დღე მუდამ სავსეა ხოლმე მუშტრით. ნამეტნავად საღამოობით მოატყდება ხოლმე ფურგუნები შიგ მსხდომითა და აქ ათევენ ღამეს. დუშეთის ლოთი-ფოთი ბიჭები, ხშირად ვითომ და „ბლაღოროდნებიც“ გადმოდიან აქ საღამოობით და დროს ატარებენ.

კვირა საღამო იყო. კავკავიდან მომავალმა რამდენმამე დასაპალნებულმა ფურგუნმა ჟღრიალით შეიგრიალა ბაკში, საიდანაც მაშინვე გადმოლაგდნენ აჭრელებული კაბებით სხვა-და-სხვა სისქისა და სიმაღლის ლოყებ-დაბრაწული ქალები. ზოგი მათგანი ზემო სართულში ავიდა, ზოგი კი დუქანში შევიდა და სასმელ-საჭმელი შეუკვეთა. მეფურგუნეებმაც დაბინავეს ცხენები და ისინიც საჭმლის ზრუნვას შეუდგნენ. ჩქარა

ვააჩაღეს სამოვრები და გარს შემოუსხდნენ. მოვიდა კიდევ რამდენიმე ფურგუნი.

არც დუშელებს დაუგვიანიათ. იმათაც კანტი-კუნტად დაიწყეს დენა, გაიმართეს სტოლები და დაიწყეს სმა და ჭამა. ვინც „ბლაღოროდნები“ იყვნენ, იმათ ოთახებში შეჰყვეს თავი და იქიდან ულოცავდნენ ბალკონზე მსხდომ ქალებს.

ქვევით ეზოში სამმა ჯარისკაცმა დაიდგა სტოლი და ღვინის სმა დაიწყო. გაიმართა საზოგადო სმა და ჭამა, რამდენიმე ჯარისკაცი ხან იქ აეყუდებოდა და, ხან აქ: ისინი უმზერდნენ მოქეიფეთ და პირს ნერწყვი მოსდიოდათ, მაგრამ რას იზამდნენ, როდესაც ფული არა ჰქონდათ ჯიბეში და, ამის გამო, ქეიფის ჟინი მარტო ცქერით უნდა მოეკლათ. კარგა ხანს შესცქეროდნენ და როდესაც მოეწყინათ ხმელად ქეიფი, შინისკენ გასწიეს იმ განზრახვით, რომ, როდესაც ფულს იგდებენ ხელში, აქ იქეიფონ.

— ეი, მათუშკი, ჩემთან წამოდი, აი ფულები! — შეჰყვირა ქვევიდან ერთმა ჯარისკაცთაგანმა ზევით ქალებს, როდესაც რამდენსამე ჭიქის შემდეგ თავში შეუსხდნენ.

— ხა, ხა, ხა! — გადიხარხარეს ზემოდ ქალებმა: — გინდათ, რომ მანდ ჩამოვიდეთ?

— ჰაი, ჰაი, რომ გვინდა! — უპასუხა ისევ იმან.

ამ პასუხზე წამოდგა ერთი კარგა ჩასუქებული ქალი და კიბეზე მძიმედ ჩამოვიდა. იმას უკან მოჰყვა მეორე, ცოტა ამაზე მჭლე.

— ბარამ, კარგისები მოდიან, აი! — წამოიძახა ერთმა, როცა ქალები ამათკენ წამოვიდნენ.

— ლომისის მადლმა, ის ერთი საბნადაც გვეყვის და ლეიბადაც! — უპასუხა ბარამმა.

— მოდით, თქვენი კვნესამე, მოდით!.. — თითქმის ერთხმად უთხრა სამმავემ და ფეხზე წამოდგნენ.

ქალებმა იმათი ადგილი დაიჭირეს და ღვინო გადაჰკრეს.

— ნინიავ, მაიტა რამ, ჩვენც დავსხდეთ! — უთხრა ბარამმა და, როდესაც ნინია დუქანში შევიდა, მეორეს მიმართა:

— ნიკოლავ, შენც გაქვს ფული?.. შინიდგან რომ ჩამოვიტანე, ვაი, თუ არ გვეყოს.

— რამითი გაქვს?

— ექვსი.

— გვეყოფის, ბარამ, მეც მაქვს ორი. — უთხრა ნიკოლამ და ღვინო დაასხა.

ნინიამ გამოიტანა გრძელი სკამი და პირდაპირ ჩამოუჯდა ქალებს, რომლებმაც ეშმაკურად შეჰხედეს და რაღაც წასჩურჩულეს ერთმანეთს.

— ბედნიერავ, მოეწონევი! — უთხრა ნიკოლამ ნინიას და მუჯლუგუნი წაჰკრა.

ლაზღანდარობით და სიცილით ბლომად დალიეს ღვინო. ქალები ისე დაითვრნენ, რომ აღარ ესმოდათ, რას ამბობდნენ და რას არა, და უშვერის პირით ლანძღავდნენ ბარამს, ნინიას და ნიკოლას...

— ნინიავ, იმღერე რამ! — წასძახა ბარამმა და თითონვე დაიწყო:

„მთიელი ვარ და მთას წავალ,

იქ მყავს დედისა ძმანია!..“

ნინიამ და ნიკოლამ კიდევ მეორე უთხრეს და მწყობრისად იმღერეს.

— გაჩუმდით, გაჩუმდით! — ხელების ფართხვით შეაყენა მომღერლები ჩასუქებულმა. — რა ტურებივით ჩხავით!.. აბა, ეხლა ჩვენ ვიმღერებთ, — სთქვა ისევ იმან და ეხლა თითონ დაიწყო.

— შენ გენაცვალე, მა ტუჩებში!.. — წამოიძახა ბარამმა და საკოცნელად მიატანა. როცა იმან სიმღერაში თავი ამისკენ გადმოიღო...

— უნამუსო!.. — უეცრად წამოიძახა ერთმა ვიღაცა მთიულის ბალღმა, რომელიც ის-ის იყო შემოვიდა და თოფნაკრავივით ალაგობრივ გაშეშდა. უცნობი გაფითრდა და გაყვითლდა, როცა იმათ თვალი შეასწრო, და ტანის ცახცახი აუვარდა.

— რაისთვის არ გინდა მაკოცნინო, ქალავ! — ალერსიანად უთხრა ბარამმა, როცა ქალმა ტუჩებზე ხელი მიიფარა და

საკოცნელად გაწვდილი და დამზადებული ტუჩები იქით მიიღო, რაზედაც ნიკოლამ და ნინიამ სიცილი ასტეხეს.

— არა, შენ არ გაკოცნინებ! აგერ, ის მოვიდეს, იმას ვაკოცნინებ, იმას ჟუჟუნა თვალები აქვს! — უთხრა ქალმა და ნინიაზე მიიშვირა თითი.

— ბილწს, ის უნდა მიიყვანოს! — კანკალით წაიბუტბუტა ყმაწვილმა და ერთი ნაბიჯი წინ წამოსდგა.

— ეხლავ, შენი კვნესამე! — წამოიძახა ნინიამ და გვერდით მოუჯდა. ქალმა გადაუღო კისერი და ნინიამაც გატაცებით კოცნა დაუწყო.

— უნამუსო! — წამოიძახა ბალღმა და ფოცხვერივით ხანჯალამოღებული გადახტა ნინიასაკენ.

ყმაწვილმა ხელიც ამართა, უნდოდა დაეკრა ქალისთვის, მაგრამ ამ დროს ბარამმა მკლავი დაუჭირა.

— რას ჩადი, ბალღო? — შეუტია ბარამმა და იქით მიაყენა.

ყმაწვილი გატრიალდა, რაკი ხანჯლის დაკვრა ვერ მოასწრო, და ამოღებული ხანჯალი ისევ ქარქაშში ჩააგო.

— ბალღო, რისთვის გინდოდა მოგეკლა? — ჩაჟინებით ჰკითხა ნინიამ, როცა ყმაწვილთან მივიდა და ხელი დაუჭირა.

— ხელი უშვი!.. შენ წადი, აი, ის უნამუსო ლოშნე!.. — ამაყად უპასუხა ყმაწვილმა და ხელი გააშვებინა.

— ბალღო, ბედის-წერამ ხომ არ აგიტანა?!

ნინია რომ ყმაწვილს ელაპარაკებოდა, ბარამი და ნიკოლა ისევ მოუსხდნენ გვერდით ქალებს და სიმღერა დაიწყეს.

— უნამუსოები! — წამოიძახა ყმაწვილმა და გაბრუნდა.

— ბალღო, ბედისწერამ ხომ არ აგიტანა-მეთქი?! მე ცოტა მეყოფის, მთიული ვარ!

— მთიულია!.. დაცინვის კილოთი წამოიძახა ყმაწვილმა. — შენ მთიული არა ხარ, არა!.. მთიული მაგას არ იზამს, რასაც შენ ჩადიხარ! წადი ლოშნე აი, ის უნამუსო!

— იყუჩე, ბალღავ, თორემ აი ეხლავ თავს გაგაგდებინებ! — შეუტია ნინიამ და ხანჯალი ამოიღო.

ყმაწვილი მოტრიალდა იმისკენ და ლმობიერად უთხრა:

— ნინიავ, ნინიავ, მამკალ, ამ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია!

ნინიას როგორღაც ეცნობა ეს ხმა, გაშრა და გონს ვერ მოსულიყო, თუ ეს ხმა სად უნდა გაეგონა.

— ბალღავ, მითხარი საით მიცნობ?

— გიცნობ, ნინიავ, და შენ კი ვეღარ მიცან?

— მითხარ, ვინა ხარ? — კანკალით ჰკითხა ნინიამ.

— ვეღარ სცან შენი მარო?

— მარო!. — წამოიღრიალა ნინიამ და მოსახვევნად მიეტანა, მაგრამ მარომ ამაყად ჰკრა ხელი.

— არა, მე შენი მარო აღარა ვარ!.. აგერ შენა ის ლოშნე!.. — თითით ქალზე ანიშნა და თითონ კი გარედ გავარდა. ნინია გაშტერებული დარჩა, ვერ მიხვედრილიყო, ცხადი იყო ეს ამბავი თუ სიზმარი.

IV

ქალი გავარდა და უგზო-უკვლოდ ხან აღმა ეცა და ხან დაღმა. ისე გამალებული გარბოდა, რომ კაცს ეგონებოდა, უკან მტერი მისდევსო. ქალი ჰფიქრობდა, ეშინოდა, რომ ნინია არ დასდევნებოდა და გზაში არ დაეჭირა. მირბოდა და უკან აღარ იხედებოდა. გაირბინა მთები, ტყეები და არ იცოდა კია, სად მირბოდა. უეცრად ავიდა ერთი მთის წვერს და ქვევით ჩაქანება უნდოდა, მაგრამ მთის მეორე მხარე მოფლეტილიყო, რომლის ძირშიაც ადიდებული არაგვი მოსჩქეფდა და მოჰქუხდა.

ქალი შესდგა. გადახედა არაგვს და ტანში ჟრუანტელმა გაურბინა. ცოტა ხნის შემდეგ ცივმა ოფლმა დაასხა და კანკალმა აიტანა. „სადღა წავიდე, რაისთვის-ღა ვიცოცხლო?!“ — წამოიძახა ქალმა და ქვითინი მორთო. ქვითინი

ხმით ტირილად გარდააქცია, რასაც არაგვის შუვილი ბანს აძლევდა. ტიროდა თავის, ჯერ გაუშლელს, ქალობას, სიცოცხლით გაუმაძღრობას და ესალმებოდა წუთი-სოფელს. „ნინიავ, ნინიავ!.. — წამოიძახა ქალმა, როცა ტირილით გული იჯერა: — რაისთვის მამკალ?.. დაიწვი ჩემი ცოდით... არა!.. არა! ლომისავ, ნუ მისმენ!.. ნუ დაჰწომ ნინიას, აცოცხლე დიდხანს და ბედნიერად ამყოფე!.. ნინიავ!.. ჩემო ყველავ!.., არა, ყველა აღარ მყავს!.. ყველაი დავკარგე!..“ — წამოიძახა ქალმა და გადაეშო კიდეც არაგვში, რომელმაც ხარხარით დააღო პირი და საჩქაროდ ჩანთქა.

1892 წ.

„ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!..“

დათუა შრომიშვილი დაჰყრდომოდა ბარის ტარს ვენახში და გასცქეროდა აღმოსავლეთით ახლად შემოსილს მთის წვერს. რომელსაც ოქროსფრად მოელვარე გვირგვინი დასდგომოდა. რის გამოც. იგი ისე გამოიცქირებოდა და მოელვარებდა, თითქოს ცეცხლი წაკიდებიაო. ელვარებდა იგი. გაჰქონდა ლაპლაპი: მისი ალი ცას სცემდა. მაგრამ ობლად მდგომნი მთის წვერზე ახლად გაშლილი ხეები უვნებლად და ნაზად გამოიცქირებოდნენ ცეცხლის შუაგულიდან; ეკიდებოდა იმათ ცეცხლი. მაგრამ კი არ იწოდნენ.

დათუა შრომიშვილი. დამთვრალი სიცოცხლის ნექტარით შეზავებული დილის ჰაერით. მთლად ჩანთქმული იყო ბუნების ამ დიდებული სურათის მზერით და მთელი ტანით თრთოდა. იმას არ ესმოდა იმის გაოშემო ფრინველთა გატაცებული ჭიკჭიკი. რითაც ისინი უგალობდნენ ბუნების დიდებულ სურათს დილის ჰიმნს. და განსაკუთრებით. იქვე ახლად აკოკრებული ვარდის ბუჩქზე მჯდომ ბულბულის აღგზნებულ სტვენას. რომელიც სრულებით არ ამჩნევდა დათუას სიახლოვეს; დათუას არ ესმოდა აგრეთვე ვენახის გვერდით წყალში თევზების შლაპუნი, რომლებიც უეცრად ამოხტებოდნენ ჰაერში, რომ დაენახათ დიდებული სურათი. და ისე უეცრად, წყალში ჩაშვების დროს, ბოლოთი გამოადენდნენ ხოლმე ტკაცანს. ის ვერ ხედავდა იქავე თვალწინ მდგომ ვაზის სიხარულის ცრემლს, და სხვა მცენარეების მოძრაობას ვიღა იტყვის, რომლებსაც მოებრუნათ შენამული გული აღმოსავლეთისაკენ და თაყვანსა სცემდნენ იმ სურათს. რომლის წინაშე სულდგმული თუ არა სულდგმული, პირუტყვი. თუ მეტყველი, გენიოსი თუ არა გენიოსი, ნიჭიერი თუ უნიჭო, ველური

თუ არა ველური, — ყველა ერთგვარად მონავდება და თავის პიროვნებას იმის დიდებულ სიმშვენიერეს უერთებს.

აგერ, დათუაზე კარგა მოშორებით ტყის პირს გამოსულა ხარ-ირემი, რომელსაც მრავალ-შტოიანი რქები გადუხრია უკან, და იმაზე არა ნაკლებ თავდავიწყებით უმზერს იმავე სურათს.

დათუა მოცული იყო სურათის დიდებულებით; მთელი იმისი არსება ჩანთქმული იყო იმითი და იმისი მოსაზრება, გონება სხვა რაიმე საგნისათვის დაჩლუნგებული და მოდუნებული იყო.

სურათს კი თანდათან ელვარება და სინათლე აკლდებოდა. ცოტა ხანიც და ცამ, მთის წვერმა ჩვეულებრივი სახე მიიღო. მზემაც თავი იჩინა და ყველას ერთად სხივი სტყორცნა, რომლის მოხვედრაზედაც, თითქოს ელექტრონმა დაურბინა ტანშიო, აქნობამდის მოდუნებულ და გატაცებულ არსებებს ჩაედგათ ენერგია, მიეცათ ძალა და მოსაზრება და მოძრაობა იწყეს: ფრინველები ჟივილ-ხივილით გამოეთხოვნენ თავიანთ ღამის ბინას და ცაში განავარდნენ; მწერებმაც-კი ზუზუნი მორთეს და ხან ერთ მცენარეს ეწვეოდნენ და ხან მეორეს, რომელთაც მზის სხივის მოხვედრაზე ნაზი, მწვანე ფოთლები შეიბერტყეს და წელი აიმართეს.

დათუამაც მაშინვე თავისდა უნებურად ამოიკვნესა და უნებურადვე ბარს ფეხი ღონივრად დაჰკრა, რის გამოც, ბარის პირი მომბალ მიწაში ღრმად წავიდა და დიდი ბელტი ამოაგდო. პირველ ბელტს მეორე, მეორეს მესამე მოჰყვა და ასე ბელტი ბელტს მიეწყო.

ირემი კი განუსაზღვრელ აღტაცებაში მოვიდა და გაგიჟებით დახტოდა ველზე. ის უეცრად გაქანდებოდა ხტუნაობით ტყის ერთი ნაპირიდან მეორემდის და უეცრივ ასევე მოტრიალდებოდა, უკან ხტუნაობითვე დაბრუნდებოდა; ხან უეცრივ შუა ველზე შედგებოდა, პირს ახლად ამწვანებულ ბალახს დაადებდა და ჩაჰბღავლებდა მიწას, თითქოს იქ, ქვესკნელს ჩასძახის თავის ტოლს, რომ იქიდან ამოვიდეს და ამასთან ერთად ისიამოვნოს, დასტკბეს სიცოცხლით და თავი დავიწყებას მისცეს. ჩაჰბღავლებდა ერთი-ორჯერ კიდევ და, რაკი

ოქიდან პასუხს არავინ აძლევდა, ისევ ასწევდა მაღლა თავს და რქებ-გადაშვებული იწყებდა ისევ ისე ხტუნაობას.

აგერ, ის შედგა უკანა ფეხებზე და რამდენსამე წამს ისე გაჩერდა; იმან აღგზნებულად დააჭყიტა თვალები და ის-ის იყო ტყისკენ გაშვებას აპირებდა, რომ ამ დროს თოფმა იგრიალა. ირემი შეტორტმანდა და გულის საკლავის ამობღავლით, წინ გადახტომის მაგივრად, გულაღმა გადავარდა.

ტყის პირიდან გამოვარდა ახალგაზრდა ყმაწვილი და გადაჩეხილ ირემთან მირბენისათანავე სიხარულით წამოიძახა:

— შიგ გულში არ მოხვედრია!..

ირემმა კი ძალდატანებით ქუთოთოებს განზე გასწია და ცრემლში მოცურავი თვალის კაკლები თავის მკვლელს მიაპყრო, რითაც თითქოს ამას ეუბნებაო: „გაუმაძღარო, რა დაგიშავე, რომ სიცოცხლეს მისპობ?!“

ამის პასუხად ყმაწვილმა ხანჯალი ყელში გაუგდო და მოუსწრაფა სიცოცხლე.

— ეხლა რომელი ქრისტიანი ადამიანი ესვრის რასმე თოფს! — წამოიძახა დათუამ იქით მიხედვის დროს, საიდანაც თოფის ხმა მოესმა, და, ყმაწვილი რომ იცნო, განაგრძო:

— მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახე!..

ბოლო სიტყვა სიმღერით გაათავა და რამდენჯერმე, ამ დროს, ბარს ფეხი დაჰკრა.

დათუას ამის შემდეგ თავი მაღლა აღარ აუღია და გამალებული ბარავდა. ბარვის დროს დათუა ჩამღეროდა და ჩაჰკვნესოდა მიწას, რითაც თავს იმხნევებდა და დაღალვას არ ტყობილობდა, თუმცა იმის სახიდან ოფლი ჩამოწკრიალებდა და ნაბარში ჩადიოდა.

მოატანა სადილობამ და დათუამაც უკანასკნელად ჩასძახა მიწას:

„ზობიდან სიკვდილამდისა
შენ ჩამოგტირით, დედაო,
სიკვდილის შემდეგ შენავე
მიგვიკრამ ხოლმე მკერდსაო!..“

გათავებისას დათუამ ღონივრად დაჰკრა ბარს ფეხი და ასე მიწაში ჩარჭობილს გაანება თავი, თითონ კი გამოხსნა ჭრელი ხელსახოციდან გამხმარი ქერის პური და ვაზის ძირში მიმჯდარმა ლოღნა დაიწყო. იმას ძალიან უჭირდებოდა ჩაყლაპვა, რადგანაც ქერის პური პირში ნამცეცებად იშლებოდა და, რომ ნამცეცებისათვის თავი ერთად მოეყარა, წყალს ხშირად მიმართავდა ხოლმე და ლიტრას მალიმალ იყუდებდა.

ნახევარი ჯერ არ შეეჭამა, რომ თავს მისი ცოლი ნენე წამოადგა.

— ცარიელი რა მოგატლიკინებდა, რომ მოტლიკინებდი, შაჭამადს ვერას მაადუღებდი? — მიმართა დათუამ თავის ცოლს ხველებით, რადგანაც იმას ქერის პურის ნამცეცი სასულეში გადუვარდა.

— რისა უნდა მამედუღებინა, რომ მაგრე იცი? — უპასუხა ნენემ და იმის გვერდით ჩაჯდა.

— მარილის წყალს მაინც მაადუღებდი და წამოიღებდი, რომ ჩამელბო ქერის პური და აღარ დავერჩე.

— იჰ, რა დროს ეგეებია, თუ ღმერთი გწამს! მე რისთვის მოვედი და ეს შაჭამადს გაიძახის!

— მერე და რატომ არ იტყვი, რისთვის მოხვედი?

— რო აღარ დამაცალე!

— ჰო და, ეხლა თქვი! — უთხრა და მოსასმენად მოემზადა.

ჭამა შესწყვიტა და ლიტრას ხელი დააჭირა.

— იმად მოვედი, რომ იასაულმა და პრიჰტავის ჩაფარმა პოესტკა გადმომცეს.

— რა პოესტკა?

— სუდში იბარებენ დათუასაო.

— რათა ადამიანო?

— რა ვიცი, რიჰთვისა!.. აი, დაიჭი და გაიგებ რიჰთვისაც.

მან ამ სიტყვებთან ერთად ჯიბიდან უწყება ამოიღო და დათუას გაუწოდა.

— არა, შე ოჯახქორო, მაგას რო მაწვდი, გადავაბულბულებ თუ?!

— მე კი გადავაბულბულებ?

— დიდება შენთვის, ღმერთო!.. — პირჯვარი გადაიწერა ამ სიტყვებზედ და შემდეგ ცოლს შეტევით უთხრა: — რატომ არა ჰკითხე, რიჰთვისა-თქო? სასუდე რა მჭირს, რა დავაშავე, ადამიანო?!

— მერე, არა ვკითხე, რომ აგრე ცუდ-უბრალოდ ჭყივილი იცი! რო არ მითხრეს, რა მექნა? ღვდელი კიდევ შინ არ იყო, რო წამეკითხებინა.

— ჩაფარმა რატომ არ გითხრა, იმას ხომ ეცოდინებოდა?

— ღმერთმა ნუ იცის იმისი თავი, რა ვიცი, რატომ არ მითხრა?! „იქ წავიდეს და გაიგებსო, რიჰთვისაც არის დაბარებულიო“. ასე მითხრა, მე რომ ვკითხე.

— დიდება შენთვის, ღმერთო, სასუდე რა დავაშავე?! ქურდობა არ გამიწევია, ვალი არავისი მმართებს და ვახში და სუდში რად უნდა მიმათრევდნენ!.. ერთი სამიოდ თუმანიღა მმართებს კომლობა-ამოწყვეტილისა და ხომ შამოდგომაზე ტკბილი უნდა მივცე, პირობა ასე გვაქვს და ის რად მიჩივლებდა!..

— ვისი-ღა გმართებს, კაცო?

— ვისი-ღა და აგერ აი, სახლობა-ამოსაწყვეტ ისაკასი!

— აი, ღმერთმა კი ნუ ახეიროს იმისი თავი და ტანი!.. უთუოდ ის მქვსვინავი გიჩივლებდა! იმას ხომ ღმერთი არ დაასვენებს, თუ არავის არა უხიმანა-რა.

— რაზე უნდა მიჩივლოს იმ სახლ-კარდაქცეულმა?!

— ეშმაკმა იცის იმისი თავი და ტანი, რა ვიცი, რაზე უნდა გიჩივლოს! რამდენჯერ გითხარ, მაგ სახლ-კარ-ამოწყვეტილს ჩამოეცალე-მეთქი, რომ მაგრე უღვთოდ ყველას ტყავს აძრობს, მაგრამ შენ მაინც არ იშლი, მალი-მალ წახვალ და იმას მიადგები კარს.

— რას მიედ-მოედები და როშავ, როდის ერთხელ მივადექ კარს, ჰა?!

— რა ვიცი, თუ არ მიადექი, მაშ რაში აძლევ ჩვენ სარჩო-საბადებელს ყოველ წელს? გეთაყვათ, ყოველ წელს ბატონივით სამსე ტომრები და ტიკები კი მიაქვს და!..

— იმაში მიაქვს, რომ გაკოტრებულივით ძველ თამასუქებს დაუწყო ძებნა და მალი-მალ კანცელარიაში ხან ერთს

უჩივლებს და ხან მეორეს: ეს მამაშენმა აიღო ვალადაო, ეს კიდევ ბიძაშენმაო არ ვიცი. მართლა აიღეს თუ არა. ამღები არ არის ცოცხალი და მოწმეები.

— თუ მაგრე არამზადობით არ შაიძინა, ხომ ღმერთი ვერ გააძღობს იმის თვალს!

— მაგრე რო არ ეარამზადნა, მაშ რითი გადაჰვიმავდა ი ორატაჟიანს სახლებს, ეხლა რო შიგ ბატონივით ცხოვრობს? მაშ არა და თავის ალალად მოგებული ფულით გადაჰვიმა, აი!

დათუა და მისი ცოლი ნენე გაებნენ ისაკას ლანძღვა-წყევლაში, რადგანაც ისინი თითქმის დარწმუნებულები იყვნენ, რომ ისაკას მეტი არავინ „უხიმანებდა“ რასმე, თუმცა კი უწყების შინაარსი არ იცოდნენ.

— ადამიანო, აბა, ერთი წააკითხე ვისმე, მართლა ი ამოსავარდნელი და ამოსაბუგელი მიჩივის თუ არა! — უთხრა დათუამ ბოლოს და წამოდგა.

— რაღა წავაკითხო ვისმე, ის იქნება და ის, აბა, სხვას ვის რად უნდა ჩვენი ცოდო! — დარწმუნებით უპასუხა ნენემ და წასასვლელად წამოდგა.

II

— ბიჭო, სანდრო! — გადასძახა ისაკა ჭამიაშვილმა ახლად მოსულ ბიჭს, რომელმაც ბარი იქვე მიაყუდა.

— რას მიბრძანებ, ბატონო!

— სხვები სად-ღა არიან?

— ახლავე მოვლენ სხვებიცა.

— სანამ ისინი მოვიდოდნენ, შენ წადი გიგო და ლევანთან და უთხარ, ამაღამ ვახშმად ჩვენსა წამოვიდნენ. ესაც უთხარ, ირმის მწვადებიც გვექნება-თქო.

— ეხლავე, ბატონო! — უპასუხა სანდრომ და როცა გაბრუნდა, უკმაყოფილოდ თავისთვის რაღაც წაიბუტბუტა.

— პაპა! — უკანიდან მიაძახა ჭამიაშვილს ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალმა, რომელიც ის იყო მაშინ გამოვიდა სახლიდან და იმასთან მივიდა:

— მამაშამ, რომელი ღვინისა ჩამოვასხმევინო ბოთლიკებში?

— დათუას ღვინისა-თქო, იმისმა ვენახმა კარგი ღვინო იცის, — უპასუხა ისაკამ, რის შემდეგაც ქალი შესრიალდა შინ, და თითონ კი ღიმილით განაგრძო: — მალე დათუას მაგივრად, ჩემსას დავუძახებ იმის ვენახს, სულ მალე... რამდენი ხანია, — განაგრძო იმან ცოტახნის სიჩუმის შემდეგ, — ხან საიდან მოვუვლი და ხან საიდან იმის ვენახს და მაინც ვერა მოვუხიმანერა. ვერა იქნა და ვერ ჩავიგდე იმისი ვენახი ხელში, ვერა! რამდენიც სარმა გავუსვი, იმან მაინც აიცდინა. კიდევაც შევევაჭრე, მაგრამ არა ქნა: „ჩემი მამა-პაპის ოფლი შიგაა ჩაღვრილი და მე როგორ გავყიდო". ჰმ, არ გაჰყიდი?! აბა, თუ არ გაჰყიდი და მაშ ეხლა მიყურე, როგორი მოგვერდი გიგდო! მგონი ისე დაგცე, რომ ცხვირ-პირი ჩაიმტვრიო. ამ ორი კვირის შემდეგ საქმეს გაარჩევენ და მერე მე ვიცი: ავიღებ ისპოლნიტელნი ლისტს და მაშ რას იზამ, თუ ვენახს არ ჩამაბარებ?! მაგრამ მოწმებმა რომ მიმტყუნონ?! — ამ უკანასკნელ სიტყვებზე ისაკას სახეს, ცოტა არ იყოს, სიამოვნების ზეწარი გადაეცალა და შუბლი შეეჭმუხვნა.

ამ გვარმა მდგომარეობამ სულ ცოტა ხანს გასტანა. იმის სახეს დაფიქრების ჩრდილი გადაეცალა და გამხიარულებულმა წამოიძახა: „მოწმები როგორ მიმტყუნებენ?.. გიგო და ლევანი მშიერი აზნაურიშვილები არიან, ორ გროშად მამის სულს გაჰყიდიან და მე რომ ერთი-ორი თუმანი მივცე, ხომ სულ ფიცით დასკდებიან. მამასახლისს კიდევ მოვუხერხებ რასმე..." დაჭეშმარიტებით წარმოსთქვა: „მოვუხერხებ რასმე", ცოტა ჩაფიქრების შემდეგ და თავის სახლ-მიდამოს გადათვალიერების შემდეგ აივანზე ბოლთის ცემა დაიწყო.

ყოველთვის, როდესაც კი ისაკა ჭამიაშვილი თავის გარშემოს თვალს გადაავლებდა და აივანზე ბოლთის ცემას დაიწყებდა, უეჭველად თავისი წარსული მოაგონდებოდა და ამ წარსულის მოგონებით სიამოვნებდა.

„რა ვიქნებოდი ეხლა მე, რომ შინ დავრჩენილიყავ და გარეთ ფეხი არ გამედგა?" უსიტყვოდ დაეკითხა ისაკა თავის

თავს კარგა ხნის ბოლთის ცემის შემდეგ, როდესაც ნიდა-ყვებით დაეყუდა აივნის მოაჯირს და დიდხანს, დიდხანს დასცქეროდა იქვე, იმის სახლის გვერდით, ჩამომჩანჩქარ წყალს, რომელიც თავის ჩხრიალით ატკბობდა მის სმენას და მოგონებისათვის ფანტაზიას უცხოველებდა.

მართლაც, რა იქნებოდა ისაკა, რომ თავისი მამა-პაპის-თვის მიეგბაძნა და შინ დარჩენილიყო, როგორც დათუა და იმისი მოძმე გლეხები შინ დარჩნენ და თავიანთ მამა-პაპას ბაძვენ, რის გამოც, თუმცა ალალის შრომით ალალ ლუკმას სჭამენ, ნახევარზე მშივრები და ტიტვლები არიან! ხომ ისიც, როგორც იმისი თანამემამულე გლეხები, ყველას მონა უნდა ყოფილიყო, ყველას იმისთვის უნდა ებრძანე-ბინა და თავში ჩაეკრა! ვინც კი სოფელში სამი რუსული სიტყვით მოვიდოდა, ხომ ყველას წინ უნდა ქუდმოხდილი და გულხელ დაკრეფილი დამდგარიყო და წარბებში შეეცქირა, რომ იმის ბერვა-პრანჭვის აზრს მიხვედრილიყო და აესრულებინა ყოველივე იმისი სურვილი!.. მაზრის უფროსი, ბოქაული, მათი თანაშემწეები და გადამწერლები, გადამწერლების გადამწერლები და მათი თანაშემწენი, ასისთავები, მათი ჩაფრები და მოჩაფრეები, — ერთი სიტ-ყვით, მაზრის მოხელეების მთელი გუნდი, რომელიც მრა-ვალზე მრავალ-შტოიანია, ხომ მარტო იმისთვის არსებობს და მოდის სოფელში, რომ გლეხს თვალები დაუბღვიროს, დასჭყივლოს და, თუ მოისურვა, სილა გასტკიცოს ან მათრახი გადუჭიროს; თუ რამ გადასახდელი აქვს, წაართვას, გააგდოს ბეგარაზე, მიაყენოს გაჭირვება და ყელში წაუჭი-როს და არა იმისთვის, რომ გლეხის საკეთილდღეოდ იზრუ-ნოს... გლეხის ყველა ამ დამცირებას და დაჯუჯკვას კარგად ამჩნევდა ახლა ისაკა და ამისთვის, ყოველთვის, ასე თავის წარსულის მოგონებაში, როდესაც გაერთობოდა, ადიდებდა იმ დღეს, რა დღესაც იმისმა მამამ ის ერთ მედუქნეს, რომელსაც დუქანი საქართველოს სამხედრო გზატკეცილის პირას ჰქონდა, მისცა ბიჭად. ის დღე იყო ნიშანი ისაკას ახლანდელი მდგომარეობისა; იმ დღიდან ამოიშვა გლეხის ტანჯვიდან თავი და მიაღწია იქამდის, რომ ის დღეს სოფელ-

ში პირველ კაცად ითვლება: ყველა კრძალვით და მოწიწებით ექცევა; მაზრის მმართველები, უფროსები, — თორემ ნაბოლარებს ხომ თითონაც არ იკადრებს, — ჭყივილისა და კივილის მაგივრად პატივისცემით ხელს უწვდიან, იმის სახლში სტუმრად მიდიან, სადაც სოფლის ხარჯით უხვს მასპინძლობას უწევს, და ამით თავბრუ-დახვეულები ყველგან და ყველასთან, თუკი რაიმე მიზეზით იმაზე ბაასი ჩამოვარდებოდა, ამას გაიძახდნენ: „ისაკა პატიოსანი კაციაო“.

მართალია, პირველ ხანს დუქანში დიდი სიდუხჭირე გამოიარა, მაგრამ რა? განა ის ტანჯვა სახსენებელია იმასთან, რომ ეხლა ის თავისი მდგომარეობით კმაყოფილია?! ის დამცირება და მიწასთან გასწორება, რომელიც პირველ ხანს დუქანში წილად ხვდა, სასიქადულოდაც ჰქონდა იმას და ბევრჯერ სხვებისთვისაც უამბნია.

აი, ეხლაც, მოაჯირზე დაყრდნობილს რომ თვალწინ წამოუდგა თორმეტი წლის ისაკა, რომლის: პიროვნებასაც მედუქნე უწყალოდ ფეხქვეშ სრესს, ტალახით სთხუპნის, არ შეჰზარა კია ამ სურათმა, პირიქით, მის გულში სიხარული დაჰბადა და იმის-და უნებურად წარმოათქმევინა: „იმისი დედ-მამა ვაცხონე, რომ ასე მექცეოდა; ასე რომ არ მომქცეოდა, მე ახლა ის არ ვიქნებოდი, რაცა ვარ!“

დიაღ, ისაკა ისეთი არ იქნებოდა, როგორიც ეხლა არის. ასე რომ არ მოჰქცეოდა, იქნებ ცოტაოდენი სიკეთე კიდევ შერჩენიყო რამ ისაკას, მაგრამ მედუქნე სხვანაირად ვერ მოექცეოდა, რადგანაც იმასაც ისე ექცეოდნენ, როგორც ის ისაკას. ჩვენებური დუქნები კი ერთგვარი სკოლაა, რომელშიაც მეფობს აღზრდის ერგვარი მეთოდი. იმის საშუალებით ამზადებენ „ისაკებს, გეურქებს და არტემებს“, რომლებიც მზად არიან თავიანთ მოძმეთა სისხლი დალიონ. სამ წელიწადს ისაკა ისე გაიწვრთნა, რომ მედუქნის თვალის დახამხამების აზრსაც კი იგებდა.

გზა-ტკეცილის პირას მოვაჭრე მედუქნეები, გარდა იმისა, რომ მგზავრთ ვაჭრობაში ტყავს აძრობენ, სხვანაირადაც მოქმედებენ იმათ გასაყვლეფად; არც ერთი გაძარცვა გზაზე ისე არ მოხდება, რომ მედუქნეებმა მონაწილეობა არ

მიიღონ. ბევრჯერ წაურთმევიათ. მგზავრისთვის ფული და ნივთეულობა, და ამაში მედუქნეები, პირველი ადგილი თუ იმათ არა სჭერიათ, დამხმარებელნი მაინც ყოფილან. ბევრჯერ შიგავე დუქანში გაუძარცვავთ დამთვრალი მგზავრი და, ვინ იცის, რამდენჯერ სადგურების ახლო ნივთეულობით სავსე ყუთები აუცლიათ საფოსტო ეტლებით მოგზაურთათვის.

ყველა ეს საიდუმლო გაანდო მედუქნემ ისაკას, რომელმაც ამაში დიდი გამჭრიახობა და ფხა გამოიჩინა. ამის გამო ისაკა, ჯერ თუ ბიჭად იყო დუქანში, მერე ამხანაგად გაუხდა, და ასე თვე-თვეებს გასდევდა, წელიწადი წელიწადებს და ისაკას თანდათან ზურგი უმაგრდებოდა. ამ ხანობაში ისაკამ ცოლიც შეირთო.

როცა ისაკამ ზურგი კარგა მოიმაგრა, თავის ამხანაგს, რომელმაც აღზარდა და გაწვრთნა, ისეთი მოგვერდი უგდო, რომ ცარიელზე გაიყვანა.

ბევრის ხვეწნისა და მუდარის შემდეგ თავისი გამწვრთნელი ისევე მიიყვანა ამხანაგად იმ პირობით, რომ გზის პირას ევაჭრა და საქმე ეწარმოებინა, წელიწადში რამდენჯერმე მიეცა ისაკასთვის ანგარიში და მოგების ნახევარი ჩაებარებინა; საბრუნავი თანხა კი უკვდავად ისაკასი უნდა დარჩენილიყო...

რაკი გზის პირას ვაჭრობის საქმე ასე მოაწყო, თითონ დაბრუნდა თავის სოფელში და იქ საკუთარი დუქანი გააღო, რომელშიაც დახლიდრად თავისივე გაწვრთნილი ნათესავი დააყენა.

აქედან იწყება ისაკას ცხოვრების მეორე ხანა და ამასთან ორგვარი მოღვაწეობაც სოფელში, როგორც ვაჭრისა და, როგორც საზოგადოების წევრისა.

ვაჭრები თუ როგორ სძარცვენ სოფლებს, ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ყველა ამას ჩვენ იმას-ღა თუ დავუმატებთ, რომ სოფელში მოვაჭრე ერთისა და იმავე ნივთის გაყიდვაში ერთსა და იმავე დროს ორნაირ სარგებლობას იღებს. ამის გამოსარკვევად მაგალითს მოვიყვან:

ვსთქვათ, ვაჭარს რომელიმე ნივთი, რომელსაც გლეხი ყიდულობს, უღირს სამ შაურად, თითონ კი, სულ რომ ნაკლები, ცხრა შაურს მაინც გამოართმევს. გლეხმა რომ ქისა გახსნას და ცხრა შაური გადაუთვალოს, მაშინ ვაჭარს სამშაურიან ნივთში ექვსი შაური წმინდა მოგება დარჩება, მაგრამ გლეხს ქისა ცარიელი აქვს და ამისთვის ის თავის ნაწარმოებს, მაგ: ხორბალს, ქერს, სიმინდს და სხვ. აძლევს ცხრა შაურში, იმ ფასად კი არა, როგორც ბაზარში ფასობს, არამედ ნახევარ ფასად. ფუთი ხორბალი რომ თვრამეტ შაურად ღირდეს, ის ცხრა შაურად იღებს, მერე ჰყიდის ხშირად იქვე გლეხზე თვრამეტ შაურად და ამ გვარად სამშაურიან ნივთში ექვსი შაურის მოგების მაგივრად თხუთმეტ შაურს იგებს.

ისაკა სოფელში სხვა მოვაჭრეებს თუ არ გადააჭარბებდა ამგვარ მოქმედებაში, უკან არ ჩამოურჩებოდა. ის, როგორც ვაჭარი, დღითი-დღე ტყავს აძრობდა გლეხებს და მდიდრდებოდა. მაგრამ ისაკას, ვაჭრობის გარდა გლეხების გასატყავებლად კიდევ სხვა გზაცა ჰქონდა. სხვა ვაჭრები, რომლებიც შეხიზნულან სოფელში, ვაჭრობის გარდა, სოფლის საქმეებში ვერ გაერევიან, რადგანაც ისინი იმ საზოგადოების წევრებად არ ითვლებიან. ისაკას საქმე კი სულ სხვანაირად იყო. ისაკა იმ საზოგადოებაში ვაჭრობდა, რომლის წევრადაც ითვლებოდა, და ამისთვის ნება ჰქონდა გარეულიყო სოფლის ყოველ საქმეში. ასეც მოიქცა ისაკა. თითქმის ყოველ სასოფლო საქმეში ძალითა თუ ნებით, ისაკა იყო თორმეტი კაცის რიცხვში, რომელთაც, სხვა მოვალეობათა შორის, სახელმწიფო ხარჯის გაწერაც ჰქონდათ მინდობილი. ისაკა იყო მაწარმოებელი სასოფლო დავთრებისა, ისაკა იყო მწერალიც, ისაკა აწარმოებდა სხვა ორ კაცთან ერთად სასოფლო მაღაზიასაც. ერთხნობით მამასახლისადაც იყო ამორჩეული. რასაკვირველია, ისაკასთანა კაცები ამ გარემოებით ისარგებლებდნენ და არც ისაკა აკლებდა. სადაც კი ისაკამ გამოსარჩენი რამ შენიშნა, იქ დააგო თავისი ფაცერი და დღე-მუდამ განუწყვეტლივ წვრილსა და მსხვილ თევზს აბამდა.

ხარჯის გაწერის დროს ის ყოველთვის ერთ ორმოც თუმნამდის მაინც თავის სასარგებლოდ გააწერდა სოფელს. კერძო ჯარიმებს, რომელსაც სოფლის მოსამართლეები ახდევინებდნენ რაიმე საქმეში დამნაშავე გლეხებს, თავის სასარგებლოდ აკრეფინებდა იასაულებს და დავთრებში სწერდა, რომ ეს ამაზე დაიხარჯა და ეს ამაზეო. სასოფლო მაღაზია ხომ საკუთრებად გაიხადა.

ვინ ჩამოსთვლის კიდევ, რითი არ სარგებლობდა ის. ისაკასთანა კაცი ყოველთვის დაინახავს სოფელში უპატრონოდ დატოვებულს რამ სარჩოს, რომელსაც თავის სასარგებლოდ იღებს.

ისაკა ხედავდა, რომ ხმის გამცემი არავინ იყო და ამისთვის თავისუფლად ფარფაშობდა სოფელში.

მართლაც და, ვინ გაუძალიანდებოდა? გლეხები, რომელთაც შეამჩნიეს ისაკას მრუდობა? გლეხებმა ყოველთვის იციან, ვინ ჰყვლეფავს იმათ, მაგრამ ხმას ვერ იღებენ, და ძალა-უნებურად ხმის ამოუღებლად წინ უწვებიან ცხვრებივით, რომელთაც დუქარდით შიგ ძირში პარსავენ.

რამდენს სულ ტყუილად გადაახდევინა — ვითომ-და იმისი მამისა ან ბიძის ვალი.

როდესაც მამასახლისად იყო, დასწერდა თამასუქს და დაბეჭდავდა, მოწმეებად იმისთანებს ჩასწერდა, რომლებიც უკვე გარდაცვლილები იყვნენ, ან კიდევ თავის ერთგულ გიგოს და ლევანს, რომლებსაც ცოტაოდენ წილს უდებდა, და სასოფლო კანცელარიაში უჩივლებდა თავის ტყუილ მოვალეს, სადაც, რასაკვირველია, საბუთების წინააღმდეგ ვერ წავიდოდნენ და გადასწყვეტდნენ, რომ მოვალემ ნაღდად ჩააბაროს ისაკას და ამით მშობლების ცოდო კისრიდან მოიშოროსო.

გლეხები ხმას ვერა სცემდნენ და სხვა მოწინააღმდეგე კი არავინ იყო.

დუქნის საშუალებით და სოფლის საქმეების წარმოებით ისაკა ისე გაიჭიკნა, რომ ახლო-მახლო სოფლებში სიმდიდრით აღარავინა სჯობდა. ერთის აოხრებული აზნაურიშვილის მამული შეირჩინა თითქმის სულ მუქთად და

ხვნა-თესვას მიჰყო ხელი, „გადაჰჭიმა“ ორ-სართულიანი სახლი, რომლის ოთახები ევროპულად მოაწყო, და შიგ დაესახლა თავისი ცოლ-შვილით. ევროპულად მორთო თავისი ორი ქალი და ორი ვაჟი კი სასწავლებელში მისცა, საიდანაც უფროსი უკვე სწავლადაუმთავრებლად დაუბრუნდა შინ და აგერ ჯერ-ჯერობით ნადირობას მიჰყო ხელი, თუმცა ხანდისხან სოფლის საქმეების წარმოებაშიაც ეშველებოდა ხოლმე მამას, რომელიც შემდეგში, რასაკვირველია, ამ საქმეების წარმოებას იმას გადასცემს, რადგანაც იმისთანებში დიდს უნარსა და ფხას იჩენს.

თუმცა ისაკას ეხლა აღარა უჭირდა-რა, მაგრამ მაინც წართმევის სურვილი უფრო უცხოველდებოდა და გაუმაძღრობა ემატებოდა.

წართმევის სურვილი თითქმის სენად გადაექცა ისაკას და, ხანდისხან ეს ჟინი ისე მოუვლიდა, რომ მზად იყო ყოველივე საშუალება ეხმარა, ყოველისავე სისაძაგლისათვის ხელი ჩაევლო, ოღონდ კი წაერთმია ვისთვისმე რამ.

აი, ეხლა იმას თავისი წარსული მოგონებით გატაცებულს და სიამოვნებით მოცულს უეცრად წამოჰკრა ამ ჟინმა და მთელი ტანით შეარყია. მაშინვე მოტრიალდა და აივანზე აჩქარებით გაიარ-გამოიარა.

უკვე დაბნელებულიყო. აქა-იქ ღრუბლებს შუადგან ვარსკვლავები მოწყენით გამოსცქეროდნენ სოფელს, სადაც მიწყვეტილიყო ადამიანის ხმა და მარტო ხანდისხან ძაღლების გაგრძელებული ყეფა-ღა მოისმოდა, და თავიანთ მკრთალი შუქით მიძინებულს სოფელს უფრო ძილს ჰგვრიდნენ.

— ბაბე! — წამოიძახა ისაკამ გაჯავრებული ხმით და კარებს შეხედა, საიდანაც ამ დროს იმისი გასივებული ცოლი გამოვიდა.

— ადამიანო, ბალკონზე რას აკეთებ და შინ არ შამოხვალ?! — საყვედურის კილოთი უთხრა ბაბემ და მიუახლოვდა.

— ბიჭი არ დაბრუნებულა? სად არის აქნობამდის ის ოხერტიალი?!

— რამდენი ხანია, რაც დაბრუნდა!

— მერე, რა თქვა, მოვლენო?

— რას არ...

— აუ-აუ-აუ!.. — ამ დროს წამოვარდა კიბეზე მწოლიარე ბროლია და თავ-პირის მტვრევით დაიწყო ბოხი ხმით ყეფა და გზისკენ გადახტა, სადაც ორი კაცი გამოჩნდა.

— გადი, გადი!.. — დასძახეს იმათ და ჯოხებით ძაღლის გერება დაიწყეს.

— აი, შე ვერანავ, შენა!.. გამოდი, გამოდი!.. — ყვიროდნენ ცოლი და ქმარი და იმათკენ მიეშურებოდნენ.

ბროლია კი არ ეხსნებოდა იმათ და ზედ ვარდებოდა.

— რა კაპასი რამა გყავთ, კინაღამ არ შეგვჭამა!.. — წამოიძახა გიგომ, როდესაც ისაკამ ქვის სროლით ძაღლი წინ გაიგდო, და ბაბეს ხელის ჩამოსართმევად თავისი გაუწოდა.

— ხანდისხან იცის ხოლმე მაგრე გაგიჟება, თორემ ისე ჭკვიანია.

— რაღა ჩემზე გაგიჟდა! — ჩამოართვა სიტყვა ლევანმა და იმანაც ხელი გაუწოდა ბაბეს.

— იმიტომა, ჩემო ლევან, რომ ძალიან ძვირად მოდიხარ ჩვენსა!

— აზნაურის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო, ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა? ხშირად რომ ვიაროთ, მაშინ...

— მაგისი ნუ გეფიქრებათ, გიგო, თქვენ დასახვედრად კიდევ მოგვეპოვება რამ, — თავმომწონედ გააწყვეტინა სიტყვა გიგოს ბაბემა.

— მოიწვიე, რაღა მანდ ებაასები? — უთხრა ბაბეს ამ დროს მოსულმა ისაკამ და გიგოს ხელი ჩაავლო.

მასპინძელ-სტუმრები ერთად შევიდნენ მშვენივრად მოწყობილ სასტუმროში, სადაც ორი თავშიშველა ქალი დაუხვდათ. ესენი მიესალმნენ სტუმრებს, რომლებმაც მოწიწებით ჩამოართვეს ხელი, და დედის გვერდით დასხდნენ.

— რატომ არ დაათხოვებ ე შენ ქალებს, რაღას ელი? — მიმართა გიგომ ისაკას, როდესაც ქალებს ხელი ჩამოართვა და იმის გვერდით დაჯდა.

— იმას ველი, რომ კარგ კაცებს ვეძებ; უბრალოს ხომ ვერ მივცემ.

— უბრალოს მიეცით, ვინ გეუბნება, განა კარგები ცოტანი არიან?

— ჩემი ქალები სამსახურის კაცებს უნდა მივათხოვო. თუ არ სამსახურის კაცს, არც თითონ ნდომობენ სხვას მისთხოვდნენ ვისმე, — ჩაერია ლაპარაკში ბაბე და თავის ქალებს შეხედა, რომლებმაც დედის სიტყვაზე თავები ძირს ჩაჰკიდეს და გაწითლებულებმა რაღაც წაიბუტბუტეს.

— სამსახურის კაცები რას დაგიჟინიათ, აიღეთ და მამულიშვილს მიათხოვეთ, რომ...

— ის არა სჯობია, მამულიშვილიც იყოს და სამსახურისაც! — ჩამოართვა ბაბემ გიგოს სიტყვა: — დაიცათ, ჯერ ქალაქში გადავსახლდეთ, მაშინ ნახავთ, როგორ სულ დაწკეპილ აფიცრებს მივათხოვებ. ენაცვალოს დედა ჩემს სონას, შარშან რომ ჯარმა აქეთ გაიარა, აფიცრებზე დარჩა თვალი და ერთი ამოიოხრა, რომ...

— კარგი, ერთი!.. — წაჰბუზღუნეს თავჩაღუნულმა ქალებმა დედას და საჩქაროდ მეორე ოთახში გაცვივდნენ.

— ეი, ეი, რას გარბიხართ? შეგრცხვათ, რომ თქვენი სურვილი დედამ გაგიმჟღავნათ?! — სიცილით მიაძახა ლევანმა ქალებს.

— ძალიან მორცხვები არიან, ენაცვალოთ დედა! — სიამოვნებით წამოიძახა ბაბემ.

— ოჰ, მონადირეს გაუმარჯოს! — ლევანმა და გიგომ ერთად მიაძახეს ილას, რომელმაც ამ დროს შემოაღო კარები და ღიმილით სტუმრებისაკენ წავიდა.

— სად იყავი, შვილო, აქნობამდის? — მზრუნველობით ჰკითხა დედამ ილას.

— დუქანში. ეხლა დაკეტა მიტრომ და წამოვედი მეც.

— დუქანში კი არა, ნათლი-დედასთან იქნებოდი! — სიცილით უთხრა ლევანმა და ილა გვერდით მოისო.

— ეე, ლევან, შენ ჩემი მტერი ხარ, — სიცილითვე უპასუხა ილამ, — ეგენი არ იყოს, თორემ, ხომ იცი, მეც გაგიქვეყნებ!

— მაგას რაღა დამალვა უნდა, დღე თუ ნადირობ, ღამე კი არ გინდა ნადირობა?.. — გაეხუმრა ეხლა გიგო.

— ღამე რად მინდა ნადირობა, როცა ნადირი დაბმული მყავს!

— ვერ უყურებ ამას! — სიცილით წამოიძახა გიგომ: — მე მეგონა, ჯერ ისევ ნადირობს-მეთქი და შენ-კი თურმე კიდეც დაგიბამს?! მაშ, შენი საქმე კარგად იქნება!

— კარგად, კარგად, ღმერთმანი, წინ აღარა გვეღობება რა!.. — ერთი ეს არის, რომ ნათლიმამაც შინ არის ხოლმე და ამისთვის ვერას ვარიგებ...

— ეე, არ ვარგებულხარ, შვილო: მაშინ მიდი ხოლმე, როცა ნათლი-მამა შინ არ იყოს! — უთხრა ისაკამ და მერე ცოლს მიუბრუნდა, რომელიც სიყვარულის ღიმილით თავის ილას შესცქეროდა. — აბა, ბაბე, ვახშმის თავ-დარიგს შეუდექი!

— სუფრა გაშლილია, წამობრძანდით!

ამ სიტყვებზე ყველანი მეორე ოთახში გავიდნენ, სადაც გაშლილი სუფრა დახვდათ.

ვახშმად ყველაფერი ქონდათ: წვნიანიც, შემწვარიც, ხმელიც და ნედლიც. ღვინო ხომ უხვად იყო.

სტუმრები გამალებულები სჭამდნენ; რაც მოჰქონდათ, შეუჭმელს და დაულეველს არას უშვებდნენ. არც ლაპარაკს აკლებდნენ: ლაპარაკობდნენ ამ მთისას, იმ მთისას; ძველისა და ახლისას. ისაკამ და გიგომ თავიანთ ჯველობის ამბებიც მოიგონეს და ორივე იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ „წახდა დროებაო... მაშინდელი ჰველები სჯობდნენ ეხლანდელებსაო“.

ქალები კი, ბაბეს გარდა, გაჩუმებულები ისხდნენ და მოწიწებით კიკნიდნენ საჭმელს, როცა მწვადები შემოუტანეს, თითო ნაჭერი შეჭამეს და სტუმრებს დასაძინებლად გამოემშვიდობნენ. ბაბემაც ცოტა ხანს შემდეგ თავის ქალებს მიბაძა და ისიც მოშორდა იმათ. სუფრას შერჩნენ მარტო ისაკა, გიგო, ლევანი და ილა, რომლებმაც ღვინის სმით შუაღამეს გადააცილეს.

ბოლოს ისაკამ ხერხიანად ჩამოაგდო დათუაზე ლაპარაკი

და გიგოსა და ლევანს აგრძნობინა, რომ იმათი მოწმობის იმედი არა აქვს...

— რაო? — იფეთქა წყრომით ისაკას ეჭვზე გიგომ და გულზე ხელი დაიკრა, — გიგო მოკვდეს, თუ ჩემ სიტყვას ვუმტყუნო, გინდაც ამისთვის თავს მჭრიდნენ!.. შენ, როგორც გეტყობა, ჯერ კარგად ვერ მიცნობ!..

— არა, ჩემო გიგო, თავი მომიკვდეს, თუ მე ან შენზე, ან ლევანზე ეჭვი შემომეტანოს, — ოსტატურადვე მოუქონა თავი გამწყრალ გიგოს ისაკამ, როდესაც დარწმუნდა, რომ გიგო და ლევანი არ მიმტყუნებენო და მამასახლისზე დაიწყო: — მე, აი, მამასახლისზე ვამბობდი. ცუდად მოვიქეცით, რომ იმის სახელით შევამოწმეთ.

გიგოსა და ლევანისთვის ეს საკმარისი იყო, რომ ამათი თავმოყვარეობა დაკმაყოფილებულიყო და ამ საქმეში ისეთი მონაწილეობა მიეღოთ, თითქოს ეს იმათ ღვიძლ შვილს შეეხებაო.

— ეგ კი საფიქრებელია! — მზრუნველობით წამოიძახა ორმავე და ღრმად ჩაფიქრდნენ.

— მინდოდა, — დაიწყო ისაკამ ისევ იმ კილოთი, — ეხლა ისიც მომეწვია, მაგრამ გვერდით რომ მოგვესო, ვაი თუ უფრო გატყლარპულიყო.

— კარგი გიქნია, რომ არ მოგიწვევია, თორემ, ხომ იცი, გლეხიკაცის ამბავი: რაც თავს გაუყადრებ და პატივსა სცემ, უფრო თავს წამოგაჯდება. ეს მე კარგად ვიცი! — უპასუხა გიგომ ისაკას ამ უკანასკნელის სიტყვებით უფრო თავმოპოხილმა.

— მამი, შენ მამასახლისისა ნუ გეშინიან! — ჩაურთო სიტყვა ილამ, როცა მამას მართლაც და შიში შეატყო: — როგორ შეუძლიან სთქვას რამე და არ გიმოწმოს, ხომ ციმბირს იქით გააცილებენ! ჯერ შაამოწმა და ეხლა უარს იტყვის?! შენ ციმბირით შეაშინე და მაშინ ნახავ, როგორ ფიცით ყბები ამოიგდებინოს, რომ შენი დათუას მართებს.

— მართალია, ეგ თავში სულ არ მომსვლია ფიქრად? — სიხარულით წამოიძახა ისაკამ, მაგრამ უეცრად შუბლი ისევ მოეკმუხნა და სიხარული მოსცილდა.

— ეგ კი, — დაიწყო შუბლმოჭმუხვნილმა ისაკამ, — მაკრამ იმან რო არ იცოდა, საქმე რაში იყო, როცა ბეჭედი დავასმეინეთ, და არც ეხლა იცის. იმას ხომ შეუძლიან თქვას, რომ მე სულ არ ვიცოდი, რას მამოწმებინებდნენო, რადგანაც კითხვა არ ვიცი.

— მით უკეთესი! რო სცოდნოდა, ხომ არც შეამოწმებდა! ეხლა გააგებინე და რას იზამს, თუ არ დაგემოწმება?!. როგორ შეუძლიან გააცხადოს, რომ შევამოწმე და რა ვიცოდი, რას ვამოწმებდიო, იქნება იმას ხემწიფეზე ამოწმებინებენ რასმე, უნდა შეამოწმოს ისე გაუგებრად?! აბა, ეგა თქვას და მაშინ ნახავს, საით უკრავენ თავს!... — ილამ დარწმუნებით წარმოსთქვა ეს მოსაზრებანი, გაბრწყინებულის სახით შეხედა მამასა, რომელიც მაშინვე სიხარულით წამოვარდა და შვილს გადაეხვია:

— ღმერთმანი, შვილო, შენ ჩემზე მოსაზრებული ხარ!.. — შესძახა იმან და გატაცებით ჩაკოცნა.

III

მაზრის სამსჯავროში დიდიხანია, რაც ხალხი შეიყარა და ადგილები დაიჭირა. მომეტებული ნაწილი გლეხობა იყო. ყველას თავპირი ჩამოჰკიდებოდა და ნაღვლიანად შესცქეროდა მომრიგებელ მოსამართლეს, მაუდის წითელ სუფრა გადაფარებულ ტაბლას, რომელზედაც საწერ-კალამი და რამდენიმე წიგნი იდო.

დათუა შრომიშვილიც იმათ შორის იჯდა და ხშირ-ხშირად გადახედავდა ხოლმე ისაკასა და იმის მოწმეებს, რომლებიც ხმადაბლა რაღაზედაც ბაასობდნენ.

„ვაიმე!“ თავისთვის წამოიძახებდა ხოლმე ბრაზმორეული დათუა ყოველ შეხედვაზე და თავისთვისვე განაგრძობდა: „რა უნდა მაგ კომლობაამოსაწყვეტს ჩემგან, რომ ტყუილუბრალოდ აქ ამომათრია! ვითომ რას წაიღებს, რომ მიჩივლა?!“

„ვითომ რას წაიღებს, რომ მიჩივლა“-ო, იძახოდა დათუა იმისთვის, რომ ის დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში

და ვერ წარმოედგინა, თუ ტყუილად გადაახდევინებდა ვინმე რასმე სამართლის ძალით.

როცა მღვდელმა უწყება წაუკითხა და გამოუცხადა, რომ ისაკა სამოც თუმანს გიჩივის და ამისთვის გიბარებენო, ის გაოცდა და კარგა ხნობამდის გონს ვერ მოვიდა.

„მერე რას წაიღებს, რომ მიჩივის?! განა და ალალაობაა, რომ არ მემართოს და ისე წამართვას! სამართალი აღარ არის ქვეყანაზე?“ დამშვიდებით წარმოსთქვა პირველი გაკვირვების შემდეგ იმან მღვდელთან და შინ წამოვიდა.

მას შემდეგ დათუას ამაზე აღარც კი უფიქრია და დანიშნული დღისთვის არხეინად წამოვიდა მაზრის სამსჯავროში, სადაც აი ეხლა სხვებთან ერთად ელოდა, თუ მომრიგებელი მოსამართლე როდის გამოვიდოდა და დაიწყებდა იმის საქმის გარჩევას, რომ ის გამართლებული შინ გაეტუმრებინა.

აგერ, ტაბლას იქით პირდაპირ კარი გაიღო და მომრიგებელი მოსამართლეც გამოვიდა, რომლის დანახვაზე ყველანი ფეხზე წამოდგნენ. ის ისე დაჯდა და ძეწკვი ისე ჩამოიკიდა, რომ ხალხისთვის არც კი შეუხედნია. დაჯდომის უმალ ქაღალდებს ჩხრეკა დაუწყო, რომლებიც თითონ შემოიტანა და ზოგი კი მდივანმა მიაწოდა.

— დასხედით!.. — დაუძახა ხალხს კარებში მდგომმა მოსამსახურემ.

ხალხი დასხდა. ამ დროს შემოვიდა იღლიაში პორტფელ-ამოჩრილი ახალგაზრდა კაცი და მოღიმარის სახით მოსამართლისკენ წავიდა, რომელმაც ღიმილითვე ხელი გამოუწოდა და ჩურჩული დაუწყო.

— ეგაა, რომ აქებენ?! — გაკვირვებით ჩაეკითხა ერთი გლეხი მეორეს და გიორგი „ადვოკატს“ დააკვირდა.

— სუდიასთან როგორ დაახლოვებული ყოფილა, აგერ როგორ უცინიან ერთმანეთს!.. — განაგრძო ისევ იმ გლეხმა, როდესაც დასხდნენ.

— მაშა, კაცო!.. ეგა და სუდია ესე არიან, აი!.. — უპასუხა პირველმა და საჩვენებელი თითები ერთმანეთს მიატოლა.

— ნეტავი მაგას!.. — წამოიძახა მეორემ და გაჩუმდა.

მოსამართლის დანახვამ დათუა, ცოტა არ იყოს, შეაშინა

და იმისმა მოქუშულმა სახემ იჭვნეულებით გააფიქრებინა: „ვაი თუ გამამტყუნოსო“. მაგრამ იმან ამ დროს სარკეზლის ახლო ჯვარსა და სახარებას თვალი შეასწრო და იმედი ისევ მოეცა: „როგორ გამამტყუნებს, როცა მართალი ვარ!“ გაიფიქრა იმან და მოსამართლის მოძრაობას თვალყურის დევნა დაუწყო.

მოსამართლემ გაათავა გიორგი „ადვოკატთან“ ბაასი და პირდაპირ საქმეების გარჩევას შეუდგა.

ამოიკითხა ჯერ ერთი, ახლა მეორე, მესამე და ასე რიგრიგად არჩევდა საქმეებს და ყოველ განაჩენის წაკითხვაზე ხალხს ფეხზე წამოაყენებდა ხოლმე.

მიდგა ჯერი დათუაზედაც.

ამოიკითხა მოსამართლემ ისაკა ჭამიაშვილი და დათუა შრომიშვილი, რომლებიც მაშინვე წარსდგნენ.

— შენ, — უთხრა მოსამართლემ, — ისაკა ჭამიაშვილის სამოცი თუმანი გმართებია და რატომ არ აძლევ?..

— რისა მმართებია, შენი ჭირიმე, ჩემ დღეში მაგისგან ვალი არ ამიღია! ერთი სამიოდ თუმანი მმართებს, ისიც მამიჩემის აღებული, და შამოდგომაზე გავუსწორდები.

— სამიოდ თუმანს კი არა, სამოც თუმანს გიჩივის და აი, თამასუქიც აქ არის. ტყუილად ხომ არ დაუწერდნენ და შეუმოწმებდნენ!

— მაგისგან განა ძნელი მოსალოდნელია, რომ ტყუილად დასწეროს.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, აგერ მოწმეებიცა ჰყავს.

— რაც არა მმართებს, როგორ არ ვილაპარაკო!

— ჩუმად, კარგი! — შეუტია მოსამართლემ და მოწმები გამოიძახა. ისაკა კი გაჩუმებული იდგა ამ დროს და, როცა დათუა უარს ჰყოფდა, გაკვირვების ნიშნად იღიმებოდა.

— დავაფიცო? — დაეკითხა მოსამართლე დათუას, როდესაც გიგო, ლევანი და მამასახლისი, რომელსაც მკვდრის ფერი დაედო, გამოვიდნენ.

— დააფიცე და მაშინ როგორღა იტყვიან ტყუილს! — უპასუხა დათუამ და მერე მამასახლისს მიუბრუნდა: — როდის ვისესხე, რომ შაგიმოწმებია, ჰა?!

ამ უეცარმა კითხვამ მამასახლისი სულ დააბნია და ჭირის ოფლი დაასხა, რის გამოც ის კინაღამ გადაიქცა.

— რა ვიცი, როგორ აიღე! — წაილუღლუღა თავისდა უნებურად და ისაკას ისეთი თვალებით შეხედა, თითქოს ამისი თქმა უნდაო:

„შენი ოჯახი დააქციოს ღმერთმა, რომ ამ ცეცხლში ჩამაგდეო!“

— თუ არ იცი, შე ოჯახქორო, და... ამ ბეჭედს რაღას უცემდი?! — უფრო ხმამაღლა წამოიძახა დათუამ და თვალებში ჩააკვირდა მამასახლისს.

— თქვენი კანცელარია ნუ გგონია აქ, ნუ ჰყვირი! — შეუტია მოსამართლემ და შემდეგ დანარჩენებს მიმართა:

— წადით, დასხედით და მღვდელი ეხლავ მოვა.

ისინი ყველანი გამობრუნდნენ თავთავიანთ ადგილებისკენ. მოსამართლემ კი სხვის საქმეების გარჩევა დაიწყო.

დათუას მღვდლის ხსენებაზე გამართლების იმედი ისევ მოეცა, რომელიც მოსამართლემ სულ შეურყია და მოაშორა. მამასახლისი კი უფრო შეაშინა და დააფიქრა. როცა ის მოსამართლემ იქ გაიძახა, ეგონა, იქნება დაუფიცებლივ გადავრჩეო, რადგანაც იქ მღვდელს თვალი ვერსად მოჰკრა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ის უნდა დააფიცონ.

„ჯანი და სული წაუვიდეთ, გამგზავნონ ციმბირს!“ დიდის ხნის ფიქრის შემდეგ წამოიძახა უსიტყვოდ მამასახლისმა; მაგრამ ამავე დროს თვალწინ ცხადად წარმოუდგა თავისი კარმიდამო, ცოლშვილი და ტანში გააჟრჟოლა. „ღმერთო, რა ცეცხლში ჩამაგდე!“ საყვედურის კილოთი წაიჩურჩულა თავისთვის და ხელები წინ გაიშვირა, თითქოს უნდოდა ხელში აეყვანა ვინმე და გულში ჩაეკრა, რომ გამომშვიდობებოდა. ყმაწვილის მაგივრად, რომელიც იმას მოელანდა, ხელები წინ მჯდომ კაცს წაავლო და ეს უკანასკნელი მოხედვის შემდეგ დაეკითხა: „რა გინდა“-ო. ამ კითხვაზე ის გონს მოვიდა, ხელები გაუშვა და უთხრა: „არაფერი, მომიხვდა ხელი“-ო.

„ვერა, ვერ დავთმობ!“ გადაწყვეტით წამოიძახა იმან, როცა იმის წინ მჯდომმა კაცმა ისევ იქით მიიხედა, და გაოფლიანებული შუბლი მოიწმინდა.

ამ დროს მღვდელიც შემოვიდა და ის სხვა მოწმეებთან ერთად დასაფიცებლად გავიდა.

დაფიცების შემდეგ მოსამართლე ისევ დათუას საქმეს დაუბრუნდა და მოწმეებს სათითაოდ ჩვენება ჩამოართვა.

სამმავე მოწმემ ერთნაირად აჩვენა, რომ დათუას ისაკასი ნამდვილად მართებს სამოცი თუმანი.

— ისე თქვენი ოჯახი აშენდეს, როგორც მართალს ამ-ბობთ! — გულჩაწყვეტით, თითქმის ტირილით, წამოიძახა დათუამ და მუხლები ჩაეკეცა.

რაკი მოწმეებს ჩვენება ჩამოართვა და ხელი მოაწერინა, ცოტა ხნის წერის შემდეგ მოსამართლემ დადგენილება წაიკითხა, რომლის ძალითაც დათუა შრომიშვილმა უნდა გადიხადოს სამოცი თუმანი ისაკა ჭამიაშვილის სასარგებლოდ და აგრეთვე სამსჯავროში საქმის საწარმოებელი ფული რვა მანეთი.

— ღმერთი აღარა გწამთ, ტყუილად რად უნდა გადავიხადო?! — წამოიღრიალა დათუამ, განაჩენი რომ მოისმინა, და ჯავრისაგან ცრემლები გადმოჰყარა.

— როგორ თუ ტყუილად! — შეუტია მოსამართლემ და განაჩენი იქით გადასდო.

— ღმერთი, რჯული, არა მმართებს... დაიჯერეთ, ქრისტიანები არა ხართ?.

— კარგი, წადი... თუ გინდა, აქედან ასლი გაიტანე და სხვაგან გადიტანე საჩივარი.

— სხვაგან სადღა გადავიტანო? თუკი აქ არ მაძლევთ სამართალს, იქ კი მამცემენ?!

— გაიყვანეთ ეგ დათვი!.. — წამოიყვირა მოსამართლემ და თავპირანთებული ზეზე წამოვარდა.

IV

ნენემა და იმისმა რვა წლის ვაჟმა გაბრომ დიდი ხანია, რაც დაიძინეს. დაიძინეს აგრეთვე სხვებმაც სოფლებში, ან კი აქნობამდის დაუძინებელი ვინ დადგებოდა სოფელში, სადაც მუშაობით მოქანცულები შებინდებისასვე წვებიან და გარიჟ-

რაჟებამდის ფეხს არცკი გაიქნევენ. დათუას თვალებს კი ძილი არ ეკარებოდა. ის, აგერ, რამდენი ხანია დერეფანში თავის ცოლშვილის გვერდით შამფურივით ტრიალებს და ბოლმა აწვება გულზე, ამას ვერ მოუნელებია, რომ დღეს ვენახი ისე უსინდისოდ ჩამოართვეს და ისაკას გადასცეს.

მთვარე კი შემოსციმციმებდა დათუას და თითქოს ამას ეუბნებოდა: „საწყალო, შრომიშვილო, როგორც ვხედავ, შენ ბედი არ გაგიღიმებს!.. რამდენი საუკუნეა, რაც შენ მონადა ხარ და შენი სარჩო-საბადებელი სხვას მიაქეს... წინად თუ ლუარსაბები, რევაზები და არჩილები გაცლიდნენ ხელიდან შენ საცხოვრებელს, ეხლა ისაკები გიხდებიან ბატონად და... ეჰ, საწყალო, როდემდის უნდა ითმინო?!“ თითქო მთვარემ ვეღარ გაუძლო დათუას მზერას, ღრუბელს მიეფარა და დერეფანში ჩამოაბნელა.

„ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი!...“ წამოიძახა დათუამ მთვარის მოფარებაზე და წამოჯდა. იმან გადახედა ნენეს და გაბროს, რომლებიც დამშვიდებით ფშვინავდნენ, და ტირილი ყელში მოებჯინა: „რითლა უნდა გაცხოვროთ?!... ან მტერს, ან მოკეთეს, ან ღმერთს რითლა უნდა გავცე პასუხი!?..“ აკანკალებულის ხმით ჩასძახა ნენეს და იმისკენ უფრო გადიხარა.

— დათო, დათო, გენაცვალე, ეგრე როგორ წაგართვეს ვენახი, რომ ხმა არ გაეცი?! — მიკნავებულის, მაგრამ სიყვარულით სავსე ხმით წამოიძახა ამ დროს ნენემ.

ამ ხმამ დათუას სწრაფად დაურბინა ტანში და მთლად შეარყია.

— ნენე!... — ჩასძახა მან ცოლს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ნენეს ღრმად ეძინა. — სძინავს, სძინავს!... — თავის ქნევით და მწარის ღიმილით წამოიძახა და დიდხნობამდის თვალი აღარ ჭოუშორებია ნენესთვის, როგორ მძიმედ სუნთქავდა და ტუჩებს მალიმალ ანძრევდა, თითქოს რაღასაც ლაპარაკობსო.

„კაცი ვარ მეცა!“ დაიძახა იმან კარგა ხნის მზერის შემდეგ და ისევ მიწვა: „მამულს გართმევენ, სულს გიხუთავენ და შენკი ცხვარივით თავი ჩაგიღუნავს და ხმას არ იღებ!...

ვაიმე შე ოხერო, ჩემო თავო!..“ წამოიყრანტალა იმან და თავში მაგრად შემოირტყა ხელი: „სხვა უჩემო სისხლს დაღვრიდა, კარებში ჩაკვდებოდა, არავინ შაეშო, და მე კი თითონ შევიყვანე და ჩავაბარე... თფუი!..“ სიბრაზით გადააფურთხა დათუამ და თვალები დახუჭა...

— მე მაინც გამიშვი, კაცო, თუ შენ არას ეუბნები!... — იმავე კილოთი აჩქარებით წამოიძახა ნენემ და ხელები გააფათურა.

— დედაკაცის ლეჩაქი უნდა მეხუროს თავზე, კაცის ქუდი კი არა!... — წამოიღრიალა ნენეს ხმაზე და ფეხზე წამოიჭრა.

— ეეეხ!... — ღრმად ამოიოხრა ნენემ და გულღმა გადმოტრიალდა.

ამ დროს მთვარემაც გამოიხედა ღრუბლებიდან და ნენეს მიაყენა შუქი.

იმის გამხდარ ფერმკრთალს, ნაზ სახეს ამ შუქზე სინაზე უფრო გაუორკეცდა და ამან დათუა დაიმონავა. იმას ჯერ არ ენახა თავისი ცოლი იმისთანა მშვენიერი და ამ მშვენიერების დანახვაზე იმან თავისდა უნებურად ჩაიჩოქა.

— ნენე, ნენე!. — ჩასჩურჩულა იმან ნენეს მოწიწებით, — გენანება განა, რომ ამისთანა ლაჩარ კაცს მისთხოვდი? განა, მე შენი ღირსი არა ვარ?!.. არა, ნენე, მაგრე ლაჩარი არა ვარ, ნუ ნანობ...

— ჰა-რა-ლეეე, სუფ-რისა თავსა მჯდომარეე... — მოისმა ამ დროს სიმღერის ხმა.

დათუა საჩქაროდ წამოხტა ამ ხმაზე და სმენად გარდიქცა. იმას ეგონა, რომ სმენამ მოატყუა, მაგრამ სიმღერა არა სწყდებოდა.

— ისაა... ისა... ის ქეიფობს!. უხარიან, რომ ვენახი წამართო!.. — დაბნეულად გაიძახდა ის და ხელებს აფათურებდა.

სუფრული სიმღერა კი უფრო და უფრო მკაფიოდ მოისმოდა.

— ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!... — ჩაჩოქვით და ხელების მაღლა აპყრობით წამოიძახა დათუამ და ცრემლმორე-

ულმა მერე თავისი მთრთოლვარე ტუჩები მოწიწებით ნენეს ჩათბუნებულ ტუჩებს შეუერთა, რომლებიც დათუას ტუჩების შეხებაზე ოდნავ შეთრთოლდნენ.

V

ისაკა ჭამიაშვილის ბალკონზე სანთლებით გაჩაღებულ ტაბლას გარს შემოსხდომოდნენ სტუმრები: სამსჯავროსა და პოლიციის ბოქაულები მოაჯირებისკენ ისხდნენ, ტაბლის თავსა და ბოლოს — გიგო და ლევანი, ისაკა და მისი შვილი ილა — ბოქაულების პირდაპირ, კედლისკენ.

ყველანი მომხიარულებულები იყვნენ, სტუმრებიცა და მასპინძლებიც. ნამეტნავად ისაკა კელაპტარივით დნებოდა ამ საღამოს. დღეს ამას შეუსრულდა ამოდენა ხნის სურვილი და მაშ, არ მოელხინა!!

ისაკამ, როცა ის კარგად შეზარხოშიანდა, სუფრულიც კი შემოსძახა, რომელსაც გიგომა და ლევანმა მეორე და ბანი უთხრეს, და ბოლომდისაც შეუცდომლად გავიდა, თუმცა კარგა ხანია ეს სიმღერა იმას აღარ უთქვამს, რადგანაც, იმის ფიქრით, გლეხებს უნდა ემღერათ და არა იმისთანებს, როგორიც ისაკა იყო.

— ბრავო, ბრავო!.. — ბოქაულებმა შეღრიალეს და ტაში დაჰკრეს, როცა ისაკამ სუფრული დაათავა.

— ვერ უყურებთ ისაკასა, როგორ კარგად მღერის! — წამოიძახეს გიგომა და ლევანმა და სიცილი დაიწყეს.

— ექსტრა, ექსტრა!.. ისაკას სადღეგრძელოდ!.. დასჭყივლა პოლიციის ბოქაულმა და ჭიქა აივსო.

სხვებმაც შეავსეს და ჭიქების ჭახა-ჭუხი ასტეხეს.

— ისაკა!.. — სახლის კარგა მოშორებიდან დაუძახა ვიღაცამ ისაკას ამ დროს. ჭიქების ჭახა-ჭუხი შესწყვიტეს და იქით მიიხედეს, საიდანაც ხმა მოესმათ, მაგრამ სანთლიანის თვალით ვერა გაარჩიეს-რა ისაკა კი სავსე ჭიქით წამოდგა და დაიძახა:

— ვინ არის?!

— აბა, ცოტა ხანს ეგრე გაჩერდი!..

— ვინა ხარ...

თოფის გრიალმა ისაკას სიტყვა გააწყვეტინა.

სანთლები ჩაქრა. მოისმა ჭურჭლის ლაწა-ლუწი, მაგიდეზის ბრახაბრუხი და რაღაც მძიმის და რბილის ზართხანი.

— უი. უი!.. — კივილით გამოცვივდნენ სახლიდან ბაბე და იმისი ქალები.

— ვინ?!.. რა?! როგორ?! სადა?.. სანთელი! — ყველა იქ მყოფი უეცარის შემთხვევით გულგახეთქილი გაიძახოდა დაბნეულად და გონს ვერ მოსულიყო, თუ თავს რა დაატყდათ.

უმცროსმა ქალმა გამოარბენინა სანთელი, რომლის შუქზედაც იქ მყოფთ შემდეგი სურათი წარმოუდგათ:

მაგიდებს შუა, ჭურჭლის ნამტვრევებთან ერთად, გულგაგმირული ისაკა ღვინოსა და სისხლში სცურავდა.

1893 წ.

„ვაი ჩვენი ბრალიც“!..

მაისის მზე ისევ მაღლა იდგა. იმის სხივებზე მთაწმინდა მწვანედ ღადღადებდა და ქალაქიდან ჟივილხივილით და სრიალით ყურებ გამოჭედილს და მტვრით შეზავებულის ჰაერით სულშეხუთულ ხალხს თავისკენ იწვევდა, რომ იმის წვერსა და კალთებზე. სადაც ყოველ ბალახს ენა ამოედგა და ნაზად გაიძახდა: „სიცოცხლე, სიცოცხლე და სიცოცხლე“, სული მოებრუნებინა, სიტკბოებას მისცემიყო და სხვა ყველა დღიური ვარამი და ვაგლახი დაევიწყა. თითქოს ეს უსიტყვო მიწოდება შეესმინათ რომ ქალი და ვაჟი ჯგუფ-ჯგუფად შემოუდგნენ იმის მიკლაკნილ-მოკლაკნილ გზას და სიცილით და ოხუნჯობით ზევით მიეშურებიან. აგერ, ზოგი კიდევაც ავიდა იმის მაღალ კალთებზე და შესასვენებლად შესდგა; ზოგი კი სხვა მხრით, უგზოდ, გაუკვერავ მწვანეზე მიდის და ზევითვე მიეჩქარება. იმისი კალთები ჩქარა მოიფინა ქალითა და ვაჟით, რომელთაც იმან შთაბერა უზენაესი გრძნობა და ყოველივე ბოროტი დაავიწყებინა.

ყველა უზრუნველად მხიარულობს, დახტის და თავის თავს ბედნიერად სთვლის; მეტისმეტის სიამოვნებისაგან ყველას მკერდი მაღლა უღელავს, სახეზე სიხარულის ალმური ასდის და გული უფართოვდება, რომელშიაც ყოველი მათგანი გრძნობს, რომ შეუძლიან მოათავსოს მთელი სამყარო. განურჩევლად ყველა მიიწვიოს, წინ სიყვარული გადუშალოს და, თუ-კი შეძთხვევა მოითხოვს, თავი მსხვერპლად შესწიროს...

გადახრილი მზეც სიხარულით გადასცქერის ამათ და, თითქოს ენანებაო, რომ ასე ჩქარა უნდა მოაშოროს თვალი ამ ყოველისავე მსხვერპლისათვის გამზადებულ საზოგადოებას,

რომელშიაც ამ წუთს არავითარი ბოროტი განზრახვა არ მოიპოვება, მძიმედ მიცურავს დასავლეთისკენ. იმან ქვეითკენაც გადიხედა და სიხარული გაუთკეცდა, რადგანაც დაინახა, რომ კიდევ, კიდევ და კიდევ მოდიან ამ წმინდა ადგილისკენ და ისინიც იმგვარივე გრძნობით იმსჭვალებიან, როგორადაც წინად მოსულნი... მაგრამ მზეს ამ დროს რაღაც უკმაყოფილება შეეტყო. ის უეცრად შეკრთა. პირველი შეკრთომის შემდეგ უეცრად სტყორცნა თავისი სხივები ქვევით, თითქმის მთის ძირში, ბალახებსა და ყვავილებს შუა მჯდომარე ნაღვლიანად ჩაფიქრებული ქალისკენ და პირდაპირ თვალებში ჩაჰხედა, რომ იქ იმის მიზეზი ამოეკითხა, რატომ ესეც არ ადისო ზევით და სხვებივით სიხარულს არ ეძლევაო. .

ქალმა მუხლებზე გადაშლილი წიგნი აიღო, მზეს მოაფარა და თითქოს იმის საიდუმლოს შეტყობა დაუშალა.

— ლიზა, ეს რა ჭიაა?! — ჰკითხა ამ დროს ექვსი წლის ვაჟმა, რომელმაც, ის ის იყო, მოირბინა თავის ოთხი წლის დასთან ერთად და მუჭა გაუწოდა.

— აბა, სად არის? — ჰკითხა ლიზამ და იმის ბეჭის სიწ̓ვა დაიწყო.

— ვაი, სად წასულა? — წამოიძახა პატარა ქალმა და მაშინვე თვალების ძირს ცეცება დაიწყო.

ვაჟი კი შეკრთა და გაკვირვებით ლიზას შესცქეროდა. იმას ვერ გაეგო, თუ ისე როგორ გავარდა ჭია ხელიდან, რომ ვერ შეიტყო.

— აი, შე უხეიროვ, შენა!.. — ღიმილით უთხრა ლიზამ და იმის გაოფლიანებულ ლოყას ალერსით ხელი ჩამოუსო.

— აქ ალის, აქ! — სიხარულით წამოიძახა ამ დროს ქალმა და თავის პაწაწინა ფუნჩულა თითებით ლიზას კალთიდან მარიამ-ჭია აიყვანა.

— ეს იყო, სიკო? — ჰკითხა ლიზამ და პატარა ქალს მარიამ-ჭია გამოართვა.

— ჰო, ეგ არის! — სიხარულით უპასუხა სიკომ და ხელი გამოსართმევად წაატანა, მაგრამ ლიზამ არ მისცა.

— ეს მარიამ-ჭიაა! — უთხრა ლიზამ და ხელის გულზე დაისვა.

— აბა, აქ უცქირეთ, რას იზამს მარიამ-ჭია! — უთხრა ყმაწვილებს, როცა მარიამ-ჭიამ იმის ხელის გულზე ცოცვა დაიწყო და მერე მოსთქვა: — „მარიამ-ჭიავ, ნუცი საით გათხოვდება?..“

— გადმოვალდება, გადმოვალდება!.. — გააწყვეტინა ნუცემ ლიზას სიტყვა და ხელი წაატანა მარიამ-ჭიას, რომელიც ლიზას ნეკის წვერზე გადმოეკიდა.

— ხელს ნუ ახლებ, ნუ! არ გადმოვარდება, — უთხრა ლიზამ და ისევ განაგრძო თავისი ლექსი: — „მარიამ-ჭიავ, ნუცი საით გათხოვდება?...“

ყმაწვილები გატაცებით შესცქეროდნენ მოცუცუნე ჭიას, რომელიც რიგ-რიგად ცოცავდა ხან ერთ თითზე და ხან მეორეზე, და ხმას არ იღებდნენ. ლიზა კი განუწყვეტლივ იმეორებდა: „მარიამ-ჭიავ, ნუცი საით გათხოვდება“, და თითონაც თვალს არ აშორებდა.

მარიამ-ჭიამ მოირიგა ყველა თითები. ბოლოს მეორედ გაცოცდა შუა თითზე და ზედ წვერზე ტრიალის დროს ფრთების რხევა დაიწყო. ცოტახანის შემდეგ ფრთები მთლად გაშალა და ყმაწვილებს თავზე გადააფრინდა.

— უი!.. — ნუცემ და სიკომ უნებლიედ თითქმის ერთად წამოიძახეს და უნებლიედვე ხელები წაატანეს დასაჭერად, როცა მარიამ-ჭია გაფრინდა. ყმაწვილები მაშინვე ერთად დაედევნენ უკან.

ლიზამ თვალი გააყოლა ყმაწვილებს და, როცა იმათ მარიამ-ჭია ისევ დაიჭირეს და დაიწყეს თამაშობა, გულის ამოსკვნით წამოიძახა: „ნეტავი თქვენა!“, და წიგნი ისევ გადიშალა მუხლებზე; მაგრამ წაკითხვით კი არც ერთი სტრიქონი არ წაუკითხავს, თუმცა წიგნს თვალს არ აშორებდა. ის სულ სხვაგვარ წიგნს კითხულობდა ამ დროს. იმის გონების თვალს მრავალგვერდიანი დიდი მატიანე გადაეშალა, რომელშიაც მოთხრობილი იყო იმისი წარსული სიტყვებით კი არა, პირდაპირ ცოცხალი არსებებით, რომელნიც მოძრაობდნენ, ლაპარაკობდნენ, რაც იმას მკაფიოდ ესმოდა, და მოქმედებდნენ. გატაცებით უმზერდა მატიანეს და, თუმცა ის ელვასავით სწრაფად თავისთავად იფურცლებოდა, არც ერთი სურათი

თავის დაწვრილებითი მოქმედებით შეუმჩნეველი არა რჩებოდა.

— ლიზა, რას ჩაფიქრებულხარ?! — მიმართა ამ დროს ვიღაცა ყმაწვილმა კაცმა, რომლის მოსვლა ლიზამ სულ ვერ შეამჩნია.

ის ამ ხმაზე მთლად შეირყა და მაშინვე ფეხზე წამოდგა.

— დათიკო!... — წამოდგომის უმალვე მიმართა იმნაირი ხმით, რომ შიგ სიყვარულიცა და საყვედურიც იხატებოდა და ნაღვლიანად დაუწყო მზერა დათიკოს, რომელიც ამ დროს ალერსიანი ღიმილით შესცქეროდა ლიზას სიყვარულით სავსე თვალებს.

კარგახანს უმზერდნენ ასე ხმის ამოუღებლად ერთმანეთს; ბოლოს დათიკომ დაუჭირა ხელები და ძირს დასწია.

— დაჯექი, ლიზა!.. — ალერსით უთხრა და ორმავე ერთად ჩაიკეცა.

დათიკომ დაჯდომისასვე თავი ლიზას მკერდს მიაყრდნო და ხელის გულზე ხანგრძლივად აკოცა. იმან კი მეორე ხელით თმა აუწია შუბლიდან და მთრთოლვარე ტუჩები შეახო.

— იცი, ლიზა, ხელის გულზე კოცნა რას ნიშნავს?

— რასა?

— იმას, რომ მკოცნელი ამით ეუბნება: მე მსურს, რომ ჩემისთანად სხვას არავის უყვარდეო.

— მაშ, გინდა, რომ შენისთანად არავის ვუყვარდე? — მომხიარულებული ღიმილით ჰკითხა ლიზამ.

— მაშ, არ იცი?!

— მერე, შენ რა დაგაკლდება, რომ სხვას შენზე ძალიან ვუყვარდე, თუ კი...

— რაო?! — გველნაკბენივით უეცრად მიბრუნდა ლიზასკენ და თვალების კვესებით დაუწყო მზერა.

ლიზას თვალები გაუბრწყინდა. იმის მაგივრად, რომ დათიკოს მრისხანე სახის დანახვაზე შიში აღძროდა, სიხარულით გულმა ფანცქალი დაუწყო და ტუჩებზე სიამოვნების ღიმმა გადაუქროლა.

„მაგ მრისხანებით უფრო დამიმტკიცე შენი სიყვარული,

ვიდრე ხელის გულზე კოცნით!“ — უსიტყვოდ უპასუხა ლიზამ დათიკოს და უფრო მომხიარულდა.

ლიზა შესცქეროდა სიხარულით მრისხანედ მზერაწლ დათიკოს და ყოველივე ეჭვი. თუ კი რამდენისამე წუთის წინად იმის სიყვარულის შესახებ ეპარებოდა და სტანჯავდა, ახლა სულ მოშორდა და შორს, სადღაც შორს გადაიკარგა.

ის მზად იყო გადახვევოდა და ამოეკოცნა მრისხანედ მოელვარე თვალები, რომ დაემშვიდებინა და კოცნით დაემტკიცებინა, რომ ის, მარტო ის არის იმისი სიცოცხლე და იმედი, იმისი აწმყო და მომავალი, მაგრამ გვიანობდა იმისთვის, რომ ცოტად კიდევ განეგრძო თავისი სიამოვნება.

— ლიზა!. — წამოიძახა ამ დროს დათიკომ მრისხანედ კი არა, როგორც წეღან, ლმობიერად, ტანში მოშლილივით ჩაიკეცა და მწუხარებით სავსე თვალები ისევ მიაპყრო ლიზას. დათიკოს ამნაირმა უეცარმა ცვლილებამ ლიზაც დააღონა, იმას უეცრად მოშორდა სიმხიარულე და სულ რამდენისამე წუთის წინ შორს გაფანტული შავი ფიქრები ისევ დაუბრუნდა.

— დათიკო!.. — გულის სიღრმიდან წამოიძახა ლიზამ და იმავე კილოთი განაგრძო: — რატომ არ მეტყვი, რას ნიშნავს შენი მაგნაირი ქცევა?!. განა ვერ გამჩნევ, რომ ამ ბოლო დროს რასღაც მიმალავ, გინდა მითხრა რამ, მაგრამ არ მეუბნები!.. დათიკო, დათიკო, მითხარ ნუ მიმალავ, თორემ ლამის არის გავგიჟდე. იცი, შენი მაგნაირი ქცევა რანაირად გულს მიკლავს და მტანჯავს; რამდენ რას მაფიქრებინებს და ეჭვს მიბადებს თავში, როდესაც შენ მოგშორდები ხოლმე... იქნებ აღარ...

— ნუ გაათავებ ნუ!.. ეგ ტყუილად ggონია!

— მაშ, რა ვიფიქრო, ჩემო დათიკო?

— ნურაფერს. ნუ!.. — არეულად უპასუხა დათიკომ.

— სტყუი, სტყუი!!. მითხარი, ნუ მიმალავ! — დაჟინებით შიმართა ლიზამ და ხელები დაუჭირა.

— მართალია. ჩემო კარგო, მე ამ ბოლო დროს ჩემ ქერქში არა ვარ; მართალია, მინდა გკითხო რამე, მაგრამ ვერ გამიბედნია... — არეულად დაიწყო დათიკომ.

— რატომ, რატომ?!

— მე, — განაგრძო ისევ არეულად დათიკომ, — საქმე საქმეზე მოიყვანე და ამ ორი კვირის შემდეგ ჯვარს დავიწერთ. ეს ხომ შენთვის ახალი ამბავია?! შენ ასე ადრე არ მოელოდი.

— მერე, ეგ გაწუხებდა, ჩემო დათიკო?

— არა!.. ხომ ხედავ, რა ცოტა დროღა გვაქვს ჯვარის წერამდის და... მე კი შენი წარსულიდან არა ვიცი რა. რატომ არას მეტყვი?! შენი წარსულის გაუგებრობა მტანჯავს და მაფიქრებს...

— განა არ იცი ჩემი წარსული?! განა არ მითქვამს, რომ მე ჯერ ვსწავლობდი და როცა სწავლა დავამთავრე, რადგანაც დედა-ჩემს ჩემი შენახვა არ შეეძლო, მაშინვე აღმზრდელობას მივყავი ხელი, და, აი, ეს ორი წელიწადია, სხვის ოჯახში ვარ.

— ვერ მიმიხვდი! მე კარგად ვიცი, რომ შენ სხვის ოჯახში აღმზრდელად ხარ და კიდევაც ეგ მაფიქრებს. სხვის ოჯახში დედიშენის თვალი ყოველთვის ვერ გიცქერის, რომ გაგაფრთხილოს და ხიფათს მოგაშოროს, ხიფათი კი სხვის ოჯახში მყოფ გამოუცდელ ქალს ბევრჯერ ეღობება და, არ ვიცი, იქნება თავი ვერ შეიმაგრე და შეგაცდინა ვინმემ...

ლიზა ამ სიტყვებზე სულ გაშრა. დათიკოს სიტყვებმა ამას გული გაუკაწრა და იმის უგრძნობიერეს სიმს კლანჭი გაჰკრა, რამაც დიდხანს არ ალოდინა და გულის საკლავი ხმა გამოიღო.

— დათიკო, დათიკო! — ტირილით დაიწყო ლიზამ და ცრემლები ღაპაღუპით გადმოჰყარა: — ისეთი რა ნახე ჩემში, რომ ჩემ უმანკოებაზე ეჭვი დაგებადა?! რომ შევმცდარვიყავი და უმანკოება დამეკარგა, განა აქამდის არ გეტყოდი? თუ ვინმე შემაცდენდა, ჩემის მხრით ამ შეცდენას სიყვარული ედებოდა სარჩულად და მერე ამის შემდეგ შენ ესე განუსაზღვრელად შემიყვარდებოდი, როგორც ეხლა მიყვარხარ“?! ის შეცდომა... — იმას გული ისე დაუოსდა, რომ ლაპარაკი ვეღარ შესძლო და სიტყვა შეაწყვიტა. ის ტიროდა და გულს ვეღარ იბრუნებდა. დათიკო კი უსიტყვოდ სწყევლიდა თავის თავს,

რომ წინ დაუხედავი კითხვით ასეთი სატანჯველი მიაყენა იმას, რომელსაც თაყვანს სცემდა და აღმერთებდა.

— ლიზა, ლიზა, გევედრები, მაპატიე!.. მაპატიე!.. — ხვეწნით მიმართა დათიკომ და ლიზას ცრემლით დასველებულ ხელებს კოცნა დაუწყო.

— დათიკო! — გულამოჯდომით უთხრა ლიზამ, როცა დათიკო ეხვეწებოდა და ხელებს უკოცნიდა, — მე რომ მკითხავ, რატომ შენ თავზე კი არას მეტყვი? შენც ჩემსავით პირნათლად შეგიძლიან შეხვდე ჩვენს ცოლქმრობას?!.

დათიკომ უეცრად კოცნას თავი დაანება და გაკვირვებით ლიზას შეხედა.

— რას გაჩუმებულხარ და არას მეტყვი?!

— მე მეკითხები?! — უფრო გაკვირვებით ჰკითხა დათიკომ.

— შენ, რას გაიკვირვე?! მითხარ, მითხარ, ნუ დამიმალავ?

— ლიზა, — ღიმილით უპასუხა დათიკომ: — ვაჟებს მაგნაირ კითხვას არ აძლევენ. ვაჟებს ცოდვად არ უთვლიან იმას, რაც ქალისთვის მომაკვდინებელი ცოდვაა და ამისთვის...

— ამისთვის შენც, შენც!.. ვაი, ჩვენი ბრალიც!..—წამოიძახა ლიზამ და თვალებზე ხელის მიფარებით თავისთვის ჩაილაპარაკა: — ვაჟებს აქვთ ნება მოსთხოვონ ქალს სიწმინდე და ქალს კი არა! რისთვის? რისთვის? განა დრო არ არის, ვაჟებსაც ის მოეთხოვებოდეს, რაც ქალებს?! არა, წმინდასთან წმინდამ უნდა დაიჭიროს კავშირი...

უკანასკნელი სიტყვები თავის გაქნევით წამოიძახა ლიზამ და წასასვლელად წამოდგა...

ამ დროს მოირბინეს ბავშვებმა და დათიკოს უნდა მოხვევოდნენ, მაგრამ ლიზას ნამტირალევ სახეს რომ შეხედეს, იმას გვერდით ამოუდგნენ და მგლის თვალით დაუწყეს მზერა დათიკოს, რადგანაც იგრძნეს, რომ ლიზას ტირილის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო.

1893 წ.

„ადე, ჩამოვიდა!..“

(ფსიქოლოგიური ეტიუდი)

გოგია მეწისქვილე გულხელდაკრებილი მივიდა წისქვილის ქვასთან და ალას კვირისტავებით მიეყრდნო. იმან გადახედა ქვის გარშემო სუფთად მოგვილ სახრილეს, მერე ალაში ჩაიხედა, რომელიც სახრილესავით სუფთად იყო მოგვილი და, უკმაყოფილოდ თავის ჩაქნევის შემდეგ, კრიჭას გაშტერებით დაუწყო მზერა. სულ ერთ წამს არ უმზერია ასე გაშტერებით, რომ გადაალაჯა და კრიჭას ძირიდან ხელი ამოჰკრა. კრიჭა მოხვდა ხვიმირს და ისეთი ხმა გამოიღო, რომ გოგია მიხვდა, ხვიმირში არა ყრია-რაო. სარეკი კი, რომელიც კრიჭასთან უღლით იყო დაკავშირებული, ოდნავ შეთამაშდა და ქვაზე რაკრაკი დაიწყო. ხვიმირის ხმას მაინც არ ერწმუნა გოგია. ის შესდგა წისქვილის ქვაზე და შიგ ჩაიხედა, თანაც ხელი მიუსმოუსვა შიგნიდან ხვიმირის გვერდებს და რადგან ხელში არა მოხვდა-რა, რამდენჯერმე მაგრად დაარტყა სილა, მაგრამ იმან მაინც ცარიელის ხმა ამოიღო...

„ფუი!..“ — მწარედ გააფურთხა გოგიამ და უკანვე ძირს გადმოაბიჯა ფეხი.

დღეს რამდენჯერ გამოუჩხრეკია წისქვილის ყველა კუთხე, ძირი აღმა უქნია, მაგრამ აგერ ეხლაც ისევ მიდის და სჩხრეკავს. მიიარ-მოიარა ყველა კუნჭული, გაჩხრიკა ყველა სამინდე კოდი, კასრი და ხოკრი; რამდენჯერმე გადააგორ-გადმოაგორა ლიტრიანები, მაგრამ კიდევ მაინც ვერ დაკმაყოფილდა. ის დაღრეჯილის სახით მივიდა წისქვილის ქვასთან და მოწყვეტით ალაზე ჩამოჯდა; ნიდაყვები მუხლებზე დააყრ-

დნო და ორივე ხელი თავის დამძიმებულ თავს ბოძკინტად შეუყენა.

რას ეძებდა გოგია ასე მოუსვენრად?

ფქვილს, ფქვილს და ფქვილს!

გუშინ უკანასკნელი ნახევარი თეფში ფქვილი ხმიადად გამოაცხო და გუშინვე შეჭამა, დღეს კი აგერ დაწანწალებს და აქა-იქ, სადაც წინად მრავლად იყო ფქვილი, დაეძებს, მაგრამ ყველა ის ადგილი, ყველა საფქვილე ავეჯეულობა დაწმენდილი და დარაკრაკებული ხვდება. „ერთი ბეწო მაინც იყოს სადმე!..“ უსიტყვოდ იძახდა ყოველი გაჩხრეკის დროს. მაგრამ ეს „ერთი ბეწოც“ არსად იყო, ფქვილის ნაალაგევიც აღარას ეტყობოდა...

— შე დალოცვილო, ღმერთო, ერთი კიდევ გამაგონე ჩუმი წისქვილის გოგვის ხმა და მერე თუნდ!.. — ხმამაღლა წარმოსთქვა გოგიამ კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ და საფქვილე პირს გვერდზე შეხედა, საიდანაც, თითქოს ამ სიტყვების შემდეგ, ელოდა, ფქვილი გადმოიფანტებაო, მაგრამ ქვა არ იძროდა და საფქვილეც შეუგანგლავი შესცქეროდა გოგიას. „ეჰ!“ გულჩაწყვეტით ამოიოხრა, რაკი ფქვილი ვერ დაინახა და თავი ისევ-ისე ხელებს დააყრდნო და იატაკის პატარა ნახვრეტიდან ლურჯად ამომჭვრეტ ყინულს ჩაფიქრებით მზერა დაუწყო.

გარედან კი მარქაფაზე გადამჩქეფი წყლის შუილი შემოისმოდა და გოგიას ათასგვარ ფიქრს უბადავდა თავში, წარსულს უღვიძებდა და აგონებდა იმ დროს, როდესაც მოცლა აღარც კი ჰქონდა, რომ ცოტახანს შეესვენა და სული მოებრუნებინა, როდესაც იმის წისქვილის კარზე ურმების ჭრიალი იდგა და სავსე საცალოები შეჰქონდათ და გამოჰქონდათ.

გოგია თანდათან გაიტაცა ამ მოგონებამ და სულ დაავიწყდა ეხლანდელი დრო.

ესმის გოგიას, რომ დატვირთული ურემი ჭრიალით მოადგა კარს. აგერ, ტომრების შემოტანაც უშველა და მინდის აღება დაიწყო. მერე, რამოდენა მინდს იღებს?! თითქმის ერთი დიდი სიმინდის კასრი აავსო და გაბრწყინებული დასცქერის. იმის სიხარულს საზღვარი აღარა აქვს. უხარიან, რომ

ამ ზამთრის საგძალი იშოვა. იმდენი ერგო მინდში, რომ ზაფხულამდის მიჰყვება ეს და ზაფხულში კი, ღვთის მადლით, ახალი მოვა.

ხვიმირი კიდევაც აავსეს და ახლა ღარში წყლის მოგდებაღა აკლია, რომ წისქვილმა მუშაობა დაიწყოს.

გოგიამ ღარის თავიდან ჩქარა აიღო ფიცრები და მარქაფას ჩაუწყო, რის შემდეგაც წყალი ღარისკენ გაქანდა და... და... ცოტა ხანიც და ბორბალმა წყალი ააქაფა, ააშფოთა და წვრილსა და მსხვილ მბრჭყვინავ წინწკლებს წისქვილის ქვეშ გაბმით ფანტვა დაუწყო. სარეკი წისქვილის ქვაზე არაკრაკდა, რის გამოც კრიჭა ინძრევა და ხორბალს, თითქოს სთვლისო, მარცვლობით ქვის ყელში ჰყრის. ქვა კი გუგუნებს, გუგუნებს და ყოველ დაგუგუნებაზე საფქვილე პირიდან ბღუჯა-ბღუჯა ფქვილი გადმოდის და ალაში სრიალი ჩააქვს. ქვის გუგუნი, სარეკის რაკრაკი და წყლის შუილი ერთად ერთდებიან და ერთგვარი ხმა გამოისმის, რომელმაც გოგიას გულში განუსაზღვრელი სიხარული აღძრა. ღმერთო, რამდენი ხანია, რაც გოგიას ეს სანატრელი ხმა აღარ სმენია!.. ეხლა ასმინე და აგერ, როგორ აღტაცებით სულგანაბული უსმენს ამ ნეტარ ხმას, აღტაცებისაგან თვალთ ცრემლი მოსდის...

— გოგია!.. — ამ დროს დასძახა ერთმა პარკაკიდებულმა შუა ხანში შესულმა კაცმა, რომელიც ის-ის იყო წისქვილში ხელების ფშვნეტით შემოვიდა და გოგიას თავს წაადგა.

— ჰა!.. საფქვავი მოიტანე?!

— ჰო!..

— გვიან მოგერგება ჯერი, სხვაგან წაიღე, ვერა ხედავ, რამოდენა საფქვავია აქ?! — დაბნეულად წამოიძახა გოგიამ და თავი ისევ ჩაჰკიდა.

— რას ამბობ, კაცო, საფქვავი, აბა, სადა გაქვს?! — გაკვირვებით შეხედა გაყინულ წისქვილის ქვას და პარკი მოიხსნა.

— საფქვავი?! არ არის?! — გაკვირვებით დაეკითხა ახლად მოსულს და აქა-იქ თვალების ცეცება დაიწყო.

უეცრად შეწყდა სანატრელი ხმა წისქვილისა. აღარ ისმის

სარეკის რაკრაკი და აღარც ქვის გუგუნი. გარედან მარტო მარქაფაზე წყლის შუილი-ღა შემოისმის.

— უჰ! — გულჩაწყვეტით წამოიძახა გოგიამ, როცა დარწმუნდა, რომ ის სანატრელი ხმა, რომელიც სულ რამდენიმე წუთის წინად ესმოდა და აღტაცებაში მოჰყავდა, მოჩვენება იყო, და შმუშვნით წამოდგა.

— აბა შენი ჭირიმე, გოგი, დროით დააბრუნე, თორემ შინ სახლობა სიმშილით მიწივის!

— ხორბალია? პა!.. სად გიშოვია?.. — ზედიზედ დაეკითხა და პასუხს აღარ მოუცადა, ისე გავარდა გარეთ და წყალი მარქაფაზე საჩქაროდ მოწყვიტა.

ახლად მოსულმა ხორბალი დააყარა და ქვამ ჩქარ-ჩქარი გუგუნი მორთო.

წეღან თუ მოჩვენება იყო, ეხლა ნამდვილია!.. ეხლა ნამდვილად ესმის გოგიას ეს სანატრელი ხმა. ღმერთმან უსმინა და აუსრულა თხოვნა: კიდევ გააგონა ტკბილი ხმა... ხომ აუსრულდა ნატვრა და მაშ, რაღად შესცქერის ასე დაღონებული და მობუზული მბრუნავ ქვას?!

„შე დალოცვილო ღმერთო, ერთი კიდევ გამაგონე ჩემი წისქვილის ქვის გოგვის ხმა და მერე თუნდ...“ ინატრა წეღან და, აჰა, აკი გააგონა!..

არა, შესცდა წეღან, ეხლა ნანობს, რომ მაგრე ინატრა და არა სხვანაირად. „წისქვილის ქვის გოგვის ხმის“ გაგონება იმისთვის უნდოდა გოგიას, რომ მინდი აეღო და თავისი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა, სიმშილი მოეკლა. იმას უნდოდა ამ ნატვრით გამოეხატნა, რომ საფქვავი ბევრი მოვიდესო და არა მარტო ხმა გამაგონეო, თორემ „წისქვილის ქვის გოგვის“ ხმის გაგონება რომ სდომებოდა, განა უსაფქვაოდ კი ვერ მოუგდებდა წყალს და ქვას ხრიალს ვერ დააწყებინებდა?!

ვისი ბრალია?! როგორც ინატრა ისე აუსრულდა. აკი ამისათვის ხმას არ იღებს და მარტო დაღონებული შესცქერის ფქვილს, რომელსაც ერთ მუჭასაც ვერ მოაკლებს: სირცხვილით როგორ სთხოვოს მინდი ნახევარ კოდ ხორბლის გამოფ-

ქვაში?! ღმერთი აღარ არის?! მაგრამ რა ქნას, რომ სიმშილი ძალას ატანს?!

ფქვილის დანახვაზე მუცელმა სულ კაკანი დაუწყო და სიმშილი უფრო გაუცხოველდა. გოგია ხმის ამოუღებლივ გატრიალდა და გარეთ გავიდა, რომ ფქვილისთვის აღარ ეცქირნა. ხორბლის პატრონი კი მხართეძოზე წამოწოლილიყო და გაჩაღებული ბუხრისთვის ზურგი შეექცია. იმისი ღრმად ჩანაოჭებული შუბლი ამტკიცებდა, რომ არც ის იყო საამური ფიქრებით გატაცებული...

გოგია დაჩაგრული სახის გამომეტყველებით, მობუზული და გულხელდაკრეფილი წისქვილის კედელს აეტუზა. სითბო გამოლეული მზის სხივებისაგან თვალებჩაჭუტული უსიცოცხლოდ გასცქეროდა ალაზნის ველს, რომელსაც თეთრი ზეწარი გადაჰკროდა და ბზინვა გაჰქონდა.

— ღმერთო, გაზაფხული მაინც ჩქარა დადგეს!.. — წამოიძახა გოგიამ კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ და ალაზნის ველს აქეთ-იქით თვალი გადაავლო, თითქოს ელოდა, ეხლავე დადგება გაზაფხული და ველი ამწვანდებაო. მაგრამ მწვანე ვერსად დაინახა, ყველგან ბრწყინავი თოვლი დახვდა...

„ფქვილი, ფქვილი, ფქვილი!..“ წისქვილის ქვა კი ამას ჩასძახოდა ყურში ამ დროს და მადას უღვიძებდა.

— მეც მინდა ფქვილი, მაგრამ საიდან მოვიტანო?! — მწარის ღიმილით უპასუხა გოგიამ ქვას და თვალები დახუჭა.

„შედი შინ... შინ შედი, შინ, შინ!..“ — ჩასჩურჩულებდა თავის მხრით ბორბალზე მჩქეფი წყალი.

წყალი და წისქვილის ქვა ერთად შეერთდნენ და განუწყვეტლივ ამას ეუბნებოდნენ: „შედი შინ, შინ, შინ! ფქვილი, ფქვილი, შედი შინ, შინ!.. სთხოვე ფქვილი, სთხოვე ფქვილი, ფქვილი!..“

გოგიამ ყოყმანი დაიწყო: უნდოდა შესულიყო და ფქვილი ეთხოვნა, მაგრამ რცხვენოდა...

— ეჰ, რაც უნდა გახდეს, ვსთხოვ!.. — ხელის ჩაქნევით გადაწყვეტით წარმოსთქვა, რაკი ქვა და წყალი თავისას არ იშლიდნენ, და შინ შევიდა.

ის თავს წაადგა ბუხრის პირას მწოლარეს და დაიწყო აკანკალებულის ხმით:

— შენი ჭირიმე, გეგე...

იმან თხოვნა აღარ დაათავა, რადგანაც დაინახა, რომ გეგეს ჩასძინებოდა და გულიანად ხვრინავდა.

უეცრად თავში სხვა აზრმა გაუელვა და ამის მიხედვით თეფშს ხელი წამოავლო და ალასთან მივიდა, რომ ფქვილი ამოეღო ჩუმად და ასე დაეხსნა თავისი თავი თხოვნისაგან.

ცალი ხელით თეფში ფქვილში წაურია და მეორით კი კრიჭა შებერტყა, რომ უკანასკნელი მარცვლებიც ჩამოეყარა იქიდან.

— ეს რას მეყოფა?!. — წამოიძახა იმან, როცა სავსე თეფშს დახედა, და ისევ შიგ მოაქცია... — ქურდობა გავწიო და ერთი თეფშისათვის!...

„ხა, ხა, ხა, ხა!.. სულ, სულ!.. — ჩასძახეს ამ დროს ქვამ და წყალმა.

— ჰო, სულ, სულ!.. მე კი ადამიანის შვილი არა ვარ?!.. მშიერი ხომ არ მოვკვდები!?. — აღელვებით წამოიძახა და საჩქაროდ ნაჯახს ხელი წამოავლო.

„მოჰკალ, მოჰკალ, მოჰკალ!..“ — ქვა და წყალი აქეზებდნენ თავიანთი ხმით და აბედვინებდნენ გოგიას მკვლელობას.

თვალებანთებული და ნაჯახამართული თავს წაადგა მძინარეს და ის ის იყო უნდოდა ნაჯახი დაეკრა, რომ ამ დროს იდუმალმა ხმამ ჩასჩურჩულა ყურში: „აბა, შენი ჭირიმე, გოგი, დროით დააბრუნე, თორემ შინ სახლობა სიმშილით მიწვის!“

ამ ხმაზე გოგიას მკლავი მოუდუნდა და ნაჯახის მაგივრად ფეხი ოდნავ წაჰკრა თავში.

— ადე, ჩამოვიდა!.. — ფეხის წაკვრასთან ერთად აღელვებული ხმით დასძახა ზევიდან და საჩქაროდ გარეთ გავარდა...

1893 წ.

კალოებზე მთელ დღეს სიცხის გულზე ტრიალმა ისე დაქანცა გლეხობა, რო რაწამს ახლად გალეწილი ხორბალი თუ ქერი ჯინებში ჩაცალა და ბზე კი კალოს პირას მიაგროვა, მაშინვე დაწვა ქოხებში და ღრმა ძილს მისცა თავი, რომ ახლა მეორე დღეს შეუდგეს კალოზე ისევ იმ მომქანცავს და თავბრუდამსხმელ ტრიალს.

ალექსის კალოს პირას ქოხში მარტო იმის ცოლ-შვილი იწვა, და ქოხის იქით — იმისი მოჯამაგირე. თითონ კი საღამოს სოფელში* წავიდა და ცოლ-შვილს ამბავი დაუგდო, თუ ამაღამვე არ ჩამოველ, დილაზე ადრე მაინც მოგეშველებით კალოს ჩაშლაშიო.

დიდი ხანია, იმისმა ცოლმა და ორმა პატარა ქალ-ვაჟმა დაიძინა და მოჯამაგირემ ხომ დაწოლის უმალ ხვრინვა ამოუშვა. მარტო თიკოს, ალექსას გასათხოვარ ქალს, არა სძინავს და მოუსვენრად არის. მალიმალ მუთაქიდან თავს იღებს და ქალი-აყვანა** მთის წვერისკენ იხედება, საიდანაც მთვარე უნდა ამოვიდეს და იმის შუქმა უნდა ანიშნოს, რომ ისიც, ისიც, რომელმაც იმის უმანკო გულში მეტად ტკბილი და დამათრობელი გრძნობა აღძრა, რაც არა ერთსა და ორს უმანკოს ათევინებს ღამეს და ხან ერთ გვერდს აცვლევინებს და ხან მეორეს, ხან პირისახეს ბალიშში ამალვინებს და უკმაყოფილობის გამო, ცრემლს აფრქვევინებს და ხან კიდევ ტკბი-

---

* გაღმა კახეთში კალოები სოფლის გარედა აქვთ, ზოგ-ზოგ სოფელ ორისამი ვერსის სიშორეზედ, და ლეწვის დროს მთელი სოფელი კალოებზე გაიხვეტება ხოლმე.

** სოფელი შილდას ახლოა.

ლის, ნეტარის ღიმილით უბრწყინებს სახეს, რომ ისიც მთვარის ამოსვლისას ქოხის პირდაპირ კონცხის წვერიდან გადმოსტვენს...

დღეს იალაღიდან ჯერისთვის ჩამოვიდა, იმასთან ერთად შუადღემდის კალოზე ტრიალებდა, ერთად უქცევდა, ერთხნობას ერთადაც ისხდნენ ქოხს ქვეშ, მაგრამ იმათთან ერთად სხვებიც ირეოდნენ, რომ თვალით არის მაინც გამოეცხადებინათ ერთმანეთისთვის გრძნობა.

ხედავდნენ, გრძნობდნენ, რომ იმათი გულები ერთმანეთის სიახლოვის გამო ბუდიდან აპირებდნენ გადმოვარდნას; ერთმანეთის ქშინვა ეყურებოდათ, ისე ახლო იყვნენ და ხმის გაცემას კი არა, შეხედვასაც ვერა ბედავდნენ. „რის მაქნისია ამისთანა სიცოცხლე, თუ კი გულს ვაჩუმებთ“-ო, — გაიძახოდნენ უსიტყვოდ და ჯავრისაგან თითებს იმტვრევდნენ.

მარტო ერთხელ მოასწრო ქოხს ქვეშ თიკოსთვის შეეხედნა და ეს საკმარისი იყო, რომ თიკოს მდუღარე გადასხმოდა. გული გადუქანდა და ნაზი, დაწმენდილი სახე ჯერ შეეფერფლა და შუბლზე მარგალიტისებრ წვრილი ცივი ოფლის წვეთები ამოასხდა, მერმე კი ალმურმა აუარა და ტანი მთლად გაუხურდა.

მაშინვე წამოდგა და ქოხის გვერდს მოეფარა, რომ პირისახეს არ გამოექვეყნებინა იმისი საიდუმლოება. იმან კი ამოიოხრა, როცა თიკო ბოძს მოეფარა და თავი ძირს ჩაჰკიდა.

— დათა, წავიდეთ და ჯერი წაიღე, თორემ დაგიგვიანდება, — უთხრა ამ დროს იქვე მოფუსფუსე თიკოს დედამ და ქოხიდან გავიდა.

დათიამაც მაშინვე თოფი მხარიღლივ გადაიგდო და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა.

— თიკო, მთვარის ამოსვლისას იქიდან გადმოგისტვენ, — ქოხიდან გამავალმა ოდნავ წასჩურჩულა, რაკი აქ სხვა არავინ იყო იმათ მეტი და თვალით კონცხზე აჩვენა.

ამ სიტყვებმა თიკო სულ ააკანკალა და ქოხის ბოძს რომ არ მიყრდნობოდა, გადიქცეოდა კიდევაც.

მოუთმენლად ელოდა თიკო დაღამებას. იმ დღეს სუყველაფერს დაბნევით, არეულად აკეთებდა და ხშირად სულ უნებურად სიამოვნებით გაეღიმებოდა.

კალოს გადაშვების დროს იმისი დედაც დაბრუნდა და სთქვა: დათია წავიდა და, ვინ იცის, ვახშმობამდის უწევს იალაღს თუ არაო.

— ფეხმარდი ბიჭია, როგორ არ უწევს! — უპასუხა ალექსიმ ცოლს და არნადს ხელი წამოავლო.

ამის შემდეგ დათია აღარავის მოჰგონებია, გარდა თიკოსი, რომელსაც სულ თვალწინ ედგა და გონებიდან არ მოშორებია. მალი-მალ მოესმოდა იმისი ხმა: „თიკო, მთვარის ამოსვლისას იქიდან გადმოგისტვენო“ და კანკალი აიტანდა...

დაღამდა. კალოზე ხმაურობა მისწყდა. ყველამ მიიძინა. თითქოს მთვარესაც მისძინებია. რომ არ ამოდის და თიკოს გამოსაჯავრებლად იგვიანებს...

— რა ვქნა, სხვა დროს კი ადრე ამოდიოდა, ეხლა რაღა მოუვიდა?! — მხართეძოზე წამოჯდომით უკმაყოფილოდ წაიბუტბუტა თიკომ და ჩაჟინებით მიაცქერდა ქალი-აყვანა მთის წვერის პირდაპირ ცას, რომლის მუქ ლურჯ ფერს და ზედ ბოკაშკაშე ვარსკვლავებს სიცილაგე ეპარებოდათ.

რამდენადაც ცა ცრიაგდებოდა, იმდენად თიკო ღვიოდა, შვენდებოდა; იმის მაყვალა თვალებს ელვარება ემატებოდა, ქუთუთოებს თრთოლა ეპარებოდა; მარწყვისფერი ტუჩები კიდევ მძიმედ ვარდივით ეფურჩქნებოდა, თმაგაშლილი სწორედ საოცნებო არსებას ემსგავსებოდა...

— ამოვიდა!. -- უნებურად აღტაცებით წამოიძახა თიკომ, როდესაც მთის წვეროზე მთვარის სულ მცირედ ნაწილს თვალი მოჰკრა, და მთლად სმენად გარდაიქცა.

კონცხიდან ოდნავი სტვენა მოისმა. თიკო სტვენის გაგონებაზე წამოვარდა და ნიავივით კონცხისკენ ძნის გვერდით გასრიალდა. საჩქაროდ კონცხის მეორე მხარეს მოექცა, სადაც გულის ფანცქალით დათია მოელოდა, და მისვლისთანავე დათიას გახსნილ მკერდს მიესვენა; ლაფანივით მოიქნა, მოეშვა და ისე მისუსტდა დათიას გულზე მისვენებული, რომ განძრე-

ვის თავი აღარა ჰქონდა. დათია-კი თავის ძლიერ მკლავებს გარსა ხვევდა და ისე იკრავდა გულში, თითქო თიკო სულში უნდა ჩაიძვრინოსო.

დათია დაეშო ძირს და ლოდზე ისე ჩამოჯდა, რომ თიკო კალთაში მოექცა. მოელვარე თვალებით დასცქეროდა თიკოს მიბნედილ, მილულულ სახეს და მღელვარება უასკეცდებოდა, რადგანაც ეს მშვენიერება, ეს ნაზი არსება იმის მკლავებს შუაა და იმის მკერდზე იყო მისვენებული.

თუ დღეს დათა უბედურად სთვლიდა თავის თავს, სამაგიეროდ, ახლა „მეფე ვარო", გაიძახდა უსიტყვოდ და, ყეენიც რომ წარმოუდგეს ეხლა წინ, იმასაც თავს არ მოუხრის.

ასე იყვნენ დიდხანს და იმით მყუდროებას არა არღვევდარა. მხოლოდ იქვე, მინგრეულ ბოგირს ქვევით, უჯარა ჩახრიალებდა და შეყვარებულთ ნანას ეუბნებოდა. ხანდისხან კიდევ ვენახების ბოლოში წნორისა და ფურცლის ტოტებზე წამწკრივებული ბეღურები ერთმანეთს ალერსით ჩაჟივჟივებდნენ და ფრთების ფათურით ერთმანეთს ეკვროდნენ.

— მცივა!.. — კარგა ხნის შემდეგ მისუსტებული ხმით წამოიძახა თიკომ და თახთახმა აიტანა.

დათას კალთაში ქალი სულ ხტოდა და თრთოდა და ზედ ეკვროდა, რომ გამთბარიყო.

— რადა, გენაცვა, რა დაგემართა?! — მზრუნველობით ჰკითხა დათამ და ტყაპუჭის უპეები და კალთები გარს შემოახვია.

— არ ვიცი, რადა!.. ფეხებზედაც მომახვიე, — კანკალით უპასუხა თიკომ და ტყაპუჭის ქვეშ ორივე ხელი დათას გარს შემოარტყა.

— აჰა, გენაცვა! დაიცადე! ჰო, ეხლა კი დაგთბება. — ეუბნებოდა დათა და თან თიკოს კალთაში იჭუჭკავდა.

— კიდევა გცივა?

— აღარა, ეხლა კი გავთბი.

—ვინა ხართ!—შეშინებულის კილოთი ვიღამაც დაიძახა ამ დროს ბოგირიდან და ფეხი წინ ვეღარ წარმოსდგა*. შეყვა-

---

* ხალხში თქმულებაა, ვითომ ამ ბოგირთან ალები ეჩვენებიანო.

რებულები ამ ხმაზე შეკრთნენ და ფეხზე წამოიჭრნენ. გაქცევა და დამალვა მოისურვეს, მაგრამ მუხლთ მოეჭრათ. ან კი სადღა წავიდოდნენ, როდესაც მოულოდნელი სტუმარი თავს ედგათ.

მთვარეს კარგა მაღლა ამოეწივნა და კონცხი დღესავით გაეშუქებინა.

„დათიკო!.. დათა!.. დათა იალაღს წავიდა!.. მოჩვენებაა!.. ალებია!“ — კანკალით გაიფიქრა ალექსიმ და გაფითრებულმა პირჯვრის წერით უკან დაიწია. დათა და თიკო კი თავჩაღუნულები იდგნენ და ძლივს-ღა სუნთქავდნენ, რადგანაც ალექსი იცნეს.

— დათა, თიკო, თქვენა ხართ?! — ძლივს წაილუღლუღა ალექსიმ.

— ჩვენა ვართ!.. — უპასუხა მოკრძალებით დათამა და მძიმედ ქშინვა დაიწყო.

— თქვენა?!. — ბრაზმორევით შეჰყვირა ალექსიმ და საჩქაროდ იმათ გვერდით გაჩნდა.

— შე გაგლეჯილის შვილო, შენა, ჩემ მოჯამაგირეს უნდა ეთრევინო, ჰა?! — თმაში ხელის წატაცებით დაუტია ალექსიმ და თიკო წინ წამოიბერტყა.

ქალი მუხლებზე დაეცა, როდესაც ალექსიმ თმით წამოიბერტყა, და ტირილით შეევედრა:

— მამავ!..

— ალექსი, ნუ სტანჯამ ე გოგოს!.. — გულნატკენობით მიმართა დათამ და ალექსის ხელი დაუჭირა.

— რაო?! აი, შე... — ბრაზისაგან გული ყელში მოებჯინა და სიტყვა გააწყვეტინა. სიტყვის მაგივარად ალექსიმ ისე წამოჰკრა გულის ფიცარში, რომ დათა დაბარბაცდა და კინაღამ გადიქცა.

— მაშ ეგრე, ალექსი?! — უკვე გაჯავრებულმა დათამ წამოიძახა, მსწრაფლ ხანჯალი ამოიღო და წინ უყელა ალექსის, რომელიც თიკოს გზისკენ მიათრევდა.

— აი, შე წუნკალავ!... — დაიღრიალა ალექსიმ, დათია რომ ხანჯალ-ამოღებული წინ დაინახა და თიკოს თავი ანება.— ჩემი ხანჯალი შენ ხანჯალზე ნაკლებ არ გასჭრის, წუნკალავ! — შეუტია ალექსიმ და ხანჯალი გაიძრო.

— ვაი!.. — სასოწარკვეთილებით ისე შეჰკივლა თიკომ, როცა ხანჯლებ-ამოწვდილებს შეხედა, რომ მთამ, ველმა, ვენახებმა აიტაცეს ეს სასოწარკვეთილებითი „ვაი“ და შორს, შორს გააქანეს.

უეცარმა შეკივლებამ კალოზე ძაღლები დააფეთიანა და ააყეფა. ქოხებში კიდევ მიძინებული გლეხები ღრმა ძილიდან გამოაღვიძა და პირჯვარი გადააწერინა. გონს ვერ მოსულიყვნენ, თუ რამ შეაფრთხო ისინი...

დაკივლებასთან ერთად თიკო აფთარივით იმათ შუა გაჩნდა, ხელები გაშალა და უგრძნობლად ძირს დაეშვა...

ერთმანეთის პატივის-მცემლები და შემთხვევით მოსისხლე მტრებად გარდაქცეულები ახლა სულ სხვა გრძნობამ და აზრმა შეიპყრო. ორსავე მკლავები მოუდუნდა და ხანჯლები ხელიდან გავარდა.

ორსავე ერთი-ღა ახსოვდა: როგორმე თიკო მოებრუნებინათ.

„ალექსი!.. დათი!..“ — ხან ერთი დაუძახებდა, ხან მეორე და ერთმანეთს არ აცლიდნენ ქუდებით წყლის მოტანას.

გადაფითრებული თიკო მიწაზე იყო გადასვენებული, და იმის ტუჩებს ოდნავ სიწითლე თანდათან ეპარებოდა. აგერ ლოყებსაც სიწითლემ წამოჰკრა და თვალის ქუთუთოები შეერხა. ცოტა ხანიც და — თვალებიც გაახილა.

— მამავ!.. — მისუსტებული ხმით შესძახა, გვერდით მდგომი მამა რომ დაინახა, და გაფითრებული ხელი ძლივს შუბლზე გადიხო.

— აქა ვარ, შვილო, ნუ გეშინიან!.. — უპასუხა ალექსიმ და თითონაც ალერსით თმას სწორება დაუწყო.

მოაგონდა უეცრად ხანჯალ-ამოღებული დათა და ტანში შიშის ჟრუანტელმა დაურბინა.

— „ის?!“ — შუბლშეჭმუხვნით დაეკითხა მამას და საჩქაროდ წამოჯდა.

— ისიც აქ არის!.

— თიკო!.. — სიხარულით წამოიძახა დათიამ, როდესაც

---

* ხალხში თქმულებაა, ვითომ ამ ბოგირთან ალები ეჩვენებიანო.

წყლის ნაპირიდან სავსე ქუდით გამობრუნდა და წამომჯდარ თიკოს თვალი მოჰკრა და სავსე ქუდი მოაპირქვავა.

— დათა!.. — არა ნაკლებ სიხარულით წამოიძახა თიკომ და იმისკენ მომრბენ დათიას მკლავები გაუწოდა.

— გენაცვა ხომ კარგადა ხარ?! — ქაქანით დაეკითხა დათია და გვერდზე მოჯდომით ხელები გადაჰხვია.

— კარგად, ჩემო დათი, კარგად!.. — უპასუხა თიკომ და დათიას გულს მიეხვენა.

ალექსი კი დაფიქრებული შესცქეროდა შეყვარებულთა ალერსს და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ თიკო ასე ადვილად გადარჩა ხიფათს...

1893 წ.

„მერე რიღათი იცხოვროს?!“

(სურათი სოფლის ცხოვრებისა)

I

— რას მაბარებდი, კნიაზო? — დაეკითხა რეზიკოს იმისი თვალებჩასისხლიანებული მოურავი, რომელიც დაურიდებლად შემოვიდა ოთახში და მოალერსე ახალგაზრდა ცოლქმარს თავს წაადგა.

რეზიკო ამ ხმაზე მაშინვე წამოდგა და ცოლის ალერსით გამოწვეული ღიმილით მიუახლოვდა მოურავს.

— ზალიკო, — მხრებზე ორივე ხელის ალერსიანად დარტყმით მიმართა: — თელავს მინდა წასვლა და...

— კარგი, კნიაზო!

— მეც ვფიქრობ წამოსვლასა! — ნაზად წამოიძახა ტახტზე წამოწოლილმა რეზიკოს ცოლმა და მუთაქა გაისწორა.

— რასაკვირველია, ჩემო სულიკო!.. — უპასუხა რეზიკომ თავის სულიკოს და მერე ისევ ზალიკოს მიმართა: — აბა, ეცადე, ჩემო ზალიკო, და, რაც შეიძლო... ბლომად; აი, ვარიჩკაც აპირობს წამოსვლას.

— ეგ ჩემ კისერზე იყოს, კნიაზო, შენ ფიქრი ნუ გაქვს!.. — უპასუხა ზალიკომ იმ კილოთი, რომ ბლომად იქნებაო და დინჯად გავიდა გარედ.

— რა კარგი რამ არის!.. — ლმობიერად უთხრა ვარიჩკამ რეზიკოს. როდესაც ყელზე ხელის გადახვევნით გვერდით მოუჯდა.

— შესანიშნავი კაცია!.. — იმავე კილოთი უპასუხა რეზიკომ და ულვაშებზე ხელის გადასმით ვარიჩკას მარწყვისფერ ტუჩებს დაეტანა. — იცი, ვარიჩკა, — წამოიძახა ცოტა ხნის მერე: — ბედნიერებაა, როცა მოურავი ასეთი მიხვედრილია

და ყოჩაღი. მე ზალიკო რომ არ მყვანდეს, სულ თავგზას დავკარგავდი.

— ჩვენც ეგრეთი ყოჩაღი მოურავი გვყავდა...

— მართლა, ვარიჩკა, შენ ხომ არ გინახავს, როგორ აძლევს განკარგულებას. წავიდეთ ვნახოთ! — სიტყვა გააწყვეტინა და მორკალებული მკლავი გაუწოდა. ვარიჩკამ თავისი მკლავი გაუყარა და ასე აივანზე გავიდნენ.

სიძველისაგან დაფუტუროვებულ აივანზე აყრილმა ფიცრებმა იმათ ფეხქვეშ გულსაკლავი ჭრაჭუნი მორთეს. თითქოს ეუბნებოდნენ: „ღმერთი არ გაქვთ, სიძველით მაინც შეგვიბრალეთ და გაგვანთავისუფლეთ ამ განსაცდელისაგანო“. მაგრამ რეზიკო და ვარიჩკა ყურს არ უგდებდნენ აივნის ამ სამართლიან საჩივარს და შეუბრალებლად გაიარეს აივანი დასავლეთისკენ, საიდანაც ზალიკოს ხმა მოისმოდა, მიეყრდნენ მოაჯირს, რომელმაც ერთი „ვაი“ შეჰკივლა და საჩქაროდ ისევ მიჩუმდა, თითქოს პირდაპირ გულში ლახვარი დაჰკრეს და სიცოცხლე სწრაფად მოუსპესო.

— გიო, — ეუბნებოდა ამ დროს ზალიკო დაგლეჯილ ჩოხაში გახვეულ გლეხს, რომელიც სულ ერთი თვე იყო, რაც მოჯამაგირედ დაიყენეს: — წადი ეხლავე და ჭაღია და გელა შეიარაღებულები აქ მომიყვანე. უთხარი: „იალაღს მივდივართქო“. იმათ რომ დაუძახებ, შენ და პოლესოვჩიკი წახვალთ და ნამკალშიაც რომ მოასწროთ საქონელს, დაუშინეთ კეტები და აქ მომირეკეთ. გეყურება თუ არა?

უკანასკნელი სიტყვები მკაცრად წამოიძახა და ცალი თვალით გვერდზე, აივნისაკენ თავმომწონედ შეიხედა.

— მეყურება, შენი ჭირიმე!... — უპასუხა გიომ და ძუნძულით ჭიშკრისკენ წავიდა.

— ჰო, საუცხოვო რამ არის!.. — ამის მეტი ვერა სთქვა-რა ვარიჩკამ, როდესაც ზალიკო ძირს სახლში შევიდა ბრძანების გაცემის შემდეგ და ქმარი იქით გაითრია.

— ეს კიდევ არაფერი!.. შენ უნდა ნახო, ხანდახან რანაირ ბრძანებას გასცემს ხოლმე! — უპასუხა რეზიკომ და ცოლთან მკლავ-გაყრილმა აივანზე სეირნობა დაიწყო.

დიდხანს, დიდხანს დადიოდნენ გაჩუმებულები და ყურს

უგდებდნენ იმათ ფეხქვეშ მოჭრაჭუნე ფიცრების ტირილს. სოფელიც გაჩუმებულიყო და ხმა არსაიდან მოისმოდა. გლეხობა სოფლის კარგად მოშორებით კალოებზე გასულიყო და სხვა კი ვინ იმოძრავებდა. მარტო ხანდისხან დიდ ეზოს რომელსამე კუთხეში შეიბერტყებოდა ქათამი და თავის გასართობად სიმღერით კაკანს მოჰყვებოდა. ვარიჩკაც პირმოკუმული ხმას შეუწყობდა ქათმის კაკანს, და თუ რეზიკოც ხანდისხან ამასვე არ ნებულობდა, თავისებური დუეტი გამოდიოდა...

— ღმერთო ჩემო, რა მომეწყინა! — წამოიძახა ვარიჩკამ, როდესაც ქათამმა შესწყვიტა კაკანი, რომ იმასაც ხმა ისევ შეეწყო და თავი გაერთო.

ვარიჩკა შესდგა და პირდაპირ მწვერვალს შეჰხედა, რომლისათვისაც ზევიდან მზეს სხივები დაეშო და როგორც სვეტებზე, დანდობოდა ზედ.

— შეხედე, რა სანახავია!.. — წამოიძახა ვარიჩკამ და რეზიკოს გვერდში ხელი შემოჰკრა, რომ იმისი ყურადღებაც მიექცია ამ სურათისათვის.

— ჰო, ლამაზი სანახავია!.. — შეუხედავად წამოიძახა რეზიკომ და აივნის ბოძების გვერდით რამდენსამე ხე-ყვავილს დაუწყო უაზროდ მზერა.

— ეს კატუშა მაინც მოვიდეს, თორემ ძლიერ მომწყინდა, — ისევ ვარიჩკამ დაარღვია სიჩუმე და რეზიკო გაითრია.

— გუშინ აკი იყო.

—რა ვქნათ, რომ გუშინ იყო? როცა თელავში ერთად ვსწავლობდით, სულ იმას მეუბნებოდა, თუ რეზიკოს შეირთავ, მუდამ თქვენთან ვიქნები ხოლმეო, ისე გვიყვარდა ერთმანეთი.

— იმას ეხლაც უყვარხარ?

— მე კი მიყვარს და ის რომ აღარ დადის ჩვენსას? ახლა ჩვენ უნდა წავიდეთ იმასთან ვიზიტით. მართლა, მოდი ეხლავ წავიდეთ.

— წავიდეთ! — გადაწყვეტით უთხრა რეზიკომ და ორნივე სადარბაზო ტანისამოსის ჩასაცმელად შევიდნენ ოთახში.

სულ არ გასულა რამდენიმე წუთი იმათ შესვლის შემდეგ, რომ ჭიშკარი გაჭრიალდა და სამი ევროპულად ჩაცმული

ქალი შემოვიდა ეზოში, იმათ შემოჰყვა ორი ხმალ-ხანჯლით შეიარაღებული ახალგაზრდა ყმაწვილი.

ვარიჩკამ ჭიშკრის გაჭრიალებაზე ქვედა ტანისამოსით გარეთ გაიხედა და, სტუმრები რომ დაინახა, რეზიკოს დაუძახა:

— რეზიკო, გახედე, სტუმრები მოდიან!

— ეხლავ! — უპასუხა რეზიკომ და გარეთ გამოვიდა.

ვარიჩკა კი მაშინვე დაიმალა და აჩქარებით ტანისამოსის ჩაცმა დაიწყო.

— გთხოვთ მობრძანდეთ! — აივნიდანვე გადასძახა რეზიკომ და კიბეებზე საჩქაროდ ჩაირბინა.

— ეს არის ეხლა ჩვენ თქვენსა ვაპირებდით წამოსვლას, — უთხრა რეზიკომ კატუშას, როდესაც სხვებს ხელი ჩამოართვა და მერე დაუმატა:

— ჩემი ვარიჩკა ძალიან მოწყენილია და გვინდოდა პატარახანს გაგვევლო.

— მანდ რასა დგეხართ? რატომ აივანზე არ მობრძანდებით? — კაბის დუგმების შეკვრით გადმოსძახა ვარიჩკამ აივნიდან, რაკი დაინახა, რომ რეზიკომ სტუმრები შეაყენა და ადგილიდან აღარ იძროდნენ.

— ეხლავე, ეხლავე!.. როგორა ბრძანდებით, ვარვარა მიხაილოვნა? — თითქმის ერთხმად შესძახეს ყმაწვილებმა და გზა მისცეს ქალებს.

— როგორ არა გცხვენიანთ, კნიაზო ილიკო, რომ ეგრე დაგვივიწყეთ! — საყვედურის კილოთი უთხრა ვარიჩკამ, როდესაც ყველანი ალაგდნენ აივანზე და ფიცრები ააჩხავლეს.

— რა ვქნათ, ვარვარა მიხაილოვნა...

— წარმოიდგინე, ვარიჩკა, ილიკო აღარსად დადის! — გააწყვეტინა კატუშამ ილიკოს სიტყვა.

— რა ამბავია?

—საქმეები აქვს ბევრი.

— საქმეები კი არა და, აბა, რა საქმეები ექნება შეყვარებულია და კრუხივით სულ შინა ზის და გულის ვარდზე ფიქრობს! ვერ ატყობთ რანაირი დაფიქრებული სახე აქვს? — ჩაირია ისევ კატუშა ლაპარაკში და ილიკოს სიტყვა კიდევ ჩამოართვა.

— ნუ თუ მართლა! ვინ უყვარს განა?

— არ ვიცი, არ ამბობს! — ხელების გაფათურებით წამოიძახა კატუშამ და თავისი მოჟუჟუნე თვალები ილიკოს მიაპყრო. სხვებმაც შეხედეს ილიკოს და უსიტყვოდ თვალებით ეკითხებოდნენ: ვინ გიყვარსო?

ილიკო მიხვდა იმათი თვალების მეტყველების აზრს და პასუხი არ დაუგვიანა.

— ვინ უნდა მიყვარდეს კატუშას მეტი? — სიცილით წამოიძახა ილიკომ და ხელი კატუშასკენ მიიღო.

— ხა, ხა, ხა!.. აი, ეგ მოგვწონ!.. — გადიხარხარეს ყველამ და კატუშას შეხედეს.

კატუშა კი გაწითლდა და სიცილითვე წამოიძახა:

— როგორ არა გცხვენიანთ, კნიაზო, რომ დამცინით!..

— მე არა ვხუმრობ, — დაიწყო ისევ ილიკომ, როცა ქალებმა სიცილი შესწყვიტეს: — დრო არა მაქვს, რომ წავიდე სადმე; ან სულ ტყეში ვარ, ან იალაღებზე, ლამის გავგიჟდე, არ ვიცი, რა უნდა ვუყო ამ წყეულ გლეხკაცებს. ვერ წარმოიდგენთ, რა ავაზაკები არიან, თავხედები. მზად არიან გაგყლიფონ და გაგგლიჯონ. წარმოიდგინეთ, ტყე სულ გაჩეხეს...

— მართალს ამბობ, მეც მაგ ყოფაში ჩამაგდეს! — კვერი დაუკრა რეზიკომ და ამის შემდეგ, ვინ იცის, რა სიმურტლე და სისაძაგლე არ მიაწერეს გლეხებს.

— უნდა სულები ამოვხუთოთ, — გადასწყვიტეს ბოლოს ერთად. დასასრულ დაასკვნეს, რომ „მამულ-დედულის მოვლა“, თუ კი რამ „მამულ-დედული აქვთ“ და ან კიდევ იმისი ჯავრი აწუხებთ „სრულიად შეუძლებელია ამ დაწყეველილ გლეხების გამო“.

იმათ ლაპარაკში მზეც მოეფარა მწვერვალს, თითქოს მოსწყინდა იმათი მზერა და ყარყატის ყურის გდებაო და ცის სივრცეში აქა-იქ გაფანტული ღრუბლები იმათ მაგივრად სირცხვილის ნიშნად გააწითლა. საღამოს ნიავმაც დაჰბერა და ლაპარაკით გაცხარებულები და აღელვებულები გააგრილა.

ამ დროს შეიარაღებული ჭაღია და გელა შემოვიდნენ ეზოში და აივანზე მობაასეთ ქუდების მოხდით მიესალმნენ.

— კარგია მოხვედით!.. — აივნის ქვეშიდან გამოსძახა ზალიკომ ახლადმოსულებს და თითონაც შეიარაღებული იმათ გვერდში ამოუდგა.

— საით მიემართებიან, კნიაზო? — დაეკითხნენ სტუმრები, როდესაც თვალი შეასწრეს შეიარაღებულებს.

— იალაღზე.

II

სოფლის განაპირებით, ზედ ხევის პირას, დიდი დაცემული მოედანია, სადაც გლეხობა მოიყრის ხოლმე თავს და ამ მოედანზე განმარტოებით მდგარ დიდ დაბურულ ჭანდრის ქვეშ ყაყანობს თავის გაჭირებისა და დალხინების შესახებ. ვინ იცის, ეს ჭანდარი რამდენი ყრილობის მოწამეა! ვინ იცის, რამდენჯერ მიუშურებიათ მის ტოტებ ქვეშ, რომ ეთათბირათ იმის შესახებ, თუ როგორ დაეცვათ სოფელი განსაცდელისაგან, რაც ხშირად ეწვეოდათ ხოლმე უწინ. ახლაც კიდევ, ვინ იცის, რამდენი გლეხის გულის სიღრმიდან ამონახეთქი კვნესა შესმენია ამ ჭანდარს, რამდენი ტანჯული უნახავს...

აი სწორეთ ამ ჭანდრის ქვეშ მეორე დღეს ზალიკო. ჭაღია და გელა ისხდნენ და წინ მოედანზე კი ორმოცამდის ჩამწკრივებული ფურმოზვრობა სიცხის გულზე ეყარნენ და მოლეშილად კუდსა და თავს ფშუილით იქნევდნენ ბუზების მოსაგერიებლად.

— არა, ი თოფებს რომ გვესროდით, მითომ შაგვაშინებდით და საქონელს იქვე დაგვაყრევინებდით?! — ნიშნის მოგებით უთხრა ზალიკომ გუდიან მწყემსს, რომელიც ის-ის იყო რამდენისამე გლეხით მოვიდა და ჭანდრის ქვეშ ზალიკოს წინ ქუდმოხდილი დადგა.

— მაშ, არ მესროლა, რომ თულებივით დამტაცეთ საქონელი?!

— რას მიედ-მოედები, როგორ თუ თულებივით? — შეუტია ზალიკომ და ზეზე წამოდგა.

— თულებივით თუ არა, მა, რა იყო? ჩვენს საქონელს თქვენ იალაღზე რა უნდოდა! თქვენი იალაღი რომ გვდომოდა, მაშინ სოსიკოს კი აღარ მივცემდით საბალახეს.

— კიდეც მაგაშია საქმე, რომ საბალახეს სოსიკოს აძლევთ და ჩვენ იალაღზე კი დაგიდით.

— სოსიკოსი ვერ დაგვიტევს, რო თქვენსაზე არ ვატაროთ? ან თქვენი მობალახე მწყემსები რად გადაგვიშვებენ.

— ღმერთმა ნუ იცის თქვენი თავი და ტანი, რა ვიცი, რად გადაგიშვებენ?! თქვენ აი ესა ხართ, აი! — ორივე მაჩვენებელი თითი ერთმანეთს მიატოლა ზალიკომ და მერე ისევ განაგრძო: — განა ძაღლი ძაღლის ხორცს შესჭამს? თქვენ ბატონს რას დაინდობთ!.. თუ ერთმანეთში პირობა არა გაქვთ, მაშ, რად გადუშვით ჩვენი მობალახე მწყემსები სოსიკოსაში, რო იმ დღეს იმან მაასწრო და ოცამდე სული საქონელი აქ ჩამოლალა?

— იმანაც ისე მაასწრო, როგორც შენ ჩვენსას მოასწარი. მე ჩემი თვალით დავინახე, რო სოსიკოს მოურავი გადმოვიდა თქვენს იალაღზე და იქიდან გადმოლალა საქონელი.

— ე მაგეების ლაპარაკს, გირჩევნიან დაეხსნა, თორემ ხომ იცი ჩემი ამბავი, ეხლავე ყელებს დავჭრი ე საქონელს და ძაღლებს გადვუყრი! — ბრაზმორევით შეუტია ზალიკომ და რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა.

— სუ, ბიჭო, ნუ იცი ხოლმე ატორღიალება! თუ დაპარვა არ გინდოდა — ფხიზლად იქნებოდით!.. — მუჯლუგუნის წაკვრით ურჩიეს საქონლის პატრონმა გლეხებმა.

— რას ამბობ, კაცო, ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვა ხოლმე და ჩვენ ხომ ადამიანიშვილები ვართ! ვაი მაგათ დედიღმერთსა, რო დროით გადაგვასწრეს, თორემ ჩვენ ვუჩვენებდით სეირს!

— რაო? — შესჭყივლა ზალიკომ და მწყემსისკენ გაიწია.

— კარგი, შენი ჭირიმე, ზალიკო, ამის ყბედობას რა ყურს უგდებ, პატრონები ჩვენა ვართ.

მწყემსი მართალს ამბობდა. იმ ღამეს ზალიკო, ჭაღია და გელა მუცლით ჩაცურდნენ მწვერვალიდან, რომელიც რეზიკოს და სოსიკოს იალაღებს ჰყოფს და, რაც კი ბინიდან კარგა მოშორებით საქონელი ეყარა, სულ ერთიანად დაირეკეს იმ დროს, როდესაც მწყემსები ოდნავ მბჟუტავ ცეცხლს ფარაჯებში გახვეულები გარს შემოსწოლოდნენ და ხვრინავდნენ.

ძაღლებიც იქვე მორკალებულიყვნენ და მაშინ გაიგეს, როდესაც ზალიკოს ნახევარი საქონელი მიჯნას გადაცილებული ჰყავდა. ისინი გაცოფებულები ყეფით დაედევნენ; მათ ყეფაზე მწყემსები წამოცვივდნენ და მაშინვე თოფები დაახალეა, მაგრამ გვიანღა იყო. ზალიკომ გადაასწრო და თოფის სროლითვე გასცა პასუხი.

— პატრონები ხართ და, მაშ, რატომ არ იხსნით? — უკან დაწევით წამოიღრიალა ზალიკომ, როცა გლეხები წინ ჩაუდგნენ და ხვეწნა დაუწყეს.

— დახსნით კი დავიხსნით, მაგრამ რო არ ვიცით, რამდენსა გვთხოვ?

— რამდენსა გთხოვთ რა, არ იცით, სულზე რა არის? იანგარიშეთ სულზე მანეთ-ნახევარი და გაიგებთ, რასაცა გთხოვთ. აქ ორმოცი სულია. — ცოტა მორბილებულის კილოთი უთხრა ზალიკომ და ქვაზე ჩამოჯდა.

— მანეთ-ნახევარი რო ვიანგარიშოთ, ვინ იცის, რამდენი შედგება! — უპასუხეს დაღონებულმა პატრონებმა.

— რაღა რამდენი შადგება: ორმოცი მანეთი, ოთხი თუმანი, და ორმოცი ნახევარ მანეთიც... ორ თუმანს შაადგენს, ექვსი თუმანი გადმომითვალეთ და თქვენი საქონელი წაასხით.

— არა, შენი ჭირიმე, ზალიკო, ექვსი ძალიან ბევრია, აბა, ეხლა ექვს თუმანს ვინ მოგვცემს?..

— არავინ მოგცემთ და ეგრე იყავით! სანამ არ გადმომითვლით, აქ ე თქვენ საქონელს რო სულებიც დასცვივდეთ, ერთსაც არ მოგცემთ.

— სულზე მანეთი იკმარე და ის ათ-ათი შაური გვაპატიე. — ერთმანეთში მოლაპარაკების შემდეგ სთხოვეს გლეხებმა.

— რას ამბობ, ეი, რეზიკომ რო ენგრე ათ-ათი შაური აპატიოს, მერე რითღა იცხოვროს?! — გადაწყვეტით წამოიძახა ზალიკომ და ფეხზე წამოდგომით ხელი გაუწოდა მღვდელს, რომელიც ჭანდრის ქვეშ მოვიდა და იქ მყოფთ მიესალმა.

1893 წ.

და-ძმა

(მოთხრობა)

I

— მერე, სოლო, მერე? — უთხრა ერთმა ახალგაზრდამ სოლოს, როცა ის ისევ ბუხარს მოუჯდა.

— რა სულძაღლი რამა ყოფილა ი ტერტერა! — განაგრძო ისევ მან.

— ტერტერას უქნია ოინები, მაგრამ არც ქოსას დაუკლია. — წამოიძახა ახლა მეორემ.

— დაიცადეთ, ჰო!.. — უკმაყოფილოდ უთხრა იმ ორს მესამემ და შემდეგ სულოს მიუბრუნდა:

— მერე, ბიჭებო და...—დაიწყო სოლომ. მაგრამ ამ დროს ბოსლის კარები გაჭრიალდა და ყურამდინ გაიღო. უეცრივ ცივმა და სუსხიანმა ქარმა შემოჰქროლა, რის გამოც საქონელმა უკმაყოფილოდ ფშვინვა დაიწყო. ყველამ კარებისკენ მიიხედეს და დაინახეს ქიტუა, რომელსაც ბზით სავსე გოდორი მოჰქონდა.

— უჰ, რა ღვთის რისხვა ღამეა! — შემოსვლისთანავე წამოიძახა ქიტუამ და კარები საჩქაროდ მიარახუნა.

— აქნობამდინ სადა ხარ, კაცო! — უთხრა ერთმა ბუხრის გვერდით მჯდომთაგანმა: — ჩვენმა საქონელმა კიდევაც მოჭამა და შენ კი ეხლა მოგაქვს ბზე?!.

— ოჯახი რომ დაექცეს ჩვენ ყვლეფიაშვილს, იქა ვარ აი! — წამოიძახა ქიტუამ და შემდეგ ისევ განაგრძო: — შე ავო და შავო, ვისაც არ ესმის, იმისთანა დუხჭირობა-ღა იქნება, რასაც ის მიშვრება!.. კაცო, აი რაღაც ხარჯის ფულისთვის გამოვართვი ერთი ათი შაური და მას აქედ აღარ მისვენებს.

მალიმალ იმას მეტყვის: „წამო, ი ათ შაურში მიშველეო“. რით ვერ გადავიხადე ი ოხერი! კაცმა რომ იანგარიშოს, ერთი ათი დღე მაინც არ მექნება იმ ფულში ნამუშევარი! ლამის არის, კაცო, ყმათ გამიხადოს!...

— აბა, მოდი და სხვა გაამტყუნე, როცა ჩვენი მეზობელი, ჩვენი სისხლი და ხორცი მაგრე გვიშვებს!.. — თავის ქნევით წამოიძახა სოლომ.

— ეე, შვილოსა, როცა კაცი ღმერთს გადაუდგება, მაშინ სისხლი და ხორცი ფეხებზე ჰკიდია! — სთქვა ქიტუამ ნაღვლიანად და ბოსლის თავისკენ გასწია, სადაც იმისი უღელი ხარი და ერთი ძროხა თავის კვებულა საფურე ხბოთი ებნენ.

— სანდრო, ხომ არ ამოგიბაგავს? — დაეკითხა ქიტუა, როცა თავის საქონელს მიატანა.

— არა, — უპასუხა სანდრომ.

ქიტუამ „არა“ რომ გაიგო, მოიხსნა გოდორი და ამობაგვა დაიწყო. როცა ის ბაგას ასუფთავებდა, იმისი საქონელი შეჰბზუოდა და ხელებში ეტანებოდა. ისიც ალერსიანად ეუბნებოდა: „მოიცათ, ეხლავ დაგიყრით“!

— შენც მოგშივდა, ჩემო დეკნიკო? — ალერსიანად ჩაეკითხა ქიტუა თავის ხბოს, როცა იმან შებზუვლა და იმის ხელებს ლოკვა დაუწყო.

— ეხლავ, ეხლავ, ჩემო კარგო! — უთხრა ქიტუამ და ბზით სავსე გოდორი ბაგაში ჩაყარა, რის შემდეგ იმისმა საქონელმა მადიანად და ფშმუილით ბზეს ჭამა დაუწყო.

ქიტუას მისვლამ და იმისმა ჩივილმა ახალგაზრდებს ზღაპრის თქმა შეაწყვეტინა და დაანაღვლიანა, მაგრამ ასეთმა მდგომარეობამ დიდხანს არ გასტანა.

როცა ქიტუა თავის საქონლისკენ ბზის დასაყრელად წავიდა, სოლომ ისევ განაგრძო ტერტერაზე ზღაპარი და თავისი მარილიანი ლაპარაკით ჩქარა ყველანი გაამხიარულა. ტერტერასა და ქოსას ოინებით ისინი გულიანად ხარხარებდნენ. ზღაპარს ისე გულმოდგინედ უგდებდნენ ყურს და ისე იყვნენ გატაცებულნი, რომ ქიტუას ბუხართან მისვლა ვერც კი შეამჩნიეს. ქიტუა ცეცხლის ახლო გოდორზე ჩამოჯდა და წვიმისაგან ჩაჭანჭახებული შარვლის ტოტები და ჩოხის კალთები

გასაშრობად მიუშვირა, რომელთაც საჩქაროდ სქელი ორთქლი ავარდა და იმის ჩამომხმარ სახეს ნისლივით გარს მოეხვია. სწორედ რომ ვთქვათ, არც ქიტუას ესმოდა იმათი ხარხარი და სოლოს მარილიანი ლაპარაკი. გაშტერებული იჯდა და ცეცხლისთვის მიეპყრა თავისი მსხვილი და სიგამხდრისაგან მორღვეული, გამომეტყველი თვალები.

რას ფიქრობდა ამ დროს ქიტუა, — ამაზე ძნელია კაცმა ნამდვილი რამე სთქვა. მარტო ის შეიძლება ითქვას, რაც იმას სახეზე ეტყობოდა. იმის სახე კი მხოლოდ მწუხარებას გვიხატავდა, ეტყობოდა რომ ეს კაცი ძლიერ იტანჯებოდა, რაღაც ბრძოლა იყო მასში...

მართლაც, იმისი სახე უეცრივ იცვლიდა ხოლმე ფერს, შავად ელანძებოდა და ამ დროს ძარღვები ისე ეტენებოდნენ, რომ გასკდომას ლამობდნენ, წარბები უზომოდ მაღლა ეწეოდა, კბილები კი ერთმანეთს ეკვროდნენ და ღრჭიალი გაჰქონდათ. ქიტუა ამ დროს საშიშარ სურათს წარმოადგენდა. თითქოს თვითონაც ეშინოდა თავის თავისა, რომ ის ამ დროს მთელის ტანით ირყეოდა და თითებს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იმტვრევდა. მაგრამ ამისთანა მდგომარეობა დიდხანს არ გასტანდა ხოლმე. ქიტუას სახე ისევ ჩქარა შეეცვლებოდა. უეცრივ შორდებოდა შავი ალმური, სახის ძარღვები იცვლებოდა და შუბლზე წვრილს და ცივ ოფლს დააყრიდა. ამის შემდეგ ქიტუას შესაბრალისი, დამცირებული, მონური სახე უხდებოდა. მგრძნობიარე გულის მექონე კაცს რომ ამ დროს შეეხედნა ქიტუასთვის, უეჭველად სიბრალულისაგან ცრემლს ცრემლზე დააფოქვევდა.

ასე იცვლებოდა ქიტუას სახე და ერთ უკიდურესი მდგომარეობიდან მეორეში ვარდებოდა. ამნაირ მდგომარეობაში იყო ქიტუა იმ დროს, როდესაც ახალგაზრდანი მხიარულდებოდნენ და იმის მდგომარეობას ვერ ამჩნევდნენ. არცერთს მათგანს, არც ერთხელ, ამოდენა ხნის განმავლობაში, არ შეუხედნია ქიტუასთვის.

გაათავა სოლუამ ზღაპრის თქმა და ამ გათავებას უეცარი ხმამაღლა გადახარხარება მოჰყვა.

— აი, ცხონდეს ქოსას დედმამის სული!.. — თითქმის ყველამ ერთხმად წამოიძახეს ხარხარის დროს.

ამ დროს ბოსლის თავიდან მოისმა რქების დატაკება და ბრახუნი, რის გამოც საქონელი შეტოკდა და ფეხებით ზღავზე მძიმედ აბრახუნდა.

— ხიი, ეი! გაგავერნებ, თუ მანდ მოვედი! — გასძახა სანდრომ ხარხარის დროს.

ამის შემდეგ საქონელი გაყუჩდა და ჭამას მიჰყო პირი. ზოგი კიდევაც დაეყარა და იცოხნებოდა; მხოლოდ, რომლებსაც ჯერ ბზე არ მოეჭამათ, ისინი-ღა იდგნენ ბაგაში თავებწაყოფილნი.

— კაცო, შენ რაღას გატვრინებულხარ და ხმას აღარ იღებ?! — წასძახა ქიტუას სოლომ, როცა თვალი მოჰკრა.

— შენ გეუბნები, კაცო! — განუმეორა სოლომ და ხელი წაჰკრა ქიტუას, რადგანაც იმან პირველ კითხვაზე ხმა არ გასცა და ისევ ისე გატვრენილი იყო.

— ჰა!... რა გინდა? — მოიხედა ქიტუამ და თვალების ცეცება დაიწყო.

— რა უნდა მინდოდეს, რატო ეგრე გაშტერებულხარ?

— მე?!...

— ქიტო, მოდი და ახლა ზღაპარი შენ გვითხარი! — უთხრა სანდრომ, რომელმაც ახლა-ღა მიაქცია ყურადღება.

— ეჰ, შვილოსა, რაღა დროს ჩემი ზღაპრის თქმაა, კაცი დავბერდი, — ნაღვლიანად უპასუხა ქიტუამ: — მეც თქვენსავით უნდა გული უდარდელი მქონდეს, რომ ზღაპრები ვთქვა. — განაგრძო ისევ იმან.

ახალგაზრდებმა ამაზე აღარა უპასუხეს-რა; თითქოს იმათ იცოდნენ, რომ ქიტუას მართლა გული უდარდელი არა ჰქონდა...

— სოლო, — წამოიძახა ქიტუამ პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ: — შენი ჭირიმე, თვალყური გეჭიროს ჩემ საქონელზე, მე შინ მინდა წავიდე, გული რაღაცას მეთანაღრება.

— რადა, კაცო, რა დაგემართა? — დაეკითხა სოლო.

— აბა, რა ვიცი, მე მგონია, ის ოჯახდასაქცევი ი ბალღებს ამაღამ არ აცოცხლებს.

— ვინ არ აცოცხლებს? — ჰკითხა ისევ სოლომ.

— ვინა-და, ჩემი დედა-კაცი!

— ჰო, მართლა, ეეეეი, შენი ჭირიმე, ღმერთო, რა უდიერი რამა ყოფილა! — წამოიძახა სოლომ. — იმ დღეს ჩემი თვალით რომ არ მენახა, — განაგრძო სოლომ, — არ დავიჯერებდი. კაცო, იმ დღეს შენთან თავთუღლის სათხოვნელად მოვედი. დერეფანში რომ შემოვედი, ბალღების ტირილი მომესმა. მივიხედ-მოვიხედე და, არ დაიჯერებ, რა დავინახე: ი საცოდავები გოდორ ქვეშ იყვნენ გამომწყვდეულნი და წინ ბოზალუყით სავსე გეჯა ედგათ. მე მაშინვე...

—ვაიმე, შვილებო!.. — წამოიძახა ქიტუამ.

— განა სხვას არა ჰყავს გერები, რო ეგრე არ ექცევიან!— სთქვა ერთმა ახალგაზრდამ.

— ე დედინაცვლის ხელში შენს ბალღებს არა უხარიანთრა, ჩემო ქიტო! — უთხრა სანდრომ.

— სახლში რადა გყვანან, კაცო? აიღე და მოჯამაგირედ დაუყენე ვისმე. — უთხრა ერთმა ახალგაზრდამ.

— რას ამბობ, ბიჭო, მოჯამაგირედ როგორ დავაყენო ი თითისიგრძე ბალღი? მოჯამაგირეობის თავი რომ ჰქონდეს, განა მე არ მიჭირს, მარტოხელი კაცი ვარ! უმცროსობას მე ვერ გამიწევს?! მერედა მთელი კალოა — და ეგენი! ეგენი რო არ მყოლოდენ, მე წლიულ კალოს ვერ გავლეწდი...

— მაშ, ეგრე ამოაწყვეტინე... ის არა სჯობია, ქალაქს წაასხა და მისცე ვისმე! ისწავლიან კიდეც რასმე და ფულებსაც აიღებენ. — უთხრა სოლომ.

— ჰო, — დაეთანხმა ქიტუა, — გიგლუას კიდევ მივცემ ვისმე, მაგრამ იმ გოგოს რაღა ვუყო?

ყმაწვილებმა ამაზე აღარა უთხრეს რა, რადგანაც იმათ არ იცოდნენ, მართლადა გოგო ვისთვის უნდა მიეცა. არაგვისპირზე გლეხი კაცი ძნელად გაიყვანს თავის ქალს გარეთ, თითქმის წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენს, თუ ქალი შეიძლება ქალაქს ჩაიყვანოს და მერე ის ქალი გლეხის ოჯახისათვის კიდევ გამოდგეს. გლეხი თავის ქალს თავის ოჯახისთვისა ზრდის. ჯერ იქვე, თავადიშვილის ოჯახშიაც რომ იყოს, იმასაც გლეხის ახალგაზრდა ყმაწვილი არ ითხოვს. „ნამოახლარი

გაწუწკებული იქნებაო“! ასე იტყვის ამისთანა ქალზე და, აბა, ახლა ქალაქში წასულ ქალზე რაღას იტყვის! მგონი მაშინ „მათუშკაც“ დაუძახოს და „მათუშკა“ ხომ, იმის ფიქრით, ბუდეა ყოველივე ცუდისა და უზნეობისა. აი, ამისთვის გააჩუმა ქიტუას სიტყვებმა — „ი გოგო ვიღას მივცე“-ო — ახალგაზრდა მრჩევლები.

— ეგრე, ეგრე, ჩემო სოლო, — უთხრა ისევ ქიტუამ ცოტახნის შემდეგ: — თვალყური გეჭიროს ჩემ საქონელზე, და თუ მშვიდობით არიან, მეც ისევ გადმოვალ, თუ არ დავათვალიერე, არ იქნება, დღეს შუადღის შემდეგ შინ არა ვყოფილვარ.

— აქ არა ვართ, კაცო, გინდა სულ არ გადმოხვიდე, ამდენანი როგორ ვერ მოვუვლით შენ ოთხ სულ საქონელს?! — თითქმის ერთხმად მიაძახეს ქიტუას იმ დროს, როცა იმან უკვე კარები გააჭრიალა.

ქიტუა გაემგზავრა დაღონებული და დაძმარებული თავის სახლისაკენ. კი არ მიდიოდა, თითქმის მირბოდა, და ამ ბნელ ღამეში ხან რომელ წუმპეში შეაშლაპუნებდა და ხან რომელში. პირდაპირი სუსხიანი ქარი და წვრილი, ფეტვის მარცვლის მსგავსი, ცივი, შემოდგომის დამლევის წვიმა კი პირში უშხაპუნებდა და თვალებს უფრო უბამდა ქიტუას.

იმისი სახლი ბოსელზე კარგა მოშორებით იყო და ამისათვის ქიტუა ცოტა დრო კი არ მოუნდა შინამდის მისვლას. მთლად დასველებული და ჩაჭანჭახებული მიადგა თავის სახლის კარებს. მაგრამ კარები შიგნიდან ურდულწაგდებული დახვდა, და სახლშიაც სინათლე არ მოჩანდა.

საჩქაროდ საურდულეში ხელი შეჰყო და კარები გააღო. სახლში შესვლისთანავე აჩქარებულისა და აკანკალებულის ხმით წამოიძახა: „კატო, გიგლა!“ და პასუხი რომ არსადან მოესმა, ცალის ხელით კერაში ნაცარს ქექვა დაუწყო, სადაც ოდნავ-ღა ბჟუტავდა ნაღვერდალი. მეორეთი კი დედაბოძის ძირს უკაკუნებდა და რაღასაც ეძებდა. ჩქარა იპოვა, რასაც ეძებდა, და ცოტა ხანს შემდეგ კერის ქვას გოგირდის ასანთს უფხაკუნებდა; ასანთმა უეცრივ გაანათა და მერე კი ისევ მიიბჟუტა, დაიწყო ფრიფინი და მყრალი სუნი აუშვა. ქიტუამ

საჩქაროდ მოუკიდა ჭრაქს და აქეთ-იქით მიიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა: ვერც თავისი ცოლი — სოფიო და ვერც ბავშვები.

— ხალხნო... ადამიანო!.. სად წახვედით?! ჰა!..—ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოიძახა კანკალით ქიტუამ და რამდენსამე ხანს ერთ ალაგას იდგა და ცრემლმორეულ თვალებს აქა-იქ აბრიალებდა. „ზუუუ!“ უეცრივ კარებიდან და ერდოდან შემოიზუზუნა ძლიერმა ზენაქარმა და სახლის ყველა კუთხეები საჩქაროდ შემოირბინა; ჭრაქი რომ მყუდრო ადგილს არა კიდებულიყო, უექველად გააქრობოა.

— ვაიმე, შვილებო... — შეჰღრიალა ქიტუამ და თავის უნებურად თვალებზე ხელმიფარებულმა იქვე ჩაიკეცა.

ამ დროს კარებში შემოვიდა ოცისა თუ ოცდაორის წლის ქიტუას ცოლი — სოფიო, რომელიც წითლადა და თეთრად ღვიოდა; იმისი მშვენიერი სახე კაცს ნებას არ აძლევდა ეფიქრნა, რომ „უდიერი“ იქნებოდა. ვინ მოიფიქრებდა, რომ ეს ანგელოზებრივი არსება ისე ცუდად მოექცეოდა თავის გერებს, როგორც ბოსელში სოლომ აღწერა. ამისათვისაც არა სჯეროდათ ხოლმე სოფლელებს, როდესაც სოფიოზე იტყოდა ვინმე— გერებს ცუდად ექცევაო. „რას ამბობ, ადამიანო, ხომ არ გაგიჟებულხარ: ქიტუას ცოლითანა ანგელოზი დედაკაცი ჩვენ სოფელში ერთიც არ მოიპოვება და აბა, რა დასაჯერია ეგ ამბავი!“ ასე იტყოდნენ ხოლმე სოფლელი მამაკაცები; დედაკაცები კი პირზე ხელს მიიტანდნენ ხოლმე და წამოიძახებდნენ: „სუ. სუ!.. მეორედ აღარა თქვა! ქალო, აბა, რას მეუბნები, შენ გენაცვალოს ჩემი თავი“... და სხ., ასე თუ ისე, სოფიომ თავისი მშვენიერის სახით და გარეთ კარგად თავის დაჭერით ყველას გული და გონება მიიზიდა თავის სოფელში, და იმაზე რაიმე ცუდს ხმას — ჭორს უძახოდნენ.

— აი, თქვე ძაღლის... — შემოსვლისთანავე წამოიძახა სოფიომ. მაგრამ ჩახვეულ ქიტუას თვალი შეასწრო და შემკრთალმა სიტყვა შესწყვიტა.

— შენა ხარ, სოფიო? — წამოხტა ქიტუა და მისკენ გაეშურა.

— ჰო, მე ვარ, რა იყო. ხომ არა დაგემართა რა? — უპასუ-

ბა სოფიომ, შეკრთომისაგან უკვე გამორკვეულმა, და თანაც საყვედურიანად უთხრა:

— ამ სიცივეში ე კარი ღია რას დაგიგდია?

— სოფიო, შენი ჭირიმე, ბალღებიც აქ არიან?.. მოიყვანე?.. — თითქმის მოეხვია ქიტუა და ისე ეხვეწებოდა.

— რა იყო, ხომ არა დაგემართა რა? — უპასუხა სოფიომ.

— მითხარი, თუ ღმერთი გწამს, სად არიან?

— ჯანაბას იმათი თავი და ტანი! აბა, რა ვიცი, სად არიან! ეი, მეც იმათ ძებნაში სულ ერთიანად დავსველდი! — მკვახედ უთხრა სოფიომ და შორს მოეცალა.

— სტყუვი! — შეჰყვირა ქიტუამ და მუშტები მაღლა აიღო, რომ სოფიოსთვის დაეკრა, მაგრამ სოფიო იქით გასხლტა და მუშტები აიცდინა. ქალი მივიდა კუთხეში და იქვე მიყუდებული კეტი ორის ხელით ამართა.

— აბა, ერთი ხელი მახლე, ღვთის წყალობა მაქვს, მე შენ სეირი გაჩვენო! — შესძახა სოფიომ და თვალებს დაკვესება დაუწყო.

ერთის მხრით გააფთრებული ქიტუა და მეორეს მხრით — კეტამართული სოფიო რამოდენსამე ხანს ერთმანეთს შესცქეროდნენ, თითქოს ზომავდნენ, რომელი უფრო ძლიერია და გამარჯვება რომელს დარჩებაო...

— შენ, შენ გაჰრეკდი სახლიდან და ახლა იძახი — ვეძებდიო!... — მეტის სიასპიტისაგან წამოიხრინწიალა ქიტუამ და ერთს წამს თავის ცოლს კეტი წაჰგლიჯა ხელიდან.

რაკი სოფიო უკეტო დარჩა, თავის ფრჩხილებს მიჰმართა და კაწვრა დაუწყო ქიტუას იმ დროს, როდესაც იმან სოფიო იქვე ჩაჭუჭკა და დათვივით ჯმუჯვნა დაუწყო.

— კიდევ გაჰრეკ გარეთ, ჰა, ჰა?! — დასჭყიოდა ზემოდან და თან მუჯლუგუნსა სცემდა.

— ამიშვი, ამიშვი, ფორემ ინანებ! — ხმაწასული ეუბნებოდა სოფიო.

— ჰეე!.. — გულიანად ამოიძახა ქიტუამ და სოფიოს თავი დაანება: — ძლივ არ ამოვიყარე ამოდენა ხნის ჯავრი!..

როცა ქიტუა ლაპარაკობდა, სოფიო ისევ იმ ადგილს იჯდა და მოხვეულ ჩულსა ჰგვანდა. ქიტუას მხრივ ამნაირი ქცევ-

პირველი იყო და ამის გამო სოფიო გონს ვერ მოსულიყო, თუ იმის ქმარს რა დამართნოდა...

— არა, შე ოჯახდაქცეულო და შე იუდის კერძო, ამისთანა ამინდში ძაღლს არ გააგდებენ გარედა და შენ ი ბალღები როგორ გარეკე! ეხლა, ვინ იცის, სიცივით სად დაიყინვენ და სად არა?

— მე არ გამირეკია, გეყურება თუ არა?! — მკვახედ წამოიძახა სოფიომ.

— მაშ, ვინ გარეკამდა, თუ შენ არა?! ი გოდორ ქვეშ ვიღამ დაამწყვდია იმ დღესა და წინ ბოზალუყი ვიღამ დაუდგა?! არც ეგ გიქნია?

— ძალიან კარგიც მიქნია, თუ გამირეკია და ბოზალუყი მიჭმევია! უფრო უარესს ვუზამ, თუ ი შენ ბალღებს სახლიდან არ დაღუპავ! — გაანჩხლებულმა შეუტია და დაჭრილი ვეფხვივით ფეხზე წამოვარდა.

— უარესს უზამ და, მეც უარესს გიზამ. ეგ ეხლა თაფლი იყო, მერე შაქარსა და შარბათს ერთად მოგართმევ! — თავის ქნევით და სიტყვების ტკეპნით უპასუხა ქიტუამ.

— უარესს მიზამ და, შენა გგონია, მე კი ვერას გიზამ?!

— ეხლაც გინდოდა, კეტიც აიღე, მაგრამ ვერ მოგართვი ბადრიჯანი.

— „ვერ მოგართვი ბადრიჯანი!“ — გააჯავრა სოფიომ: — ნეტავი თქმის შნო მაინც გქონდეს, რომ ხეირიანადა სთქო. შენ, აი შენი ძაღლის ლეკვები მონახო, ის გირჩევნია, რომ ამაღამ სიცივით არსად გაგეფიჩხნენ.

— აიმეე!.. შენ ჯავრს ჩემ სიცოცხლეში ვერ ამოვიყრი! — ამ სიტყვებთან ერთად ქიტუამ გულში დაირტყა მჯიღი და კარებისკენ გასწია.

— მე კი ერთს დღეს ამოვიყრი შენს ჯავრს — უკანიდან მიაძახა ცოლმა.

— რაო, რაო?! — ქიტუა ისევ მიტრიალდა და დაცინვით ჩაეკითხა.

— რაო და, რაც გაიგონე, ისა!

— მერე, როგორ ამოიყრი?

— როგორც ამოვიყრი, ეგ მე ვიცი.

— მაშ დავინახამთ.

— დავინახამთ, მაშ არა?!

ამ სიტყვებით განშორდნენ ცოლი და ქმარი ერთმანეთს. ქმარი ბავშვების საძებნელად წავიდა, ცოლი კი შინ დარჩა. სოფიო ღრმად ჩაფიქრებული დიდხანს იდგა ერთ ადგილას. ბოლოს, გაიქნია თავი და წამოიძახა: „თუ ბოლო არ მოვუღე, არ იქნება! ან ის ბალღები უნდა იყვნენ ამ სახლში და ან მე. ეხლა ისინი რომ აქ არ იდგნენ, ქიტუა შინ არ მოვიდოდა, და მეც თავისუფლად იმასთან“... ბოლო აღარ დაათავა, რადგანაც გარედან ქმრის ხმაურობა შემოესმა, რომელიც აკანკალებულის ხმით გაჰკიოდა: „კატოოო... გიგლოოო“!...

II

ქიტუას სახლიდან დასავლეთით, არაგვის პირზე, გამარტოებული ერთი გვერდზე გადაწოლილი წნული, საბძელი ედგა, რომელსაც წინ, ცოტა მოშორებით, მშვენიერი ხშირი და დაბურული ტყე ჰქონდა შეფენილი მთაზე! ის, ოდესღაც გმირულად გამომცქერალი, ახლა თავჩაღუნული და შავად ჩაყვითლებული ჩასცქერის დედამიწას და აფრქვევს ცრემლს; ის, ამ რამდენიმე თვის წინად შუილ-ქუხილით და ჭექა-გმინვით შეებმებოდა ხოლმე უფრო ძლიერს ქარს, უფრო შხაპუნა წვიმას; ახლა კი შემოდგომის გამუდმებულმა, ცივმა და წვრილმა წვიმამ ბოლო მოუღო და სულ მიწასთან გაასწორა. ახლა ყოველი ქარის დაბერვაზე უმსგავს შრიალს მოჰყვება და თავის, უკვე ჩაყვითლებულს სამკაულს ტალახში ურევს. უმსგავს შრიალთან ერთად ტყიდან გამოისმოდა მომაკვდავი ადამიანის გულის გასაგმირავი კვნესა, ამას თანდათან ზედ ერ-

თოდა რომელიმე დამპალის ხის გადაჩეხვა; მოსტყდებოდა თუ არა, წამოვიდოდა შრიალით და უეცრად ზაპანს მიიღებდა; თანაც იქვე გვერდით მდგომ ახალმოზარდ ხეებს ლაწალუწს აუყენებდა ხოლმე. ამნაირი შრიალი, მომაკვდავის კვნესა და ხეების ლაწალუწი გულად კაცსაც შეაშინებდა ამ წვიმიან, შემოდგომის ბნელ ღამეში, და აბა რაღა სიკეთეს დააყრიდა გიგლას და კატოს, რომლებიც იმ წნულ საბძელს ქვენაჭრივ ამოფარებულიყვნენ და სიცივისა და შიშისაგან კანკალებდნენ.

— გოგო, აი ტყეში ვინა კვნესის? აგერ ხეებსაც ლაწუნი აუყენა! — ჰკითხა გიგლამ თავის დას კატოს, როდესაც, ქარის ძლიერ დაბერვის შემდეგ, ტყიდან მართლა კვნესა გამოისმა და ხის გადაქცევის შემდეგ წვრილმა ხეებმა ლაწალუწი დაიწყეს.

— უთუოდ მდევია, არა, გოგო? — ჰკითხა კიდევ გიგლამ თავის დას, რადგანაც იმან პირველ კითხვაზე პასუხი არ მისცა.

— მდევი კი არა, შენმა მზემ, კატა არ გინდა?!. — შეუტია კატომ, რომ დევზე წარმოდგენა თავის ძმის გულიდან სრულებით ამოეფხვრა, თუმცა კი თვითონ კატოსაც მდევი ეგონა.

— გინდა გარეული კატა იყოს, ის კი ვერ შეგვჭამს?!

— რას მიქარამ, ბიჭო, ხომ არ დაგეცა-რა?! — შეუტია კიდევ კატომ.

ამის შემდეგ იგინი გაჩუმდნენ, საბძლის გვერდს აეკვრნენ და დიდ ხნობამდის ერთმანეთისთვის ხმა აღარ გაუციათ.

ორთავესი გონება დევებსა და ქაჯებს ჰქონდათ შეპყრობილი და იმათის კლანჭებიდან ვერ დაეხსნათ თავი. კატო თუმცა პირველად ამხნევებდა გიგლას, მაგრამ ამ სიჩუმის დროს ისე აიტანა შიშმა, რომ კინაღამ არ შესტირა. როგორც იყო, თავი მაინც შეიმაგრა და გიგლასკენ მიცურდა და მიეკრო.

ქარი უფრო და უფრო მატულობდა და ხან ზემომხრიდან დაჰქროლავდა ყმაწვილებს და ხან ქვემოთიდან, რის გამოც იმათმა კანმა სიცივის ეკალი აუშვა.

— გოგო, ძალზე მცივა! — უთხრა გიგლამ.

— აჰა, მამეკარი და გათბები! — სთქვა კატომ და თვითონაც მიიწია ძმისაკენ. გიგლასაც უნდოდა მიეწივნა, მაგრამ ამ დროს კატომ შეაყენა:

— მოიცა, გიგლო! აბა ადექი!

— აჰა! — სთქვა გიგლამ ბაბანით. და წამოდგა, კატოც აჰყვა.

— აი, მოიცა! — სთქვა კატომ და თავის ფეხები გიგლას ფეხებში გადახლართა.

— აბა, ახლა ნება-ნება დაეშვი ძირს.

ორივენი ნელ-ნელა დაეშვნენ, რომ მარტო ყმაწვილები თუ მოახერხებენ ასე ჯდომას, თორემ დიდრონებისათვის ყოვლად შეუძლებელია. ისენი იმნაირად ისხდნენ, თითქოს ორივენი ერთმანეთს მუხლებზე ესხდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ორივეს ქვედა ტანზე კარგად დასთბათ და კმაყოფილნი იყვნენ ამ შოგონებით, მაგრამ ზედა ტანზე ისევ სციოდათ, ნამეტნავად ხელებზე.

— კატო, ხელები ძალზე დამაძრა! — წამოიძახა გიგლამ რამოდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ და თან ორთავე ხელების თითები პირში ჩაიყო და აჩქარებით დაორთქლება დაუწყო.

— აი, უბეში ჩამიყავ და გაგითბება. — უთხრა კატომ და მკერდი გადუღეღა. მაგრამ, როდესაც გიგლას გაყინული და გათოშილი ხელები შეეხო იმის მკერდს, ის მთელის ტანით გველივით დაიკლაკნა და უთხრა:

— არა, ბიჭო, შენს უბეში ჩაიწყე!

გიგლამ აასრულა ეს სიტყვა. კატომ კი ცხრა ადგილას გაბზვრეტილი ჭრელი თავიჩითი მოიხსნა თავიდან და გაშალა.

— ახლა ორივემ ჩავითბუნოთ! — ამ სიტყვებთან ერთად კატომ გიგლას თავზე გადააფარა თავიჩითი და თვითონაც ქვეშ ამოეფარა ისე, რომ ორივეს პირისახე დაპირდაპირებული ჰქონდათ. კატომ ცოტა ხნის შემდეგ დააჭყიტა თვალები და გაგრძელებით „ბუუუ“ დაიძახა. გიგლაც თავის უნებუ-

რად ასევე მოიქცა და ორთავემ ერთად „ბუუუს“ ძახილით თავები მიუახლოვეს ერთმანეთს. უეცრად ორივეს შუბლები ერთმანეთს დაეჯახნენ და ორივემ ხარხარი ასტეხეს.

ამათ რამდენჯერმე გაიმეორეს ესა და ყოველ შუბლების დაჯახებას გულიანი, ბავშური კუჭკუჭი მოსდევდა.

— მოიცა, გოგო, ა ის ტურების ჩხავილი არ არის?!

— აბა სადა?! — გაკვირვებით იკითხა კატომ და ყურები აცქვიტა.

მართლაც ამ დროს მოისმა ტურების ჩხავილის მაგივრად მგლების ყმუილი.

— აგერ, გოგო, ტურები კი არა ჩხავიან, მგლები ყმუიან. — გიგლა კარგად იცნობდა ტურების ჩხავილსაც და მგლების ყმუილსაც, რადგანაც იმას არაერთხელ გაუგონია იმათი ჩხავილ-ყმუილი. კატომ უეცრივ მოიძრო თავზე მოსახვევი და წამოიძახა:

— ძაღლები ყმუიან!

— ძაღლებს, აი, ბუჩქნარებში რა უნდათ! — სთქვა გიგლამ და ხელი არაგვისაკენ გაიშვირა, რომლის ნაპირზედაც ბუჩქნარებიანი ჭალა იყო.

კატომ ინსტიქტიურად მიიხედა იქით, საითაც გიგლამ ხელი გაიშვირა და უეცრივ ისე შეკრთა, რომ ხმა ძლივს ამოიღო. შიშისაგან თმა სულ მაღლა-მაღლა წაუვიდა.

— ა ის რაებია, რომ ანათებენ? — კანკალით წარმოსთქვა კატომ და მერე განაგრძო: — აგერ — თითქოს დადიანო და სანთლები დააქვთო?

— აბა? — იკითხა გიგლამ და ჩააკვირდა.

— ვაიმე! — დაიყვირა იმან. — მგლები არიან!

— მგლები?! — წამოიძახა კატომ და ენა ჩაუვარდა.

მართლაც, ჭალის პირას დამშეული მგლები აქა-იქ დაეცეცებოდნენ და თვალებს სანთლებივით ანათებდნენ; ცოტა მოშორებიდან კი გაცხარებული ყმუილი მოისმოდა.

— წავიდეთ, გოგო, თორემ, საცაა, აქაც მოვლენ და შეგვჭამენ.

გიგლა და კატო ერთად მარდად წამოხტნენ და გაქცევა დააპირეს.

გიგლა მართალი იყო. ზაფხული რომ ყოფილიყო, იქნება ყმაწვილების ჭყივილზე მგლები გაქცეულიყვნენ, რადგანაც მგელს ადამიანისა ეშინიან. მაგრამ ამ ზამთრის პირას ისენი ბავშვების ჭყივილს ყურადღებას არ მიაქცევდნენ და ერთ წამს გაჰგლეჯდნენ, რადგანაც შიშზე უარესი გრძნობა — შიმშილია, რომელიც აწუხებს და აგულადებს მგელს ამ დროს. ზაფხულობით საჭმელი ბევრი აქვს მგელს და ამის გამო ადამიანს არ ეტანება და კიდევაც ეშინიან. ზამთრობით კი, როდესაც საჭმელი მინდვრად აღარ არის, თუმცა ეშინიან ადამიანისა, მაინც ძალაუნებურად ეტანება, და იშვიათი მაგალითი არ არის, რომ მგელს ზამთარში კაცი შეეჭამოს.

ის იყო, გიგლას კიდევაც უნდა მოეკურცხლა შინისკენ. რომ ამ დროს კატომ ხელი წაავლო და შეაყენა:

— მოიცა, ბიჭო, სად გავიქცეთ?

— შინ! — მოკლედ უპასუხა გიგლამ.

— მე არ წამოვალ! შენ წადი, თუ გინდა, მე კი აქ დავრჩები, დაე მგლებმა შემჭამონ.

— წამო-მეთქი, გოგო! — თითქმის ტირილით უპასუხა და კატოს მკლავი გასწია.

— არ წამოვალ-მეთქი!

— რატომა?

— არა-და იმიტომა!

— მაშ, მეც შენთან ვიქნები! — გულ-ჩაწყვეტით უთხრა გიგლამ და ცრემლები გადმოჰყარა.

— გიგლა, შენ გენაცვალე!.. ნუ დარჩები... შენ წადი... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა კატო სიტყვებს და თან თავის პატარა ძმას ჰკოცნიდა.

— თუ შენ წამოხვალ, მეც წავალ!

— არა, შენ წადი, მე აქ დავრჩები!

— ერთად წავიდეთ!

ასე რამდენიმე ხანი ერთმანეთს ეხვეწებოდნენ და-ძმანი. ბოლოს, კატო დასთანხმდა, რომ გიგლაც იმასთან დარჩენილიყო, მხოლოდ უშიშარი ადგილი კი უნდა მოეძებნათ.

— მაშ, სად წავიდეთ?

— აი ე საბძელში შევიდეთ და შიგნიდან კარებს დიდი ჭვა მივადოთ. — უთხრა კატომ.

თქმა და საქმის შედგომა ერთი იყო. ისინი მივიდნენ კარებთან, მაგრამ კარი დაკეტილი დაუხვდათ.

— ეხლა რაღა ვქნათ! გოგო, წავიდეთ შინ, თორემ, აი, აქაც იქნებიან მგლები! — სთქვა გიგლამ და ხელი იქვე ჯაგიან გვერდისკენ მიიშვირა, რომელიც საბძლის აღმოსავლეთის მხრიდან იწყებოდა და ძირს არაგვის ჭალას უერთდებოდა. თვითონ საბძელი ზედ ამ გვერდის თავზე იყო მოწყობული.

— აი, საბძლის სანათურიდან გადავძვრეთ და მერე მგლები ველარას გვიზამენ.

გიგლას და კატოს ისე დაჰყინოდათ ხელები, რომ წნულს ძლივს ავლებდნენ პატარა თითებს.

ძლივს, როგორც იყო, აიბღოტნენ სანათურამდე და აგრედვე შიგნით ძლივს ჩაიბღოტნენ.

როცა საბძელში შეძვრნენ და დაინახეს თავიანთი თავი დახურულ, კარებდაკეტილ ჭერ ქვეშ, მაშინ კი თავისუფლად ამოისუნთქეს. იმათ მაშინვე ბზე გამოღრუტნეს, გააკეთეს კარგა განიერი ორმო და გოჭებივით გადახვეულნი შიგ ჩაწვნენ. ზედაც კარგა სქლად წაიყარეს ბზე, მარტო თავები ჰქონდათ ზევით ამოყოფილი.

რაკი ცოტათი დასთბათ, ისინი მომხიარულდნენ და რამოდენსამე ხანს კიდევ იღუღუნეს და იჭუკჭუკეს. ბოლოს, დაღალულებს და მოქანცულებს ძილი შეეპარათ და ისე გადახვეულებმა ტკბილი ხვრინვა ამოუშვეს.

— ვაიმე, ვაიმე, დედავ!.. — კარგა ხნის ტკბილი ძილის შემდეგ გიგლამ სიზმარში მორთო ღრიალი და ხელებს ბზეზე აწყვეტებდა.

ამ ხელების წყვეტებაში და ვაივაგლახში მძინარე კატოს რამდენჯერმე წაუთაქა თავში, რომელიც ამ უეცარ თავში დაშენაზე დაფეთიანებული წამოჯდა და გამოურკვევლად იცქირებოდა და იმზირებოდა; რადგანაც ამ დროს გიგლა დაწყნარდა, ამისათვის იმას ვერ გამოერკვია, თუ რამ დაუშინა თავში და ან ვისი ხმა მოესმა. კატო ასე რამოდენსამე ხანს იჯდა და თანდათან შიში იტანდა. გიგლას რომ ცოტა ხანს კიდევ

მოეცადნა და ბოდვა არ დაეწყო, უეცრივ ისიც შეჰყვირებდა და გიჟივით გიგლას დააფრინდებოდა, მაგრამ ამ დროს გიგლამ ბოდვა დაიწყო და იმანაც დამშვიდებით წარმოსთქვა: „გიგლა ყოფილაო“!

— გიგლა, გიგლა, რა მოგივიდა? — წყნარად დაუწყო ღვიძება.

— გიგლა, ბიჭო! — უფრო მაღალი ხმით დაუძახა კატომ და ნძრევა დაუწყო.

— ჰა, რა გინდა?

— რა გატირებს, გენაცვა?

— კატო სადღაც წაიყვანეს, უ... უ... უ!!. — მოიბუზა გიგლა და ტირილს მოუმატა. თვალებიდან ღაპა-ღუპით გადმოსდიოდა ცრემლები და იმის გაბზიანებულ ფუნჩულა ლოყებს ჰსერავდა.

— რამ გაგაგიჟა, ბიჭო, მე აქ არა ვარ? ვინ უნდა წამიყვანოს! — კატო თან ლოყებს სწმენდდა და თან ჰკოცნიდა და ეუბნებოდა.

— კატო, კატოოო!.. — ტიროდა ისევ.

— აი, კატო, აქ არა ვარ, აბა შემომხედე?!

გიგლამ იცნო თავისი და და მერე სიხარულით გადაეხვია და კოცნა დაუწყო.

— აქავე ხარ, გოგო? მე მეგონა, კიდეც მოგკლეს-მეთქი! — თვალცრემლიანი შეღრეჭოდა გიგლა.

— აი რა სულელი რამა ხარ! — უთხრა კატომ და თავში ოდნავ ჩაუფაჩუნა: — მერე ვის უნდა წავეყვანე?

— აბა რა ვიცი. გოგო! ვითომ მე და შენ ერთ ალაგს ვიყავით. გარს იმოდენა ხალხი გვეხვია, იმოდენა, რომ ასზე მეტი იქნებოდა. ჰაი და-და-და... ღმერთო!.. რანაირები იყვნენ?! სულ კბილებ-დაღრეჭილები და თვალებ-დაჭყეტილები იყვნენ. მერე, გოგო, ხელებშიაც ცეცხლები ენთოთ. თითქოს ცხვირის ნესტოებიდანაც ცეცხლები სცვივოდათ...

— უი, და-და-და!.. — წამოიძახა კატომ და შიშისაგან ტანში გააჟრჟოლა: — ეგენი ეშმაკები ყოფილან, და არა კაცები.

— აბა რა ვიცი — ეშმაკები იყვნენ, თუ ქაჯები!

— მერე, ბიჭო, რასა შვრებოდნენ? — დაეკითხა ცნობის-

მოყვარეობით გატაცებული კატო, თუმცა კი არ უნდოდა, რომ გიგლას გაეგრძელებინა, რადგანაც ისა ჰგრძნობდა, რომ რაღაც საშიშარი ამბავი უნდა ყოფილიყო.

— რასა შვრებოდნენ და... და... ყირამალა დგებოდნენ-ცეცხლებს ისროდნენ... თან, კი, გოგო, ჩვენ გვეტანებოდნენ...

— უი!.. — წამოიკივლა თავისდა უნებურად კატომ ოდნავ და ხელები გაასავსავა.

— მერე შენ წაგავლეს ხელი. შენ ძალზე დაიწივლე. მეც ხელი წაგავლე და არ გიშვებდი. ისინი კი გეწეოდნენ, უნდოდათ წაეყვანე. მე რო არ გიშვებდი, გოგო, ერთმა ისეთი სილა გამარტყა, რო მაშინვე ხელი გაგიშვი და ტირილი დავიწყე. მერე კიდეც გამომეღვიძა.

— უი და-და-და!.. მართლა წამიყვანდნენ! — კანკალით წამოიძახა კატომ.

— მე იქ არ ვიყავი?! — დაბღვერით სთქვა გიგლამ: — ვის დაგანებებდი?!

— უი, მეხი კი დაგაყარე მაგ თავში! — გულიანად გადიკისკისა კატომ და ორივე ხელებით ქოქოლა მიაყარა.

— მაშ რაღა გაღრიალებდა, თუ კი არავის დამანებებდი, რად წააყვაინე ჩემი თავი? — დაცინვით ჰკითხა კატომ.

გიგლა დაიბნა ამ კითხვით და ერთბაშად ვეღარა მოახერხა-რა საპასუხოდ. ცოტა არ იყოს, კიდევაც შერცხვა. მაგრამ ჩქარა მოახერხა პასუხი და ისევ მედიდური სახის გამომეტყველება მიიღო:

— ეს ხომ სიზმარში იყო. აბა ცხადლივ ყოფილიყო, როგორ სეირს ვაჩვენებდი მე იმათ!..

— შენმა მზემ!..

— ჩემმა მზემა და...

— მოიცა, გიგლა, ი რა უსტვენს? — გააწყვეტინა კატომ უეცრივ სიცილი გიგლას, რომელსაც ამ დროს არაგვიდან სტვენა შემოესმა.

— ეხლა რო დაუსტვინა?

— ჰო!

— სალამურა იქნება*.

* სალამურა თეზია.

— სალამურა კი არა, მალამურა არ გინდა?! აი, აი კიდევ, გაიგე?

— ჰო გავიგე.

— ვინ უსტვენს?

— სალამურაა-მეთქი! — გაჯავრებით უთხრა გიგლამ.

— გინახამს, გიგლო, სალამურა?

— მინახავს, მაშ!

— სადა?

— არაგვში. როცა ბიჭები ვბანაობთ ხოლმე, მაშინ ბევრს ვიჭერთ.

— მეც მიბანავნია, მაგრამ სალამურა კი არ მინახავს.

— შენ რო არ მოძებნო, ვისი ბრალია!..

ამის შემდეგ ორივენი გაჩუმდნენ...

— მაშ არ გეშინიან? — უეცრივ ჰკითხა კატომ.

— არა! — თავმომწონედ უპასუხა გიგლამ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ისინი ასე გაჩუმებული დიდხანს იყვნენ და ბჯეს ჩასცქეროდნენ. თავთავიანთს ფიქრებში გართულები. გიგლას ამ დროს ისევ ისეთი სახის გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც მაშინ, როდესაც კატოს კითხვებს აძლევდა. კატო კი სახეს იჭმუხვნიდა. ეტყობოდა, რაღაც უნდა მოეგონა როგორმე. ბოლოს, გაეღიმა, მაშინვე დააცქერდა საბძლის კარებს, თვალებდაჭყეტილმა უეცრივ შესწივლა და გიგლას მოეხვია:

— ვაიმე, გიგლა, მიშველე!.. აგერ ვინ მოებღოტება!..

მართლა ამ დროს ქარმა დაჰბერა და კარებზე რაღაცამ გაიჭახუნა.

— ვაიმეეე!.. — შეჰღრიალა გიგლამ და უკან გადავარდა.

— გულადო, გულადო, რა გაღრიალებს? აკი არ გეშინოდა?! — კასკასით უთხრა კატომ.

— მე მოგატყუე და შენ კი მართლა გეგონა! — განაგრძო ისევ კატომ სიცილით.

— დაიკარგე! — დარცხვენით წამოიძახა გიგლამ და ისევ კატოსკენ გადმოგორდა.

— ოჰ, გულადს გაუმარჯოს! — სიცილით უთხრა კატომ: —

ეგ არის შენი კვეხნა?! როგორ დაჭრილი დათვივით შეჰღრიალე!!..

— დაიკარგემეთქი! — გაბუტვით უთხრა გიგლამ: მინდა დავიძინო...

— მაშ დავიძინოთ!

ისინი ისევ ერთმანეთს გადაეხვივნენ და მიწვნენ. თუმცა ორთავემ ძილის სურვილი გამოაცხადეს, მაგრამ არცერთს არ ეძინებოდა. გიგლა თავის დამარცხებაზე ფიქრობდა და ლანძღავდა თავის თავს, რომ ასე მალე სიმტყუვნე გამოაჩნდა. კატო კი მალ-მალ იღიმებოდა, რადგანაც იმას სულ თვალ წინ ედგა, თუ დაოთხებული გიგლა როგორ მობრუნდა ღრიალით საბძლის ბოლოსკენ. ასე იყვნენ და-ძმა თავიანთ ფიქრებში გართულნი, როცა სოფლის მხრიდან ყრუდ შემოესმათ თავიანთი სახელები: „გიგლო, კატო!“ ორივენი ერთად ხმის ამოუღებლივ წამოსხდნენ და სულ სმენად გარდაიქცნენ, მაგრამ ძახილი აღარ ესმოდათ.

— ვინ დაიძახა? — თითქმის ერთად იკითხეს ორთავემ.

— უთუოდ ეშმაკი იქნებოდა! — დამტკიცებით წარმოთქვა კატომ. — იმ დღეს ბერუანთ სალომესათვისაც დაეძახნა სახელი. დედაკაცები ლაპარაკობდნენ: თურმე ხუთჯერ-ექვსჯერ დაუძახნია.

— მერე რა ექნა?

— პირჯვარი რომ არ გადაეწერნაო, გაიტყუებდა სადმეო. როცა პირჯვარი გადაეწერნა, მერე აღარა გაეგონარა!

— ღმერთო, შენ მიშველე! — გულიანად წარმოსთქვა გიგლამ და, თითქოს ფანდურზე აფხაკუნებსო, ისე გადიწერა სამჯერ-ოთხჯერ პირჯვარი.

კატომ კი კოხტად გამოისახა პირჯვარი და, რაც წმიდანები იცოდა, ყველა ახსენა.

ამ დროს უფრო გარკვევით შემოესმათ ძახილი: „კატო, გიგლოოო“!

— მამა იძახის!.. — წამოიძახა გიგლამ და პირი დააღო, რომ დაეყვირნა და ხმა მიეცა; იმან კიდევაც მისცა ხმა, მაგრამ ამ დროს კატომ პირზე ხელი მიაფარა და ხმა გააწყვეტინა.

— რა გაყვირებს, შე პირგასაშავებელო, მამა კი არა, პაპა არ გინდა!

— მამაა, ღმერთმანი!

— სუ მეთქი! შე სულელო, არ იცი, რომ ეშმაკები მამის ან დედის სახეს და ხმას მიიღებენ ხოლმე! მაშინ უფრო გაიტყუებენ.

— მართლა?! — შიშით და განცვიფრებით წამოიძახა გიგლამ.

— მართლა, მაშ!

— მაშ რაღა გვეშველება? — სასოწარკვეთილებით დაიძახა გიგლამ და ერთი ისეთი ამოიკვნესა, რომ კაცს ეგონებოდა, გული თან ამოაყოლაო.

— რა გვეშველება და, პირჯვარი ვიწეროთ! — სთქვა თუ არა, მძიმედ დაიწყო კატომ პირჯვრის წერა და წმიდა გიორგის და სხვა წმიდანების ხსენება. გიგლაც გამუდმებით „ღმერთო, ღმერთოს!“ იძახდა.

„ახლა სადღა ჯანაბას და დოზანას წავიდე და თავში ქვა ვიცეთ! — თითქმის მტირალ და იმედგადაწყვეტილი კაცისგან წარმოთქმული ეს სიტყვები შემოესმათ ამ დროს ყმაწვილებს. ამასთან ერთად ვიღაც მოაწყდა საბძლის გვერდს და უეცრივ მისწყდა ხმა. მოისმოდა მარტო ისევ ტყის შრიალი, ხის ლაწალუწი და ადამიანური კვნესა; აქა-იქ ადგილებიდან ტურებისა და მგლების ჩხავილ-ყმუილი ისმოდა; ქარის ზუზუნი თანდათან უფრო მატულობდა, თითქოს თავს ძალა და ღონე სულ ამ საბძლისკენ მოუქცევიაო, რომ როგორმე ძირს დასცეს და ბავშვებს ეს უკანასკნელი თავშესაფარიც მოუსპოსო.

ყმაწვილებს საბძლის გვერდის გაჯახუნებაზე და კაცის ხმაზე ენა მუცელში ჩაუვარდათ და ძლივსღა სუნთქავდნენ.

არც ის იყო უკეთეს მდგომარეობაში, ვინც საბძელს მოაწყდა. ადვილი მისახვედრია, რომ ეს ქიტუა იყო, რომელიც თავის ქალ-ვაჟს დაეძებდა. ის რაკი თავის სახლს გამოსცილდა, ერთი ორჯერ დაიძახა თავის ქალ-ვაჟის სახელები იმ იმედით, რომ თუ აქ იქნებიან, პასუხს მომცემენო. მაგრამ პასუხი არავინ მისცა. ამის შემდეგ ის მოედო მთელ სოფელს და

ერთი კომლი არ გამოუშვია, რომ არ ეკითხნა: „ჩემი ბალღები თქვენსა ხო არ არიანო, ან ხო არ გინახავთო?“...

როცა სულ უკანასკნელ ოჯახს ჰკითხა და იქაც უარი უთხრეს, ქიტუა კინაღამ გადიქცა. ელდანაკრავივით დიდხანს იდგა ერთს ადგილას და თავბრუ ესხმოდა. ცდილობდა მოეგონებინა რამ, რამე ღონე ეღონა, მაგრამ იმის თავში აზრი აზრს არ ებმოდა; ისა ჰგრძნობდა თავის სიცარიელეს, რომელიც თანდათან უფრო უმძიმდებოდა და ტყვიასავით უხდებოდა...

მართლაც რა უნდა ექნა? სად უნდა წასულიყო ამ ბნელ ღამეში? რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოტრიალდა და ალალბედზე გაემგზავრა. სად? ეგ თვითონაც არ იცოდა. მიდიოდა კი და სად დადგებოდა—ამას ვერ გეტყოდათ. ერთი-ორჯერ კიდევ დაუძახა თავის შვილებს, და ეს დაძახება ხომ კატომ ეშმაკის ძახილად მიიღო. მერე კი, ვიდრემდის საბძელს არ მიაწყდა, ხმა არ ამოუღია. საბძელთან კი ისე უცნაურის ხმით დაიძახა: „ახლა სადღა ჯანაბას და...“, რომ ყმაწვილებმა სულ ვერ იცნეს თავისი მამის ხმა და ამის გამო ძალიანაც შეშინდნენ.

— ვაااიიი!.. წამოიღრიალა შესაზარის ხმით ქიტუამ-და ორივე ხელით დაეჯაჯგურა საბძლის გვერდს და რამდენსამე წნელს ჭახა-ჭუხი მოადენინა.

ყმაწვილები ამ ჭახუნზე და ღრიალზე გაშრნენ, გაყვითლდნენ და დამუნჯდნენ. უნდათ შეჰყვირონ, მაგრამ ხმა აღარ მოსდევთ; უნდათ ადგნენ და უკანა ზენაქრივ კუნჭულში მიიმალონ, ბზეში ჩაიფლან, მუხლი აღარ ემორჩილებათ. თითქოს ყოველი სხეულის წილი დაუდამბლავდათო.

„უუუ“! — გააგძელა იქვე ახლოს ჭალაში ერთმა მგელმა; ამას სხვადასხვა ადგილებიდან ბანი მისცეს, და შეუდგათ ერთი ალიაქოთი.

მგლის ყმუილმა ხომ ქიტუას ბოლო მოუღო. იმას ეგონა, ეს ერთი მგელი სხვა მგლებსაც იწვევს, რომ იმის შვილები შესჭამონო.

— შვილებო!... შვილებო!... კატო... გიგლა!... ერთი კიდევ გნახოთ მაინცა და მერე... — დაიყვირა ქიტუამ და ჭალისკენ, საიდგანაც მგლების ყმუილი გაიგონა, დაქანებას აპირებდა, მაგრამ ამ დროს ყმაწვილების ძახილი მოესმა: „მამი, მამი!...“

— ჰა!... სადა... ვინ... — გონება-დაკარგული იძახდა ქიტუა, როდესაც ყმაწვილების ხმა მოესმა.

— მამი, მამა!... აქა ვართ!... — საბძლიდან გამოჰყვირეს ყმაწვილებმა და მაშინვე საყვავესკენ გაექანენ და აებღოტნენ.

ქიტუაც იქით გაიქცა და, რაწამს გიგლამ თავი გარედ გამოჰყო, მაშინვე ხელები მიაშველა და გიჟივით გულში ჩაიკრა. კატოსაც აგრეევე უყო.

ქიტუამ, რაკი კოცნითა და ალერსით ჟინი მოიკლა, აქეთ-იქით მოიყენა თავისი შვილები და დამშვდებული ბოსლისაკენ გაემგზავრა, სადაც მათ გარდა ოთხი ძვირფასი არსება კიდევ ეგულებოდა.

III

გარედან ქმრის ხმა რომ შემოესმა, სოფიომ მიხურა კარები და ცოტა ხნის შემდეგ ლოგინიც გაშალა, თბილ საბანში გაეხვია და ჩაწვა. უნდოდა დაეძინა, მაგრამ ფიქრებმა ისე გაიტაცეს, რომ ძილი თვალზე აღარ ეკარებოდა და ისე კარგა ხნობამდინ გორაობდა ლოგინში.

მართალია, სოფიომ გადაწყვეტით წამოიძახა: „ან ეს ბალღები და ან კიდევ მე ამ სახლშიო“, მაგრამ რაც დრო გადიოდა და ქიტუა ბავშვების შესახებ არავითარ ამბით არ ბრუნდებოდა სახლში, იგი თანდათან სცვლიდა თავის გადაწყვეტილებას. ბოლოს, იქნობამდის მივიდა, რომ თითქმის წინააღმდეგ აზრს დაადგა. „ღმერთო, — მალ-მალ წამოიძახებდა ხოლმე სოფიო, — ამაღამ კი ნურაფერი მოუვა ი ბალღებსა და შემდეგ კი პირს გავიხმობ და ხმას აღარ გავცემ!“ „შენი ამანათები იყვნენ ამაღამ ისინი და შენ დაიფარე!“ — დაუმატებდა ხოლმე ცოტა ხნის შემდეგ.

წამი წამს მისდევდა, საათი — საათს, მაგრამ ქიტუა შინ არა ბრუნდებოდა და სოფიოს იმის ლოდინში სული მისდიოდა. დერეფანში ყოველ რისამე გაფაჩუნებაზე თავისდა უნებურად წამოჯდებოდა ხოლმე ლოგინში და სულ სმენად გარდიქცეოდა, იმ იმედით, რომ აი, საცაა, კარები გაჭრიალდება და ქიტუა ბავშვებით შემოვაო. მაგრამ ეს იმედი არ უმართლ-

დებოდა და სასოწარკვეთილი და მოწყვეტილი მიეშვებოდა ხოლმე ბალიშზე.

„ე რა ღმერთი გამიწყრა და იმას გავუგონე?! რაზე ჩავდექი ი ბალღებისა და კაცის ცოდოში?!“ წამოიძახა სოფიომ, როდესაც ქიტუას დაბრუნების იმედი გადიწყვიტა. ოო, შე, შე, სულელო ჩემო თავო“, — განაგრძო სოფიომ და თან რამდენჯერმე წაიკრა თავში: „რად უგონებდი იმას და ბალღებს ისე ცუდად რად ექცეოდი?.. არ იცოდი, რომ ცხვირს სადმე წაგაყოფინებდა?! ეხლა იმათ რო მოუვიდეთ რამე, ხომ სოფელში თავი ვეღარ უნდა გამოვყო, ხომ ქვეყანამ უნდა ჩამქოლოს და თითით საჩვენებელი გამხადოს!.. არა, თუ იმათ მოუვიდათ რამე ამაღამ, მეც ავდგები და წყალში გადავვარდები!.. მე ხალხს ვეღარ ვეჩვენები!.. ჩემი ცოდით დაიწვი და დაიდაგე, რომ ამ დღემდის მიმიყვანე!..“ წამოიძახა უკანასკნელად სოფიომ, თვალები ცრემლით აევსო და ბალიშში ჩაყო თავი.

ასე იწვა სოფიო, და იმის გონებას მთელი წარსული მისი ცხოვრება რიგრიგად დაეხატა. ბევრი კარგი და ავი მოაგონდა სოფიოს, და, ამ მოგონებაში გართულს, ძილი შეეპარა.

მძიმედ დაიწყო სუნთქვა და ხანდისხან ღიმიც გადურბენდა ხოლმე ტუჩებზე. მაგრამ ამნაირ მდგომარეობას დიდხანს არ გაუტანია. იმან ჩქარა დაიწყო ბოდვა და მწუხარებით ბორგვა.

ბოლოს, უეცრივ შეჰკივლა: „მიშველეთ, მომკლაო“! და გიჟივით ლოგინიდან პერანგა წამოვარდა. იმისი გული ამ დროს საშინლად აჩქარებით სცემდა და გაჰქონდა ძაგა-ძუგი. თითქოს იბრძვის, რომ ბუდიდან გადმოვარდესო. სოფიო გონს ვერ მოსულიყო — ცხადლივ იყო, თუ სიზმარში. ძალას ატანდა თავის თავს, მაგრამ აზრები არ ულაგდებოდა და არ ემორჩილებოდა. ასე გაშტერებული იდგა კარგა ხანს და ერთ ადგილიდან არ იძროდა. ბოლოს, სიკვდილისა და შიშისგან კანკალმა აიტანა, და ამ გარემოებამ გონს მოიყვანა. „ღმერთო, ე რა საშინელება რამ ვნახე?!“ წამოიძახა და პირჯვარი გადიწერა. უნდოდა კიდევ ეთქვა რამ, მაგრამ ამ დროს კარები გაჭრიალ-

და და ქარმა შუილით შემოითამაშა სახლში. კარები, როგორც ჩქარა გაიღო, ისევ ისე ჩქარა მიიხურა...

— ქიტო, შენა? — წამოიძახა სოფიომ და საჩქაროდ დაუმატა: — ბავშვები?

— ქიტუას სადა ჰხედავ? — უპასუხა ვიღამაც და გაწუწული ნაბადი დედაბოძის ძირში მიაყუდა.

— ნათლი, შენა ხარ? — წამოიძახა სოფიომ და იმისკენ გაეშურა, მაგრამ უეცრივ შედგა და ნათლიას გამოწვდენილი ხელები მოიშორა.

— შენი ჭირიმე ნათლი, წადი, წადი ჩქარა და ნუღარსად მოხვალ ჩემთან, ნუ, ნუ, ნუ!..

— ნუ გეშინიან, ქიტუა ეხლა აქ არ მოვა!

— რა იცი?.. რატომ?.. ხომ არა მოუვიდარა?! — ზედიზედ მიაყარა სიტყვები სოფიომ.

— აი, შე კუდიანო, გაგეხარდება კი, რო მოუვიდეს რამე! — სიცილით უთხრა ნათლიამ და უეცრივ გულზე მიიკრა.

— გამიშვი, გამიშვი!! ნუღარ მომეკარები! — შეჰყვირა სოფიომ და თან ხელი ჰკრა ნათლიას.

— წადი, წადი, არ მომეკარო. — განაგრძო ისევ სოფიომ აკანკალებულის ხმით და ლოგინში გაეხვია.

— რა მოგივიდა, ხომ არ გაგიჟდი? — დაეკითხა გაოცებული ნათლია.

— შენ გენაცვალე, წადი!... ეხლავე წადი, თორემ ცუდი საქმე დაგვემართება!..

— რა ცუდი საქმე უნდა დაგვემართოს? გეშინიან, რომ ქიტუამ არ მოგვასწროს?! — ლაპარაკის დროს ნათლია მივიდა და გვერდით მოუჯდა სოფიოს, რომელმაც იმის მიახლოვებაზე ხელები წინ გამოიწვდინა და მთლად აკანკალებულის ხმით ხვეწნა დაუწყო:

— ნათლი, ნუ სდგები ჩემ ცოდოში და ამაზე მეტად თავს ნუღარ მომჭრი! გვეყოფა, გვეყოფა ამოდენა ღვთის გმობა! ღმერთი არ შეგვარჩენს ნათელმირონობის დარღვევას. აი, ეხლაც ისეთი საშინელი სიზმარი ვნახე, რომ... არა, ნათლი, წადი, წადი, შენი ჭირიმე! საცაა, ეხლა ქიტუა მოვა და... ოჰ, ღმერთო, კეთილად ამიხდინე სიზმარი!..

— ქალო...

— წადი, თორემ ორივეს დაგვხოცამს! სიზმარში ხანჯლით დაგვდევდა!..

— ეჰ, რა სულელი რამა ყოფილხარ!.. — ღიმილით უთხრა ნათლიამ და გულზე მიიზიდა მთრთოლვარე სოფიო.

— აჰა, აჰა და ჩქარა წადი, ნუღარ იგვიანებ, თორემ, საცაა, მოვა!.. ოჰ, ღმერთო, რა უბედური რამა ვარ... — სოფიო მოწყვეტილი და მოქანცული მიესვენა ნათლიას გულს და ქვითინი მორთო.

— ქალო, რა გატირებს, ნუ გეშინიან....

— შენი გულისთვის ღმერთიც დავივიწყე და კაციც. აი, ეხლაც შენი გულისთვის ბალღები გავრეკე და, ვინ იცის, ცამ უყო პირი, თუ დედამიწამ! თუ ქიტუამ ვერ იპოვა, ხომ, ის არის, მომკლამს. ნეტავი მომკლას და...

— ნუ გეშინიან...

— ნეტავი მომკლას, ის მირჩევნიან. ი ბალღებს რო მოუვიდეთ რამ, ხომ გარედ ვეღარ გამოვალ, ხომ წყალში უნდა გადავვარდე, თუ ქიტუამ არ მომკლა.

— ქალო დამაცალე, გითხრა...

— არა, არა, წადი, წადი!.. ღმერთო, ამისთანა ღამეში როგორ გავრეკე მე უბედურმა! აი ეხლა ხორცი სულ მადნება, როცა ისინი მაგონდებიან.

— ქალო, ბავშვებს არა უშავთ რა, რად...

— როგორ თუ არა უშავთრა!.. აბა შენ დარჩი ამაღამ ცის ქვეშ და მაშინ ნახამ, თუ არა უშავთრა?!.

— თუ არ მათქმევინებ, აბა რა ვქნა?.. ბავშვები ბოსელში არიან.

— როგორ?! შენ რა იცი? სადა ნახე? — ზედიზედ წამოიძახა სოფიომ სიტყვები და ნათლიას გულიდან მოშორდა.

— იქიდან ვიცი, რო ქიტუას მოყავდა ისინი ეხლა იქით.

— მართლა?! არ მატყუებ? — სიხარულით დაეკითხა ის და თან ხელებს ხან მხრებზე ავლებდა ნათლიას და ხან გულზე.

— არ მატყუებ? მართალს მეუბნები?

— შენმა მზემ, მართალს გეუბნები.

— მაშ, უპოვია?

— უპოვია.

— მერე, სად ნახე?

— ჩემთან თვითონ მოვიდა და მითხრა. წელან თურმე მთელი სოფელი დაიარა და ყველგან კითხულობდა: „ჩემი ბალღები ხომ მანდ არ არიანო“?

— მერე?

— მერე, ჩემთანაც მოვიდა და მიამბო: „შენი ნათლულები იმ ბ—ს ოხერს გამოურეკიაო და აქ ხომ არ მოსულანო“. მე უარი ვუთხარი და თანაც დავუმატე: „თუ იპოვო, შემატყობინე-მეთქი“ და აი, ეხლახან ბალღებით მოვიდა ჩემთან და მერე ბოსელში წაასხა — „ჩემთან ბოსელში დავაძინებო“. ის რო ბოსლისკენ წავიდა, მე შენთან გამოვემგზავრე...

— უჰ, ღმერთმა გიშველოს, რომ შემატყობინე, თორემ გავგიჟდებოდი!

— აი, ყოველთვის რო ესე თავისუფლები ვიყვნეთ ხოლმე, მაშინ იქნება კარგი.

— მგონი, ჩემო ნათლი, ჩვენ თავისუფლები აღარც როდის ვიქნებით, მე ბალღებს დღეის შემდეგ ხმას აღარ გავცემ.

— მაშ, ეგ არის, გადასწყვიტე?

— დიახ, და ჩვენც ერთმანეთს უნდა დავშორდეთ. დღეის შემდეგ ისე მიგულებდე, როგორც წინად — როგორც ნათლიდედას.

— ისა სჯობია, გეთქვა — ამ წუთსავე უნდა გავშორდეთო. — ამ სიტყვების შემდეგ ნათლია წამოდგა და ნაბადს წამოავლო ხელი.

— სად მიხვალ?! — განცვიფრებით ჰკითხა სოფიომ.

— შინ! — მოკლედ უპასუხა ნათლიამ.

— ამაღამ რისა გეშინიან. ხომ შენვე სთქვი — ქიტუა ბოსელში წავიდაო! ის ეხლა აქ აღარ მოვა.

— ეგ მეც კარგად ვიცი, რომ ის ამაღამ აქ აღარ მოვა და, გინდა ეს ასე არ იყოს, მე თავიდღენი არავისი მშინებია და არც ეხლა შევუშინდები ვისმე.

— მაშ, რად მიხვალ შინ?

— იმად მივალ, რომ შენ მითხოვ.

— გითხოვ, მაგრამ ამაღამ კი დარჩი, ნუ წახვალ. ხვალ, ზეგ და მერე კი ნულარ...

— თუ მერე არა, არც ამაღამ დავრჩები, მშვიდობით! — ნათლიამ მოიგდო ნაბადი და კარებისაკენ გაქწია.

— ნათლი, ამაღამ დარჩი, ნურსად მიხვალ! არ გეყურება, ჰა?! — წამოვარდა ლოგინიდან და უკანიდან დაიჭირა.

— კარგი, გამიშვი!

— არა, ამაღამ იყავ, ჩემო ნათლი! ნურსად ნუ მიხვალ. — სოფიო ჩამოეკიდა კისერზე და კოცნა დაუწყო.

იმანაც მოჰხვია მკლავები და ლოგინთან მიიტანა.

— განა ეგ არის შენი სიყვარული, რომ მაგრე თავს მანებებ; გიხდა საშუდამოდ თავი დამანებო? ღმერთო, რა უბედური რამა ვარ! — სოფიოს ამოუჯდა გული და ფშრუკუნი დაიწყო. — შენის გულისთვის ქვეყანა მოვიძულე და შენ კი გარბიხარ?

— შენ თითონ მითხოვ და მაშ, რა ვქნა. თუ არ წავიდეაი, ეხლა კი დავრჩები, რადგანაც არ მითხოვ.

— მაშ, აღარ წახვალ?

— აღარ წავალ, მხოლოდ იმ პირობით კი, სხვა დროსაც...

— ოჰ, ნათლი, რა ეშმაკი რამა ხარ! — უთხრა სოფიომ საყვედურით და თავისი ჩამკვრივებული მკლავები გველივით შემოავლო ნათლიას კისერს და თავისკენ მიიზიდა, რის პასუხადაც ნათლია დაეწაფა იმის გაღვივებულს მკერდს და, თითქოს ზედ დააკვდაო, დიდხნობამდინ თავი მაღლა აღარ აუღია...

IV

მკითხველებს ცოტათი მაინც გავაცნობთ ნათლია ნიკოს ვინაობას. ნიკო გახლდათ სოფლის მწერალი, შთამომავლობით მღვდლის შვილი და აზნაური. იმისმა მამამ, როგორც მღვდელმა და აზნაურმა, ნიკო სასულიერო სემინარიაში მიაბარა (მაშინ სემინარია და სასულიერო სასწავლებელი ერთად იყო), მაგრამ იმის სამწუხაროდ, ნიკოს ექვსის წლის შემდეგ გამოუძახეს სემინარიიდან როგორც უნიჭო მოწაფეს. ამ ექვსის წლის განმავლობაში წერა-კითხვაც ვერ ისწავლა ხეირიანად და,

ცხოვრებისათვის მოუმზადებელი, მამას თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლისა შინ დაუბრუნდა. მამამ თუმცა, მისალმების მაგიერ, შვილი მისვლისთანავე კეტით გარედ იფრინა და მიაძახა: „თვალით არ დამენახო, შენ შვილობაზე ხელს ვიღებო“, მაგრამ მალე გული მოიბრუნა და შინ შემოიყვანა. „შვილო, — მიჰმართა მამამ, როცა ნიკო თავის დედამ ალერსიანად გადაჰკოცნა და გვერდით მოისვა — მაგითი ბევრი არა დაშავდარა, რომ დაგითხოვეს. შეიძლება ძალითა ღვთისათა და ჩვენითა მეცადინეობითა საქმეს ვუშველოთ როგორმე. მე სასწავლებელში ჩემ დღეში არა ვყოფილვარ, მაგრამ აბა, შემომხედე, ანაფორა არ მაცვია თუ?! შენც, შვილო, შინ მოემზადე და, რამდენიმე წლის შემდეგ, ჯერ პრიჩეტნიკად გაგამწესებენ და მერე კიდევ მღვდლადაც გაკურთხებენ“...

მამის ტკბილი სიტყვებით წახალისებულმა ნიკომ მღვდლობაზე უარი გამოაცხადა იმის გამო, რომ სწავლა არ შემიძლიანო.

— რაო?! — შეჰყვირა მამა გედევანმა და მაშინვე დავითნი მიაჩეჩა ხელში: — „ეს გაიზეპირე, თორემ სულ ტყავს გაგაძრობ!“ დასჭყივლა მღვდელმა და შემდეგ განაგრძო: — შენისთანა ლაწირაკებმა მღვდლობა უნდა დაიწუნონ? მღვდლისთანა ვინ არის?! იგი მოადგილეა თვით იესო ქრისტესი, ძისა ღვთისასა, უფლისა ჩვენისა, რომლისა სახელი იდიდებია ქვეყანასა ზედა. მღვდელი ამა სოფელსა პირველი პირია, ჭირშიაცა და ლხინშიაცა პირველი ადგილი უჭირავს. აბა, ერთი მითხარ, ვინ გაჩენილა ისეთი, ვინ მონათლულა, ავად გამხდარა, დაქორწინებულა და ან მომკვდარა, რომ მღვდელი არ მიეწვიოთ, რომ სუფრის თავს ის არა მჯდარიყოს.

კარგა ხანი ილაპარაკა მამა გედევანმა მღვდლის შესახებ და თან შვილს უტევდა, მაგრამ ნიკოს ერთი სიტყვაც არ გაუგონია. იმას დავითნი უკუღმა გადაეშალა და ისე თავდაყირა ასოებს დასცქეროდა. „ფოფოდია“ კი მამა გედევანის სიტყვების დასამტკიცებლად წუწუნით და წრიპინით იძახდა:

— ჰო, შვილო, ყური დაუგდე მამაშენს, მართალს იძახის, — და თან ნიკოს ზურგზე ალერსით ხელს უსვამდა.

ასე, ხან ჯავრობით და ხანაც ლოლიაობით, ოთხის წლის განი-

მავლობაში მამა გედევანმა თავის შვილს დავითნი ზეპირად შეასწავლა, მაგრამ იმის „გაპრიჩეტნიკებას“ კი ვეღარ მოესწრო. წყეულმა სიკვდილმა იესოს მოადგილეობაზე ხელი აიღებინა. მამა გედევანის გარდაცვალების შემდეგ არც სხვა ვინმე მოსწრებია ნიკოს „გაპრიჩეტნიკებას“. ზნეობრივ და გონებრივ, ოჯახში და სასწავლებელში ასე დამახინჯებული ნიკო საზოგადოებაში გამოვიდა.

ნიკოს იმოდენა მამული არა ჰქონდა, რომ იმის შემოსავლით „უშრომლად“ ეცხოვრნა, რადგანაც გარჯასა და მუშაობას ვერ ეწყობოდა. ამისთვის სხვა საშუალებას მიჰყო ხელი—თავის სოფლელების ძარცვა-გლეჯას. მაგრამ იმნაირად კი სძარცვავდა და ჰგლეჯდა, რომ გაძარცულები მადლობლებიც რჩებოდნენ იმისი. მართალია, ნიკო „იესოს მოადგილედ“ ვერ გახდა, მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლიდა, რომ სოფელში პირველი ადგილი დაეჭირა და ჭირშიაც და ლხინშიაც, დაბადებაშიაც და სიკვდილშიაც, ქორწილში თუ ქელეხში სუფრის თავს გამოჭიმულიყო...

ნიკომ თავისი მოქმედება ნათლიაობით დაიწყო. ვისაც კი სოფელში ცოტათი მაინც სიპოხე ეტყობოდა, ნიკო ყველას ნათლიად უხდებოდა. ამ გარემოებით იმან ისარგებლა და ერთს ბედნიერ დღეს სოფლის მწერლად გახდა. რაკი მწერლობა ხელთ იგდო, მაშინ ხომ ყველას კარი ღია იყო და ყველანი ხელთ ეჭირა. თვით მამასახლისიც, როგორც ნასწავლ კაცს, მღვდლის შვილს და აზნაურს, პატივსა სცემდა და რჩევასაც ჰკითხავდა ხოლმე. უიმისოდ ბუზსაც ვერ ააფრენდა.

აი, სწორედ იმ დროს, როდესაც სუნით დაეძებდა, თუ რომელ შეძლებულ გლეხის ოჯახში დაიჩხავლებდა ახლად დაბადებული ბავშვი, მოუნათლა ქიტუა გიგაურს, როგორც შეძლებული ოჯახის პატრონს, კატო. ამის შემდეგ ნიკო ხშირად დადიოდა ქიტუასთან და ბევრჯელ, როგორც ნათლიას, მოხრაკული ვარია-ერბო-კვერცხით და წითელი ღვინით ჩაუკოკლოზინავეს ყელი. როცა გიგლაც ამან მოუნათლა, მაშინ ხომ შინაური გახდა და თითქმის ყოველ დღე ქიტუას ოჯახში იყო. „ერთი კოკა მირონი დააბრუნა ჩვენს ოჯახშიო“, — ხშირად იტყოდა ხოლმე ქიტუას პირველი ცო-

ლი მეზობლებში, და მეზობლებიც ამასვე გაიძახდნენ, როდესაც ნიკომ ქიტუას მეორე ცოლთანაც მოუხშირა სიარული.

პირველს ხანებში ნიკო ქიტუასთან დადიოდა იმ განზრახვით, რომ ესვა, ეჭამა და მოეგო იმისი გული; მეორე ხანში კი სულ სხვა საქმე იყო. ეხლა იმას აღარ უჭირდა არავისი თავი, ეხლა თვითონ იმისი თავი უჭირდათ ყველას და სცდილობდნენ იმის გულის მოგებას. ყველა გლეხი ბედნიერად ჩასთვლიდა თავის თავს, თუ კი მის ოჯახს იკადრებდა და ეწვეოდა როდისმე. განა ხუმრობა საქმეა, რომ ნიკო, უკვე მდიდარი, მღვდლის შვილი, აზნაური და მერე კიდევ მწერალი სწვევოდა რომელსამე გლეხს და თავი გაეყადრებინა იმისთვის!

ნიკო, ვიდრემდინ სულს მოიდგამდა, ხშირად დაიარებოდა ქიტუასას, მერე, რაკი ფეხი მოიკიდა, სულ აღარ გაუვლია იმასთან. ამასთანავე ქიტუაც ამ დროს ძალიან ძირს დაეშვა: მოუკვდა მამა, მერე ამას მიჰყვა დედა, ახლა სხვადასხვა ჭირი დაატყდა თავს, რაც გლეხის ოჯახს ანადგურებს, და აბა, ამისთანა გლეხთან რაღად დაიჭერდა კავშირს, რადგანაც იმისი აზრი ის იყო — თავი იქ შეეყო, სადაც მიეცხობოდა რამ და არა იქ, სადაც მიცხობის მაგივრად უნდა გასცლოდა რამე.

როცა ქიტუა დაქვრივდა და ორი პატარა ობოლი დარჩა, მაშინ ხომ აღარც კი ელაპარაკებოდა, რა არის, არა მთხოვოსრაო.

მაგრამ აგერ სოფელში გაისმა ხმა — ქიტუამ ძალიან ლამაზი ცოლი შეირთოვო, რომ იმისთანა ქალი ჯერ არავის მოუყვანიაო. ნიკოს ხშირად ესმოდა თავისი ნათლიდედის ქება, იმისი მომხიბლავი სიტურფე და სიკეკლუცე. ამ ხმებს ჯერ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ბოლო დროს გაიფიქრა: „აბა, ერთი ვნახოვო. იქნება, მართლა ძალიან ლამაზიაო“.

V

შიოობა დღეს სოფ. ბ—ში დილიდანვე ერბოს ნამცხვრის სუნი დატრიალდა. ვისაც ჰქონდა და არა ჰქონდა შიო მღვიმელისთვის ერბოს ზედაშები, ყველამ დაახურა კეცები და ქადების ცხობას შეუდგა.

ის იყო, სოფიო მორჩა ქადების ცხობას, რომ ბანის ერ-დოდან მოესმა მეზობლის ქალის ხმა:

— პატარძალო, რატო მაგრე ჰგვიანობ და გარედ არ გ-მოხვალ?

— გარედ რა გავაკეთო, შენ გენაცვალე? — უპასუხა სოფიომ.

— როგორ თუ რა გააკეთო, ადამიანო?! გადი გარედ, გაიხედ-გამოიხედე, ბედნიერი დღეა. — უთხრა ქიტუამ და ცხელი ქადის ლუკმა პირში გააქანა.

— რას ამბობ, ქალო, ჩქარა ჩაიცვი და დიპლიპიტო-ნაღ-რაც წამოიღე. ლხინი გავმართოთ. აგერ ზემო-უბანში კიდეც გამართეს. იმათ როგორ უნდა გვაჯობონ! — იმავე დროს წ-მოსძახა მეზობლის ქალმა.

სოფიომ საჩქაროდ ტანთ ჩაიცვა, დაიხურა თავი და დიპ-ლიპიტო-დაირით ბანზე ავიდა.

თბილი, თებერვლის დღე ხელს უწყობდა ყველიერში მოლხინე ბ—ლებს. რამდენსამე კალოზე ახალგაზრდა ყმა-წვილებს გაემართათ ჩალიჩი. მოჩალიჩენი ოროლ ნაწილად იყვნენ დაყოფილნი. ერთი ნახევარი რომ წრეს შიგნით იდგა, ამ დროს მეორე ნახევარი გარს დასტრიალებდა და დაგრეხილ აპეურებს ცხარედ უქნევდა, მაგრამ შიგმდგომნი მარდად იცდენდნენ და სცდილობდნენ მათს დაჭერას. ახალგაზრდები რომ ასე ერთმანეთის ბრძოლაში იყვნენ და ჟრიამულობდნენ, მოხუცებულები იქვე შორიახლოს ისხდნენ და სტკბებოდნენ ახალგაზრდების სიამოვნებით. მათი სიმარდე იმათაც გულს უთამაშებდა და აგონებდა თავის ახალგაზრდობას.

ახალგაზრდა ვაჟები თუ ჩალიჩით იყვნენ გართულნი, ქა-ლებიც არ იდგნენ გულხელდაკრეფილნი. იმათაც რამდენსამე ადგილს გაემართათ „ლხინი“ და დიპლიპიტო-დაირას გაცხა-რებულნი უკრავდნენ.

ქიტუას ბანზედაც ჩქარა შეგროვდნენ ქალები და აქაც გაახურეს დიპლიპიტო-დაირა.

ვაჟების ყიჟინი, ქალების გულიანი სიცილი და კასკასი, დიპლიპიტო-დაირის ხმა სულ ერთმანეთში ირეოდა და ერთ-გვარი სასიამოვნო გუგუნი იდგა ჰაერში. თითქოს ბ—ლებს

დავიწყნიათ ყველა თავიანთი ვარამი და მთლად სულით და ხორცით მისცემიან სიხარულსო!

დიაღ, ამათ ეხლა დავიწყებული ჰქონდათ თავიანთი ვარამი; არცერთს არ ჰქონდა ჩვეულებრივ შეშმუხვნილი შუბლი და არცერთს სახე არ ჩამოტიროდა; ყველას გახსნოდა სახის ნაოჭები და ყველას ერთნაირად უცინოდა და უელავდა სიხარულით სახე. იშვიათად ხვდება ხოლმე გლეხს ამ სთანა დღეები და როცა ხვდება, მაშინ ის სულითა და ხორცით ეძლევა თავის გრძნობას. მარტო გლეხს, თავის შრომით და დიდის გაჭირვებით ლუკმა-პურის მომპოებელს, შეუძლია ასე თავდავიწყებით მიეცეს თავის გრძნობას და გამოსცადოს ის ნეტარება სიხარულისა, რომელიც უქმადმყოფთა და მუდამ სიმოვნების მაძებართათვის საიდუმლოებას შეადგენს. იქნება ისე ღრმა არ იყოს ამისი გრძნობა, როგორც ზნეობრივ და გონებრივ განვითარებული მშრომელი კაცისა, მაგრამ აქ ხომ ამაზედ არ არის ლაპარაკი. იქნება განვითარებულ მშრომელის გრძნობა უფრო ძლიერია, ვიდრე გლეხისა. ეს, იქნება კი არა, ასეც არის, მაგრამ აქ საქმე ისაა, თუ გრძნობა რამდენად იპყრობს კაცის არსებას. გლეხს რაც სულის სიღრმე აქვს, იმ სიღრმეშდინ ჩადის გრძნობა და მთლად იპყრობს იმის არსებას. ამას შეხამებული არა აქვსრა: არც სიხარული და არც მწუხარება. ორივე ერთნაირად მოქმედობს ამის არსებაზე...

როდესაც ქიტუას ბანზე შუა „ლხინში“ შევიდნენ, უეცრივ გაისმა ხმა: „ბერიკები მოდიან, ბერიკებიო“!

ქალებმა მაშინვე შესწყვიტეს დიპლიპიტო-დაირის დაკვრა და თვალები მიაპყრეს ერთს თათრულად ჩაცმულ, ახოვან ტანის ახალგაზრდას, რომელმაც მარდად შემოდგა ფეხი ბ ნის გვირგვინზე და შეჰყვირა: „ییی! ალლაჰ-საღლარ!“ შემდეგ დაეყრდნო გრძელ კომბალს და ერთბაშად შეხტა. რამდენიამე წამს, კომბალზე დაყრდნობილი, ჰაერში გაშოტილ ფეხებს ათამაშებდა და გაჰკიოდა. ბოლოს კომბლიდან გადაეშო და მოთამაშე ბერიკების დასს წინ მიეგება.

ქალები მაშინვე ბანის გვირგვინს აეკუნწლნენ, მოთამაშეთა პირდაპირ, რომლებმაც იქვე ქალოზე დაიწყეს თავიანთი წარმოდგენა; ღორისა, კეკელასი, ბერიკებისა, მღვდლის და

თათრისა — აი ყველა როლები, რომლებიც უნდა აესრულებინათ. ღორი იჯდა გაუტუსავ ღორის ტყავში და მარდად დასდევდა თამაშობით საზანდრის ხმაზე თავის სატრფოს, მოარშიყე ბერიკებს; მალი-მალ დაიჩოქებდა, დააკაპუნებდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ეშვებს და მიწას ამოსთხრიდა, მერე ისევ მარდად წამოხტებოდა და ბერიკებს ან თათარს გამოედევნებოდა. ვაი იმათი ბრალი, თუ რომელსამე მოეწეოდა!.. დაუქნევდა ეშვებს და ბერიკების გადმობრუნებულ ტყავს სულ ბურტყლებს აყრევინებდა. ბერიკები ამ დროს ხმლით იგერიებდნენ და შეცვლილი წვრილის ხმებით გაჰკიოდნენ: „იო, იო"-სა! კეკელა კი, ქალის ტანისამოსით მორთული, ღორს წინ უხტოდა და ჭრელ ხელსახოცს ალერსიანად მალი-მალ მხარზე გადაუქნევდა ხოლმე. ამას მარტო თვალთმაქცობით შვრებოდა. ის მხოლოდ თავის პატრონს, ღორს, რომელიც საშინლად სძულდა, თვალს უხვევდა ამითი. იმას სხვისთვის უცემდა გული და სხვას ეტრფოდა. როცა კი ღორის თვალს აიცდენდა, ის მაშინვე თავის სატრფოს გადაეხვეოდა და იმის ალერსით სტკბებოდა. მაგრამ ეს წუთები დიდხანს არ გრძელდებოდნენ. ღორი თვალს შეასწრობდა და ჩქარა ჩაუშხამებდათ ხოლმე სიტკბოებას. ბოლოს, ბერიკამ გადასწყვიტა ღორის მოკვლა. რაკი ღორმა გაიგო, რომ აღარ მიურბიან და იმის ეშვების მოქნევას აღარ ერიდებიან, თავი შეიმაგრა და თვალები მიაპყრა თავის მოპირდაპირეს.

სულ ერთს წამს გასტანა ამნაირმა ერთმანეთის ზომვამ. ბოლოს ღორი შეირხა მთელის ტანით და დამუხლისთავეებულმა რამდენჯერმე ისე ღონივრად ამოჰკრა ეშვები დედამიწას, რომ გორახებმა მაყურებლებს თავზე გადაუარა. როგორც მარდად დაიმუხლისთავა, ისევე მარდად წამოხტა და ახლა თავის მოპირდაპირეს მოუქნივა, მაგრამ მოპირდაპირე გაუსხლტა გვანზე და უეცრივ ხმალი მხარზე დაჰკრა. დასჭრა ბერიკამ ღორი, მაგრამ ჭრილობა სასიკვდილო არ გამოდგა. ჭრილობამ ღორი სულ გააცეცხლა. ის გაცოფებული მივარდა ბერიკას, რომელმაც მარდად იძრო ხანჯალი, რადგანაც პირველ დაკვრაზე ხმალი შუაზე გადაუტყდა, და სწორედ იმ დროს მისცა ღორს გვერდში, როცა იმან თავში დაჰკრა ეშვები. ორივენი ცოტა-

ხანს შეტორტმანდნენ და ორივენი ერთადვე უსულოდ მიწაზე გადიშხლართნენ...

— ეი, ეი! — შეჰყვირა თათარმა და მაღლა შეათამაშა ღვინით სავსე ჭრელი ნახევარ-თუნგიანი.

— დედი, ჩვენი ნახევარ-თუნგიანია! — უთხრა სოფიოს ერთმა შვიდ-რვა წლის გოგომ.

— უი, დამიდგეს თვალები, ხომ სახლს სულ ძირს აღმა უზამდა! — წამოიძახა სოფიომ და მებარგულისკენ გაეშურა, რომელსაც თათარმა ნახევართუნგიანი გადასცა.

მებარგულემ ღვინო ტიკში ჩაცალა და ცარიელი ჭურჭელი სოფიოს მისცა.

— აგაშენოთ ღმერთმა! — დაუმატა მებარგულემ.

— ა ის ვინ არის? — მოესმა სოფიოს იქვე ახლო მდგომი ნაბდიანი წამოსადეგის კაცის ხმა.

— ქიტუას ცოლია! — მოესმა პასუხად.

სოფიო ამ ხმაზე საშინლად გაწითლდა და ძლივს წაულულღლუღა პატარა გოგოს, რომელიც უკან დასდევნებოდა:

— შენ გენაცვალე, კატო, წაიღე ეს შინ და კარები მოხურე.

კატო მარდად გასრიალდა შინისკენ.

თვითონ კი ისევ ქალებთან მივიდა და იმათ შუა ჩაიმალა. ცოტა ხნის შემდეგ, წამოწითლებულმა, ისევ საჩქაროდ დაუშვა თვალები ძირს, რადგანაც იმისი თვალები ნაბდიან კაცის თვალებს შეხვდა.

— რას დამცქერებია ი ვიღაც ოხერია?! — ოდნავ ჩაიბუტბუტა სოფიომ.

— მართლა რა მადიანი რამა ყოფილა!... — თავის მხრივ ბუტბუტებდა ნაბდიანი კაცი და სოფიოს თვალს აღარ აშორებდა.

ამ დროს კეკელა მისჯდომოდა თავის სატრფოს და თმაგაწეწილი მშვენიერ მწყობრ სამგლოვიარო ხმით მოსთქვამდა ლექსებს, რომელსაც საზანდარი ბანს აძლევდა. იმისი ხმა გარშემო მაყურებელთ გულში სწვდებოდა და ტანში ჟრუანტელს ჰგვრიდა. ისინი სულგანაბულნი იდგნენ და ისმენდნენ სამწუხარო მოთქმა-სიმღერას.

სოფიოც ჩქარა გაიტაცა ამ ხმამ და სხვასთან ერთად მიეცა საზოგადო სულის მდგომარეობას. იმას აღარც კი მოჰგონებია, თუ ნაბდიანი კაცი აღარც ეხლა აშორებს მას თვალს და ისევ ისე გამტერებით უცქერის, რომელზედაც ამ საშეუხარო ხმამ არ იმოქმედა...

— თათარო, ჩქარა მღვდელი!... ესენი უნდა მიწას მივაბაროთ! — წასძახა იქვე თავ-ჩამოქინდრულ თათარს ერთმა ბერიკამ.

—ეხლავ! — უპასუხა თათარმა და წრე გაარღვია.

თათარმა ჩქარა შემოიყვანა წრეში ძველ ტომარაში გახვეული გრძელწვერა კაცი, რომელიც მღვდლის მაგივრობას ასრულებდა. ოლარის მაგივრად კისერზე ჩამოკიდებული ჰქონდა ძველი ფარდაგის ნაგლეჯი, თავზე ეხურა განიერკალთიანი მოხევური ნაბდის ქუდი. ცალ ხელში ეჭირა საცეცხლურის მაგივრად ბაწრებზე ჩამოკიდებული ძველი თუნუქის ნაჭერი. მეორეში კი გაქონილდაჯღაბნილი ქაღალდის ნაგლეჯი.

— მღვდელო! — მიმართა ბერიკამ: — ესენი უნდა დაასაფლაო და შენს წესს აგისრულებთ.

— არა, შვილო! — ეგენი უზიარებლები დახოცილან, ვერ დავასაფლავებ*, — უპასუხა მღვდელმა.

— მღვდელო, ერთ თუმანს მოგცემ!

— ერთ თუმანს, შვილო, ერთი კაცის დასაფლავებაში ვიღებ, ისიც თუ ნაზიარები მომკვდარა, და მანდ ხომ ორი მკვდარია.

— ორი თუმანი იყოს!

— არც ორად, — უზიარებლად არიან დახოცილები.

— არა, მღვდელო, შენს მადლს, ორად დაასაფლავე!

— არ შემიძლიან. — სთქვა მღვდელმა და წასვლა დაიპირა.

— სად მიხვალ, მღვდელო! — წასძახა თათარმა და ოლარში ხელი წაავლო: — სამი წაიღე, ეხლა ხომ გაძღება შენი გული...

---

* მღვდლის როლის ამსრულებელი ყოველთვის სცდილობს, რომ თავის სოფლის მღვდლის ხმა მიიღოს და იმის კილოს მიბაძოს.

— ჰო, თუ სამი იქნება, ეგ სხვა არის. სამ თუმნად უზიარებლებიც დასაფლავდებიან!

ამათ ლაპარაკზე ხალხი გულიანად იცინოდა, და აქა-იქა გაისმოდა ძახილი: „აი, მღვდელო, შე სულის მტერო, შენა“!

მღვდელმა ანდერძის აგება დაუწყო, მაგრამ აღარ დასცალდა. ამ დროს მოისმა ერთის მხრიდან სხვა ბერიკების ხმა. ყველამ იქით მიიხედა და თითქმის ერთად წამოიძახეს: „ჭ—ლი ბერიკებია, ჭ—ლი“!

გარშემო მაყურებელი ხალხი გაიპო შუაზე იქით მხარეს, საიდანაც მოთამაშებდნენ ჭ—ლი ბერიკები, და გზა მისცა.

წრე გადიდდა. მაყურებელთა რიცხვი ერთი-ორად იქცა. დიდი ხანია ბ—ლები მოელოდნენ ამათ შეხვედრას და, აი, ძლივს ეღირსნენ. თითქმის მთელი სოფლის ქალი და კაცი აქ მოგროვდა და მოთამაშეთ გულმოდგინეთ თვალს ადევნებდენ.

წარსულ წელს ბ—ლმა ბერიკებმა დაამარცხეს ჭ—ლები; ამ წელს ჭ—ბმა განგებ განთქმული მოჭიდავე დასვეს ღორად იმის გამო, რომ სამაგიერო გადაეხადნათ და ბ—ლები დაემარცხებინათ.

რაკი გაიგო ძირს მწოლიარე ღორმა, რომ ჭ—ლები მოდიანო, ანება თავი მკვდრობას და კოხტად გაითამაშა.

ცოტა ხანიც, და ორთავე ბერიკების დასი შეერთდა.

ღორებმა ერთმანეთს შორიახლო გაუქროლეს. ამით დანარჩენ მოთამაშეთ ანიშნეს, რომ შებრძოლება გვსურსო. დანარჩენები მაშინვე მაყურებლებს შეუერთდნენ; ხოლო ორივე დასის თათრები გრძელი კომბლებით წრეს შუა დარბოდნენ და ხალხს განზე აყენებდნენ.

ღორებმა კიდევ გაუქროლეს და ოდნავ გაჰკენწლეს ერთმანეთი. ამის შემდეგ ერთმა ერთს მხარეს დაიწყო კოხტად თამაშობა და მეორემ — მეორესა. თამაშობით მიუახლოვდნენ ერთმანეთს და ეშვებით გაკვრას აპირობდნენ; თავები კიდევაც ამართეს მაღლა, მაგრამ ბ—ლების ღორი უეცრივ განზე გასხლტდა და თვალის დახამხამებაზე ჭ-ელს უკანიდან მოექცა.

— მაგრა დადექ!.. — დასჭყივლა უკანიდან და ერთ ადლზე მეტად მაღლა შეხტა. იმას უნდოდა ჭ—ლისთვის შიგ შუბლში ჩაეკრა დინგი, მაგრამ ჭ—ელმა უეშმაკა. ის რომ მაღლა შემ-

ხტარი, დაკერას აპირობდა, ჭ—ელმა საჩქაროდ ჩაიჩოქა და ოდნავ წინ წაიხარა, რის გამო ბ—ელმა დინგის მაგივრად კუჭი დაჰკრა კეფაში და მოსხლეტით წინ თავდაყირა გადავარდა.

— აი, ყოჩაღ!.. — გაისმა ხალხში ხმა.

— ეგრე ეშმაკობით!.. — შეჰყვირა ბ—ელმა ღორმა, რომელიც უკვე ფეხზე წამოდგა და თავის მოპირდაპირეს წინ ჩაუდგა...

— გადააგდე ტყავი! — შესძახა ისევ იმან და ღორის ტყავი მაშინვე შორსა სტყორცნა.

ჭ—მაც მარდად გადააგდო ტყავი და გაითამაშა.

ძნელი იყო კაცს გამოეცნო, თუ რომელი მხარე გაიმარჯვებდა ამ ბრძოლაში. ორივე ერთი-მეორესა სჯობდა. იმათი ერთის განის მხარბეჭი, მკრივი მკლავები და მომსხო წვივები ამტკიცებდნენ, რომ ღონე ორივეს ლომისა უნდა ჰქონოდათ და ერთმანეთს მაგრად უნდა დახვდომოდნენ. მხოლოდ სულის მდგომარეობით განსხვავდებოდნენ. ბ—ელი ძალიან აღელვებული იყო. იმისი მკერდი აჩქარებით მაღლამაღლა ადიოდა და თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ, ჭ—ელს კი სრულებით არ ეტყობოდა აღელვება.

— გაიხადეთ, გაიხადეთ! — ყვიროდა ხალხი და თან წინ იწევდა.

— განი, განი! — დატრიალებდნენ კომბლებით თათრები წრეში და ხალხს წინ არ უშვებდნენ.

— დედა შეერთოს ცოლად, ვინც გაგვაშველოს! — შესძახა ბ—ელმა და მოპირდაპირეს ჩოხაში გაჰკრა ხელი, მაგრამ ჭ—ი გაუსხლტა და ხელმეორედ დაუწყეს მიტანება. ორივენი ცდილობდნენ, რომ თვითონ ხელი კარგ ადგილას წაევლო და მოპირდაპირესთვის კი არ მიეცა ამის ნება.

— აბა, თედო! აბა, პავლე!.. — აქა-იქიდან ამხნევებდნენ მაყურებლები მოჭიდავეებს.

— ამიყვანე, დედი!—უთხრა ამ დროს ბუთხუზა ყმაწვილმა სოფიოს.

— ვერა ჰხედავ, გიგლო? — უთხრა სოფიომ გიგლოს და ასაყვანად დაეწოდა.

— უჰ, რა მძიმე რამა ხარ!.. — ამოიხვნეშა სოფიომ, როცა კიგლა ხელში აიყვანა.

— მაიტა, მე დავიჭერ ყმაწვილს, თუ გემძიმება — ჩასძახა ვიღამაც გვერდიდან.

სოფიომ მიიხედა იქით და სულ მთლად გაშრა: იმის გვერდით იდგა ნაბდიანი კაცი და შეღიმოდა.

— რას გაფითრდი, მომე ე ყმაწვილი?! — უთხრა ნაბდიანმა კაცმა და ხელები გიგლას წაავლო. ამ უკანასკნელმა ეს ვერ იგრძნო, რადგანაც გაუაცებით მოჭიდავეთ თვალს ადევნებდა.

სოფიომ გიგლას ხელი ანება და, გაჩუმებული, საჩქაროდ დაბრუნდა და შინ წასვლას აპირობდა, რომ ამ დროს ქიტუამ შეაყენა და ჰკითხა:

— სად გარბიხარ?

— აის ვინ არის?!... — პასუხის მაგივრად დაეკითხა სოფიო ქიტუას და ნაბდიანზე ანიშნა.

— ვინ უნდა იყოს? ნათლია! გიგლა და კატო მაგან მონათლა.

— ნათლია!.. — შვებით წამოიძახა სოფიომ.

— აგერ, აქეთ მოდის და გიგლაც ხელში უჭირავს.

— მაიცა, მაიცა!.. აგელ, ლოგოლ მაიკიდა! — წაავლო გიგლამ ნაბადში ხელი ნათლიას, როცა ნათლია ქიტუასკენ მიდიოდა, თან მოჭიდავეებს თვალს არ აშორებდა.,

მართლა, ამ დროს ჭ—ელმა მოჭიდავემ დაუჩოქა ბ—ს და სარივით გაშოტილი ფეხები მაღლა წამოაღებინა...

— უუჰ! — იგრიალა ხალხმა და ერთბაშად მისცვივდა მოჭიდავეებს.

ხალხი რომ ამ ყოფაში იყო, ნათლიამ დასო გიგლა ძირს და ქიტუას მიმართა:

— ეი, ნათლიმამ, ეგრე არ უნდა, თორემ შენ იცი!

— ნათლიას ვახლავარ! — ქუდ-მოხდით უთხრა ქიტუამ.

— ქორწილი უჩემოდ გადიხადე და ეხლა თუნდა მახლდი და თუნდა ნუ! არა გრცხვენიან, კაცო, რომ ქორწილში არ დამპატიჟე?..

— რა ვიცოდი, თუ მიკადრებდი და მობრძანდებოდი, თორემ, ვინ ღმერთგამწყრალი არ დაგპატიჟებდა!

— მაგას რატომ ამბობ, ნათლიმამ? — კადრულობა რომ არ მდომიყო, შვილებსაც არ მოგინათლამდი. ვითომდა წყენით უთხრა ნათლიამ.

— მაშინ სხვა იყო, ნათლი, როცა შვილები მომინათლე. აი, თუ კი მიკადრებ, წამობძანდი სახლში და განა ეხლა ვერ გადაგიხდი ქორწილის სამაგიეროს! ღვინო და პური, ღვთის წყალობით, სახლში მაქვს და მეტს არც შენ მამთხოვ.

— ეგაც რო არ მაიტანო, განა დაგემდურები?! გული იყოს, თორემ სხვას რას ვაქნევთ.

— აი, შენი ღვთის ჭირიმე, შენი!.. — ლმობიერებით წამოიძახა ქიტუამ და ნათლიას ხელი წაავლო: — მაშ, მეწვევით, ჰა, ნათლი?!

— რატომაც არა, კაცო!

— ოი, შენი ჭირიმე, შენი! რას მოვიფიქრებდი, თუ მიკადრებდი! აბა, წამობძანდი!.. — სიხარულით უთხრა იმან და შინისკენ გასწია ნათლიას.

— მაგრამ მაიცადე პატარა!.. — ცოტა ყოყმანობის შემდეგ უთხრა ნათლიამ და თვალების აქეთიქით ცეცება დაიწყო...

— მარდახო! — დაუძახა იმან ებრაელის ბიჭს, რომელსაც ხალხში თვალი შეასწრო.

— ეგ რაღად გინდა, ნათლი?

— მაშ, როგორ იქნება, ნათლიდედისათვის პირისანახავი მინდა გამოვართო! ჯერ ხომ ის არ მინახავს.

— შენ რომ ჩვენსა შამობძანდები. ის კი არ ეყოფა პირისანახავად! აბა, რადა...

— რას მიბძანებ, ბატონო? — ქიტუას სიტყვა გააწყვეტინა ებრაელის ბიჭმა, რომელმაც საჩქაროდ იმათთან მიირბინა.

— ბაღდადები ხომ გაქვს?

— ლა ფერისა და ფასისა გნებავს, ბატონო?

— ამოიტანე რამდენიმე და, რა ფერისა და ფასისაც იქნება, გავიგებთ.

— ეხლავე, ბატონო, შინ მოგალთოთ?

— შინ კი არა, აი, ამასთან მოიტანე!

— ამ საათშივე მოგალთმევთ, შენი ჭილიმე.

— არ გინდა, ნათლი, ტყუილად ნუ სწუხდები!

— კარგები კი წამოიღე! — მიაძახა გაქცეულ ებრაელის ბიჭს და მერე ქიტუას მიუბრუნდა:

— ეხლა კი წავიდეთ.

— აბა, რად გინდოდა, შენი ჭირიმე, ნათლი; რო შეუკვეთე. იმას თუ პირისანახავი არ მიეცი, მე ვიცი, წინა ხარებში მოსცდება.

— არა, ნათლიმამ, ჩვეულებაა, უამისობა არ იქნება!...

VI

ასე გაიცნო ნიკომ სოფიო. დიდმარხვაში ერთი-ორჯელ ეწვია ნიკო, მაგრამ სოფიო მაინც მორცხვობდა, თამამად ვერ ეჭირა იმასთან თავი. ნიკო ცდილობდა, როცა ქიტუასთან მივიდოდა ხოლმე, ბევრი ემასხარავნა, გასაცინი რამ ეთქვა, რომ ამითი დაეახლოვებინა სოფიო, მაგრამ სოფიო მაინც მორიდებით და თავჩაღუნვით იცინოდა.

აღდგომის მეორე დღეს სოფ. ბ — ში დღეობა იცის. იქ თითქმის ყველანი მიდიან ხოლმე და ლხინობენ. სხვათა შორის ნიკოც იქ იყო თავის ცოლშვილით და კარგი სადილიც გამართა ახლად გაფოთლილ მუხის ქვეშ. ამ დღეს მიაწვევინა თავის ცოლს მამასახლისი თავის ჯალაბით და ქიტუაც სოფიოთი. სადილის დროს ნიკომ ქალებს დაატანა ძალა და რამდენიმე ჭიქა ღვინო დააცლევინა. სოფიო უარზე იყო, გემოდაც არ უნდოდა ენახა, მაგრამ, როდესაც შეზარხოშებული ქიტუა აუხირდა, იმანაც ორი ჭიქა გამოსცალა, რამაც თვალები აურია და ენაც კი ამოადგმევინა.

— ენდე, როგორ მომხიარულდი! პატარა ადრე დაგელია, ის არა სჯობდა!... — უთხრა ნიკომ, როცა სოფიომ ორი ჭიქის შემდეგ დაუწყო ლაპარაკი ნიკოს ცოლს და მოილხინა.

— არ ვიცოდი ნათლი, თორემ ადრე დავლევდი, — სიცილით უპასუხა სოფიომ.

— ე დედაკაცმა, რაკი ღვინის გემო გაიღო, ლოთობა კი არ დაიწყოს და არ დამღუპოს! — იოხუნჯა ქიტუამ, რაზედაც ყველამ სიცილი დაიწყო.

რამდენიც დრო გადიოდა, უფრო სიმხიარულე ემატებოდა მოსადილეებს. სოფიოც უფრო თამამად იქცეოდა. ეს გარემოება იმას უფრო მიმზიდველობას ჰმატებდა და ნიკოს ქინს უცხოველებდა. მალიმალ შეხედავდა სოფიოს გაბადრულ სახეს და ტანში გააჟრჟოლებდა. „აფსუსი არ არის, — ყოველ შეხედვის შემდეგ გაიფიქრებდა. ხოლმე ნიკო, — რომ შენ ქიტუა გეხვეოდეს და მე კი, აი, ამ ჯადოს!.. “ ამ სიტყვების შემდეგ თავის ცოლს გადახედავდა ხოლმე. მართლაც, იმისი ცოლი რაღაც ულაზათო რამ იყო, თუმცა კი სახეზე ცოტათი სანდომიანობა ეხატებოდა და არც ისეთი ულაზათო რამ იყო, რომ კაცს ჯადო დაეძახნა იმისთვის.

ნიკო, რაც უფრო დიდხანს აკვირდებოდა სოფიოს და თავის ცოლს, მით უფრო უცხოველდებოდა ქინი პირველისადმი და მეორისადმი კი — სიძულვილი...

„თუ ნებით არა, ძალით მაინც დაგიყოლიებ“! — გაიფიქრა ნიკომ, როცა სახლისკენ დაბრუნდნენ, მაგრამ მაშინვე გადაასხვაფერა: „არა, ძალით ცუდი იქნება... ასე ვთქვათ, ერთხელ მომიხდეს ძალით და მერე... ხომ გამომჟღავნდება და სამუდამოდ დავკარგავ სოფიოს. ისევ სჯობია, იმ გზას მივდიო და ნებით დავიყოლიო, თუმცა ჩქარა არ იქნება, მაგრამ, როცა იქნება, სამუდამოდ“...

როგორც გადასწყვიტა ნიკომ, კიდევაც ისე იქცეოდა.

ნიკო წამდაუწუმ ქიტუასას მიდიოდა, იმ დროსაც კი, როცა ქიტუა სახლში არ იყო. ეს თითქმის ყოველ დღე ხდებოდა, რადგანაც ქიტუა მარტოხელი იყო და აბა, იმას სახლში რა დააყენებდა. ჯერ მრავალკაციან გლეხის ოჯახშიაც არ დარჩება ამ დროს კაცი სახლში, და ქიტუას ხომ ხშირად უხდებოდა მინდვრად, თუ ვენახში ყოფნა, რადგანაც ოჯახი იმის ჯისერზე იყო დამყარებული. გიგლა და კატო კიდევ დილიდანვე გარეულ გაცვიოდნენ ხოლმე და ვინ იპოვიდა იმათს კვალს! ისინი თავის სწორებთან დარბოდნენ ტყესა და მინდორში და ცელქობაში ატარებდნენ დროს: ხან ფრინველის ბუდეებს დაეძებდნენ, ხან პეპელებს იჭერდნენ და ხან კიდევ რით არ ატარებდნენ დროს!.. ყმაწვილები ყოველთვის იპოვიან გასართობს, ერთ ადგილს თავის დღეში გულხელდაკრეფილები არ დასხდებიან და არ მოიწყენენ...

როდესაც ნიკო მივიდოდა სოფიოსთან, ის შინაურ საქმეს ანებებდა თავს და სიხარულით მიეგებებოდა მას. ეხლა აღარ ერიდებოდა ნიკოს და თამამად ებაასებოდა ხოლმე სოფიო, როგორც მოსიყვარულე ქალი, ფიანდაზად ეშლებოდა ნათლიას ფეხქვეშ და სცდილობდა რითიმე ესიამოვნებინა. სიტყვას არ ეტყოდა ისე, რომ „შენ გენაცვალე, ნათლი", არ დაეტანებინა.

ნიკოს დღითიდღე იმედი ეძლეოდა, მაგრამ მაინც ვერ ახერხებდა „საქმის დაწყებას". ის სულ სახვალიოდ სდებდა „საქმის" დაწყებას, და ისე გავიდა აპრილი, რომ სიტყვაც არ გადუკრავს. მარტო, თუ კი ამას რამე მნიშვნელობას მივცემთ, ამ ხნის განმავლობაში ნიკო რამდენჯერმე სოფიოს ხელებს თავის ხელებში ჟინმორეული სრესდა.

„ეხლა კი დრო არის, — სთქვა ნიკომ მაისის პირველ რიცხვებში და გადაწყვიტა, რომ, რაწამს მივა, „საქმეს" შეუდგება.

— რად მოგიწყენია, შენ გენაცვალე, ნათლი, ხომ არავინ გაგაჯავრა? — მზრუნველობით ჰკითხა სოფიომ, როცა ნიკო ამ გარდაწყვეტილების შემდეგ მივიდა იმასთან და სახემოქუშვილი ტახტზე ჩამოჯდა.

— ფუუფუფუუ!... — პასუხის მაგივრად დაიწყო იმან ულვაშებისა და ტუჩების ბერვა და უფრო ძალიან მოიქმუხნა სახე.

— მაინც, შენ გენაცვალე, რაზე ხარ გაჯავრებული? — უფრო მზრუნველობით მიიწია ნიკოსკენ და ხელი დაუჭირა.

სოფიოს ახლო მიწევამ და ხელის მიკარებამ ნიკოს ელვასავით ტანში დაუარა და თავბრუ დაახვია.

— ვინ, ვინ უნდა გამაჯავროს, ეინა?!... — წამოიძახა ნიკომ და ორივე ხელი მაგრად დაუჭირა სოფიოს.

— ვინ არის ჩემი გამაჯავრებელი, ვის შეუძლიან მე გამიბედოს რამე და ჩემი ნება არ აასრულოს? — ყვიროდა ნიკო და თან სოფიოს თვისკენ იზიდავდა.

სოფიო ვერ მიხვედრილიყო, თუ ნიკოს რა დამართნოდა და ასე რამ ააღელვა. ამას იმის გონება ვერა ხსნიდა, მაგრამ გრძნობდა კი რაღასაც და იმისდა უნებურად შიშის კანკალმა აიტანა...

— შენა ხარ ჩემი მტანჯველი, შენა მკლავ! მარტო შენ მიცხადებ უარს და არ გინდა მიმიხვდე ტანჯვას!...

— ნათლი, ნათლი!.. — მარტო ეს-ღა მოახერხა სოფიომ სათქმელად და ისიც აკანკალებულის ხმით.

— არ გებრალები, განა?! არ გინდა შემიყვარო?!. ნათლიდედ, მიყვარხარ, მიყვარხარ... — წამოიძახა ნიკომ მაღალი ხმით უკანასკნელი სიტყვები, და, უეცრივ გულში მიკვრით, გატაცებით დაჰკოცნა სოფიოს მარწყვის ფერი ტუჩები.

არც სტყუოდა ნიკო, რომ უთხრა: „მიყვარხარო". ის მარტო ახლა მიხვდა, რომ სოფიო გაგიჟებით უყვარდა და მთელ თავის სიცოცხლეს შესწირავდა სოფიოს. ისა სცდილობდა სოფიოსათვის თავი შეეყვარებინა და ის კი არა თვითონ უფრო შეუყვარდა. სოფიოს ცოტა ადრე რომ შეეტივნა, ის მაშინვე ყურმოჭრილ ყმასავით უკან დაიხევდა და ველარას გაჰბედავდა, მაგრამ სოფიომ ეს ვერ მოახერხა. მთელი თავისი სიცოცხლე რომ ეფიქრნა, სოფიო ვერ მოიფიქრებდა, თუ ნიკო ამ ზომამდინ მივიდოდა და ნათელმირონობას დაჰგმობდა.

— ნათლი, რას შვრები? — შეჰყვირა სოფიომ და ხელიდან გაუსხლტა. — ნათელმირონობას როგორა ჰგმობ, ნათლი? წადი აქედან! — უთხრა სოფიომ, როცა ის დედაბოძს მოეფარა.

— ნათლიდედ, მაშ მაგდებ, არ გებრალები! — შესაბრალისის ხმით წამოიძახა ნიკომ და დედაბოძს წამოუარა.

— ძალით გინდა გამაუპატიურო, არა გრცხვენიან? — შესძახა სოფიომ და შორს გაუხტა.

— არა, ნათლიდედ არა! თუ შენი ნება არ იქნება, ხმასაც არა გაგცემ. აი, ეხლავე წავალ.

ნიკო გამობრუნდა და დაღრეჯილის სახით უკანასკნელად შეხედა სოფიოს, რომელიც ფქვილის გოდორს აჰკროდა და მეტისმეტი აღელვებისაგან ძლივსღა სუნთქავდა.

სოფიოს მდგომარეობა და კატის კლანჭებში ჩავარდნილის თაგვის მდგომარეობა ერთი იყო. ნიკოს შეებრალა და უსიტყვოდ დასწყევლა თავისი თავი, რომ ის ასე შეაშინა.

— დედი! — წამოიძახა კატომ, რომელიც უეცრივ შემო-

ქარდა სახლში: — აი რა ლამაზი ბარტყები ამოვსხით გოგოებმა...

— აი, აი, რა კარგები არიან!

გოგომ მიირბინა სოფიოსთან და თან ბეღურის ოდნავ დაბუმბული ბარტყებს კოცნა დაუწყო.

ბარტყებმა ჭყიპინი მორთეს.

— სუთ, სუთ, ნუ გეშინიანთ, არ მოგკლამთ! — ყმაწვილურის ალერსით ჩასძახა კატომ და ბრტყელ ტუჩებზე უფრო მიიკრა.

— ხო ცოდონი არიან, ეგეთი ღლაპები რომ ამოგისხამს! წადი, იქვე ჩასხი, თორემ დაიხოცებიან. — უთხრა სოფიომ კატოს, როცა, ნიკო შინ წავიდა.

— გიგლა სადღაა? — დაეკითხა ის, როცა კატო ბუდეში ბარტყების ჩასასხმელად გაქრიალდა.

— ბალღებში თამაშობს. — უპასუხა კატომ და გარედ გაირბინა.

VII

გავიდა ამას შემდეგ ერთი კვირა. ამ დროის განმავლობაში ნიკო აღარ მისულა სოფიოსთან. ბევრჯელ დააპირა მისვლა, მაგრამ თითონაც ვერ გამოეცნო — რისთვის ვერა ჰბედავდა. წინად ძალით გაუპატიურებასაც უპირებდა და ეხლა კი მისვლაც, უბრალოდ შორიდან შეხედვაც ვერ გაებედნა. „ვაი თუ ეწყინოსო“, — იტყოდა ხოლმე, როდესაც წასვლას დააპირებდა.

სახლში აღარა ესიამოვნებოდა-რა. მთელი დღე ისე გადიოდა, რომ ერთ წამს ერთ ადგილას დამშვიდებულს და დამდგარს ვერა ნახავდა კაცი. ხან ტახტზე გაგორდებოდა და ოხვრას დაიწყებდა, ხან გარედ გავიდოდა და მთელი სახლის გარშემო კუთხეებს დაივლიდა და გიჟივით ხან რომელს საგანს დააკვირდებოდა და ხან რომელს, თუმცა კი თითქმის ვერც კი ჰხედავდა იმ საგანს.

— ვიცი, ვიცი, რაც გაწუხებს! — უთხრა ტირილით იმისმა ცოლმა ეფემიამ ნიკოს, როდესაც ის ტახტზე იყო გაგორებული და რაღაცას ბოდავდა.

— იმ უნამუსომ მაგრე როგორ გაგაგიჟა და ცოლ-შვილზე გული როგორ აგაყრევინა!.. — ისევ ტირილით განაგრძო ეფემიამ და გვერდით მოუჯდა.

ნიკოს სულ არ გაუგონია იმისი სიტყვები. ის ისევ თავისთვის გორავდა და ბოდავდა.

— მე მაშინვე მივხვდი, როცა ი უნამუსო დაჰპატიჟე დღეობაში! მაშინვე გავიგე, რა განზრახვაც გქონდა, მაგრამ...

— ვინ უნამუსო! რასა ბოდავ? — გააწყვეტინა სიტყვა ნიკომ, როცა იმას მოესმა ეს სიტყვები, თუმცა კი ვერ გაეგო, თუ რას ეუბნებოდა ცოლი.

— ვინ უნდა იყოს! აი შენი ნათლიდედის ფეხი! — ტირილით უთხრა ეფემიამ.

— როგორ თუ ნათლიდედის ფეხი?! რა დაგიშავა იმან, ჰა! — წამოვარდა ნიკო და ღრიალით დაეკითხა.

— ისა, რო გაგაორგულა და შენი ცოლ-შვილი დაგვანელა.

— რეებს ბოდამ და მიედმოედები!

— არც კი გრცხვენიან, ი გლეხის გომბიოს როგორ უწვები გვერდით!

— ხმა გაიწყვიტე, თორემ ეხლავე თავს გაგაგდებინებ! შენ იმისი ღირსი კი ხარ, რომ მაგრე ურიგოდ იხსენიებ, ჰა?

— ვაიმე უბედურს! მე იმედი მქონდა — ტყუილი გამოდგება-მეთქი და ის კი არა, მართალი ყოფილა! — ეფემიამ მიიფარა ხელები სახეზე და ქვითინი მორთო...

— შენ, ეი, მისიმარ შენთვის ეგდე და ხმა გაიწყვიტე, თორემ ხომ მიცნობ? — კბილების ღრჭიალით უთხრა ცოლს და რამდენჯერმე გაიარგამოიარა.

ეფემია მიყუჩდა. მას კიდევაც უკვირდა, რომ ესეც გაუბედა და ნიკოს ყველაფერი უთხრა, რაც ეს ერთი თვე მეტი იმას აღრჩობდა და სულს უგუბებდა.

— ადე, გაეთრიე აქედან! — შეუყვირა ნიკომ თავის ცოლს.

— რაც გინდა, ჰქენი! — წაიბუზღუნა ეფემიამ და ფეხაკრებით მეორე ოთახში გავიდა.

ეფემია და სხვარიც სახლში ნიკოს მონები იყვნენ. სახლში

ყველანი, როცა კი ნიკო შინ იყო, შიშით კანკალებდნენ და სარკეებად ხდებოდნენ: თუ ნიკო გაიცინებდა, ისინიც გაიცინებდნენ და თუ ის მოიღრუბლებოდა, სხვებიც მაშინვე წარბს შეიკრავდნენ. ერთი სიტყვით, ნიკოს წინააღმდეგი ოჯახში ვერავინ გახდებოდა. ის იყო სასტიკი მფლობელი ამ პატარა სამეფოსი და ვაი იმისი ბრალი, ვინც გაუბედავდა რასმე.

აი, ასეთი სასტიკი და სხვის დამმონებელი, ეხლა ერთ „გლეხის გომბიოს“ და „გლეხის ცოლის“ მონა გამხდარა თითქმის და იმასთან მისვლა ვეღარ მოუხერხებია.

„რაც მოხდება, მოხდეს! ერთი კიდევ მივალ და მერე“... — წამოიძახა იმან ერთის კვირის შემდეგ და კიდეევაც გაემგზავრა სოფიოსკენ.

არც სოფიო იყო მოსვენებული ამ ერთი კვირის განმავლობაში, იმას იმ დღეს აქედ ჩხირიც არ გადაუბრუნებია, წამდაუწუმ გაიხსენებდა ნიკოს საქციელს და სულ აინთებოდა ხოლმე და ხმამაღლივ წამოიძახებდა: „რა მიყო იმ თათარმა, იმან!.. ნათელ-მირონობისა რატომ არ შეეშინდა იმ ურჯულოს?! რაზე მოინდომა ჩემი გაუპატიურება“? „ღმერთო შენ დამიფარე“! — დაუმატებდა ხოლმე ბოლოს. — „ნეტავი ერთი ჩქარა დაბრუნდეს ქიტუა, რო ყველაფერი ვუთხრა და ის სახლში აღარ გაატაროს“. რამდენჯერმე გაიმეორა ეს თავისი გადაწყვეტილება და მოუთმენლად ელოდა დაბინდებას, როდესაც ქიტუა გუთნიდან დაბრუნდებოდა. მაგრამ, თითქოს იმის გამოსაჯავრებლად, დღე ერთი-ორად იქცა და დაბინდება აღარ ეღირსა. არაერთხელ გამოირბინა იმან გარედ და მზეს შეხედა: „აბა თუ ამ მზეს ჩაბძანება ეღირსოსო“! — იტყოდა ხოლმე, როცა მზეს შეხედავდა.

ძლივს შებინდდა, ქიტუაც ჩეკით შემოვიდა სახლში, მაგრამ სოფიომ ხმა ვერ ამოიღო ნიკოზე. რაღაც ძალამ გააჩუმა და „სახვალიოდ“ გადაადებინა.

გათენდა მეორე დღე, მეორეს მესამე მოჰყვა, მაგრამ სოფიო ნიკოზე ქმარს არას ეუბნებოდა.

გადიოდა დრო და სოფიოც თანდათან უფრო გამოურკვეველ მდგომარეობაში ვარდებოდა... ყოველ ნიკოს წარმოდ-

ვენაზე იმას გული უეცრივ გადუქანდებოდა, ტანი მოეშლებოდა და მოუძლურდებოდა. სცდილობდა სულ არ მოეგონებინა იმის სახე, მაგრამ, იმისდაუნებურად, ცხადად დაეხატებოდა ხოლმე ნიკოს სახე და მოესმოდა მისი სიტყვები: „არ გებრალები, განა?!. არ გინდა შემიყვარო?.. მიყვარხარ!.. მიყვარხარ!..“ „ღმერთო, რა მემართება, მე ბედშავსა“! — წამოიძახებდა ხოლმე ნიკოს სიტყვების მოგონებაზე და ქვითინს მართავდა.

დღითი დღე სოფიო რაღაც გამოურკვეველმა სურვილმა აიტანა. უნდოდა, სწყუროდა რაღაც და არ იცოდა კი — რა. ამ სურვილით გატაცებული დაეძებდა, სჩხრეკდა სახლის კუთხეებს, აქოთებდა ყუთებს, თავის მზითვის სკივრს და ვერ ეპოვნა, ვერ გაეგო, რაც უნდოდა... როცა კი ბავშვები შინ იყვნენ, ის ხან კატოს დაიჭერდა და გატაცებით ჰკოცნიდა და ხან გიგლას. ერთხელ გიგლა კინაღამ დააღრჩო, ისე მიიკრა გულზე და დაუბოლოებლად ლოშნიდა. ჰკოცნიდა ბავშვებს, გულში იკრავდა, მაგრამ ამით წყურვილს ვერ იკლავდა, პირიქით, უფრო უცხოველდებოდა წყურვილი და ეს გონებიდან ჰრევდა.

სოფიოსთვის ეს გრძნობა სულ უცნობი იყო. ის აგერ ოცდაორი წლის დედაკაცი გახდა და ჯერ ამისთანა გრძნობა არ გამოუცდია. ამისთვის იყო, რომ მას ვერ გამოეცნო ეს წყურვილი და ასე გადარეულიყო. „ვაიმე მე ბედშავსა, ვაიმე! ეს რა მემართება!“ — გულჩაწყვეტით წამოიძახებდა ხოლმე მალი-მალ.

თითქმის ექვსი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ნიკომ გაუპატიურება დაუპირა. ამ დღეს ქიტუა ჩვეულებრივ საღამოთი ჩეკით შემოვიდა სახლში და რამდენიმე ფიცრისგან შეკრულ ტახტზე ქალამნების გახდა დაიწყო. სოფიო იმის პირდაპირ იდგა და გატაცებით უცქეროდა იმის მეტისმეტ ჯაფისაგან ჩამომხმარ სახეს. ქიტუას ცქერაში იმას უეცრივ დაეხატა ნიკოს სიცოცხლით გაღადღადებული სახეც. „არ გებრალები განა?!“... მოესმა ეს სიტყვებიც.

— ქიტო, შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე!.. — მივარდა სოფიო უეცრივ ქიტუას და კისერზე მოეხვია.

— ქიტო, მიყვარხარ, მიყვარხარ!... — ეხვეოდა ქალი და გატაცებით ჰკოცნიდა.

ქიტუასაც რომ სამაგიეროდ ხვევნა და კოცნა დაეწყო, იმასაც რომ ალერსით გულში ჩაეკრა, იქნება სოფიოს ყველაფერი ეამბნა, შეხვეწნოდა, რომ ეშველნა რამ, მაგრამ ქიტუა ვერ მიხვდა ამას და, როცა კისრიდან ძალით მოიშორა სოფიო, უთხრა:

— კარგია. მამიშენის ცხონებას, რა დროს ეგეებია! ერთი დროით დამიგე. რომ დავეგდო. დილაზე ადრე მინდა ავდგე, თორემ გუთანზე დამიგვიანდება.

სოფიო რამდენსამე ხანს ერთს ადგილას გატვრინული და გამშრალი იდგა. „აბა ნიკოს მოხვევნოდი, როგორ გულში ჩაგიკრავდა“! ჩასძახა უცნაურმა ხმამ, როცა ის გაშტერებით ქიტუას უმზერდა. ამ ხმამ სოფიო აათრთოლა და გონზე მოიყვანა. მაშინვე გაბრუნდა, რომ ქიტუასთვის ქვეშსაგები გაეშალა.

იმ ღამეს სოფიოს სულ არ დასძინებია, რაკი ყველამ დაიძინა სოფიო ისევ ადგა და გარედ გავიდა. ყელში სული უგუბდებოდა. სუნთქვა ეხუთებოდა. კარგა ხანს იჯდა დერეფანში. მაგრამ ამანაც არა უშველარა, თუმცა კი მაისის ღამის გამაცოცხლებელი ნიავი დასისინებდა და იმის გახურებულს. გაბადრულს სახეს გარს ეხვეოდა და ეალერსებოდა.

სოფიოს გული ყელში ებჯინებოდა, უნდოდა ტირილი, უნდოდა ისე, რომ თავისი დღენი ასე არა მოსდომნია-რა, მაგრამ ცრემლი არ მოსდიოდა.

შუაღამე გადავიდა. მამლებმა დიდი ხანია იყივლეს პირველად. საცაა მეორედაც იყივლებენ, მაგრამ სოფიო კი ისევ წვალობდა და ცრემლი არ მოსდიოდა. როგორც მთიდან ჩამონაქანებმა წყალმა, ბოლოს, გადმოჰხეთქა ცრემლმა და ლოყები უხვად მოურწყა. აფრქვევდა ცრემლს და თან, გულამომჯდარი, ბავშვივით სლოკინებდა.

მალამოსავით მოეცხო გულზე ცრემლები. ამათ გამოიტანეს სხეულიდან მთელი ამ ღამის ვაივაგლახი და განწმინდეს სოფიოს გული.

ცოტა ხნის შემდეგ თავი კუნძზე მიდო და მიეცა

გამოურკვეველ ფიქრებს. მთლად დამშვიდებული სტკბებოდა და სიამოვნობდა. სახე უღიმოდა, გული ნეტარებით ევსებოდა, თუმცა კი არ იცოდა. რისგან და რისთვის.

აქნობამდინ თუ ღამის ნიავმა მოქმედება არ იქონია სოფიოზე, ეხლა, როცა ისა სტკბებოდა თავის ოცნებით, გარიჟრაჟის ცივმა ნიავმა მოუჭირა და აძაგძაგა, მაგრამ მაინც ვერ ეთხოვებოდა თავის ტკბილ ოცნებებს და სახლში არ შედიოდა, სადაც ეძინა იმის ქმარს, რომელმაც უწყალოდ მოიშორა და იმისი ალერსი და გულის ძგერა არ მიიღო.

გათენებას აღარა აკლდარა. რომ სოფიო, ძილმორეული, ბარბაცით სახლში შევიდა და დამთვრალი კაციევით ლოგინზე გადიჩეხა.

სულ რამდენიმე წამს არ გაუვლია, რომ ჩაეძინა და მძიმედ სუნთქვა დაიწყო...

VIII

მზე კარგად მაღლა იყო აწეული, როცა სოფიომ გამოიღვიძა და დამთქნარებით გაიზმორა. იმან შეასწრო თვალი ერდოდან კერაზე ჩამოშვებულს მოციმციმე მზის სხივებს და საჩქაროდ წამოიძახა:

— უი, დამიდგეს თვალები, შეადღეს მოუტანებია!

— მუუუ!.. — შემოესმა ბაკიდან ამ დროს ძროხის ბღავილი.

— მეეე!.. — ამას მოჰყვა ჩვილი ხბოს ხმაც, რომელიც დერეფანში ბოძზე იყო მიბმული.

— ძროხაც შინ დამრჩენია მე თავმკვდარს! — სთქვა ესა და მარდად წამოდგა ლოგინიდან.

საჩქაროდ გადიცვა კაბა და დერეფანში გავიდა.

— დედი, ლამის ალის, ბღავილით გასქდნენ! — დაბღვერილის სახით და საყვედურის კილოთი მიაძახა გიგლამ, რაწამს სოფიოს თვალი შეასწრო.

გიგლა და კატო გაღვიძების უმალ ხბოს მიუსხდნენ და ყოველ იმის შებღავლებაზე მოეხვეოდნენ და ალერსიანად შესძახოდნენ: „დედა გინდა, ფუჩინო? მოგშივდა? უი, და-და-

და!..“ ესენი ველარ მოშორებიყვნენ მომტირალ ხბოს და იმის დაბღავლება გულში სწვდებოდათ. კატოს კიდეც უნდოდა აეშვა ხბო, მოეწოებინა და მერე ისევ დაება. „დედამ რო გაგვიგოს!“ — შეაყენა ამ სიტყვებით გიგლამ, როცა იმან ხბოს ყელიდან თოკის ხსნა დაუწყო.

— მერე რატომ არ გამაღვიძე? — უპასუხა სოფიომ გიგლას საყვედურზე.

— იმოდენა გაღვიძე, ლო, ალ ვიცი, ლამოდენაა... — სთქვა ისევ დაბღვერით გიგლამ.

— მარტო „უ, უუ“-ს იძახდი, როცა გაღვიძებდით! — სიცილით უთხრა კატომ.

— აუშვი ჩქარა, თორემ ცოდოა! — წამოიძახა სოფიომ და მივიდა ხბოსთან.

— მოგშივდა, ფუჩინო? — ალერსით ჩასძახა სოფიომ ხბოს, როცა კატო თოკსა ჰხსნიდა.

— საწველელი გამოგიტანო? — ჰკითხა კატომ, როცა აუშვა ხბო, რომელიც თავპირის მტერევით დერეფნიდან გავარდა და ბაკის კარებს გამალებული დაეჯახა.

— ხბოსაც ვერ გააძღობს, ისე მშიერი იქნება და რაღა მოვწველო!

— აგერ ნახირი აქ ახლოა, მე და გიგლა გავუგდებთ ძროხას! — უთხრა კატომ, როცა ხბო გაიტიკნა და ძროხას მოშორდა.

— კარგი, გაიგდეთ, შვილო, და კი არამ შეგაშინოთ!

— რამ უნდა შეგვაშინოს! — უპასუხა კატომ და ძროხა წინ გაიგდო.

— წავიდეთ, გიგლა! — მერე მიუბრუნდა გიგლას და დაუძახა:

კატომ და გიგლამ წაიყვანეს ძროხა. სოფიო კი ისევ შინ შებრუნდა და, ლოგინის ალაგების შემდეგ, სახლის დასაგველად ცოცხს წამოავლო ხელი. ის იყო, გვა უნდა დაეწყო, რომ ამ დროს გარედან ხველა შემოესმა. „ისაა!“ წამოიძახა სოფიომ და ცოცხი ხელიდან გავარდა.

გულმა აჩქარებით დაუწყო ცემა, ფერი შეეცვალა და სუნთქვა შეუდგა. თვალს აღარ აშორებდა კარებს და უსიტყ-

ვოდ გაიძახოდა: „აი, საცაა, შემოვა!“ მაგრამ კარებში არავინ შემოვიდა. იმის მაგივრად კიდევ შემოესმა ხველა. „რაღას ახველებს და აღარ შემოვა!“ წამოიძახა სოფიომ.

ცოტა ხანს კიდევ იდგა ისე და მერე რაცრაცით კარებისკენ წავიდა.

— დილა მშვიდობისა, ნათლიდედ! — მოწიწებით შემოსძახა ნიკომ.

სოფიომ სამაგიერო ვერა უთხრარა. იმან მარტო შეხედა და ამ შეხედვით ყველაფერი აგრძნობინა ნიკოს. იმან ამოიკითხა სოფიოს თვალებში, რასაც სულ არ მოელოდა. ამისათვის აჩქარებით შემოვიდა სახლში და სოფიოს მივარდა.

— მაშ არ მიწყრები?.. არ მიწყრები?.. ჰა?.. ჩემო... ჩემო... — მოხვია იმან მკლავები და ლაფანიკით მოშვებული და თითქმის გონებაშიხდილი სოფიო აღგზნებით ჩაიკრა ჯულში...

* *

ასე დაიწყო ამათში კავშირი და მას შემდეგ, თითქმის ორი წლის განმავლობაში, როცა კი ქიტუა შინ არ იყო, რაც ხშირად ხდებოდა ხოლმე, ყოველთვის ერთად იყვნენ: მარტო იმათ ალერსს ხანდისხან ხელს უშლიდნენ ყმაწვილები, რომლებიც უეცრივ თავს წააწყდებოდნენ ხოლმე. ზამთარში ხომ, როცა ამათ მარტო ღამღამობით შეეძლოთ შეხვედრიყვნენ ერთმანეთს, რადგანაც ქიტუა დღე შინ იყო და მხოლოდ ღამეობით მიდიოდა ბოსელში დასაწოლად, ყმაწვილები ძალიან აწუხებდნენ. ერთხელ კატომ, ცოტას გასწყდა. კინაღამ არ გასცა.

ამ გარემოებამ იძულებულ ჰყო სოფიო და ნიკოც თვალიდან ამოეღოთ კატო და გიგლა და სახლიდან როგორმე გაეძევებინათ, რომ უფრო თავისუფლად ეალერსნათ ერთმანეთისათვის.

ამ განზრახვით სოფიო შეუჩნდა ქიტუას და ურჩევდა, რომ ყმაწვილები წაეყვანა სადმე და ან მოჯამაგირედ, ან კიდევ შეგირდად დაეყენებინა ვისთვისმე, მაგრამ იმან იმაზე ცივი პასუხი გაუცხადა.

რაკი ამით ვერას გახდა, სოფიომ ნიკოს რჩევით სხვა საშუალებას მიჰმართა, და ეს საშუალება — ყმაწვილების დევნა იყო. ბოლოს ხომ სოფიო იქამდინ მივიდა, რომ, როგორც ქიტუამა სთქვა, — „ღვთის რისხვა ღამეში“ ყმაწვილებს გარედ გამოუძახა.

IX

ტყუილად დაიკვეხებს ქმარი — ჩემ ცოლს ჩემ ნებაზე გავატარებო. თუ ცოლმა, რამ დაიჟინა. ისევ სჯობია. მაწინვე შეუსრულოს და წინააღმდეგობა არ გაუწიოს. თორემ ვერას გახდება. იმდენს იზამს, იმისთანა საშუალებებს მიჰმართავს. რომ კაცს გააკვირვებს და ასე თავისას მაინც გაიყვანს. მიღებულია ის აზრი, თუმცა კი სულ უსაფუძვლოდ, ვითომ ქმარი თავია და ცოლი კი კუდი, მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვასა ვხედავთ: ცოლს ქმრის ცხვირი უჭირავს და საითაც უნდა, იქით აქნევინებს პირს.

ქიტუასაც ასე მოუვიდა. პირველში ის ძალიან უარზე იყო, მაგრამ ბოლოს კი იძულებული გახდა თავის ცოლის სურვილი დაეკმაყოფილებინა, და აი „ჯოჯოხეთ ღამის“ შემდეგ სულ ერთი კვირა არ გასულა, რომ ქიტუა თავის ქალ-ვაჟით თბილისში სასახლის იქით იდგა და კვირა დღეს სასეირნოდ გამოფენილ ხალხს შესცქეროდა დაღრეჭილის სახით, იმ განზრახვით, რომ ან ერთი შეიბრალებდა და ან მეორე და გიგლას და კატოს შეგირდად ან მოსამსახურედ აიყვანდა.

გამუდმებული წვიმიანი ამინდის შემდეგ ნოემბრის უკანასკნელმა მზიანმა კვირა დღემ გამოიწვია თბილისის საზოგადოება უმთავრეს ქუჩაზე სასეირნოდ.

ვის არა ნახავდა კაცი აქ ამ დღეს? ნასწავლთაც და უსწავლელთაც, მოსწავლეთაც და არამოსწავლეთაც, ერთი სიტყვით, — ყველას აქ მოეყარა თავი.

თითქოს ამ კალეიდოსკოპს დავაწყებოდა საზოგადოებრივი და წოდებრივი განსხვავება და განეზრახა ერთ რიგში მოთავსებულიყო. ჭიანჭველასავით იძროდა და ირხეოდა ეს თბილისის აჭრელებული საზოგადოება და უკვალოდ, უსაგ-

ნოდ წყნარის ნაბიჯით წინ და უკან მიდიმოდიოდა; დავიწყებდა თავისი შური, ჯიბრი, ძარცვა-გლეჯა, ბეზღობა, სიმუხთლე და ერთს რაღაც გამოურკვეველ სიხარულს მისცემოდა და თვალის ჩაბეუტვით შესცქეროდა ძალაგამოცლილ მზეს, რომელიც მოწყენით დასცქეროდა ზევიდან ჯურღმულს და თითქოს ჩამოსძახოდა: „თქვენ ამ ძალაგამოცლილ სხივების ღირსნიც არა ხართ... გული მეწვის, გული მეთუთქება ხოლმე. როდესაც თვალს გადავავლებ თქვენის მოქმედების რუკას, რომელიც ცის სივრცეში ცრემლით და სისხლით არის აღბეჭდილი და ყოველ თვალის გახელაზე წინ გადამეშლება. მინდა სამუდამოდ მოგაშოროთ თვალი, მაგრამ... მაგრამ რა ვქნა, რომ ვერ შემიძლიან ამის ასრულება!.. ჩემები, ჩემით ხართ ნაშობნი ბუნების ველზე და ამისთვის გული არ მითმენს, ვერ გამიძლია უთქვენოდ!.. ეჰ, რა ვქნა... რა ვქნა?!“ თითქოს მწარედ წამოიძახა მზემ და მოეფარა ნაგლეჯ ღრუბელს, რომ ცოტახნობით მაინც მოეშორებინა თვალი სიმუხთლის რუკასათვის და დამშვიდებულიყო.

ჯურღმულში მოძრავმა ხალხმა უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა სახე და ყველამ, თავისდა უნებურად, ღრუბლებში შესულს მზეს თვალები მიაპყრო და საყვედურით ეუბნებოდა: „რაღას გვემალები“?..

ქიტუამაც შეხედა მზეს და ხმამაღლა წამოიძახა: „ეჰ ღმერთო“! მერე გადახედა თავის ქალ-ვაჟს, რომლებიც იმას გვერდში ამოჰკროდნენ. შეხედა იმათს დაღვრემილ სახეს და გული ჩაეთუთქა. „რა ვქნა, რა?! მწარედ გაიფიქრა ქიტუამ და თვალებში გადმოსახეთქად მოგუბებული ცრემლები ძლივას დააბრუნა უკან...

„ვის მივმართო?! რა წყალში ჩავვარდე?“ წამდაუწუმ გაიფიქრებდა ხოლმე ქიტუა და მოსეირნე ხალხს შეჰხედავდა, რომ ეგება ჩოხიანი ან ლეჩაქიანი დაენახა ვინმე; მაგრამ ძალიან იშვიათად დაინახავდა ხოლმე. ის, ყოველ იმათ დანახვაზე, წაიწევდა წინ, რომ ეთქვა რამ, მაგრამ, ვიდრემდინ ქიტუა ხმის ამოღებას მოახერხებდა, ისენი უკვე მიიმალებოდნენ...

— და-ძმობას, მოსამსახურე ხომ არ გინდა? — აკანკალე-

ბულის ხმით მიჰმართა ქიტუამ ერთ შუახნის მანდილოსანს, რომელმაც კატოს დაუწყო ცქერა.

— რა ლამაზი რამ არის, რა ლამაზი! — იძახდა თავისთავად მანდილოსანი და კატოს კუმეტ თვალებს გაშტერებით უცქეროდა.

ქიტუამ კიდევ გაუმეორა კითხვა.

— მოსამსახურედ გინდა დააყენო? — უპასუხა კითხვითვე მანდილოსანმა და ახლოს მივიდა.

— ჰო, შენი ჭირიმე, ქალბატონო! — უპასუხა ქიტუამ და გახარებულმა წინ წაიწია.

— ამ ერთი ბეწომ რა უნდა გააკეთოს? — უთხრა მანდილოსანმა.

— რაღა ერთი ბეწოა, შენი ჭირიმე, ათი წლისა ჩქარა გახდება.

— რა ლამაზი გოგონა რამ არის! — მივიდა მანდილოსანი კატოსთან და აკოცა.

— შენი სახელი, ქაჯან? — ჰკითხა კატოს, რომელმაც კოცნაზე თავი ძირს ჩაღუნა და ზემოთ სულ აღარ აუხედნია.

— კატო ჰქვიან, შენი ჭირიმე! — უპასუხა ქიტუამ კატოს მაგივრად.

— მაშ, ათისა ჩქარა გახდებაა? — გაგრძელებით ჰკითხა მანდილოსანმა და მერე თითებზე თავისთვის თვლა დაიწყო:

— ათანამ თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი და თოთხმეტი. ეს... ოთხი წელიწადი. ოჰოოო!.. — ჩაფიქრდა და მერე წამოიძახა:

—მე ავიყვან. ისე კარგად მოვუვლი, რომ შენი ქალი ვეღარც კი იცნო, ყველაფერსაც ვასწავლი. ბევრი ამისთანა გამიზრდია...

— აი, შენ ღმერთს კი ვენაცვალე, ქალბატონო, შენსას! — სიხარულით წამოიძახა ქიტუამ და მერე საჩქაროდ დაუმატა:

— იქნება ესეც აიყვანო და სიკეთე დასთესო! და-ძმა ერთად უფრო ხალისიანად გაგიკეთებენ საქმეს.

— არა, ჩემო ძმობილო, ეგ სხვას მიეცი ვისმე.

— კარგი კი იქნებოდა ერთად-და... ეგ შენი ნებაა...

— აბა, ქაჯან, წავიდეთ, — ჩაავლო კატოს ხელი და გასწია.

— გვარი რაღაა ამისი?

— გიგაურებს გვეძახიან, ქალბატონო, — მოწყენით წამოიძახა ქიტუამ. იმან წარმოიდგინა, რომ ეხლა, საცაა, გაშორდება თავის კატოს და ამან გული მოუკლა.

— წაჰყევი, შვილო, წაჰყევი, — უთხრა კატოს, რომელიც იმის ჩოხას დაეჭიდა და არ მისდევდა მანდილოსანს.

— არ წავყევები, მამილო! — ტირილით უთხრა კატომ.

— სად მიგყავს, ეიი! — ტირილითვე უთხრა გიგლამ და კატოს ხელი დაუჭირა.

— ნუ გეშინიან, შვილო, ნუ! ეგ მადლიანი ადამიანია! — ანუგეშებდა ქიტუა კატოს, მაგრამ თვითონაც ტირილი მოსდიოდა და ცრემლებს ძლივს იმაგრებდა.

— რა გატირებს, ქაჯან, ღმერთმანი, ისე შეგინახო, რომ მერე მამის ნახვა აღარც კი მოგინდეს! — უთხრა მანდილოსანმა, როცა ქიტუამ ჩოხის კალთა გააშვებინა და გიგლაც მოაშორა.

— გიგლო!.. — სასოწარკვეთილებით გადმოსძახა ეტლიდან კატომ თავის პატარა ძმას, რაკი მამამ ვერა უშველა რა...

— ნუ მიგყავს, ეი!.. — წამოიყვირა გიგლამ და მამას ხელიდან გაუსხლტა. მივარდა ეტლს და ხელები წინ გაიშვირა, რომ კატოსთვის მოეკიდებინა, მაგრამ ამ დროს დაიძრა ეტლი და გიგლა კინაღამ ქვეშ არ მოიყოლა...

* *

ხალხს მოსწყინდა მოსაწყენი სიამოვნება და ნელ-ნელა შინისკენ დაიწყო წასვლა. სულ ერთი საათი არ გასულა კატოს წაყვანის შემდეგ, რომ უმთავრესს ქუჩაზე მოსეირნეთა რიცხვმა ერთი-ოცად იკლო. ბოლოს, ქუჩებში თითო-ოროლა უგზო-უკვლოდ მოხეტიალეთა ჯერის ხალხიღა დაღანღალებდა აქა-იქა, რომლებსაც ცუდი და კარგი დარი, დილა და საღამო არ გააჩნიათ.

— ჩვენ რაღას ვუდგევართ, შვილო, წავიდეთ! — უთხრა ქიტუამ გიგლას და კუკიის ხიდისკენ გაემგზავრა.

გიგლაც დაედევნა იმასა და ჩქარა ორივენი ერთად ხიდებს გასცდნენ.

ქიტუა მოდიოდა და თავის ბედსა სწყევლიდა, სწყევლიდა თავის გაჩენის დღეს და ემდუროდა ყველას. იმას სოფიოზე მოსდიოდა ჯავრი, რომ იმის წყალობით შვილები ასე არე-არე უნდა ერბენინებინა და თითონაც გზიდან გადავარდნილიყო. „აი, დედაკაცის გაჩენის დღე კი დაიქცეს, აისრე!“ — მალიმალ წამოიძახებდა ხოლმე და მერე ისევ დაუმატებდა: „შე დალოცვილო ღმერთო, დედაკაცი რა გასაჩენი იყო, რო გააჩინე!“...

— მამი, პური მშიან! — ნამტირალევის ხმით უთხრა გიგლამ, როცა ავეკალის ქუჩაზე ერთი მესაკმლის დუქნიდან საკმლის სუნი ეცა იმას და შიმშილი აგრძნობინა.

ქიტუასაც მოშივდა. იმის პირში მთელი დღე ნაწილი არ ჩასულიყო.

— წამო, შვილო, და აი აქ ვჭამოთ. — უთხრა ქიტუამ და შევიდა ვიწროსა და ჭუჭყიანს საკმლის დუქანში.

— გამარჯობა, ძმობილო! — შესვლისთანავე უთხა ქიტუამ და წელზე შემოკრული თეთრი ყაბალახი შემოიხსნა.

— გაგიმარჯოს ღმერთმა! — უპასუხა მთლად შავად გაქონილ და გათხუპნილ ტანისამოსიანმა შუახნის კაცმა.

— ერთი შაურის ლობიო-შაჭამანდი მოგვიტანე, თუ ღმერთი გწამს! — უთხრა ქიტუამ და სტოლთან დაჯდა.

— ვაა, რატომ ესე ბატონური დრო ამოგირჩევია სადილისათვის? — გაემასხარავა გათხუპნილი მედუქნე, როცა იმან დიდი ჯამით ლობიო-შეჭამანდი წინ დაუდგა.

— რა ვქნა, ჩემო ძმაო, რომ ასეთი დრო ამოვირჩიე! — დაიწყო ქიტუამ და თან ყაბალახიდან ამოღებულ პურს ლუკმა-ლუკმად ანაწილებდა და ჯამში ჰყრიდა. გიგლა კი ამ დროს გამალებული იღებდა ჯამიდან ლობიოში დამბალ პურს და ზეექცეოდა.

— უთუოდ გვიან გაგიყიდნია შეშა, რომ აგრე დაგგვიანებია! — გამოელაპარაკა კიდევ ცუდად მჯდომი მედუქნე, რადგანაც მუშტარი ამ დროს ქიტუას მეტი არავინა ჰყავდა.

— შეშა კი არა, ოხრობა გამიყიდნია! — აი ე ბალღები ჰყვანდა გაღმა და მინდოდა შეგირდად მიმეცა ვისთვისმე.

— სადა გყვანდა?

— სადა და აი გაღმა. ბლომად ხალხი დადიოდა და იქ მეყენა.

— ვა, გეყენა, განა ცხვარი იყო, რომ მუშტარი თვითონ მოგსვლოდა? არ იცი, რომ ეგრე ვერავის მისცემდი?

— რა ეშმაკი და ქაჯი ვიცი? ი გოგო კი მივაბარე და ეს კი ისევ დამრჩა და სახლში მინდა წავიყვანო. — უთხრა ქიტუამ და ერთი ისეთი ამოიოხრა, რომ გული თან ამოაყოლა.

— გოგოცა გყვანდა?

— ჰო.

— მერე ვის მიეცი?

— რა ვიცი, ვის მივეცი... ერთი მადლიანი ადამიანი გაჩომიჩნდა და იმან აიყვანა.

— ვა, რა ოხერი რამა ყოფილხარ! არ იცნობ და გოგო კი მიეცი?!

ეს სიტყვები ქიტუას არ ეჭაშნიკა და როგორღაც გულში ჩასწვდა. იმან ახლაღა მოიფიქრა, რომ ამ მანდილოსანის არც სახლი იცის და არც სახელი. ნახვაც რომ უნდოდეს, სადა ნახავს? მაგრამ ჩქარა დამშვიდდა, რადგანაც წარმოიდგინა იმ მანდილოსანის გულკეთილობა, და უსიტყვოდ უთხრა თავის თავს: „ის თვითონ მომნახავს, როცა კატო დიდი გახდება, და ჩამაბარებს. იმან ხომ გვარიც იცის ჩემი და სახელიც“. ასე ინუგეშა იმან თავი და ჩაფაშრულ ლობიოს ჭამა დაუწყო.

— მაშ ე ბიჭი შინ გინდა წაიყვანო? — ჰკითხა ბედუქნემ რამოდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ.

— მა რა ვქნა, შენი ჭირიმე, რო შინ არ წავიყვანო. წავიყვან და იქ დავუყენებ ვისმე მოჯამაგირედ. — უპასუხა ქიტუამ.

— ქალაქში ჩამოგიყვანია და ისევ სოთელში მიგყავს?! — გაკვირვებით უთხრა მედუქნემ: — რას ამბობ, კაცო! გინდა შენსავით ხეპრე გამოიყვანო?

— თუ კი არავინ აიყვანა, მა სად წავიყვანო?!..

— ჰო, ეგაც კია, აი!..

მამა-შვილი მორჩა ჭამას. ქიტუა წამოდგა და პირჯვარი

გადაიწერა: „ღმერთო, შენ მოწყალებას მუ მომაკლებ!“ პირჯვრის წერასთან ერთად ქუდის მოხდით წამოიძახა და გათხუპნილ კაცს შაურიანი მისცა.

— ახლა კი წავიდეთ, შვილო! — უთხრა გიგლას, რომელიც უკვე წასასვლელად მზად იყო და კარებისკენ გაემგზავრა.

მზე ნახევრად მოჰფარებოდა მთაწმინდას და თავისი ბოლონა სხივები სულ ერთად შეეკრიბნა და მთაწმინდის წვერის ერთ წერტილისთვის მიეშუქებინა, რის გამოც ლაპლაპი და შვიდფრად ბრჭყვიალი გაჰქონდა...

— ძმობილო! — შეაყენა მედუქნემ ქიტუა კარებში და შემდეგ განაგრძო:

— იცი რა გითხრა!.. მე მაინც ბიჭი მიჭირს და მოდი ე შენი შვილი ჩემთან გაუშვი!.. სუფსარქისის ხატს გეფიცები, ისე მოვუვლი, რომ ჩემ თავზე კარგად. შინ რო წაიყვანო, შე დალოცვილო, ხო მეურმე უნდა გამოვიდეს. აქ კი ყველაფერს ისწავლის, გახდება კაცი და მერე თითონ „ხაზეინი“ იქნება.

ქიტუა დაფიქრდა. „ეს სომეხი კაცია და რა ვიცი, იქნება, მართლა ფული მოაგებინოს!“ გაიფიქრა იმან.

— ჰა, რაღას ჩაფიქრებულხარ? — დაეკითხა ის, რაკი პასუხი ვერ მიიღო.

— რამდენიმე წლის შემდეგ ჯამაგირსაც გავუჩენ. — დაუმატა იმან.

— თუ კი მაგისთანა სიკეთეს მიზამ, რაღა მინდა...

— მაშ ხელი-ხელს რაღა? — წამოიძახა „სომეხმა კაცმა“ და ხელი გაუწოდა, რომელიც ქიტუამ ჩამოართვა.

ქიტუამ გადასწყვიტა, რომ გიგლა ამასთან გაეშვა და შინ წასვლა დააპირა.

— ვა, მამიჯან, — უთხრა „სომეხმა კაცმა“, — საცაა დაღამდება და შენ კი სოფელში წასვლას აპირობ? მართალია, ე ხანჯალი კი დიდი გაქვს, მაგრამ, რა ვიცი, კაცს რა შემთხვევა არ მოელის... ისა სჯობია, დილაზე ადრე წახვიდე.

— რაღა შეგაწუხო, შენი ჭირიმე, ამაღამ წავალ და ხვალ საღამოს შინ ვიქნები. — უპასუხა ქიტუამ და უტყავო ხანჯლის ქარქაშს ხელი გაუსვა.

— გეუბნები, კაცო, ამაღამ აქ დარჩი-მეთქი! ვინ იცის, რა

ნადირი არ შაგხვდეს... შენი ხანჯლით რას გარეკამ?.. არა, მამიჯან, დილის შარი ირჩიე საღამოს ხეირსა. შეწუხებით კიდევ შე რა უნდა შემაწუხო, აი ეს სახლი ვერ დაგვიტევს?! თუ გინდა, ისე გაიშიმე, რომ თავი ერთ კედელთან გქონდეს და ფეხები კიდევ — მეორესთან.

ქიტუაც აღარ აუხირდა.

X

შუაღამე მოტანებული იყო. ნახევრად გაბადრული მთვარე კეკლუცად მიცქრიალებდა ცის სივრცეში და მკრთალად ანათებდა სოფ. ბ — ის არე-მარეს, რომელიც, ამ დღეს პირველად მოსულ თოვლით, მთლად თეთრად შემოსილიყო და ღამის დედოფლის მკრთალ ნათელზე ღრმა ძილს მიცემული მკრთალადვე მოციმციმებდა. იმის ღრმა ძილს არა არღვევდა-რა. არაგვიც კი, ის არაგვი, რომელიც სხვა დროს მოჰყეფს, მოხუის და მოჰკვნეს-მოტირის და ამ ხმით მოუთხრობს ქართველთა ტანჯვას, რასაც ბანის თქმით მთა, ტყე და ველი ემოწმებიან, გაჩუმებულიყო, თითქოს იმასაც მოსწყენოდა ტყუილუბრალო კვნესა-გოდება, ყეფა და შფოთვა და სხვისი თვალის მიგებით მისძინებოდა... მარტო სოფ. ბ—ში აქა-იქ უბნებიდან მოისმოდა ძაღლების გაგრძელებული ყმუილი, რომელიც თოვლით შემოსილ ტყესა და მთებში იფანტებოდა და შიმშილისაგან იჭ მოწანწალე ნადირს აფრთხობდა. ეს ყმუილიც თან-და-თან უფრო იშვიათად მოისმოდა და, ბოლოს, სულ მისწყდა და სამარისებრივი სიჩუმე ჩამოვარდა...

— ჰაი, და-და-და-და, უუუუ, დაა-დაა-დაა!.. — უეცრივ გაისმა ვიღასაც ხმა ამ სამარისებურ სიჩუმეში და თან თოფის გრიალიც მოჰყვა, რომელმაც მთელის სოფლის ძაღლები ააჩოჩქოლა.

— არიქაა! — დასძახა კიდევ იმავე ხმამ ძაღლებს, რომლებიც ყეფით და თავპირის გლეჯით მისდევდნენ ტყისკენ გაქცეულ მგელს.

— აი, ის ვერანა, ისა!.. — წამოიძახა ქიტუამ, რომელიც ამ დროს სოფელს დაუახლოვდა და რომლის ახლოსაც გაირბინეს მგელმა და ძაღლებმა.

— არიქაა!.. — ამანაც დასჭყივლა და ცოტა ხანს შედგა.

— უთუოდ ფარეხში შეიპარებოდა ი ვერანი, აი — წამოიძახა ქიტუამ, როცა ძაღლები და მგელი ტყეში შეცვივდნენ, და გამოსწია შინისაკენ.

ხმა ისევ ჩქარა მისწყდა. ქიტუა, წელში ორად მოკაკული, მიადგა თავის სახლის კარებსა და, ის იყო, უნდა საურდულეში ხელი შეეყო და კარი გაეღო, რომ ამ დროს სახლიდან სიცილი გამოესმა. შედგა და ყურები ცქვიტა და თან საურდულედან ჭვრეტა დაუწყო.

— ნათლია ყოფილა! — დამშვიდებით წამოიძახა ქიტუამ და კარებს უნდა მისწოლოდა, რადგანაც შენიშნა, რომ ურდული არა ჰქონდა წაყრილი.

მპა!.. — ამ დროს მკაფიოდ მოესმა კოცნის ხმა.

— ყურებმა ხომ არ მომატყუეს? — გაიფიქრა ქიტუამ და ისევ საურდულედან შეიჭვრიტა.

— შენ კი გენაცვალე, ნათლი, — მოესმა იმას სოფიოს ხმა და კიდევაც დაინახა, როგორ გადაეხვია ის ნათლიას და ნათლიამ კიდევ როგორ ჩაიკრა გულში.

— ეგ თათრები, ეგენი!.. — არევით წამოიძახა ქიტუამ და საურდულეს თვალს ვეღარ აშორებდა.

შესცქეროდა და ყველაფერს ჰხედავდა. ამასთანავე, ისინი კარგა ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, რადგანაც აღარავისი ერიდებოდათ, და ქიტუას ყველაფერი მკაფიოდ ესმოდა.

— თათრები, თათრები!.. ნათელმირონობასაც აღარ ინდობენ!.. — სულ უგონოდ გაიძახოდა ქიტუა და ტანში მთლად ირყეოდა.

— ასე რად დაიგვიანე, ნათლი, ეხლა ვიღასი გეშინოდა? — ჰკითხა სოფიომ, როცა ხვევნით დასტკბა.

— ვისი უნდა მშინებიყოს!.. — უპასუხა ნიკომ.

— მაშ რად დაიგვიანე? აი, მე დიდი ხანია, ლოგინი გავშალე და შენ ლოდინში სული ამომდიოდა!

— აჰაა!... — ძლივს ამოიქშინა ამ სიტყვებით გაცოფებულმა ქიტუამ.

— ვახშამს არ მიირთმევ?

— რა მევახშება, ჩემო ნათლიდედ! შენზე კარგს ვახშმად

რას მომიტან, ჰა?!.. — სიყვარულით წამოიძახა ნიკომ და გულში კიდევ ჩაიკრა. — იცი, ჩემო ნათლიდედ, ეს მესამე ღამეა, რაც ძალზე თავისუფლად ვგრძნობ ჩემ თავს ამ სახლში, — სთქვა ნიკომ და ტანისამოსის ხდა დაიწყო.

— რაკი ი ბალღები თავიდან მოვიშორეთ, ეხლა სულ თავისუფლები ვიქნებით. — ალერსითვე უთხა სოფიომ.

— ვაიმე, ვაიმე!.. — უხმოდ წამოიძახა ქიტუამ და ცრემლები გადმოსცვივდა.

კედელს მიეყრდნო, თორემ გადაიქცეოდა, ისე იმოქმედა იმაზე სოფიოს სიტყვებმა.

ქიტუამ ვეღარ გაუძლო ამ სურათსა და თვალი მოაშორა.

— შენც გაიხადე! — მოესმა ქიტუას ნიკოს ხმა.

— დაიცა, დამსვი, სანთელს მოვასვენებ!

— იწყობთ, იწყობთ, ჰა!... — შეჰყვირა ქიტუამ და გაცოფებული სახლში შევარდა...

ამ უეცარმა შემთხვევამ ნიკო სულ გადარია. იმან გაუშო ხელიდან სოფიო, რომელიც ერთი შეკივლების შემდეგ უგონოდ დაეცა კერასთან; თვითონ ნიკო კი პერანგისამარა კარებისაკენ გაქანდა, მაგრამ ცოტა ტორტმანის შემდეგ გულდაღმა გადავარდა, და მკერდიდან სისხლმა ამოსჩქეფა...

— ჰა!.. ჰა!.. ჰა!.. ეგაა!.. ჩემი შვილები!.. კატო,.. გიგლა... კატო... გიგლა!.. — ხითხითებდა გამხეცებული ქიტუა და თან გაშხლართულ ნიკოს გვამს ხანჯლითა ჰკეპავდა...

1894 წ.

„ჭარი კი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა“.

(ფსიქოლოგიური ეტიუდი)

„ზუუ!“ კვნესით შემოჰზუზუნა შემოდგომის ცივმა და სასტიკმა ქარმა და თან კარებსა და სარკმელის ჩარჩოებს რაკრაკი დააწყებინა, თითქოს შინ შეშვებას ეხვეწებაო. მაგრამ ტიტიკოს ქარის კვნესა და გმინვა არ ესმოდა. ის ტახტის გვერდით ცალ მუხლზე დაჩოქილი და მკლავგადახვეული გაშტერებით დასცქეროდა ბათოს მიმქრალ უსიცოცხლო სახეს.

არა სტირის ტიტიკო, ცრემლს არ აფრქვევს ტიტიკო, თუმცა, აგერ, იმისი საყვარელი ბათო სულ ერთი ჟამი არ იქნება, რაც ამ წუთისოფელს გამოესალმა. კარგად იცის ტიტიკომ, რომ ხვალ თუ არა, ზეგ მაინც იმის გამაცოცხლებელის, სულის ჩამდგმელის გვამს მიწას მიაბარებენ, სამუდამოდ განაშორებენ, გააცალკევებენ, რის გამოც ისევ ისე მარტოდ, უთვისტომოდ, როგორც წინად, ვიდრემდის ბათოს შეხვდებოდა, დარჩება...

მაგრამ, არა... ტიტიკო მარტოდ არ დარჩება. მართალია, ხვალ თუ ზეგ ბათოს გვამს მიწას მიაბარებენ, მაგრამ ბათო მაინც მასთან იქნება. ტიტიკო და ბათო ისე შეხორცძვალებულები არიან, ისე გაერთსულებულები, რომ სიკვდილი ვერ გააშორებს იმათ. სიყვარულმა ისე დააკავშირა ტიტიკო ბათოსთან, რომ ყველგან და ყოველთვის ის ბათოსთან იქნება და ბათო მასთან.

კარგად გრძნობს ამას ტიტიკო და ამისათვის არც სტირის. კმარა, რაც იტირა, რაც ცრემლები აფრქვია ტიტიკომ!.. ბათოს ერთი კვირის ავადმყოფობამ სულ ჩაარჩია ტიტიკო. ბათო ფილტვის ანთებით იყო ავად. მეტად იტანჯებოდა ბათო. იმასთან ერთად არა ნაკლებ ტიტიკოც იტანჯებოდა. ბათოს

ყოველი კვნესა, გაძნელებული სუნთქვა ტიტიკოს ლახვარივით გულს ესობოდა და უწყალოდ სერავდა.

როდესაც ბათომ სული განუტევა და მოისვენა, ტიტიკოც დამშვიდდა და ხმა გაკმენდილი, ჩაფიქრებული დასცქეროდა ბათოს გაფითრებულ სახეს.

უცქეროდა ტიტიკო ბათოს სახეს და მთელი წარსული ცხოვრება უნებურად თვალწინ ეხატებოდა.

ოხ, რა ბედნიერი იყო ის ამ ორ წელიწადს!.. უკანასკნელმა ორმა წელიწადმა სულ ერთიანად ჭიავიწყა ყოველივე წარსული, გამოაცოცხლა, პირი საქაოსკენ აქნევინა! რა იყო წინად, ვიდრემდის ბათოს შეირთავდა, და მერე რანაირად შეიცვალა იმისი ცხოვრება, როდესაც ბათო შეირთო ცოლად?!

წარსულმა თავი შეაძულა, ცხოვრება ტანჯვად მიაჩნევინა, ყველანი მტანჯველებად, ჯალათებად. მართლადაც, მთელი წარსული ტანჯვის მორევს წარმოადგენდა, რომელშიაც იმის სანუგეშოდ ჩალაც კი არ დასცურავდა, რომელზედაც შეეძლო ხელი მიეშვირა და ეთქვა, რომ ცხოვრება ისე მწარე, გესლით სავსე არ ყოფილა, როგორიც ეგონა, როგორიც დასახული ჰქონდა.

სიყრმიდან არც ერთხელ არა სმენია გულის გამალხობელი, გამათბობელი სიტყვა და სხვა ამის გარდა რა სიკეთე დაეყრებოდა. მუდამ სხვის ხელში იყო და სხვის ტევას და ბღვერას იტანდა. რის ვაითა და ვაგლახით განთავისუფლდა და შევიდა ერთი დაწესებულების კანცელარიაში მწერლად. ეხლა კი გავთავისუფლდით და მოვრჩი სხვის ხელში შეცქერასაო. მაგრამ გაუმტყუნდა იმედი. იქაც ისევ ის ბღვერა, და... და ამხანაგების დაცინვა... ვერც ამის შემდეგ ჰპოვა ის, რის პოვნასაც მოელოდა, ვერც ეხლა გაიგონა გულის გამალხობელი სიტყვა.

მიდიოდა ყოველ დღე კანცელარიაში, სადაც თავაუღებლივ სწერდა, სწერდა და სწერდა. ყოველ ოც რიცხვში იღებდა ოცდახუთ მანეთს და ამით იხატებოდა იმისი ცხოვრება. კანცელარიაში დაცინვა და კილვა, შინ კიდევ მარტოობა ახრჩობდა. ყოველივე ეს ჯოჯოხეთს შეადგენდა ტიტიკოსთვის. რისთვის იტანდა ამოდენა სიდუხჭირეს? ნუთუ იმისთვის, რომ

ლუკმა პური მოეპოვა და ეცხოვრნა, ეცოცხლნა, რომ ერთს წუთს, ერთს წამსაც იმის გულს სიხარულის სვეტი არ ჩაშვებოდა?! ოხ, რა შეცდომაა?!

ქვეყანაზე არც ერთი არსება არ გამოჩნდა, რომელსაც ამისთვის გულმტკივნეულობა გამოეჩინა.

დადიოდა ასე, გულჩათხრობილი, განზე. ისე უნუგეშოდ ქენჯნიდა მარტოობა, რომ თავის მოკვლაც განიზრახა და აღსრულებაში მოსაყვანად შინიდან მტკვრისაკენ გაემგზავრა. სწორედ ამ დროს მეზობლის მოსამსახურე ქალი დაუხვდა წინ და ისე თანაგრძნობით შეხედა, რომ ტიტიკოს ენა ჩაუვარდა, შესდგა და ადგილიდან ვეღარ იძროდა.

ქალმა ჩაიარა. იმას კიდევაც მოესაქმა და უკანვე მოდიოდა, რომ ტიტიკო ისევ ისე გაშტერებული იქვე იდგა.

— ბათო! — წამოიძახა ტიტიკომ, როდესაც ქალი დაუახლოვდა და ორივე ხელი გაუწოდა.

— ტიტიკო, რა დაგმართნია?! — ალერსით დაეკითხა ბათო და ტიტიკოს გაწვდილ ხელებში თავისი ხელი მოათავსა.

ტიტიკომ ფიცხლავ გულმხურვალედ ჩამოართვა ხელი და მაგრა მოუჭირა.

— რად გედო, ტიტიკო, ისეთი მკვდრის ფერი, რა მოგივიდა?! — უფრო ალერსით გაუმეორა ბათომ კითხვა და ხელის განთავისუფლება მოინდომა.

— ბათო, ნუ მაშვებინებ ხელს, ნუ!.. თვით განგებამ მოგავლინა ჩემ გამოსახსნელად!... — ისეთის ხმით შეევედრა ტიტიკო, რომ ბათოს გული აუჩუყდა და სიბრალული აღეძრა.

ბათო ხელს აღარ ათავისუფლებდა, ტიტიკო კი უწყალოდ სრესდა იმის ხელს და ტოკავდა იმის ნიშნად, თითქოს უნდოდა რიღაცის თქმა და კი ვერ ბედავდა.

— ბათო, — დაიწყო იმან აკანკალებულის ხმით და ჭარხალივით წამოწითლდა: — შენ... ჰო, შენ ხომ, ვიცი გასათხოვარი ხარ და მაშ, ნუ გამაწბილებ, გამომყევ ცოლად!...

ბათომ ჩაღუნა თავი და ისე კარგა ხანს გაჩუმებული იდგა. ტიტიკო კი კანკალმა აიტანა, და ჭირის ოფლს ასხამდა. „ამისთანა მშვენიერი ანგელოზი რად დამთანხმდება მე უმსგავსს...

ან რა ნება მქონდა, რომ ვუთხარი!“ ფიქრობდა ამ დროს ტიტიკო და სახე ეღმიჭებოდა.

— კარგი!.. — წაიჩურჩულა ბათომ და ქუთუთოები მაღლა ასწია, რომლის ქვეშიდანაც შავი მორევივით თვალის კაკლები გამოჩნდა და შიგ მარტო სიბრალული და ალერსი იხატებოდა.

— —კარგი?! კარგი?! ბათო, მაშ, კარგი?! ჩემო ბათო!.. — სიხარულისაგან დარეტიანებული ტიტიკო უგონოდ ისროდა სიტყვებს და ხელებს უსრესდა.

— კარგი, ჩემო ტიტიკო, დამიგვიანდება! — დაამშვიდა ბათომ და შინისაკენ გასწია.

ისე ცხადად წარმოუდგა თვალწინ ეს სურათი, რომ ეგონა, ახლა, ამ წამს ხდება ყოველივეო. იმან მაგრად მოჰხვია ხელები უსულო გვამს და გულში ჩაიკრა, მაგრამ სამაგიერო ვერ მიიღო.

ქარი კი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა. ლამპარიც ლიფლიფებდა და მკრთალად არხევდა ბათოს მიმქრალს სახეს...

ორ კვირას არ გაუვლია ამ შემთხვევის შემდეგ, რომ ტიტიკომ და ბათომ ჯვარი დაიწერეს და ქალაქის განაპირას ერთი ოთახი იქირავეს. იქ იწყეს ცხოვრება განდეგილებივით, განმარტოვებით. ტკბილად, შეუშფოთებლად. ეს ოთახი იყო მოწამე იმათის ბედნიერებისა, მათის სიყვარულით ცხოვრებისა ამ ორი წლის განმავლობაში.

გადახალისებულ ტიტიკოს არად მიაჩნდა ახლა უფროსების დაცინვა, შორიდან სამსახურში სიარული. სიხარულით, სიმღერით და სტვენით მიდიოდა შინ. მოდიოდა სამსახურში. იქაც ხალისით სწერდა, სწერდა და სწერდა. სახლში რომ მოვიდოდა, მაშინ ხომ, ნამეტნავად, როდესაც ბათო კარებში მიეგებებოდა და ეტყოდა: გენაცვა, პური ხომ არ მოგშივდაო, აღარ იცოდა, მეშვიდე ცაში იყო თუ დედამიწაზე, ცხადლივ იყო ყოველივე ეს თუ სიზმარში.

ტიტიკომ საღამოობითაც იკისრა სამსახურში სიარული და მუშაობა, რისთვისაც ჯამაგირს გარდა კიდევ ერთ თუმანს იღებდა. ახლა უფრო დიდი ჯაფის ატანა მოუნდა, მაგრამ ტიტი-

ჯოს ეს გარემოება არად მიაჩნდა. გრძნობდა, რომ იმისი შრომა უმიზნო არ იყო: შრომობდა ბათოს გულისათვის და ბათოს გულისთვის ხომ ლუკმა-ლუკმად რომ აეკუწათ, მაშინაც ნეტარებას იგრძნობდა.

ახ, რა ბედნიერი იყო ტიტიკო ამ ორი წლის განმავლობაში და ეხლა კი რა მოუვიდა!.. შეუბრალებელმა სიკვდილმა სიცოცხლით სავსე ბათო უძრავ გვამად გარდააქცია და გვერდით, მუხლმოდრეკით ტიტიკო მოუსვა... მაგრამ ტიტიკო მაინც სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდა. ის ფიქრობდა: „მარტოკა არ დავრჩები. ბათოს სახელის თაყვანისცემით ავავსებ ჩემს ცხოვრებას. იმას ვილოცავ, ვიდრემდის მეც არ გავემგზავრები იმისკენ...“

„ზუუუ!..“ ქარი კი ზუოდა ამ დროს და უნდოდა ტიტიკოს ყურადღება მიექცია, მაგრამ ტიტიკო ყურს არ უგდებდა.

ამ დროს მოისმა კარის კაკუნიც. ვინ იქნებოდა?! ვინ მოვიდოდა ტიტიკოსთან ახლა, ღამის მეცხრე ჟამს?! ტიტიკოსთან არავინ არ დადიოდა და არც ტიტიკო მიდიოდა ვისთანმე. მარტო ორნი ისე ბედნიერები იყვნენ, რომ სხვისა მოსვლა არ ესაჭიროვებოდათ, სხვები იმათ ტკბილ ცხოვრებას თუ არას დააკლებდნენ და დროებით მაინც არ შესწყვეტდნენ, არას მოუმატებდნენ. ამისთვის ისინი არავისთან მიდიოდნენ და არც არავის თავისთან ეპატიჟებოდნენ. ბათო ერთ კვირას სულს ებრძოდა. მაშინ არავის გაუვლია და ახლა ვინ მოვიდოდა...

უფრო ძლიერად მოისმა კარის კაკუნი, რამაც ტიტიკო ფიქრისაგან გამოიყვანა. იმან შუბლზე ხელი გადაისვა და კარებისაკენ გასწია.

— ვინ უნდა იყოს?!.. სამსახურში თუ მიწვევენ?! — წაიბუტბუტა და კარი გააღო.

დიდი ხნის ხვეწნისა და ვედრების შემდეგ ძლივს ეღირსა ქარს შინ შემოსვლა. სიხარულით შემოითამაშა. საჩქაროდ ოთხსავ კუთხეს შემოურბინა, ბათოს ჩაეხუტა და შემდეგ ლამპარს შეებრძოლა, რომლის ალიც შეათამაშა, ააწოწოლავა და უეცრად ზევიდან დაქროლვით ბოლო მოუღო.

— ბათო მაყარაძისა აქა სცხოვრობს?! — დაეკითხა ვიღაც უცნობი ტიტიკოს.

— აქა სცხოვრობს. ვინა ხარ?..

— აი, წერილი გახლავთ იმასთან. — უპასუხა უცნობმა და წერილი გადასცა.

„უთუოდ ამხანაგმა მოსწერა“, გაიფიქრა ტიტიკომ და ლამპარი აანთო. ბევრჯელ მოსვლია წერილი ბათოს ამ ამხანაგისაგან და ტიტიკოსთვისაც უამბნია შინაარსი, თუმცა თითონ არც ერთხელ არ წაუკითხნია იმისი წერილი და არც ერთხელ არ მოსულა იმათთან, რომ გაეცნო. ან კი რა საჭირო იყო ტიტიკოსაც გადაეკითხა წერილი, როდესაც ბათო უამბობდა ხოლმე შინაარსს. იმას კიდევვაც უხაროდა, რომ ბათო თითონ უამბობდა შინაარსს და ტიტიკოს წასაკითხავად არ აძლევდა. წაკითხვას ბათოს ღუღუნი, ტკბილი ღუღუნი არ ერჩია?! მერე, რა ტკბილად უამბობდა ხოლმე! ის ბათოს გაღვივებულ ტუჩებს ჩაუკოცნიდა ხოლმე, როდესაც კი გაათავებდა წერილის შინაარსის გადაცემას, რომ უფრო ტკბილად ეამბნა შემდეგში.

— გენაცვალე, ბათო, წერილია შენთან და... — მუხლმოდრეკით ჩალუღლუღა ტიტიკომ და წერილი სახესთან ახლო მიუტანა.

ბათოს სახეს დააცქერდა, თითქოს უნდოდა ამოეკითხნა, თუ რა უყოს წერილს, მაგრამ ბათოს სახე არას ეუბნებოდა, გაფითრებული, თვალებმილულული ლამპრის მოციმციმე შუქზე ოდნავ ირხეოდა და სააქაოსი აღარა ეყურებოდა რა.

— გენაცვა, ბათო, დაროს წერილია და რატომ... რატომ... წინად ხომ სიხარულით იღებდი ხოლმე და მიამბობდი შინაარსს?! ახლა რატომ... ოხ!..

ტიტიკომ თავი დახარა და თვალყური გადაუკოცნა, მაგრამ ბათოს სააქაოსი აღარა ეყურებოდა რა...

— ახლა მე წაგიკითხავ. მე გიამბობ შინაარსს დაროს წერილისას!.. შენი საყვარელი დაროს წერილია უთუოდ. — ჩაელაპარაკა ტიტიკო და წერილი გახსნა.

„ჩემო ბათო!“

— ჩემო ბათოვო, გწერს, გენაცვა, ყური დაუგდე!.. — ჩასძახა უსიცოცხლო ბათოს და წერილის კითხვა ისევ ხმამაღლა დაიწყო:

„მინდა ყოველ დღე შენს გვერდით ვიყო, ყოველ წამს შენ გეხვევოდე და შენს მკერდზე ამომდიოდეს სული და შენ კი კვირაში ორი დღე დამინიშნე და ამ ორ დღესაც აღარ მოსდიხარ“...

— რაო?! — ქვანაკრავივით შესწყვიტა წერილის კითხვა და ბათოს გადახედა, რომლისათვისაც სააქაო აღარას შეადგენდა. იმას არ ეყურებოდა და სააქაოსი არა ესმოდა რა. — ბათო, ვინა გწერს?! — ჩაეკითხა და წერილის ბოლოს დახედა, სადაც „შენი ვახტანგი“ ამოიკითხა. — არა, არა!.. ტყუილია, ტყუილია! — წამოიყრანტალა და კანკალით წერილის კითხვა განაგრძო:

„ხომ იცი, ჩემო კარგო, ამ თვის გასულს სოფელში წავალ, სადაც ორი თვე მეტი მომიგვიანდება და მაშინ მარტო შენი წერილებითღა უნდა დავსტკბე. არა, ჩემო ბათო, სანამ აქა ვარ, დამატკბე შენის ალერსით. წარსულ კვირას რა კარგი დრო გავატარეთ, ხომ გახსოვს?!.

„მართლა, ჩემო გვრიტო, ხომ არ გაცივდი? საშინელი ქარიშხალი იყო, როცა შინ დავბრუნდი და იქნება ავად გახდი და ამის მიზეზით დანიშნულ დროს ვეღარ მოხვედი! ღმერთმა ნუ ქნას!.. მინდოდა, დღეს მევე წამოვსულიყავ შენთან და შემეტყო შენი გარემოება, მაგრამ ვეღარ გავბედე. იქნება შენი ქმარი შინ იყოს-მეთქი, ვიფიქრე და ამის მიზეზით ისევ წერილის მოწერა ვარჩიე. როგორც შენ მითხარ, წერილებს შენი ქმარი არ კითხულობს და ამ წერილის მიღების დროს, რომ შინ იყვეს შენი ქმარი, მგონი, არა დაშავდება რა...

ხვალ უსათუოდ მოგელი...

მარად შენი ვახტანგი“.

— ااااخ!.. — ფეხზე წამოვარდნით წამოიძახა საშინელის ხმით ტიტიკომ, როდესაც კითხვა გაათავა და გულზე ხელი იტაცა.

კანკალმა და თახთახმა აიტანა. თითები უნებურად ეკვლანჭებოდა, ტანისამოსს იგლეჯდა...

— ااااخ!.. — უფრო საზარლად წამოიძახა დ ორივე ხელი თმაში წაივლო, თითქოს უნდოდა შეეყენებინა თავის არევა, მაგრამ ვერ შესძლო. იმას თავში ტვინი გველივით გაეხლაკნა,

გაუჩუჩუნდა და უეცრად თვალთ დაუბნელდა, მაგრამ დიდ-ხანს არ გაგრძელებულა ტიტიკოს ამგვარი მდგომარეობა.

დაჭიმული ძარღვები მოუდუნდა, მოელეშა. ღრმად, ძალიან ღრმად ჩაისუნთქ-ამოისუნთქა და ჩულივით იქვე ტახტის ვვერდით ჩაეხვია. თითქოს ამოსუნთქვას ამოაყოლაო ყოველივე ის, რაც კი წმინდათაწმინდას შეადგენდა, რაც რწმენა ჰქონდა და სააქაოსთან აკავშირებდა. ახლა მხოლოდ სიფუღუროვეს, სიცარიელესღა გრძნობდა. აღარც თავში და აღარც გულში აღარა დარჩენია რა, და სააქაოსი, როგორც ბათოს, აღარა ეყურებოდა რა, თუმცა კი ქარი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა...

1895 წ.

„ღმერთო, რა დაგიშავე!“

ეტიუდი

„...ღმერთო, იესო ტკბილო, შემინდე და შემიწყალე!..“ — ჯვარცმულის ხატის წინ მუხლმოდრეკილი და ხელებაპყრობილი ლოცულობდა წვერ-ულვაშ ახლად ამოფეთქილი მწირი, რომელიც აგერ ერთი კვირაა, რაც საბეროს გამოეთხოვა და შიო მღვიმელის ერთ მიუვალ კლდის ტახტივით გადმოკიდებულ პატარა კალთაზე დაესახლა. დღე — მზის ამოსვლიდან ჩასვლამდის — განუწყვეტლივ მუშაობდა, ჰქვაბამდა კლდეს და თავშესაფარს იკეთებდა. მარტო სადილობისას და სამხრობისას შესწყვეტდა ხოლმე მუშაობას და ტყეში მიდიოდა საზრდოსათვის. ღამე კი, როდესაც შესწყდებოდა ფრინველთ ჟრიამული და ბუნება მიიძინებდა, ლოცულობდა, მკერდს იბეგვდა, წვერსა და თმას იგლეჯდა, მაგრამ გონება ვერ დაემორჩილებინა და ლოცვის შინაარსით ვერ გაემსჭვალა. მარტო ენა ირხეოდა და სიტყვებს გამოსთქვამდა, გონება კი მონაწილეობას არ იღებდა და, ხან წარსულს, ხან აწმყოს და მომავალს, ხან მთასა და ველს ეკონებოდა. მწირს სურდა, რომ მთელი იმისი არსება მოცულიყო ლოცვის შინაარსით; უნდოდა — გონება შეებოჭნა და უფლისადმი მიემართნა, მაგრამ ამაოდ, გონება არ ემორჩილებოდა. ეს იყო მიზეზი, რომ ამ ერთი კვირის წინად დაღონებული მივიდა წინამძღვართან და ფეხებქვეშ ჩაუვარდა.

— წმინდაო მამაო! — ტირილით შესძახა და თავი მაღლა ვეღარ აიღო, თითქოს შეხედვისა ეშინიან, ან რცხვენიანო.

— უფალი იყოს შენი მანუგეშებელი, შვილო!.. რა მოგივიდა? — ძამობრივის თანაგრძნობითა და სიყვარულით დაეკითხა წინამძღვარი და თავი მაღლა ააღებინა.

წინამძღვრის ამგვარმა კილომ შიში და კრძალვა დაუკარგა მწირს. ლმობიერად შეხედა წინამძღვარს და გულახდით უამბო ყოველივე.

— ილოცე ჩემთვის, წმინდაო მამაო, — დააბოლავა მწირმა: — რათა შემინდოს მე ცოდვილსა და მიხსნას ამ განსაცდელისაგან. განვიზრახე განდეგილობა და მოვედ შენთან ლოცვა-კურთხევის მისაღებად. ეგებ განმარტოვებულმა ცხოვრებამ დამიბრუნოს სულის სიმშვიდე და შევძლო ლოცვა გულმოდგინებით.

წინამძღვარი გაჩუმებული ყურს უგდებდა და სახე თანდათან ეჭმუხნებოდა. იმსჭვალებოდა მწირის მწუხარებითა და უსიტყვოდ ავედრებდა მწირს უფალსა.

— მამაო, ნუ დამიჭერ შენს ლოცვა-კურთხევას და ნუ მეტყვი უარს! არ ძალმიძს წმინდა ადგილსა ამას დაყოვნება. — ტირილით მიმართა მწირმა, რაკი დუმილმა დიდხანს გასტანა, და მუხლებზე მოეხვია.

— სიკვდილის დამთრგუნველო იესო, შენ მიეც ძალი ყრმასა ამასა, რათა სძლიოს უჩინარი მტერი და ადიდოს სახელი შენი! — აღფრთოვანებულის ღაღადებით წარმოსთქვა წინამძღვარმა და ორივე ხელი დაადო მწირს თავზედა.

მწირი განუსაზღვრელმა სიხარულმა შეიპყრო. აქამდე თუ სულის კვეთების ცრემლი ახრჩობდა და სულს უხუთავდა, ახლა სიხარულის ცრემლმა გადმოხეთქა. გიჟივით ჯმუჯნიდა წინამძღვრის მუხლებს და უზომოდ ჰკოცნიდა.

— კმარა, შვილო, აღსდეგ! — წინამძღვარმა წამოაყენა მწირი და გადაჰკოცნა.

სამი დღე ლოცვა-ვედრებაში გაატარეს წინამძღვარმა და მწირმა. მწირი წმიდა საიდუმლოს მისაღებად ემზადებოდა.

მეოთხე დღეს მწირმა მიიღო წმიდა საიდუმლო. ძმათაც შეიტყვეს მწირის განზრახვა და წირვის შემდეგ მუხლმოდრეკილნი ავედრებდნენ მცირე ძმას. ლოცვის შემდეგ ყველანი გულხელდაკრეფილნი და თავჩაღუნულნი იდგნენ საზოგადო ტრაპეზის გარშემო და ელოდნენ სუფრის კურთხევას.

წინამძღვარმა აკურთხა სუფრა და პური გადატეხა. ყველანი მოწიწებით შეუდგნენ პურის ჭამას.

სჭამდნენ გაჩუმებულნი, თავჩაღუნულნი და მარტო დროგამოშვებით რომელიმე ძმა ღრმად ამოიოხრებდა და წამს ჭამას შესწყვეტდა.

— ძმანო, — კარგა ხნის ჩუმად პურის ჭამის შემდეგ მიმართა წინამძღვარმა ძმათა და ღვინით სავსე თიხის ფიალა ხელში აიღო.

ძმათ-კი ამ ხმის გაგონებაზე შესწყვიტეს პურის ჭამა და გულზე ხელებდაკრეფით თავები ჩაღუნეს.

— ძმანო, — განიმეორა კიდევ წინამძღვარმა და თვალი გადაავლო ტრაპეზის გარს მსხდომთა: — დღეს გვტოვებს ჩვენი უმცროსი ძმა სერაფიონი, ჩვენი საყვარელი სერაფიონი. ყველას გახსოვთ, როგორ მოიყვანეს სულ ბავშვი — ცხრა წლის ყრმა მშობლებმა და დაგვიტოვეს აქ უდაბნოში. მას შემდეგ თერთმეტმა წელიწადმა განვლო და ამ ხნის განმავლობაში შვილსავით ვზრდიდით. ყველა ჩვენგანი შვილსავით უყურებდა და შევიყვარეთ კიდეცა მამობრივის სიყვარულითა. ვფიქრობდით, ჩვენი აღზრდილი ჩვენთანვე დარჩებაო, მაგრამ განგებამ სხვაფრივ ინება. სერაფიონმა ამოირჩია მეტად ძნელი და ეკლიანი გზა... — წინამძღვარმა ცოტა ხანს შესწყვიტა სიტყვა და სერაფიონ მწირს შეხედა. სერაფიონი გულხელდაკრეფილი იდგა და ისე ისმენდა წინამძღვრის სიტყვას. — შვილო, ვშიშობ მტერმა არ გძლიოს და ამის გამო მენანები. ჯერ უსუსური ხარ და მეტად ძნელი გზა კი ამოირჩიე... ვაი თუ... — ვეღარ შესძლო ლაპარაკი წინამძღვარმა, რადგანაც ტირილი ყელში მოებჯინა და სუნთქვა გაუძნელდა. ფიალა დასდგა. სერაფიონი მწირი გულში ჩაიკრა და ქვითინის შემდეგ განაგრძო:

— უფალმა გაგაძლიეროს და გაგამხნეოს... ნეტარება შენ, შვილო, თუ გზამ არ შეგაშინა და ძლევამოსილი გამოხვედ... რაც ეკლიანია გზა, მით ნაყოფი უტკბესია, მით უფრო დიდ ნეტარება მოგელის...

სადილს შემდეგ შიო მღვიმელის ხატის წინ პარაკლისი გადუხადეს, შეავედრეს უფალს და გზა დაულოცეს.

„...ცხოვრების მომნიჭებელო იესო!..“ ხშირად წარმოუთქვამს ეს სიტყვები სერაფიონს მას შემდეგ, რაც განმარტოვე-

ბული ცხოვრება დაიწყო და ეხლაც ხშირად ამბობს ამასვე ღაღადებით, მაგრამ იმისი გონება მაინც „ცხოვრების მომნიჭებელს“ არ უერთდებოდა.

გონება თითქოს დასცინოდა სერაფიონ მწირის სურვილს. უეცრად დაუბრუნდებოდა მის სხეულს, აგრძნობინებდა, რომ კერპივით უგრძნობლადა სდგეხარ და უაზროდ გაიძახი სიტყვებსაო, დაღრეჯავდა, მოკუმშავდა და ისევ სწრაფად მიატოვებდა. აგერ, ახლაც ხელები გააწოდებინა ჯვარცმულის ხატისადმი, თვალები ზეცად მიამართვინა, დააწყებინა თქმა ლოცვისა და... განჰქრა, წავიდა, სულ სხვა სახე მიიღო...

სერაფიონ მწირი შუაზედ გაიყო, ორ არსებად გადაიქცა. ერთი სდგას მუხლმოდრეკილი ჯვარცმულის წინაშე, ხელებგაპყრობილი, სახედაღმეჭილი და ამბობს უაზროდ ლოცვას, ბუტბუტებს გონებადაუტანებლად, ხოლო მეორემ შვიდირვა წლის ყმაწვილის სახე მიიღო და თავის ტოლამხანაგებში დარბის, დახტის და თამაშობს. გრძნობს, რომ ბედნიერია...

კმაყოფილი, ოფლში გაქანებული შინ დაბრუნდა და დედას ეტიტინება, უამბობს, ვისთან და როგორ თამაშობდა.

— შვილო, — ალერსიანად სტუქსავს დედა: — შორს ნურსად მიხვალ, თორემ ლეკები თავს დაგესხმიან და დაგატყვევებენ...

— როგორ დამატყვევებენ, დედი, ხანჯალი აქ არა მაქვს?! ისე დავიფრენ, ისე რომ... — გულდაჯერებით წამოიძახა და ხანჯალს გაივლო ხელი.

— შენ კი გენაცვალოს დედა, შვილო!.. — სიხარულით ჩაიკრა გულში და დაუმატა: — ჯერ პატარა ხარ, შვილო!.. ვერას გახდები!..

— დიაღ, პატარა... თუკი მამაჩემი და სოლო ომში არიან. მე რაღა ვარ...

— ეჰ! — ამოოხვრით გააწყვეტინა სიტყვა დედამ და სახე მოეღრუბლა.

— რა იყო, დედი, რად ამოიოხრე?! — მშობლის ამოოხვრამ საჩქაროდ შეუცვალა სახის მეტყველება პატარა სერაფიონს.

— არაფრად, შვილო, ისე! — ნაღვლიანად უპასუხა და უფრო ძლიერ ჩაიკრა გულში სერაფიონი...

მთელი სოფელი გაიხვეტა იქითკენ, საიდანაც სიმღერის ხმა მოისმის. დედაშვილიც საჩქაროდ გაქანდა იქით. ყველანი სიხარულით გაიძახიან: გაუმარჯვნიათო, და ფეხს უფრო უჩქარებენ. აგერ კიდევაც შეხვდნენ გამარჯვებულ მეომართ და შეიქნა ხვევნა-კოცნა და ღვთისადმი მადლობის შეწირვა...

შვილი დედითურთ ეხვევა მამას და ძმას. მამამ ხელში აიყვანა და გულში ჩაიკრა. სოლო კი ამ დროს აქეთ-იქით იყურება და ვილასაც დაეძებს. დედის ლაპარაკს ყურს არ უგდებს.

— სოლო, ბევრი მტერი მოჰკალი?!.. — დაეკითხა სერაფიონი თავის ძმა სოლოს, რომელიც თვალებს აცეცებდა აქა-იქ, მაგრამ სოლოს იმისი ხმა არ გაუგონია. — ვის ეძებ? — ჰკითხა კვლავ სერაფიონმა და დაუწყო წევა ჩოხის კალთას.

— რა გინდა?.. — ჰკითხა სოლომ ძმას ისე, რომ არც მოუხედნია მისკენ და მსწრაფლ გაექანა იმისკენ, ვისაც დაეძებდა.. მეზობლის ახლად გაფურჩქვნილი ქალი თამო მოეგება წინ და ათრთოლებული ჩაეკრა სოლოს...

ორად გაყოფილი ისევ ერთ არსებად გარდაიქცა. სერაფიონ მწირს თვალწინ წარმოუდგა ზემოხსენებული სურათი და შეიპყრო მთელი იმისი არსება. თუ აქნობამდე ლოცვის სიტყვებს მაინც ამბობდა, ახლა ამასაც ვეღარ ახერხებდა და იმ სურათსღა ხედავდა. ახლა ცხადად უყურებს თამოს, მშვენიერ თამოს, სოლოს მკერდზე მისვენებულს, რომელიც მეტისმეტი სიამოვნებით ოდნავღა სუნთქავს. ამ სურათის მხილველს სერაფიონს გული აუტოკდა, სახსრებში მოდუნდა და თახთახმა აიტანა...

მაშინ, როდესაც მოხდა ეს ამბავი, ვერ გაიგო მისი მნიშვნელობა, ვერ მიხვდა, ისე დაბნევით რად მიეგება სოლო დედას და მას, თავის უმცროს ძმასა, და თამოს კი, რომელიც არც და იყო და არც ნათესავი, ისე გატაცებით რად გადაეხვია. მაშინ ვერ მიხვდა და ახლა კი გაიგო ამისი მიზეზი და ამ მიხვედრამ სერაფიონ მწირი ჩაფუფქა, გული აუჩუყა და

აგრძნობინა, რა იყო მიზეზი, რომ გულმოდგინედ ლოცვას ვეღარ ახერხებდა. მიხვდა ახლა, რომ იმისი ბუნება სხვას თხოულობდა და ის კი, წინააღმდეგ ამისა, ძალას ატანდა თავის თავს და ტყუილუბრალოდ სახეს ჭმახავდა... იგრძნო სულის ობლობა, განდეგილობა. იგრძნო, რომ იმის გულს არ ათბობს და არც როდის გაუთბია იმ ზენაარ გრძნობას, რომელიც ტანჯვით და ვაებით მოცულ წუთიერ ცხოვრებას ნეტარებად ხდის, აყვარებს თვით ამ წუთიერ ცხოვრების შხამსაც კი და აფრთოვანებს საკეთილოდ. გრძნობს სერაფიონ მწირი, რაც აკლია მის გულს, გრძნობს ისეთი ძლიერებით, რომ ცეცხლი ეკიდება, ხორცი სტკივა და იწვის...

აქნობამდის თუ ეგონა, ცოდვილი ვარო და შეღაღადებდა უფალს: შემინდე და შემიწყალე მე ცოდვილიო, ახლა ტანჯულად, წამებულად მიაჩნია თავისი თავი...

— ღმერთო, რა დაგიშავე?! — საყვედურით მიმართა მან უფალს და პირქვე დამხობილმა დაიწყო ქვითინი.

მთვარემ ამ დროს ღიმილით გადმოხედა უკანასკნელად მომტირალ მწირს და შორს, ცის კიდესთან ამართული მთის იქით, ნაზად ჩაესვენა. აქნობამდის გაცრიაკებულმა ვარსკვლავებმა კაშკაში დაიწყეს და ერთმანეთს გამოელაპარაკნენ. მოდუდუნე მტკვრის პირიდან ნიავმაც დაიწყო სისინი და ფოთლები ააშრიალ-აათამაშა; ხის ტოტებზე ჩამწკრივებული ბეღურები გამოაღვიძა. მოასმენინა მწირის ქვითინი და ზევიდან ჩაწივწივებით ანუგეშებინა. არაგვი ხომ მთის იქიდან დიდი ხანია გადმოსჭყივის და ამხნევებს მწირს და ეუბნება, მარტო არა ხარო, მაგრამ მწირს არც ბეღურების ნუგეში და არც არაგვის გამხნევება არ ესმოდა.

მწირი მაინც უფლისადმი საყვედურით აღვსილი ქვითინებს და ქვითინებს...

1895 წ.

„ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი!..“

(საშობაო ეტიუდი)

„ხვალ შობაა!..“—მოწყენით წამოიძახა ალექსა სალახმა *) და ხორცის სავაჭრო დუქნის კარებს დარაბები აუგდო, ეს-ეს ერის ნავთლუხში ოცამდის დაკლული ცხვრის გატყავებას მორჩა, დუქნის კედლებს გარს ჩამოურიგა და მთელი დღის ნაწოწიალი და მუშაობით მოქანცული ორად მოკრუნჩხული დუქნის კუთხეში დასაძინებლად მიეგდო. მაგრამ ძილი გაუკრთა...

„ხვალ შობაა!..“ — გაიმეორა ალექსა სალახმა და ძველი ფარაჯა აქეთ-იქიდან ამოიკუნჭა, მაგრამ დაცხავებული ფარაჯა არ ათბობდა.

„ჰმმ!..“ — მწარედ ჩაიღიმა ალექსამ და გვერდი იცვალა, როდესაც თვალწინ წარმოუდგა ყმაწვილობაში გატარებული შობაღამე...

ოხ, რა ბედნიერი იყო, როდესაც, გაღადღადებული კერის ბირას იჯდა თავის და-ძმებს შუა და სახოწაო თხილით და კაკლით სავსე პარკუშანა კალთაში ედო!.. რა უდარდელად იცინოდა და-ძმებთან ერთად თხილისა და კაკლის მტვრევაში!..

„ხლა?..

მწარე ჩაღიმებაა ამისი პასუხი.

„წელიწადი — თორმეტი თვეა, — ფიქრობს ალექსა სალახი: — და ამ თორმეტ თვეში არც ერთი დღე მოსვენება არა მაქვს... შობა, ახალწელიწადი, აღდგომა — ესაც არ მათავისუფლებს და ჩემ ცოლ-შვილში ვერ ვატარებ დროს... ეეჰ!..“ —

* სალახს საქონლის დამკვლელს უწოდებენ.

ოხრავს ალექსა და სიცივისაგან შამფურივით ტრიალებს თავის ფარაჯის ქვეშ.

ქარი კი ამ დროს შემოგუგუნებს დარაბებს შუა დარჩენილ ფარღალალებიდან და თან ნამქერი შემოაქვს...

„ჩემმა პატარა ანდრომ მაინც გაიხაროს... გაიხაროს სანამ პატარაა. ის, ვინ იცის, დედას ჩახუტებია და ტკბილად სძინავს...“ — გადაბრუნებით წაილაპარაკა და ანდროს მომავალზე ფიქრს თავი მისცა...

ჰქრის ქარი. ფიქრობს ალექსა, ფიქრობს და...

— მუუუ! — უნდოდა წამოლაპარაკება ალექსა სალახს, მაგრამ სიტყვების მაგივრად ზმუილი გამოსცა იმისმა პირმა.

„ეს რა ამბავია ჩემ თავს?! თითქოს ლაპარაკი შემეძლო?! ეს არის ახლა ჩემ ანდროზე ვფიქრობდი, მინდოდა ღმერთისთვის შემევედრებინა და სიტყვის თქმა კი აღარ შემიძლიან“, — გაიფიქრა ალექსამ შიშით.

— მუუუ!.. — წამოიზმუვლა „ღმერთოს“ წარმოთქმის მაგივრად.

„ვაააა, რა ღმერთი გამიწყრა!..“ გაიფიქრა ალექსამ და მიიხედ-მოიხედა...

ხედავს, ბაკში მუხლებამდის წუმპეში სხვა საქონელს შუაა. დაიხედა ძირს და წყალში თავისი თავის მაგივრად ძროხა დაინახა...

„როგორღაც მეცნობა ეს ძროხა... თითქოს მინახავს სადღაც... ღმერთო, მომაგონე!“ — ძირს ცქერით გაიძახდა უსიტყვოდ და გონს ვერ მოსულიყო... უეცრად შეკრთა. უნდოდა წამოეყვირნა: „ნუთუ მე ძროხა ვარო“, როდესაც წუმპიდან ამომჭვრეტ ძროხის ლანდში თავისი ლანდი იცნო. თავი ბაღლა ასწია. აღარ უნდოდა ემზირნა...

„ღმერთო, მაპატივე და მიხსენ ამ განსაცდელისაგან!..“ — უსიტყვოდ შეევედრა უფალს და უკან მიიხედა. თავის გვერდით მდგომ ხბოს თვალი მოჰკრა. ჩააკვირდა და — ოხ, ღმერთო! — თავისი ანდრო იცნო...

ამას კი აღარ მოელოდა. გაშმაგებული მოტრიალდა ანდრო ხბოსკენ და უნდოდა გულში ჩაეკრა, მაგრამ ხელების მაგივრად ჩლიქებიანი ფეხები ჰქონდა და ვეღარ მოახერხა.

„ანდრო, ანდრო!.. — შეზმუვლა ანდრო-ხბოს და თან ლოკვა დაუწყო. — რა მოგველის, რისთვის ვართ აქა, ამ წუმპეში?“ — უსიტყვოდ ეკითხებოდა თავის თავს და პასუხს კი ვერსაიდან ღებულობდა.

დაუკვირდა თავის გარემოებას. მიიხედ-მოიხედა. ხედავს ბაკების წინ გრძლად ამართულ რაღაცა ფიცრულს, საიდანაც გამოისმის სხვილფეხა საქონლის საცოდავი ზმუილ-ხრიალი, ცხვრისა და თხის კიკინ-ბღავილი, რახა-რუხი და ხალხის ლანძღვა-გინება და სიცილ-ხარხარი...

„ღმერთო!..“ — წამოიზმუვლა ალექსა სალახმა და შიშის კანკალმა აიტანა.

გრძნობს, რომ რაღაც უბედურება მოელის. ტანში ჟრუანტელი უვლის...

— კარები დახურეთ, კარები!.. — ეზოს ბოლოში რამდენმამე ხმამ შეჰყვირა ერთად და იმავე დროს ალაყაფის კარებიც მიჯრიალდა. სასაკლაო ოთახების კარებიც დახურეს.

— ფშუუ, ფშუუ!.. — საშინელის ფშუილით და თქარა-თქურით გამოარღვია ეზოს მორევი გაშმაგებულმა კამეჩმა და ალაყაფის კარებს რომ მიადგა, ტოკვა და თვალების ბღვრიალი დაიწყო.

სალახები და მეხაშეები* შიშისაგან ეზოს ფიცრულს შეეკუნშვლნენ და იქიდან დაუწყეს ქამანდის სროლა.

სალახების ამ გვარმა მოქმედებამ უფრო გააცეცხლა და გაალომა კამეჩი...

ალექსა სალახმა თვალი მოჰკრა გაცეცხლებულ კამეჩს და შეძრწუნდა. ვასისხლიანებული სალახების და მეხაშეების დანახვამ ხომ სულ გადარია. სისხლის სუნი მოედინა. იგრძნო სიკვდილის მოახლოვება. წინაგრძნობამ ამცნო და...

„ოხ, ღმერთო, უნდათ სიცოცხლე მომისპონ!.. წუთი-სოფელს გამომასალმონ!.. რადა?!“ — გაიფიქრა ალექსამ და ტირილი მოერია.

---

* მეხაშეები შველიან სალახებს დაკვლასა და ყოველ მუშაობაში, რაცკი შეეხება საქონლის დახოცვას, და ამ შრომაში ფაშვს იღებენ. შრომის გარდა მეხაშეები თითო ფაშვში 10 კაპ. აძლევენ საქონლის პატრონს.

თავი ძირს დახარა და წუმპეს საცოდავად ჩაზმუვლა, თითქოს იქიდან მოელოდა შველას, მაგრამ...

— მეეე!.. — მოესმა ანდრო-ხბოს ბღავილიც და ამ ხმამ სულ მოშალა ტანში.

— ჰახ-ჰახ!.. — ჰახ-ჰახი და ლაწუნი შეუდგა ეზოს ფიცრებს.

— თოფი ესროლეთ!.. ოი, ეგ ვერანა!.. — გაიძახოდნენ სალახები და მეხაშეები.

ალექსამ მიიხედა და მინდვრად გავარდნილ კამეჩს თვალი მოჰკრა.

„ნეტავი მაგას!.. თავს უშველა და ამ ადგილს მოშორდა!..“ — შენატრა ალექსამ კამეჩს...

— რავა გაამტვრია ე ფიცარი და გავარდა?! — გაკვირვებით იძახდა მეხაშე და კამეჩს გასცქეროდა.

— გამორეკეთ საქონელი!.. — ბრძანების კილოთი დაუყვირა სალახმა მეხაშეებს, რომლებიც მაშინვე შეცვივდნენ ამ ხმის გაგონებაზე და რამდენიმე სული საქონელი კამეჩს უკან გამოუყენეს.

— ოხრად დაგარჩენ, ხელში კიდევ ჩაგიგდებ და, ღვთის წყალობა მაქვს, ურიასავით დაგტანჯავ! — გაბრაზებით დაიღრიალა სალახმა, და ისიც უკან დაედევნა.

მისწყდა ყიჟინა. ჩვეულებრივი მუშაობის ხმა ჩამოვარდა. ალექსა სალახსაც მიავიწყდა ყველაფერი და გამოურკვეველმა ჭრძნობამ შეიპყრო. თავის გარშემო აღარას ხედავს...

„რა ამბავია, რას მიშვრებიან?!“ — შიშით გაიფიქრა და ტანის თახთახმა აიტანა, როდესაც სალახმა და მეხაშეებმა შემოაღეს ბაკის კარი, რომელშიაც ის იყო დამწყვდეული, შემოთქვიფეს წუმპე და რქებში თოკი ჩააბეს.

— მუუუ! — წამოიზმუვლა და მიხედა ანდრო-ხბოს, რომელსაც ამ დროს ჯოხი წამოჰკრეს. — მუუუ!.. — წამოიზმუვლა უფრო საცოდავად, როდესაც თოკს გასწიეს და, რადგანაც ადგილიდან არ იძროდა, ფეხებში კეტი დაუშინეს.

ანდრო-ხბო კი ჯოხის პირველ წამოკვრაზედვე გავარდა ბაკიდან ეზოში. ამის დამნახავი ალექსაც გაჰყვა და, ოჰ, ეზოში რომ გავიდა, საზარელი ოთახის კარი ღია დაინახა, იქ უნდა

შეეყვანათ. იქ მოეღებოდა ბოლო. ამას იმის სხეულის ყოველი წერტილიც კი გრძნობდა და შიშით თრთოდა. ტვინი აერია. ერთადერთი აზრიღა შერჩა თავში და ეს აზრი ძვალსა და რბილში გაუჯდა... უნდა მომისპონ სიცოცხლე!.. ოჰ, რა საზარელია წინად ამის გაგება!..

მოძრაობისთვის მოსაზრების ძაფი გაუწყდა. კარებისაკენ ვწეოდნენ; ჩლიქებში კეტსა სცემდნენ, მაგრამ გონს ვერ მოსულიყო, საით და როგორ გადაედგა ფეხი...

— კუდი, კუდი!.. — დაუძახა თოკის გამწევმა უკან ძდგომთ და უფრო ძლიერად გასწია თოკს.

უკან მდგომთ მოავლეს კუდში ხელი და შუაზე გადაუტეხეს.

საშინელი ტკივილი იგრძნო ალექსამ.

— მუუუ!.. — გულსაკლავად წაიზმუვლა და თავისდა უნებურად წინ წამოტორტმანდა, მაგრამ ისევ შესდგა.

უნდოდა ამ ამოკვნესით ეთქვა: „წავიდოდი, მაგრამ რა ვქნა, რომ ფეხები არ მემორჩილება, რომ არ ვიცი, საით და როგორ გადავდგა ფეხები“!..

„ოხ, რა ძნელი ყოფილა უენობა“!.. — გაიფიქრა ალექსამ და კიდევ უნდოდა შეეზმუვლა, მაგრამ ამ დროს ისევ იგრძნო საშინელი ტკივილი. კუდი ახლა მეორე ადგილას გადაუტეხეს. კიდევ წატორტმანდა.

ამ ვაივაგლახით შეიყვანეს სასაკლაო ოთახში. შეიყვანეს იქ, სადაც ხორცი და ყოველივე სიბინძურე ერთად იყო არეული.

— მეე!.. — გულსაკლავად დაიბღავლა სასისხლესთან წამოქცეულმა ანდრო-ხბომ.

მშობლის გულმა იგრძნო, რომ მისი ანდრო განსაცდელშია. თვალები მოეწმინდა და დაინახა, რომ სალახმა ყელში დანა გაუგდო იმის საყვარელ შვილს... სისხლმა გადმოსჩქეფა...

— მუუუ!.. — დაიზმუვლა და შვილისაკენ გასწია, მაგრამ ამ დროს მეხაშემ მარცხენა ხელი ქვედა ყბაში ჩაავლო, მარჯვენა კიდევ მარჯვენა რქაში.

— ღრაჟ!.. — უეცრად მოიღო ალექსას კისერმა ღრაჭანი და ძირს მოწყვეტით ზღართანი მოსძვრა.

ამგვარი ტკივილი არას დროს არ უგრძვნია თავის სიცოცხლეში. თავისდა უნებურად წაიზმუვლა უკანასკნელად და გონება დაჰკარგა.

როდესაც გონს მოვიდა, ის უკვე ფეხებგაკრული და ყელგადაწეული სასისხლესთან ეგდო...

— ხა-ხა-ხა!.. ალექსი, მოგხვდა?!.. შენც ხომ მაგრე სტანჯავდი საქონელს, უენო საქონელს?!.. შენც ხომ სალახი ხარ!.. — ამ დროს ხარხარით ჩასძახა რაღაც ნაცნობმა ხმამ.

— მე ვტანჯავდი?! ჰო, მე ხომ სალა... — აღარ დასცალდა აზრის დაბოლოვება. სალახმა ყელში დანა გაუგდო და აზრის მიმდინარეობა შეუწყვიტა...

გაფითრებული ალექსა სალახი უეცრად წამოჯდა და ნამქერწაყრილი ფარაჯა იქით სტყორცნა. გული საშინლად უხტოდა...

— შე ოჯახდაქცეულო, მოჰკვდი თუ რა მოგივიდა?! რამდენი ხანია დუქნები დაიღო! — შემოესმა ბრახუნთან ერთად დუქნის პატრონის ხმა.

— ჰო, ეხლავე!.. — უპასუხა ალექსა სალახმა და ხელი პირისახეზე ჩამოისვა...

* *

ყაბალახშემობორბლილმა ალექსამ კახეთის გზიდან გადმოუხვია ნავთლუხისაკენ და...

— ფუი!.. — ბრაზმორეულმა გადააფურთხა და ქალაქის მმართველთ ერთი გემრიელად შეუკურთხა, რადგანაც, კახეთის გზას გადმოუხვია თუ არა, მუხლებამდის ტალახში შესტოპა.

ბურდღუნით და ლანძღვა-გინებით მიერეკებოდა საქონელს სასაკლაოსაკენ და საქონელზე ყრილობდა უდიერის ცემით ქალაქის გამგეობისაგან გამოწვეულ ჯავრს.

ხან ერთ ცხვარს ამოაძრობდა ტალახიდან და წინ ისროდა, ხან კიდევ მეორეს. ხბო თითქმის ზურგით საზიდი გაუხდა...

დაუახლოვდა სასაკლაოს. მეხაშეები მიეგებნენ და უშველეს ჯერ ეზოში შერეკა და შემდეგ ბაკში.

ქალაქი მოიცვა ამ დროს ზარების გუგუნმა. სასიხარულო ხმა გაისმოდა თბილისის ჰაერში. ყველა ეკლესიისკენ მიეშურებოდა, ყველას სახე უბრწყინავდა და გაუგებარის სიხარულით იყო მოცული. აქ კი, სასაკლაოში, გაცხარებული მუშაობა იყო. სალახები გაბრაზებულნი, რომ ამისთანა ბედნიერ დღესაც გვამუშავებენო, ულმობელად ექცეოდნენ უენო საქონელს და შეუბრალებლად უსპობდნენ სიცოცხლეს...

— კუდი მოუგრიხეთ მაგ საეერანეს, მაგას!.. — შეტევით დაუყვირა ალექსამ მეხაშეს და უფრო ძლიერად გასწია თოკს.

მეხაშემაც გადუტეხა კუდი ძროხას, რის შემდეგაც მთრთოლარე ძროხა სასაკლავო ოთახის კარებში შეტორტმანდა, სადაც ყელგამოღადრული წვრილფეხა და სხვილფეხა საქონელი ჭერეხებივით ეყარა.

რაკი ძროხა ოთახში შეიყვანეს და სასისხლესთან დააყენეს, ალექსა სალახმა თოკს ხელი ანება და იქაკ, ძროხის თვალწინ, ხბოს ყელი გაუღადრა...

— მუუუ!.. — შეჰზმუვლა ცრემლებმორეულმა ძროხამ...

მთრთოლვარე ტანი მოელეშა, მუხლები ჩაეკეცა, თავის შვილის გვერდით წამოიქცა და ყელის გამოსაჭრელად კისერი გადაჭიმა.

— აი, შე დალოცვილო, შენა!.. ყველა ემაგრე რო წვებოდეს, კარგი იქნებოდა, თორემ ზოგი რომ გაცოფდება ხოლმე, რასა გავს!.. — ღიმილით ლაპარაკობდა მეხაშე და თან ფეხებს უკრავდა ძროხას.

ალექსა სალახმა კი კისერი უფრო გადუჭიმა, რქაზე ფეხი დაადგა და მარცხენა ხელით ყელის ტყავი მაღლა აუწია, მარჯვენით კი სარტყელში ჩარჭობილი ქარქაშიდან დანა ამოიღო და...

რა მოუვიდა ალექსა სალახს, რომ ყელთან მიტანილი დანა ხელიდან გავარდა და გაფითრებულ სახეზე ჭირის ოფლი გადმოსკდა?!

— ოოჰ, სიზმარი!.. — ღრმად ამოხვნეშით წამოიძახა, მოისვა მაგრა შუბლზე ხელი და ოფლი მოიწმინდა.

— აღარ დაჰკლავ, ალექსი? — დაეკითხა მეხაშე, რაკი ალექსა წელში აიმართა და დანა ქარქაშში ჩააგო.

— აღარა... ჰო... ფეხები გაუხსენი... — დაბნევით უპასუხა ალექსამ და რაცრაცით გამოვიდა.

გამოსტოპა ეზოს მორევში და გზას გაუდგა, თუმცა კი არ იცოდა, რისთვის მიდის და ან სით.

პირდაპირი ქარი კი გახურებულ სახეს და გადაღეღილ მკერდს უშხეპავს, ნამქერს აყრის და იდუმალად ჩაბზუის: „ხბოოო... ხბოო“!..

— ხბოოო!.. უსუსური ანდრო!.. ვაიმე! — წამოიღრიალა და ტანში ერუანტელმა დაუარა. — შე თათარო, შენა!.. — შკაცრად მიმართა თავის თავს და ხელი მაგრა შემოირტყა თავში.

— ნაუუუ!.. — მოისმა ამ დროს წმინდა ბარბარეს ეკლესიიდან შუა წირვის ზარის რეკვა.

— ღმერთო!.. — ქუდის მოშვლეპით წამოიძახა ზარის ხმის გაგონებაზე და გულში იმედჩასახული ეკლესიისკენ გაეშურა.

იქ მოელოდა ხსნას, სანუგეშებელ სიტყვის გაგონებას და შვებას. ოხ, რანაირად იტანჯებოდა!.. შობა დღეს სისხლის დაღვრა?!

— ღმერთო, ღმერთო!.. — გაიძახოდა და თვალწინ სისხლის მორევი და იქიდან ყელგამოღადრულ ხბოს ლმობიერად გამომჭვრელი თვალები ეხატებოდა...

ტალახში ამოსვრილი, გასისხლიანებული შევარდა ეკლესიაში და მაშინვე მუხლი მოიდრიკა წმინდა ბარბარეს ხატის წინ.

ამის დანახვაზე ხალხს ფრუტუნ-ჩურჩული აუტყდა; მღვდელმთავარ-დიაკვანი კიდევ „პაკი-პაკი, გოსპოდი პომილუი! დნეს ხრისტოს...“-ს გაიძახოდნენ. წმ. ბარბარეს ხატი კი ერთს წერტილს მისჩერებოდა და ალექსა სალახს ყურადღებას არ აქცევდა.

ხალხმა დასცინა. მღვდელ-მთავარ-დიაკვნისა იმას არა ეყურებოდა-რა და იმათი სიტყვები: „დნეს ხრისტოს“... „დნება ქრისტე-“დ მოესმოდა.

— ღმერთო! — ცრემლით მიმართა უხილავს არსებას, რა-

კი ხილულთ შორის თანაგრძნობა ვერ ნახა და სანუგეშო სიტყვა ვერა გაიგონა-რა.

მაგრამ უხილავმა არსებამ ნუგეშის მაგივრად ეს ჩასძახა ყურში: „სისხლი... ხბო... ანდრო... ხა, ხა, ხა... სად შემოხვედი?.. აქ შენი ადგილი არ არის“!

„ხბო“!.. — გული მოეკუმშა, ყურებმა შუილი დაუწყეს და ეს სიტყვა ძლივსღა წამოილუღლუღა.

მაშინვე წამოდგა და ჩუმად, მობუზული ფეხაკრეფით გარეთ გავიდა.

„ხსნა არ არის“! — ცეცხლის მოდებით წამოიძახა და შეუმჩნევლად დუქანში შევიდა.

— ოხ, ალექსი! ჭაჭაა? — ცბიერად დაეკითხა დახლიდარი.

— ჰო!.. — უპასუხა ალექსამ.

— თხლაშო თუ წრუტო? *.

დახლიდარმა საჩქაროდ ჭაჭის არაყით სავსე ჭიქა გადმოაწოდა, ალექსამ ჩამოართვა და სწრაფულ გადაჰკრა.

გული ჩაფხანა, უამა.

— კიდევ! — დაიძახა ალექსამ და ცარიელი ჭიქა დახლზე დაახეთქა.

— ეჰ! ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი!.. — ხელის ჩაქნევით წამოიძახა, როდესაც დახლიდარმა სავსე ჭიქა გამოუწოდა, და ისიც ისე გადაყლაპა, როგორც პირველი.

მეორეს მესამე მოჰყვა, მესამეს — მეოთხე და...

ალექსა სალახი კარგა შეხურებული გამოვიდა დუქნიდან და სასაკლაოსკენ გასწია.

ახლა ალექსასთვის სულ ერთი იყო, თავისი თავი დაღუპულად სცნო: კაცი რომ წამოუქციონ, იმასაც კი ყელს გამოლადრის, თორემ საქონელს ხომ სიკეთეს არ დააყრის და არა.

1895 წ.

„თხლაშოს“ სალახები ეძახიან შაურიან არყის ჭიქას, „წრუტოს“ — ჩამ კაპეიკიანს.

„...ხითხითებს და ხითხითებს“...

(ეტიუდი)

სიცილი, ტირილი, კოცნა, ლაპარაკი, ფეხის ხმა და ხრიალ-ჩხრიალი ერთმანეთში ირეოდა და გამოურკვეველი ხმა გამოისმოდა...

მატარებელმაც დაუსტვინა. დაიძრა... ფეხის ხმა მისწყდა. ხალხი დაიშალა. თითო-ოროლა-ღა დადიოდა ჩემს ახლო, ისიც რკინის გზის მოსამსახურე...

მე კი იქავე ვიდექი და ნაზად, ჰარმონიულად მეწვეთებოდა ყურთ ანას სიტყვები: „ხომ გაიგონეთ, რასაც ქაიხოსრო გეუბნებათ“?!

რას არ გავიგონებდი ქაიხოსროს სიტყვებს?! მაშ რაღას გავიგონებდი, თუ არა იმის ქმრის სიტყვებს: „არ დაგვიწყოთ, გვეწვიეთ ამ ზაფხულს“!.. ქაიხოსრომაც რა ზრდილობით მომმართა ამ სიტყვებით, როდესაც გამომემშვიდობა?! ვიდექი და ზევით, იმ მხარისკენ გაშტერებული გავიცქირებოდი, საითაც მატარებელი გაგნულდა, და ანა თვალიდან მომტაცა...

რომ არ მომრიდებიყო, იმ წამსვე ვისარგებლებდი დაპატიჟებით და ფეხით გავუდგებოდი გზას. შუადღის მატარებელსაც აღარ მოვუცდიდი...

* *

„მგონი დამივიწყე, — მწერდა ერთი თვის შემდეგ ანა: — და აღარც კი გაგონდები“...

— ანავ... ანავ!.. შენ დაგივიწყებ როდისმე?!. — წამოვიძა-

ხე წერილის წაკითხვის შემდეგ და მაშინვე ვაგზლისკენ გავ-ქანდი.

ჯერ მატარებლის გასვლის დრო არ იყო. ორი ჟამი მეტი სადგურზე ველოდი.

ოხ, რა ძნელია ლოდინი!.. მე მივისწრაფებოდი და უნდა მელოდნა კია. ორი ჟამი ორ საუკუნედ გარდამექცა... ვნატ-რობდი ფრთებს, მაგრამ ფრთებს ვინ გამომასხამდა.

გონების ფრთებმა კი დიდი ხანია მიმაფრინეს ანასთან და იმის სპეტაკ ხელებს დამაკონეს, მაგრამ ამით ვერა ვკმაყოფილ-დებოდი...

* * *

მიგნულავს მატარებელი. გააქვს დაგა-დუგი, მაგრამ... ფუი!.. მაგრამ ისა, რომ თითქოს კამეჩები აბიანო, ისე მიიწ-ლაზნება, მიცურავს... კედლებს ვაწვები, მინდა ავაჩქარო, ცო-ტათი მაინც წინ წავსწიო...

ახ, რატომ მემანქანე არა ვარ, რომ ელვასავით გავიტაცო მატარებელი და თვალის დახამხამებაზე ანას მივესალმო, რომ-ლის ლანდიც თვალწინ მეხატებოდა და მიახლოვებას მანიშ-ნებდა, მაგრამ, აი გაოხრდეს მატარებელი, წამდაუწუმ შეჰყვი-რებს, შეყვირებასთან ერთად მძიმედ ქშინვას ჰყვება და — ღმერთგამწყარალი! — დგება...

ეს გარემოება ხომ სულ მწამლავდა და ტანში მშლიდა. ვლანძღავდი ჩემ თავს, რომ წინადვე არ ვისარგებლე დაპატი-ჟებით და ერთი კვირის შემდეგვე არ ვეწვიე. ვლანძღავდი ჩემს მოკრძალებას, მორცხვობას, უიმედობას. ამისთანა დროს გა-ბედულობა, ურცხვობა უნდა და მეკი უმანკო ქალივით ვწითლ-დებოდი, მერიდებოდა და მარტო ვოცნებობდი...

ხა, ხა, ხა!.. რა სულელი ვიყავ!..

ანა საოცნებო ხრსებაა?.. გული მოგტაცა და დაისაკუთრა?. მიდი შენც, რომ იმისი გული დაიმონავო და არა შენს ოთახში იოცნებო, ინატროდე.

მაგრამ ახალგაზრდა ვიყავ მაშინ, მეპატივება. პირველი შემთხვევა იყო ჩემ ცხოვრებაში, რომ ისე გავეგიჟებინე ქალს.

ანამ გამიღვია პირველად გული, იმან დამიმონა და აბა პირ-ველ ხატს, პირველად წმინდანად აღსარებულ ქალს როგორ გავუბედავდი რასმე?!.

ვცდილობდი ჩემი გრძნობა დამემალა, რომ ამით შეურაცხ-ყოფა არ მიმეყენებინა. გამომჟღავნება, მეგონა, შეურაცხყო-ფას მიაყენებდა. ამგვარი შეხედულობის პატრონი რას გავ-ბედავდი?!.

შესაძლებელი იყო, სრულებით არ ვწვეოდი, რომ ანას არა მოეწერა.

წერილმა კი თვალები ამიხსნა და დამარწმუნა, რომ ისიც გულგრილად არ მიყურებს, რომ იმასაც უნდა ჩემი ნახვა. უთუოდ იცოდა, რომ მე ქოჩრამდის ვიყავ ჩაფლული და მხო-ლოდ ის იყო ჩემი ჩასაფიქრებელი...

* * *

— ძლივს!.. — წამოიძახა ანამ, როდესაც დილა ადრიანად

მგონია, ქაიხოსროს არა დაუხარჯავს-რა ამ საუცხოვო ჭალა-ტყეზე და ბუნებისათვის ჩაუბარებია იმისი მოვლა-პატრონობა. იქნება მხოლოდ ამისათვის იყო საუცხოვო, რომ ქაიხოსროს მზრუნველობითი ხელი არ შეხებია!..

— როგორ მოგწონთ აქაურობა?!

— მშვენიერება რამ არის!..

— ეს რა არის! აი, მთის წვერიდან უნდა გადმოხედოთ, რომ მაშინ შეიტყოთ აქაობის სიმშვენიერე!.. — თითი მიაშვირა ქაიხოსრომ ტყით შემოსილ მთას, რომელიც იქვე, სახლის გვერდიდანვე იწყებოდა, და შემდეგ ბიჭს გადასძახა:

— ბიჭო, ამოდი ბატონს პირი დააბანინე და ტანისამოსი გაუწმინდე!

ახლაღა მომაგონდა, რომ მთელი ღამე სადგურიდან ცხენით ვიარე და კარგა მტვერიც დამედო.

— უკაცრავად, რომ ასე გეახელით! — დარცხვენით ვუთხარი ცოლ-ქმარს და ტანსაცმელს ყურება დავუწყე.

— რა ბოდიშს იხდით. მგზავრის წესი ეგ არის. თქვენ კიდევ რა გიჭირთ, გუშინ ილიკო, ანდრო, ლევანი, თამარი და ელენე ისე დაგუნგლულები მოვიდნენ, რომ პირისახე აღარც კი ემჩნეოდათ. ახლავე გაიღვიძებენ და თუ გინდათ ჰკითხეთ. — მითხრა ანამ და ოთახისკენ გამიძღვა, სადაც პირი უნდა დამებანა და ტანისამოსი გამეწმინდა.

* *

მთელი ღამის უძილობამ იმოქმედა. როდესაც ბიჭმა მარტოდ დამტოვა, მოწყვეტით მივწექი ლოგინზე, რომ ცოტათი მუხლი მომესვენებინა, და ოცნებობა დავიწყე. საოცნებო სავნად, რასაკვირველია, ანა მყვანდა და იმაზე ვფიქრობდი. სოფელი მოხდენოდა. იმისი სიმშვენიერე გაათკეცებულიყო... ჩემს ოცნებაში ხომ გადიდდა იმისი სიმშვენიერე... გაფართოვდა... ეთერად გარდიქმნა... ოთახი მხოლოდ იმისი სიმშვენიერით იყო მოცული... ანა ყველგან არის: იქაც... აქაც...

— უხ!.. — წამოვიძახე, თვალები მოვიფშვნიტე და საათს დავხედე.

უკვე მეთორმეტე ჟამი შესრულებულიყო, სრული ექვსი ჟამი მძინებია. საჩქაროდ შევიბანე პირი და გარეთ გაველ.

— ოხ, მძინარავ, საით მიემგზავრები! — წამოიძახა ნაცნობმა ძვირფასმა ხმამ, როდესაც ბაღი გავიარე და მთის ბილიკს შევუდექი...

— თქვენ აქა?!.. განა სხვებთან ერთად იქ არა ხართ?!..

განცვიფრებით დავეკითხე ანას და ხელი მთის წვერისკენ გავიშვირე.

— მაგრე რად გაიკვირვე?! — ღიმილით მკითხა და ჩემსკენ წამოვიდა.

— ქაიხოსრომ მითხრა, ყველანი ზევით წავიდნენო...

— განა მე „ყველას“ შევადგენ?

— ჩემთვის? — კი...

— სუ!.. — ღიმილით თითი დამიქნია და აღარ განმაგრძობინა. — ახლა პირდაპირ იქ ახვიდოდით?.. — მკითხა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— დიაღ!.. მხოლოდ იმ იმედით, რომ იქა გპოვებდით.

— კიდევ, ცბიერო?!.. მე ვიცი, ვინც არის შენი „ყველა“ და ვისთვისაც ახვიდოდი მთის წვერზე, ელენე, თამარი, კატო და... იქ არიან, ხომ მოგწონან და ერთი მათგანი კიდეც გი...

— ანავ!.. — გავაწყვეტინე ხმა.

— რა, განა ტყუილს გეუბნები?!..

— დამცინით თუ რა არის, როდესაც კარგად...

— წავიდეთ იქ. მე ხელს არ შეგიშლი. პირიქით, საშუალებას მოგცემ უფრო დაგაახლოვო იმასთან... — თითქოს ჩემი სიტყვები არც კი შესმენია, ისე ლაპარაკობდა და თან საითკენღაც გაიცქირებოდა.

მე არც კი მიცქეროდა. მე კი შევცქეროდი და იმისი ამგვარი გულგრილად ლაპარაკი ცეცხლს მიკიდებდა.

— ანავ, მე თქვენს გვერდით მინდა ამომივიდეს სული და თქვენ კი...

— მაშ კარგი!... — უეცრივ კილო შესცვალა და შუბლი შეკმუხნა.

— ანავ!... — ეს-ღა წამოვილუღლუღე და ციოფლდასხ-შულმა უკან დავიწიე.

მეგონა ჩემმა თავხედურმა ლაპარაკმა გული მოაყვანინა და ამის გამო დარცხვენილი თავის მაღლა აღებას ვერ ვბედავდი.

— ჩემო მიტრო, მაგრე უეცრად სასოწარკვეთილებამ რად შეგიპყრო?! — ისე ჩუმად, ტკბილად და სიყვარულით მითხრა, რომ გამომაცოცხლა, ღრუბელი გადამწმინდა და ნეტარებით დამადნო...

— ანავ!.. ანავ!.. ჩემო ანავ!.. — დაბნევით გავიძახოდი და თან გარს ხელებს ვხვევდი...

— მიტრო, მიტრო!.. — ჩემ მკერდზე მოსვენებული და თვალებმილულვილი ნიავსავით ჩამჩურჩულებდა მისუსტებულის ხმით, თითქოს თავის განძრევის ძალა აღარ აქვსო...

ამ გარემოებამ ხომ სულ გადამრია, თვალთ დამიბნელდა და...

— მხეცო!.. — მრისხანედ წამოიძახა, როდესაც თრთოლვით შევახე ტუჩები იმის თბილ ტუჩებს, და ერთი ისეთი სილა გამიშალა, რო თვალთაგან ნაპერწკლები გადმომცვივდა...

არ ვიცი, როგორ და რისთვის! გონება რომ შემრჩენოდა, იქნება, როდესაც სილა გამარტყა, ბოდიში მომეხადნა და მოვშორებოდი, მაგრამ ახლა კი მოვხვიე ხელები და მაგრად, მაგრად ჩავიხუტე.

— რაო, ძალასაც ხმარობ?!. ვაი, მიშველეთ!.. — დაიწივლა სასოწარკვეთილებით ანამ და ისტერიული ქვითინი აუვარდა.

გამიკვირდა კიდევაც, ქაიხოსრო რომ იმ წამსვე იქ გაჩნდა და შემომიტია „შემდეგ მოგთხოვთ პასუხს“-ო და მაშინვე ანას გვერდით მუხლებზე დაეცა: ხელებს უკოცნიდა, ამშვიდებდა, ეხვეოდა და...

მე?.. მე კი შერცხვენილი, დამცირებული ფეხაკრეფით გამოვიპარე...

* *

ვინ იყო დამნაშავე?.. მე თუ ის?.. არ ვიცი. მე კი ორსავე ვლანძღავდი: ჩემ თავს, რადგანაც გრძნობას თავისუფლება მივეცი და ისე ავატაცინე, ანას კი იმის გამო, რომ მითვალთმაქცა, წამაცდინა, რომ დავემცირებინე... ორნივე შემძულდა, შემეზიზღა.

პირველად გადამხდა თავს ეს დამცირება და ამისთვის მეტად მწვავეა, გონების ამხდელია. კიდევ კარგი, რომ თამარი და სხვები მთის წვერზე იყვნენ და ანას კივილი ვერ გაიგეს. თორემ, შენს მტერს, გარედ აღარ გამომესვლებოდა...

— ხა, ხა, ხა! — ვხარხარებდი გიჟივით: ვესტუმრე და იმავე წუთს შეურაცხყოფა მივაყენე ოჯახს, კარგია, შენმა მზემ. აი!

— აბა რას დადგებოდნენ და არ უამბობდნენ! — თან ამასაც ვფიქრობდი და ტანში ჟრუანტელი მივლიდა.

რაც დრო გადიოდა და ვუკვირდებოდი ჩემ საქციელს, უფრო მეტ სისაძაგლეს ვპოულობდი და უფრო მეტად ვიტანჯებოდი. დრომ მალამო ვერ დამდო.

* *

ოთხი დღე გავიდა. მე კიდევ მაინც ის შემთხვევა თვალიდან არა მშორდებოდა და ოთახში ტრიალის დროს ვიფურთხებოდი. ოთახიდან გარეთ აღარ გავდიოდი. მეგონა, ყველამ იცის და მასხარად მიგდებს. კედლებსაც კი ვეღარ შევცქეროდი, თვალს ვერ ვუსწორებდი, რადგანაც ისინიც კი იცინოდნენ, მასხარად მიგდებდნენ... ოთხი დღე შინ დავაღამე და მეხუთესაც დავაღამებდი, რომ შუადღისას ორი წერილი არ მომსვლოდა.

ორსავე შტემპელი იქაური ჰქონდა.

— ძლივს!.. — წამოვიძახე და თავისუფლად ამოვისუნთქე...

ვიცოდი, ქაიხოსრო მომწერდა. დაკმაყოფილებას მომთხოვდა. გადაწყვეტილი მქონდა გული მიმეშვირა და მე კი ხელი არ გამომეღო.

მაგრამ შინაარსმა გამაოცა.

„პატივცემულო დიმიტრი ნიკოლოზის ძევ, — სწერდა ქაიხოსრო: — ძლიერ გსწუხვარ, რომ ცოტათი გაწყენინეთ. გთხოვთ, დაივიწყოთ ყველაფერი და ისე ძველებურად იაროთ ჩემს სახლში. ვიცით, თქვენ სიყმაწვილით მოგვიდათ და ამისთვის ყურადღებას არ ვაქცევთ. იმის დასამტკიცებლად, რომ დავიწყებული გაქვთ, ამ კვირია გვეწვევით. დროსაც კარგად გაატარებთ, სტუმრები ბევრი გვყავს. ანაც გწერთ წერილს. იმედია, არ გაგვაცრუებთ...

თქვენი პატივის მცემელი ქაიხოსრო მახათელი“.

— დამციხის, თუ რა არის?? — ბრაზმორეულმა წამოვიძახე და დაჭმუჭნული წერილი ოთახის კუთხისკენ ვისროლე.

წაუკითხავი ანას წერილისათვისაც ისევ გზა მინდოდა მეჩვენებინა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ შემაყენა და გავხსენი.

„ჩემო მიტრო! უთუოდ მიწყრები, რომ ისე კადნიერად მოგეპყარ. ჩემი ბრალი არ იყო. იძულებული ვიყავი, ისე მომექმედნა. ეს კი იცოდე, ყველაფერი შენის გულისთვისვე ჩავიდინე. შენ ვერც კი წარმოიდგენ, რანაირად მიყვარხარ. ნეტავი შენც ისე გიყვარდე, როგორც მე შენ მიყვარხარ. კოცნის გულისთკის მიგაყენე შეურაცხყოფა. კოცნა კი არა, მზადა ვარ მთლად მოგეცე, დღემუდამ შენთან ვიყვე. ჩემი სურვილი ესაა და ესავე იყო კოცნამდისაც. სურვილი რომ სურვილადვე არ დამრჩენოდა და ოდესმე გამხორციელებოდა, შეურაცხყოფა მოგაყენე პირველი კოცნის დროსვე. მიხარიან კიდევაც, რომ პირველი შემთხვევისთანავე გარემოება მაგრე მოეწყო...

ჩემი ბებრუცუნა საშინლად იჭვნელობდა, თუმცა კი პირდაპირ გამოთქმას ვერ მიბედავდა. ვატყობდი, თვალყურს ადევნებდა ყოველ ჩემ ნაბიჯს და უზომოდ იტანჯებოდა. გეფიცები, შენს მეტი მე არავინ შემყვარებია და, ხომ იცი, რანაირად შორს ვიჭერდი თავს. რა ჰკლავდა, რა სტანჯავდა?!

„შენ რომ შეგხვდი მთისკენ მიმავალ ბილიკთან და ლაპარაკი დაგიწყე, ხომ გახსოვს, უეცრად როგორ სახე შემეცვალა? აი, სწორედ მაშინ შევნიშნე, რომ ქაიხოსრო მოიპარებოდა ჩვენსკენ და ჩუმად ხეს ამოეფარა. საშინლად მეწყინა.

ავირიე. მაგრამ იმავე დროს უეცრად გამიელვა აზრმა, რომ იმისთვის თვალები ამეხვია და იჭვნეულობა მომეშორებინა. მერწმუნე, იმ დღეს შენ იმდენად ნებას არ მოგცემდი, რომ საკოცნელად მომტანებოდი. ქაიხოსროს უმადლოდე, რომ ისე ჩქარა დავუახლოვდით ჩვენ ერთმანეთს. განა, მე გაგაბედვინე?!

„საუცხოოდ დაბოლოვდა ჩემი განზრახვა... ვერ წარმოიდგენ, ხელ-ფეხს რანაირად მიკოცნიდა, როდესაც შენ ფეხაკრეფით გაიპარე და მე კიდევ განგებ ისევა ვქვითინებდი!..

„მაპატივე, ჩემო ანავ!.. ნუ გამიწყრები!.. მე, სულელს, ეჭვი შემომქონდა!.. უსინდისოდ გზვერავდი... ვიჭვნეულობდი, განა არ ვიცოდი, რომ ერთგული ხარ, გიყვარვარ და მე კი... გეფიცები სიყვარულით მომდიოდა... ახლა კი“... — უგონოდ ხან რას გაიძახდა და ხან კიდევ რას...

„ძალიან ეწყინა, როდესაც შეიტყო, რომ წამოსულიყავ. საწყალ ბიჭს, როგორ შერცხვებოდა თავისი მოუფიქრებელი საქციელისაო, — გაიძახოდა და ბიჭის დადევნება უნდოდა, მაგრამ მე არა ვქენი.

„მე განგებ ძალას ვატანდი, უნდა საბრძოლველად გამოიწვიო და სამაგიერო გადაუხადო-მეთქი.

„— ახლა ვეღარ, ახლა ვეღარ... ახლა ისე ბედნიერი ვარ, რომ მინდა ყველამ იცოცხლოს, ყველანი მიყვარან, ჩემო სულო, და შენც გთხოვ, აპატიოო... — დაჟინებით მეუბნებოდა და ძალად (ეს ჩვენ შორის იყვეს: „ძალად“) წერილი მომაწერინა პატიების ნიშნად...

„ეხლა, ჩემო კარგო, ქაიხოსრო ისეა დარწმუნებული, რომ ერთ საბან ქვეშ რომ გვნახოს, სიამოვნებით გაიცინებს და სრულებით ეჭვს არ შემოიტანს ჩემზე...

„ასე არა სჯობია?!. საწყალი ქაიხოსრო, რად უნდა იტანჯებოდეს?!.

საფლავამდის შენი ანა“.

„წ. კ. სტუმრებს ასე ვუთხარით: მიტრო ტელეგრამით დაიბარეს და იმ კვირია ისევ ამოვაო. ეს ქაიხოსრომ მოახერ-

ხა. შენი აქ ყოფნა ძალიან უნდა და მე ხომ — გეცოდინება... უეჭველად გვეწვევი.

შენი ანა“.

— საზიზღარი თვალთმაქცი!.. — წამოვიძახე და ანას დაფლეთილი წერილი ქაიხოსროს წერილს მივაყარე. გაბრაზებული ოთახში დავრბოდი, ანას ვლანძღავდი, იმის საქციელს ვკიცხავდი და ქაიხოსროს უტვინობას ხომ... მაგრამ მეც რომ მომატყუა და წამაცდინა?.. ხა, ხა, ხა, ხა!.. — უეცრად გიჟივით გადვიხარხარე, როდესაც ჩემი წაცდენა მომაგონდა და განცვიფრებული ოთახის შუა შევდექი.

საჩქაროდ ანას საწინააღმდეგო გრძნობა სადღაც განჰქრა და ახლა მხოლოდ განცვიფრებამ შემიპყრო...

გადაწყვეტილი მქონდა, ანა აღარ მენახა, მაგრამ დავიძლიე, იმისმა ხორცმა წამძლია. მშვენიერი ტანის პატრონია ანა, მშვენიერისა: ახლა ანა კი აღარ მომწონდა, იმისი ხორცი...

* *

შინაური გავხდი. ანა უჩემოდ ვეღარა სძლებს, სულ ჩემთან არის და მე კიდევ იმასთან...

ქაიხოსრო?..

ქაიხოსრო კი, როდესაც ანასთან ერთად მნახავს, კმაყოფილებით ხითხითებს და ხითხითებს...

1896 წ.

„...მხრეები-ღა ავიჩეჩე...“

(ეტიუდი)

„...გადასცემ-გადმოსცემო, — მწერ: — და აბდა-უბდა, გადასკუპდას მომითხრობო“... სამართლიანად მისაყვედურებ, ძმაო ვარლამ. მართლადაც, წინა წერილში მოვდექი და გავიძახოდი: ვიტანჯები... სული მეხუთება... არიქა წყალიო... და სხვას არაფერს. რამ გამოიწვია ის სულისკვეთება?.. რამ მიმიყვანა ამ ზომამდის?.. ამაზე კრინტიც არ დამიძრავს... გაუგებარი იქნებოდა, მაშ რა! არ მიკიჟინო, ძმაო, წინანდელი წერილის გამო, რადგანაც ის შედეგი იყო დიდის ხნობით შეგუებებული ტანჯვის გადმონახეთქისა. ხომ კარგად იცი, როცა წყალი გადმოხეთქავს და წინ ვაკე ადგილი უძევს, ათას ტოტად გაიყოფა, განაწილდება და უგზო-უკვლოდ გაიფანტება?! მეც ისე დამემართა. ვაგუბე, ვაგუბე ხმის ამოუღებლად ჩემი ტანჯვა და, როდესაც უკიდურესობამდის მიაღწია, ჩემდა უნებურად გადმოხეთქა, აქა-იქ დაიქსაქსა და თავი თავს ვეღარ მოვუყარე. აი, ამისათვის იყო ისე გაუგებარი. ჯერ ახლაც ვერ შემიკრებია, ვერ დამილაგებია და, აბა, მაშინ რაღა იქნებოდა. არ ვიცი, ყველაფერს დაწვრილებით მოგწერ, თუ არა, მაგრამ ყველაფერს ნათლად დაგანახვებ. ჩემი განზრახვა და სურვილი ეს არის. ნამეტნავად მინდა, ყველაფერი ნათლად დაგანახვო, რადგანაც მხოლოდ მაშინ მიმიხვდები. გეყურება, მინდა მიმიხვდე-მეთქი და თანამიგრძნო...

„არა! ახლა არ ვეძებ თანაგრძნობას. ამისთვის არ გწერ: თანამიგრძნობ თუ არა — სულ ერთია. მე გამოთქმა მომინდა. შენმა სიტყვებმა: გამომჟღავნება ტანჯვას გაგინახევრებსო, ისე ამაკანკალეს, როგორც მშიერი კაცი ყველისა და

პურის დანახვამ. მე მგონია, მარტო გამომქღავნებაა საკმარი, რომ ტანჯვა შემიმსუბუქდეს და იმას კი აღარ დავსდევ, გამკიცხავ. თუ თანამიგრძნობ.

„ერთი ეს კია, შენი სიტყვები: „მე გამოუსადეგარი წერილების და ბარათების კალათას დამამსგავსეს: ვინც არა მგონია, თავის დარდს და ვარამს მესვრის და მიმატოვებს, თითქოს მოვალე ვიყო ყველას მოვუსმინო და მისი საიდუმლო მე ვატაროვო", მაგონდება და ცოტა არ იყოს მადუმებს. მით უმეტესად არ მეხერხება გამოთქმა, რომ ჩემი მტანჯველი საგანი ზოგადი არ არის, სხვისთვის სულ უმნიშვნელოა; მხოლოდ მე შემეხება და გრძნობაზე არის აშენებული. აბა, რა სასიამოვნო იქნება შენთვის ამისთანა დროს ამის მოსმენა! ვის რად ესიამოვნება ეხლა ჩემი, ვიღაც მოხელის, კერძო ტანჯვა მოისმინოს, როდესაც ყველა, თითქმის მთელი საქართველო გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ბანკის საქმეს, ადევნებს კი არა, მხურვალე მონაწილეობას იღებს ჭავჭავაძისა და მაჩაბლის ერთმანეთის დავაში.

„დარწმუნებული ვარ, შენც მხურვალე მონაწილეობას იღებ და ჩემ „აბდა-უბდა"-ს მოსასმენად, წაკითხვისთვის დრო აღარ გექნება.

„მაგრამ, ვარლამ, გეფიცები ძმობას, გწერ მხოლოდ იმისთვის, რომ შენვე მაბედვინებ, შენვე მეუბნები წერილით: უეჭვლად მომწერე, რა გტანჯავსო...

„იმედია, რადგანაც შენვე მთხოვე, წაიკითხავ და არ დამცინებ, არ გამკიცხავ, როდესაც ჩაიკითხავ ბოლომდის, რომ ამისთანა დროს რაღაც გრძნობაზე, სიყვარულზე გწერ...

„ეს კი მინდა გითხრა, რომ რანაირი დროც უნდა იყოს, თუ გატაცებული ხარ ერთი საგნით, შენი არსება შეუპყრია ამ საგანს, ლურსმანივით ტვინში ჩაგსმია და ყოველ წუთს თავის არსებობას გაგრძნობინებს, მერწმუნე, მაშინ, ჭავჭავაძისა და მაჩაბლის მჭევრმეტყველება კი არა, ქვეყანაც რომ ინგრეოდეს, თავს არ მოგაფხანინებს...

„ეს ხომ სულ ერთია, რანაირი ხასიათისაც უნდა იყვეს საგანი. ყველაზე უფრო ძნელი ის საგანია, რომელიც გრძნობაზე არის დაფუძნებული. მაშინ ნამდვილ მონად გარდაიქმ-

ნები. კაცი თავიდანვე უნდა ეცადოს, რომ ამ წერტილამდის არ მიაღწევინოს და თუ მიაღწევინა, მაშინ, დამეთანხმე, გასაკიცხი არ არის...

„მიხვდი?.. ახ, რანაირად მინდა მიხვდე... შეიგნო... მხოლოდ მაშინ თანამიგრძნობ და..

„გავაბი!.. მინდოდა კალმის აღებისთანავე დამეწყო საგანზე ლაპარაკი და მე კი, ვინ იცის, რაებს არ ვჩმახავ!.. მიზეზი ისევ ის არის: გონება ვერ მომიკრეფია და ვერ დამიწყვია...

„პირდაპირ მოგწერ: ამ ორი თვის შემდეგ ჯვარს ვიწერ...

„აი მიზეზი, აი ის გარემოება, რაც მე სულს მიხუთავს, რაც სამსალას მასმევს და მკლავს...

„გიკვირს განა? თვალწინ მეხატება შენი განცვიფრებული სახე და შენი წაბუტბუტება: „გაგიჟებულა! სხვა მოუთმენლად მოელის ამ ნეტარ წუთს და ის კი რას გაიძახის“. მკაფიოდ მეყურება...

„დიაღ, სხვა მოუთმენლად მოელის და მე კი მტანჯავს. რაც ახლოვდება ეს წუთი, მით უფრო ტანჯვა მიცხოველდება.

„რა არის ამისი მიზეზი?

„არ ვიცი. ვიცი, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ. ყველაფერს თავიდან მოგწერ, მოგწერ უტყუარ ამბავს და მერე შენ თითონ დაასკვენ. მაშ ეგრე:

I

„ბედმა თუ უბედობამ ამ ორი წლის წინად, როგორც იცი, ქ. ქ. მარგუნა საცხოვრებლად. ნაცნობი არავინ იყო ჩემი და თვისი ხომ სულ არავინ.

„მატარებელი უახლოვდებოდა. მე სარკმელს არ ვშორდებოდი, ისე გამიტაცა ბუნებამ: ტყე, ველი, ხევი, ღელე, გაფურჩქვნილი მინდორი მიჰქროდა ჩემ თვალწინ და მხოლოდ ერთს, ნაზის სიმშვენიერის, შთაბეჭდილებას სტოვებდა ჩემში; მინდოდა დავმხობილვიყავ და დავკონებოდი ამ ნაზ სიმშვენიერეს, მაგრამ შეუძლებელი იყო: მატარებელი დაგადუგით მიგნულავდა და სურვილი სურვილად რჩებოდა...

„მატარებლიდან სიგნალი მისცეს. მივუახლოვდით სადგურ რიონს.

„რაღა მრჩებოდა? სულ ერთი ჟამი ან ჟამნახევარი. სადგური სავსე იყო ხალხით. აქ შეხვდებოდით თავადს, აზნაურს და გლეხს. ყველანი კი წარმტაცის ზრდილობით მიხვრამოხვრისანი იყვნენ, ტკბილად, გენაცვალობით მოსაუბრენი...

„ახ, რომ შემეძლოს, ყველას გადავეხვევი და გულში ჩავიკრავ-მეთქი, ვიძახდი უსიტყვოდ და გაფაციცებით ყურს ვუგდებდი და თვალს ვადევნებდი იმერეთის ძეთ.

„ბედნიერად ვრაცხდი ჩემ თავს, რომ ბედმა ამ ხალხის შორის მარგუნა ცხოვრება. მინდოდა ჩქარა მივსულიყავ, დაებინავებულიყავ, რომ სულით და ხორცით მივსვენებოდი ამ ზრდილ საზოგადოებას, ჩემ საუკეთესო მოძმეთ...

„მაგრამ... არ ვიცი, მე ვიყავ დამნაშავე თუ საზოგადოება, მალე, სულ მალე მივატოვე და ჩემს ოთახს და ბუნებას დავუმეგობრდი. მგონი, მე ვიყავი დამნაშავე. მე პატარაობიდანვე განმარტოებას ვეძებდი და ეხლაც განვმარტოვდი. ყოველთვის ბუნებას ვიმეგობრებდი, ეხლაც ბუნებას მივესვენე და ხშირად, ძალიან ხშირად რიონის პირას ღამეს ვუთევდი. ვსცდილობდი, შემესწავლა იმისი ენა და გამეგო საიდუმლო მისი მოთხრობა. მაგრამ როდესაც კი ვიტყოდი: „აი ეხლა კი მივხვდი, ეხლა კი დავირბენ გონების თვალით ყოველ იმის საიდუმლოების ჯურღმულს, ეხლა ყოველივე ცხადი იქნება ჩემთვის“ და გადავხედავდი მჩქეფარე ტალღებს, რომ გულდასმით ყოველივე ამომეკითხნა, მაშინვე უარეს წყვდიადით მოიცვოდა, მოერღვეოდა ძირი და ქვევით, ქვევით სიბნელით მოცულ უფსკრულს მიექანებოდა, და უფრო გამოურკვეველ, ჩახვეულ, მიუკარებელ და თვალმიუწდომელ საიდუმლოებად მრჩებოდა...

„— არ გადავარდეთ!.. — შემომესმა ნაზი, გულმტკივნეულობითი ხმა, როდესაც მე წამოწოლილი რიონის მჩქეფარე ტალღებს დავსცქეროდი და თანდათან წინ ვიწეოდი, რომ გაქანებული რიონის ძირისთვის თვალი მიმეყოლებინა.

„ავიხედე ზევით და...

„ახ!.. ჩამავალი მზე ზურგიდან მოჰქცეოდა და მთლად

სხივებში გაეხვია თმაგაშლილი ასული, მეტად მშვენიერი არსება, რომელიც დაღვრემილის სახით შემომცქეროდა და თითქოს საყვეღურს მეუბნებოდა...

„— ვინა ხარ, მშვენიერო, მოხვედი სითა, ხარ ამ ქვეყნისა თუ ციური, მოფრინდი ცითა“?.. — ვახტ. ორბელიანის სიტყვებით* ჩემდა- უნებურად დავეკითხე და მუხლმოდრეკით ხელები გავუწოდე. ჩამავალი მზის სხივები კი, ასულის სხეულიდან უკუქცეულნი, ისრებივით იფანტებოდნენ და ისე მეჩვენებოდნენ, თითქოს ასულია სხივოსანი და ის არის წყარო ამ სხივებისა...

„განცვიფრებული ვიდექ მუხლმოდრეკით და ხელებგაწვდილი შევცქეროდი უცხო არსებას....

„— ყმაწვილო, ფეხზე ადექით!.. — ღიმილით მითხრა და ხელი წამავლო.

„მეც ავყევი. შევხედე მზეს და მოჩვენება განქრა.

„ჩემ გვერდით იდგა მეტად მშვენიერი გულჩინა, რომელიც რამდენჯერმე შემხვედრია ქუჩაში და კიდევაც ვიცოდი იმისი ბინა, რადგანაც პირველ შეხვედრაზე ისე წარიტაცა თავის სიმშვენიერით ჩემი სული და გული, რომ ჩუმად მივყევი და დავიხსომე იმისი ბინა...

„გამეხარდა, რომ ეს გულჩინა იყო და არა ციური არსება, რადგანაც ციური ცისკენ გასწევდა და ეს კი ქვეყნად იქნებოდა, და მეც შემთხვევა მექნებოდა, დავმტკბარიყავი ამის სიმშვენიერით.

დიაღ, გამეხარდა, რადგანაც მიუწდომელ არსებად ვრაცხდი და ეხლა კი თავის ფეხით მოვიდა ჩემთან და ასე თანაგრძნობა გამოიჩინა.

„ — გულჩინა, ნუთუ თქვენა ხართ?!. — დავეკითხე, როდესაც განცვიფრებიდან გამოვერკვეე.

„— რა იყო, არ მომელოდით?!. მე აქ დავსეირნობდი, უეცრად დაგინახეთ ნახევრად გადაკიდებული. შემეშინდა, გამოვიქეცი, ისე მოვრბოდი, რომ ქუდი ქარმა მომგლიჯა და აი თმაც გამეწეწა... — დარცხვენით, თითქოს ბოდიშის მოხდით ჩაილაპარაკა და თავი დახარა...

„*ომეი“, პოემა ვახ. ორბელიანისა.

„ — ვმადლობ შემთხვევას, რომ...

„— წავიდეთ! აგერ მზეც ჩავიდა. გამაცილეთ... — აღარ დამასრულებინა სიტყვა გულჩინამ და გაბრუნდა ქალაქისაკენ...

„— განა შეიძლება ამით გათავდეს ჩვენი ნაცნობობა? — დავეკითხე, როდესაც სახლს მივუახლოვდით და უნდა გამოვემშვიდებოდი.

— რათა, ხშირად შევხვდებით...

„ცოტა არ იყოს, უსაზოგადოებამ შემაწუხა. ხშირად. როდესაც განმარტოვებით ვიყავ, ჩემი გარემოებით არ ვიყავ კმაყოფილი, ხშირად კი არა, თითქმის ყოველ წამს ეულობას ვგრძნობდი, და ჩემი არსება თხოულობდა სულით და ხორცით შეერთებას, დაკავშირებას ისე, რომ ორნი ერთ არსებად ვყოფილიყავით. წინადაც ეს მემართებოდა, როდესაც ჯერ არ გამეწყვიტა კავშირი საზოგადოებასთან. იმათი სულიგული არ მაკმაყოფილებდა და მეც... იქნება ეს იყო მიზეზი, რომ გავშორდი საზოგადოებას...

„— მაშ ნებას მაძლევთ, ვიცნობდეთ ერთმანეთს?.. — სიხარულით, სულ მოულოდნელის სიხარულით დავეკითხე გულჩინას.

„მევე გამიკვირდა ჩემი სიხარულისა და დარცხვენით თავი ჩავღუნე, რომ არ შეენიშნა.

„— ნებას კი არა, გთხოვთ კიდევაც, დაახლოვებით გავიცნოთ ერთმანეთი. — მითხრა და ხელი გამომიწოდა.

„მე მინდოდა მეთქვა: „ცოტახანს ბულვარში გავიაროთ-მეთქი“, მაგრამ გავჩუმდი და ხელი გავუწოდე.

ბულვარის მოგონებაზე ტანში ჟრუანტელმა დამიარა და, მეგონა, გულჩინას ბულვარის ხსენებით შეურაცხყოფას მივაყენებ-მეთქი. ამის გამო ჩემდა უნებურად ენა ჩამივარდა და გამოვემშვიდობე.

„შენი არ ვიცი და მე კი ბულვარი რაღაც უტვინობის ბუდედ, სამაჯანკლო ადგილად მიმაჩნია.

„ჩემზე ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა და არ ვიცი, რამდენად მართალია: იქნება ვსცდებოდე და არ დავიჟინებ...

„დავბრუნდი სახლში. მთელ ღამეს გულჩინა სხივებში

გახვეული მედგა თვალწინ, და არა მჯეროდა, თუ ყოველივე ზევით აღწერილი ამბავი ცხადლივ მოხდა...

„ერთი კვირა გავიდა და მე გულჩინა ვეღარ ვნახე... რამდენჯერმე ავუარ-ჩავუარე იმის სახლს, მაგრამ ტყუილად, გულჩინას თვალიც ვერ მოვკარი...

„ქვესკნელს ჩავარდა თუ ცაში აფრინდა“! — გავიძახოდი და გონს ვერ მოვდიოდი...

„მზის ჩასვლისას ხომ ყოველთვის რიონის სტუმარი ვიყავ და იქ გულჩინასაც მოველოდი...

„რად მემართებოდა ეს?!. რა იყო მიზეზი, რომ ასე გაიტაცა ჩემი გონება, რომ რიონის რისხვაგმინვა აღარ მეყურებოდა და იმის ბაასისთვის ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც ყური არ დამიგდია?!.. არ ვიცი...

„ყოველ წამს, როდესაც კი ნაცნობ რიონის პირას ვიყავი, გადავეკიდებოდი ხოლმე, რამდენადაც კი შესაძლო იყო, წყლისკენ ვიწევდი, თითქოს გულმოდგინედ თვალს ვადევნებო, მაგრამ ყური და თვალი სხვაგნით მქონდა.

„ან ეხლა და ან ეხლა გაისმის იმისი ხმა და ისევ ისე სხივებში გახვეული თვალწინ წარმომიდგება“, — ვფიქრობდი, მაგრამ ამაოდ გულჩინა თითქოს სამუდამოდ განჰქრა ჩემთვის...

„ხა“!.. — ბავშვური სიხარულით წამოვიძახე და ტოკვა დავიწყე, როდესაც მეორე კვირას რიონისკენ მივდიოდი და შორი-ახლოს გულჩინას თვალი მოვკარი.

„არ მინდოდა, რომ გულჩინას შეემჩნია და ამისათვის თავი შევიმაგრე. ვითომ არც კი ვხედავდი, ისე წავედი იმისკენ.

„— თავის დასახრჩობად ხომ არ მიდიხართ რიონისკენ?— შემაყენა გულჩინამ, როდესაც თავჩაშვებული დავუპირდაპირდი.

„— ახ, ვერ შეგამჩნიეთ!.. — ვითომ შეკრთომით წამოვიძახე და შემდეგ ხელის გაწდომით კითხვაზე ვუპასუხე: — იმედია, თქვენ დამიხსნით.

„— დიდის სიამოვნებით, მაგრამ თქვენ კი გულცივი ყოფილხართ.

„— როგორ?!,

„— ერთი კვირა მეტი ავად ვიყავი და თქვენ ერთხელაც არ მიკითხეთ...

„— თქვენ ავად იყავით?!

„— რას გაიკვირვეთ?

„ — გავიკვირვე კი არა...

„— რატომ არ დაათავებთ?

„— გულჩინავ! — უეცრად კილო ჩემდა უნებურად შეშეცვალა და აკანკალებულის ხმით დავიწყე: — რომ მცოდნოდა, ვინ თავმკვდარი არა გნახავდით, გინდაც კეტით გამოვეგდე თქვენებს. ხომ თქვენები არ მცნობენ? ამას არ დავერიდებოდი... არ მოვერიდებოდი მხოლოდ ერთის პირობით, თუ კი თქვენ საწყენად არ დაგრჩებოდათ.

„— საწყენად რომ დამრჩენოდა, არც გისაყვედურებდით.

„არ მახსოვს, როგორ მოხდა, რომ ამ ლაპარაკში წავედით და ნაცნობ რიონის პირს წავადექით. მაშინღა მივიხედ-მოვიხედე და ძლიერ გამიკვირდა. არა ნაკლებ გულჩინას უკვირდა.

„— თვით განგებამ წამოგვიყვანა აქეთ, რომ ის ნეტარი ჩვენება გამიმეორდეს! — წამოვიძახე და ალერსით შევხედე გულჩინას.

„— თქვენ უნდა კლდეს გადაეკიდოთ, რომ ჩვენებამ თავისი სახე მიიღოს.

„— ამ წუთსავე! — წამოვიძახე და საჩქაროდ კლდის ნაპირს მიველი, რომ გადავკიდებულიყავ.

„— რას სულელობთ!.. — ისე გულმტკივნეულობით წამოიძახა და საჩქაროდ ხელი დამიჭირა, რომ მე სულ დავიბნიდე. თვალები სიხარულის წყლით ამევსო და...

„მადლობის გადახდის ნიშნად უნებურად ხელი ისე მოვუჭირე, რომ იმისმა თითებმა ჩემს თითებს შუა ღრაჭანი გამოსცა.

„უთუოდ ძალიან ეტკინა თითები, რომ გულჩინა წელში გადიხარა და ოდნავ შეჰკივლა.

— მაპატიეთ, მაპატიეთ! — დაბნევით წამოვიძახე, როდე-

საც შეჰკივლა და თითებს ოდნავ სრესა დავუწყე, რომ შეყვენებული სისხლი მოძრაობაში მომეყვანა.

„— გაპატივებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელს მომირჩენთ. — მითხრა გულჩინამ.

„— როგორ?

„— თუ კი ტკენა იცით, მორჩენაც უნდა იცოდეთ...

„— ვიცი, მაგრამ... — არეულად ვუთხარი ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

„— მაგრამ რა?

„— მაგრამ ისა, რომ ამ საშუალებისათვის ვერ მიმიმართავს.

„— რა საშუალებაა? — დამიჟინა გულჩინამ.

„— ბავშვი რომ იტკენს რასმეს, მაშინ ნატკენ ადგილს დედა ან ძიძა რას უშვრება?! — დავეკითხე და თან ხელს ზევით ვეწეოდი.

„— ოჰ, ჩემო ძიძავ, მომირჩინე ხელი!.. — სლუკუნით მომმართა იმან.

„— მოგირჩა ეხლა, ჩემო პატარავ. ხომ აღარა გტკივა?.. — ვეკითხებოდი, როგორც ძიძა და თან ნატკენ ხელს ვუკოცნიდი.

„— ჰო, ჰო!..

„მეორე ხელსაც დავუწყე კოცნა, მაგრამ გულჩინამ კუკან გასწია და ღიმილით შემომძახა:

„— ძიძავ, ეგ ხელი ხომ არა მტკივა?

„— განა არ შეიძლება გეტკინოთ?!

„— ეჰე!.. — თავი გაიქნ-გამოიქნია და ხელი მხარზე დამადო, რომ ახლოს არ მივეშვი.

„ასე ვიდექით დიდხანს. ვგრძნობდი იმის ხელის სითბოს მხარზე და ელვასავით ტანში მივლიდა. დამასუსტა, მომქანცა ამ სითბომ, ნეტარმა სითბომ. მგონი, ისევე ემართებოდა იმასაც, რომ ფერი თანდათან ეცვლებოდა, რაც სიმშვენიერეს უათკეცებდა, და პირშემცქერს გონებას მხდიდა...

„ქუხდა და მრისხანებდა რიონი... ესროდა თავის ტალღებს იმ კლდეს, რომელზედაც ჩვენ გადახვეულები და ჩაკონილები ვიდექით...

„არა გვეყურებოდა რა. სააქაოს იმ წამს ჩვენთვის მხოლოდ ერთი დიადი გრძნობა შეადგენდა, რომლითაც ორნივე ვიყავით გამსჭვალულნი, ერთ არსებად ვიყავით გარდაქცეულნი და ამისთვის ნეტარნი.

„ოხ, რა ნეტარებაა, როდესაც გგონია მაინც, რომ შენი არსება მეორეს შეუერთე და ორნი ერთ არსებად ხართ გარდაქმნილნი, რომ „შენ“ „ის“ ხარ და „ის“ კიდევ „შენ“...

I I

„სწორედ ასეც მომივიდა. მეგონა, მხოლოდ მეგონა, რომ გულჩინაც იმასვე ჰგრძნობდა, რასაც მე. ეს იყო პირველი და უკანასკნელი. მხოლოდ მაშინ გამოვცადე ნეტარება და იმისთვის, რომ მწამდა, რომ გულჩინაც იმასვე ჰგრძნობდა, რასაც მე.

„სულ ერთი წუთის შემდეგ გამოვფხიზლდი.

„— გულჩინავ, მიყვარხარ, მიყვარხარ და შენ კიდევ კითხვას არ გაძლევ: „გიყვარვარ თუ არა“, რადგანაც შენი მოქმედება უსიტყვოდ მიმტკიცებს. — ვუთხარი მე, როდესაც ტუჩი-ტუჩს გავაშორეთ და ხელი-ხელს ჩაკიდებულები აღგზნებით ერთმანეთს შევსცქეროდით.

„— გიხარიანთ? მე არ მინდოდა გამეგებინა თქვენთვის ჩემი გრძნობა, მაგრამ ეგ არის ჩვენი უბედურება, რომ ვერ დავმალავთ და კაცებიც სარგებლობთ. — დაღონებით მითხრა გულჩინამ და თავი ძირს ჩაჰკიდა.

„— როგორ?!

„— შეურაცხყოფას მიაყენებთ და მერე ეტყვით: უკაცრავად, კი არ მიყვარდით, გამიტაცევითო. ამით გაათავებთ და მიატოვებთ ქალს.

„— მე მაინც ვერ მიგიხვდით!

„— თქვენც სხვებს ჰგვანებიხართ და ამისთვის მეუბნებით: მე მაინც ვერ მიგიხვდითო.

„— მაშ რა უნდა მეთქვა, გულჩინავ, გარკვევით მითხარით? — სიტყვა გავაწყვეტინე და ხელი-ხელს უფრო მოვუჭირე.

„— არაფერი, წავიდეთ!.. — მოკლედ მიპასუხა და გზას გაუდგა.

„მეც ამოვუდექ გვერდით და გაჩუმებული გავყევი.

„რა უნდოდა ეთქვა: შენც სხვებს ჰგვანებიხარო... მაგაზ არ მეტყოდიო...

„ვფიქრობდი და მაინც ვერ მივხვედრილიყავ... ხომ არა ეწყინა-რა? ვეკითხებოდი ჩემ თავს და მევე ვაძლევდი პასუხს: რა უნდა სწყენოდა... მხოლოდ ნეტარებას იგრძნობდა, როგორც მე, და ისევე ბედნიერად უნდა სთვლიდეს თავს, როგორც მე...

„— გიყვარვარ?! მე დიდი ხანია თვალს გადევნებდი, მომწონდი ძალიან, მაგრამ ვერ ვბედავდი შენს გაცნობას, მეშინოდა...

„— გულჩინავ!.. — იმის სიტყვებით სანთელივით დამდნარმა წამოვიძახე და ლმობიერად დავუწყე მზერა. — მაშ გიყვარვარ? ჰა, ჰა?!

„— ჩემო გაიოზ, ჯვარს როდის დავიწერთ? — თვალის კაკლების გადატრიალებით დამეკითხა და თავი დახარა...

„გამოვფხიზლდი. თითქოს ცივ წყალში ჩამაყურყუმელავესო, ისე იმოქმედეს იმისმა სიტყვებმა. ეხლა კი მივხვდი, რას ნიშნავდა იმისი სიტყვები: „თქვენც სხვებს ჰგვანებიხართ და“... მეწყინა, საშინლად მეწყინა. გულჩინა მე არ მეკუთვნოდა და იმ წამსაც კი, როცა მეგონა: „ჩემი არსება იმის არსებას შეადგენდა და იმისი კიდევ ჩემსას“, მე არ მკუთნებია, უთვალთმაქცნია.

„ტყუილია?! ჰა?.. განა გულწრფელი გრძნობა იკითხავს ჯვარისწერას?!

„ჯვარისწერა და ყოველი მაგგვარი ჩვეულება თავის თავად შეუმჩნევლად მოჰყვება გულწრფელს სიყვარულს.

„უეცრად, როგორც გწერ, გამოვფხიზლდი და დავინახე ჩვეულებრივი ქალი, გასათხოვარი, რომელიც ცდილობს ბადეში გააბას საქმრო. ამ ქალს გულჩინა ერქვა და არაფრით არ განირჩეოდა მარიამებისაგან, კატოებისაგან, ნინო-ელენეებისაგან. იმის კითხვამდის-კი გულჩინა სულ სხვა არსება მეგონა,

მეგონა, გულჩინას შეეძლო სიყვარული, სიყვარული უანგარო, გულწრფელი. მაგრამ... აი, სწორედ ეს „მაგრამ", რომელიც საცა არა მგონია გამოინასკვება, გადამეღობა წინ და შემაყენა და მაშინვე არ მოვკურცხლე, რომ გულჩინა შორს, შორს დამეტოვებინა, რომ იმისი აჩრდილიც კი აღარ დამენახა...

„— გაიოზ, მაგრე რად დაღონდი?!

„— მე?.. არა, დაღონებული არა ვარ!.. — დაბნევით ვუპასუხე და თვალი მოვარიდე.

„— ვიცი, ვიცი... განა ტყუილად გითხარი წეღან: შენც სხვებსა გევხარ-მეთქი...

„— მე?.. არა და არა!.. ნუ გგონია, მე უარს ვამბობდე. ჩემი მოქმედება ცხადად გაჩვენებთ ჩემს განძრახვას და აქ სიტყვებს რაღა ადგილი აქვთ.

„— ყველა მაგრე იძახის და ბოლოს კი გეუბნებიან: როდის გითხარი, შეგირთავო!..

„ყველა, ყველა"... გეყურება, ვარლამ, რა მითხრა გულჩინამ, „ყველაო"... ხა, ხა, ხა!.. მეორე საბუთი მომცა, მოვშორებოდი, მაგრამ მე კიდევ, აი, რა ვუპასუხე:

„— გულჩინავ, ყველა მაგას გაიძახის და მე კი არა, მე საქმე მწამს და არა სიტყვა... გამიგონე, შენ მომწონხარ და რომ არ მომწონებოდი, ისე თავდავიწყებით არც მოგექცეოდი...

„— რა ვუყოთ მერე, რომ...

„— ისა, რომ მე შენზე ჯვარს დავიწერ და...

„— გაიოზ, ოჰ, რა მიყვარხარ!.. — აღტაცებით (რა ვიცი, აღტაცებით წამოიძახა თუ არა. გარეგნობით კი ყოველი იმისი კუნთის მოძრაობა აღტაცებასა ნიშნავდა) წამოიძახა და ღიმილით თვალები მომაპყრა.

„— გულჩინავ, არა გკითხავ: გინდივარ თუ არა, რადგანაც შენი მოქმედება შენს სიტყვებზე მჭევრმეტყველად მიმტკიცებს. ჩვენ ერთმანეთისანი ვართ. ამ წუთს მაინც. გთხოვ, ჯერ ჩვენ შორის დარჩეს... იქნება რა მოხდეს. შეიძლება ცუდი მხრით გავიცნოთ ერთმანეთი, შეიძლება საძაგელი კაცი აღმოვჩნდე და მოისურვო თავიდან მოშორება. ეს უფრო ადვილი იქნება მაშინ, როდესაც არავის ეცოდინება. ხომ იცი, ეხლავე

რომ გამოვაცხადოთ დანიშვნა, უფრო ძნელი იქნება ჩვენი განშორება, საზოგადოებისა მოგვერიდება.

„— რა კარგი რამა ხარ, ჩემო გაიოზ!..

III

„გულჩინა ამის შემდეგ ჩემად ითვლება. ის ყოველთვის მეუბნება: ჩემო გაიოზ, მე ხომ შენი ვარ და შენიო. გეყურება, შენი ვარო! მართლა ჩემია? იმისი სიტყვები ნამდვილია?! აი რა არის მიზეზი, რომ ვიტანჯვი, რომ სული მეხუთვის. არ ვიცი, ჩემია თუ არა.

„კანონიერად კი ჩემია. ეს უტყუარია, რომ მე ცოლად გამომყვება და ჯვარსაც დავიწერთ. დღესაც რომ ვუთხრა: წავიდეთ, ჯვარი დავიწეროთო, ის მაშინვე გამომყვება და ჯვარს გადიწერს...

„თითქმის დამთანხმდა. თითქმის კი არა, მომიწონა კიდევაც, როდესაც მე ვუთხარი: ჯერ ჩვენ შორის იყვეს-მეთქი, მაგრამ, წარმოიდგინე ჩემი განცვიფრება, როდესაც შევიტყე, რომ მეორე დღესვე მთელმა ქ—მა იცოდა.

„ვინ შეატყობინა ეს ამბავი?..

„რასაკვირველია, გულჩინამ. იმის მეტი ვინ იტყოდა, როდესაც სხვამ არავინ იცოდა.

„რამ აიძულა გამოქვეყნება?!

„არ ვიცი. იქნება, როგორც ვფიქრობ, გულჩინამ შემატყო გამოცვლა და ისიც კარგად გაიგო, რომ საზოგადოების ხმისა მერიდება და აალაპარაკა ხალხი, რომ განშორების საშუალება მოესპო, შევებორკე...

„გულჩინა მეტისმეტად ლამაზია, კოკლუცია, იმაზე ცუდი არა მსმენია რა, იმას ყველა სიხარულით ცოლად შეირთავს და რად მოინდომებდა ჩემს შებორკვას?.. რად?..

„იქნება, მართლა გულწრფელად ვუყვარვარ და სიხარულით სხვებს ახარა თავისი ბედნიერება?!

„ხა, ხა, ხა, ხა, სიხარულით ახარა-მეთქი! რა ნახა ჩემში, რომ შემიყვარა?.. არა, არა და არა, იმას არ ვუყვარვარ!

„ეტყობა, ყოველი იმისი ნაბიჯი იმას მიმტკიცებს, რომ იმას არ ვუყვარვარ, რომ იმას ჩემი პატივისცემაც არა აქვს.

„მე რომ გულჩინა გავიცანი, ქვეყანაზე იმის მეტს ვეღარავის ვხედავდი. მინდოდა, ყოველ წამს, ყოველ წუთს იმის გვერდით ვმჯდარიყავ და მარტო იმისთვის მემზირნა.

...„თუ კი მე მემართებოდა ეს, რატომ იმას არა, რატომ ის კი არ სცდილობდა და არა სცდილობს, როგორც მე, რომ ჩემთან ერთად ყოფნის შემთხვევა მოიპოვოს?!

„რამდენი ღამე მითევია იმის სარკმლის ახლო, რამდენჯერ ამივლ-ჩამივლია, რომ თვალი მაინც მომეკრა, მაგრამ ამაოდ. ის ან ავადმყოფობას მოიგონებდა და ან კიდევ მშობლებს მიაწერდა, რომ ისინი უშლიან.

„გეყურება, მშობლები უშლიან! ის კაი მშობლები, რატომ სხვებთან სიარულს არ უშლიან, რომ შუაღამემდის ნაცნობ ოჯახში არის ხოლმე და იქიდან ხან ვინ გააცილებს და ხან ვინ?!

„არა, მშობლები კი არა, თითონ არ უნდოდა ჩემთან სიარული.

„როდესაც ვკითხავდი, რატომ ხდება ესე, ის, აი, რა პასუხს მაძლევდა: „ჩვენზე ისეც ბევრს ლაპარაკობენ და ხშირად რომ ვიაროთ, მაშინ ხომ სულ აგვიკლებენ. მშობლებიც ამისთვის მიშლიან... ღმერთმა კი ნუ ქნას და შენ რომ აღარ შემირთო, მაშინ“...

„გეყურება, რას მეუბნებოდა წინად?.. განა ნამდვილი სიყვარული, გულწრფელი სიყვარული ასე ილაპარაკებს?!

„ეს კითხვა წინადაც მებადებოდა, მაგრამ მე გულჩინას მაინც ვამართლებდი.

„იქნება, მართლა ვუყვარვარ და საწყალი ვერ ჰბედავს თავის გრძნობის გამჟღავნებას, გამოქვეყნებასაო... გავიფიქრებდი ხოლმე, მაგრამ ამავე დროს სხვა წინააღმდეგი აზრი გულს მიშხამავდა: ჰო, თუ სხვებთან ვერ ჰბედავს და ეკრძალება, როდესაც მარტოკანი ვართ, მაშინ რაღა ემართება“?!

„ავუსრულე თხოვნა. დავიცვი წესი და იმის მშობლებს გამოვუცხადე.

„გულჩინას ამის შემდეგ ყოველ დღე ვხედავ და ერთი დღე რომ არ მივიდე, მაშინვე კაცს მაახლებს წერილით და მეკითხება, რა მიზეზით არ მიველ იმასთან.

„არა, ვარლამ, უეცრად რა ძვირფასი გავხდი!.. წინად კვირეები გადიოდა, არ ვაგონდებოდი და ეხლა კი ყოველდღე მკითხულობს...

„ერთხელ ვუთხარი და ძალიან იწყინა. ერთი კვირა აღარ მიველი და წერილიც აღარ მომწერა, აღარ იკითხა ჩემი ამბავი.

„მეწყინა. მიველი და ვუსაყვედურე.

„— მაკვირვებს შენი საქციელი!.. — მითხრა ჩემ საყვედურზე: — წერილსა გწერ, — გწყინს, არ მოგწერ და იმაზედაც მისაყვედურებ.

„მართლაც სულელობა მომდის. მაგრამ, ვარლამ, შენ გულახდით გწერ და მინდა მიმიხვდე კიდევაც.

„სულელობაა, მაგრამ რომ გაარკვიო, სულელობა არ არის...

„იმის წერილებისა, ბარათების კითხვა მაბრაზებდა და მაბრაზებს იმისთვის, რომ შიგ ვერ ვპოვებ იმას, რასაც ვეძებ. მინდა შევიტყო: გულწრფელად ვუყვარვარ თუ არა და, აი, ამას ვერ ვპოვებ. ყველაფერი სწერია შიგ, ყველაფერი, მაგრამ მე მაინც არა მჯერა, არა და არა. ყველაფერი სწერია, მაგრამ რაღაც აკლია და ეს „რაღაც“ სტრიქონების შუადგან ამოიჭვრიტება და მაბრაზებს. აი, ერთი ნიმუში იმ მრავალი ბარათისა, რომლებსაც, არ ვიცი, ისე მოკრძალებით ვინახავ და ისევე მოკრძალებით ვკითხულობ:

„...განა შეიძლება, ჩემო გაიოზ, ეგრე გულგრილობა, რომ დღეს არ მოხველ და არა ნახე შენთვის მკვდარი, საფლავამდის შენი გულჩინა? ჩემო თვალის სინათლევ, დღეს უეჭველად მოდი, თორემ, თორემ, ხომ იცი, აღარ გაკოცნინებ“...

„ხომ ამოიკითხე, ჩემო ვარლამ?.. მე „თვალის სინათლეცა“ ვარ, მაგრამ ეს ყველაფერი „სიტყვებია, სიტყვები და სიტყვები“...

„ახ, ნეტავი იმის სიტყვებს შინაარსი ჰქონდეს, ვიყვე ამაში დარწმუნებული და მაშინ თუნდაც ლუკმა-ლუკმა ამკუწონ,

სიხარულით, ღიმილით მივეგებები სიკვდილს და თან გულჩინას სახეს ჩავიტან, იმის არსებით შეივსება ჩემი არსება; ჩემი არსება იმის არსებად გარდაიქმნება...

„მაბრაზებს იმის ბარათები, მტანჯავს, მაგრამ ამავე დროს მასიამოვნებს კიდევაც და მინდა, რომ სულ ვიკითხო, ყოველდღე მოდიოდეს იმისაგან ბარათები.

„ამისათვის არის, რომ ისიცა მწყინს, როდესაც იმისაგან წერილები არ მომდის...

„თუ დარწმუნებული ხარ, — იტყვი: — რატომ უარს არ ეუბნები და თავს რად იტანჯავო...

„კიდევაც ეგ არის, რომ დარწმუნებული არა ვარ. დარწმუნებული რომ ვიყო, გეფიცები, უარის თქმა არ დამეთაკილებოდა, სიხარულით უარს ვეტყოდი და სამუდამოდ განვშორდებოდი. კიდევაც ეგ არის, რომ დარწმუნებული არა ვარ და ამის გამო უარს არ ვეუბნები...

„რად მინდა, რომ მარტო მე მიყვარდეს და იმას კი არა?! ჩემი ცოლ-ქმრობის იდეალი ეგ არ არის, რომ მე მიყვარდეს და იმას კი არა, ან იმას ვუყვარდე და მე არა.

„არა. ცოლ-ქმარნი „ერთ-ხორც და ერთ-სულ“ უნდა იყვნენ, ორსავე ერთმანეთი უნდა უყვარდეთ...

„დეე, მითხრას: არ მიყვარხარო, და მეც თავს არ მოვიკლავ, არ ჩავაცივდები შემიყვაროს.

„განა არ შეიძლება, ისე მიყვარდეს შორით, დაუახლოვებლივ?

„კიდევაც ამისათვის გწერ ყოველისფერს გულახდით, რომ დამეხმარო და შემატყობინო: ვუყვარვარ თუ არა, გულწრფელია იმისი სიყვარული თუ არა? რომ გულწრფელად ვუყვარდე და ჩემ უარის თქმაზე აუტეხოს რამე თავის თავს, ან თუნდაც ცოტაოდნად მაინც იტანჯოს, ხომ ვეღარ ვიცოცხლებ, სიცოცხლე ჯოჯოხეთად გარდამექმნება?!

„ბევრჯერ გადავწყვიტე უარის თქმა, წერილები წერილებზე დამიწერია, მაგრამ მიმიფხრეწია და ნაფხრეწების მთელი ხროვა დამიყენებია, რადგანაც წერილებით უარის თქმა უხერხულად მიმიჩნევია და ისევ პირადად გამოცხადება მირჩევნია,

მაგრამ... როდესაც მივდივარ მომზადებული, წინადვე აფორიაქებული და სიტყვა დამზადებული, გულჩინა კარებში მომეგებება და ტკბილად, ალერსით, თითქოს ცოტათი საყვედურითაც შეხამებული სიტყვებით მომმართავს: „ჩემო ტეტიავ, კიდევ გამჩვერით მოხვედიო“.

„საკმარისია ეს სიტყვები, რომ ჩემი დამზადებული სიტყვა გააქარწყლოს, გააქროს, დაამუნჯოს და მომაჯადოვოს.

„ენა აღარ მემორჩილება ხოლმე და მხოლოდ უსიტყვოდ ვკოცნი და ვკოცნი, თითქოს ამ კოცნით მსურდეს ჩავაქრო ის ცეცხლი, რა ცეცხლიც გულში მიბრიალებს და დავახშო ყოველივე გულჩინას წინააღმდეგი აზრი...

„რიონი რას შეედრება, რასა?! რიონი კი არა, ზღვაც არ შეედრება გულჩინას თვალებს. გულჩინას გაცნობამდის თუ რიონის ტალღებს ჩავკირკიტებდი და ვცდილობდი იმის საიდუმლოს ამოცნობას, ეხლა გულჩინას თვალებს ვაცეცდები, მაგრამ სადაა... სადა?!. წყვდიადია ჩემთვის იმისი ბუნება! იოტის ოდენაც ვერა შემიტყვია-რა!..

„ვარლამ, გენაცვა, ვარლამ, დავიბენი, თავბრუ მესხმის, ვეღარა გამიგია-რა, დამიხსენი!..

„შენი გაიოზი“.

23 მაისს 96 წ. ქ. ქ...

IV

წავიკითხე ბოლომდის. ერთხელ კი არა, ორჯელაც, მაგრამ ვერა გავიგე-რა და, აბა, რა პასუხს მივწერდი, თუმცა კი მინდოდა მიმეწერა რამ, რადგანაც გაიოზი ჩემი კარგი მეგობარია და იმისი ტანჯვა ჩემ ტანჯვად მიმაჩნდა.

თავი გავიქნ-გამოვიქნიე, მხრები ავიჩეჩე და წერილი გადავდე იმ განზრახვით, რომ ერთი კიდევ წამეკითხა და შემდეგ ისე მიმეწერა პასუხი. მაგრამ რაკი გადავდე წერილი, ხელში აღარ ამიღია. ერთ ორ დღეს კიდევ მახსოვდა და მერე კი სულ გადამავიწყდა, რადგანაც ისე ვიყავი გართული „ბანკობიანით“, რომ წერილი კი არა, პურის ჭამაც მავიწყდებოდა...

საზოგადო თუ კერძო კრებაზე დასწრებამ ისე გამაძეძა, რომ ბანკის გარდა ქვეყანაზე არსებობდა კიდევ რამე თუ არა, აღარ ვიცოდი. ორნი ერთმანეთს რომ შევხვედრილვიყავით. მაშინვე ილია და ვანოზე დავიწყებდით ბაასს და ლანძღვა-კრულვით ვიხსენიებდით მოწინააღმდეგეს, თუ ორნივე ერთის მომხრენი ვიყავით; წინააღმდეგ შემთხვევაში კი თითქმის ყელში ვსწვდებოდით ერთმანეთს, თითქოს ერთმანეთის მოსისხლე მტრები ვყოფილვიყავით.

აბა, ამისთანა გამწვავებულ დროს გაიოზი რაღას მომაგონდებოდა, გინდაც გაიოზი ჩემ ბუნებად ყოფილიყოს? იქნება სულაც არ მომგონებიყოს და მიმევიწყნა, რომ თითონვე არ მოეგონებინა.

სწორედ იმ დღეს, რა დღესაც უკანასკნელი კრება გათავდა და შინ დავბრუნდი, ცოტა ხნის შემდეგ მოსამსახურემ ვინაობის ბარათი შემომიტანა.

დავხედე და მაშინვე კარებისაკენ გავქანდი.

— არა გრცხვენიან, ბიჭო, ჩემთან რომ ბარათებით მოდიხარ?! — ვეუბნებოდი და თან ვეხვეოდი.

— რა ვქნა, ბიჭმა მკითხა: ვინა ხარო, და მეც ბარათი შემოგიგზავნე. — დაღვრემით მიპასუხა გაიოზმა და წინ გამიძღოლა.

ძალიან მეწყინა, რომ პირდაპირ ჩემთან არ მოვიდა და სასტუმროში ჩამომხტარიყო.

გაიოზი და მე ერთად შევიზარდენით, განუშორებლები ვიყავით და ძალიანაც გვიყვარდა ერთმანეთი. ჩვენი ყოველი წინად განუყოფელი იყო, ახლა კი, როგორც უცხო, ასე მოვიდა.

სულ ჩამფუფქა ამ გარემოებამ, მაგრამ კი ვერა ვუთხარი-რა სასაყვედუროდ, რადგანაც მომაგონდა იმისი წერილი და ამ დრომდის უპასუხობა...

გაიოზს ცოტათი მორიდება უყვარდა მაშინვე და ახლა მიზეზი ჰქონდა უფრო მომრიდებოდა. ისეთი საიდუმლო მანდო, ისეთ წუთს დამეკითხა და რჩევას მთხოვდა და, რასაკვირველია, ჩემი უყურადღებობა რომ დაინახა, მომერიდებოდა.

— ძმობას გეფიცები, — დავიწყე სულ უადგილოდ თავის მართლება: — განზრახ...

— კმარა, კმარა, ჩემო ვარლამ, ვიცი, რაც გინდა სთქვა, მე სულაც ფიქრად არ მომსვლია გისაყვედურო რამ და გაგამტყუნო, რომ პასუხი არ მომწერე.

— მაშ რას ნიშნავს, რომ პირდაპირ ჩემთან არ მოხველი და ეს ვინაობის ბარათიც?...

— ვინაობის ბარათზე წეღან გიპასუხე და მეორეზე კი ეხლა გეტყვი: პირდაპირ შენთან იმისთვის არ მოვედი, რომ ვფიქრობდი, იქნება შინ არ დამხვდეს და აქა-იქ ხეტიალს კი სასტუმროში ჩამოხტომა ვარჩიე.

— მაშ ეხლა ჩემთან გადმოხვალ, ჰა?.. — გადავეხვიე და ვაკოცე.

— რასაკვირველია.

— რა გადასწყვიტე? — ჩემდა უნებურად შევეკითხე და მაშინვე კი ენას ვიკბინე...

— რაც გადაწყვეტილი მქონდა: ჯვარს დავიწერ მარიამობის თვის გასულს. მეტისმეტი სისულელე მომდიოდა, რომ ვცდილობდი შემეტყო, გულწრფელად ვუყვარვარ თუ არა. ეხლა დავრწმუნდი, მართლაც რომ ვუყვარდე, ეს ჩემთვის გაუგებარი იქნება. უფრო დიდი სისულელე ჩავიდინე, რომ შენ რჩევას გთხოვდი...

— აკი არ გემდურებიო...

— მე მაინც მაგას ვიტყვი, რომ არ გემდურები. როგორ დაგემდურო, როდესაც შენ არ შეგეძლო რაიმე პასუხი მოგეცა. ქალს სრულებით არ იცნობ და, აბა, როგორ მიპასუხებდი ჩემს კითხვაზე!

— დიდი ხნის გაჭიმული ნერვები, — განაგრძო ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ: — მომიდუნდა, მომიჩლუნგდა. რამდენად მწვავე იყო ეს კითხვა ჩემთვის, იმდენად ეხლა უმნიშვნელოა. ხომ სულ ერთია?! ხელი ჩავიქნიე და ამ ხელის ჩაქნევას ჩემი ნერვებიც ჩავატანე. ეს ერთი კვირაა, სულ მოშვებული ვარ და რაც უნდა შევიტყო გულჩინას შესახებ, მაინც „სულერთი“ იქნება...

ბევრი რამ მინდოდა მეკითხნა, ბევრი რამ გაუგებარი, დაუმთავრებელი იყო წერილში, მაგრამ ვეღარ ვბედავდი, რადგანაც ვატყობდი, რომ მოგონება, გამოკითხვა ძალიან შეაწუხებდა. თუმცა კი იძახდა: სულერთიაო.

ამისათვის გამოვცვალე ბაასის საგანი და ქუთაისისა, იმერეთის ჭირ-ბოროტზე ჩამოვუგდე ლაპარაკი...

— ...თქვენ თეატრის დარბაზი გქონდათ, როგორც შენ იძახი და გაზეთებშიაც იწერებოდნენ.

— ენის მოსაქავლებელ ადგილად ქუთათურებს უფრო მუდმივი ადგილი აქვთ. ეს — ბულვარი და იქვე ბულვარის ახლო — ფრიად შესანიშნავი რესტორანი. ამ რესტორანის არსებობა შენ არ გეცოდინება. ეს სულ მოკლე ხანში გააღეს...

„გადი ბულვარში, უფრო სადილისა და ვახშმის დროს, რესტორანში შედი და იქ შეიტყობ ქუთაისის ინტელიგენციის ჭირ-ბოროტს. მოხუცი, ახალგაზრდა იქ იყრის თავს და...

„ძნელად ასაწერია, რა ცხარე ბაასს მართავენ, რა აღგზნებით შლიან და იქნევენ ხელებს, თვალებს აკვესებენ და იმათ ბაგეთაგან გადმოსჩქეფს, გადმოხუის სიტყვები, რა სიძლიერით ესვრიან ერთმანეთს დანა-ჩანგალს და ჭურჭელს კი არა, ბოკლსა, დარვინსა, სპენსერსა, კარლ მარქსსა და სხვ. და ამგვარად მსოფლიო კითხვებს არჩევენ, სახელმწიფოებს ერთმანეთს ახლიან და...

„ქმაყოფილნი თავიანთ თავისა ემშვიდობებიან ერთმანეთს და ისვენებენ იმისთვის, რომ, — ხა-ხა-ხა-ხა! — მეორე დღესაც შეიყარნენ და კიდევ დარვინი, ბოკლი, სპენსერი, კარლ მარქსი უფრო ძლიერად ესროლონ ერთმანეთს!..

ერთი კვირა გავიდა, რაც გაიოზი მესტუმრა. ყოველ დღე დიდ ბაასს გავმართავდით ხოლმე. თითქმის სულ გადავაბრუნეთ მთელი ქვეყნიერება, მხოლოდ ერთ საგანს არ შევხებივართ. ეს — რაც გაიოზს აწუხებდა. ვატყობდი, რომ გაიოზი ერიდებოდა და მე ხომ უფრო მოვერიდებოდი.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად შევიტყე, რომ ის თავის გამოსაცდელად გამოჰრიდებოდა ქ—ს.

— ახლოს რომ იყო, — მითხრა ისე გაიოზმა: — იქნება

იმისთვის ვირეოდი. — მინდა ერთ თვეს მაინც შორს დავყო, ჩავუკვირდე ჩემს გრძნობას. წერილიც არ მინდა მივწერო და არც იმისაგან მინდა მივიღო. ამისათვის ადრესიც არ დავუტოვე...

თუმცა ესა სთქვა, მაგრამ შევატყე, რომ მეორე დღესვე წერილი სადღაც გაგზავნა და მოუთმენლად პასუხს ელოდა. დაბრუნდებოდა სახლში თუ არა, მაშინვე მოსამსახურეს მიმართავდა: „წერილი ხომ არა მოსულა-რა... ხომ კარგად იცი ჩემი გვარი და სახელი? უკან არ გააბრუნო, თუ აქ მოიტანეს. წერილების დამტარებელსაც უთხარი: გაიოზ კერაშვილის სახელზე წერილი აქ მოიტანოს“...

გაიოზი შინ არ იყო, როდესაც წერილი მოიტანეს. იმ დღეს გვიანაც დაბრუნდა. წერილი მე გამოვართვი. მინდოდა თვალყური მედევნებინა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ამ წერილის მიღება და წაკითხვა.

მოვიდა თუ არა, იკითხა: წერილი ხომ არ მოსულაო...

— როგორ არა, აი! — ვუპასუხე მოსამსახურის მაგივრად და გადავეცი.

ხელების კანკალით თვალებგაბრწყინებულმა გამომგლიჯა ხელიდან და მაშინვე თავი გადაუხია. შტემპელს, ადრესს არცკი დახედა, თითქოს უკვე იცოდა, საიდანაც და ვისი მოწერილიც იყო...

— აჰ!.. — წამოიძახა უეცრად, წერილი გადაშალა თუ არა და საჩქაროდ წერილის ბოლოს დაჰხედა. პირისახის კუნთები აუთამაშდა, ტანი შეერყა და უეცრად სარკმელთან მდგომ საკარძელში ჩაეშვა.

ნახევრობამდის არც კი ჩაეკითხნა წერილი, რომ ხარხარით წამოვარდა:

— ვარლამ... ვარლამ... ვარლამ!.. — ყვიროდა უთავბოლოდ და თან მეხვეოდა, მკოცნიდა, მატრიალებდა და გიჟივით ხარხარებდა.

— რა იყო, რა მოგივიდა?!. — ვეკითხებოდი, მაგრამ პასუხს არ მაძლევდა. ის ისევ ხარხარებდა, მკოცნიდა, მჯმუჯ-

ნიდა და გაუგებრად გაიძახდა: „ვარლამ... გულჩინა... დავრწმუნდი“-ო.

მე კიდევაც შემეშინდა. ხომ არ გადაირია-მეთქი, ვფიქრობდი და ვცდილობდი, როგორმე დამემშვიდებინა... ძლივს, როდის დამშვიდდა და მაშინ-ღა მიპასუხა რიგიანად:

— აი, წაიკითხე და შეიტყობ, რამაც გამახარა ასე. ვერ წარმოიდგენ, ვარლამ, რა ლოდი მომწყდა გულიდან და რანაირად თავისუფლად სუნთქვა დავიწყე!.. ვმადლობ... ვმადლობ შეცდომას... კაცის გულმავიწყობას...

წერილი გამოვართვი და ხმამაღლა კითხვა დავიწყე:

„ჩემი გონებიდან განუშორებელო პოლიევკტ, ნეტავი ეხლა აქ იყო“...

— ვის წერილებს მაკითხებ?! — შემკრთალმა მივმართე გაიოზს და წერილის კითხვა შევწყვიტე.

— წაიკითხე, წაიკითხე და შეიტყობ, ვისასაც, ნუ გეშინიან.

„..ამ ზაფხულს ხომ შეგეძლო მოსვლა?! — განვაგრძე კითხვა: — შარშან ზაფხულს რა ცუდად გაგატარებინე დრო, რომ წლეულ აღარ მოისურვე მოსვლა! წელს უფრო უკეთესად, უკეთესად კი არა, ნეტარებით გავატარებდით დროს...

„მაგრამ ისწავლე, ისწავლე და ყველაზე უმჯობესი კაცი გამოდი. ეს ერთი ზამთარი-ღა იქნები მანდ. არა უშავს-რა. როგორც იქნება უშენოდ გავძლებ, გავიჭირვებ თავს, მხოლოდ იმ პირობით, რომ სამუდამოდ ჩემი იყვე, ჩემს გვერდით დარჩე. მე მაშინ უკვე ქმრიანი ვიქნები. შენ ქუთაისში იშოვი ადგილს და... ახ, რა ნეტარებაში ვიქნებით!.. ნეტავი ჩქარა დადგეს ეს ნეტარი წუთი!..

„ჩემი ტეტია ისევ ისე ბურტყუნებს, იჩმუჩნება საცოდავად, მაგრამ რას იზამს? ისე მყავს გაბმული, რომ თავს ვერ დაიხსნის.

„გუშინ მივიღე წერილი. ის ეხლა თბილისშია. აი რასა მწერს:

„...ეხლა ხომ ჩვენ ერთმანეთისა ვიქნებით; ხომ კარგად იცი, ამ მოკლე ხანში ჯვარს დავიწერთ?! მაშ ეხლა მაინც მით-

ხარი შენი წარსული, იქნება იმისი გაგებით მაინც დავრწმუნდე, გულწრფელად გიყვარვარ თუ არა...

„გულჩინავ, შენ ყოველთვის მარწმუნებ, ყოველთვის მეუბნები, რომ გიყვარვარ, მე მიზეზიც არა მაქვს, რომ არ გერწმუნო, მაგრამ, რა ვიცი, რატომ არ ვრწმუნდები?

„გენაცვა, გულჩინო, ამისრულე ეს მცირედი თხოვნა“... აი, სულ ამას ჩივის, ეს გახდომია სატირლად.

„ბეჩა, რომელი თავხედი ქალწული გადუხსნის თავის. საქმროს გულს და ყველაფერს უამბობს? ეს როგორ არ უნდა იცოდნენ ყმაწვილებმა, რომ ამგვარ კითხვებს იძლევიან. მეტისმეტი გულუბრყვილობაა, არა, პოლიევკტ?

„ისეთ აბდა-უბდას ვწერ იმის კითხვაზე პასუხად, რომ, მგონი, ვერც თავი გაუგოს და ვერც ბოლო...

„ნეტავი შენ ცოლქმრობის წინააღმდეგი არ იყვე, რომ იმისთვის ხელი მეკრა და თავიდან მომეშორებინა?! სწორე გითხრა, მომწყინდა კიდევაც იმისი ბურტყუნი.

„ან კიდევ მე გეთანხმებოდე და ეგეთი რწმენა მქონდეს. შენ რომ ქალი იყო, მაშინ დამეთანხმებოდი, რომ ჩვენ დროში კანონიერი ქმარი ქალისათვის აუცილებელია.

„ქმარი ქალისთვის ფარია, ფარდაა და მეც ამ ფარდას ვეძებ, რომ იმის იქით მე და შენ უშიშრად, მოურიდებლად ვისიყვარულოთ“...

ველარ დავათავე კითხვა, ისე ავღელდი, და წერილი იქით ვისროლე...

— ეი, ძმობილო, ეგრე ნუ ისვრი ჩემს მხსნელს! — გამეხუმრა გაიოზი და წერილი აიღო.

მე გაიოზზე ჯავრი მომივიდა, რომ ის ასე ხუმრობს ამ დროს...

— კი, მხსნელია, მაგრამ მე ვერ გამიგია, ამ წერილს შენთან რა ადგილი აქვს!..

— ადვილი ასახსნელია. გულჩინას ორი წერილი, ჩემთან და პოლიევკთან, ერთ დროს დაუწერია და კონვერტები შეშლია... და, აი, ამ უბრალო შეცდომას რა შედეგი მოჰყვა.

მგონი, ჩემი სიცოცხლე რომ ამის ამოცნობაში გამეტარებინა, ესე თვალნათლივ ვერ დავრწმუნდებოდი.

გაიოზი ლაპარაკობდა და მე კი აღელვებული ოთახში დავდიოდი.

— ხედავ, ვარლამ, აქ ქალწულები რა ცბიერებას იჩენენ?!

— ვხედავ, ვხედავ! იმასაც ვხედავ, რომ როდესაც საქმროები ტყობულობენ ამ ცბიერებას, ხარხარს იწყებენ!..

— შენ მართალი ხარ, ჩემო ვარლამ! — სიცილით მიპასუხა და ხელი გადამხვია.

— ეხლა რას აპირებ?

— აი, რას ვაპირებ: — მიპასუხა და გულჩინას წერილს ბოლოში მიაწერა:

„ეს წერილი შეცდომით ჩემთან გამოგიგზავნია. მე გავუგზავნიდი პოლიეკტს, მაგრამ სჯობია, შენვე გაუგზავნო... გაიოზი“.

ქალს თავზარი დაეცემოდა, ამას რომ წაიკითხავდა, მინდოდა მეთქვა, მაგრამ გავჩუმდი და მხრებიღა ავიჩეჩე.

V

დადუმდა გაიოზი. რაც წერილი ბოლოში მინაწერით გაუგზავნა, ხმა აღარ ამოუღია. რამდენჯერ შეეკითხე, რამდენი ვეცადე საბაასოდ გამომეწვია, მაგრამ ჩემი მეცადინეობა ამაოდ რჩებოდა. ყოველ ჩემ კითხვაზე ან სულ არას მიპასუხებდა და ან კიდევ დაბნევით, უაზროდ თავს ჩამიქნევდა, ხელებს გამისავსავებდა.

აღარც ჭამა-სმა იყო იმისთვის, ჩამოხმა...

საითაც უნდა ხელი გამეშვირა, ხმის ამოუღებლად წამომყეებოდა.

მეც ვისარგებლე ამითი და ერთ ხუთშაბათ საღამოს მუშტაიდისკენ წავიყვანე. ვიცოდი, ამ საღამოს ხალხი მრავლად იქნებოდა და ამისათვის ვიფიქრე, იქნება ხალხის სიმრავლემ გამოაფხიზლოს-მეთქი.

მშვენიერი საღამოც იყო. თუმცა დღის სიცხის ბუღი ისევ

ტრიალებდა, მაგრამ მაინც თავისუფლად სუნთქვა შეიძ-
ლებოდა.

აუარებელი ხალხი მიეშურებოდა ცხენმიბმულათი, თუ ისე ეტლებით, ჩვენც დავიჭირეთ ეტლი და ჩქარა მუშტაიდში მტკვრის პირას ახლო მოედანზე ფანჩატურის გარსშემორტყმული ხალხის მოძრავ რკალში ჩავებით.

მგონი, ამოდენა აუარებელ სხვადასხვა ჯურის ხალხში მარტო მე და გაიოზი ვიყავით გაწამებულები, თორემ სხვა ყველა მხიარულებდა, იცინოდა, ცხარედ ბაასობდა.

არ ვიცი, გაიოზი რაზე ფიქრობდა და მე კი ფიქრით არაზე ვფიქრობდი, მხოლოდ ყურს ვუგდებდი უცნაურ, თითქოს ფუტკრის სკიდან გამონაცემ, ხალხის გუგუნს.

ფანჩატურის ქვეშ კი ამოფარებულიყო გურული ტანისამოსით მორთული პატარა მემუსიკეთა გუნდი, რომელიც დრო გამოშვებით საკრავებს ხმას აღებინებდა.

არ ვიცი, სხვაზე რა შთაბეჭდილებას ახდენდა. საფიქრებელია, კარგს, რადგანაც დიდის აღტაცებით უკრავდნენ ტაშს, როდესაც რომელსამე პიესას დაასრულებდა გუნდი, ჩემზე კი ძალიან ცუდს. პატარა მემუსიკეთა დაკრული პიესა არც სულს და არც გულს არ ეხებოდა. იმათი მოქანცული სახე კი სულსა და გულს მიწამლავდა და ერთს-ღა ვნატრობდი: ჩქარა წასულიყვნენ და დაეძინათ ამ ბავშვებს.

— ვარლამ, წავიდეთ იქით, აგერ, აი, იმ ბნელი ხეივნისაკენ!.. — მომმართა გაიოზმა და მკლავში ხელი წამავლო.

გამეხარდა. პირველად ამოიღო ხმა ხარხარ-სიცილის შემდეგ. სიხარულით გამოველ მოძრავი რკალიდან, რომელიც უკვე შეთხელებულიყო, და მტკვრის პირა ხეივან-ხეივან მძიმე ნაბჯით წავედით...

— გ...გეხსომება, იქაც, ფერმაშიაც, არის ამგვარი ბნელი ხეივანი. ხშირად მე და გულჩინა დავდიოდით... და ახ!..

სახე საცოდავად დაეჭმუხნა და ტანი შეერყა. შუბლზე ოდნავ ხელი გადისვა და მტკვრის პირას პატარა ფანჩატურიდან გამომავალი წყვილი ქალ-ვაჟისაკენ მიმიშვირა თითი.

— აგერ ისე, როგორც ეგენი, მკლავებ-გაყრილნი, ერთმა-

ნეთზე მიყრდნობილნი გაჩუმებულები ვისხედით. ხომ იქაც არის მაგეთი ფანჩატური რიონის პირას. აქ მაღალი კლდიანი კიდეა, იქ კი დაბალი, მაგრამ სასიამოვნო. ჩვენც ეგრე, ფეხის ხმას ვუსხლტოდით. გვინდოდა, მარტოკანი ვყოფილიყავით. არა, არა და არა!.. იმას არ სდომებია, მარტო მე მინდოდა. მე... შეგონა კი... რა კარგი იყო, ვარლამ, რომ ვსცდებოდი, ვსტყუვდებოდი. ნეტავი იმას, ვინც სცდება და ვისაც ჰგონია, რომ ერთ ხორცად და ერთ სულად არიან!.. აგერ ისინიც, რომ მიდიან, ბედნიერები არიან. ბედნიერები არიან, რომ სტყუვდებიან და ჰგონიათ, მარტო ჰგონიათ. იმათ გულში რომ ჩაიხედო, ხომ შეგეშინდება, ხომ დაინახავ იმათ ცბიერებას!.. იქაც, მოედანზედაც ხომ ნახე, როგორ ეჭუკჭუკებოდნენ ერთმანეთს, როგორ ლმობიერად უმზერდნენ?! ხომ სულ ტყუილი თვალების ტრიალია, ხომ ატყუებენ ერთმანეთს?! არა? ჰა?!.

მარტო ეთილისმებიან ერთმანეთს, სხვა არაფერი. არც სული და არც ხორცი ერთმანეთს არ უდგება... აბა ჩაუკვირდი, მიხვდი?!

ჩვენ ფანჩატურის ქვეშ დავსხედით. მეთორმეტე ჟამი იყო. მემუსიკეთ შესწყვიტეს დაკვრა, ხალხის ხმაც მისწყდა. მტკვარი-ღა ბუტბუტებდა და მოსთქვამდა გაუგებარი ენით თავის მწუხარებას...

— ბევრი არ ღალატობს საქმით, აღსრულებაში არ მოიყვანს თავის განზრახვას, მაგრამ განზრახვით კი, აბა ჩაუკვირდი, ვინ არ განიზრახავს?! თუკი განიზრახა, უკვე უღალატა, მოშორდა, ჩამოეცალა, განმარტოვდა. ორნი ერთ არსებად აღარ არიან. ეს კი ყოველ წუთს, ყოველ წამს ხდება. კაცი თუ ქალი, ორნივე ღალატობენ. საქმით თუ არა, განზრახვით მაინც; განზრახვით ღალატი და საქმით ორივე ერთია, ორივე ღალატია და არაფრით განსხვავდება. „რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულის თქმასა მას, მუნვე იმრუშა“...* საცა ღალატია, იქ ერთობას ადგილი არა აქვს. ვერა, ვერა! კაცი მარტოდ იბადება და მარტოობა, ეულობა სიკვდილამდის თანა სდევს...

---

* სახარება სათესი, თავი V, მუხ. 28.

ნეტავი იმას, ვინც ამასა ჰგრძნობს. ის ბედნიერია. რა არის ამისი მიზეზი? რად არის ადამიანი დევნილი? ვინ დასწყევლა? ვინ? ვინ?.. ვინღა ვინ, თითონ... ადამიანი ყოველისფერს მოიმოქმედებს, მაგრამ გულწრფელად კი არაფერს. გულწრფელობა კი ნიადაგია ყოველივე ბედნიერებისა... რა ვიცი, ეხლა თითქოს გულმოდგინედ მისმენ, თითქოს მეთანხმები კიდეც, მაგრამ რა საბუთი მაქვს, რომ გერწმუნო?! იქნება იცინი კიდეც, სულელადაც მსახავ. რა ვიცი, მოქმედებდა როდისმე ადამიანი გულწრფელად?! არ ვიცი. ეხლა კი ჩვენ დროს, არა, არ მოქმედებს, თუმცა კი ყოველთვის ამას ამტკიცებს სიტყვით. „ახ! რა სამწუხაროა ხოლმე, როდესაც ხედავ, რომ კაცი თავსა და პირს იმტვრევს, გულსა და მკერდს იბრაგუნებს და გარწმუნებს, რომ გულწრფელია!..

მე თუ გაზეთებიდან ვტყობულობდი, შენ პირდაპირ ისმენდი ბანკისთვის მებრძოლთა და წამებულთა სიტყვებს. არ გეყურებოდა, როგორ ორსავე მხარეს „სამშობლო", მისი სარგებლობა პირს ეკერა? რა ვიფიქრო?! გულწრფელები არიან?! ჰა?! მითხარი: მართლა სამშობლოს სარგებლობა ამოქმედებდა მათ თუ სხვა რამ?!"

მეწყინა. მეც შემეხებოდა ეს განკიცხვა, მაგრამ რა მეპასუხნა? პასუხის მაგივრად მხრებიღა ავიჩეჩე.

6 ღვინობისთვეს 96 წელს.

მელოს დღიურიდან

ნეტა ეს რა მემართება?! რაც დრო მიდის და ხანი მემატება, მით გული უფრო მიჩქროლავს, გულს რაღაც მაკლდება. ხან, სულ უმიზეზოთ, ისე მომწყინდება, მომინდება ტირილი, რომ გული ყელში მომებჯინება, მაგრამ ცრემლები კი არსად არის; ყოველსავე გაფაჩუნებას, ხმას და დაძახებას ბეზარს მოვყევარ და მაშფოთებს. დილას ჩემმა უმცროსმა დამ ჩემ წინ გულიანად რაღაცაზე ჩაიჭუკჭუკა, და მე კი მივედი და სილა ისე გავარტყი, სიცილი ტირილად გადავუქციე. რისთვის? მეც არ ვიცი. მერე ბევრი ვინანე.

გულმავიწყობაც რომ მეპარება! ეს რაღა უბედურობაა! ხან სად მივალ, — ხან სადა, ვეძებ რაღაცასა და კი არ ვიცი — რას. წიგნის აღება რომ მინდოდეს, მაკრატელს ვავლებ ხელს და მაკრატლისა ან საკერავისა კიდევ, — ბალიშს ვიღებ და ხელში მიჭირავს. მგონია, მარომ ამაზედ გაიცინა...

6 ოქტომბერს.

დღეს მეორე დღეა, რაც მე ოცდასამი წლისა შევსრულდი და ოცდამეოთხეში გადავდექი. ოცდასამისა... უჰ, რამოდენა ხანია!.. ეს რიცხვი როგორღაც ლოდივით გულს დამაწვა და სულს მიხუთავს. თითქოს გულის საყვარელი მომგლიჯეს და წყალში ჩამიგდეს, ისეთ მდგომარეობაში ვიყავ ოთხ ოქტომბერს, ჩემი დაბადების დღეს.

სამ ოქტომბერს მოუსვენრათ ვიყავი. ვნატრობდი, ნეტავი სულ ოქტომბრის სამი იყოს და ოთხი სულ არ გათენდეს-მეთქი... მართლა და, ასე რომ მომხდარიყო! ხა, ხა, ხა, რა სისულელეა?! მერე, რომ გათენდა, რა მომივიდა?! განა ისევ ის მელო არა ვარ?! ასე ვსთქვათ, ოცდასამისა შევსრულდი და

ოცდამეოთხეში გადავდექი!.. ოცდასამი წელიწადი ადამიანის ცხოვრებაში ჯერ ისევ სიჭაბუკის ხანას შეადგენს, და ამისა რათ მეშინოდა?.. მაგრამ არა! მაინც რაღაც...

7 ოქტომბერს.

გული აღარაფერზე მიმიწევს. ჩემი თავისა ვეღარა გამიგია-რა. რას მოვავლო ხელი, რა გავაკეთო?.. ხელებს ვაფათურებ და გონება კი სადღაც დაფრინავს!.. ის რიცხვი კიდევ ჩემი ფიქრის დასკვნა არის. რაზედაც უნდა დავიწყო ფიქრი, მაინც ოცდასამ რიცხვს მივადგები ბოლოს და გულში რაღაცნაირად მიჩხვლეტს. მთელი საღამო სულ მოუსვენრად ვიყავი. ერთ ოთახიდან მეორეში გავდიოდი! ერთ კუთხიდან მეორეს ვაწყ-დებოდი. ხან იქ შევდგებოდი, და ხან აქ და ვფიქრობდი. რასა? — არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ ყველგან „23" თვალებში მეჩხი-რებოდა... ძილი რა არის, ძილიც დამეკარგა. წუხელის მთელ ღამეს შამფურივით ვტრიალებდი ლოგინში და თვალებს ავა-ხელდი, თუ დავხუჭავდი, ის წყეული რიცხვი დიდად, დიდად ჰაერში იხატებოდა. რო აღარ და აღარ მომშორდა, პირქვე წავწექი და სახე ბალიშში ღრმად ჩავფალი, აგებ ამით მაინც მოვიშორო-მეთქი, მაგრამ, არა. ჩემ წინ საჩქაროდ დიდი წყვდიადი გაჩნდა, მის სივრცეში ვარსკვლავთ მგზავსი წვრი-ლი წერტილები დაცურავდა, იმათ შუა კიდევ ცოტახნის შე-დეგ იმ წყეულმაც ცურვა დაიწყო.

კედლის საათმა ხუთი დაჰკრა, რომ მე დაქანცული და შე-წუხებული, ისევ ისე ვტრიალებდი...

8 ოქტომბერს

ეს რაღა უბედურობაა, რომ შინაურებიც მოსვენებას არ მაძლევენ!.. დღეს სადილზე კინაღამ ყელი გამომაჭრევინეს. რა ვქნა, რომ ასე მომდის?!. ჩემი რა ბრალია?!. განა იმათ ამა-ზე უნდა დამცინონ??!.

როცა დედაჩემმა წვენი გადმომიდგა, მე ნიდაყვებით მაგი-და დავეყრდნე და გაციებას ლოდნა დავუწყე. ისე გავრთო-ბილიყავ ფიქრში, რომ წვენი სულ დამავიწყდა.

— შვილო, გაგიცივდება!.. — მომესმა დედიჩემის ხმა, — ახლა მეორე კერძი მინდა გავარიგო.

— ჰა�ა!.. — გაგრძელებით ვუპასუხე და მდოგვს ხელი წამოვაღლე.

როცა მდოგვი პატარა კოვზით პირში ჩავიდე, ჩვენებმა ამაზე ხარხარი დაიწყეს; მაშინ-ღა მივხვდი, რომ წვენის მაგივრათ მდოგვს დავუწყე ჭამა. პირი სულ გამომთუთქა და ისენი კი ხარხარებდნენ. მე ჯავრი მომივიდა იმათზედ. გავბრაზდი და მდოგვის ჭურჭელი იატაკზე გადავახეთქე. გაბრაზებულმა მაშინვე ჩემ ოთახში ჩავიკეტე კარი და ტირილით გული დავიოსე.

ბრაზი მხეთქავდა: მე პირი გამოვიფუფქე და იმათ კი, შებრალების მაგივრად, ხარხარი მორთეს.

ამ საღამოზე ჩაიზე ბევრს მეხვეწნენ. გამოდიო, მაგრამ არ გავედი, ხმასაც აღარავის გაეცემ.

9 ოქტომბერი.

სადილს წინ დედაჩემი შემოვიდა ჩემთან და ალერსიანათ მომეფერა. რაზე არ მელაპარაკა!.. ბოლოს მითხრა: „შვილო, გატყობ, რაღაც ცვლილება ხდება შენშიო. რა არის, რა მიზეზიაო?“ — რა ვიცი მეთქი, და გავჩუმდი.

— არა, შვილო, რას მიმალავ, შენ როგორ არ იცი? მშობელ დედას როგორ უმალავ; იქნება, შეგიყვარდა ვინმე და...

დედიჩემის უკანასკნელ სიტყვებზე წწარედ გამეღიმა და გული ყელში მომეჯინა...

— „შეგიყვარდა ვინმეო“... ხა, ხა, ხა... რა დაცინვაა!.. დედი, დედი, შემიყვარდეს ვინმე და ამას დაგიმალავ?! მე მზად ვარ შევიყვარო, სულით და ხორცით იმას მივენდო, ჩემი სიცოცხლე შევწიროო... მაგრამ ვინ, ვინ? ვის უნდივარ ეხლა ოცდასამი წლისა, ვინ მითხოვს?! ვინც უნდა იყოს, ოღონდ კაცის სახე კი ჰქონდეს, მე მზადა ვარ თავდავიწყებამდის შევიყვარო, თუ კი ის მომინდომებს და... ეჰ, მამაკაცებო, მამაკაცებო!.. თქვენ ჯავრს ვინ ამომყრის! ნეტავი შემეძლოს, ერთ დღეს ყველანი ნიორწყალივით დაგნაყოთ და წყალს მიგცეთ,

რომ თქვენი ხსენება აღარ იყოს!.. როცა ქალს შეჰხვდებით, უცინით, ეალერსებით, ეარშიყებით; ქალსაც გონია, ეგ არის, ბედმა გამიღიმა და მეშველაო. და თქვენ კი... ფუი, შეგარცხვინოსთ ღმერთმა! ერთიდან მეორესთან გადადიხართ, რომ ისევ ის კომედია დაიწყოთ. და ამასობაში ქალს გულს უწყლავთ და ებერებთ!.. თქვენში ნატამალი გულწრფელობა არ მოიპოვება"!..

დედაჩემი მიმიხვდა ჩემს ღარდს და ისევ გულმტკივნეულობით მომეხვია და მითხრა:

— ხვალ, შვილო, წარმოდგენა არის, წავიდეთ, გულს გაართობ.

რომ უარი ვეღარ ვუთხარი, დავპირდი წასვლას, თუმცა არ მინდოდა. ან კი რა მინდა?.. წინად რომ დავდიოდი, იმიტომ მოვეწონე რასმე, რომ ეხლაც არ წავიდე! არა, არ წავალ...

10 ოქტომბერს.

წუხელის გადავწყვიტე, თეატრში არ წავალმეთქი, მაგრამ გულმა აღარ გამიძლო და წავედი. ნეტავი არ წავსულიყავ! გული უფრო დამეხეთქა. თითქოს ყველას ეგერდით ჰყავდათ, ყველანი ერთმანეთს ეალერსებოდნენ და მეკი დედაჩემი მეჯდა გვერდით და მუსაკებივით ვისხედით. ეს დაწყეველილი, თითქოს შურიანი არ ვიყავი და ეხლა კი სხვისა ბედნიერება შემშურდა.

სულ აქეთ-იქით ვიცქირებოდი, მინდოდა შემოეხედნა ვისმე ჩემთვის, მაგრამ არავის შემოუხედნია. ნათქვამია: „თვალი სჭამს საქონელსაო". იქნება შემოეხედნა ვისმე, მოვწონებოდი და... ხომ მამაკაცებსაც ის უნდა ემართებოდეთ ქალის დანახვაზე, რაც ქალებს? ისინიც ადამიანები არ არიან! მე რომ კაცს შევხედამ, მაშინვე გული რაღაც ნაირად ამიტოკდება და ელფერი გადამკრავს ხოლმე... მაგრამ არა! არა! კარგად მოხდა, რომ არავინ შემომხედა, თორემ ხომ შემატყობდნენ, რო ოცდასამი წლისა ვარ და გაიღიმებდნენ... იჰ, რა სისულელეს ვამბობ!.. იმათ რა იციან, რომ ოცდასამისა ვარ, სახეზე ხომ არ მაწერია... ტყუილად არ ვდარდობ?!.

12 ოქტომბერს.

წუხელის როცა ჩვენებმა დაიძინეს, მე მაშინ-ღა წამოვავლე კალამს ხელი და დღიურში მინდოდა ჩამეწერნა, მაგრამ ამ დროს რაღაც იდუმალმა ხმამ ჩამჩურჩულა: „მიდი სარკესთან და კარგად გაიშინჯე შენი სხეული, იქნება, რაიმე ხინჯი გაქვს და მაშინ“...

ძლივძლივობით, შიშითა და კანკალით გაველ ზალაში, საღაც დიდი სარკე გვიკიდია და სარკის წინ სავარძელში მუხლების კანკალით ჩავჯექი; მაღლა კი ვეღარ ვიხედებოდი, რომ ჩემის სიმახინჯისა მეევ არ შემშინებოდა...

არა, რა დროს შიში იყო, სინამდვილე უნდა შემეტყო. თავი შევიმაგრე და პირდაპირ შევხედე. მაგრამ სარკეში ვერა გავარჩიე-რა, რაღაც აჩრდილის მზგავსს გარდა. ბნელოდა.

მაშინვე ასანთი გავკარ და სარკის წინ კართოფილის სანთელს მოვუკიდე, რომლის ალმაც ციმციმი მორთო და... ოხ, რა მშვენიერი გამოვჩნდი!..

სახეზე რომ რაიმე სიმახინჯე მქონიყო, განა წინადვე არ შევამჩნევდი, როდესაც დღეში ერთი-ათჯერ მაინც ჩავიხედავ ხოლმე?!

ჩემ ჟუჟუნა თვალებს სინათლის შუქზე კამკამი გაჰქონდა და ლოყებს და ტუჩებს ხომ...

ღმერთსა ვფიცავ, მეევ მომინდა ჩემის ტუჩებისა და ლოყების ჩაკოცნა. და ისინი კი... ნუთუ ისეთი გაყინულები არიან, რომ ჩემ დანახვაზე გული არას ეუბნებათ?!

სახით ნასიამოვნებმა, ახლა სხეულს დავუწყე სინჯვა.

საჩქაროდ გავხოლოდშობილდი და... ღმერთო ჩემო... მაშინ შევიტყე, რა მშვენიერებაც ვყოფილვარ!.. სწორედ გამოქანდაკებული ვყოფილვარ...

რომელი დახელოვნებული გამომქანდაკებელი ასე სისწორით და მშვენიერებით გამოიყვანს თავისს ნაწარმოებს, როგორც ჩემი სხეულია!..

სწორე, ლარივით ხაზები, კუნთების თავის ადგილას ამაღლებ-დადაბლება და... მკერდი?! მკერდმა ხომ აღტაცებაში მომიყვანა: სპეტაკი, ნაზი ყელიდან დაწყებული გულის-კო-

ვზამდის სისწორით ოდნავ წინწამოწეული და ზედ კიდევ აქეთ-იქით წყვილად ამობურთული და ჩამკვრიული ძუძუები, რომელთაც, თითქოს პატარა თავი აზისო, მარწყვივით წითლად გამომღვივე...

შევსცქეროდი ჩემს სხეულს და ვნანობდი; ახ, რატომ ასე სიარული არ შეიძლება, რომ ყველანი დამეგიჟებინა-მეთქი! მაშინ ხომ...

„ნეტავ ეხლა დამინახოს ვინმე-მეთქი“! ვინატრე და ფიქრებმა გამიტაცეს!..

თითქოს ნატვრა მისრულდება! ვიღაც მოდიოდა ჩემკენ. ვიღაც მამაკაცი იყო, მამაკაცი!..

გამეხარდა, აღტაცებაში მოვედი. მაგრამ ასე ხოლოდშობილი რომ ვარ-მეთქი?!. მინდოდა გავქცეულიყავ, მაგრამ უფრო ძალიან მინდოდა, რომ დაენახა ჩემი მშვენიერება და ადგილიდან აღარ დავიძარ.

მომიახლოვდა. ვერ ვიცანი... ან კი რათ მინდოდა მეცნო!

დიდხანს, დიდხანს ჩემ წინ გაჩუმებული იდგა და გულისფანცქალით ველოდი ბოლოს...

— ოჰ, მშვენიერებავ! — მუხლის მოდრეკით წამოიძახა ათრთოლებულის ხმით და ორივე ხელი ისე მაგრა დამიჭირა, რომ ჩემმა თითებმა ტკაცატკუცი დაიწყო.

— გთხოვთ, ცრემლითა გთხოვთ, სამუდამოთ ჩემი იყოთ და თქვენის მეუღლეობით გამაბედნიეროთ!..

„მეუღლეობით“!.. ეს სიტყვა ზეციურის ხმით იყო წარმოთქმული.

ამ სიტყვაზე, აღტაცებულმა, პასუხის მაგივრად, ჩემი სახე იმის სახეს დავუახლოვე და... კმარა!.. ნეტავ იმას, ვისაც ცხადლივ გამოუცდია ის სიტკბოება, რომელსაც გამოიწვევს ხოლშე აგზნებული პირველი კოცნა ვაჟისა! მე მარტო სიზმარში გამოვცადე და, ვგონებ, ცხადლივ სულ სხვა იქნება...

პირველ კოცნას მოჰყვა მეორე, და მესამე და ასე სულ გადამკოცნა, თან კიდევ გვერდს მეხვეოდა.

ძალზე მტკიოდა მკერდი, მაგრამ ტკივილები რა იყო იმ

სიამოვნებასთან, რომელსაც მე იმის ხელის ყოველ შეხებაზე ვგრძნობდი!..

სიამოვნებისაგან ლაფანივით მოვიქენი და აჩქარებით ძლივს-ღა ვსუნთქავდი. უცებ მკერდზე ვიგრძენ იმისი გახურებული ტუჩები და...

— რა მოგვიდა, რა იყო?! — შეკრთომით შევეკითხე, როდესაც ის გველნაკბენივით წამოხტა და შუბლშეჭმუხვნილი დამაცქერდა.

— ეგ რა გაწერია მკერდზე?.. ხა, ხა, ხა!.. ოცდასამი წლისა ხარ და მაგრე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ქალივით იქცევი?! — საშინელის ხმით გადიხარხარა და განქრა. დავხედე ზედ და მართლა დიდად „23“ მქონდა ამოდაღული.

ამის დანმახველმა სულისკვეთებით შევკივლე და თვალები ავახილე.

სიზმრად ყოფილიყო...

სანთელი ჩაქრობას აპირობდა. მე, გულჩაწყვეტილი, ლოგინისკენ წავედი, და მთელ ღამეს სულ ის წყეული რიცხვი გულზე მიღიტინებდა.

ახ, რა ბედნიერი ვიყავ, და „იმან“ როგორ ჩქარა მომიწაფლა ბედნიერება...

14 ოქტომბერს.

წუხელის დედაჩემი არ მომეშო და საცეკვაო საღამოზე წამიყვანა. გულით არ მინდოდა წასვლა და მაინც წამძლია. ნეტავ არ წავსულიყავ! რაც გული არ ჩამეთუთქა, იმის მეტი რა ვისიამოვნე?!.

ეს ტიალი დამავიწყდა, რომ დეკოლტეთი არ წავსულიყავ. სანამ არ წავიდოდი, მანამდის არაფერი, და როცა ცეკვა დავიწყე, მაშინ საშინლად დამიწყო გულზე ღიტინი იმ წყეულმა. დავიხედე და, ღმერთო, სწორედ იმ ადგილას, ის ადგილი სულ გამოჩენილი მქონდა, კანი ისე მომჭმუჭვნოდა და ისეთი მოყვანილობა მიეღო, როგორისაც „23“ რიცხვია!

ხელს ვაფარებდი მაგრამ თამაშობის დროს იძულებული ვიყავ ხელი ამეღო. ვინც კი ჩემთან ითამაშა, ყველამ იქ ჩამხედა, და ვხედავდი, როგორ დაცინვით იღიმებოდნენ. მე კი

სირცხვილის ოფლს მასხავდა, ვწითლდებოდი, ვყვითლ-
დებოდი.

ვინც ერთხელ ითამაშა ჩემთან, მეორეთ აღარ გავუწვე-
ვივარ. ან ვინ გამიწვევდა დაღმეჭილ გულიანს?!.

15 ოქტომბერს.

არა, არა!.. მე მეგონა ჩემის ფანტაზიის ნაყოფია-მეთქი.
გულზე როგორ ამომაჩნდებოდა „23“ რიცხვი? მაგრამ ტყუ-
ილად მეგონა. მართალია, ისე მართალია, როგორც ეხლა მე
დღიურში ვწერავ ამ ამბავს. დღეს დიდხანს ვუცქირე და
ნათლად, სულ ცხადლივ წითლად მატყვია „23“, ღმერთო!..

19 ოქტომბერს.

რა უბედური ვარ? ღმერთო, რა დაგიშავე ისეთი, რომ
ასე უბედურად მაბერებ?!. დიაღ, დიაღ, მაბერებ!.. შენმა
სარკემ დამიმტკიცა ეს. წინად ეს არ შემიმჩნევია.

ცხვირის ნესტოებისაგან დაწყებული, ლოყებსა და ზემო
ტუჩს შუა პირის კუთხებამდის, ხაზი რას ჰნიშნავს, თუ არა
სიბერეს?!.. მერე, რა ნაირი ხაზი?!. ღარივით ღრმა, ისე
ღრმა, როგორც ბებრებს აქვთ...

19 ოქტომბერი

მიშველეთ, მიშველეთ!.. რა წყალში ჩავვარდე, რა ვუ-
წამლო?! ის წყეული ღარი ახლა სახის ღარში ჩამეხლაკნა!..
იმოდენა ვიცქირე სარკეში, ისე გულმოდგინედ ვჩხრიკე, რომ
ისიც ამოვაჩინე. გულზე რაც უნდა მომსვლოდეს, თუნდა
სულ დამსეროდეს „23“-ით, და ამ სახეზე რაღა ჩემი ცოდ-
ვის კითხვაა?!. ახლა ასე ვიღას უნდა ვეჩვენო, ვიღას, ვიღას?!.
ნუთუ სამუდამოდ ასე მარტოდ, გაუხარებლივ სახლში უნდა
დავრჩე!..

ვაიმე!..

1896 წ.

„ბეჩა, რადა მკლავ?!“

— არ მომეკარო, არ მომეკარო!.. — ეშმაკურის კისკისით შესძახის თინა ლეოს და ხან ერთ ბუჩქს შემოურბენს გარს და ხან მეორეს.

— ჭივ-ჭავ!.. ჭივ-ჭავ!.. — იქავე ბუჩქებში ბეღურები დაჭყივიან და ერთი შტოდან მეორეზე გადახტიან. ერთი მეორეს უსხლტის, ახლოს არ იკარებს.

ეალერსება, გარს დასტრიალებს და ფრთების კანკალით გვერდით უჯდება, მაგრამ საძაგელი ბეღურა სტანჯავს თავის მოარშიყეს: კეკლუცად ისიც ფრთებს არხევს, ოდნავ ნისკარტს ახებს და მისრიალებს სხვა შტოსკენ, მეორე ბუჩქისკენ. საწყალი მოარშიყე სატრფოს ამგვარი ქცევით უფრო ცეცხლმოდებული, უკან მისდევს და ცდილობს გული მოულბოს ცუღლუტს, მაგრამ...

— გენაცვა, თინა, ჩემო კარგო! — ათრთოლებულის ხმით მისძახის და მისდევს უკან ლეო თინას.

დაიღალა ლეო, დაიქანცა და შესდგა. აჩქარებით სუნთქავს, თავ-პირს ღვართქალი ჩამოსდის და უიმედოდ, გაუბედავად უმზერს თინას, რომელიც ცოტა მოშორებით შესდგა და ამისკენ მოტრიალდა. ღიმილით... წარმტაცის თვალით შესცქერის თინა დაღონებულ ლეოს და უსიტყვოდ ეუბნება: „სულელო, რაღას მიცქერი და არ დამიჭერ, ხომ შენ ხელთა ვარ?!“.

თინას ალერსით და იმის მშვენიერის სახით წაქეზებული ლეო გიჟივით გადახტა იმისკენ და მკლავში ხელი გაჰკრა.

— ხა, ხა, ხა!.. — ხარხარით გაუსხლტა თინა იქვე მდგომი ვერხვისკენ.

— თინა!.. — თავბრუდახვეული გაბედვით უკან გამოედევნა ლეო.

— ჭივ-ჭავ!.. ჭივ-ჭავ!.. — ჭივ-ჭავით ბეღურებიც გაეშურნენ ვერხვისკენ შტოზე.

ვერხვის ქვეშ თინა მოტრიალდა. ეგონა, ლეო არ დამედევნებაო, მაგრამ ის წინ შეეფეთა და მაშინვე მკლავები შემოურკალა.

— დაგიჭირე!.. დაგიჭირე!.. — კანკალით ეუბნება ლეო და თან თინას გულზე თავდავიწყებით იკრავს.

— ჰო!.. ჰო!.. გა-მი-შვი!.. — დაბნევით უპასუხებს და მეტისმეტი აღელვებისაგან თვალები ელულება.

— გენაცვა!.. გენაცვა!..

— ჰმ!.. ჰმ!..

თრთის ლეო, თრთის თინა. ორსავე მუხლები ეკეცებათ, სხეული უდუნდებათ. სულ ერთი წუთიც, და ორნივე ძირს დაეშვნენ.

— ჭრრ-ჭრრ! წრრ!.. — ზევით, ვერხვის შტოზედაც შექმნეს ჭრიჭინ-წრიპინი.

გაზაფხულის მზე კი ჰფენს თავის გამაცოცხლებელ, ნაზ სითბოს არემარეს და ყოველ არსებას საალერსოდ იწვევს, მხოლოდ გრძნობად ჰქმნის და სასიყვარულოდ ახმაურებს...

— სსს!.. — ასისინა ვერხვმაც ნაზი ფოთლები და ამანაც შეუერთა სიყვარულის საგალობელს თავისი ხმა.

სისინმა ჩანთქა ყოველი არსების ხმა. ჭრიჭინ-წრიპინი, თრთოლა-თახთახი, ქშენვა და ზუილ-შრიალი სისინად გარდაიქმნა. უკანასკნელი „ს“ მისუსტდა, გაუგებრად სადღაც შესწყდა და ჩამოვარდა სამარისებრივი სიჩუმე, მაგრამ ტკბილი, ნეტარი სიჩუმე...

* *

— ტა-ტა-ტა-ტა—ტა-ტა-ტა-ტა!.. — დაუტატანეს ბეღურებმა თინას და ბუჩქებიდან ზევით ამოფრინდნენ.

ბეღურები ჟივილ-ტატანით დასტრიალებდნენ ბუჩქებს

და ცდილობდნენ, როგორმე შეეფერხებინათ იმათკენ მიმავალი თინა. ბუჩქებში კი ბარტყები-ღა დარჩნენ და, მშობლების ალიაქოთი რომ დაინახეს, თვითონაც დაიწყეს საცოდავად ჭყივილი. ბარტყების ჭყივილზე მშობლები სულ გაცეცხლდნენ.

იმათ ჭყივილზე მეზობელი ბუდობაც მოცვივდა და მაშინ ხომ აიმართნენ და პირდაპირ იერიშით მიდიოდნენ თინასკენ.

— დაიკარგე, დაიკარგე!.. — ჭყიოდნენ ბეღურები, მაგრამ თინას იმათი ტევა არ ეყურებოდა.

ის თავჩაკიდული, დაღვრემილი, ფიქრში გართული აჩრდილივით მიიპარებოდა და თითქმის შიგ ბუჩქებში შევიდა.

აქნობამდის ბეღურები თუ ცოტათი ფრთხილად იჭერდნენ თავს და თინას ზედ არ სცვიოდნენ, ახლა კი, როცა თინა ბუდეს წაადგა, მეტი ღონე არ იყო, უნდა გაბედვით ემოქმედათ. ერთი მათგანი გაქანდა და ფრთა ღონივრად ცხვირში გაჰკრა.

— ღმერთო, სად მოვსულვარ?! — ამ შემთხვევით გამორკვეულმა გულამოსკვნით წამოიძახა და მიიხედ-მოიხედა. — აახ!.. — თავის-და უნებურად წამოიკვნესა, ვერხვს რომ თვალი მოჰკრა, და ტანი მთლად შეერყა. თვალებზე ხელი მიიფარა, რომ ვერხვი არ დაენახა, მაგრამ მკლავები ჩქარა მოუდუნდა და მხრებზე მოწყვეტით ჩამოეკიდა...

ნახევრად დაბუმბლული ბარტყები კი ჭყიოდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, და უშნოდ აღებდნენ ყვითელ ნისკარტებს.

თინამ დააშტერა სიგამხდრისაგან მორღვეული თვალები ბუდეს, საიდანაც ღლანჭია კისრები ამოეწოწოლავებინათ ბარტყებს, და იმათ დანახვაზე სამარცხვინო აზრმა გაუელვა თავში: დასრისოს, ასო-ასო დაფლითოს, რომ იმათი წრიპინით, მშობლების წივილით დასტკბეს და გული გაიგრილოს, იმისი ჯავრი ამათზე ამოიყაროს. ხელებიც კი უნებურად შეუთამაშდა და წაატანა, რომ თავისი განზრახვა აღს-

რულებაში მოეყვანა, მაგრამ უეცრად ერჟოლით უკან დაიწია. თავის განზრახვისა შეეშინდა.

თავჩაღუნული შერცხვენით გამობრუნდა.

— აი, შე საძაგელო, შენა!.. — დაუტიეს ბეღურებმა და ვერხვის ძირამდის ტევით მიაცილეს.

დიდხანს აღარ უწივლ-უკივლიათ ბეღურებს. რაკი დაინახეს, რომ თინა ჩათუთქვილ-მოლეშილი ვერხვის ძირს მიესვენა, დამშვიდდნენ, დაწყნარდნენ, გამარჯვება მიულოცეს ერთმანეთს, და მეშველი ბეღურები თავიანთ ბინებისკენ გასრიალდნენ. დარჩა მარტო წყვილი ვერხვის ახლო ბუჩქთან. დედალი ბეღურა საჩქაროდ ჩაეკრა ბარტყებს, ჩასჩურჩულ-მიუალერსა და იქავ ახლომახლო საზრდოს საძებნელად წავიდა. მამალი კი ადგილიდან არ იძროდა და თინას თვალს არ აშორებდა.

— გეგონა, — ჩაეჭუკჭუკა შორიახლოდან ბეღურა: — ადვილად დაგანებებდით ჩვენს შვილებს?!. შეგშურდა განა?! შენც გინდა ჩვენსავით ხარობდე, მაგრამ ტყუილი სურვილია... სად არის მომავალი შენი შვილის მამა?.. ხომ ერთად ვიქორწინეთ!..

— გაჩუმდი! კმარა, კმარა! სად არის?.. არ ვიცი. წავიდა... წავიდა და ეს მომწერა წასვლის დროს: გთხოვ, დამივიწყოვო.

— ხა, ხა, ხა, ხა!.. — ჩაიჭუკჭუკა ბეღურამ: — შენც კი მიატოვებდი სიყვარულის ნაყოფს, განა, რომ შეგეძლოს?! გეტყობა, საშუალებას ეძებ, უდროოდ მოიშორო ტვირთი. თუ კიდევ მოუცადე და თავის დროზე დაგებადა, მაშინვე მიაღრჩობ და... არა, არა, არა?..

— კმარა!..

— ხა, ხა, ხა!.. არ გესიამოვნება?! აბა მაგრე ნუ მოიქცევი, თუ ყველამ შენ არ ჩაგქოლოს და თითით საჩვენებელი არ გაგხადოს!.. საძაგლებს, მოუგონიათ რაღაც კანონები და თუ ამ კანონების ასრულების შემდეგ ეყოლათ შვილი, ყველა ულოცავს, თუ არა და ჰქოლავს, თითქოს იგეთივე ბავშ-

ვი არ ებადებოდეთ. კარგია, არა?!. ხა, ხა, ხა!.. — წაიკასკასა ბეღურამ და ნისკარტით ფრთები ჩაიკმაზა.

— ღმერთო!..

— ჭრრრ! — დედა-ჩიტი უკვე მოფრენილიყო და ჭრიალით საზრდოს აძლევდა ბარტყებს...

მამა-ჩიტმა თავისი ადგილი დაუთმო დედა-ჩიტს, როდესაც ამ უკანასკნელმა ჭიაღუით გატენილი ნისკარტი გაითავისუფლა და ამას გვერდით ამოუჯდა. ახლა თითონ მამა-ჩიტი წავიდა საზრდოს საშოვრად.

თინა კი ისევ ისე უძრავად იჯდა და შენატროდა ბეღურებს: „რა კარგი იქნებოდა, მეც ეგრე ვხარობდე ჩემს ოჯახში, — ფიქრობდა თინა: — ხომ ერთმანეთი გვიყვარდა, და“...

კიდევაც ხარობს თინა. ახლა ამისთვის ვერხვი, ბუჩქები, ბეღურები აღარ არსებობს. ვერასა ჰხედავს. ზის თავის ოთახში, სადაც პატარა, მეტად მშვენიერი, ბუნჩულა ბავშვი დაგოგავს, დედას მუხლებზე ეხვევა, მკერდისკენ იწევს. ესეც გატაცებული იკრავს გულში, თვალებს უკოცნის. აგერ, ოთახის კარიც შემოაღო და ლეო, ამისი საყვარელი ლეო შემოვიდა.

— შენ ლოდინში თვალ-გული გადამელია! სადა ხარ აქნობამდის? — ცოტათი საყვედურის კილოთი და გაბუტვით ეუბნება თინა.

— რა ვქნა, გენაცვალე, დამიგვიანდა?!. მაპატივე!.. — სიყვარულით ეუბნება ლეო და თან ნიკაპს უწევს ზევით, რომ თავი მაღლა ააღებინოს და ტუჩები ჩაუკოცნოს.

— მიპატივებია, თუ კიდევ არ გაიმეორებ. — ეუბნება თინა და თან საკოცნელად ტუჩებს უშვერს...

ოხ, რა ნეტარებას გრძნობს!.. ისე მისუსტდა, მიილულა, რომ ტუჩების მოშორების თავი აღარ აქვს. ან კი რად უნდა მოაშოროს?! ნეტარების მეტს ხომ არასა გრძნობს და არა სჯობია, რაც შეიძლება დიდხანს გასტანოს ამგვარმა მდგომარეობამ...

თინა თვალებმილულული ოდნავ აცმაცუნებს ტუჩებს,

თითქოს სუნთქვა, სიცოცხლე თავის ლეოს უნდა გარდასცეს ამ ნეტარების დროს და ეს გრძნობა გაჰყვეს თან...

— ჭივ-ჭავ!.. — მამა-ჩიტს უკვე გამოეცვალა დედა-ჩიტი და თავისებურად ჩამოუკვესა მჭახედ თინას, თითქოს ყურის დაგდებასა სთხოვსო...

თინას ლახვარივით ეცა გულს. უეცრად ოცნებიდან გამოიყვანა ამ ხმამ და დაუბრუნა სინამდვილეს...

ოხ, რა საშინელი ტანის წვა იგრძნო, რანაირად გული მოუკვდა, ჩაეთუთქა, როდესაც გამოერკვია და იგრძნო, რომ რაც ამ წუთის წინ ნახა, მხოლოდ ოცნება იყო...

გული მოეკუმშა, მხრები მოეკრუნჩხა და სუნთქვა გაუძნელდა...

— ბეჩა, რადა მკლავ!.. — გულსაკლავად წაჰკვნესა ლეოს ლანდს თინამ და თვალთაგან ნაკადული გადმოსკდა.

1896 წ.

„ᲔᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲚ!..“

(სააღდგომო ეტიუდი)

...— მეც... მეც უარი ვსთქვი!.. მეც უარგყავ, მეუფეო!.. —სიმწარით გაიძახოდა პეტრე მოციქული და მიწაზე გართხობილი ცრემლით ნიადაგს ალბობდა.

თვალწინ ნათლად ეხატებოდა მასწავლებლის ნაზი, მისუსტებული, მაგრამ ღვთაებრივის ძალით მოცული სახე. ისინი სცემდნენ, ჰგვემდნენ, თავზე ეკლის გვირგვინს ადგამდნენ, მაგრამ ქრისტე კი ყოველსავე ამას უსიტყვოდ იტანდა, თავს არ იცავდა საყვედურიც კი არ უთქვამს იმათთვის. სამაგიეროდ, ღმერთს ავედრებდა: შეუნდე უფალო, რამე თუ არ უწყიან, რასაც მოქმედებენო...

— საზიზღრები!.. — წამოიძახა პეტრე მოციქულმა და წელში აიმართა, როდესაც თვალწინ წარმოუდგა თვალებახვეული ქრისტე, რომელსაც „ყურიმალსა“ ცემით ხან ერთი ეკითხება და ხან მეორე: „გვიწინასწარმეტყველებდე ჩუენ, ქრისტე, ვინა გცა შენ“?..

— სულ უკანასკნელს არ მოექცეოდნენ ეგრე, ეგრე მასხარად არ აიგდებდნენ და არ დაამცირებდნენ და იმას კი, თითქოს ბალღიაო, თვალები აუხვიეს და სიცილით, ხარხარით ეკითხებოდნენ: გამოიცან, ვინა გცემსო.

ის საზიზღარი, დამამცირებელი სიცილი ებრაელთა ახლაც ყურებში მოესმა და სხეულში გველივით ჩაეხლაკნა, რამაც საშინელი ჩხვლეტა და წვა მიაყენა და გონება აურია.

— აახ!.. —სხეულის გრეხა-წრეხით წამოიკვნესა და ჭაღარა თხელ თმას ორივე ხელით დაებღაუჭა.

გამოსწია რაც ძალი და ღონე ჰქონდა და საჩქაროდ ორსავე ხელში თითო ბღუჯა თმა შერჩა.

— იმ დროს მე იქ ვიდექი, ვუცქეროდი ამ დამცირებას და იმის მაგივრად, რომ მივშველებოდი, თავი იმის გვერდით მომეკლა, იმის მოწაფეობაზე უარს ვამბობდი! ხა, ხა, ხა!..— ტირილზე უარესი მწარე ხარხარი დაიწყო პეტრე მოციქულმა, თითებს კი იმტვრევდა, იკვნეტდა და თმით იწრეხდა.

— ყიყლიყოოო! — იქვე მახლობლად ფრთის შემოკვრით შეჰყივლა მამალმა.

— ჰაა!.. გაჩუმდი, გაჩუმდი!.. შენი მოგონება არა მჭირია, გაჩუმდი!.. უარს არ ვყოფ, არა, არა და არა! მე იმისი მოწაფე ვარ, გეყურებათ?! — ფეხზე წამოვრით დაუწყო მამლებს ტევა, მაგრამ მამლები მაინც ყიოდნენ. მთელი ქალაქის მამლები ერთმანეთს ამცნობდნენ განთიადის მოახლოვებას და პეტრე მოციქულის სასტიკ ბრძანებას ყურადღებას არ აქცევდნენ.

— სად არიან სხვა მოწაფენი, სადა?! ყველანი მოშორდნენ, ყველამ თავი მიანება. ის ჰგვემეს, ჯვარს აცვეს და მოჰკლეს და ჩვენ კი მივიმალენით, გავიფანტენით! სად არიან, სადა?! რითა ვართ იუდაზე მეტი, რითა!.. ჰაა, ჰაა!..

თითქოს სული ეხუთებაო, ისე-ღა ხრიალებდა, და თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იქ მდგომ ხეს ებღაუჭებოდა და თავისკენ ჰბრიდა...

— ჭაახ!.. — უეცრად მოიღო ხემ ჭახანი და პეტრე მოციქული გულღმა გადაიქცა.

მისწყდა ხმაურობა, მამლებმა ყივილი შესწყვიტეს და თავი ისევ ძილს მისცეს. ხის ჭახანზე ახლომახლო დაბუდებული ფრინველნი გამოეხმაურნენ ერთმანეთს და, რაკი განსაცდელი არა დაინახეს რა, ისევ ჩაიძვრინეს კისრები და ძილს მიეცნენ.

პეტრე კი ისევ გულღმა იწვა და შესცქეროდა ცის სივრცეს, სადაც ურიცხვნი ვარსკვლავნი დასცქეროდნენ მიძინებულ ქალაქს და ცელქად მიილტვოდნენ ღამის გუშაგისაკენ, რომელიც, თითქოს მოსწყენია მიძინებულ ქალაქისაკენ

ცქერაო, ლიბანის მთებს საძილედ ეფარებოდა და ქალაქში გაფანტულ მკრთალ სხივებს თავისკენ იწვევდა...

— ღმერთო! — უეცრად წამოჯდა პეტრე მოციქული და ხელების აპყრობით მისუსტებულის ხმით წამოიძახა: — ქვეყანა ისევ ისეა, არაფერი ცვლილება არ მოხდა!.. განა შესაძლებელია, ძე შენი ჯვარს აცვეს, მოჰკლეს და შენ კი არ გამოიხსენ, მზე, მთვარე, ვარსკვლავები და დედამიწა ერთმანეთში არ აურიე, არ ალუფხე?! მოკლეს ის, ის!.. ახ!.. — შუბლი შეიჭმუხნა, ორივე ხელის გული საფეთქლებს მაგრად მიაჭირა და ისე გაშტერებით ძირს დაიწყო ცქერა.

ლიბანის მთების მწვერვალიდან ამ დროს მოსისინებდა და იდუმალად ეწვეთებოდა ყურს ნიავი. მოჰქონდა ბრბოს ყიჟინა; სიცილი: „ჯვარს აცვით, თვალთმაქცია, თვალთმაქცი!.. ღმერთობას ჩემობს, მოკალით!.. თუ ღმერთია, იხსნას თავი თვისი!..“

მთვარეც მიიმალა, შეისრუტა სხივები და ქალაქი წყვდიადმა მოიცვა.

— ტყუილია, ტყუილი!.. ის ღმერთი იყო, ღმერთი, ღმერთი ჭეშმარიტი!.. — უპასუხა ამ ბრბოს ყიჟინს და, თითქოს უნდა შეებრძოლოს ბრბოსა და გააჩუმოსო, აღგზნებულის თვალებით ფეხზე წამოიჭრა. — სტყუი!.. ეგ თვალთმაქცი არ არის!.. — მუშტებწინგაშვერილი ტანის რხევით ყვიროდა პეტრე მოციქული, მაგრამ ბრბოს ხმა, სიცილი არა სწყდებოდა...

ქრისტე?

ქრისტეც იქა სდგას, ტანჯული, ნაგვემი, ეკლის გვირგვინით, დაღვრემილ-დაქანცული, უიმედოდ გამომჭვრეტი, თითქოს პეტრეს შველას ეხვეწებაო.

— რაბბუნი!..* — ცრემლთა ღვართქლის გადმოხეთქით წამოიძახა პეტრე მოციქულმა და ხელებგაწვდილმა მუხლი მოიდრიკა. — შენ თვალთმაქცი არა ხარ, არა!.. მე მთელი სამი წელიწადი შენს გვერდით ვიყავი, ყველა შენი საიდუმლო ვიცოდი და მე სიყალბე არ შემიმჩნევია რა!

* ებრაული სიტყვაა, მოძღვარს ნიშნავს.

— შუუუ... ხა, ხა, ხა, ხა!.. — მოქშუოდა ნიავი, ახმაურებდა ფოთლებს და ბრბოს სიცილს ასმენდა პეტრე მოციქულს.

— თვალთმაქცი იმის თვალთმაქცია, რომ ყველა მოატყუოს, ძალიან მახლობელიც... — მოესმოდა პეტრეს ეს სიტყვები და ლახვარივით გულს უსერავდა.

პეტრე მოციქული სტირის, ცრემლს აფრქვევს და კი არ იცის, რა მიზეზით. ეჭვი შეეპარა და ლამის არის ეს ეჭვი რწმენად გადაექცეს...

— ნუთუ ის გვატყუებდა, გვხიბლავდა თავის ქცევით და ყოველივე ტყუილი იყო? — ეკითხებოდა თავის თავს, მაგრამ პასუხს თითონვე ვერ იძლეოდა.

— ტყუილი იყო, მაშ არა?! თვალთმაქციობდა!.. — სიოს კი გადაჭრილი პასუხი მოჰქონდა.

„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რასათვის დამიტოვე მე?!“** — შემოესმა ქრისტეს უკანასკნელი სასოწარკვეთილებით სავსე სიტყვები.

— გეყურება, რაგვარ სასოწარკვეთილებით არის წარმოთქმული? განა ღმერთი მაგისთანა სასოწარკვეთილებას მიეცემა?! მერე ყოვლად შემძლებელი!.. — მოესმა პეტრე მოციქულს ხმა.

— არა, არა!.. ის ღმერთია, ღმერთი ჰეშმარიტი!.. — გულის კვნესით წარმოსთქვა პეტრე მოციქულმა და ფეხზე წამოდგა.

— შენ რაც გინდა სთქვი და ის კი თვალთმაქცი იყო, როცა ხელ-ფეხი მიულურსმეს, მაშინ-ღა მოაგონდა ღმერთი, მანამდის-კი ყოყოჩობდა და გაიძახოდა: „მე ძე ღვთისა ვარ“. თუ ღვთის ძე იყო, რად არის ახლა დაკრძალული საფლავში?! ღმერთს საფლავში რა უნდა, უგუნურო!? — ისევ ის ხმა არწმუნებდა პეტრე მოციქულს.

** მათეს სახარება თ. 27, მუხ. 46. ქრისტემ ქალდეურად წარმოსთქვა: „ილი, ილი, ლამა საბაქთანი?!“ ამისთვის დასცინეს ებრაელთ: ილიას უძახის საშველადაო.

— თვალთმაქცი ძმობას, სიყვარულს არ იქადაგებდა...

— თვალთმაქცი ყველაფერს ჩაიდენს და იტყვის, რომ თავისი თვალთმაქცობა გაიყვანოს! — გააწყვეტინა სიტყვა იდუმალმა ხმამ პეტრე მოციქულს.

— ტყუილია, ტყუილი! ის თუ ძე ღვთისა არ იყო, მაშინ ღმერთი არ არსებობს, არა და არა! გაჩუმდი, გაჩუმდი, შენ ეშმაკი ხარ, მაცდური!.. ის ღმერთი არ არის?! მე მრწამს, ის ღმერთია, და თუ ტყუილია, მაშინ... მაშინ... ახ რისთვისღა ვარ ცოცხალი?! რადღა მინდა სიცოცხლე?! ქვეყანაზე რაღა დამრჩება?!.

სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა და თვალებზე ხელები აიფარა.

უკვე ირაჟრაჟა. ფრინველთ მორთეს ჟივილხივილი და ერთმანეთს ულოცავდნენ განთიადს. ჯერ კი გაფრენა ვერ გაებედნათ, რადგანაც გარკვევით ვერა ხედავდნენ არემარეს...

— პეტრე, ქრისტე აღსდგა!.. — მოესმა ამ დროს ნაცნობი ხმა.

— ჭეშმარიტად!.. მარიამ... შენ?.. — დაბნევით გაიძახოდა პეტრე მოციქული და მარიამ მაგდალინელს მხურვალედ ჰკოცნიდა.

იმის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მარიამ მაგდალინელის სიტყვებმა უეცრად დაუბრუნეს ის, რაც ამ რამდენიმე წამის წინ ერყეოდა. ერყეოდა კი არა, კიდევაც შეერყა, და სიცოცხლეს ზიზღით შეხედა.

იმას დაუბრუნდა რწმენა და რწმენა ხომ პეტრე მოციქულისთვის სიცოცხლეს შეადგენდა. ჯვარს აცვით, გააპეთ შუაზე, ლუკმა-ლუკმა აკუწეთ, დაჩქლითეთ! ყოველსავე ამას ღიმილით მიეგებება ეხლა. იმას სწამს, რომ არაა მოტყუებული, რომ ის ღმერთია, ღმერთი ჭეშმარიტი!..

ამისათვის იყო, რომ მარიამ მაგდალინელს არ მოერიდა და ისე მხურვალედ, თითქმის გაგიჟებით, შეყვარებულივით, გულს ჩაიკრა და აღგზნებით კოცნა დაუწყო, რამაც მარიამ მაგდალინელი განცვიფრებაში მოიყვანა.

— პეტრე! — ძლივსღა მოახერხა მაგდალინელმა ხმის ამოღება და ხელიდან გაუსხლტა.

— ჰა!.. მარიამ?!.

— განა იცოდი ქრისტეს აღდგომა, რომ „ჭეშმარიტად" მიპასუხე? — უკან ხევით დაეკითხა მარიამ მაგდალინელი, რომ პეტრე მოციქული გონს მოეყვანა.

— არა! მაგრამ ის ხომ ღმერთია, ღმერთი ჭეშმარიტი და უეჭველად უნდა აღმდგარიყო! — უპასუხა პეტრე მოციქულმა და ქრისტეს საფლავისკენ გაეშურა, რომ დათრგუნვილი საფლავის გვერდით თაყვანი ეცა მაცხოვრისთვის.

1896 წ.

„ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი..“

დილა ადრიანად ვენახში რამღაც გააფაჩუნა. მალხაზამ მაშინვე თავი წამოყო და თოფს ხელი წამოავლო. ის იყო მაშინ წასთვლიმა და ახლაც არ დააძინეს. მთელ ღამეს სულ გარს უვლიდა და თვალი ერთ წამსაც არ მოუხუჭავს. გარშემო მეზობლების ვენახები სულ დაკრეფილი იყო და ადამიანი თუ ნადირი სულ ამის ვენახს ეტანებოდა. იმისმა მეზობლებმა ენკენისთვის ოცამდისვე ჩაკრიფეს და იმას კი, აგერ ღვინობისთვეც დაიწყო, რომ ვენახი ჯერ ისევ ისე მოსაკრეფი აქვს და დღე-ღამეს ასწორებს; მარტო ფარაჯის ამარა თოფ-მხარ-იღლივ გადაგდებული და კომბალ-დაბჯენილი ქარვასავით ყვითლად გამომღვიე მტევნებს შესცქერის და ზედ დაკანკალებს...

„ნეტა, რისთვის?! — ბევრჯერ დაჰკითხებია თავის თავს მალხაზა, მაგრამ პასუხის მიცემა კი გასძნელებია... — განა იმისათვის, რომ ბაღომ გაიხაროს თავისი ცოლ-შვილით?!. მე შევიმუშაო, ჩემი სისხლი შიგ ჩავღვარო ჩემ მამულში და... იმან წაიღოს... ჰმ... მე კი პერანგის ყიდვის ილაჯიც არა მქონდეს, რომ ძველი გამოვიცვალო!..“ — მწარის ღიმილით წამოიძახებდა ხოლმე მალხაზა, როცა კომბალდაბჯენილი ჩაუფიქრდებოდა თავის თავს და შემდეგ ჩამობღლერძილ პერანგის გულის პირზე დაიხედებოდა...

მალხაზა აბობღდა კაკლის ხეზე, რომლის მაღალ ტოტებზე ჭიგოებისაგან ჰქონდა გაკეთებული, ფუჩეჩდაფენილი ტახტივით, და იქიდან თოფის დაბჯენით ირგვლივ თვალი გადაავლო ოთხის დღის ვენახს... მერე გაგრძელებით გაჰკივლა და, რაკი პასუხად ფაჩუნი არსაიდან მოესმა, გვერდზე წამოწვა.

მზემაც ამოყო თავი ამ დროს მთის წვერიდან და ალაზნის ველს ერთბაშად გადაავლო თვალი, სადაც ყველა სულდგმული, რომელიც კი გარედ იყო, სიხარულით მიეგება და მოძრაობა იწყო; ზოგმა გაინავარდა, ზოგი საზრდოს საშოვნელად გზას გაუდგა და ზოგი კიდევ მიწაში ჩაძვრა... ღამის მეხრეებმაც ზლაზნით შემოიგროვეს საქონელი და გუთნებისკენ გასწიეს. გუთნისდედები ჩეკით სწმენდავდნენ გუთნის ხმალას და სახნის-საკვეთს იმაგრებდნენ.

მალხაზა კი მზის სხივის მოხვედრაზე გაიზმორა და თავისი გაზები წინ გადმოაწყო, რომ სითბოთი ესარგებლნა და ნამისაგან ჩაჭანჭახებული ლურჯი მიტკლის შარვლის ტოტები გაეშრო.

„დღეს კი მეღირსა რთველი!.. — კარგა ხნის შემდეგ წამოიძახა მალხაზამ და გზისკენ გაიხედა. — მგონი ისინი არიან,“ — წამოჯდომით წაიბუტბუტა, როცა ხევგაღმა მომავალ გოდრებით დატვირთულ ურმებს თვალი შეასწრო.

ურმები თანდათან უახლოვდებოდნენ და მალხაზას კი სახე თანდათან ეღრუბლებოდა. ის ხედავდა, რომ ბაღოს ცოლშვილი ურმებს უკან მოსდევს და მუშად წამოყვანილ დედაკაცებთან ერთად მხიარულად მუსაიფობენ... აგერ, იმათი სიცილიც ესმის...

„ნეტავი ის ოჯახქორი ჩემი დედაკაციც ჩამოვიდეს და ი ბალღები წამოასხას, რომ დღეს რთველში მაინც გაიხარონ და ისიამოვნონ რამე!..“ — ნაღვლიანად წაილუღლუღა და ძირს ჩამოვიდა.

ურმები კიდევაც შემოვიდნენ ვენახში და ვენახი აახმაურეს.

— მაკუშჯან, აჰა, ჭამე! დილით ყურძნის ჭამა კარგია!..— ყურძნის ჭამით გაუწოდა მტევანი თავის გასათხოვარ ქალს ბაღოს ცოლმა და ურმის თავზე ჩამოჯდა.

— მე თვითონ მოვსწყვეტამ! — უპასუხა მაკუშამ და ვაზებში შევიდა.

— ჰო, შვილო, მოწყვიტე! — უკან მიაძახა დედამ და ახლა თავის სერთუკოსან შვილს მიუბრუნდა, რომელიც ყურძ-

ნის ჭამით ხან დაიკუზებოდა და ისე გახედავდა გლეხის დედაკაცებს და ხან აიწეოდა:

— შენა, შვილო, რატომ უკან არ მიყვები და თვალყური არ გიჭირავს, რომ ყურძენი არა ჭამონ დედაკაცებმა? ხომ მამა-შენმა დაგავალა.

— ჯერ აქედან ვადევნებ, დედი, თვალს, და როცა შორს წავლენ, მაშინ უკან გავყვები.

— ჰო, ეგრე, შვილო! — მოუწონა დედამ, კლერტი შორს სტყორცნა, მეორე მტევანს წამოავლო ხელი და ახლა იმას დაუწყო ჭამა.

ბაღოს პატარა ყმაწვილები კი ვაზებში დარბოდნენ და. თავს იყვნენ თუ ბოლოს, ამისი დედას არა ედარდებოდა რა.

— დედი, დედი!.. — კივილით გამოვარდა სიმსუქნისაგან სახეჩარგვალებული შვიდი-რვა წლის ყმაწვილი, რომელსაც თავის სიგრძე აკიდო ეჭირა ხელში.

— უი, შენ კი გენაცვალოს დედა, შვილო მელქო, სად იპოვე? — ალერსიანად მიიკრა გულში და გატკბილებული ტუჩებით, გატკბილებული ტუჩები ჩაუტყლოშნა...

— იქა, იქა!.. — სიხარულით ებნებოდა მელქო და თითს ვაზებისაკენ იშვერდა.

— წადი, კიდევ მონახე და შავინახოთ!..

მალხაზა ხედავდა ამას, ყველაფერი ესმოდა და, რომ გული გაექარვებინა, საქონელს ხან იქიდან წაუვლიდა და ხან აქედან...

— ჰკრეფენ?.. — რიხიანის ხმით დაეკითხა ბაღო, რომელმაც თავისი ლურჯა შემოათქრიალა ვენახში და კინაღამ მალხაზა არ გაატანინა...

— ჰკრეფენ. — ქუდის მოხდით უპასუხა მალხაზამ და ცხენს სადავე დაუჭირა, რომ ბაღო ჩამომხტარიყო.

ბაღო გახლავთ კახეთში სოფლად მოვაჭრე, შუა სოფელში აქვს დიდი დუქანი და, რას მოინდომებ გლეხის სულო და გულო, რომ იმას არა ჰქონდეს გამოკიდული, და იმისმა დახელოვნებულმა დახლიდრებმა, რაც არ გინდოდეს, ისიც არ მოგანდომონ!

1896 წ.

„ი... ყუ... ჩე!..“

(მონოლოგი)

„...რაღას გავჩუმდი და ენა მუცელში ჩამივარდა, როდესაც ის საზიზღარი ისეთის ბილწი ღიმილით იმის სურათს გვაჩვენებდა და თავის გამარჯვებას შემოგვკვეხოდა?!. რატომ მაშინვე ყელში არა ვწვდი, ის ბილწი გული არ ამოვგლიჯე და იატაკზე არ დავანარცხე?!.

„ახ, რა ნეტარებას ვიგრძნობდი, როდესაც იმისი გვამი ჩემ ფეხთწინ კრუნჩხვა-გრეხას დაიწყებდა და თბილი სისხლი კი ჩქეფით იქაურობას მორწყავდა და იმისი შხეფები ჩვენ შეგვწინწკლავდა!..

„...ნეტარებავ, ნეტარებავ!.. თითქოს გრძნობდა იმის სიტყვებს, რომ სურათში შენი თვალები იქ მდგომთ ნაღვლიანად, ლმობიერად შემოგვცქეროდა და შველას გვთხოვდა...

„მე კი, შენი მაღმერთებელი, სხვებთან ერთად, ხა! ხა! ხა! უშნოდ ვიღრიჯებოდი და ვცდილობდი, რომ ჩემი მღელვარება არ გამომჟღავნებულიყო...

„ის კი, საზიზღარი, ხან ერთს გადმოგვცემდა შენს სურათს და ხან მეორეს... ვხედავდი, ყველა სტკბებოდა შენის სიმშვენიერით და...

„როცა შენი სურათი ხელთ ვიგდე, მინდოდა დამეხია, კბილით დამეფლითა, რომ იმ ბილწს, ბინძურს უბეში არ ჩაედო და შენის სახელისათვის ჩირქი არ მოეცხო...

„მარამ კიდევ იმის შიშმა, კიდევ იმ მოკრძალებამ შემაყენა...

„მაპატივე, ჩემო ღვთაებავ, უკანვე გარდავეცი და ისევ ღრეჯა, უშნოდ კრეჭა დავიწყე...

„...განა, ჩემო წმიდათა-წმიდავ, სტყუოდა, სრულს სიცრუეს ამბობდა... იმის სიტყვებს ნიადაგი არა ჰქონდა?! შენ გულთმისანი ხარ, შეიტყობდი, რა განზრახვითაც გეკლება ის თავს. იმის სიცბიერე შენთვის ცხადი იქნებოდა და სურათს კი არ მისცემდი, ახლოსაც არ მიიკარებდი...

„ხა, ხა, ხა!.. როგორ უსინდისოდ სტყუოდა!.. საზიზღარს, შენი სურათი სადმე მოუპარავს და დასამტკიცებელ საბუთად დააქვს... უთუოდ შენ განდევნე და ეხლა ის სამაგიეროს გიხდის... ცილს გწამებს...

„მაგრამ... ახ... ზედ წარწერა?!.

„შენის ხელით იყო ზედ წარწერილი, შენის... მაშ... მაშ სუყველაფერი მართალი იყო?! ვერ მიხვდი იმის ცბიერებას და...

„რად მიენდე იმ...

მაგრამ რას ვბოდავ?.. გულო ჩემო, რისთვის შფოთავ? რა იცი, რომ ყოველივე ეს იმან არ იცის და კიდეც არ ესიამოვნა... განა შენ რომ წმინდად, უბიწოდ, ციურ არსებად გეჩვენება, ეს მართალია?.. იმისი თვალები რომ უბიწოდ გამოიმზირებიან, განა ცბიერებით არ მოსდის?.. ხომ შეუძლებელია შენთვის ეს შეიტყო და მაშ რად ბრმავდები? იქნება იმისი სიმშვენიერე, თვალთმაქცი სიმშვენიერე წუმპის ფსკაა, და შენ კი ბუდიდან გადმოვარდნას ლამობ, როდესაც ის წარმოგიდგება თვალწინ...

„არა, იყუჩე, გულო, იყუჩე... დასცხრი, ი...ყუ...ჩე!..“

1897 წ.

„გმადლობ, უფალო, გმადლობ!..“

(ეტიუდი)

„— გმადლობ, უფალო, გმადლობ... სიხარულისაგან ლაშის გადავირიო... მადლობის გადახდა ვერც კი მომიხერხებია.

„ღმერთო, ღმერთო, რითი დავიმსახურე შენი ყურადღება, რომ... რომ ღირსი გამხადე, რჩეულად მყავი და... ახ, გმადლობ, უფალო, გმადლობ... ადამიანის სული, გული, აზრი... ღმერთო, გულთამხილავი ვარ... ადამიანის გული ჩემთვის დაფარული აღარ არის... სულ უღრმესი, მისთვისაც-კი დაფარული და უჩინარი, თვალწინ გადამეშალა, გონების თვალი ელვასავით სწრაფ გაიკლაკნება ადამიანის გულის უფსკრულ ადგილებში და ყოველსავე საიდუმლოებას, საიდუმლოთა საიდუმლოებას... გმადლობ, უფალო, გმადლობ...

„აგერ ის მხევალი... ბედშავი, რა დაღონებული შემოვიდა შენს წმინდა ტაძარს... ფეხები უკან რჩებოდა. ვერა ბედავდა შემოსვლასა. თვისი საქციელი ჰქეჯნის, ბავშვს დასრულება არ დააცალა, ძალად დაჰბადა და, უჰ, წყალში გადააგდო... საზიზღარმა მოატყუა, შეაცდინა და... აგერ, როგორ მდუღარეს აფრქვევს: „შემინდე მე, უფალოო...“ გეხვეწება უსიტყვოდ.

„აპატიე, უფალო, აპატიე... გამოუცდელი იყო. საზიზღრის ცრუ სიტყვები სიმართლედ მიიღო და...

იმ საზიზღრისათვის ლოცულობ?! გინდა ამასაც აპატიოს უფალმა? ახ, რა კეთილი არსება ყოფილხარ...

„ღმერთო...

რაა?.. პატივებას კი არა, სამაგიეროს გადახდას ეხვეწე-

ბი?.. სთხოვ უფალსა, დასტანჯოს, არ მოასვენოს?.. შეგაძ-ლებინოს, შენის ხელითვე ჯავრი ამოიყაროს?..

„ახ, მეგონა იმასაც ავედრებდი უფალს. ეხლავე სიძულ-ვილი, სამაგიეროს გადახდა... როდის-ღა იქნება შენი გული თავისუფალი მაგ სენისაგან, თუ კი ეხლავე ნიადაგს აძლევ...

„მაგრამ გეპატივება, ადამიანი ხარ, მოგატყუეს და შენც...

„ზარსა რეკენ!.. დღეს ბედნიერი დღეა. მრავალი მოაწყ-დება, ეკლესია ვერც კი დაიტევს. აგერ იქ, გალავნის კუთხე-ში, დავდგები. იქიდან არავინ გამომეპარება. მე კი ვერავინ დამინახავს. ყველას გული, ოხ, ღმერთო, წინ გადამეშლება!.. გმადლობ, უფალო, გმადლობ!.. მე... სსს!.. მოდიან კიდეც!.. აგერ დედაბერი ყავარჯენის ბჯენით მიუახლოვდა ეკლესიის კარებს, პირჯვარი გადიწერა... ოი, ოი, მოხუცო მანდილოსა-ნო!.. თითქოს ღვთისმოსავი ადამიანის სახელი გვაქვს მოხ-ვეჭილი! პატიოსანისა და მართალი ადამიანის ჯიღა დიდი ხანია საზოგადოებამ თავს დაგადგა... მაშ გიცრუვია, საზოგა-დოებისათვის თვალები აგიხვევია... ღმერთო, რა გაიძვერად უმოქმედნია!.. აი, ეხლაც წმიდა ადგილას, შენ წინაშე სცრუ-ობს!.. არ გინდა, მოხუცო, სიბერის დროს მაინც გულწრფე-ლი იყო და ქვეყანას არ ატყუებდე?! პირჯვარს იწერ, სიტყ-ვებს გაიძახი და გული კი, ოი, საით გაგირბის?!. შედექ, შე-დექ!.. ღირსი არა ხარ მანდ... არ გამიგონე და შეხვედი?!. შენი სასაძაგლე არ დამავიწყდება, შენ...

„ოხ, რა დაღონებული, რა სათნოებით სავსე მოდის!.. მშვენიერო არსებავ!.. თითით საჩვენებელი ხარ, შენი სიკე-თე, ზნეობის სიმტკიცე, სიფაქიზე სამაგალითო გამხდარა. მშვენებავ, რამდენი, შენს მეუღლეზე უკეთესი შენის სიმშ-ვენიერით გადარეული უნუგეშოდ გაგისტუმრებია! რამდე-ნი თაყვანისმცემელი ოხრავს და ვერ გაუბედნია თავისი გრძნობა გამოამჟღავნოს?! ახ, რა ბედნიერია შენი მეუღლე!..

„რანაირად გეძნელებოდა გუშინ მეუღლის გასტუმრება?! გამხნევებდა, „ერთ თვეზე დავბრუნდები“-ო, მაგრამ მაინც გეძნელებოდა განშორება, გული თან გააყოლე. ერთი თვე

საუკუნედ მიგაჩნდა. ნეტარი! რა დამშვიდებული წავიდა. ან კი რად უნდა ედარდნა, როდესაც შენი სიფაქიზე სწამს?!. იცის, შენ სახელს, ოჯახს არ შეუბღალავ.

„აი, ეხლაც მოსულხარ, რომ შეავედრო უფალს იგი. „ნუ სწუხარ, ნუ!.. ის... მაგრამ რას ვხედავ?!. ვინ ის?! განა ეხლა მეუღლეზე არ ჰფიქრობს?!. განშორება კიდევაც გიხაროდა?!.

„ოი, წყეულო თვალთმაქცო!.. შედექ, შედექ! სხვისთვისაც გიცემს გული?!. მოტყუებულო მეუღლევ!.. აი, შენი გულწრფელი გრძნობა!..

„არ შეხვიდე, შე მატყუარავ, არა!.. შენი ადგილი...

„ოხ, თქვენ ხომ შეყვარებულები ხართ?!. ბედნიერებო, ერთმანეთისათვის გიცემთ გული, სული და გული გაგიერთებიათ.

„კარგია, თქვენ შემოხვედით იმ წყეულის შემდეგ. დამამშვიდეთ. თუ ეს აქ ატყუებს, არც ის დააკლებს იქ. ორსავე ერთმანეთისა სწამთ, ორნივე კი ერთმანეთს ატყუებენ. ღირსნი არიან ორნივე ერთმანეთისა, თქვენ კი...

— სულ სხვაა თქვენი კავშირი, ძლივს გაბედეთ ერთმანეთისთვის გაგემყღავნებინათ თქვენი გულისცემა. სულ ერთი კვირაა მას აქეთ. გინდათ სამუდამოდ ერთად იყვნეთ?! კიდეც მაგაზე გაქვთ ლაპარაკი. ოხ, რა გრძნობით გამსჭვალულა თქვენი თვალები! თვალებით გინდათ ერთმანეთი ჩანთქათ, რომ ერთ არსებად გარდიქმნეთ... ბედნიერებო, შედით, შედით. უფალი აკურთხებს თქვენს გრძნობას, გულწრფელ გრძნობას... სულ ცოტა ხნის შემდეგ მანდვე ერიც იქნება მოწმე თქვენის შეუღლებისა. შედით, შედით!.. თქვენისთანებისათვის არის ეგ წმინდა ტაძარი და არა იმ...

„მო...ი...ცადეთ, მოიცადეთ!.. თქვე... ნუთუ თქვენც საათავეში დაიწყეთ ცრუობა?!. რად, რად ატყუებთ ერთმანეთს?!. ვინ გატანთ ძალას?!. რატომ გულახდით არ უამბობთ ერთმანეთს გუშინდელს ამბავს?!. ხომ არც ერთს ერთმანეთი არ გახსოვდათ გუშინ, როდესაც სხვადასხვებთან იყავით?! შედექით, არ შეხვიდეთ, ვიდრე ერთმანეთს გულახდით არ უამბობთ გუშინდელს ამბავს... ეხლავე ნუ დასდგომიხართ სიც-

რუვესა, ნუ, ნუ!.. ახ, არ გინდათ, მოისმინოთ?!. მაინც სცრუ-ობთ და... ახ, ერთმანეთისა რაღად გჯერათ... ნუთუ ვერა ხე-დავთ ერთმანეთის სიტყვების უშინაარსობას?!. შედექით!.. შე...დე...ქით!"

„კეთილო მწყემსო!.. შედი და შენის მჭერმეტყველებით, შენის გულწრფელის სიტყვით გამოსდევნე ყველა. მანდ ყოფნის არც ერთი ღირსი არ არის. არც ერთი არ მოსულა სალოცავად. ყველა გამოსდევნე, შედი, შედი, ნუ ყოყმანობ! ხომ კეთილი ხარ? ხომ შენი სიკეთე, გულწრფელი მოქმედე-ბა ქვეყანამ იცის?! ხომ გწამს კიდეც, გულწრფელად ემსა-ხურები შენს ერს? როგორ გეხვევა ხალხი?!. ყველა მოწი-წებით შემოგცქერის... მაშ...

„მოიცა, მოიცა!.. შენ... ღმერთო!.. ნუ თუ ესეც... შევიდა კიდეც. თან ბრბო შეპყვა... მისდევს... ქალი, კაცი, დიდი, პა-ტარა, ერთმანეთს მოება. აგერ, აგერ მოეშურება ყველა მანდ!.. თან მოაქვს გულწრფელობის გარდა, ყველაფერი. რა გვარი სისაძაგლე არ არსებულა ადამიანის გულში!.. ღმერ-თო, შენ ხომ ხედავ ყველაფერს, შენ ხომ ხედავ ყველაფერს, შენ ხომ...

„ოხ, პატიოსანო არსებავ, მოხვედი? გულწრფელო, მა-მულიშვილო... უკანასკნელად შენ მოხვედი.

ნუ შეხვალ მანდ. ყოველმა სისაძაგლემ მანდ მოიყარა თავი. უმწიკვლო ხარ. მაგათთან ერთად არ უნდა იდგე, არა. შენი მოღვაწეობა, შენი გულწრფელი, თავდადებული მოქმე-დება გამოისყიდის მთელი ერის უნდობლობას, იყავ კელაპ-ტრად. კეთილო მამულისშვილო, შორს დადექ. ნუ შეუერთ-დები მაგ სისაძაგლის მორევს, ნუ. შედექ, შედექ!..

„უანგარო მოღვაწევ, შედექ! მინდა გიმზირო, მინდა შე-ნის მზერით დავტკბე და თავი ვინუგეშო. იქნება აგერ იქ მოთავსებული სისაძაგლე დამავიწყდეს და დავმშვიდდე... შე... შედი, შედი... არა, შესდექ, შე საზიზღარო, თვალთმაქ-ცო, ბილწო! ყველაზე საზიზღარი შენ ყოფილხარ, ყველაზე...

„ახ, ღმერთო, სადღა, სად მოვძებნო წმინდა გრძნობა,

წრფელი და უანგარო, როდესაც უწმინდესის საგნის სახელითაც ასე სარგებლობენ, როგორც ეს უმსგავსი?!.

„ახ, რა დიდის ამბით, რა გრძნობით ახსენებ ხოლმე წმინდა სამშობლოს... ღმერთო, ნუთუ შესაძლებელი ყოფილა მაგრე ხელოვნურად თვალები აუხვიოს საზოგადოებას და დაჰფაროს ადამიანმა ნამდვილი მოძრაობა გულისა?!.

„რაღას ყოყმანობ და არ შეხვალ, შე საზიზღარო?!. შედი, შედი და ყველაზე წინ წარსდექი! შეუერთდი იმათ და ატყუე, ატყუე, ვიდრე... ღმერთო, რად აბოგინებ ამათთანას?!. რატომ...

„ოხ, თქვენ მაინც იყავით მაგრე. მუდმივ ეგ წრფელი გრძნობა გაკავშირებდეთ... აი, ვერა მხედავთ, რა სიხარულით ვეგებები თქვენს წმინდა, წრფელ გრძნობას იმ საზიზღარის შემდეგ? ერთმანეთისათვის თქვენ თავს გასწირავთ: გიყვართ ერთმანეთი მეგობრულად. მეგობრები ხართ!.. შემომხედეთ, მეც თქვენთან ერთად ვხარობ. ღმერთო, გმადლობ!.. აი, ესენი... შედექით კია!.. ნუ მიხვალთ იქ. შე...

„შედით, შედით... თქვენც, თქვენც, ორგულებო, ერთმანეთს ატყუებთ... მოიგონეთ გუშინდელი ამბავი, როგორ კილავდით ერთმანეთს, რომ თქვენი პიროვნება ამით აგემაღლებინათ?.. ახ, საზიზღრებო, აღარც კი გრცხვენიანთ, ერთმანეთს ეგრე ღიმილით ეგებებით და შეყვარებულივით მალაპარაკობთ... ფუი, ფუი, თქვე... შედით, შედით...

„„ღმერთო!.. ვინღა დარჩენილა?! უფალო, შეარყიე ტაძარი, შემუსრე მისი მკვიდრი კედლები, როგორც შიგ მყოფთ შემუსრავს ყოველი ადამიანური გრძნობა და...

„უფალო, უფალო... ნუთუ აღარავინ დარჩა?!. ერთი, ერთი ადამიანი მაინც ვნახო, რომელიც გულწრფელად მოქმედებდეს... ღმერთო...

„რა გინდა აქ?! წადი, წადი!.. დედი, დედი ერთ ნაბიჯსაც ნუღარ წარმოსდგამ!.. წადი დაიმალე!.. ახ, არ გეყურება, წადი!.. ღმერთო, ღმერთო, ნინოც თან მოჰყავს, ჰა, ჰა, ჰა!..

„დედი, შეიბრალე წამებული შენი შვილი!.. დაიმალე. ნუ მოხვალ!.. წაიყვანე ეგეც, ნინოც! ნურც მაგას შემოიყვან,

წადი, წადი!.. ნინო, ნინო, ნინო, დედი, წადით, წადით!.. და მუხლმოდრეკით, გევედრებით! ვერა ხედავთ, რა მდუღარეებას ვაფრქვევ! წადით, წადით!..

„ახ, არ გეყურებათ?!. მოდიხართ!.. ღმერთო!.. დაბრმავდი, გონების თვალო, დაჩლუნგდი, გონებავ!..

„გული მაინც დამალეთ!.. არ მინდა თქვენ გულს შევხედო... თქვენი საიდუმლო გავიგო...

„მინდა, ეგ ორი გული მაინც არ ვიცოდე!.. ეგ ორი გული მაინც მაკავშირებდეს ადამიანთან... მინდა ადამიანის გულწრფელობა მწამდეს!.. მაგრამ...

„ააახ, ხა, ხა, ხა!.. თქვენი გულიც მეშლება თვალწინ!...

„არ მინდა, არა, არა და არა!.. დაჩლუნგდი, გეუბნები, გონებავ!.. თვალო, დაბრმავდი!.. ადამიანის გულწრფელობა მინდა მწამდეს, მინდა!.. მინდა!.. არ ჩლუნგდები! ეპოტინები მაგ ორ გულსაც? ძალად დაგაჩლუნგებ, დაგაბრმავებ! ნებას არ მოგცემ, შეეხო მაგ ორ გულს, ჩემ წმინდათაწმინდას...

„აი, ეს დამბაჩა მოგიღებს ბოლოს!..

„ჰაა!.. დედი... ნინო... მშვიდობით!..

— შვილო, რა დაგემართა!..

— ჰა?!.

— საშინლად ბორგავდი, სტიროდი.

— დედი, შენ?!. ნინო?!.

— ჰო მე, ვიღა ნინო?

— გენაცვა, დედი, დედი!.. სიზმარი ყოფილა!..

— ჰო, ძილში სტიროდი...

— გმადლობ, უფალო, გმადლობ... — სიხარულის ცრემლის ფრქვევით წამოიჩოქა ლოგინში და მხურვალედ უფალს მადლობა შესწირა, რომ სიზმარში ყოფილა გულთამხილავი და არა ცხადად.

1897 წ.

„...მძულხართ...“

(საახალწლო ეტიუდი)

— ეს პირველი! — წამოიძახა ქალწულმა და გვერდზე კისრის მიგრეხით სარკეში ჩაიხედა... ოდნავ შეპარებული სიწითლე იმის ნაზს, სპეტაკ სახის ფერს ამშვენებდა და ცისფერი თვალები და ოქროსფერი თმა ხომ უათკეცებდნენ სიმშვენიერეს. ნეტოს თითონვე მოეწონა თავისი მინაზებული სახე და სარკისკენ მთლად მიტრიალდა. სარკემ უტყუვრად გამოაჩინა იმისი მოხდენილი ტანი და...

— მოდის!.. ღიმილით წამოიძახა, კიბიდან ფეხის ხმა რომ შემოესმა, და მოწყვეტით სავარძელში ჩაესვენა.

— ლეგაა!.. — შემოვიდა დედაკაცი და მოახსენა ნეტოს.

— სთხოვე!.. — უპასუხა ნეტომ და წამოდგა.

ლეგამ კარიბჭეში გვაბანაკი გაიძრო, თმა გაისწორა და...— მოგილოცავთ ახალ წელს!.. — უთხრა, შემოვიდა თუ არა დარბაზში და ნეტოს მხურვალედ ჩამოართვა ხელი.

— პირველად თქვენსკენ წამოვედი...

— გმადლობთ! თითქმის მეკვლეც თქვენა ხართ! — უპასუხა ნეტომ და სთხოვა, დამჯდარიყო.

— ახ, რა ბედნიერი ვარ, რომ თქვენი მეკვლე მე ვარ!... — შეუხამებელი სიხარულით წამოიძახა ლეგამ და ნეტოს გვერდით მიუჯდა...

— განა ჩვენი მეკვლეობა მაგრე საინტერესოა, რომ ბედნიერებად სთვლით?! — ღიმილით დაეკითხა ნეტო და ცოტათი ლეგასკენ გადმოიხარა.

— ნეტო! — ხმის კანკალით წამოიძახა და ხელი დაუჭირა: — ეს დღე ჩემთვის სანეტარო იყო და მოუთმენლად მოველოდი, რომ... რომ... ახ!.. ნეტო მიყვარხართ!..

— ხა, ხა, ხა!.. — გადიხარხარა ნეტომ და ხელი გამოჰგლიჯა...

მდუღარე გადაესხა ლეგას, ნეტოს დაცინვითი ხარხარი რომ შემოესმა და წამს მოსაზრება დაეკარგა...

ვერც ხელი, ვერც თავი ვერ გაენძრია და გაშტერებით ნეტოს მისჩერებოდა.

რად?.. არ იცოდა.

ხარხარი კიდევ შემოესმა, თუმცა კი ნეტოს მეორედ არ გადაუხარხარია, და მაშინღა გამოფხიზლდა.

უეცრად მოუდუნდა ტანი, ძლივს წამოდგა და თვალცრემლიანმა წაილუღლუღა:

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ!...

— როგორ, მიდიხართ?.. — წამოდგა ნეტოც და თვალთ ჩააცქერდა.

— საცაა, დედაჩემიც გამოვა, ძალიან ეწყინება, იმის უნახავად რომ მიდიხართ!...

— ბოდიშს ვიხდი..: არ შემიძლია!..

* *

ლეგა გაეთრია. დიაღ, გაეთრია, რადგან თავის თავს ძალად მიათრევდა. ფეხები აღარ ემორჩილებოდნენ.

რა სიხარულით, რა სიამით მოეშურებოდა ნეტოსკენ?!. რა ღიმი უკრთოდა ტუჩებზე, როდესაც აქეთ მოესწრაფებოდა, და რას არ ოცნებობდა!... მაგრამ რა სასტიკად დასაჯეს, დასცინეს და წმიდათა-წმიდა შეულახეს!...

მე ვინ?..

ნეტომ... ნეტომ... იმ ნეტომ, რომელიც ანგელოზად მიაჩნდა და რომლისაგანაც სრულებით არ მოელოდა ამგვარ შეურაცყოფას...

ნეტო ხორცშესხმულ ციურ არსებად მიაჩნდა ლეგას და როგორ წარმოიდგენდა, რომ ის... ის... ისე ხარხარით მიიღებდა იმის წმინდა გრძნობას და...

— ახ!... შესდექ!.. — მეეტლეს ყავარჯენი ზურგში წაჰკრა და შეჰყვირა:

— გადახადე!...

— როგორ, ბატონო, სთოვს!..

— გეუბნები, გადახადე! — მოკლედ უპასუხა და გვაბანაკი გადიღეღა...

ცხელოდა. საკირეში ეგონა თავისი თავი. იმის შუბლს, სახეს უხვად ეფერფლებოდა თოვლი, მაგრამ ამით არაფერს გრძნობდა და ქუდმოხდილი გადახდილი ეტლით მისრიალებდა უმთავრეს ქუჩაზე. რამდენმა შეხედა და გაიფიქრა: „მთვრალიაო“. სხვა დროს თითონვე ითაკილებდა ამას, მაგრამ ახლა... ახლა, როდესაც ნეტოს დაცინვით ხარხარის მეტი არა ეყურებოდა რა, ვეღარაფერს ამჩნევდა...

— გეყურება, არავინ მიიღო, ვინც უნდა იყვეს... შინ არ არის-თქო, ასე უთხარ! — სასტიკი ბრძანება მისცა მოსამსახურეს და ლოგინზე გულდაღმა მიეგდო...

* *

— ვინ იყო, შვილო?.. — დაეკითხა დედა, როდესაც ლეგა წავიდა, და დარბაზში გამოვიდა.

— ლეგა.

— როგორ?! მერე ჩემ უნახავად წავიდა?.. რატომ სანამდის მე არ გამოვიდოდი, ტკბილეულობაზე არ მოიწვიე?!..

— მიეჩქარებოდა... — უპასუხა ნეტომ დედას, მაგრამ ტანში გააჟრჟოლა.

იგრძნო, რომ იმტყუვნა. რომ იმისმა ხარხარმა აიძულა ლეგა ჩქარა წასულიყო და ასე რომ არ მოჰქცეოდა, იქნება ის მთელი დღე ამათთან დარჩენილიყო. თვალცრემლიანი ლეგა უეცრად წინ წარმოუდგა და...

— გენაცვა, დედი, ცუდადა ვარ, მე ვეღარავის ვეჩვენები...

გული ამოუჯდა და ქვითინი მორთო.

— რა დაგემართა, რა იყო?!.

— არ ვიცი... მაპატივე!.. — წამოიძახა და თავის ოთახში შევარდა...

— რა უზრდელი, საზიზღარი რამა ვარ!.. ასე როგორ მოვიქეცი და...

ახლაღა იგრძნო თავის ხარხარის მნიშვნელობა.

ლეგას ცრემლმორეული თვალები კი ჩაჟინებული შეჰყურებდნენ და; თითქოს მომაკვდავი, უკანასკნელად საყვედურს ეუბნებოდნენ...

— ღმერთო, ღმერთო, ხომ მოვკალი!... — წამოიძახა თვალებზე ხელის მიფარებით, რომ ლეგას თვალები მოეშორებინა და ლოგინზე პირქვე მიწვა.

ლეგა კუბოშია. შავით შემოსილი მღვდელი წინ მიუძღვის და საუკუნო სამყოფელისკენ მიაქვთ. მგალობელთა გუნდი კი სამგლოვიარო „წმიდაო ღმერთოს“ გალობს...

დედა?!.

ლეგას დედაც უკან მისდევს და იმას... ნეტოს... საყვედურით უმზერს...

— ახ!.. — მწარეთ ამოიკვნესა ნეტომ და თავი ბალიშში უფრო ღრმად ჩაფლა, რომ ეს სამწუხარო სურათი თავიდან მოეშორებინა...

* *

„საზიზღარი!.. — შებღავლა ლეგამ და ლოგინიდან წამოვარდა: — არ მეგონა, რომ ის... ის ასე უზრდელად მომექცეოდა და პირში დაცინვით მომახარხარებდა... ოხ, რა თვალების ამხვევი ყოფილა გარეგნობა!..

„წავიდა... განქრა ჩემი ოცნება... რა ნაზად, სათუთად ვკვებავდი და ის კი რა სასტიკად მომექცა?!.

„ახ!.. რომ ქალწული არ ყოფილიყო, რომ სხვას მოეყენებინა მაგეთი შეურაცხყოფა, დავგლეჯდი, დავფლეთდი და მიწასთან გავასწორებდი...

„როგორ, როგორ?!. თუ უარის თქმა უნდოდა, განა ზრდილობიანად ვერ მეტყოდა? განა არ შეეძლო, სხვანაირად უარი ეთქვა და მაგრე მასხარად არ აეგდო ჩემი გრძნობა?!.

„საზიზღარი!..“

— ბატონო, ვიღაც ქალწულს უნდა თქვენი ნახვა. — მოახსენა მოსამსახურემ და წინ გამოეჭიმა.

— მე აკი გიფხარ, ნურავის მიიღებ-მეთქი! — წყრომით შეუტია ლეგამ და ისევ ლოგინზე მიწვა...

— მისთანა მშვენიერია, რომ უარი ვეღარ ვუთხარი, როდესაც მკითხა: „ბატონი შინ არისო...“

— გასწი, გაეთრიე!.. უთხარ, სძინავს-თქო...

— ლეგა, მე ვარ!... — უეცრად კარი შემოიღო და იქიდან მოესმა ხმა.

— შენ?!. — სიჩქარით წამოიჭრა და ნეტოს პირდაპირ დაუდგა. — ხა, ხა, ხა, ხა!.. შეგეცოდეთ და იმისთვის მოხვედით?.. — მწარედ დაეკითხა და თვალი თვალს გაუყარა.

— ლეგა... მომიტევე! — წამოიძახა ნეტომ და ლეგასკენ აჩქარებით წამოვიდა.

— შორს!.. მძულხართ!..

1897 წ.

წერილის ნაგლეჯი

(ეტიუდი)

„...ვუკვირდები, ჩემო კარგო, ჩემ გრძნობას და თმა ყალყზე მიდგება. ნუთუ ყოველივე, რაც გითხარი ჩემ გრძნობაზე, ტყუილი უნდა გამოდგეს?!. რა მემართება? არ ვიცი. წინადაც ესევე მემართებოდა, მაგრამ არა მჯერა, თუ ეს მემართებოდა. ჩემ გრძნობას არ ვენდობოდი... აგერ ერთი წელიწადია, რაც სიყვარული გამოგიცხადე და ქმრობის პირობა მოგეცი. მგონი ერთი წლის დაკვირვება საკმარისია, რომ ასე თუ ისე შენი გრძნობა ასწონდასწონო და რაიმე დასკვნა გამოიყვანო. რასაც იმ წამს ვგრძნობდი, როდესაც პირველად გითხარ: „მიყვარხარ“, ახლაც იმასვე ვგრძნობ. მართლადაც მიყვარხარ, მიყვარხარ, თავდავიწყებამდის მიყვარხარ...

„მინდა ახლა გულში ჩაგიკრა, სულში ჩაგიძვრინო, რომ განუშორებელნი ვიყვნეთ და საფლავშიაც ასე, ერთ არსებად გარდაქმნილნი, ჩავიდეთ... ახ, რა ნეტარება იქნებოდა, რომ ამ გრძნობით ჩავესვენო საუკუნო სამყოფელს!..

„ხომ შორსა ხარ, ხომ მარტო წერილით გესაუბრები ამ წამს, მაგრამ შენ ცხადლივ თვალწინ მიდგეხარ და გეამბორები, გეხვევი და უკიდურეს ნეტარებას ვგრძნობ, იმაზე მეტს, როგორსაც, ხომ გახსოვს, შენი მშობლები რომ დასაძინებლად წავიდოდნენ და ჩვენ მარტოკებს ოთახში დაგვტოვებდნენ... ჩაკონებულნი, რა ნეტარებით ვიყავით მოცულნი!.. მაშინ აღარ გვესმოდა შენი მშობლების მძიმე ქშინვა, აღარც კედლის საათის შეუწყვეტელი კაკა-კუკი და...

„ახ, რა სანეტარო გრძნობით ვიყავით შეპყრობილნი!...

„იმაზე მეტ ნეტარებას ვგრძნობ ამ წამს, როდესაც გონე-

ბის თვალით გეხვევი. შენს მეტი ამ ქვეყნად არავინ არის ჩემთვის, შენა ხარ ჩემი ყველაი; მაგრამ... წყეულიმც იყვეს ეს „მაგრამ“, რომ დაუპატიჟებელი სტუმარია...

„მაგრამ“ მხოლოდ მაშინ ხარ ჩემი ყველაი, როდესაც გხედავ ან მაგონდები. როდესაც კი შენს მაგივრად სხვასა ვხედავ ან მაგონდება სხვა ქალი, რომლის წინააღმდეგ არა მაქვს რა. შაშინ... მაპატივე, ჩემო კარგო, შენდამი სიყვარული აღარ არსებობს, შენ აღარ ხარ ჩემი ყველაი. ჩემი ყველაი ის... ის არის, რომელ მშვენიერსაც ვხედავ და რომელი მშვენიერიც ჩემ წინ დგას იმ ჟამად.

„ის მიყვარს იმ ჟამად, მხოლოდ ის მიყვარს, გაგიჟებით შიყვარს ის, და ეს გრძნობა ისეთივე გულწრფელია, როგორც შენდამი, იმაზედაც ისევ იმას ვფიქრობ იმ ჟამად, იმასვე ვნატრობ და გავიძახი: „ახ, ნეტარება იქნება, რომ ერთად ვიყვნეთ დღემუდამ, ერთ არსებად გარდვიქმნეთ, რომ სიკვდილსაც ვერ შეეძლოს ჩვენი განშორება, რომ საფლავშიაც ასე, ერთ არსებად გარდაქმნილნი, ჩავესვენოთ“. იმ ჟამად „ის“ „შენ“ არის და ახლა კი, როდესაც შენ გესაუბრები, „შენ“ „ის“ ხარ... შენ იმასთან არ მახსოვხარ და მივიწყებული მყევხარ. როგორც შარშანდელი თოვლი, და შენთან კიდევ ის, „ის“, ვინც უნდა იყვეს, მხოლოდ მშვენიერი კი. „შენ გეამბორებოდი, გეხვევოდი, როდესაც შენთან ვიყავ, და, გეფიცები ყოველსავე წმიდას, თუკი რაიმე წმიდაა, ჩემი მოქმედება გულწრფელი იყო. მხოლოდ გრძნობა მოქმედებდა და სხვა არაფერი. მოქმედება სრულებით მთლად ვერა ჰხატავდა ჩემს გრძნობას. გრძნობა უფრო დიდი იყო, ვიდრე მოქმედება, და ახლაც, არ ვიცი, ისეთი რა უნდა ჩამედინა, რომ ჩემი გრძნობა ამ მოქმედებას გამოეხატნა... საალერსო სიტყვა მეთქვა? — არა. არც ერთი საალერსო სიტყვა არ არსებობს ჩვენს ლექსიკონში, რომ მთლად ჩემი გრძნობის დამახასიათებელი იყვეს... ხვევნა, კოცნა... ვერც ეს გამოხატავს ჩემ გრძნობას...

„გეყურება, რასა ვგრძნობ და ვგრძნობდი შენდამი?.. ყოველივე ეს მემართება და მემართებოდა, როდესაც შენა გხედავ და გხედავდი.

„მოგშორდებოდი თუ არა და ახლა სხვა მშვენიერს შეეხვდებოდი, მაშინ ისევ იმ გულწრფელ, წმიდა გრძნობას, გამოიწვევდა და გამოიწვევს ის ჩემში, რომელსაც ვერც საალერსო სიტყვა და ვერც რომელიმე მოქმედება ვერ დაახასიათებს.

„რად მემართება ეს? — არ ვიცი. პირველში ვფიქრობდი, ვითომ ჯერ გამოურკვეველია ჩემი გრძნობა და ამისთვის მემართება ეს. იმის გამო გაგშორდი, რომ გამომერკვია და ჩავკვირვებოდი, მაგრამ, რაც ბევრს ვცდილობ გამორკვევას, უფრო გამოურკვევლად მრჩება და ჩემთვის გაუგებრად რჩება ის იდეალური სიყვარული, რომელსაც პოეტები გვიხატავენ. მე მგონია, იმათი ოცნების ნაყოფია ის სიყვარული და ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ან იქნება მე ვარ ამ გვარი ბუნებისა და სხვები კი არა. ნეტავ მაგრე იყვეს, მაგრამ... ფუი, კიდევ „მაგრამ“ წამოიჩხირა!.. ყველამ რომ ასე გულწრფელად ილაპარაკოს, როგორც მე შენ გელაპარაკები, მაშინ, მგონია, ყველა ამას იტყოდა...

„ახ, ნეტავი ვცდებოდე!.. მაშინ მეც შემეძლება შევიყვარო ვინმე ისე, რომ... რომ მარტო ის იყვეს საუკუნოდ ჩემი სული და გული...

„ხომ ჰხედავ, ჩემო კარგო, როგორ გულახდით გებაასები?! იმედია, შენც მომწერ, თუ ჩემსავით გემართება... აბა ჩაუკვირდი შენს თავს, გულს და ისე მომწერე... ნუ იმტყუნებ, გეთაყვა, ნუ იმტყუნებ და...

* 1897 წ.

---

* წერილის ნაგლეჯი ქუჩაში ვიპოვე, რადგანაც ავტორი არა სჩანს, ამისთვის გამოვამჟღავნე.

„ღირსი ვარ ამისა, ღირსი...“

(ეტიუდი)

საშინლად მინდოდა ზღვაზე მზის ამოსვლა მენახა და, მომეცა თუ არა ზღვით მოგზაურობის შემთხვევა, სიხარულით წამოვიძახე: ახლა კი ვნახავ!..

მთელ ღამეს კურდღელსავით მეძინა. წამდაუწუმ საათს დავყურებდი და ისევე ბალიშზე მივდებდი თავს...

„დროა!“ გავიფიქრე, მეოთხე საათი რომ დაიწყო და წყნარად წამოვდექი, რომ მეზობელი არ შემეწუხებინა, რომელიც გულიანად ხვრინავდა, და ფეხაკრეფით გემის ბანისკენ გავეშურე.

ჯერ ისევ ბინდბუნდი იყო. ნაწყვეტნაწყვეტი ღრუბლები აქა-იქ უძრავად მიჰკროდნენ ცას და გაცრიაგებული ვარსკვლავები-კი ოდნავლა ბჟუტავდნენ.

ცოტა არ იყოს, კიდევაც ციოდა და ამის გამო პალტო შემოვიჭუჭკე, ხელები სახელოებში დავმალე და პირდაპირ გემის ცხვირისკენ გავწიე, რადგანაც პირი აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა.

„ოჰო, ჩემს მეტს, სხვასაც სდომნია მზის ამოსვლის ნახვა“, უსიტყვოდ წამოვიძახე, როდესაც თვალი მოვკარ გემის ცხვირთან ყმაწვილს.

გაიგო თუ არა ჩემი მისვლა, არ ვიცი. გაშტერებით სივრცეს გასცქეროდა. ჩემს მისვლაზე არც კი განძრეულა. კიდევაც გამიკვირდა, რომ ამ სიცივეში პალტო-გადაღებული იყო და შუბლიც ცივი რკინის ბოძისთვის მიებჯინა. იმის ახლო დახვეულ თოკზე ჩამოვჯექი. ერთი კიდევ შევხედე უცნობს და მეც ფიქრებმა გამიტაცეს.

„რა არსებაა ადამიანი, — ვეკითხებოდი ჩემ თავს: — რომ ამისთანა უფსკრულს ებრძვის, უშიშრად ენდობა თავისგან მოგონილ მანქანას, რომელიც ასე გულადად, უდარდელად მიარღვევს ზღვის ტალღებს და უდარდელადვე ქვითქვითვიშ-ვიშებს?!.“

მაკვირვებდა ადამიანის გონება, გამჭრიახობა, მაგრამ...

„ოხ, რა შესაბრალისია იგივე მედიდური გონება ადამიანისა ბუნების სიდიადესთან შედარებით!.. რა სიმცირეს, არარაობას და მასხარაობას წარმოადგენს ეს მედიდურება, ამაყობა, ადამიანისა!.. ხომ საკმარისია სულ ერთი წამი, რომ მიფშვნიტოს, მილეწოს ეს ამაყად მიმცურავი და ზღვის ტალღების მიმარღვეველი გემი და...

„განქრა ადამიანის ოცნება, ამაყობა და მედიდურება!..

„რაღაც მღილი, რაღაც საცოდავი მატლი, რომელსაც ადამიანი ეწოდება... ეწოდება... ეწოდება... ე...“

უცნაური ამბავი დამემართა: აზრთა მიმდინარეობა შემიწყდა, მხოლოდ სიტყვა „ეწოდება“-ღა დაცურავდა ჩემს გონებაში და ისიც კვალს ვერა სტოვებდა. გული, აქნობამდის ბოლმით ავსილი, უნებურად შეზავდა სიამოვნებით და, ბოლოს, სულ სარკესავით გადამეწმინდა, ტუჩები კი ღიმად, ვარდივით, გადამეშალნენ...

განქრნენ, მიიფანტნენ მწარე ფიქრები და...

ახ, მეც განვიბნიე, დავკნინდი, ჩემი არსება დანაწილდა, გაეთეროვანდა, შეუერთდა იმ ბურთს, რომელსაც ცა და ზღვა, კიდეებით ერთმანეთს მიწებებულნი, წარმოადგენდნენ... გავფართოვდი. ჩემი პიროვნება აღარ არსებობდა. მე ბუნებამ ჩამნთქა და მე კიდევ — ბუნება, რომელსაც სიმხიარულე შეპარვოდა და სულ უნებურად ჩემი არსებაც აეყოლია.

ცა და ზღვა ერთმანეთს ეცილებოდნენ. ზევით და ქვევით ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოფანტულ ღრუბლებს და მათს გარსს ცელქად ეცვლებოდათ ფერი და ეს ფერი, თითქო საპნის ბურთიაო, ისე გამოკრთოდა. აგერ, პირველი ნაპერწკალიც ამოვარდა ზღვიდან! პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და სულ შეუმჩნეველად ის ადგილი, საიდანაც ნაპერწკალი ამოვარდა, ცეცხლად აინთო. ბურთს ფერი უფრო გაუსპე-

ტაკდა, გაუნაზდა. ცეცხლი კი უფრო და უფრო დიდ ადგილს იჭერდა, ცეცხლის გარსი თავის ფერსა კარგავდა, ცისფერს უერთდებოდა. და ამ დროს მზემაც ზღვიდან თავი ამოჰყო, ამოიჭყუმპალავა, წინწკლები ისევ ზღვას უბრუნდებოდნენ და...

ფერადიანი ბურთიც გასკდა. ცამა და ზღვამ თავისი ფერი მიიღო და მეც...

— ააახ! — შემომესმა შესაზარი ხმა ამ დროს და ტანი შემითამაშდა.

მივიხედე იქით, საიდანაც ხმა შემომესმა, და...

— თვალებს აკვესებდა, თითებს იკვნეტდა და ფეხს აბრაგუნებდა ის ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც მზის ამოსვლამდის ვნახე.

შემეშინდა. ისე შესაზარი სახე ჰქონდა, რომ ტანში ჟრუანტელმა გამირბინა.

— მაფურთხონ, მაფურთხონ, მაა-ფურთხონ!.. — წამოიხრანტალა საცოდავად და ქვითინი მორთო...

— ყმაწვილო, ყმაწვილო! — ტანის თრთოლვით ვანძრევდი, რომ გამომერკვია. მაგრამ ის მაინც ქვითინებდა და უაზროდ გაიძახდა:

— მაფურთხონ! მაფურთხონ, ღირსი ვარ!..

— გამოერკვიეთ, გეყურებათ?! — დავუყვირე და ხელები ძირს მაგრა ჩამოკვრით ჩამოვგლიჯე.

— ჰაა!.. ვინა ხართ, რა გინდათ?! — დაბნევით მიპასუხა და მოელვარე თვალები წელში გამართულმა მომაპყრო.

მე ვერ გავუძელ იმის თვალების მზერას და შევკრთი. ცოტა არ იყოს, დავიბენ.

— რა უნდა მინდოდეს? — ცოტა ხნის შემდეგ ვუპასუხე, როდესაც გონება მოვიკრიბე: — თქვენი სასოწარკვეთილებითი ხმა შემომესმა და მე ჩემი თავი მოვალედ ვცან, თუკი რითიმე შემეძლება, სამსახური გაგიწიოთ.

— თქვენ?!. ხა, ხა, ხა!.. თქვენ გინდათ სამსახური გამიწიოთ?!. ხა, ხა, ხა!.. თქვენც გინდათ მაფურთხოთ?!. გამშორდით!..

— ყმაწვილო, ვინც თქვენი ამ უკანასკნელი წამების მოწამე იყო, არა მგონია, იმას მოფურთხება შეეძლოს...

— რის მოწამე?!.

— თქვენის სულისკვეთებისა, ზნეობრივად ტანჯვისა...

— მე ვიტანჯები?!.

— მგონი...

— მართალს ამბობ, უცნობო, მართალს ამბობ. — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მიპასუხა: — მართალს ამბობ, მე ვიტანჯები და მინდოდა კიდევაც გავქცეოდი ამ ტანჯვას. სულ რამდენისამე წამის წინ მინდოდა გამოვსალმებოდი ტანჯვას, სამუდამოდ მომეშორებინა თავიდან, მაგრამ... ყმაწვილო, ხომ სიმხდალეა თავის მოკვლა?! არა?..

— თავის მოკვლას სხვადასხვა მიზეზი იწვევს. ზოგი მიზეზი შესაწყნარებელია და ზოგი...

— ეეხ!.. რა მიზეზიც უნდა იყოს?! აბა გაარჩიეთ: მე განვიზრახე თავის მოკვლა იმისთვის, რომ საზოგადოებამ მიცნო, რა კაციც ვიყავი, და ამისთვის შევზიზღდი, ფურთხება დამიწყო...

— თქვენ მაგითი მაინც ვერა გამაგებინეთ რა.

— აახ!.. რად არის ადამიანი ისეთი, რომ უთუოდ ყველაფერი უნდა გაიგოს?

— თუ ყველაფერი არ შეიტყო, თავის მსჯავრს ვერ იქონიებს. — ვუპასუხე მე და იმის მთრთოლვარე სახეს დავაცქერდი.

— მსჯავრი, მსჯავრი... ხა, ხა, ხა!.. — გადიხარხარა ხელის ჩაქნევით და საჩქაროდ გამშორდა.

თვალი გავაყოლე. მთვრალივით მირაცრაცებდა და თან ხელებს იქნევდა. ცოტა ხნობით გემის ბანის მოაჯირს მიეყრდნო და ზღვას დააშტერდა.

შემეშინდა. მართლა თავი არ დაიხრჩოს-მეთქი, გავიფიქრე და განვიზრახე მიპარვა, რომ შემძლებოდა დაჭერა, თუ ვინიცობაა, ზღვაში ჩავარდნას მოისურვებდა. მაგრამ ყმაწვილი მოტრიალდა და ისევ აჩქარებული ნაბიჯით ჩემკენ წამოვიდა.

— ყმაწვილო! — მომმართა მწუხარე სახით, როდესაც მოვიდა ჩემთან და მკლავში ხელი წამავლო: — ნუ მკითხავთ, ვინა ვარ. ეს ხომ სულერთია თქვენთვის!..

— მართალს ამბობთ და არცა მსურს გავიგო თქვენი ვინაობა.

— მაშ ყური დამიგდეთ. რა მხეციც გინდა აიღოთ, რა ცხოველიც უნდა იყოს, რა სულდგმულიც უნდა დაასახელოთ, ყველა თავის თავს ემსგავსება ყოველთვის. მგელი კრავობას ვერ გასწევს, დათვი ძაღლობას და ღორი კიდევ მტრედობას. ადამიანი კი წარმომადგენელია ყოველგვარის ცხოველისა. მასში ყოველგვარი მხეცია მოთავსებული და შეუძლიან ყოველგვარი მხეცობა, სისაძაგლე ჩაიდინოს. რა მხეცს დამისახელებთ, რომ ადამიანი, თუკი გარემოება ნებას აძლევს, არ დაემსგავსოს?! არა?! ჰა!.. — აღგზნებული თვალები თვალებში გამიყარა და მკლავზე ისე მომიჭირა ხელი, რომ მინდოდა ხელი გამეშვებინებინა, მაგრამ თავი შევიმაგრე და პასუხად თავი დავუქნიე. — ჰოდა მაშ რა არის ადამიანი?.. მხეცთა მხეცი... მაგრამ ამ მხეცთა მხეცობას, თავის სისაძაგლეს მალავს, ჭმუჭნის და უფრთხილდება ამის გამომჟღავნებას, როგორც თვალის სინათლეს, თვალის ჩინს... თვალის ჩინს კი არა... რა გითხრათ?.. რას დავადარო?.. თითქო წმიდათა-წმიდას შეადგენდესო, ისე უფრთხილდება ამ საიდუმლოთა საიდუმლოებას... ბევრ სისაძაგლეს, ბევრ საზიზღრობას ჩაიდენს, მოიმოქმედებს კაცი, რომლის მოწამეც მხოლოდ თითონ არის და სხვა არავინ... შეიძლება, თავის ცხოვრებაში არავითარი სისაძაგლე ჩაედინოს, მაგრამ განზრახვით კი, მერწმუნე, ბევრი სისაძაგლე განუზრახავს, და ეს ხომ სულ ერთია! აბა ერთ წამს ჩახედეთ თქვენს გულს და... მგონი, შეგეშინდეთ კიდევაც!..

— ყმაწვილო, შეურაცხყოფის ნება არა გაქვთ! — წყრომით მივმართე და ხელი გავაშვებინე.

— ააახ!.. განა თქვენზე ვამბობ?.. მე სრულებით თქვენ არა მყავდით სახეში... მაგრამ თქვენი წყრომა კი იმას მიმტკიცებს, რომ ადამიანი საშინლად უფრთხის იმის გამომჟღავნებას, რის მოწამეც მხოლოდ თითონ არის...

მინდოდა კიდევ მეპასუხნა, მაგრამ თავი შევიმაგრე, რომ არ გამეჯავრებინა და თავისი ლაპარაკი არ შეეწყვიტნა.

— ნუკი იფიქრებთ, — განაგრძო, ვითომ კარგი რისა-მე მოწამე იყოს?!. არა. კარგს ისე არას მოიმოქმედებს, რომ სხვა მოწმად არ დაისწროს, ან კიდევ არას განიზრახავს, რომ ქვეყანა არ შეჰყაროს. არა. მხოლოდ სისაძაგლეს უფრთხილ-დება, მხოლოდ თავის მხეცობის გამომჟღავნებას უფრთხის და არა სხვა რასმე... აბა ახლა თქვენ აიღეთ და რომელიმე ადამიანი გადმოაბრუნეთ, ფქვილის ტომარასავით გამობერ-ტყეთ, ყოველი მისი საიდუმლოთ საიდუმლო გამოამჟღავნეთ და მაშინ, მერწმუნეთ, არასასიამოვნო სურათს დაინახავთ... არასასიამოვნოს, არა, საზიზღარს, შესაზარს!.:

„მე საზოგადოება პატიოსან კაცად მიცნობდა. მეც ვაფა-სებდი ამას და ვცდილობდი, რომ ეს სახელი შემრჩენოდა. თუკი რაიმე მხეცობა ჩემში არსებობდა, ვმალავდი; მეშინოდა, რომ არ გამომჟღავნებულიყო და პატიოსანი ადამიანის სახე-ლი არ შემებღალა, მაგრამ ფეხი გადამიბრუნდა; სულ უბრა-ლო შემთხვევამ გადმომაბრუნა, და ყოველივე ჩემი დაფარუ-ლი გამომჟღავნდა. რაკი მხოლოდ მე უნდა მცოდნოდა, ყვე-ლამ შეიტყო და, რასაკვირველია, ზიზღით დამიწყო ცქერა; თითით საჩვენებელი გავხდი... ხა, ხა, ხა!.. აღარც ერთი ხელს არ მაწვდიდა და იმანაც კი, გეყურებათ, იმანაც კი, რომელსაც თაყვანს ვსცემდი, ვაღმერთებდი, რომელიც მარწმუნებდა, მი-ყვარხარო, აღარ მიმიღო! ხა, ხა, ხა, გეყურებათ, აღარ მიმი-ღო!.. სულ უმნიშვნელო ჩემი მოქმედება და განზრახვაც კი გადიდდა, მთად გარდიქმნა, და საზოგადოებამ ყიჟინა დამცა... იყიჟინე!.. მაფურთხე!.. ჩამქოლე!.. მაგრამ ერთ წამს შენი ზი-ზღი შეაჩერე და ოდნავ თვალი გადაავლე შენს ჯურღმულს! შენც, უმანკოების ღვთაებავ, აგრე მოიქეცი და მხოლოდ მა-შინ, თუ უცოდველი ხარ, ჩამქოლე... ხა, ხა, ხა!.. განა მაგას გაჰბედავ?!. არა მგონია!..

„მაგრამ რაებსა ვბოდავ?!. არ გეგონოთ, ყმაწვილო, ვი-თომც მე ამითი თავის გამართლება მინდოდეს. არა. საზოგა-დოება მართალია. ღირსეულად მაფურთხებს, მიყიჟინებს და ზიზღით მექცევა. სხვას რომ ჩემი საქმე დამართოდა, პირვე-

ლად მე ვესროდი ქვას და ყიჟინას დავცემდი, თუმცა კი, შეიძლება, იმაზე უარესი ვყოფილიყავი. ყველასაც უნდა უყიჟინონ, თუკი შეატყეს ვისმე. ყველა ღირსი იქნება ამ სასჯელისა. ამ სასჯელს არავინ უნდა გაექცეს. მე კი გაქცევას ვაპირებდი. აი, ხომ მხედავ, ახლა ზღვით ვმოგზაურობ, იმ საზოგადოებას მოვშორდი, რომელმაც გამკიცხა სამართლიანად. თავის მოკვლაც განვიზრახე. მინდოდა სამუდამოთ მოვშორებოდი, გავქცეოდი ტანჯვას, მაგრამ ამ მშვენიერმა დილამ გონს მომიყვანა და დამანახვა ჩემი სიმხდალე. დამნაშავე ვარ და ამისთვის, რა სასტიკი სასჯელიც უნდა იყოს, მოვალე ვარ ავიტანო და არა ვცდილობდე, იმის თავიდან აცილებას. განა გამამართლებს თავის მოკვლა?!. არა. ეგ უფრო გამამტყუნებს, ჩემს სიმხდალეს დაამტკიცებს. დამნაშავედ ვცნობ ჩემს თავს და ამისთვის სასჯელის ატანაც უნდა შევსძლო... მე საზოგადოებაში ვცხოვრობდი, იმის აზრს ვაფასებდი, მინდოდა იმ საზოგადოებაში პატიოსანი კაცის სახელი მეტარებინა და ამავე დროს კი, გეყურებათ, უპატიოსნოდ ვმოქმედებდი, სიკეთეს სათვალსაჩინოდ ვაკეთებდი და იმას, რაც პატიოსანი კაცის სახელს შებღალავს, ვმალავდი. ეს ხომ უპატიოსნობაა, არა?!. სულითა და გულით უნდა პატიოსანი ვყოფილიყავი, დაფარული არა უნდა მქონოდა რა, ჩემი ყოველივე უნდა ცხადი ყოფილიყო ყველასთვის და მაშინ ეს აღარ დამემართებოდა. ამისთვის, ღირსი ვარ სასჯელისა, დეე, მაფურთხოს საზოგადოებამ, მიყიჟინოს საზოგადოებამ!.. ღირსი ვარ!.. მე უკანვე დავბრუნდები!.. უკანვე დავუბრუნდები იმავე საზოგადოებას, აი, ამ ნავთსადგურში მოვუცდი მეორე გემს და უკანვე დავბრუნდები, რომ ყოველ ნაბიჯზე მაფურთხოს, მიყიჟინოს ამ საზოგადოებამ. ღირსი ვარ ამისა, ღირსი!..

1897 წ.

„...სულ ერთია!..“

(ეტიუდი)

— თეკლე!... — დაბნევით შესძახა კიკომ და თეკლეს ორივე ხელი თავისკენ მიიზიდა.

— კიკო!.. — თეკლემაც იმავე კილოთი უპასუხა და კიკოს გულს მიესვენა.

წისქვილის ბორბალი კი სჩქეფდა, წყალს არღვევდა, ანაწილებდა, აქაფებდა და საამურად უმღერდა შეყვარებულებს...

— მაშ გიყვარვარ, გიყვარვარ, ჩემო, ჩემო?! ჩვენ სამუდამოდ ერთმანეთისა ვიქნებით!.. — ხმის კანკალით ჩასძახოდა კიკო და თან თეკლეს გულზე იკრავდა.

— მე... შენ... ჰო... — კვნესით, მეტისმეტი აღელვებისაგან მისუსტებული ხმით გაიძახოდა უაზროდ თეკლე, და თვალები ელულებოდა.

„უყვარხარ!.. უ... ყვარ...ხარ!..“ ემოწმებოდა წისქვილის ქვა ბორბლის შხუილთან ერთად.

— ოხ, რა ბედნიერი ვარ!.. — გულამოსკვნით წამოიძახა კიკომ და თავდავიწყებით შეუერთა თავისი ტუჩები თეკლეს მხურვალე, ფუნჩულა მარწყვისფერ ტუჩებს.

თეკლემ ტუჩები თავის უნებურად სიამოვნებით შეაჩუჩუნა, და თითქოს ვაჟის მთლად სულში ჩაძვრენა უნდაო.

„ახ, რა -კარგია!.. ახ... რა... კარგია!.. ახ-რა-კარ-გია!..“ — წისქვილის ქვა და ბორბალი გაიძახოდნენ ერთად და ამცნობდნენ არეს ამ ნეტარ წამს. მთვარეც, მუდმივი მოწამე შეყვარებულთა, ალერსით დასცქეროდა თეკლეს და კიკოს ზევიდან და თითქოს ცოტათი კიდევაც შურდა იმათი ბედნიერება...

წისქვილის ახლოს ორი არსება ერთ არსებად გარდაქცეულიყო და ეს კი ზევიდან, ეულად, ყოველთვის მარტოდ, — ოხ, რა ძნელია, რა მწარეა! — მოცურავი დასცქეროდა... რა ვუყოთ, რომ მნათობია?! ოხ, რა დიდის სიამოვნებით სამუდამოდ დაუთმობდა თავის მნათობობას, თუკი ვინმე ერთ წამს დაავიწყებდა თავის მარტოობას და მეორე არსებას შეუერთებდა!.. მაშ თეკლესი და კიკოს ეს წამი არ შეშურდებოდა?!.

— ჩემო თეკლე!.. ჩემო კარგო, ხომ სამუდამოდ ასე ბედნიერები ვიქნებით!..

— ჰა?!. კიკო, შენ?!. — თეკლე შეკრთა კიკოს ხმის გაგონებაზე და ხელიდან გაუსხლტა.

— თეკლე, გონს მოდი!.. რა დაგემართა?!. განა არ გიყვარვარ?! — განცვიფრებით დაეკითხა კიკო და მიუახლოვდა.

— მე შენი?!. არა... წავიდეთ შინ!.. მერე... მერე!.. — არეულად უპასუხა თეკლემ და სახლისკენ პირი იბრუნა.

კიკოც დაუმხარდამხარდა და გაჩუმებული, დაღვრემილი გაჰყვა...

II

„...წავიდა! დაღონებული წავიდა!.. ოხ, რა გულნატკენი გამომემშვიდობა!“ — გაიძახოდა თეკლე და აზრი აზრისათვის ვერ დაეკავშირებინა.

რამდენი ხანია, რაც თეკლემ თავის საწოლი ოთახის კარი შეიხურა... თითქმის მაშინვე, კიკო რომ სახლის კარებთან გამომშვიდობებისას დაეკითხა, რას მიპასუხებო. აგერ, შუა ღამე თითქმის გადავიდა, სულ ამ პასუხს ეძებს და ახლაც ვერა შოუგვარებია რა...

„ღმერთო!..“ — ღმერთსღა შეევედრა, რომ იმას მაინც ჩაეგონებინა პასუხი, რაკი თავის გონებით ვერა მოეხერხებინა რა და გარედ გავიდა.

გაიარა ერთი ხეივანი, მეორე, მესამე. აჩრდილივით მიაბიჯებდა და თავის საყვარელ ადგილს მიადგა. რამდენჯერ უოცნებნია ამ ხევის პირას, დიდ ქვასთან და ახლაც უნებურად იქ მივიდა...

ახ, რა ტკბილად მოსთქვამდა ხევი... რა სასიამოვნოდ უღვიძებდა გრძნობებს წყლის ჩანჩქარი!.. ახლა?..

ოხ, ის მთვარეც დასცქერის!.. წყალიც ისევ ისე მიჩანჩქარებს და, ღმერთო, წისქვილის ხმაც მოისმის!..

— კიკო, კიკო, მიყვარხარ!.. — ლმობიერად წამოიძახა თეკლემ და თავი მოგონებას მისცა...

წყალი კი მოჩანჩქარებს, ტკბილს სასიამოვნო ხმებს ასმენს; მთვარე ხომ აფრთოვანებს, და თეკლეც...

კიკოს ეხვევა, ფიანდაზად ეგება...

— ღმერთო, ხომ მიყვარს და მაშ რატომ მაშინვე არ ვუპასუხე: „შენი ვარ... სამუდამოთ ასე ვიქნებით“, როდესაც ის ჩამჩურჩულებდა: რომ სამუდამოთ ბედნიერები ვიქნებითო... რამ დამიშალა მაშინვე „ჰო“ მეთქვა? ან ახლა რატომ არ მინდა გადავწყვიტო, რომ მე იმისი ვიყვე, რატომ, რატომ?!. ხომ მიყვარს და მაშ რაღა მიშლის ხელს?!. მამაჩემი მეწინააღმდეგება?!. ახ, რა სისულელეა!.. დეე, იყოს წინააღმდეგი!.. მე...

აგერ თეკლე თავის გრძნობას თავდავიწყებით მიეცა. მამას და ყველასაც ეწინააღმდეგა და კიკოს გაჰყვა.

ის კიკოსია და კიკო ამისა... ცხოვრობენ... კიკო ისევ ის კიკოა. დრო არა სცვლის. უყვარს თეკლე, გაგიჟებით უყვარს, უფრო ძლიერად, ვიდრე პირველში. ბევრი ისეთი კარგი თვისება გამოიჩინა შემდეგში, რაც პირველად თეკლეს ვერ შეემჩნია. თეკლესაც უყვარს კიკო. თითქმის თაყვანსა სცემს, მაგრამ, — ოხ, ღმერთო, — მაინც კმაყოფილი არ არის!.. რა ემართება?!. რატომ კმაყოფილი არ არის, როდესაც კიკო ხეველის მეუღლეა?!. იმ კაცის მეუღლეა, რომელიც უყვარს, რომელსაც თითქმის თაყვანსა სცემს?!. კიკო ხეველის მეუღლე?!. ოხ, რა უცნაური გვარია!.. ხეველი... ხეველი... ახ, რატომ ეს გვარიც ისე ბრწყინვალებით არ არის შემოსილი, როგორც მისი მამისა!.. რანაირი პატივით ექცეოდნენ, როდესაც თეკლე ხეველის მეუღლე არ იყო!.. ახლა?!. ეხლა კი, ღმერთო, ზედაც არავინ უცქერის. ყველა ტუჩის აშვერით ყურში აგონებს: თავადიშვილის ქალი ვიღაც ხეველს, უბრალო მასწავლებელს, გაჰყვა ცოლადაო! ესეც იმალება, აღარავის უნდა

ეჩვენოს. რცხვენიან თავის გვარისა. მდიდარი მაინც იყვეს, რომ თავის სიმდიდრით ჩააჩუმოს, ყველანი ალაგმოს... მაგრამ, ოხ, სიმდიდრეც არა აქვს!..

— კიკო, კიკო! დამიხსენ!. — გულის საკლავად შეეეედრა კიკოს და ცრემლების ფრქვევით ყელზე ჩამოეკიდა...

— თეკლე, ჩემო, ჩემო, მითხარ, რა გაწუხებს, რომ თავს შემოგევლო და გიშველო რამ, რომ ცრემლები შეგიშრო... იქნება ჩემ სიყვარულში დარწმუნებული არა ხარ, ეჭვი გაქვს რამე... ოხ, თეკლე, მითხარ, მითხარ, რაც გინდა დამისახელე, რითი გინდა დაგიმტკიცო ჩემი სიყვარული?!

— კიკო, კიკო! — გაიძახოდა თეკლე და ქვითინებდა.

— ჩემო კარგო, მითხარი, მითხარი რითი დაგიმტკიცო ჩემი სიყვარული და...

— სიყვარული!.. სიყვარული!.. მარტო სიყვ...

— იპოვნე?!. — ამ დროს მკაფიოდ ჩამოსძახა ჭოტმა და სიტყვა შეაწყვეტინა თეკლეს.

— ვერა!.. — შემოესმა შორიდან მეორე ჭოტის ხმაც.

— ჰა?!. — ტანის ერჟოლით აქეთ-იქით მიიხედა და... ისევ იმ წყლის ტკბილი ჩანჩქარი, წისქვილის საამური ხმა შემოესმა...

— ღმერთო!.. — სამადლობელი კილოთი წამოიძახა და თვალის ქუთუთოები ლმობიერად ზევით ასწია. თითქოს ის დიდი ქვა, რომელზედაც თითონ იყო მისვენებული, გულზე დასწოლოდა და სუნთქვას უხუთავდა, მოსწყდაო. ისეთი შვება იგრძნო, როდესაც გამოერკვია, და ამისათვის ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ყოველივე ოცნების ნაყოფი იყო და არა სინამდვილე.

ხედავს თეკლე, რომ ისევ ის წყალი მოჩანჩქარებს, ისევ ის წისქვილის ხმა მოისმის; ისევ თავის მამის ბაღშია და არა კიკოს პატარა, სულის შემხუთავ ოთახში... ისევ თავის მამის გვარი აქვს და არა კიკო ხეველისა, უხარიან თეკლეს!.. თავისუფლად სუნთქავს, რომ ყველაფერი ისევ ისეა. როგორც ან რამდენისამე წუთის წინად... მხოლოდ ერთი რამე აღონებს. ეს ის, რომ მთვარე, თითქოს თვალს არიდებს თეკლეს და მთის იქით დასამალავად მიეჩქარება.

— „...ღმერთო!..“ — შედგა ოთახის შუა კიკო და შუბლი ისე ძლიერად შეიქმუხნა, რომ თმა და წარბები ერთმანეთთან მიიტანა, მხრები კი ყურებამდის აიწურა. უნდოდა ამ მოქმედებით თავიდან ყოველივე აზრი გამოედევნა, რომ ერთ წამს მაინც სულ არაფერი ეფიქრნა, ერთ წამს მაინც თეკლეს სახე მოეშორებინა, მაგრამ...

„ღმერთო, ღმერთო?!“ — თითქმის ტირილით გაიძახოდა ასე შუბლშეკმუხვნილი და მხრებაწურული თითებს იმტვრევდა...

„რამ გაგაკადნიერა ისე, შე სულელო ჩემო თავო, რომ... ხა, ხა, ხა!.. რომ სიყვარული გამოუცხადე!...“ — მწარედ გადიხარხარა და აწურული მხრები ჩამოეშალა, თმა და წარბები ერთმანეთს დაშორდნენ, და კიკო ისე გაიშალა ტანში, ისეთი სისუსტე იგრძნო, რომ ძლივსღა მიბარბაცდა სავარძლამდის და მოწყვეტით დაეშო...

„რად მოვაწერინე ეს, რად?..“ — შესძახა გულამომჯდარმა კარგა ხნის შემდეგ და ტანში საშინელი ჩხვლეტა იგრძნო...

„...ისე გავკადნიერდი, რომ ხვევნა-კოცნაც დავუწყე... ხა, ხა ხა!.. ცოლადაც მინდოდა... ცოლობის პირობასაც ვსთხოვდი, მინდოდა სიტყვა დამეტყუვნა... სადამდის მივიდა ჩემი თავხედობა!.. — დარცხვენით იძახდა და თავის თავს მჩვარში ხვევდა.

„...ოხ, თეკლე, თეკლე, ასეთი სათნოიანი სიტყვების ხმარებას ის არა სჯობდა, გაგელანძღე, თავზე ლაფი დაგესხა ჩემთვის!.. მაგრამ ისე კარგი, ზრდილობიანი ხარ, რომ...“

„ჩემო კიკო, — დაიწყო თითქმის ეს მეათედ თეკლეს წერილის კითხვა: — მე ჩავუკვირდი ჩემს თავს, ჩემს გრძნობას და, ვფიცავ ზეცას“...

— რად ჰფიცავ, რად, წმინდა თეკლევ!.. განა დაუფიცებლად კი არ დაგიჯერებდი?!. — შეწყვიტა წერილის კითხვა და ხელი თვალებზე მიიფარა.

„...ვფიცავ ზეცას. — განაგრძო ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ კითხვა: — მთელ ღამეს არა მძინებია. სულ ჩემ გულს ვუკვირ-

დებოდი. მინდოდა წასულიერი გულისთქმა ძლიერ გრძნობად გარდამექმნა, რომ შენ უკანასკნელ კითხვაზე „ჰო, შენი ვარ სამუდამოდ“ მეთქვა, მაგრამ...

„დაივიწყე, ჩემო კიკო, ყველაფერი, რაც ჩვენს შორის მოხდა და ჩვენ ისევ ისე კარგი მეგობრები ვიყვნეთ...“

„ჩვენ ისევ ისე კარგი მეგობრები ვიყვნეთ...“ განიმეორა უკანასკნელი სიტყვები და თავის ქნევით მწარედ ჩაიღიმა...

„მე ღირსი არა ვარ შენი მეგობრობისა, წმიდათა წმიდავ, უმანკო თეკლევ... სად მე და სად კიდევ შენ!.. მე...“ — შეწყვიტა უეცრად სიტყვა და წერილის კუდად მონაწერი სიტყვები ამოიკითხა: „ეს წერილი, გთხოვ, უკანვე გამომიგზავნო, თუ შესაძლებელი იყვეს შენთვის... კი არა იფიქრო რა...“

„ფუი, ამდენი ხანია, ხელში მიჭირავს და ეს მცირედი თხოვნაც ვერ ავუსრულე. კარგი თვალით რად უნდა მიყურებდეს!..“—გადააფურთხა და მაშინვე კონვერტი აიღო ხელში...

„მშვიდობით, მშვიდობით!.. შენს მაგივრად წერილს ვემშვიდობები...“ მაგრად, მაგრად აკოცა წერილს, კოცნის დროს რამდენიმე ცრემლი ზედ დააგდო და შემდეგ, თითქოს საყვარელ არსებას მარხავდესო, ცრემლის ფრქვევით ჩადვა კონვერტში...

IV

— დღეს მოვა და ჯერ თეკლესთვის კი არა მითქვამს რა,— ჩაილაპარაკა ვახტანგმა და თეკლეს ოთახისკენ გასწია.

— სად არის თეკლე? — დაეკითხა ვახტანგი გოგოს, რომელიც წინ შეეფეთა, როდესაც თეკლეს ოთახისკენ მიდიოდა.

— ჯერ ისევ სძინავს...

— აქნობამდის?.. საცაა სადილად დავსხდებით და...

— მგონი, წუხელის არა სძინებია... დილას გათიადისას გამაღვიძა, წერილი გადმომცა და მითხრა: „კარგად რომ მომზევდეს, ეს წერილი კიკოს წაუღე. მე კი დავიძინებ ეხლა და სანამ არ გამოვიღვიძო, ნუ გამაღვიძებთო...“

— მერე წაუღე წერილი?..

— დიახ, ბატონო.

— არა გითხრა რა?..
— ვინა?
— ვინა და კიკომ.
— არა. ისევ ეძინა, რომ მივუტანე.
— მაშ ვის მიეცი?

„რას მისწერდა? — უსიტყვოდ დაეკითხა თავის თავს და ოთახისკენ წავიდა. — კი არა იყოს რა?!. იქნება დაგვიანდა და საქმე კიდევაც გაათავეს!.. ეს შეუძლებელია!.. მე თეკლეს ნებას არ მივცემ, რომ იმ ვიღაც მასწავლებელს, კიკო ჰქვიან თუ მიკო, მისთხოვდეს. ეხ...“ — უეცრად აზრები შეუწყდა. სულ ერთიანად 'განებნივნენ, როდესაც კარი შეაღო და მძინარე თეკლე დაინახა.

კარგა ხანს იდგა კარებში. ლმობიერად გულზე ხელი დაიკრიფა თითქოს წმინდანის წინ სდგასო სალოცველად, და მზერა დაუწყო თავის ქალს, თავის ერთადერთ ასულს, თავის შვენებას, რომელიც გულაღმა იწვა ოდნავ წაფარებული ფარჩის საბნის ქვეშ. საბანი არ ფარავდა მის გამოქანდაგებულ მკერდს, ყელს, მკლავებს. ვინ იტყოდა, რომ ამ ოთახში, ამ საბნის ქვეშ მოთავსებულია ამ ქვეყნის ასული და არა ციური?!

ვახტანგი იდგა კარებში და ეშინოდა განძრეულიყო, რომ მძინარის ნაზი სუნთქვა არ აეშფოთებინა...

„ღმერთო! — გაიძახოდა უსიტყვოდ ვახტანგი: — სად ვიყავი აქნობამდის, რომ არ ვიცოდი, თუ ამიხთანა მშვენიერი იყო თეკლე?!. ჩემი თეკლე, ჩემი სისხლხორცი!..“ — სიამაყით აევსო გული, რომ მისი სისხლხორცი ასეთი მშვენიერი იყო, და ველარ მოითმინა: ფეხაკრეფით მივიდა საწოლთან და გვერდით მიუჯდა.

„თეკლე, ჩემო თეკლე!.. შენი ადგილი დედოფლის ტახტია... შენ უნდა სკიპტრა გეჭიროს ხელთ და განაგებდე სამეფოს... და არა ვიღაც უგვარტომო კიკო ხეველის ცოლობა... ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ ეგ არ მოხდეს, არა და არა... ჯერ შენ გამოუცდელი ხარ, ჩემო კარგო, და მე უნდა საფრთხეს აგაცდინო...“ — გადაწყვეტით წარმოსთქვა ვახტანგმა უკანასკნელი სიტყვები ხმამაღლა და სასოებით ტუჩები თეკლეს ლოყისაკენ საკოცნელად წაიღო...

— ჰა?!. — უეცრად შეფორთხიალდა თეკლე, როდესაც ვახტანგი იმის ლოყას ტუჩებით შეეხო, და იმისი ღაწვების ნაზ სპეტაკ ფერს მორცხვობის ალმურმა გაჰკრა...

— ნუ გეშინიან, მე ვარ შვილო!..

V

— მართალს ამბობ, მამი, კარგი ცხოვრება აქვს, კარგი გვარიც აქვს, თავადიშვილობით, ჩამომავლობით საქართველოს თავადებში თითქმის პირველი ადგილი უჭირავს, მაგრამ, რა ვქნა, თითონ არჩილი სულელია, უშნო, ულამაზო... — ღიმილით ეუბნებოდა თეკლე სადილ შემდეგ მამას და თვალს არ აშორებდა ვახტანგის სახის მოძრაობას...

— შვილო, — დაიწყო ვახტანგმა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ: — გონიერი ხარ, შენ ოითონ მიხვდები ჩემი რჩევის სიკეთეს. თორემ შენი ნებაა, მე ძალას არ დაგატან. იქნება, შენ კიდევაც ამორჩეული გყავს ვინმე... უკანასკნელი სიტყვები გაგრძელებით წარმოსთქვა და თეკლეს თვალი თვალში გაუყარა.

— მამი, არა გრცხვენიან, რომ მაგას მეუბნები!.. ამორჩეული რომ მყვანდეს ვინმე, განა შენ არ გეტყოდი?!. — საყვედურით უპასუხა და თავი ძირს დახარა.

— რა ვიცი შვილო, ეხლანდელ დროში...

— კიკოს გამოუგზავნია ეს წერილი!.. — ამ დროს შემოვიდა გოგო წერილით და ვახტანგს ლაპარაკი შეაწყვეტინა.

— შენთან იქნება! — შუბლშეჭმუხვნით მიმართა ვახტანგმა თეკლეს.

— ჰო, ჩემთანაა! — უპასუხა თეკლემ და მაშინვე კონვერტს თავი გაუხია, საიდანაც წერილი ამოიღო.

საჩქაროდ გადაატრიალ-გადმოატრიალა, ხან თავს დახედა და ხან კიდევ ბოლოს, მაგრამ...

— ერთი სიტყვა მაინც დაეწერა ზედ!.. — ამოიძახა სასოწარკვეთილებით და მკლავები ჩამოსცვივდა.

— რა მოგვიდა, შვილო? — თანაგრძნობით დაეკითხა ვახტანგი და ხელი მოჰკიდა...

— არაფერი, არაფერი!.. — შუბლზე ხელი გადისო და ისევ ისე გონება მოიკრიბა.

— რა იყო?! თუ არა ყოფილიყოს რა, ფერი მაგრე რად წაგივიდოდა?!

— აი, თუ გინდა, წაიკითხე!.. — წამოდგა და წერილი მიაწოდა...

ვახტანგმა წერილის კითხვა დაიწყო. თეკლე კი ოთახში დადიოდა ამ დროს.

— მამა არ წამიწყდება, ვერა გამიგია რა!.. ეს წერილი შენია.

— ეგრეა, მამა-ჩემო! ეგ წერილი ჩემია და, როგორც ბოლოში ამოიკითხავდი, მე ვთხოვ უკანვე დაბრუნებას, იმასაც ჩემი თხოვნა შეუსრულებია და, აი, უკანვე მომივიდა.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ მე მაინც ვერა გამიგია რა...

— ეხ, მამაჩემო, მაგას რა დიდი გაგება უნდა. აი, საქმე რაშია. — მიუჯდა გვერდით და წინა დღის ამბავი ყოველივე უტყუვრად უამბო.

— როგორც გატყობ, კიკო გიყვარს და ძალიანაც, — უთხრა ვახტანგმა, როდესაც თეკლემ თავისი საუბარი დააბოლოვა.

— მიყვარს და მაგრე!? არ ვიცი, ესე შეეძლება ვისმე კაცი შეიყვაროს, როგორც მე კიკო მიყვარს!..

— მაშ რას ნიშნავს შენი წერილი? ან უარი რად უთხარი, ან კიდევ რად ატყუებ, არ მიყვარხარო?

— როგორც გატყობ, მამა-ჩემო, შენ ბავშვი ყოფილხარ, ჩემზე გამოუცდელი. „არ მიყვარხარ“ იმისთვის მივწერე, რომ უარის თქმა მინდოდა. რომ მიმეწერა: „მიყვარხარ, მაგრამ მაინც ცოლად ვერ გამოგყვები“, მაშინ კიკო ხომ შემიზიზღებდა. შემიძულებდა?.. რას იფიქრებდა?.. ის კი არ მინდოდა, რომ კიკოს შევძულებოდი და ჩემზე ცუდი აზრი შეეყენებინა. ცოლად კი, თუმცა მიყვარს კიკო, რატომ არ მინდა გავყვე, ამაზე, არ ვიცი, რა გიპასუხო. იქნება იმიტომ, რომ შენი ქალი ვარ და... მამაჩემო, რა დაგემართა?! — უეცრად შესწყვიტა ლაპარაკი და მამას მოეხვია, როდესაც თვალი შეასწრო, რომ

მისი ლაპარაკის დროს ვახტანგი მთლად გაფითრებულიყო და გამოშტერებული თავის ქალს შესცქეროდა...

— ჰო არაფერი... განაგრძე... ცოტა წყალი კი დამალევინე!.. — შუბლზე ხელი გადისო და გრძლად ჩაისუნთქ-ამოისუნთქა. თეკლე კი წყლისთვის გაიქცა.

სულ რამდენისამე საათის წინად ამაყობდა თეკლეთი. თავი მოჰქონდა, რომ თეკლე მისი სისხლ-ხორცი იყო. ახლა კი როცა თეკლე უამბობდა თავის სიყვარულზე, თითქმის გულიდან მოიგლიჯა. ძნელი იყო იმისთვის დარწმუნებულიყო, რომ თეკლე უმწიკვლო არ არის, რომ ვისაც შეიყვარებს, თავდავიწყებით არ მიეცემა მაგრამ, დახე, თურმე თეკლე რანაირად მოქმედებს!

„კიკო შეუყვარდა, — ფიქრობდა ვახტანგი და თან მწარედ იღიმებოდა: — არ ვიცი, ესე შეეძლება ვისმე კაცი შეიყვაროს, როგორც მე კიკო მიყვარსო, იძახის და თან უარსაც ეუბნება!.. არ მოველოდი ამასა, არა!.. არ მეგონა, თუ თეკლე ასე მოიქცეოდა და თავისს გრძნობას შებღალავდა! — წამოიძახა ვახტანგმა და წამოდგა. — მართალია, მე ვეწინააღმდეგებოდი, ძალას დავატანდი, რომ კიკოს არ შეუღლებოდა, მაგრამ, ოხ, რა ბედნიერი მამა ვიქნებოდი, რომ მე... ჩამეფუშა ეგ ქორწინება და არა თითონ თეკლეს. მაშინ თეკლე... ღმერთო, რა დღე დაგვიდგა, რომ აღარც გულწრფელობა არსებობს!..“ — მწარედ წამოიძახა და ცრემლებიც კი ჩამოუგორდა ჭაღარა წვერზე...

— მამი, რა მოგდის?! სტირი კიდევაც?!. აჰა წყალი!.. — გაოცებით დაეკითხა თეკლე, რომელმაც ამ დროს ჭიქით წყალი შემოიტანა და ძალად დაალევინა.

— ხომ მხედავ, მამი, მე შენი წინააღმდეგი არა ვარ?! ხომ არ გაწყენინე რა? რადა ხარ მაგრე დაღონებული, ეგ ცრემლები რას ნიშნავს?! — ალერსით უთხრა თეკლემ და ხვევნა დაუწყო მამას.

ვახტანგმაც ვერ გაუძლო ქალის ალერსს, თითონაც მაგრად, მაგრად ჩაიკრა თეკლე გულში და ქვითინით მაურვალედ ეხვეოდა. ცრემლები კი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და თეკლეს ლოყებს ეწვეთებოდა...

უნდოდა ვახტანგს დილანდელი თეკლე დაებრუნებინა, უკანასკნელი დავიწყებოდა, მაგრამ თეკლეს წყეული სიტყვები. „მიყვარს, მაგრამ უარს ვეუბნები“ საჭრეთელივით ტვინს უხვრეტავდა და ერთ წამსაც არ შორდებოდა...

— ეს სიხარულის ცრემლია, შვილო, რომ შენ მაგისთანა შკვიანი, გონიერი ქალი მყევხარ, — უთხრა ვახტანგმა ცივად, როდესაც გონს მოვიდა და დარწმუნდა, წინანდელი თეკლე სამუდამოდ დაკარგა.

ახლა ერთიღა აწუხებდა: რაც შეიძლება, მალე მოეშორებინა თავიდან...

— მგონი, სამგზავრო მატარებელი ჩქარა მოვა. წადი, ეტლი შეაბმევინე და გაგზავნე, რომ არჩილს იქ ცდა არ მოუხდეს.

— ახლავე...

— თქმა აღარ გინდა, როგორც უნდა მოექცე არჩილს...

— ნახავ, მამა, შენს არჩილს ი სულელ თავს როგორ გამოვუსულელებ!.. მგონი, ამაღამვე ნიშნობა მოვახდინო... — ღიმილით უპასუხა თეკლემ.

— კიკოსაც დაუძახე!.. — ეშმაკურად უთხრა ვახტანგმა თეკლეს, რომ წმინდა გრძნობა მოეგონებინა, რომ ამ მოგონებით არჩილის ცოლობაზე ცოტა ყოყმანობა მაინც გამოეწვია და შეესყიდა თეკლეს თავისი საქციელი, მაგრამ...

— კიკო ქალაქს უკვე წასულა! გოგომ მითხრა, კიკო წელან ცხენით სადგურისკენ მიდიოდაო...

VI

— რაო, რაო?! აღარ გაბედოთ მაგის გამეორება, თორემ!.. — გული ყელში მოებჯინა, სიბრაზით ნერწყვი შეუშრა და ველარ განაგრძო ლაპარაკი ალექსიმ.

— გავბედავ კი არა დაგიმტკიცებთ ყოველსავე ჩემ სიტყვას და ცხადად დაგანახვებთ, რა ზნეობის ადამიანია იგი! — უფრო ბეჯითად წამოიძახა ნიკომ და თვალები სულ აენთო.

— უი, უი!.. თქვენ ილიაზე ამბობთ, ბატონო ნიკო, მაგას?!. ვანოს მომხრეებს კი ხმა არ ამოელებათ ზნეობაზე!.. — გადაწყვეტით მიუგო ქ-მა ქეთევანმა ნიკოს.

— დადიან და ავრცელებენ ტყუილ ხმებს, ხან რას იგონებენ და ხან რას?!.

— ვინ, ვინ?!. — თითქო დასაკრავად მიდისო, ისე წაეტანა ალექსის გაბრო და გონებადაბნეული გაიძახოდა: — ვინ, ვინ?.

— ეს რა კაცობაა, რომ ჯერ უარი განაცხადა, ისე მედიდურად გამოგორდა და დაიძახა: აღარ მინდა, აღარ შემიძლიან ბანკში სამსახურიო, და მეორე დღესვე კი შესკუპდა და ისევ ისე განაგებდა! — ზიზღით წარმოსთქვა მიშომ.

— გაგიხარდებოდათ კია, რომ მართლა გასულიყო და ვანო დედაბუდიანად ბანკში დასახლებულიყო!.. ხა, ხა, ხა!.. თავმჯდომარემ როგორ მაშინვე დაურიგა ადგილები!.. „შენ, როგორც მოადგილე, დირექტორების თავმჯდომარედ იქნები, შენ კიდევ მეორე დირექტორად და შენ კიდევ“... ხა, ხა, ხა!.. სასაცილო არ არის ამისთანა საქმე! — ისე ცოცხლად გააჯავრა თავმჯდომარეს ანდრომ, რომ თ. ილიას მომხრეებმა სიცილი ასტეხეს, თ. ვანოს მომხრეებს კი ბრაზი მოერიათ და...

კაცი ვერც თავს გაუგებდა და ვერც ბოლოს. სიტყვებს აღარ ზოგავდნენ, აღარაფერს და აღარავის ერიდებოდნენ, ლანძღავდნენ ერთმანეთს უშვერი სიტყვებით. ქალი და კაცი ერთმანეთს აჭარბებდა...

კიკომ საათს დახედა და თავი გაიქნია. შუაღამე გამხდარიყო. „საქველმოქმედო განზრახვით შეიყარნენ აქ. უნდოდათ რაღაც საქმე გამოერკვიათ და ესენი კი რას გაებნენ!“ — გაიფიქრა კიკომ და წასვლა დააპირა.

პირველად იყო კიკო ამ სახლში. მთელ საღამოს ხმა არ ამოუღია და თავსა და ბედს იწყევლიდა, რომ ამ დღეს აქ მოვიდა. აგერ ორი წელიწადი გავიდა, რაც თეკლეს წერილი მიიღო და მას შემდეგ სულ იმის მეცადინეობაში იყო, რომ თეკლეს პირდაპირ არსად შეხვედრიყო. ბანკის კრებაზედაც კი არ დადიოდა, რადგანაც ფიქრობდა: „თეკლე უთუოდ ესწრება და წინ რომ შეევფეთო, მაშინ... „ვერიდებოდი ღოლოსა, დამხვდა ორღობის ბოლოსაო“, სწორედ ეს დაემართა კიკოს, სადაც არ მოელოდა, იქ შეხვდა. ამ საღამოს ლევანი შეხვდა და უთხრა: „უეჭველად უნდა წამოხვიდე. მეც იქ მივდივარ.

ღარიბ სტუდენტების ფონდზე იქნება ლაპარაკი. ამაღამ უეჭველად უნდა დავაბოლოვოთ, თორემ მეტისმეტად გაჭიანურდაო“.

კიკოს არ უნდოდა, მაგრამ უარი ვეღარ უთხრა. დანიშნულ ადგილს მივიდნენ. ჯერ რამდენიმე კაცი მოსულიყო. დიასახლისმა კიკოს გააცნო, ვინც არ იცნობდა, და შემდეგ ისევ სხვებთან ბაასი განაგრძო.

არ გასულა ნახევარი საათი, რომ თითქმის ყველანი მოვიდნენ და ყველაზე ბოლოს თეკლემ შემოაღო კარი. დიასახლისი მიეგება და სათითაოდ ყველანი გააცნო, ვისაც კი არ იცნობდა...

— ღმერთო! — უსიტყვოდ შესძახა კიკომ და ჭირის ოფლმა დაასხა.

უნდოდა დამალულიყო, მაგრამ როგორ, როდესაც თეკლე დიასახლისმა იმასთან უკვე მიიყვანა.

— კიკო ხეველი! — უთხრა დიასახლისმა თეკლეს...

— ძლიერ სასიამოვნოა ჩემთვის თქვენი გაცნობა. ბევრი კარგი გამიგონია თქვენზე!.. — უთხრა თეკლემ და ხელი გაუწოდა.

კიკომ თავი დახარა, რომ მღელვარება არავის შეემჩნია და თეკლეს გამოწვდილ ხელს ხელი მიაგება...

ხელი დაეწო. ტანში ჟრუანტელმა დაურბინა და მუხლები მოეკეცა.

თეკლეს გაბრუნებას ვეღარც კი მოუცადა, რომ მოდუნებული სავარძელზე დაეშვა...

— რატომ მაგრე ჩაფიქრებულხართ და ამ გაცხარებულ ბაასში მონაწილეობას არ იღებთ?! — დაეკითხა დიასახლისი კიკოს და გვერდით მიუჯდა.

— მე?.. არ ვიცი! — დაბნევით უპასუხა და იმისკენ მიბრუნდა.

— თეკლეს სიმშვენიერემ ხომ არ გაგიტაცათ, რომ სულ იმას უცქეროდით?

— მე?..

— მე შეგამჩნიეთ, უარს ნუ ამბობთ!.. საშინელი მღელვარებაც შეგეტყოთ, ხელი რომ ჩამოგართოთ...

— ვის არ ააღელვებს მაგისი სიმშვენიერე!.. — ძალდატანებულის ღიმილით უპასუხა მხოლოდ იმისთვის, რომ ეპასუხნა რამ.

— თქვენ არ იცნობთ მაგას, რანაირი კეთილი და, ამასთან, ხომ ხედავთ, რა მშვენიერიც არის! მაგრამ, საწყალს, ქმარი მეტისმეტი უზნეო და სულელი გამოადგა. — უკანასკნელი სიტყვები წუწუნით წარმოსთქვა დიასახლისმა.

— მგონი, მაგისი ქმარი, ვიდრე მაგის ქმრად გახდებოდა, მაშინაც სულელი და უზნეო იყო. ამისთვის აქ „გამოადგას“ ადგილი არა აქვს. უთუოდ იცოდა, როგორიც იყო არჩილი და ამისთვის ახლა აღარ უნდა ინანოს.

— რა ვიცი, იცოდა თუ არა, და გინდაც სცოდნოდა, რას იზამდა, როდესაც მამამ მოისურვა! ერთადერთი ღირსება მაგის ქმარს ისა აქვს, რომ ძალიან მდიდარია და, ამასთან, გამოჩენილი თავადიშვილის გვარისაა. ხომ კარგად იცით, ჩვენი მამები რანაირ ყურადღებას აქცევენ ამ ღირსებას?!. თეკლემაც რაკი დედისერთა იყო, აღარ აწყენინა და მამას თავისი თავი მსხვერპლად შესწირა...

— გმირობა ჩაუდენია!..

— თქვენ იცინით და მე კი მაგას სწორედ გმირობას ვუწოდებ...

— გეფიცებით, სიცილის გუნებაზე სრულებით არა ვარ!...

— მაინც რაღაცნაირი კილოთი სთქვით.

— მე, აკი მოგახსენეთ...

— ქალბატონო, პატარა ხანს აქ მობრძანდით! — მიმართა დიასახლისს მოსამსახურე გოგომ, რომელიც, ის ის იყო, შემოვიდა და კიკოს სიტყვა გააწყვეტინა.

— ოხ! — სიამოვნებით ამოისუნთქა, დიასახლისი რომ წავიდა, და კუთხე დაიჭირა, სადაც სხვა ვეღარავინ მოთავსდებოდა. დიდხანს ელოდა: ან ახლა დაიწყებენ „ღარიბი სტუდენტების ფონდზე“ მსჯელობას, ან ახლაო, მაგრამ სტუდენტები ვიღას მოაგონდებოდა ამისთანა გამწყავებული ბაასის დროს. როდესაც ბაასმა უკიდურესობამდის მიაღწია და საათმა, შუაღამე უკვე შესრულდაო, უთხრა, კიკო წამოდგა. დია-

სახლისს თვალი მოჰკრა, მივიდა და ხმადაბლა გამოემშვიდობა.

— გაპარვა გინდათ, ბატონო კიკო, აკი დამპირდით, გაგაცილებთო?!.

— მე?!

— დიახ, თქვენ!.. ოხ, რანაირი გულმავიწყი ყოფილხართ!.. — ღიმილით უთხრა კიკოს თეკლემ და დიასახლისს გამოსამშვიდობებლად ხელი გაუწოდა.

— თუ დაგპირდით, დიდის სიამოვნებით!... — წამოიძახა და მთლად გაწითლდა.

— აა, თეკლე, დიდი ეშმაკი ხარ!.. შენ წასვლა გინდოდა და, კიკო რომ მიდის, გინდა ისარგებლო...

— რას მეუბნები, გენაცვა! ჩემთვის სასიამოვნოა შენთან ყოფნა, მაგრამ ცოტა უგუნებოდ ვარ. — თითონაც გაუკვირდა თავის სიტყვებისა. არ იცოდა, რისთვისა სთქვა ეს.

— დღეს ხომ ვერ მოვასწარით ფონდზე ლაპარაკი და მაშ როდისღა შეეკრიბნეთ? — დაეკითხა დიასახლისი თეკლეს და კიკოს.

— მგონი, ამ ორიოდ-სამ დღეში ვინც აქ არის, ყველა სოფელში წავა და, არ ვიცი, ენკენისთვემდის კრების დანიშვნა მოსახერხებელია თუ არა. — უპასუხა კიკომ და კარიბჭეში გავიდა.

— ეს რა უბედურებაა, ამ საქმეს ბოლო ვერ მოვუღეთ?! ახლა რომ გაგვეთავებინა, ამ ზაფხულს სოფლებში ბევრ ფულს შეაგროვებდა ყველა ჩვენგანი, — დაღონებულის კილოთი წარმოსთქვა დიასახლისმა და თეკლეს საგამომშვიდობისოდ აკოცა.

— განა არ შეიძლება, ფული ამ ზაფხულს მაინც შეიკრიფოს. — უპასუხა კიკომ და მაშინვე დაუმატა: — ღამე მშვიდობისათ!..

— რასაკვირველია!.. არ დაგვივიწყოთ. მოდით ხოლმე, სოფლიდან რომ დაბრუნდეთ.

— ვეცდები!..

VII

— კიკო, ნუთუ არ გინდა დავიწყო ჩემი ამბავი?! — ხმის კანკალით შეეეედრა თეკლე და ახლოს მიუჯდა.

— წმინდათ შევასრულე თქვენი თხოვნა: დავივიწყე ყველაფერი, რაც ჩვენს შორის მოხდა.

— კიკო, გენაცვა, დაანებე თავი მაგ კილოთი ლაპარაკს!.. მოიგონე ის ღამე!... ღმერთო, ერთხელ მაინც კიდევ გამაგონე ის ნაზი გრძნობით სავსე ხმა და მითხარ: „სამუდამოდ“...

— კმარა, თეკლე... რაც იყო, ის აღარ დაბრუნდება... შენი წერილი რომ მივიღე, კინაღამ გავგიჟდი... ისე შემძულდა ჩემი თავი, რომ კინაღამ თავი მოვიკალ. გიჟივით ვიძახდი: ისე როგორ გავკადნიერდი, რომ თეკლეს, ციურ არსებას, ჩემის ჭუჭყიანი ხელით შევეხე. რამდენადაც ჩემს თავს ვამცირებდი, იმდენად შენ გამაღლებდი, მაგრამ, ოხ, ღმერთო, რად მოხდა ეს?! ნეტავი, სულ ისე ყოფილიყო: ჩემი თავი საძაგლად მეცნო და შენ კი... ისევ ის თეკლე ყოფილიყავი ჩემს წარმოდგენაში!.. მაგრამ, იმას ვამბობდი, სურათი შეიცვალა. როდესაც შევიტყე, რომ შენ არჩილის, იმ სულელისა და, უკაცრავად ბრიყვის მეუღლე გახდი... ჩემს წარმოდგენაში შენ ჩემი ადგილი დაიჭირე და მე კიდევ — შენი. შენ დაეცი ჩემ თვალში და მე კი ავმაღლდი... ოხ, ნეტავი სხვა, ჭკვიანი, შენი ღირსი შეგვერთო ვინმე! მაშინ მე ისევ შენი თაყვანისმცემელი ვიქნებოდი... ეხლა კი...

— კიკო, მაკმარე!... გეფიცები, ძალა იხმარ...

— გაჩუმდი, გაჩუმდი!... სხვა რომ მოატყუო, მე ვერ მომატყუებ... შენ სრულის შენი ნებით და. ამასთან, სიხარულითაც მისთხოვდი! შენ შელახე შენი წმინდა გრძნობა, შენი ადამიანობა და სიმდიდრეს და გვარიშვილობას მიჰყიდე.

— კიკო, გეევედრები, მაპატივე! მე თითონ ვიტანჯები. ვგრძნობ. რა საზიზღარი ნაბიჯი გადავდგი, როდესაც შენ წერილი მოგწერე. ის არ მოგწერე, რასაც გული მეუბნებოდა. გონებას დავემორჩილე... წმინდა გრძნობა სიმდიდრეზე, პატივის-ცემაზე გავცვალე. ამას მართალს ამბობ. მაშინ მარტო გრძნობა არ მაკმაყოფილებდა. მეგონა, გრძნობა შორს ვერ

წამიყვანსმეთქი. მაგრამ ახლა კი ვხედავ, ჩემო კიკო, რა შეცდომა, რა დანაშაულობა ჩავიდინე. რაც ჯვარი დავიწერე, ერთი წამიც არა მქონია ტკბილი ცხოვრება. გებრალებოდე, კიკიკო, ხომ ერთხელ მაინც გიყვარდი! ეხლა სიმდ-დრე, პატივისცემა, დიდი გვარის რძლობა მაქვს, რასაც ჩემი გრძნობა ვანაცვალე, მაგრამ, ოხ, ღმერთო, თანაგრნძობა აღარა მაქვს! სიმდიდრესთან გულის სიღატაკე, სიცალიერე, მარტოობა შევიძინე... კიკო, ვერ წარმოიდგენ, რა მტანჯველი, მქენჯნავი ყოფილა მარტოობა, გულის სიცალიერე! — გულამოსკვნით წამოიძახა და ქვითინი მორთო.

— სააქაოსვე ჯოჯოხეთი, — განაგრძო თეკლემ ქვითინით, — გავიჩინე მე უბედურმა!.. და შენც... კიკო, კიკო, ნიშნს მიგებ!.. არ მეგონე... აჰა, დასტკბი ჩემი ტანჯვით!..

— თეკლე, გენაცვა, დაჩუმდი! — ცრემლებმა მოულბო გული და ხვევნა დაუწყო... — თეკლე, ჩემო კარგო, დაჩუმდი!... — თითქმის ტირილით უთხრა და გულში ჩაიხუტა...

— კიკო, კიკო, კიდევ გამაგონე ეგ ხმა!.. ახ, რა ბედნიერი ვარ!.. რა ტკბილია ეს წამი... თბილი, ნეტარი!.. — აღტაცებით გაიძახდა თეკლე და თან კიკოს ახლა თითონ იკრავდა გულში, თავზე, შუბლზე ჰკოცნიდა... — ჩემო კიკო, ჩემო, ჩემო, ხომ სამუდამოდ ასე ვიქნებით?! ბედნიერები... კიკო, კიკო!.. — ჩასჩურჩულებდა ნიავსავით კოცნის დროს თეკლე. კიკო კი მოდუნდა, მოიქანცა და პასუხის მიცემის თავი აღარა ჰქონდა...

— ჰო!.. თეკლე!... ჩემო... — აკვნესდა კიკო ძალაგამოცლილი...

— კიკო, კიკო!... ჩემი ხარ, განა?! ჩემი, ჩემი, ჩემი!..

— ჰა?!. შენი?!. ჰო!.. არა!.. მერე!.. — უეცრად მოიკრიფა ძალა და ზეზე წამოდგა.

— წავიდეთ!..

— მოიცა, კიკო, რატომ მაგრე შეიცვალე? ხომ ჩემი ხარ?!.

— მერე!... მერე!.. წავიდეთ ახლა!.. — უპასუხა გადაწყვეტით და კარებთან ელექტრონის ზარის ღილს თითი დააჭირა. — ორ საათზე კეტავენ „პურ-ღვინოს". ახლა კი, აი, მესამეც, ჩქარა შესრულდება, — უთხრა კიკომ და საათი აჩვენა.

— მოხუცო, რა გერგება!? — დაეკითხა კიკო მოსამსახურეს, რომელიც ზარის დარეკაზე საჩქაროდ კაბინეტში გაჩნდა.

— ორი მანეთი.

— აი, აქეთ მობრძანდით, იქით კარი დაკეტილია! — მოახსენა მოსამსახურემ და ეზოსკენ გასავალი კარი მარდად გაუღო.

VIII

— ეეეხ!... — გაახილა თვალები თუ არა, თეკლეს გულის სიღრმიდან აღმოხდა ეს ხმა.

რად?.. თითონაც არ იცის. გრძნობს, რო ძალიან იქენჯნება, გული დახურული, დაბეჭდილი აქვს; ტანი მოშლილი, გონება დაბუნდოვებული და სული ხომ...

— ეეხ!.. — კიდევ ამოხდა გულიდან თეკლეს და თვალები წყლით აევსო.

განძრევა უნდოდა: თუმცა ერთი წყვილი ცრემლიც გადმოვარდა, პირველ წყვილს მეორეც მოჰყვა, მაგრამ ჩუჩუნიც არ მოიღო; ხელის აღებაც ეზარება, რომ თვალები მოიწმინდოს, თითქოს მთელი ტანი დადამლავებული ჰქონდესო, ისეა ლოგინში მოლეშილი...

რადა?..

არ იცის. ახლა თეკლე ისეთ მდგომარეობაშია, რომ არავითარი აზრი თავში არ ებადება: არც წარსული, არც აწმყო იმისთვის არ არსებობს და არც რამ ახსოვს...

რად?..

არ იცის. პასუხის მოცემა არ შეუძლიან. ან კი როგორ მოგცემს პასუხს, როდესაც გონება დაჩლუნგებული, დადუნებული აქვს?! გრძნობს მხოლოდ ერთს: სხეული, გონება, გული, სული მოდამლავებული აქვს და...

— ღმერთო, ღმერთო!.. ერთი წვეთი მაინც!.. ერთადერთი წვეთი! — მთელი სხეულის მოკუმშვით წამოიძახა თეკლემ და მდუღარება გადმოხეთქა.

გონება გადაეწმინდა და სხეულიც მოძრაობაში მოუვიდა.

ახლა კი შეუძლიან პასუხის მოცემა. „ერთი წვეთი მაინც!“ — აი, პასუხი.

„ერთი წვეთი მაინც“ თანაგრძნობისა რომ იყოს, მაშინ თეკლეს სული და სხეული გადიშლებოდა, აღფრთოვანდებოდა და...

— კიკო, კიკო, ნუთუ ჩემს შეცდომას არ მაპატივებ?! — ლოგინში წამოჯდა და, თითქოს წინ უდგას ვინმეო, ისე შეევედრა.

მოაგონდა წინანდელი ღამე. მოაგონდა, როგორ ივახშმა კიკოსთან ერთად „პურ-ღვინოში“ და იგრძნო კიდევაც, რომ ის, თუმცა ბოლოს დროს ეხვევოდა, ეალერსებოდა, გულწრფელი არ იყო.

— იქნება მართლა კიკომ მაპატივა და ისევ დაუბრუნდა ჩემი სიყვარული?! — წამოიძახა და ზარი დაურეკა მოსამსახურე გოგოს.

— რა გნებავს, ქალბატონო?!.

რისთვის დაურეკა ზარი, რისთვის დაუძახა გოგოს?! არ იცოდა. დაიბნა მოსამსახურის კითხვაზე.

— რა მნებავს?! რა ვიცი, რა მნებავს?!. ჰო, მართლა, არჩილი შინ არის?!.

— არა. წუხელის არ მოსულა.

— წუხელის არ მოსულა... ჰო... მართლა, რა დროა?

— ათი საათი გახლავსთ.

— ახლა კი მომაგონდა, რისთვის დაგიძახე. წერილი ხომ არავის მოუტანია?! — დაეკითხა თეკლე და ლოგინიდან იატაკზე ჩამოვიდა.

— როგორ არა, ქალბატონო, ვიღაც ბიჭმა მოიტანა და სთქვა, ქალბატონ ჯნეინას გარდაეცეთ...

— მოიტა ჩქარა, ჩქარა!.. — დაბნევით უთხრა და თითქმის კისრის კერით გააბრუნა მოსამსახურე გოგო...

— კიკოსაგან იქნება, კიკოსაგან!.. წუხელის მითხრა: მერე, მერეო. ღმერთო, რას მომწერდა?!. იქნება დაუბრუნდა უწინდებური სიყვარული და... ღმერთო, ღმერთო!.. ვუყვარვარ ისევ კიკოს, მე იმისი ვიქნები და ის კიდევ ჩემი!... — ნაწყვეტად გა-

იძახოდა ოთახში და პერანგა, ფეხშიშველა დარბოდა... — ოხ, რა ბედნიერი ვიქნები!..

— აი!.. — შემოიტანა ამ დროს მოსამსახურე გოგომ წერილი და გაუწოდა...

— კარგი, წადი!.. — კონვერტი გამოგლიჯა ხელიდან და გოგო დაითხოვა.

„ჩემო თეკლე, — დაიწყო წერილის კითხვა ტანის კანკალით: — მე ჩავუკვირდი ჩემ თავს, ჩემ გრძნობას და, ვფიცავ ზეცას, მთელ ღამეს არა მძინებია. სულ ჩემ გულს ვუკვირდებოდი. მინდოდა, წამიერი გულისთქმა ძლიერ გრძნობად გარდამექმნა, რომ შენს უკანასკნელ კითხვაზე „ჰო, შენი ვარ სამუდამოდ“ მეთქვა, მაგრამ...

„დაივიწყე, ჩემო თეკლე, ყველაფერი, რაც ჩვენ შორის...“

თვალთ აუბრელდა, თითები მოუდუნდა, და წერილი ხელიდან გავარდა.

— ჩემი წერილი... რაც მე მივწერე... კიკო, კიკო! — კვნესით წამოიძახა და ორსავე მხარეს ჩამოშლილ გიშრისფერ ხშირხუჭუჭა თმას, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაეჯაჯგურა.

— დუდუკის ხმა!.. ეტლი ჩვენ კარებთან შედგა!... ვინ... ზარის ხმაც! — ნაწყვეტად გაიძახდა თეკლე, როდესაც დუდუკის ხმა შემოესმა და რამდენიმე ეტლი იმათ კარებთან შედგა.

სარკმლიდან უნდოდა გადაეხედნა, მაგრამ ამ დროს შემოესმა კიბეებიდან ფეხის ხმა და „ჩაჰბერე, კიკლი, ჩაჰბერე“-ს ძახილი და...

— არჩილი, არჩილი! — წამოიძახა და სასოწარკვეთილი იქვე ჩაეხვია.

— ლეკური, ლეკური! — დაიღრიალა არჩილმა, როდესაც ბრახაბრუხით, კარების შემოჯახუნებით შემოვიდა ზალაში, და თითონ კი თეკლეს ოთახისკენ წამოვიდა.

მედუდუკეთ ლეკური გააჩაღეს. არჩილმა კი ორივე ხელი თეკლეს ოთახის კარებს ზედმიწყვეტით მაგრა ჰკრა.

კარის ორივე ნახევარი უეცრად შეიღო და...

— არჩილ! — შეჰყვირა ზიზღით, ფეხზე წამოჭრით თეკ-

ლემ, როდესაც კარებში გალეშილი არჩილი გამოეცხადა, და გაქცევა დააპირა.

— ოხ, ჩემო თეკლე, ჯერ არ ჩაგიცვამს?! ჰა?! ოს, რა მშვენიერი ფეხები გქონია! — ნერწყვმორეულმა წამოიძახა და ხელი წაატანა თეკლეს ფეხს. დაკუზვის დროს პირქვე დაეცა, მაგრამ ფეხში მაინც სწვდა და მაგრა დაიჭირა.

— არჩილ, რას შვრები! — შეუტია და მაგრა გამოსწია ფეხს, მაგრამ ვერას გახდა.

მდუღარე გადაესხა, დაიფუფქა. უნდოდა, იატაკი ჩანგრეულიყო და შიგ ჩავარდნილიყო, რომ სხვას მაინც არ დაენახა ეს სურათი, მაგრამ იმისი სურვილი არ ასრულდა: იატაკი არ გასქდა, არ ჩაინგრა და არჩილის ამქრებიც ღრეჭით შემოიცქირებოდნენ. არჩილი კი ენადაბნევით გაიძახდა: რა ფეხებია, რა ფეხებია და ლოშნიდა თეკლეს ფეხს.

კიდევ შეეცადა ფეხის წართმევას, გამოსწია ფეხს, მაგრამ ღონემიხდილი იქვე სავარძელს მიესვენა...

— სულ ერთია!... — ამოკვნესით წამოიძახა და ჰირისოფლი შუბლიდან ხელის გადასმით გადაიწმინდა.

ახლა სულერთი იყო იმისთვის. ესე პერანგაც რომ გამოეტანათ შუა ზალაში და ეთრიათ, ამასაც გულგრილად უგრძნობლად გადაიტანდა.

9 მაისი, 97 წ., სად. ვაზიანი

ი უ დ ა

(სააღდგომო ეტიუდი)

I

— ...მომგვარეთ კაცი ესე, ვითარცა გარდამაქცეველი ერისა. მეც განვიკითხე, მაგრამ, როგორც თქვენ თითონ ნახეთ, ბრალი ვერა ვპოვე რა. ეს არას დროს არა ყოფილა გარდამაქცეველი ერისა. სრულებით უბრალოა.

— ჰაა, შენც კეისრის წინააღმდეგი ყოფილხარ!..

პილატე შეკრთა, არ მოელოდა, რომ ამგვარ ცილს თვით მასაც შესწამებდნენ. „ეს ბრბო, — გაიფიქრა შეშინებულმა უნებურად: — არავითარ საშუალებას არ დაერიდება, რომ ნიშანში ამოღებული კაცი დაამხოს და, შესაძლებელია, მეც თან მიმაყოლოს“. ამისათვის სასოწარკვეთილმა თავი ძირს დახარა და იესოს განთავისუფლების იმედი დაჰკარგა.

— ხალხნო! — უეცრად თავი მაღლა აიღო ცოტახნის წუხილის შემდეგ პილატემ და გაბრწყინვებულის სახით ხალხს მიჰმართა: — დღესასწაული მოახლოვებულია. მამა-პაპათა ჩვეულება თხოულობს სადღესასწაულოდ ერთერთი პყრობილის განთავისუფლებას. ხომ იცით, ამჟამად შეპყრობილია ბარაბა, ავაზაკი, კაციკალია. იმის სახელს სულ რამდენიმე დღის წინად შიშით და ძრწოლით ახსენებდით. ის არ ინდობდა არც კაცს, არც ქალს და უსუსურ ბავშვსაც კი. რომელი გნებავთ განვათავისუფლო: ბარაბა თუ ეს უბრალო კაცი?

— ბარაბა, ბარაბა მოგვიტევე ჩვენ!.. — იღრიალა ბრბომ და ეს ხმა შორს, შორს გაისმა...

— ვინ?.. ბარაბა?.. ჩაფიქრდით, ვის განთავისუფლებას თხოულობთ?.. — თავზარდაცემული პილატე ეკითხებოდა ბრბოს. მაგრამ დაბრმავებული ბრბო მაინც თავისას გაიძახოდა:

— ბარაბა, ბარაბა მოგვიტევე ჩვენ!..

— მაშ რა ვუყო ამ კაცს, რომელსაც „მეფე ურიათა“-ს უწოდებთ? — განრისხებული პილატე დაეკითხა ბრბოს.

— ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი ეგე!..

პილატე მოიშალა, მოდუნდა და წყალი მოითხოვა.

— მე უბრალო ვარ და ამ კაცის სისხლი მე ნუ მომეთხოვების!.. — გადიბანა ხელები და შემდეგ იესოს შოლტი გადაჰკრა იმის ნიშნად, რომ უკვე ყოველივე გათავებული იყო და იესო შეეძლოთ წაეყვანათ ჯვარსაცმელად *.

— ჩვენ თავს და ჩვენ შთამომავლობას მოეთხოვოს მაგი-

---

* მთლად ეს ამბავი თითქმის სიტყვა-სიტყვით მოყვანილია სახარებიდან: იხილე სახარება მათ. XXVII; მარკ. XV; ლუკ. XXIII; იოან. XIX.

სი სისხლი!.. — აღტაცებით შესძახა ბრბომ და იესოს გარს შემოეხვია, რომ კაიაფასთან** ცემატყეპით წაეყვანა.

— ხა, ხა, ხა, ხა!.. — გვერდიდან მოესმა იესოს გულის სიღრმიდან ამონახეთქი შხამით და გესლით გაქღენთილი ყრუ ხარხარი, როდესაც პილატემ ბრბოს თხოვნისამებრ ჯვარცმა მიუსაჯა.

იესომ იცნო ეს ხმა, და ცემაგვემას, დამცირებას ისე არ უმოქმედნია, როგორც ამ ხარხარმა იმოქმედა...

გული დაეკოდა და ლმობიერად გაიხედა იქით, საიდანაც ხარხარი შემოესმა.

წყვილი მოელვარე - თვალი, რომელშიაც გამარჯვებული გულის სიღრძო იხატებოდა, დახვდა იესოს თვალებს...

— მაცდურო, ეხლაღა იხსენ თავი შენი!.. — ისარივით სტყორცნა იესოს ეს სიტყვები მოელვარე თვალების პატრონმა და, თითქოს ემალება ვისმეო, გვერდით მდგომთ ეფარებოდა და ძირიდან გამოაკვესებდა თვალებს...

იესომ არ მოარიდა თვალი. თვალი თვალში გაუყარა და უნდოდა ეთქვა რამ, მაგრამ სიტყვის მაგივრად თავი ოდნავ ჩაიქნია და წყვილი ცრემლი ქუთუთოებზე გადმოეკიდა და ფერმიხდილ ღაწვებზე ჩამოსაგორებლად კრთომა დაიწყო.

— ხააა! — მოპირდაპირე კი უფრო მოიხარა, გველივით თვალები შეაკვესა და უნდოდა გამარჯვების ხარხარი მიეხალა იესოს ცრემლებისათვის, პირიც დააღო და მხოლოდ ყრუდ „ხააა"-ღა ამოხდა, რადგანაც ვერ გაუძლო იესოს თვალებს. და ხარხარი შუაზე გაუწყდა. საჩქაროდ რიდე ჩამოიფარა და გატრიალდა.

II

— ფუი, საზიზღარი, როგორ შემომაშტერდა?! როგორ მეც შევკრთი?! ხა, ხა, ხა!.. ბავშვივით კი გამაჩუმა და გამომაბრუნა. სწორედ მომჯადოვებელია, მომჯადოვებელი... პილატეც როგორ მოუჯადოვებია... რანაირად სცდილობდა იმის განთავისუფლებას... ისიც, ისიც ეგრე მოაჯადოვა... ისიც...

** კაიაფა უფროსი მღვდელ-მთავარი იყო ავტორი.

ოხ, მარიამ, მარიამ!.. ისე როგორ მოგაჯადოვა მაგ მაცდურმა, რომ... რომ... მაგრამ, ზოგი ახლა მოაჯადოვოს, როდესაც ჯვარს აცვამენ... მარიამ, მაშინ ხომ დარწმუნდები, რომ ეგ საზიზღარი მატყუარა იყო, რომ... ოხ, რანაირად მეშინოდა, როცა პილატე განთავისუფლებას სცდილობდა... რო გაეთავისუფლებინა?! არა, ეგ შეუძლებელი იყო!.. თვით ძალნი ცისანიც რომ ჩამოსულიყვნენ მაგის დასახსნელად, კაიაფას ბრჭყალებიდან ვერ გამოჰგლეჯდნენ... შენ უნდა მოკვდე და მოკვდები კიდეც! — ასე მიბუტბუტებდა რიდეჩამოფარებული და თან ბრბოს მიარღვევდა, რომ ნაპირას გასულიყო.

ბრბო კი ყვიროდა, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ყველა სცდილობდა, ეკლის გვირგვინით შემოსილ იესოს მიახლოვებოდა, რომ რაიმე შეურაცხყოფა მიეყენებინა და შეურაცხყოფის დროს, რაც შეიძლება ჭკუამახვილობა გამოეჩინა, რომ ბრბო გაეცინებინა. იესო კი ძალმიხდილი, ხმის ამოუღებლად მისდევდა შეიარაღებულ ლეგიონთ, რომელთაც გზა ტაძრისკენ ეჭირათ, სადაც კაიაფა და სხვა მღვდელმთავრები შემოსილები ელოდნენ იესოს...

ბრბომ რამდენჯერმე შეაყენა ლეგიონები. ქუჩა, ამ ქუჩისპირა სახლების ბინები, სარკმლები ნათლად მოკირწყლული იყო დიდით და პატარით, ქალით და კაცით. ლეგიონები იძულებულნი შეიქმნენ წათებისათვის მიემართნათ და იმათ საშუალებით გაეპოთ ბრბო, რომ ცოტათი მაინც ფეხი აეჩქარებინათ...

— ვის ვემალები? რა მაქვს მოსარიდებელი, რომ რიდეჩამოფარებული ვსდგევარ?! — ამაყად წარმოსთქვა რიდეჩამოფარებულმა, როდესაც ბრბოს განაპირას გავიდა და თავისუფალი ადგილიდან მზერა დაუწყო ამ საოცარ ბრბოს მსვლელობას. ამ სიტყვებთან ერთად რიდე მოიგლიჯა და შორს გადასტყორცნა...

— ეს იუდაა, იესოს მოწაფე, რომელმაც მასწავლებელი გაყიდა და ახლა, ვერა ხედავ, როგორ ურცხვად სტკბება იმის ტანჯვით! — ანიშნა ერთმა ჭაბუკმა მეორეს და ხალხში შეერია.

მეორე ჭაბუკი კი შეფერხდა და დააშტერდა. იუდამ ვერ გაუძლო ამ ჭაბუკის მზერას. სახე დაეღრიჯა და პირი უკუღმა წაიღო. ჭაბუკმა კი ზიზღით მიაფურთხა და გვერდით ჩაუარა.

გულს ლახვარი მოხვდა, როდესაც პირველმა ჭაბუკმა ანიშნა ამაზე მეორეს, და მეორეს მიფურთხებამ ხომ გული სულ გაუპო.

— ამან ოცდაათ ვერცხლად გაყიდა თავისი მასწავლებელი. — ახლა სხვებმა წამოილაპარაკეს და ცხვირწინ ჩაუარეს...

— ოცდაათ ვერცხლად!.. ვინ გამოამჟღავნა ეს?! — წაილუღლუღა და საჩქაროდ განშორდა ამ ქუჩას.

რაკი რიდე ვეღარ იპოვა, თავი ღართით მოიბურა და თითქმის სირბილით გასწია მისახვევ-მოსახვევი ქუჩებით...

„...მღვდელმთავარნი უმადურნი არ იქმნებიან. ისინი გამიწევენ მფარველობას და ხმას გააწყვეტინებენ ბრბოს.. უმადურნი! იესოს სიკვდილი უხარიანთ და თან კიდევ მე მიკიჟინებენ, მკიცხავენ. მე მივანიჭე ეგ სიხარული და მევე კი მაფურთხებენ!... — მილაპარაკობდა იუდა გზადაგზა და ღართით თავს უფრო და უფრო იბურავდა.

ჩქარა გაირბინა ქუჩები. თითქმის არც კი ვინმე შეხვედრია გზაში. ტაძართან მივიდა თუ არა, მაშინვე დიდ დარბაზში შევიდა.

ლურჯად შეღებილი და ოქროს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა — დაქნილი, რომელიც სამოცდაათ წმინდა პორფირის ოქროთივე მოვარაყებულ სვეტებს ენაბრებოდა, ოქროსივე ლამპრები, კანდელები და ჭაღები, ოქროს ქსოვილებით შემოსილ მღვდელმთავარნი და მღვდლები პირველ შესვლაზე ადამიანს თვალებს უბლატებდა. იუდასაც ეს დაემართა, ის ცოტახანს შედგა კარებში და, თვალი რომ შეაჩვია, წარსდგა კაიაფას წინაშე.

— ამბავი, იუდავ? — დაეკითხა კაიაფა იუდას, რომელსაც სირბილისაგან გულამომჯდარს სუნთქვა თავის დონეზე არ დასდგომოდა.

— მშვიდობა!.. პილატემ იესოს ჯვარცმა მიუსაჯა და ახლა აქეთ მოჰყავთ.

— ეგ ჩვენც ვიცით... ხომ გახარებს, იუდავ, ეს ამბავი?

— მახარებს, მაგრამ...

— მაგრამ რა?..

— მე... ხალხი გამცემს მეძახის...

— ხომ არა სტყუის?..

— ოცდაათ ვერცხლად გაჰყიდა თავისი მასწავლებელიო, მიყვირის...

— ეგაც ხომ მართალია?

— ზიზღით მაფურთხებენ... ურიდეოდ ვერ გავსულვარ გარედ...

— მერე „ჩვენ და რა?..“ * ნუ ჩაიდენდი მაგ სამარცხვინო საქმეს და არავინ გიკიჟინებდა...

— რაო?! — დაიყვირა იუდამ და თვალები გააკვესა: — თქვენ მოვალენი ხართ...

— ჩვენ ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ. ოცდაათი ვერცხლი ხომ სრულად მიიღე?.. — სიტყვა გააწყვეტინა კაიაფამ და ზეზე წამოდგა.

— აი, თქვენი ვერცხლი!.. — ზიზღით მიაყარა იუდამ ოცდაათი ვერცხლი მღვდელმთავართ და კაიაფას თითქოს საბრძოლველად იწვევსო, ისე დაუწყო ცქერა.

— იუდავ!... წადი!...

— მე ახლავ წავალ პილატესთან და ვეტყვი, რომ თქვენ მართალი კაცის სისხლის დაღვრა გინდათ!

— გვიანღაა.

— მაგრე მიხდით, ბილწებო, მადლობას?! თქვენ მაწანწალა მატყუარა ხელთ მოგეცით და თქვენ კი... იმაზე უარესი მაწანწალა-მასხარები თქვენა ყოფილხართ!.. — შეჰყვირა იუდამ და გამოტრიალდა...

— საზიზღარო, შენთვისაც მოვიცლით!.. — მიაძახა კაიაფამ და მძიმედ ქშენვა დაიწყო. სხვა მღვდლები კი ამ დროს უკმაყოფილოდ თავებს იქნევდნენ.

---

* სახარება მათ. XXVII, 4 — 5.

III

უკანასკნელ წუთებამდის კიდევ იმედი ჰქონდათ მოწაფეებს. ეგონათ, იესო მიეცა მტრებს ხელთ, თავიც მიალურსმინა იმისთვის, რომ უეცარ, თავის დახსნით ამ უკიდურესს ტანჯვისაგან შთაბეჭდილება ძლიერი იქნება და ამ განცვიფრების დროს მეფედ გამოცხადება ადვილად შესაძლებელიო. მაგრამ იესომ სული განუტევა. დაკრძალეს კიდევაც და ახლა...

გათავდა ყოველისფერი. მოწაფეებს იმედი გაუცრუვდათ. დაიქსაქსნენ ყველანი. აღარა სწამთ რა ადამიანისა. როგორ წარმოიდგენდნენ, რომ ის, რომელიც სამ წელიწადს მათთან სცხოვრობდა და ამ სამი წლის განმავლობაში თითის გაქნევაშიაც კი სიცრუვე არ შეუმჩნევიათ, მთელი თავისი ძლიერებით მოატყუებდათ?! რწმენა შეერყათ და პირველ ხანებში მკვდრებივით დადიოდნენ... ამ სასოწარკვეთილებს ის უბედურებაც თავს დაატყდათ, რომ მღვდელმთავართ მათი შეპყრობის ბრძანება გასცეს. ისიც აღარ შეეძლოთ ახლა, რომ ერთად მოეყარათ თავი და აეხსნათ ერთმანეთისთვის ეს მოვლენა, თავიანთი აზრი ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ. ესენი იძულებულნი შეიქნენ, სათითაოდ სამალავები მოენახათ. ზოგი, ვითა ნადირი, ქალაქ გარეთ უდაბნოში იმალებოდა და ზოგი კიდევ ქალაქში, ნაცნობებთან.

იოანე მოციქულიც ქალაქში მოჰყვა და იმალებოდა ვინმე მარიამთან, მეტად მშვენიერ და იესოს დიდად თაყვანისმცემელ ქალთან. ორნივე ერთად სტიროდნენ თავიანთ დაობლებას და ემდუროდნენ ცას. მარიამის მამა კი ამშვიდებდა ორსავე და ანუგეშებდა...

შუაღამისას მოვიდა ვინმე ჭაბუკი და უთხრა იქ მყოფთ, რომ კაიაფას იოანეს აქ ყოფნა გაუგია და შეიძლება ამის შესაპყრობად ამაღამვე თავს დაგესხათო. ამისათვის საჭიროა, დასძინა ჭაბუკმა, ახლავე თავს უშველოსო.

ჭაბუკმა და მარიამის მამამ მაშინვე გაიყვანეს იოანე გარეთ და დასამალავად სხვაგან წაიყვანეს. მარიამმა კი კარი ჩაიკეტა და მამას ლოდინი დაუწყო.

— ახლა კი დროა! — სიხარულით წამოიძახა ღართით მოზურულმა და კარი დააკაკუნა.

— ვინა ხარ? — დაეკითხა მარიამი შიგნიდან.

— მე ვარ, კარი გამიღე!..

— როგორ?! შენ?! აქ რამ მოგიყვანა, შე წყეულო?!

— მარიამ, მარიამ!.. ნუ მწყევლი, კარი გამიღე!.. მეც ხომ...

— წადი, წადი, შე გამცემო, შე მოღალატევ!..

— მარიამ, განა ვის ვუღალატე?! შენ ხომ არა! ის მაცდური იყო. ხომ ნახე ახლა, რომ მატყუარა იყო და შენი სიყვარულის ღირსი არ იყო. მარიამ... გამიღე კარი და დაწვრილებით გიამბობ. ყველამ მაფურთხოს, გამკიცხოს, ოღონდ შენ ნუ!..

— ოხ, საზიზღარო არსებავ!.. დაიღუპე, სახლს ნუ მიბილწავ!..

— მარიამ, ჩემს გრძნობას მაინც ნუ შეურაცხყოფ!

— წყეულიმც იყოს შენი გრძნობა და შენც მასთან!

— გააღე კარი, თორემ შემოვალ და შენთვის უფრო ცუდი იქნება! — მრისხანედ შესძახა და კარებს ნჯღრევა დაუწყო.

— არ გაბედო, თორემ ფეხს შემოსდგამ თუ არა, მაშინვე მახვილით გულს გაგიპობ!..

— ვნახოთ! — წამოიყვირა და უფრო გამხეცებით დაუწყო კარებს ნჯღრევა.

— საზიზღარო!.. წყეულიმც იყოს შენი სახელი და ზიზღით იხსენიებდეს მას ყოველი ერი უკუნითი უკუნისამდე!...

— ააა!.. — დაიღრიალა იუდამ გარეთ და შორს გადახტა.— რა გინდა ახლა შენ აქ, რა?! ღრიალებდა იუდა და თან გარბოდა, მარიამი კი განცვიფრდა და არ იცოდა, რითი აეხსნა იუდას გაქცევა და ღრიალი.

VI

— ...მაცდურო, მატყუარავ!.. შენ ხომ მოგკლეს, მოგკლეს, ჯვარს გაცვეს და ლოდით დაგკრძალეს?!. — შეუტია იესოს, როდესაც ის ნატანჯის სახით, ოდნავ თავის რხევით, თვალის

ქუთუთოებზე წყვილი ცრემლით შებინდებისას წინ გამოეცხადა...

მთელი დღე უდაბნოში წოწიალობდა. გაუფრთხოდა ყველას. ერთი ადგილიდან მეორე ადგილას მშველის სისწრაფით გადადიოდა. შებინდებისას კი აპირებდა მარიამის სახლისკენ წასვლას, რომ იმის ახლოს მოესვენებინა თავისი ტანჯული სული. სწორედ ამ დროს გამოეცხადა იესო.

— ...სანამ ცოცხალი იყავ, შენი სახე ყველაფერში ხელს წიშლიდა, მიცარავდა და მოკვდი და ახლა სიკვდილის შემდეგაც არ გინდა მომასვენო?! ჰა?.. ხომ გუშინ დაგკრძალეს?.. ჰა?.. მომშორდი, მომშორდი, შე წყეულო! — დაიღრიალა ოუდამ და მახვილი იძრო...

— მომშორდი, თორემ მკვდარს ხელმეორედ მოგისპობ ამ მახვილით სიცოცხლეს! — შეუტია და რამდენიმე ნაბიჯი იესოსკენ წასდგა. იესო კი ისევ ისე შესცქეროდა, ისევ ისე თავის რხევით, და წყვილი ცრემლი ისევ ისე ლაწვებზე ჩამოსაგორებლად უკრთოდა თვალის ქუთუთოებზე.

— ააახ, წყეულო!.. — თვალები მაგრა მოხუჭა შეყვირებასთან ერთად და მახვილი პირდაპირ იესოსკენ სტყორცნა...

საღამოს მკრთალი ნათელი კი მთლად სიბნელით შეიცვალა და არემარე დაჰბურა...

„იუდავ, ამბორის ყოფითა მისცემა ძესა კაცისასა?!“ * — ყურში ჩაეწვეთა იუდას ნაღვლით და ლმობიერებით სავსე ხმა იესოსი.

— ჰა?! ხა, ხა, ხა, ხა! — თვალებ დაჭყეტილმა მიიხედ-მოიხედა და, რაკი ვერავინ დაინახა, სიხარულით ხარხარი მორთო.

„იუდავ, ამბორის ყოფითა მისცემა ძესა კაცისასა?!“ — შემოესმა ახლა მეორე მხრიდან ისევ ის ლმობიერი, ნაღვლით სავსე ხმა.

— ააა, მშიშარავ მშიშარავ!.. ჩემმა მახვილმა შეგაშინა და ახლა იდუმალად მებაასები! — ხარხარით წამოიძახა და მახვილის ასაღებად წავიდა, რომ მახვილის ტყორცნითვე მოესპო იდუმალი ხმაც ისე, როგორც იესოს სახე გააქრო...

---

* სახარება ლუკ. XXII, 48.

— რა გინდა?! — დაიღრიალა საცოდავად იუდამ და უკან ისე გადმოტრიალდა, რომ კინაღამ წაიქცა.

ერთი ფეხი წინწამოდგმული დარჩა, მეორე სახსარში საშინლად მოეხარა, ტანი კი უკან გადმოეზნიქა და ასე მუშტებწინწაწვდილი მოელვარე თვალებით ხმის ამოუღებლად შესცქეროდა იესოს, რომელიც ისევ ისე ლმობიერებით, ღრმა ნაღველით აღსავსე სახით უეცრად იმისა და მახვილის შუა გაჩნდა.

დიდხანს არ უმზერია იუდას. ჩქარა პირი უკუიბრუნა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა.

სად გარბოდა იუდა?.. თითონაც არ იცოდა. ის ანგარიშმიუცემლად გარბოდა და უკან მოხედვისა ეშინოდა. თუნდ სულ ასე ერბინა, ოღონდ ის კი ნუღარ სჩვენებოდა.

სამი დღეღამის უჭმელ უსმელობით და უძილობით ჩამომხმარი იუდა აჩრდილივით მიჰქროდა და ვიდრე თავისდა უნებურად გეთსიმანის ბაღში არ შევარდა, არ შემდგარა. აქ ის მოეხვია ერთ ხეს. ხელები გარს შემოურკალა და მაგრა, მაგრა ეკვროდა ზედ. უნდოდა სახე, სახე კი არა, მთელი სხეულით შეერთებოდა ამ ხეს, რომ უკან მოხედვა აღარ შესძლებოდა, რადგანაც ის წყეული, ის მაცდური ეგონა უკან ედგა...

მაგრამ... ოხ! ხეს ეკვრის და ეგერ ხიდანაც გამოიჭვრიტება ის... ის...

— ახ!.. — სასოწარკვეთილებით ხმა აღმოხდა იუდას.

მუხლები მოუდუნდა, მოეკეცა და უგრძნობლად პირქვე დაემხო...

„იუდა, რომელი გეგულების საქმედ, ჰყავ ადრე“ * — გამოარკვია იუდა უგრძნობლობისაგან ამ სიტყვებმა და აწმყოს დაუბრუნა.

— ვყავ ადრე და ისე ადრე, რომ ისე ადრე არც კი მოელოდი... შენ გინდოდა კიდევ... დედამიწიდანაც ამოიჭვრიტები?! ااا?!. აქკი ქვეშ მიდევხარ!.. დაგგლეჯ, დაგგფლეთ!.. თუმცა მახვილი იქ დამრჩა, მაგრამ კბილით, ხელებით დაგხო-

* იოან. XIII, 27.

კავ!... — მართლადაც იუდამ დედამიწას დაუწყო კბილებით და ხელებით ხოკვა და დიდხანს, დიდხანს ჩაჰბღუოდა.

— ჰეეე, ჩაგნთქე თუ არა?!.

განშორდა მოჩვენება. იესო ჩანთქა. იუდა წამოდგა და წელში გაიმართა.

შავად ჩამომხმარი სახე, დასისხლიანებული პირი და ცეცხლის მფრქვეველი თვალები შესაზარ შეხედულებისას ხდიდნენ იუდას...

იუდა იდგა წელში ამართული და ჩაჟინებით სივრცეს გასცქეროდა...

— დედი, დედი, რად მიცქერი მაგრე სასტიკად?!. განა შენცა მკიცხავ?! აჰ! აჰ! აჰ!.. — ღართის კალთა უეცრად აიფარა თვალებზე და მუხლმოდრეკილმა მწარედ, მწარედ ქვითინი მორთო...

— შვილო, იწამე... ის ძე ღვთისაა! — გამოეხმაურა აჩრდილი.

— როგორ?!. შენც მაგას იძახი?!. მაშ არა ყოფილხარ დედაჩემი! თუ მაგისთვის შეარყიე საფლავი, ისა სჯობია, წახვიდე და მოასვენო შენი ძვლები. წადი, წადი!.. — ფეხზე წამოჭრით მიაძახა აჩრდილს და რამდენიმე ნაბიჯი წინ წარსდგა.

განქრა აჩრდილი. იუდამაც თავისუფლად ამოისუნთქა. ეგონა, ახლა კი სულ გავიმარჯვეო, მაგრამ ამ დროს ხმა გაისმა:

— აგერ, იუდა სად იმალება! მასწავლებელი გასცა და ახლა კი იმალება.

— მე ვიმალები!... არა... არა! მე არ ვიმალები!... მე სხვა მოწაფეებს არა ვგევარ, რომ დავიმალო. მე აქ ვარ!... — შეღრიალა და წინ წარსდგა.

— სხვა მოწაფეებს სდევნიან და შენ კი, როგორც გამცემს, არ გეშინიან!..

— მეე?..

— მაგრამ...

— რა, „მაგრამ?!“

— შენც ჯვარს გაცვამენ!..

— ხა, ხა, ხა!.. მე ჯვარს მაცვამენ?! არა, არა და არა!..

ამ დროს უეცრად შემოესმა ფეხის ხმა, რის გამოც ფოთოლივით შეირყა და იქით გაიხედა, საიდანაც შრიალი მოესმა.

— იუდა, იუდა, ეხლა კი ვეღარსად დაიმალები!.. ხა, ხა, ხა!.. გეშინიან, განა?!

უცნაური ყიჟინი გაისმა იქიდანვე, და იუდამ იმ მხარესვე შორს, შორს, ხეებს შუა მომკრთალო ჩირაღდნების სინათლე შენიშნა.

— აღსდექით ახლა ჩემზე?!. ჰაა, უმადურნო!.. მაცდური მოგეცით ხელში, მოგაკვლევინეთ თქვენი მტერი და მადლობის მაგივრად მეც გინდათ ჯვარს მაცვათ?!

ყიჟინი კი თანდათან ახლოვდებოდა, სინათლე უფრო ჩაღდებოდა...

— ოქვენ, თქვენ!.. ბრბოვ, ბრბოვ, საზიზღარო ბრბოვ, ვერ სცნობ მტერსა და მოყვარეს, ვერ გაგიგია, ვინ გმოკეთეობს!.. საკმარისია იმ საზიზღრებმა მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა თითი მიგიშვირონ ვიზედმე, რომ შენც ცხვარივით ბღავილს მოჰყვე!.. მაგრამ, მაგრამ, ხა, ხა, ხა, ხა!.. იმ მხდალივით არ დაგნებდები!.. — იუდამ მახვილისთვის გაივლო ქარქაშს ხელი, მაგრამ მახვილი აღარ დახვდა. ამისთვის კეტს წამოავლო ხელი და საბრძოლველად გაემართა...

— ხა, ხა, ხა!.. ვერ ხედავ იუდას, ოცდაათ ვერცხლად გამყიდველს, როგორ მამაცობას იჩენს?! ჯვარს ვაცოთ ეგა! — ხარხარით დაახალა ყიჟინა ბრბომ და თანდათან უფრო უახლოვდებოდა...

— მე... მე... ოცდაათ ვერცხლად?! არა, არა!.. ჯვარს არ გეცმევინებით, არა?! მე საზიზღარი სიკვდილით არ მოვკვდები, არა!.. — ხრიალით მიაძახა ბრბოს და საჩქაროდ ხეზე აიჭრა. კეტი კი ბრბოსკენ სტყორცნა.

იმავე სისწრაფით მოიხსნა სარტყელი, ხის ტოტს მოაბა, გამოამარყუშა და...

— შშრრ!.. — ხე მთლად შეირყა და ფოთლებმა შრიალი მორთეს.

ხეზე ფრინველთ გამოეღვიძათ ამ უეცარ შრიალზე და დაფეთიანებული უგზოუკვლოდ გეთსიმანის ბაღს მოედვნენ.

ხე კი კარგა ხანს შრიალებდა, ტოტს ჭაჭაჭუჭი გაჰქონდა, და ოდნავი დროგამოშვებით ხრიალი გამოისმოდა.

ამ დროს იესოს საფლავისკენ მიმავალთ მარიამ მაგდალინელმა, მარიამ იაკობისამ და სხვა მანდილოსანთა წყნარის ბაასით ნელსაცხებელით ხელში ჩაუარეს ამ ხეს გვერდით, მაგრამ ხეზე ჩამოკიდული იუდა კი ვერ შენიშნეს...

ყარა-თაფა, 1897 წ.

ორი მკურნალი

დღეს თხუთმეტია აპრილისა. თხუთმეტი დღე-ღა დარჩა, თხუთმეტი! მერე მაისია... ოხ, რა ცოტა დრო-ღა დარჩა!.. თხუთმეტი დღე-ღა უძევს წინ. მერე კი... „თუ ნიცაში არ წახვედი, მაისს ვეღარ დაესწრები“. ხომ ასე უთხრა შალვას მკურნალმა?! და, აი, ეს წყეული სიტყვები მოსვენებას აღარ აძლევენ. მაგრად, მაგრად ჩასმიან თავში შალვას და ნელა, ნელნელა ტვინს ულრღნიან. გულის სიღრმემდისაც სწვდება ეს ღრღნა. იქაც სიმწვავით უღიზიანებენ, საშინელის სიმწვავით! ახ, რა ძნელია!.. დღემუდამ ეს ერთი წინადადება უჩუჩუნებს თავში. თითქოს ამის მეტს ადგილი აღარასა აქვსო. ეს მესამე თვეა, რაც მკურნალმა უთხრა და მას შემდეგ, ჯერ მესამე დღე კი არა, მესამე წამი არ გასულა, რომ ამ სიტყვების ადგილი სხვა სიტყვებს დაეჭიროს...

„თუ ნიცაში არ წახვედი, მაისს ვეღარ დაესწრები“. ცოცხლად ხედავს მკურნალს, და ეს წყეული სიტყვები ყურში ნელა ეწვეთება. მაშინვე ელდა ეცა. არსება მოუშხამა და მოშხამული არსებით ნიცას მაგივრად თავის სოფლისკენ, თავის დედისკენ, მოხუცებული დედისკენ გამოეშურა. ხმის ამოუღებლად მოსვლის უმალ სარკმლის გვერდით ლოგინი გაიშალა და...

„თუ ნიცაში არ წახვედი, მაისს ვეღარ დაესწრები“. ეწვეთეთ, ეწვეთეთ!.. მშვენივრად მოქმედებს თქვენი ძალა: ყოველ დღე სიცოცხლე აკლდება. რა იყო წინათ ამ სამი თვის წინათ, ვიდრე წვეთობლივ დაიწყებდა თქვენი შხამის მიღებას.?!.

მაშინ კიდევაც დადიოდა, ფერიც კარგი ჰქონდა, მხიარულებდა კიდეც...

ახლა?..

ჩამომხმარი, ტანში ჩარჩეულიღაა საბანში გახვეული. მორღვეული, მუდამ ნაღველით სავსე თვალები და ოდნავი სუნთქვა-ღა ამხელენ, რომ კიდევ ცოცხალია, თორემ სხვა არაფერი. ხომ მოძრაობა, სიმხიარულე მაშინვე მოესპო?! ხომ ლაპარაკის თავიც აღარა აქვს და მოხუცებული დედის კითხვებსა და ქვითინზე ხომ მარტო თვალის მოხუჭვით უპასუხებს ხოლმე?! აგერ, ახლაც დედა ოდნავ ქვითინებს, ცდილობს ქვითინი შეიმაგროს და თავის შალვას, ერთადერთ ნუგეშს, არ გააგონოს, მაგრამ რა დედის გულმა მოითმინოს და არ იქვითინოს, როდესაც ერთადერთი შვილი იმის თვალისწინ სანთელივით დნებოდეს და მთლად დადნობას ყოველ დღე მოელოდეს?!

ეყურება შალვას დედის ქვითინი. გულს უკლავს ისეც მომაკვდავს. უნდა უთხრას: „დედი, ნუ სტირი, მე არ მოვკვდები!“ მაგრამ როგორ უთხრას, როდესაც ის წყეული სიტყვები ტვინს უღრღნიან, როდესაც სწამს, რომ მაისს ვერ დაესწრება, და მაისამდის ხომ სულ თხუთმეტი დღეღაა?! ჩვეულებისამებრ ყურებზე მოიხვია საბანი. არ უნდა დედის ქვითინი გაიგონოს. თვალებს კი სარკმელს არ აშორებს. დღე-მუდამ ასე იყურება და გარეთ განთიადიდან დაღამებამდის. რაც კი მის სარკმლის ახლო ცვლილება ხდება ბუნებაში, ყოველსავე თვალყურს ადევნებს. არა გამოპარვიარა. ბუზიც კი არ გაფრენილა მის სარკმელთან, რომ შეუმჩნეველი დარჩენოდეს...

გაშტერებული უმზერს ახლაც შალვა სარკმლის ახლო მცენარეობას, ადგილს. ახ, დღითიდღე რა ცვლილება ეტყობა არემარეს!.. რასაც კი აქნობამდის სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, ეხლა მოძრაობაში მოსულა...

— შვილო, თბილა! გარეთ გადი, გაიარე. — მორიდებით ჩასჩურჩულებს თვალცრემლიანი დედა, მაგრამ შალვას არ ეყურება.

ის თითონაც გრძნობს სითბოს. ხედავს, როგორ ეალერსებიან მზის სხივები ახლად გადაშლილ ხეებს, ველებს, როგორ ჭყუმპალაობენ იქავე ახლოს მოჩუხჩუხე წყალში. ხედავს, ამ ნაზ სხივებს როგორ გამოუწვევიათ ყველა სულდგმული გა-

რეთ სანავარდოდ, საალერსოდ. აგერ, ბეღურებს რა ყოფა აქვთ ხეებზე, როგორ ნაზად არხევენ ფრთებს. შროშანიც სარკმლის ახლო დამჯდარა, აუღია თავი მაღლა და გატაცებით, დაუსვენებლად ჯიღჯიღებს ნისკარტის კაპუნით, თანაც ფრთების რხევას აყოლებს და დროგამოშვებით ბუქნავს. აგერ, მერცხლებიც წყვილწყვილად როგორ ელვასავით სარკმლის ახლო გასრიალდებიან, „ჭყავ!“ დასჭყივლებენ ერთმანეთს და შორს, შორს, სადღაც იკარგებიან. ჭიაღუა?.. მუმლი?.. ამათ ვიღა ადევნებს თვალყურს!.. უხარიან, ყველას უხარიან სიცოცხლე, ყველას! ყველას...

„შენ?.. — ეჩურჩულება იდუმალი ხმა: — შენ კი სჭკნები... შენ ხომ მაისს...“

— ეეეხ!.. — ამოსკდა გულის სიღრმიდან და გულჩათუთქულმა თვალები მოხუჭა. „ბზუუ“, მოესმა შალვას ბზუილი და ამასთან ერთად სარკმლის მინაზე ფრატუნი. გაახილა თვალები და დაინახა, როგორ ბზუილით დიდი, ბანჯღვლიანი ბუზი, რომელიც გუშინ, გუშინწინ, ამის წინადაც სარკმლის კუთხეში ეგდო გაცივებული, უსულოდ, იბრძვის გარედ გასასვლელად...

„შენ კი გარეთ გასვლას ვეღარ ეღირსები!...“ — წასჩურჩულა კიდევ იმავე იდუმალმა ხმამ.

პასუხად შალვა სიმწარით გაიკლაკნა ტანში და გვერდი იცვალა. იმის მოროვეულ, მოელვარე თვალებს დედის ცრემლიანი თვალები შეხვდა. ბუზი კი ბზუოდა, ბზუოდა და ხან სარკმლის ერთ მინას დაარტყამდა თავს და ხან კიდევ მეორეს.

— დედი!.. — მიმქრალის ხმით მიმართა დედას.

— რა გინდა, გენაცვალოს დედა, შვილო?!. — ნიავსავით წამოდგა და მიუახლოვდა.

— ეს ბუზი...

— ჰო, შვილო!...

— გუშინ მკვდარი იყო და დღეს კი, ვერა ხედავ, როგორ...

— სითბომ გამოაცოცხლა და ეხლა გარეთ მიიბრძვის.

— ვიცი, ვიცი!.. რატომ მე კი...

— შენც კარგად გახდები...

— ეეეჰ!.. — სახე მოეღმიჭა და თვალები მოეხუჭა.

— მე მაისს ვეღარ დავესწრები!..

— რად ამბობ მაგას, გენაცვალოს დედა, და... — ვეღარ დაათავა, გული ყელში მოებჯინა და ქვითინი მორთო.

ბუზი კი ისევ ბზუოდა და სარკმლის მინებს ეფრატუნებოდა...

— დედი!..

— აქა ვარ, შვილო!

— ეგ ბუზი...

— რა გაგიხდა ეგ ბუზი?! აი!.. — გაჯავრებულმა წამოიძახა და გადაეწოდა მოსაკლავად.

— არ მოჰკლა, არა, არა!.. — წამოიწია ლოგინიდან და ხელი დაუჭირა. — არ მოჰკლა, დედი!.. — შეევედრა შალვა დედას, რომელსაც უკვე ხელში უფართხალებდა ბუზი.

— არ მოვკლავ, შვილო, არა!.. დამშვიდდი!..

— გაათავისუფლე, გარეთ გაუშვი! — ძლივს წარმოსთქვა აღელვებულმა და მოქანცული ბალიშზე მიესვენა... — წაიყვა!.. — განუმეორა თხოვნა და თვალები მოხუჭა...

— სსს!.. — ხელი აიღო და გარედან შემობრუნებული დედა ოთახის შუა შეაყენა.

— შვილო...

— მოიცა, მოიცა, დედი!.. არ გეყურება სამცხენას ზარების წკარუნი?!.

— არა!.. უთუოდ ყურები გიბჟუის.

— აგერ, აგერ!.. თანდათან ახლოვდება...

— მართლა. ახლა კი შენომესმა... უთუოდ მკურნალი იქნება. ყვავილი საშინლად მძვინვარებს. მამასახლისმა ამას წინად აცნობა და აბა სამცხენით მეტი ვინ მოვა?!.

— მკურნალი!.. — გაგრძელებით წამოიძახა შალვამ და სახე მთლად დაეღმიჭა.

— შვილო, ვთხოვ, რომ განახოს!..

ამ სიტყვებზე უარესად მოეღმიჭა სახე და პირისახე საბნით წაიჩულა, რომ დედის სიტყვები აღარ გაეგონა.

დედა მიხვდა, რის ნიშანიც იყო საბნის წახურვა და ამისთვის ხმის ამოუღებლად გულხელ დაკრეფილმა მზერა დაუშვა. საწყალს თან ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

ზარების წკარაწკური თანდათან ახლოვდებოდა, და ფეცრად ეზოდან შემოესმა მეეტლის ხმა „ტპუუ“-ო.

შალვას დედა მაშინვე გარეთ გავიდა.

— ღმერთო, ნუთუ ის მოვიდა?... — ლმობიერად წამოიძახა, როდესაც ეტლიდან ჩამომხდარ ქალს თვალი შეასწრო და მაშინვე მისაგებებლად გაქანდა... — თქვენ...

— გატყობთ, შალვას დედა ბრძანდებით!.. — სიტყვა აღარ დაათავებინა ახლად მოსულმა და მაშინვე გადაეხვია.

— მე მეგონა ჩემ წერილს არ მიიღებდი, შვილო, რას მოვიფიქრებდი, რომ წამოხვიდოდი.

— დედი, შალვა როგორ არის?

— შენი მტერი და დუშმანი იყოს, შვილო, ისე, როგორც შალვა არის... — ტირილით უპასუხა და გულში ჩაიკრა.

— პირზე საბანი რად წაუხურავს?.. — დაეკითხა ახლადმოსული, როდესაც ოთახში შევიდნენ და საბანწახურული შალვა დაინახა.

— ეგრე იცის, შვილო!.. წაიხურავს საბანს და ქვეყანაც რომ დაინგრეს, მაშინაც ვერას გაიგებს, ისე გაერთობა ხოლმე ფიქრებში.

— ხომ არა სძინავს?

— არა!..

— მაშ შეიძლება საბანი გადავხადო?

— სწყინს, როდესაც მე გადავხდი ხოლმე და შენგან კი, არ ვიცი, იწყენს თუ არა.

— საბანს ნუ მხდი, რა გინდა? — წყრომით წამოიძახა და თვალებმოხუჭული სარკმლისკენ გადაბრუნდა.

— შალვა!..

— ჰა შენ?! ელიკო!.. ელიკო! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაიძახოდა შალვა და თან გულში იკრავდა ელიკოს. — ოხ, ჩემო კარგო, მაპატივე,, მაპატივე!.. მე... მე... ვსცდე...ბოდი!.. — ძლივს დაათავა შალვამ სიტყვა და ღონემიხდილი ბალიშზე მიესვენა.

— გენაცვა, შალვა, რა დროს პატივების თხოვნაა?! განა ჩემი აქ მოსვლა იმის თავდები არ არის, რომ არ გემდურები?!

— ახ, შენთან რა დამნაშავე ვარ!.. ელიკო, სირცხვილით

შემოხედვასაც ვეღარა ვბედავ!.. — გულამოსკვნით წამოიძახა და ცრემლები მისდა უნებურად გადმოსცვივდა.

— მაგისთვის რადა სწუხარ, შალვა?! ბედნიერად ჩავთვლი ჩემ თავს, თუ ახლა მაინც დარწმუნებული ხარ, რომ შენ, მხოლოდ შენ მიყვარხარ. ხომ ეს იყო მიზეზი შენი უკანასკნელი წერილისა, რომლითაც უარი გამომიცხადე?!

— ელიკო!.. ელიკო!.. ნეტავ არ მოსულიყავ! — ტანმა ჩხვლეტა დაუწყო, გველივით გაიხლაკნა და მაგრად, მაგრად ოვალებზე ხელი მიიფარა.

— როგორ, შენი ავადმყოფობა შემეტყო და არ მოვსულიყავ?!

— ვინ შეგატყობინა?!.

— ვისაც უნდა შეეტყობინებინა, ეგ ხომ სულ ერთია!..

ელიკოს პასუხზე შალვას დედა გატრიალდა და ფეხაკრეფით გარეთ გავიდა.

— დედამ ხომ არ მოგწერა?

— დედამ ხომ არა იცოდარა და, აბა, როგორ მომწერდა?! ამას თავი დავანებოთ და ის მითხარი: ეჭვი ხომ აღარა შემოგაქვსრა? — ჰკითხა ელიკომ და შუბლზე აკოცა.

— ელიკო, ნუ მეკარები!..

— ვითომ რატომაო?

— მე ჭლექითა ვარ ავად და შენც არ გადაგედოს.

— ხა, ხა, ხა, ხა!.. ეგ მე კარგად ვიცი, გადამედება თუ არა! — გულიანის კასკასით უთხრა და უფრო მოეხვია.

— ელიკო, მე არ გეხუმრები!.. მე...

— გაჩუმდი, გაჩუმდი, თორემ, აი!.. აი!.. აი!.. — „აი, აი"-ს გაიძახდა ელიკო და თან შალვას ტუჩებს ეკონებოდა.

შალვაც ვეღარ ეწინააღმდეგა. ელიკო გაშმაგებით ჰკოცნიდა და ის კი ამ დროს უსიტყვოდ ჰკიცხავდა თავს, რომ ელიკოს, ამ ანგელოზს ხელი ჰკრა და შეურაცხყოფა მიაყენა.

— ჰა!.. ჰა!.. ჰა!.. ვაიმე, ჭლექი გადამედო!.. — დაღონებულმა სამჯერ ოდნავ ძალად ჩაახველა და გულზე ხელი დაიდო.

— ელიკო, ნუ მასხარაობ!.. — ღიმილით უთხრა და ხელი ხელზე მაგრა მოუჭირა.

— მაგრა, მაგრა მომიჭირე ხელი!..

— მეტი ღონე აღარა მაქვს!

— „მეტი ღონე აღარა მაქვს!..“ — გააჯავრა ელიკომ დ-ხელი თვითონ მოუჭირა.

„ელიკოს ღირსი არ ვიყავ და ღმერთმაც არ მომცა!“ — მწარედ გაურბინეს თავში ამ სიტყვებმა და ცრემლით სავსე თვალებით ელიკოს ლმობიერად შეხედა.

— შალვა, რა მოგივიდა?!

— არაფერი! — უპასუხა, და ცრემლები ლოყებზე გადმო-უგორდნენ.

— ჩემო შალვა!..

— დღეს აპრილის თხუთმეტია!..

— მერე? — განცვიფრებით დაეკითხა ელიკო და ცრემ-ლები მოსწმინდა.

— მაისს ვეღარ მოვესწრები.

— ვინ გიწინასწარმეტყველა?

— მკურნალმა!..

— ხა-ხა-ხა!.. — გადაიკისკისა და შემდეგ უეცრად მოი-ღრუბლა და ისევ დაიწყო: — მაისის პირველისათვის შავების ჩაცმა მომინდება. ტირილით და თავში ცემით საფლავამდის მიგაცილებ და...

— ელიკო, მასხარად მიგდებ თუ რა არის?!

— მასხარად კი არა და, შალვა, იცი რა გითხრა, მე პური მომშივდა და ცოტა რამე შევჭამოთ, შენც ხომ მოგშივდა?..

— მე კი არა მინდარა და შენ კი ახლავე ჭამე რამ. აი, დედა შემოვა და მოგიტანს.

— მინდა შენთან, შენს ლოგინთან ვჭამო რამ და შენც, რასაკვირველია, ერთ ლუკმას მაინც აიღებ.

შალვას დედამ საჩქაროდ მიუტანა ელიკოს და შალვას რაც კი რამ ებადა და სიხარულით შესცქეროდა იმათ. უხა-როდა, რომ ელიკო, როგორც მტრედი თავის ხუნდს, ისე აძ-ლევდა შალვას საჭმელს.

— ნეტავ ეს თხუთმეტი დღე თხუთმეტ წელიწადად მაინც გადაიქცეს!.. — წამოიძახა .შალვამ, როდესაც ჭამა გაათავეს და ელიკოს ხელი დაუჭირა.

— შალვა რა მშვენიერი სოფელი ყოფილა ეს სოფელ-ხომ აქაურ მცხოვრებად ითვლები?

— ჰო, აქაური ვარ!

— ჩემთვის არას დროს არ გითქვამს ეგ. — ალერსით უთხრა, თავისი თითები შალვას თმაში გახვია და ოდნავ, ოდნავ თითებს არხევდა და თავის კანს ეხებოდა.

შალვას ესიამოვნა, ესიამოვნა ძლიერ და განძრევისა ეშინოდა, რომ ელიკოს თითების ცაცუნი არ შეეყენებინა.

ელიკო მიუხვდა სიამოვნებას და დიდხანს, დიდხანს არხევდა თითებს, ვიდრე შალვას ამ სიამოვნებაში არ ჩაეძინა.

— შენ-კი გენაცვალოს დედა, შვილო!.. — დაბალის ხმით წამოიძახა და ელიკო გულში ჩაიკრა, როდესაც ის მძინარე შალვას მოშორდა. — რამდენი ხანია ძილი არ მიჭკარებია მაგის თვალს!.. — განაგრძო შალვას დედამ ისევ დაბალის ხმით: — და ეხლა შენის წყალობით, აგერ, როგორ სძინავს!..

— არა უშავსრა, დედი, შალვა ჩქარა ლოგინიდანაც ადგება.

— შენს პირს შაქარი, შვილო! დღე და ღამ სულ ბორგავდა, უაზროდ მაისს გაიძახის და...

— დედი, ჩვენ ეგ მაისი როგორმე უნდა დავავიწყოთ.

— შენა, შვილო, შენ თუ დაავიწყებ, თორემ მე ვერა მომიხერხებიარა! — თვალცრემლიანმა წამოიძახა და აღგზნებულად ელიკო ისევ გულში ჩაიკრა...

* *

გათბა, გათბა დედამიწა. საღამოს სიომ წამოჰბერა და გაღებულ სარკმლიდან შემოუთამაშა იქავე სარკმელთან მწოლარე შალვას, რომლისთვისაც ელიკოს ხელი თავზე დაედო და ისიც შალვასავით გარედ გაიცქირებოდა. ელიკოს თვალები უბრწყინავდნენ, ტუჩები სიამოვნებით ეღიმებოდნენ. შალვა კი უეცრად მოიღრუბლა. ის წყეული სიტყვები კიდევ ჩაეწვეთნენ ყურში „მაისს ვერ მოესწრები“... შემოესმა და ტანი შეერყა...

„ნაუუ!..“ — გაისმა დიდი ზარის ხმა სამრეკლოდან და შორს, შორს ჰაერში გაიფანტა. შალვა გამოაფხიზლა ზარის ხმამ და ელიკოს დაეკითხა:

— ხვალ რაობაა, რომ ზარი დარეკეს?!

— ხვალ?.. ხვალ?.. — გახარებული წამოხტა ელიკო და პირდაპირ დაუდგა...

— ელიკო, რატომ მაგრე მიცქერი?..

— შალვა, გენაცვა, იცი, ხვალ რა დღე არის?! — ტაშის შემოკვრით წამოიძახა და შემოეხვია...

— ელიკო, ვერა გამიგიარა?!.

— ხვალ შიო მღვიმელის მიცვალების დღეა!.. — მედიდურად წამოიძახა და თავის გაქნევით თმები შეარხია.

— როგორ?.. სტყუი, ელიკო!.. ხვალ მაისის ცხრაა?!

დიახ, ბატონო, ხვალ მაისის ცხრაა.

ზარის დარეკას კი უფრო მოუხშირეს და მოუხშირეს.

— ტყუილია, ტყუილი! — წამოიძახა შალვამ და ლოგინიდან ჩამოვიდა.

— თუ არ გჯერა, ეკლესიაში წავიდეთ.

— წავიდეთ!

— „ღირსო მამაო, შიო...“ — შემოესმა ეს სიტყვები მეფსალმუნისა, როდესაც ეკლესიაში შევიდნენ, და შალვა ყურს არ უჯერებდა. კარებში შეჩერდა და დიდხანს გაშტერებული იდგა და ადგილიდან აღარ იძვროდა.

— „ღირსო მამაო, შიო...“ — შემოესმა კვლავ მეფსალმუნის ხმა...

— ღმერთო!.. მაშ მე მაისშიაც ცოცხალი ვარ? — თვალებზე ხელი მიიფარა და ქვითინი მორთო. ელიკო კი სიამოვნებით შესცქეროდა მრქვითინე შალვას და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ შეცდომითი რწმენის მსხვერპლი არ შეიქმნა შალვა.

— მე აღარ მოვკვდები, ჩემო მკურნალო! — მოურიდებლად გადაეხვია ელიკოს კარიბჭეში და იმისი მკერდი ცრემლით დაალბო.

1898 წ.

„ბაბდო-ქი...“

(საღდგომო ეტიუდი)

სტირის მაია, სტირის, ცრემლები ვეღარ შეუყენებია, ან კი როგორ არ უნდა იტიროს, როდესაც თავის საყვარელ ბაბდოს, თერთმეტი წლის უმანკოს, ბალიშზე უგრძნობლად გადასვენებულს, დასცქერის!..

— ბიჭებო, მაგათ ძარს* თავი დაანებეთ, შინ მწუხარე ჰყავთ. — შემოესმა გარედან ხმა.

— ვინა ჰყავთ მწუხარედ? — დაეკითხა მეორე ხმა.

— ვინა და საწყალი ბაბდუა!..

— საწყალი!..

ამ ლაპარაკზე მაიას გული უფრო აუდუღდა და ცრემლებმა თვალთაგან ნიაღვარსავით დენა დაუწყო.

— მაშ ვისი ძარი წავიღოთ?..—ალაპარაკდნენ ისევ გარეთ.

— ვისი და ბურუკაანთ ძველი ძარი უდგიათ გარეთ და ის წავიღოთ.

— ჩემი ძარი წაიღეთ, ჩემი!.. თუ ჩემი ბაბდო არ მეყოლება, გინდ ე ქოხიც დაწვით!.. — წამოიძახა თვალცრემლიანმა მაიამ, მაგრამ გარეთ ხმაურობა შესწყდა.

დარჩა მაია ისევ ყრუდ თავის ოთახში. ხმის გამცემიც აღარავინ არ არის. ან კი ვინ მოიცლიდა აღდგომა ღამეს მაიასთან მისასვლელად, ხმის გასაცემად? ყველა აღდგომისთვის ჭმზადება, ყველა...

— ო-ო-ო-ო!... — ყრუდ შემოესმა მაიას ეკლესიის გალავნიდან ყიჟინი.

---

* დიდი გოდორი, რომელსაც დაუფშვნელ სიმინდის შესანახავად ხმარობენ.

— შვილო, შვილო, რატომ შენ კი იმათთან არ ხარობ? — ჩასძახა მაიამ ბაბდოს და მუხლებზე ხელები დაირტყა.

ჩქარა ეკლესიის გალავანი მთლად განათდა. ცეცხლის ალი ეკლესიის წვერს სწვდებოდა*; ცოტაოდენი შუქი მაიას ოთახის სარკმელსაც მოხვდა და იქ ხატის წინ მბჟუტავ კანდლის შუქს შეუერთდა. ამ გარემოებამ მაია გამოარკვია და სარკმლისაკენ მიახედა.

— და, და, და, რასა ვხედავ შვილო, რასა?!. შენც ხომ გიყვარს, შვილო აღდგომა ღამეს ცეცხლის გარშემო სირბილი, შენს ტოლამხანაგებთან ცელქობა, მაშ ეხლა სახლში რას აკეთებ?! — სიმწვავით ჩასძახა მაიამ ბაბდოს და გულში ჩაეხუტა.

— ჰოორნაააა... — შემოსძახა პირველმა ხმამ შიგ კარებში, მეორემ და ბანმა ხმა შეუწყეს პირველ ხმას და მწყობრად, დიადი ჰარმონიით განაგრძეს ერთად:

„ალათასა, ბალათასა
ჩამოვკიდებ კალათასა;
ქალო, ერთი კვერცხი ჩადე
ღმერთი, მოგცემს ბარაქასა...“

— ჩემო ბაბდო, ადე, კვერცხები გაუტა შენ გენაცვალოს დედა, შვილო! — სიყვარულით ჩასჩურჩულა მაიამ ბაბდოს და იმის გაელვარებულ ტუჩებს თავისი შეახო.

მომღერალთ უეცრად შესწყვიტეს სიმღერა. ცოტა ჩურჩულის შემდეგ ფეხაკრეფით წავიდნენ.

— სად მიხვალთ, სადა? — მაიამ თავი კარებისკენ მიიღო და მიაძახა, მაგრამ მომღერლებმა ვერ გაიგეს. — ყველა თავს გვანებებს... — მწარის ღიმილით წარმოთქვა და თავისი მორღვეული თვალები ბაბდოს მიაპყრო, რომელიც ამ დროს ტუჩებს აცმაცუნებდა და დროგამოშვებით გაუგებარ სიტყვებს გაიძახოდა.

მაია არა შორდებოდა გვერდიდან. მალიმალ შუბლზე-

---

* ბევრ სოფელში ქრისტეს აღდგომა ღამეს ეკლესიის გალავანში ლიტონიისათვის ზარების დარეკამდის დიდი ცეცხლი უნთიათ, გარს თითქმის მთელი სოფლის ახლგაზრდობა — ქალი და ვაჟი — ეხვევა; მღერიან და ლხინობენ, როგორც დღეობაში.

გულზე, ხელებზე წყალსა და ძმარს უსვამდა. ბაბდო კი მაინც ბორგავდა, სიცხე არ ნელდებოდა.

პირველად მამლებმა რომ იყივლეს, ბაბდო დამშვიდდა. სიცხემ დაუშო. მაიას გაუხარდა. ბაბდოს სუნთქვას თვალყურს ადევნებდა. თვალყურის გდებაში თავი ჩამოეკიდა, თავის უნებურად იქავე, ბაბდოს გვერდით, მიწვა და უნებურადაც ჩაეძინა...

— დედი, დედი!... — შემოესმა მაიას ხმა და დაფეთიანებული წამოვარდა.

— შვილო, რას შვრები?. — წამოვარდნის უმალ მოჰხვია ხელები წამოჩოქილ ბაბდოს და გულში ჩაიკრა.

— გამიშვი, გამიშვი, მინდა წავიდე!.

— სადა?...

ჩამოჰკრეს ამ დროს დიდ ზარსა*. ააყოლეს წვრილი ზარებიც.

— აგერ იქ!.. მეძახის, ვერა ხედავ?..

— ვისა, შვილო? აქ არავინ არის... აღდგომაა, ზარებს რეკენ.

— აღდგომაა... — თვალები მაგრად ჩახუჭა და შუბლი შეიჭმუხნა, თავის დედის მკერდს მიაყრდნო.

დიდხანს იყო ასე. ზარების რეკა შესწყდა. გალავანში მღვდლის წინამძღოლობით ხალხი სიხარულით ეკლესიას გარს უვლის. მრავალი სანთლის შუქი აჩირაღდნებს ეკლესიას და მის არემარეს. მღვდელი და მეფსალმუნე „ქრისტე აღსდგას“ გალობენ. ხალხი ხარობს, „ქრისტე აღდგას“ გაიძახის...

— დედა, ვერა ხედავ იმას?

— არავინ არის, შვილო.

— შენ გენაცვალე!.. — თითქოს გული თან ამოიტანაო. ისე წარმოსთქვა ბაბდომ.

— მე უნდა გენაცვალო, შვილო, შენ კი არა...

— დედი, გამიშვი...

— სადა?..

---

* სოფელში ღამის 12 საათზე კი არა რეკენ ზარებს აღდგომა ღამეს. განთიადისას.

— გერა ხედავ, მეძახის? აგერ, როგორ ბრწყინავს, აგერ... აგერ!.. — ქრისტე აღსდგა!... ბრწყინავს... ის მეძახის... აგერ!.. — წამოიწია და თითი მაცხოვრის ხატისკენ გაიშვირა. რომელიც მარჯვნივ აღმოსავლეთის კუთხეში ესვენა.

— რას მომცემს ის ქრისტე, რომელიც მე ჩემს ნუგეშს მართმევს...

— სსს... — მწარედ წაისისინა და დედას ტუჩებზე ხელი მიაფარა.

— აბა სად არის?.. მე იმას...

— სსს. — კიდევ წაისისინა და უფრო მაგრად დააფარა ხელი. — შეევედრე... შეევედრე... ის... ის... განუ... გე... შებს... უკანასკნელი ასოები სულ მკრთალად წარმოსთქვა და მოლეშით დედას მიესვენა...

• •

გათენდა. ფრინველთ შესწყვიტეს დიდებული ჰიმნის გალობა, კერძოდ თვითეული სიმხიარულეს მიეცა. მზემ ნაზი სხივები უხვად უძღვნა ადამის შთამომავალთ, რომელნიც მხიარულებით ერთმანეთს ქრისტეს აღდგომას ულოცავდნენ. მღვდელიც ფსალმუნით შევიდა: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით...“ და ბაბდოს რომ თვალი შეასწრო, გალობა შესწყვიტა...

„ქრისტე აღსდგაო...“ — ყველა მეტყველი ამას გაიძახის... ქრისტე აღსდგა, მაგრამ ბაბდო კი...

1898 წ.

„გულცივობამ!..“

(ეტიუდი)

კოდა-ხევის შესართავთან პატარა კლდეზე მოთავსებულ-მა გაბრომ ყურებამდის მხრები აიწურა, შუბლი დაინაოჭა და მწარის ღიმილით, ჩაყინებით მზერა დაუწყო იქავე, ფეხთ ქვევით, განრისხებულ არაგვს.

სჩქეფს, ღრიალებს არაგვი... მთლად ზვირთებად ქცეული, იერიშით მოდის პატარა კლდის შესამუსრავად, რომელიც თითქოს დარაჯად ჩასდგომიაო უპატრონოდ მიტოვებულ „ბებრის ციხეს“, რომ გაცოფებული არაგვი აუცეროს იმ ფშხვიერ გორაკს, რომელზედაც ჩვენ წინაპართ არსებობის დასაცველად აუშენებიათ ეს ციხე.

მაგრამ პატარა კლდე მწუხარებით უმზერს და თავის მკერდს უშვერს მედგარ ტალღებს, რომლებიც შუილ-ხუილით ეკვეთებიან და იმავე წამს დანაწილებულნი, შხეპებად ქცეულნი კვნესით უკუ გარბიან.

გაწბილებული არაგვი ნაზად ჩაუდის „ბებრის ციხეს“. მაგრამ პირქაფ მოსულობა კი ამხელს, რა ძალდატანებითი სინაზეც არის, რანაირი შხამითაც არის აღვსილი მისი სინაზე.

„ბებრის ციხეს“ ჩაცილებული არაგვი ძალას იკრებს და მხიარულის ღრიალით მუქარას უთვლის პატარა კლდეს. ემუქრება და მიეშურება...

საით?!.

„არაგვო, არაგვო!.. — გულის ტკენით ჩასჩურჩულებს პატარა კლდე: — რას ამოგიღიავარ თვალში, რისთვის მოგინდომებია ჩემი შემუსვრა!? ნუთუ უპატრონოს დარაჯობისთვის?! ეჰ, ჩემო კარგო, რადა ხარ მაგეთი ხარბი?.. აბა მიიხედ-მოი-

ხედე: რა დიდია შენი კალაპოტი. რო გაიფანტო, ვერც კი დაპ-ფარავ. კარგი, მეც შემმუსრე, გააფართოვე შენი კალაპოტი. მერე? ჰმ... ვისთვის გინდა? მაგრე სისწრაფით რომ გარბიხარ და თან მუქარას მითვლი, თუ ბგონია გიძმობს? ნუ სტყუვ-დები, ჩემო კარგო არაგვო, ნუ... იმისი ტკბილი ხმა ნანად ნუ შემოგესმის. ის პირველში ძმურად გიხუტავს გულში; დინჯი, ეეტისმეტად დინჯი შენს ფეხს იდგამს და მკლავ გადახვეული მოგიხტის გვერდით და იმას კი ვეღარა ჰხედავ, თუ თანდათან ბურუსში როგორა გხვევს და...

სადღაა შენი ხსენება?..

„დიდებული მტკვარი მოდისო, გაიძახიან ქვევით და შენი სახელი კი...“

— ეეხ!.. — გულამოსკვნით წამოიძახა გაბრომ და შუბლ-ზე ხელი გადისვა.

მწუხარებამ ისე მიასუსტა, დაუჩლუნგა გონება, რომ დიდხანს, დიდხანს შუბლშეკრული და მხრებაწურვილი გაქვა-ებული იჯდა. ამ დროს განმავლობაში არავითარ აზრს არ გაუვლია მის თავში.

გზადაბნეულ ცხვარსავით მოვიდა და კლდეზე მოლეშით ჩამოჯდა. არ შეუმჩნევია გაბროს არც არავის ბრძოლა კლდეს-თან, არც ეტლების ტრიალი იქავე გზატკეცილზე და არც ის, თუ თანდათან როგორ მისწყდა ფეხის ხმა და მხოლოდ არაგვიღა ქუხდა. ვერც მთვარის ამოსვლა შენიშნა გაბრომ, და ახლა, როდესაც თავისდა უნებურად გულის სიღრმიდან კვნესა აღმოხდა და ცივი ოფლი შუბლიდან მოიწმინდა, მთვა-რეს შეხედა, რომლის დანახვაზედაც გული მოეკუმშა, ყელში მოებჯინა. თვალი საჩქაროდ მოაშორა და არემარეს გადაავლო, მაგრამ იქაც, იქაც იგივე შენიშნა: მთა, ღრე, მდინარე მთვარე-სავით გულცივად შესცქეროდა გაბროს.

აგერ, გაღმით ჭალიდანაც ბულბულის აგზნებული ყეფა „ტია-ტია“ ოდნავ გამოისმა და არაგვის მოთქმას შეუერთდა.

„ეგ... ეგ მაშინაც ჰყეფდა, მაგრეევ გატაცებით, როდესაც შე აქვე...ოხ!..“

საფეთქლებზე ხელი მიიფარა და მწარედ ქვითინი მორთო.

სწრაფად გადაეფურცლა მისი ცხოვრების მატიანე და სანუგეშო ვერა ჰპოვარა, მხოლოდ ერთ გარემოებას მოჰკრა თვალი, რომლის იმედითაც ლამობდა შელახული ძალის აღდგენას და ისიც ხომ...

„ღმერთო, ღმერთო!.. — წამოიკვნესა გაბრომ და უფრო მაგრა მოუჭირა თავს ხელები. — წყვდიადში ხეტიალი, ხელების ფათური, — ქვითინებდა გაბრო: — როდემდის უნდა გარძელდეს?... ან კი რად უნდა ხელი აფათურო, რას ელტვი, რისთვის ან ვისთვის სცხოვრობ?..“

— რას სულელობ, რას?.. სადაური კითხვაა: „ვისთვის ან რისთვის?“ — ეკითხება იდუმალი ხმა.

— რომ მაგრე მკიცხავ, გეცოდინება რისთვისაც. — გაბრომ შესწყვიტა უეცრად ქვითინი და თვალები მოიწმინდა.

— ვიცი და ამისათვის გეუბნები.

— ოოხ, მითხარ, მითხარ!.. ოღონდ ეგ გამაგებინე და... ეფიცავ ჯოჯოხეთს, რომელსაც ჩემ გულში დაუბუდნია, გაკაღმერთებ, გეთაყვანები! — გაბრწყინვებული თვალებით შეეკითხა ზეცას.

— ვისთვის და საზოგადოებისთვის.

— ჰმ!.. მეც არა ვსთქვი, მართლა იცი! — გულნატკენად წამოიძახა გაბრომ და თვალები მჩქეფარე არაგვს მიაპყრო.

— რატომ მაგრე მწარედ იღიმები?.. შენ გეკითხები! მაშ არ უნდა ემსახურო იმას, ვინც დაგბადა, აღგზარდა?!.. ვალს გადახდა არ უნდა?

—შეგნებულად მეუბნები მაგას?

— შეგნებული რომ არა მქონდეს, არც გეტყოდი.

— მაშ კარგი, ყური დამიგდე: საზოგადოებამ დაგბადაო, მეუბნები, ეგ ტყუილია. მე, არ ვიცი კია რა განზრახვით, ბუნებამ გამზარდა, ხოლო საზოგადოებამ წამართვა ის, რაც ბუნებამ მომანიჭა, ან კიდევ, თუ არ წამართვა, დამიმახინჯა, გამირყვნა და შემილახა. აგერ, არ გეყურება, როგორ გატაცებით გალობს ბულბული?! ეგალობება და გალობს, როდესაც გეტირება უნდა იცინო, და იტირო, როდესაც გეცინება! საზოგადოებას რომ ის მივუწყო, რაც მე იმან, მაშინ ის, აი, წინ უნდა გავიმძღვარო და ჯერ ის მივანდო არაგვს და მერე მე მი-

ვეცე. გულქვა, გულცივი, თავის წევრის ფეხის დამჭირებელი საზოგადოება მოდის და მეუბნება: „შენ ჩვენი მოძმე ხარ, ესა და ეს ჩვენთვის უნდა გააკეთო... გვანაცვალე ჩვენ, ვინცკი გყავს, ან გაქვს რამე. შენ მოვალე ხარ...“ კარგი, პატიოსანი. თუ მე ვარ მოვალე, პატივცემულო საზოგადოებავ, შენც მოვალე ხარ; თუ მე შენ გეკუთნი, შენ კიდევ მე უნდა მეკუთნოდე. საზოგადოება მსხვერპლს გთხოვს, ძალას გატანს. შენ კი დანა ყელთან რომ გქონდეს მიტანილი, ხელს გამოგიწვდის საშველად?... როდის გაუწვდია თავის წევრისთვის ძმურად ხელი, გაუმხნევებია სასოწარკვეთილი, აღუდგენია სულით დაცემული? გეყურება? შენ გეკითხები, შენა, რომ საზოგადოების ვალს თავს მახვევ!

— სტყუი, საზოგადოება ყოველთვის გლოვობს, როდესაც მის წევრს უბედურება რამ ეწევა.

— ხა, ხა, ხა, „გლოვობსო!..“ დიაღ, გლოვობს, სწუხს, სტირის, მაგრამ, აბა ჩაუკვირდი, რას წარმოადგენს ეს გლოვა. ტირილი, მისი ცრემლი? დაკარგულ წევრს გლოვობს თუ თავის თავს, დაკარგული წევრისთვის აფრქვევს ცრემლს თუ თავის თავისთვის? აბა, შენ იყავ მხოლოდ ადამიანი, უჩინარი, თუ შენ გიგლოვოს, ცრემლი აფრქვიოს. იმას გონია, რომ შენის დაკარგვით არა დააკლდება რა. შენს უბედურებას ვერც კი შეიტყობს. თუ მასხარა ხარ, საზოგადოება გიგლოვს, ცრემლს დააფრქვევს, რადგანაც მოაკლდება შენი მასხარაობა, ველარ იმხიარულებს შენის მასხარაობით. შენ გიგლოვს, როგორც მასხარას და არა როგორც წევრს — ადამიანს. მწერალი ხარ ან სხვა რაიმე ხარ, რითაც შენ საზოგადოებას ამხიარულებ, ასარგებლებ, გიგლოვს, რადგანაც შენის უბედურებით აკლდება მას სიამოვნება, სარგებლობა. შეიგნე, რომ თავისი სიამოვნების შემცირებას გლოვობს და არა დაკარგულ წევრს! მაშ...

„ეჰჰე, რაებს მალაპარაკებ?! რაც ცხადია, რაც ნათელია, იმას ახსნა, განმარტება უნდა?

„თვით მონა, ყურმოჭრილი მონა ძლიერისა ცდილობს დაგიმონავოს, გაგანადგუროს, სისხლი გაგიშროს, და ამ საზოგადოებისთვის მირჩევ კიდევ ვიცოცხლო, ვალი გადავუხადო?

„ახ, რომ შემეძლოს მისი ვალის გადახდა?! მაგრამ არა!.. არა!... არ მინდა მეც ის საძაგლობა ჩავიდინო, მოღალატობა, სუსტის განადგურება, ძალმომრეობა და ფეხქვეშ დაგება მე არ შემიძლიან. და თუ ასე არ მოიშოქმედე, მაშინ ადგილი არა გაქვს საზოგადოებაში. იმისთვის მეც...

— კარგი, მაგას თავი დავანებოთ, ვსთქვათ, შენ მართალი ხარ..

— როგორ თუ ვსთქვათ?! მაშ დარწმუნებული არა ხარ?

— როგორ არა... დარწმუნებული ვარ დავანებოთ თანამედროვე საზოგადოებას თავი. სიძულვილის ღირსია. აბა, ახლა გაიხედ-გამოიხედე: ხედავ, აგერ იქ, ზედაზნის საბეროს მთის წვერზე, ქვევით კიდევ, ჯვარპატიოსნისას, მცხეთის ტაძრებს, ნანგრევებს და, აი, შენს გვერდით „ბებრის ციხეს"! ვერ ხედავ, როგორ გამოკრთიან მთვარის შუქზე? ნუთუ შენს სულს და გულს შენი დიდების მოწმენი არას ეუბნებიან?! განა ყოველივე ეს შენ წინაპართ არ გაგონებს, როდესაც მათი სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა ამ მხარეს?! განა...

— კმარა!.. ვხედავ, კარგად ვხედავ ჩვენ წინაპართ დიდებას და იმასაც კარგად ვხედავ, რომ ამ დიდებას ჩვენი გათახსირება, არარაობა მოჰყვა. რას წარმოადგენს ის დიდება, რომელსაც შედეგი ასეთი ექმნება? ჩვენი არარაობა იმ დიდების შემდეგ უფრო მწვავია, უფრო...

— აი სწორედ ამ გათახსირების დროს უნდა ბრძოლა.

— ოხ, მომეც რწმენა მომავლისა და, აი, ამ მთას მეორე ნაპირას გადავდგამ, თავს შევაკლავ...

— მშვენიერ არსებას შეუძლიან მოგანიჭოს რწმენა, გამოგარკვიოს და...

— სსს!.. — მწარედ წაისისინა გაბრომ ამ სიტყვებზე და დაღრეჯით თავი გაიქნ-გამოიქნია.

— რა იყო?

— ნუღარას მკითხავ, მომშორდი!

— კარგი. ყოველისფერში მართალი ხარ. მაგრამ ერთ კითხვაზედაც მიპასუხე: მაგრე რამ გამოგაშტერა?..

— საზიზღარო, მომშორდი, არ გეყურება? ადამიანი უკიდურეს მდგომარეობამდის მისულა და შენ გულგრილად მას-

ხარად იგდებ!.. აი მაგ გულცივობამ გამიტეხა გული, გულ-ცივობამ!..

— ნუთუ გულშემატკივარი არავინა გყავს, რომ თავს იმე-ტებ?!. განა შენის სიკვდილით არავის აატირებ, გულწრფე-ლად ცრემლი არავის არ წამოსცვივა?!.

— წყვილი ცრემლიც რომ გადმოაგდოს ვინმემ გულ-წრფელად, ვფიცავ თუნდ ამ ნანგრევებს, ამ „დიდების მოწა-მეთ“, — როგორც შენ მონათლე, — ავიტანდი ყოველგვარ ტანჯვას, ოღონდ თბილი, გამაცოცხლებელი ცრემლი მოხვდეს ჩემს მკერდს და მე მკვდარიც გავცოცხლდები. მაგრამ სადაა, სად?!. ვეძებდი, მაგრამ...

„მხოლოდ არაგვი ვიპოვე. აი, ვერ ხედავ, თავისკენ მიმი-წვევს, მეალერსება... ცრემლები მზად აქვს... ყველას მკერდს აპკურებს, დაალბობს თბილი, გამაცოცხლებელი ცრემლებით კი არა, ცივი მომაკვდინებელით. აი ესე, როგორც ჩემ მკერდს...

„აახ!..“

არაგვი ოდნავ შეჩქაფუნდა, შეშოშმინდა და სწრაფ ისევ ისე ჩვეულებრივი დენა დაიწყო; მთა, ღრე, „დიდების მოწა-მენი“ ისევ ისე გულგრილად, ცივად გადმოსცქეროდნენ პატა-რა კლდეს, რომელიც უკვე განთავისუფლებულიყო ზედ მო-თავსებულ გაბროსაგან, და მთვარე ხომ...

ბულბულიც ისევ აღგზნებით ჰყეფდა ტიატიასა.“

1898 წ.

„რა ზიზღით მიცქერის!“

(ეტიუდი)

I

ცხელა, საშინლად ცხელა. ჯერ თორმეტი საათიც არ არის და კაცს გარეთ აღარ გამოესვლება. ამისდა მიუხედავად მაინც თბილისის მტვრიან ქუჩებში მოძრაობა არ შეწყვეტილა. აგერ, გაქაფებული ცხენები ეტლს მიაგრიალებენ და შიგ მჯდომი კი ქოლგას ეფარება. მეჯაგვე ცხენს გვერდით მოსდგომია და რაც ძალი და ღონე აქვს უჟაპუნებს, მაგრამ ცხენი ადგილიდან არ იძვრის. ვეღარას ხედავს. ცხენსაც და პატრონსაც ღვართქლი ჩამოსდით.

— კუდზე უკბინე, კუდზე! — გაეხუმრა კინტო და ხმამაღლა ყვირილი მორთო: — კიტრი, კიტრი, შუშა კიტრი... პა, პა, პა... რა გრილი კიტრია... ღმერთმანი კოხტა ვირის მოტანილია... აბა, აქეთ, კიტრი, კიტრი...

— აი, შენი... — აღარ დაათავა მეჯაგვემ სიტყვა, შოლტის ტარი მოაბრუნა და ბრაზმორეულმა ისე მაგრა დაარტყა ცხენს, რომ შოლტის ტარი შუაზე გადატყდა.

ცხენმა უეცრივ გაიწია, მაგრამ ჯაგვა მხოლოდ ააჭრიჭინა და ადგილიდან კი ვერ დასძრა. ცხენს დაჭიმული კუნთები მოუდუნდა, თრთოლამ აიტანა და უეცრად მუხლები მოეკეცა.

— წკრრრ. — ააწკრიალეს ტრამვაის ზარი და მხართეძოზე წამოწოლილ ცხენს ვაგონი გვერდით აუსლიკინდა...

— აი, შე... — ყვირილით გადმოვარდა ვაგონიდან ერთი ჩასუქებული კაცი და მეჯაგვეს ყელში სწვდა. — გოროდო-

ვოი!... — ყვიროდა ჩასუქებული კაცი და თან მეჯაგვეს ანჯღრევდა.

იმის ყვირილზე ასასიც მოვიდა და წინ გამოეჭიმა.

— ოქმი, ოქმი!.. ეხლავე ოქმი უნდა შევადგინოთ ამ საზიზღარზე, რომ ასე სტანჯავს ცხოველს! იმოდენა ტვირთს უდებს, რომ...

— შევადგინოთ, თქვენო კეთილშობილებავ, შევადგინოთ!.. — გულწრფელად ეუბნება ასასი.

— შენ იცი, მე ვინა ვარ?..

— ვიცი, თქვენო კეთილშობილებავ... თქვენ ცხოველთამფარველი საზოგადოების წევრი ბრძანდებით...

— ჰო და... ოქმი!..

მეჯაგვეს გამოაშვებინეს ცხენი, ტვირთი გაუნახევრეს და შემდეგ გამგზავრების ნება მისცეს.

— რა კეთილი კაცი ყოფილა!.. — გულის სიღრმიდან ამოსკდა გიგლას, რომელიც აგერ კედელს აყუდებია და ამ სურათს თავიდანვე თვალყურს ადევნებს.

ეს სამი დღეა თბილისში ჩამოვიდა გიგლა სამუშაოდ, მაგრამ ჯერაც ცის ქვეშ ათენებს და აღამებს. რამდენიმე პური ჩამოჰყვა თან, ის გუშინ დილითვე შემოელია. მას შემდეგ გემოდ არა უნახავსრა. ნაცნობი არავინაა ვის მიმართოს?.. არ იცის. სადაც სამუშაო იკითხა, ყველგან უარი უთხრეს. შინ დაბრუნდეს?... მერე რა გააკეთოს? ხომ იმისთვის წამოვიდა, რომ სახლში საქმე არა ჰქონდა?!. ყანები მოუცდა, იქ ახლომახლო სოფლებშიაც მოსცდა მოსავალი. ორმო ცარიელი და ფქვილის გოდორი ხომ დიდი ხანია გამოებერტყა. რამ უნდა დაიოკოს ამოდენა ჯალაბობაო, — იფიქრა შინ და ქალაქში ჩამოსვლა არჩია ერთი ორი გროშის საშოვრად. „ესეც ქალაქი!..“ — წამოიძახა გიგლამ ორი დღის სიარულის შემდეგ, თბილისს რომ მოადგა და უეცრად მძიმე სუნმა სუნთქვა შეუხუთა. „ესაც ქალაქი!..“ — იმეორებს ამ სიტყვებს ეს სამი დღეა, და კუჭი უკაკანებს. ეს ოხერი, მჭვალი რაღას გადაეკიდა?!. რიგიანად ვეღარ უსუნთქავს, გვერდში ისე მაგრად სჩხვლეტავს. თითქოს სიცხეც თანდათან უმატებს, მაგრამ რასიცხე, „მზე მახურებსო“, — ინუგეშებს თავს გიგლა. წყალი

კი უხვად აქვს. იქავე ახლოს მილის წყალს იღებენ კოდებში. ისიც ყოველ ხუთი წუთის განმავლობაში წყალს ეწაფება...

— შენი ჭირიმე, ბატონო!.. — ნაბდის ქუდი მოიხადა და ძალდატანებით მიმართა ჩასუქებულ „ცხოველთა მფარველი საზოგადოების“ წევრს, როდესაც ის გიგლასკენ მოტრიალდა.

— რა გინდა?... — მკვახედ დაეკითხა ჩასუქებული წევრი და ცოტა ხანს შესდგა გიგლას წინ.

გიგლას ენა დაება. რა უნდოდა?.. ახლა გიგლამ აღარ იცოდა. აგერ მეორე დღეა ესე წვალობს, უნდა ითხოვოს, მოწყალება მაინც სთხოვოს ვისმე, მაგრამ ყოველ ხელის გაწვდაზე უცბად ედუნება მკლავები, ენა უდამბლავდება და მისი განზრახვა ისევ განზრახვად რჩება. ვერა ბედავს. „სირცხვილიაო“, ამბობს და ადამიანისადმი მისამართ თხოვნას ზეცისკენ გზავნის. იმისი არა რცხვენიან.

ახლაც მხოლოდ ჩასუქებულს მიმართა იმისთვის, რომ მისმა საქციელმა აღტაცებაში მოიყვანა, მაგრამ ჩასუქებულის მკვახე კითხვამ დაამუნჯა.

— რა გინდა?.. — გაუმეორა ჩასუქებულმა იმავე კილოთი კითხვა და თავითფეხებამდის აათვალიერ-ჩაათვალიერა.

ძიწა რომ გახეთქილიყო, ის ერჩივნა გიგლას, ვიდრე ამ კაცის წინ ქუდმოხდილი დგომა.

— მე... სამუშაოდ ჩამოვედი. ვერა ვიშოვე რა... არაფერი მაქვს... მჭვალიც...

— ჰოოო!... ჩაიარე!.. — ზიზღით უთხრა ჩასუქებულმა და ბურტყუნით მხარი აუქცია.

— ჰმ!.. — ჩაიცინა და მწარე ღიმი ტუჩებზე აუთამაშდა.

ტყვიასავით მოჰხვდა ჩასუქებულის სიტყვა გიგლას და მუხლები დაუდამბლავდა, მუხლების თახთახით იქვე ჩაჯდა და შუბლზე ჭირის ოფლი მოიწმინდა...

— რადა ვთხოვე, რადა?! — თავის ქნევით და მწარის ღიმილით ეკითხებოდა თავის თავს და ჰკიცხავდა თავის საქციელს...

— ვა, რა გზაში ჩაგდებულხარ?!.. — ფეხის წამოკვრით ზედ გადაალაჯა ერთმა კინტომ და დაიყვირა: — მწვანილი, მწვანილი!..

ხმის ამოუღებლად წამოდგა გიგლა. ქალაქის იმედი გადაუწყდა. არჩია ისევ სოფლად წასვლა. იქნება აქეთ სოფლებში ვიშოვო რაიმე სამუშაოო, გაიფიქრა და ვერის გზას ლასლასით გაუდგა.

მზე კი უხვად უგზავნიდა სხივებს, თავს დასტრიალებდა ქალაქს და სულდგმულთ ტვინს უდუღებდა.

II

— ღმერთო, ან მომკალი და ან კიდევ ერთი ცვარი წყალი ჩამაყლაპე!.. — პირგამომშრალმა წამოიძახა და ანთებული თვალები ზეცას მიაპყრო.

გიგლას უნდა წამოდგომა, მაგრამ სხეული აღარ ემორჩილება. იცის, რომ სულ ორი ვერსი არ იქნება მტკვრამდის; იცის, კარგად იცის და აგერ პირდაპირ მტკვარსაც ხედავს, ბუნდად ხედავს და წყურვილიც უათკეცდება. სწყევლის თავის თავს, რომ მტკვარს დაშორდა და ხელმარცხნივ სოფელს თვალი მოჰკრა და იქით გაეშურა. იქნება იქ მაინც ჩქარა მივიდე და ცოტათი სული მოვიბრუნოვო, გაიფიქრა, მაგრამ იქამდის ვეღარ მიაღწია და ამ ხესთანაც ძლივს მოვიდა. მზის სხივებს ვეღარ გაუძლო და აქ ჩრდილოში წამოწვა...

მჭვალი?!.

მჭვალს ვინღა ნაღვლობს, თუმცა სუნთქვას უხუთავს, რომ წყალი, ერთი ცვარი წყალი ჰქონდეს!..

— ღმერთო!... — წამოიძახა სასოწარკვეთილებით და უნდოდა თავისი თხოვნა გაემეორებინა, მაგრამ მოაგონდა, რომ რამდენჯერმე მიმართა და მისი სიტყვები უპასუხოდ რჩებოდნენ. ლმობიერებით აღვსილი თვალები მოუკრიალდნენ და სწრაფ უნუგეშობით აღივსნენ. გიგლამ არემარესღა გადააგლო თვალი და, დახე მის განცვიფრებას, მზის სხივები ვეღარ დაინახა. საჩქაროდ ცას შეხედა. ნუთუ შეისმინა იმისი ვედრება?!. ცა წაფერფლილა! მის სიხარულს არა აქვს საზღვარი. „ღმერთო, ღმერთო!..“ იძახის სიხარულით გიგლა და პატიებას შესთხოვს ახლა ღმერთს, თავის უნუგეშობით თუ აწყენინა.

ცა იქუშება, ცა ინაბდება. ჩამობნელდა. სუნთქვა გაძნელდა. განრისხებული ცა ბრძოლის სამზადისშია და თითქოს ფიქრობს

ისეთი რამე ჩაიდინოს, რომ უეცარის თავის მოქმედებით ქვეყანას თავზარი დასცეს.

თუმცა ძნელი იყო გიგლასთვის წამოწევა, მაგრამ მაინც წამოიჩოქა, გვერდით ხის ძირს მიეყრდნო. ტკბილმა, ტკბილმა უფლისადმი სასოებამ შეიპყრო და, მთლად სასოებად გარდაქმნილი, მადლობის ჰიმნის წარმოსათქმელად მოემზადა მისი არსება...

ერთი კიდიდან მეორემდის ცაზე ცეცხლის ხაზი გადიკლაკნა და ამ გარემოებამ გონება მისი თან გაიყოლა. ვეღარ მოასწრო სიტყვის წარმოთქმა.

ელვას თან მოჰყვა საშინელი ცის ხმაურობა. ყველა შეძრწუნდა, ვისაც კი ოდნავ შეუძლიან შეძრწუნება, და თვით დედამიწაც შეფიქრიანდა...

III

— გული გამისივდა!... — წამოილაპარაკა თავისთვის თბილისისკენ მიმავალმა ბაყალმა და ჩოხის კალთები შემოინაოჭა, შეათამაშა და მარცხენა მხარზე ვადაიფინა. — მეგონა, — განაგრძო, — წარღვნა იქნება მეთქი და თურმე კი... ამ ცასაც როგორი მასხარაობა სცოდნია, „პუსტოი ტრეკოგა“ ჰქონია!.. დედამიწა არც კი დაასველა. ერთი ბეწო წამონამა. აბა ერთი ე ცას შეხედე, რა უეცრივ მოკრიალდა... ჰმ! — ჩაიცინა ბაყალმა და, თითქოს ვერა გაუგიარაო და თან კიდევაც არ უნდა ამაში გამოტყდესო, ისე გადააქნივგადმოაქნია თავი. ამავე დროს შესდგა და მიიხედმოიხედა... — ვაა!.. დიდება შენთვის ღმერთო! — განცვიფრებით ხუთი თითით პირჯვარი გადაიწერა და ჟრჟოლით განაგრძო: — რაზე მე დამეცემოდაა!.. ამოდენა ხე შუაზე გაუხეთქია და მე რაღას მიზამდა?!. მგონი... ჰო, მართლა, მეხის ნატეხი კარგიაო, ამბობენ. მოდი ვნახავ, იქნება, ვიპოვო... — სთქვა ბაყალმა და ხესთან მივიდა.

— ე, შე ცინგლიანო, შენ კიდევაც გიპოვია მეხის ნატეხი, — წამოიძახა, როდესაც ხის ქვეშ მიმჯდარ გლეხს თვალი მოჰკრა.

— ძმობილო! — წამოუარა წინ და დაუძახა, მაგრამ უეცრად ბაყალს ფერი ეცვალა.

ხის ძირში მიმჯდარი გლეხი ქანდაკებასავით გაშეშებულიყო.

ბაყალმა ერთი კიდევ შეხედა, შიშმა აიტანა და გლეხის სახის გამომეტყველებას ვეღარ გაუძლო.

მხოლოდ ზიზღი, ზიზღი და ზიზღი შეგეძლოთ ამოგეკითხათ გლეხის ოდნავ გახელილ თვალებში და მოღიმარ ტუჩებში...

— ვა, რა ზიზღით მიცქერის?! — წამოიძახა ბაყალმა კანკალით და რაც ძალი და ღონე ჰქონდა თბილისისკენ გაჰკურცხლა.

1898 წ.

„ვცხოვრობთ..“

I

— ჩხირი კედელს, ჩხირი კედელს! — წამოიძახა გულწრფელის სიმხიარულით ერთმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა, როდესაც მე და ვანო ცხენებით კარს მივადექით, და საჩქაროთ აივნიდან კიბის საფეხურები ჩამოთვალა.

— ძლივას არ იკადრე ჩემი ქოხი და მოხვედი! — ამ სიტყვებით მარცხენა ხელი ცხენს სადავეში წაავლო და მარჯვენა კი გამომიწოდა.

— ჩამოხტი, რაღას უყურებ?! — შემომძახა.

— მეჩქარება, ფეხად მინდა გავბრუნდე, — გავეხუმრე და ცხენის გაბრუნება დავაპირე.

— შენ არ მოუკვდე შაქროს, რომ იმან დღეს აქედან არ გაგიშვას! — ბიჭო, ბიჭო, სად ჯანაბას დაიკარგე?! — მიტრიალდა და ბიჭს ძახილი დაუწყო. ამავე დროს ცხენის სადავეს კი ხელს არ უშვებდა.

— გაგეხუმრე, თორემ ჯოხითაც რომ გაგდება დამიპირო, მაინც აქედან არსად წავალ, — ვუპასუხე სიცილით და საჩქაროდ ცხენიდან ჩამოვხტი.

ვანოსაც უკვე გაეთავისუფლებია ცხენი, მათრახის ტარს ნალის ყელს უბარტყუნებდა და ძირს ჩაიცქირებოდა.

— მართლა, შაქრო, ე კაცს კი ვერ იცნობ, რო ყურადღებას არ აქცევ?! — მივუთითე ვანოზე, თვალი რომ მოვკარი.

— შენზე ადრე ვანო გავიცანი, — მკვახედ უპასუხა და ბოდიშის მოხდით ვანოს ხელი ჩამოართვა.

შაქროს ყვირილზე ბიჭი ჯოხის ძველით გამოვიდა ძირის სახლიდან შმუშნით და ცხენები ჩამოგვართვა. ჩვენ კი შაქროს

წინამძღოლობით კიბეს შევუდექით და საფეხურების ჭრიჭინით და წრიპინით ჩქარა აივანზე მოვექეცით. აივანმაც აგრეთვე ჭრიჭინ-წრიპინით მიგვიღო. შაქრო თავისებური ხმაურობით ოთახში შევიდა, ჩვენ კი აივნის მოაჯირს მივეყრდენით და, ჩვენდაუნებურად, აივნის პირდაპირ ამართულმა კლდემ თვალი მოგვტაცა.

— რა კაი სანახავი რამ არის! — აღტაცებით წამოიძახა ვანომ და გაჩუმდა.

მეც ეგევე უნდა მეთქვა, მაგრამ იმან დამასწრო.

მართლაც კედელივით ჩამოლესილი კლდე, უზარმაზარი კლდე, რომლის წვერიც ტყითა და მოლით იყო შემოსილი, საუცხოვო სანახავს წარმოადგენდა. შიგ ძირში არაგვი ქუხდა.

— პოეტნი ყოფილან ჩვენი წინაპარნი, რომ ამისთანა მშვენიერ ადგილას ეკლესია აუშენებიათ! აგერ, ხედავ, აი, იმ ხის იქით, კლდის კალთაზე ეკლესიას? აგერ გამოქვაბულებიც! უთუოდ საბერო იქნებოდა. — ჩაილაპარაკა ვანომ ცოტა ხნის შემდეგ.

— არც ეხლანდელი ჩვენი გლეხები ყოფილან, ნაკლებიერ ხედავ, იქავე ახლოს, ველზე, როგორ მოთავსებულა პატარა სოფელი? — ვუპასუხე მე და ხელით ტყეში გამონასკულ გლეხის სახლებზე მივუთითე.

— ღმერთმანი, შალვა! — მომიბრუნდა ვანო და თვალებში შემომაჩერდა: — აღტაცებაში მოვდივარ, როდესაც ამისთანა სურათს ვხედავ და მთლად მადლობად გარდვიქმნები ხოლმე ჩვენი წინაპრებისადმი. მინდა მუხლის თავებზე დავეცე და თაყვანი ვცე იმათ რომ ეს მშვენიერება, ეს დიდება ჩვენვე გადმოგვცეს.

— უკაცრავად, — უკაცრავად! — გამოვიდა ამ დროს შაქრო და ლაპარაკი შეგვაწყვეტინა: — თავი მიგანებეთ, მაპატივეთ! ჩემი კნეინა ცოტა შეუძლოთ არის და მე ვდიასახლისობ. უთუოდ გეშიებათ?

— არც უმაგისობაა, — ვუპასუხე მე: — ამ მშვენიერმა ბუნებამ მშვენიერი მადა მომგვარა.

— ვაი, გამიწყრა ღმერთი!.. მაშ რითღა დაგაძღოთ?

— მე ჩემი მხრით, — მიუბრუნდა ვანო შაქროს: — პირობას გაძლევ, ერთი გოჭისა და ნახევარი ინდოურის მეტს არ შევჭამ.

— სვავი ხარ, შე ოჯახქორო, თუ რა?

— დალევით კი თუნგ ნახევარზე მეტს ვერ დავლევ.

— ღმერთი გამიწყრეს, ვანო, თუ თუნგ ნახევარზე მეტი ღვინო მქონდეს!

— მაშ, ჩემო შაქრო, სხვა მასპინძლის მოძებნა დამჭირდება! — ვუთხარი მე და ხელი გავუწოდე: — რაც ვანომა სთქვა, ორი მაგდენი მე დამჭირდება.

— ოი, ჩაგექცეთ მუცლები!.. თქვენ ოჯახქორებო, წინად მაინც შემატყობინებდით, რომ მომემზადებინა რამ. აბა, ახლა რა თავში ქვა ვიცე?!

— არა უშავს რა, შენ ვანო დაიტოვე, მე კი ჩემ თავს მოვუვლი.

— ჰაი, დედასა!.. მაშ შაქრო მოგიკვდეს, თუ ღვინოში არ ჩაგახრჩოთ!

— დახრჩობა რომ მინდოდეს, აგერ არაგვი აქ არ არის!.. ჩვენ მხოლოდ ღვინის დალევა გვინდა,— ვუპასუხე მე და ისევ ჩვენ პირდაპირ კლდეს მივუბრუნდი.

— მოგწონს, შალვა, ეგ ადგილი?! ამას წინათ ერთი ფრანგი მეწვია და კინაღამ გადირია, ისე მოეწონა.

— მე ფრანგი არა ვარ, მაგრამ მეც ლამის არის გადამრიოს.

— საქართველოს ყველა კუთხეები რომ დაიარო, ამისთანა სიმშვენიერეს ვერსად ნახავ!..

— მაგას ნუ იტყვი, ჩემო შაქრო! მე დამივლია ქართლი, კახეთი, იმერეთი და ამ არაგვის ხეობას ხომ ჩემ ხუთ თითსავით ვიცნობ და, სწორედ გითხრა, დაბეჯითებით ვერ გიპასუხებ, რომელი უფრო მშვენიერია. ყველგან არის საუცხოო ბუნების სიდიადენი, ყველას თავისებური სიმშვენიერე აქვს და არ იცი, უპირატესობა რომელს მისცე. ის გხიბლავს, გიმონავებს, რომლის წინაც სდგეხარ და შესცქერი და გავიწყებს დანარჩენებს.

— ეგ ტყუილია. ამისთანა მშვენიერება არსად არის! ეს თითონ ფრანგმა აღიარა...

— ფრანგმა ეგ აღიარა, მე კიდევ რაც გითხარ, იმას აღვიარებ. ახლა შენ იცი, რომელსაც ამოირჩევ, — ცოტა დაცინვის კილოთი ვუთხარი და აივნიდან გადავავლე თვალი კარმიდამოს.

სათონე, ბოსელი, ბაკი, ბოსტანი, ურემი, შეშა სულ ერთმანეთში იყო არეული. ჩვეულებრივი, ქართველური უწესრიგობა ეტყობოდა ყოველსავე ამას.

შაქრომ და ვანომ მგონი საქართველოს ბუნების სიმშვენიერეზე განაგრძეს ბაასი. არა გამიგიარა. მე კი შაქროს კარმიდამოს დათვალიერების დროს, ჩემდა უნებურად, წარმომიდგა თვალწინ ჩემი, ჩემს მოგონებასთან შესისხლხორცებული, კარმიდამო, ცხადად ვხედავდი ასეთსავე კარმიდამოს, ასეთსავე ალუფხულს, როგორც შაქროსი იყო, და შიგ კიდევ მოთამაშე, მოხითხითე და-ძმათ. ახ, რა ნეტარი, გულწრფელი სიცილი მომესმა! არავითარი ზადი მას არ ეტყობოდა. პატარა შალვა ემასხრებოდა თავის დას.

სურათი სურათით იცვლებოდა. მომქმედ პირებად და-ძმანი იყვნენ. ვხედავდი იმათ, ხან ცეცხლის მფრქვეველთ, ხან მთლად სიყვარულად გარდაქმნილთ, ხან კიდევ რწმენით აღჭურვილთ და კიდევ სასოწარკვეთილთ.

მთლად წინ გადამეშალა პატარა შალვას წარსული და ვხედავდი, როგორ თანდათან იმედი იმედზე უცრუვდებოდა, როგორ, თანდათან ეჭვი ეპარებოდა, სახე ეღარვოდა და ბოლოს მომიახლოვდა, შაქროს კარ-მიდამო შემოლახა, აივანი ააჭრიალა და მთლად განადგურებული უეცრივ შემომიერთდა.

— ფუუ! — გველსავით დავიკლაკნე ამის შემდეგ და უეცრივ მოვტრიალდი, თითქოს მინდოდა ის შალვა განმედევნა, რომ იმედი, ძალა ჩემთან შემოერთებით ცოტად კიდევ მბეჟუტავი სულ არ ჩაჰქრობოდა.

— გეყოფა ამ სიმშვენიერის ჭვრეტა! ეხლა დროა ჩვენი მოვალეობის აღსრულებას შევუდგეთ! — მიტრიალების უმალ მკლავში ჩამავლო ხელი შაქრომ და ოთახისკენ გამწია.

— ჰა!.. რა მოვალეობისა? — დაბნევით შევეკითხე.

— რა მოვალეობისა და... რასაც კუჭი გვავალებს. სანამ შენ ამ სიმშვენიერით სტკბებოდი, მე და ვანომ სადილი მოვამზადეთ.

— ჰოო!.. — არ ვიცი კია რად წამოვიძახე „ჰოო“ და ოთახში შევყევი. ვანო და ერთი უცნობი გლეხი უკვე მოსხდომოდნენ გაშლილ სუფრას, გლეხი ჩემ შესვლაზე ფეხზე წამოდგა და მომესალმა.

— იცი, შალვა, ეს განგებ მოვიპატიჟე, მშვენიერი სიმღერა იცის.

— ერთმა რა უნდა გააწყოს? ერთს ორი კიდევ სხვა უნდა, — ვუპასუხე მე.

— აქ არ ვართ?.. — წამოიძახა შაქრომ.

— ჩემი იმედი კი ტყუილად გქონია და ვანოსი კი არა ვიცი რა.

— ცოტათი შენ ამოიღებ ხმას, ცოტათი მე, ცოტათი, კიდევ ვანო და ამით საქმეს წინ წავწევთ.

— აკი გეუბნები, ჩემი იმედი ტყუილად გაქვს. მე რომ ხმა ამოვიღო, მაშინ ან თქვენ გახვალთ გარეთ და ან კიდევ მე.

— აგერ შაქროს წითელი ღვინო იგემე და მერე ნახავ, რა ხმაც მოგივა. — წაილაპარაკა გლეხმა და ულვაშებში ჩაიცინა.

— ჰა, ჰა, დაიწყე, „ხორველის ანგელოზო?!“ — სიცილით ჰკითხა შაქრომ.

— მალვით შევხედე ჩემ პირდაპირ მდგომ გლეხს, ავათვალიერჩავათვალიერე და მთლად კითხვის ნიშნად გარდვიქეცი. ცოტა მაღალი შუბლი, კლასიკური ცხვირი, დიდრონი გონივრული თვალები და ჭაღარა თმა და წვერი ამშვენებდნენ გლეხის სახეს. ამას ნამდვილი ანგელოზი უფრო უნდა უწოდონ, ვიდრე ხორველისა, — გავიფიქრე ჩემდაუნებურად და პურის ჭამას შევუდექი.

პირველში მოწყენილი სუფრა თანდათან გამხიარულდა. შართლა და შაქროს მშვენიერი გემოს წითელმა ღვინომ ზედგავლენა იქონია. ყველას გული სასიამოვნო გრძნობით აავსო და, რასაკვირველია, შესაფერი ხმები გამოაცემინა. მე კი, ღვთის წინაშე, ვშიშობდი ხმის ამოღებას, რადგანაც ჩემი ხმა ჩემ გრძნობებთან შემომწყრალია. რაც უნდა სპეტაკი, დიადი

გრძნობით ვიყო გამსჭვალული, მაინც ჩემი ხმა შესაფერად არ მოეწყობა. თუ ხმა ამოვიღე, მაშინვე მსმენელმა, თუ პირდაპირ არ წამოიძახა: „რას ყროყინებსო“, გაიფიქრებს მაინც. ამას გაიფიქრებს და, აბა, ყროყინით კი შენი გრძნობის სინაზეს როგორ გამოსთქვამ?!.

სუფრული, მრავალჟამიერ და მრავალი სხვა არაგვისპირული სიმღერები საუცხოოდ შეასრულა „ხორველის ანგელოზმა“ თავის ნაზი ტკბილის ხმით. შაქრო და ვანოც კარგად უწყობდნენ ხელს. ბოლოს ჩაახველა, ხმა ამოიწმინდა „ხორველის ანგელოზმა“ და „მთაო, გადმიშვი, გადმიშვი...“ ტკბილად, გრძნობით აღსავსე ხმით ნიავივით შემოგვეპარა და უეცრივ, მთლად შემბოჭა, შემიპყრო. ვანო და შაქრო დაბალ, სულ დაბალ, უჩინარ ბანს ეუბნებოდნენ და უერთებდნენ „ხორველის ანგელოზის“ ხმას. ახ, რა ტკბილი და ამასთან მწვავი, ჯოჯოხეთის ცეცხლი ამენთო გულში?!

ის მღეროდა გულამოსკვნით, გულამოსკვნით ეევედრებოდა მთას, რომ გადეყარა ნისლი, გზა გადაეწმინდა, რომ მთის იქით გადასულიყო და დაენახა თავისი სატრფო, რომელიც სხვის მკერდს დაჰკროდა. მეც ამავე დროს ვეევედრებოდი ზეცას, განგებას, ბუნებას, ეევედრებოდი გულამოსკვნით, რომ მთლად გრძნობად, სიყვარულად გარდავქმნილიყავ და შეეერთებულიყავ ჰაერს, რომ გადამელახა მთა, ღრე, ტყე და ველი; ყველა გამეთბო, მკვდრეთით აღმედგინა და მის გულსაც შევხებოდი. იქნება გაციებული, გაყინული გული მაშინ მაინც გალხვოდა და...

მაგრამ ვხედავდი: ზეცა, განგება, ბუნება დამუნჯებულიყო, გული გაყინვოდათ ისე, როგორც იმას და ჩემ მხურვალე ვედრებას, სასოწარკვეთილებას ყურადღებას არ აქცევდნენ. ვხედავდი ჩემს უძლურებას, სიმჩატეს და ჩემი თავი მევე შემეზიზღა... ნიავივით მისუსტდა, მისწყდა, „ხორველის ანგელოზის“ ხმა და მასთან მობანეებისაც.

— ჰოო, გიშველა ღმერთმა, ჩემო „ხორველის ანგელოზო“! — წამოიძახა შაქრომ და ჭიქები შეავსო.

შაქროს სიტყვებმა გამომარკვიეს. მეწყინა, რომ შაქრო

ამისთანა მომღერალს და მშვენიერი სახის ადამიანს „ხორველის ანგელოზს“ ეძახდა.

— თუ ძმა ხარ, შაქრო, — მივუბრუნდი იმას და ნაღვლიანი ხმით მივმართე: — აბა, რა საკადრისია, ამისთანა ადამიანს „ხორველის ანგელოზს“ უწოდებ?!

— ხა, ხა, ხა!.. — პასუხად გულწრფელი ხარხარი მომახალა პირში და განაგრძო: — ჩემი რა ბრალია, კაცო, როცა თავის თავს თითონვე „ხორველის ანგელოზს“ უწოდებს?!

დაგვიანებულმა სადილმა დიდხანს გასტანა. ბიჭმა რომ სანთლები შემოიტანა, მაშინღა მივაქციე ყურადღება, რომ შებინდებულიყო და სუფრას ძლივასღა ვარჩევდი.

— დროა სადილი გავათავოთ! — წამოვიძახე და ადგომა დავაპირე.

— მოიცა, თუ ღმერთი გწამს, რა დროს ადგომაა! ჯერ, აი, სიმონას ვაამბობინოთ, როგორ დაერქვა „ხორველის ანგელოზი!. სიმონა! მიუბრუნდა ახლა სიმონას: — ერთი ამათ უამბე შენი თავგადასავალი!..

— შენ თითონ უამბე, ხომ იცი, — უპასუხა სიმონამ და თამბაქოთი ჩიბუხს ტენა დაუწყო.

— არა, სიმონ, შენ კარგად მოჰყვები ხოლმე.

მე ძალიან მინდოდა გამეგო, თუ რად დაერქვა „ხორველის ანგელოზი“ ამ სიმპათიურ ადამიანს და ამისათვის მეც ჩემის მხრით ვთხოვე.

II

სიმონამაც აღარ გაგვამეორებინა თხოვნა. ჩიბუხი სანთლით გააჩაღა, რამდენჯერმე ტუჩები შეაწკაპუნა, ბლომად კომლი გამოუშვა და ჩახველების შემდეგ გულიანად ჩაიცინა.

იმის გულიან ჩაცინებაზე ჩვენ ყველას გაგვეღიმა, ისე გადამდები იყო იმისი ჩაცინება, და მთლად სმენად გარდვიქმენით, როდესაც სიმონამ ჩაცინების შემდეგ დაიწყო:

— ხორველობა ხომ გახსოვთ?.. აი, სულ ოთხი-ხუთი წლის წინად. ჰო და... მაშინ ჩვენ სოფელშიაც გახდა ერთი ავად. ისეთი ზარი ჰქონდა იმ ოხერს, ხორველითაც რომ არ ყოფი-

ლიყვნენ ავად, მაინც იკრუნჩხებოდნენ. ჰო და... ისიც დაიკრუნჩხა. „ხორველა, ხორველა!..“ — გამვლელი და გამომვლელი ყველა იმასღა გაიძახოდა. როგორც ახლა, მაშინაც ნაცვლად ვიყავი. „აბა, ლეპორტიო!“ მომაძახეს და მეც მაშინვე შაქროსკენ გამოვსწიე. „წრიპ-წრიპ-წრიპ!“ ააწრიპინა იმანაც კალამი და თან მეკითხება: — რამდენი ავადმყოფი დავნიშნოვო, „ერთია ჯერ ავად და მაშ ხუთი დასწერე, იქნება დოხტური უფრო ჩქარა მოგვაშველონ მეთქი.“ — ვუპასუხე მე. ამანაც კიდევ ცოტახანს აწრიპინა და ხელში აჭრელებული „ლეპორტი“ მომაჩეჩა. მეც ავაჭრელე, ვთხლიშე ბეჭედი და...

— „აბა, სიმონა, შენ იცი როგორც მალე გაგზავნი ამ ლეპორტსაო,“ — მეხვეწებოდა ფერმიხდილი შაქრო.

— ხა, ხა, ხა... მაგოდენა კაცს მაგრე როგორ შეგეშინდა? — ხარხარით სიტყვა გააწყვეტინა ვანომ სიმონას და შაქროს შეეკითხა.

— რას ამბობ, კაცო, ხორველის გაგონებაზე დავთრებისულ დამეფანტა?! — ღრეჭით უპასუხა შაქრომ.

— მერე, სიმონი? — დავეკითხე სიმონას.

— მერე და... — განაგრძო სიმონამ: — იმ დღეს არაფერი. იმ ღამეს კი... ხი... ხი... ხი!.. ვხედავ ამ ხალხს, როგორ ფეხაკრეფით საითკენღაც მიეშურება. ჩურჩულით ფეხშიშველა დედაკაცები, ამათ კიდევ ხევსურის ჯორებივით დატვირთული კაცები მისდევენ. თუ ვინმე ხმამაღლივ დაიწყებდა ლაპარაკს გზადაგზა „სუუუ!“ — მაშინვე პირზე ხელს მიაფარებდნენ, ფიქოს ეშინოდათ, ხორველამ არ გაგვიგოს და უკან არ დაგვედევნოსო.

„მეორე დღეს, ვხედავ, ჩემს მეტი ძე ხორციელი სოფელში არ მოიპოვება. ის ხორველიანიც კი გაპარულა. დავიარე მთელი სოფელი და ვერავინ ვიპოვე: ძაღლებისა, კატებისა, ქათმებისა და სხვა ცხოველების მეტი. „რა ვქნა მეთქი?“ დავეკითხე ჩემს თავს და მეც გაპარვა დავაპირე...

— ვის უნდა გაჰპარიყავ, კაცო? — სიცილით დაეკითხა ვანო.

— ხი, ხი, ხი!... რა ვიცი ვის? ძაღლებს თუ? — გულიანის ხარხარით უპასუხა სიმონამ.

„მაგრამ ვთქვი: მოხელე ვარ, ლეპორტი გავგზავნე და მეც რო გავიქცე, მაშინ, რო მოვიდეს ვინმე, ვინღა დაუხვდება? ავიღე და დარჩენა ვარჩიე. იმისთვის უფრო ვარჩიე, რომ ხორველიანიც გაქცეულიყო და მაშ რისღა უნდა მშინებოდა.

„დავრჩი მარტოდ მე სოფელში და კიდევ ოთხფეანი და შინაური ფრინველნი. პირველ დღეს არაფერი. მეორე დღეს კი შევუდექი საქმეს. ამოდენა ქათამი, ბატი, ინდოური სულ აქ გაეშოთ. ვიფიქრე: მაინც ტურა და მელა დასჭამს და ისევ მე შევჭამო, ის არა სჯობია მეთქი?! გავიფიქრე და კიდევაც ავასრულე. სადილად, სამხრად და ვახშმად ბატი, ქათამი და ინდოური არ მომიკლია. განა თითო, ოროლი და სამსამი!! აბა, ამისთანა სადილ-ვახშამი უღვინოდ რად ევარგებოდა?! მეც დავშინჯე ჭაშნიკები მარნებში და სულ თავი და თავი ღვინოები ვსვი.

„სოფლის მოხელეს ხომ ძაღლები ემტერებიან. წინად სოფელში ისე არ გავივლიდი, რომ ჩემთვის არ გამოეტიათ. ახლა კი, შენ ნუ მომიკვდე. ისე დამიმეგობრდნენ, რო სულ უკან დამდევდნენ განა მარტო ძაღლები, კატებიც. მთელი ხროვა ძაღლებისა და კატებისა უკან დამდევდა, და უნდა გენახათ, როცა პურსა ვჭამდი, რა სიამით გარს მეხვეოდნენ. მეც, აბა, ამათ მეტი ვიღა მყვანდა, ჯერზე თითო ქათამს ან ინდოურს ვაჭმევდი.

„გავიდა ორი კვირა. ყოველ დღე და ღამ ამ ყოფაში ვიყავი... კარგი ღვინო შემომაკლდა. ერთ ადგილს მეგულებოდა კარგი ღვინო, მაგრამ მარანი დაკეტილი დამხვდა. ვიფიქრე: გავტეხო. ვაი თუ მერე ხათაბალაში გამხვიონ მეთქი, და ისევ ხერხს მივმართე. ავიდგი ფეხი და ბევრი ვიარე თუ ცოტა, ერთ უკვალ ადგილს მივადექ, „ბიჭო. ბიჭო!..“ — მოვრთე ყვირილი, და ჩემ ყვირილზე ფერდობზე კნეინა გადმოდგა.

„— უი, სიმონ. აქ რამ მოგიყვანა, ჩვენი დალუპვა რად გინდა?.. — გადმომკივლა კნეინამ და მაშინვე გატრიალდა.

„ეჰე. საქმე კარგად არის მეთქი! — წამოვიძახე და წელში გავიმართე.

ჯერ კიდევ ჩემ ფიქრს არ მოვშორებულიყავ, რომ კნეინას მაგიერად ფერდობზე თითონ კნიაზი გადმოდგა და გადმომ-ძახა:

„— სოფლიდან მოდიხარ, ნათელაშვილო?

„ — ჰო შენი ჭირიმე.

„— ხორველა ძალიან არის?

„— ძალიან, ძალიან, შენი ჭირიმე, ისე ძალიან, რომ ჩემს მეტი კაცი სოფელში აღარ დარჩენილა.

„ტყუილი ხომ არ მითქვამს? ჩემს მეტი კაცი სოფელში არ იყო.

„— მერე, შე ოჯახდაქცეულო, აქ რა მოგარბენ-ნებდა, რო მორბოდი? — გაჯავრებით გადმომძახა და ერთი მწარედაც გადააფურთხა.

„— თუ აქეთ წამოველი, ბატონო, მარტო შენ დასახსნე-ლად წამოველი.

„— რას მიედ-მოედები, შე კომლობა ამოწყვეტილო?.. ხორველიანი ადგილიდან ჩემ დასახსნელად მოსდიხარ? — მკვახედ გადმომჭყივლა იქიდან.

„— შენმა მზემ, კნიაზო, გუშინ შენი მარნის გვერდით გა-ვიარე და რაღაც ბღუილი შემომესმა. შევხედე და, შენ მტერ-სა და დუშმანსა, რაც მე დავინახე. „შენ, ეი,“ შემომჭყივლა იქიდან და ისეც დაჭყეტილი თვალები უფრო დააჭყიტა. მე ენა მუცელში ჩამივარდა და ხესავით გავხდი. „ნუ კი გახევდი და გაქვავდი... — მითხრა იმან: — წადი და უთხარი შენ კნიაზ-სა, რო, თუ ეს ქოცო არ დამიცალე და ახლავე არ გადიღე სხვა ქოცოში, იცოდე, ცოლშვილიანად სულ ამოგწყვეტავ-თქო? განა რო გაიქეცი, ვეღარ გიპოვითქო? ეს ქოცო ჩემია, ჩემი...“ დაიჭექა და საწნახლის და ზევით კედლის კუთხეში რო ქო-ცოა, იმას უბრაგუნებდა ფეხს: „დილაზე ადრე ადიქ და, რო ნახო, ასე უთხარ: ხორველის ანგელოზმა გამომგზავნათქო. გზაც კი იმან მასწავლა, თორემ, აბა, საით გიპოვიდი, ნიშან-დობლივ მომასწავლათქო“.

ვატყობ, კნიაზს ფერი როგორ მისდიოდა და გულში მეცი-ნებოდა. რო გავათავე, კნიაზმა პირჯვარი გადიწერა და ქუდი მოიხადა.

„— შენი ჭირიმე, ნათელაშვილო... — შემომეხვეწა: — მე ვერ წამოვალ იქ. შენ... შენ, ისევ შენ როგორმე დამიხსენ და ის ქოცო დაცალე. აი, გასაღებიც.“

„ხი, ხი, ხი...“ გულიანად ჩაიხითხითა სიმონამ. ჩვენც სიცილი აგვიტყდა, ისე მშვენივრად დაგვიხატა ტყუილი შიში.

„მეც ეგ მინდოდა მეთქი, — განაგრძო სიმონამ: — გავიფიქრე და გასაღებს რო დავხედე, სიცილი ვეღარ შევიმაგრე. არ გამიგოს მეთქი, თავი მაღლა აღარ ავიღე, ვითომ გასაღებს ვეძებდი, დავბობღავდი, სანამ სიცილი არ შევიმაგრე. როგორც იყო, სიცილი ხველად გადავაქციე და გული რომ მომეფხანა, მაშინღა ავიხედე მაღლა.

„—რა ვქნა, კნიაზო, ძალიან საშინელი იყო ი ხორველის ანგელოზი და ახლაც რო ვნახო, მარნიდან ცოცხალი ვეღარც კი გამოვალ.

„— შენი ჭირიმე, ნათელაშვილო, როგორმე მოახერხე... ერთხელ ხომ ნახე და გადურჩი, მეორედაც არას გიზამს. მე კი, იქნება, არ დამინდოს.

„— შენი გულისთვის, კნიაზო, ცეცხლში ჩავვარდები და ი ხორველის ანგელოზია თუ ოხრობა დაღრჩობის მეტს ხომ არას მიზამს. სიკვდილისა არ მეშინიან. ღვთისმშობელს გეფიცები, შიგ ერთ ცვარ ღვინოს აღარ გავუშვებ. — ვუთხარი და გამოვტრიალდი.

სიხარულით მივადექი მარნის კარებს და კლიტეს ჩხრეკა რომ დავუწყე, შიშმა წამიღო, გასაღები კლიტეში ვეღარ გადავატრიალე, ხელები ისე დამიდამლავდა. იმან ისე ჩქარა დაიჯერა, მეც გამეფიქრა: იქნება მართლა ხორველის ანგელოზი იყოსმეთქი და აქეთ-იქით მივიხედე, თუ ვინიცობაა შიგნიდან ხორველის ანგელოზი გამომეხმაურა, გზა ხსნილი მექნებაშეთქი, რო გავქუსლო. მივიხედე თუ არა და ჩემ უკან ათიოდე ბაღლი რო დავინახე, გული გამიმაგრდა და გასაღებს ჩხაკანი შოვაღებინე...

„ოხ, რა მშვენიერი სუნი შეცა, როცა ქვევრს თავი მოვაძრე, ღმერთმანი, ჩემ დღეში არ დამავიწყდება! ცოტა პრკე ჰქონდა. მოვხადე და... ერიჰაა, ქუდი ჭერს ვახალე.

„აი, სწორედ კნიაზის წითელი ღვინით ვიყავი გამობრუვებული, როდესაც ზარის რეკა შემომესმა. რა ამბავიამეთქი? — გავიფიქრე და საყდრისკენ გავიხედე. დავინახე, ჩაფარი ზარსა რეკავდა, ორი ჩინოვნიკი კი იქით-აქეთ იცქირებოდნენ. ეს უთუოდ დოხტური იქნებამეთქი, ვთქვი და მაშინვე ბანზე გავგორდი. ახლა ამითრევდნენ ისინი და უნდა ტყე და მინდორი მეტარებინა!.. ისევ თავი მოვიმკვდარუნე. „ამდენი აწკარუნეთ ზარი, სანამ მოგწყინდებოდეთ,“ — ვიძახდი გუნებაში: მე იქ არ მივდიოდი და ჩემ მეტი კი სოფელში არავინ იყო.

„რეკეს, რეკეს, რეკეს და რეკეს. მერე დააყენეს. ვიფიქრე: უთუოდ წავიდნენ, რო ზარს აღარ რეკენ მეთქი. და ადგომას ვაპირებდი, რო ამ დროს ლაპარაკი შემომესმა. ცერად გავიხედე იქით და ისინი დავინახე. ჩემკენ მოდიოდნენ: „ქსს, ქსს...“ ოდნავ მივუსიე ძაღლები. ამ წასევაზე თორმეტიოდე ძაღლმა ყურები დაცქვიტა, ალმასივით კბილები გამოყარა და... ღვთის წყალობა გქონდეთ, იმათ გაჰქუსლეს. კატები, კაცო, რო გენახათ, სიცილით დაიხოცებოდით: შაიჯგუფნენ ერთად, კუდები მაღლა აფშიკეს, წელში ორად მოიხარნენ და თვალების შრიალით ისეთი ფრუტუნი მორთეს, გეგონებოდათ, მილეთის ჯარს გაუმკლავდებიანო. აი, თქვენი ჭირიმეთ, თქვენი... ვიძახდი სიცილით: დოხტურს კი არა, ეშმაკსაც არ მოუშვებთმეთქი ჩემთანა...

„მეორე ქოცოც კი დაკუცალე კნიაზსა. ქათამს, ბატს ინდოურს ხომ სულ მუსრი გავავლე. ხალხის დაბრუნების დროც მოვიდა. ხორველა განელდა. რო არ ყოფილა, რა განელდებოდა! ხალხს კი ეგონა. ვიფიქრე: ე ამოდენა შინაური ფრინველი რო გავწყვიტე და ახლა ხალხმა სულ შამომაკეცოს, რითლა გადავუხდი მეთქი. აქაც ხერხი ვიხმარე. ავდექი და ნაჩალნიკთან წავედი. დამინახა თუ არა ნაჩალნიკმა, ისეთი დამიყვირა, რომ, სხვა რომ ყოფილიყო, გული გაუსქდებოდა. შე ასეთ ისეთო, ხორველიანი ადგილიდან აქ რა მოგარბევინებდა, რო აქაც შამოიტანოვო... ყვიროდა ნაჩალნიკი და თანდათან უკან იწევდა, თითქოს ეშინოდა ჩემი. წადი, წადი ახლავე, თორემ ჩაფრებს დავუძახებ და სულ ტყავს გაგაძრობინებო... დამჭყივლა და ფერწასული კუთხეში მიიჭუჭკა.

„— რა ვქნა, შენი ჭირიმე... — საცოდავად მოვყევი კნავილს: — სოფელი გაიქცა, იმოდენა ბატი და ქათამი სოფელში დასტოვა და მარტოკა რა ყარაულობას გავუწევდი ან ვუპატრონებდი?.. ზოგი გაგარეულდა, ზოგი კიდევ მგელმა და ტურამ დაჭამა.

„— ვერ უყურებ ამ მ...ს ოხერს?.. მერე შენ რა? გასწი, გაეთრიე...

„— მერე სოფელი რო დაბრუნდება, — უფრო უარესად დავიწყე კნავილი: — ჩემ მეტი კაცი სოფელში არ იყო და ახლა პატრონები მე რომ წამომედავნენ?..

„— წადი, წადი ჩქარაო... — მამაძახა: — მაგისი ნუ გეფიქრება, აქ არ მოვლენ საჩივლელად...

„მეც მეტი რა მინდოდა, ავდექი და გულდამშვიდებული წამოველი.

„თუ სოფელში დამრჩა რამ, სანამ სახლ-კარს დაუბრუნდებოდნენ პატრონები, შაუჭმელი და დაულეველი აღარა დამრჩენია რა.“

— ენდე, ჩემო შალვა, მაშ „ხორველის ანგელოზი“ არ არის! — აღარ დაათავებინა ლაპარაკი შაქრომ და მე მხარზე ხელი დამკრა.

— ახლა კი გავიგე, რადაც ეძახით „ხორველის ანგელოზს.“ — ნაღვლიანის ღიმილით ვუპასუხე და გუნებაში კი იმას გავიძახდი: ნეტავი არ გამეგომეთქი.

სიმონას, ცოტა არ იყოს, ჩემ თვალში მიმზიდველობა მოაკლდა. ახლა სიმონა ის აღარ იყო, რაც ამ ერთი საათის წინ, როდესაც ის „მთაო, გადმიშვი, გადმიშვი“-ს მღეროდა.

III

კიდევ ღვინო, კიდევ საჭმელი და კიდევ სიმღერები. საღილს ვახშამი ზედ მოება და ღვინით კარგად გაყღენთილებმა შუაღამისას სუფრას თავი დავანებეთ.

— ღმერთმანი, შაქრო, — ეხვეოდა ვანო შაქროს და ლმობიერად ეუბნებოდა: — პატიოსანი კაცი ხარ, პატიოსანი!.. ნამდვილ კაცს რომ იტყვიან, ისა ხარ!

— ვანო. ღმერთმანი, ისე მიყვარხარ, რომ ღვიძლ ძმაში არ გამოგარჩევ!.. — თავის მხრით ეფიცებოდა შაქრო ვანოს და თან ჰკოცნიდა. სიმონამ კი ჩიბუხი გააჩაღა, ჯოხი იღლიაში ამოიდო და ბარბაცით აივანი ააჭრიალა.

— ეი, „ხორველის ანგელოზო!“ სად ჯანაბას წახვედი?!— დაუჭყივლა შაქრომ და გარეთ გამოვიდა.

ჩვენც გამოვედით აივანზე. გამაცოცხლებელმა სიომ დაგვბერა არაგვის მხრით. არაგვიც მხიარულად მოგეგება და გულმოდგინედ გვეპატიჟებოდა თავისკენ. მინდოდა მეთქვა: წავიდეთ, შუბლი გავიგრილოთმეთქი, მაგრამ შაქროს და ვანოს რო შევხედე, გავჩუმდი. ვიცოდი ესენი იმ ზომამდის იყვნენ მისულნი, რომ შუბლის გაგრილებასთან ერთად ტ ნის გაგრილებასაც მოინდომებდნენ და ეს კი სასიამოვნო არ იქნებოდა.

— არ გეყურება, ნათელაშვილო?! — გადასჭყივლა შაქრომ სიმონას, რომელიც უკვე ეზოს გარეთ გავიდა.

— ღამე მშვიდობისათ!.. ძილის დროა!.. — ეზოს გარედან დაიძახა სიმონამ და შინისაკენ გასწია.

— აი, შეე... — სიტყვა აღარ დაათავა შაქრომ და მაშინვე ვანოს მიმართა: — ვანო, მაშ შაქრო მოგიკვდეს, თუ ეს არ დაგიმტკიცო!..

— მჯერა... ვიცი... უხ, შაქრო, რა კარგ გუნებაზე ვარ!..— შესჭყივლა ვანომ და შაქრო გულში ჩაიკრა. — შენა, შალვა შენ როგორღა გუნებაზე ხარ?! — მომიბრუდა მერე მე და აღგზნებულის სახით დამეკითხა.

— მე, ჩემო კარგო, ძილის გუნებაზე ვარ! — ვუპასუხე განგებ, თუმცა კი სრულებით არ მეძინებოდა.

— სტყუი, სტყუი!.. შენ... გიცნობ, ღამურა ხარ!.. ამისთანა ღამეში შენ რა დაგაძინებს!

— ღამურა შენ თითონა ხარ! — ვითომ წყენით ვუპასუხე.

მართალს ამბობდა ვანო, როცა კი ღამე მომეწონება, ნამეტნავად მთვარიანი, ამისთანა შემკული ბუნებით, ძილი არ მეკარება, და მთა-ღრეს ხეტიალით ვათენებ. ხშირად დამთენებია მთის წვერზე ან კიდევ მდინარის პირზე...

— გეწყინა, შალვა?! — დაღონებული ვანო მომიახლოვდა და გადამეხვია.

— ტყუილად რად აცდენ მა კოცნას?! — ღიმილით ვუთხარი, როდესაც გადახვევნის დროს ლოშნა დამიწყო.

დიდხანს ვლაპარაკობდით: ხან უაზროდ, ხან კიდევ აზრიანად. ჩვენი ბაასის დროს მთვარე, თითქოს დაეძებს ვისმეო, კანკალით დაჰკრთოდა დედამიწას, და ჰპოვა თუ არა, არ ვიცი. ეს კი დავინახე, რომ მთის წვერზე ობლად მდგომ ხეს ჩაეკონა, ზედ დაენთქა და ჩქარა მთლად ჩადნა...

ღვინომ და ცხენით მოგზაურობამ თავისი მოქმედება იქონია ჩვენზე. ვანოს თავი გულზე ჩამოეკიდა...

— აბა, ახლა კი არაგვის ნომრებში მოისვენეთ!.. — წამოიძახა შაქრომ და ვანოს ხელი ჩაავლო.

იმისი წინამძღოლობით კიბე ჩავიარეთ და ზედ არაგვის ნაპირას დაბალ ფიცრულ ოთახში შევედით. ეს ოთახი კიდევ რამდენსამე უჯრად იყო დაყოფილი, გაჩითული ფიცრულით, თითოეულ უჯრაში ტახტი თავის ლოგინით იდგა.

— ხა, ხა, ხა!.. — უეცრად გადიხარხარა ვანომ, თვალი რო მიაევლ-მოავლო, და ხარხარითვე განაგრძო: — შაქრო, ეს პაწაწა გაჩითული ოთახები რაღაცას მაგონებს!..

— ჰა, ჰა, ჰა, კაცო, გაჩუმდი!.. ეს არაგვის ნომრებია!.. — სიცილით უპასუხა შაქრომ და მერე მე მომიბრუნდა: — აი, შალვა, შენ აქ მოისვენე, ვანო კი აგერ მეორე ნომერში დაიძინებს.

შაქრო გამოგვემშვიდობა. ვანო ჩემ ნომერში იდგა გულხელ დაკრეფილი, თავი დაეხარა და ტუჩებზე კიდევ ღიმი უკრთოდა.

შევცქეროდი ვანოს. კარგად ვხედავდი, რომ იმისი ღიმი სიამოვნების ღიმი იყო და შევნატროდი...

— ვცხოვრობთ, შალვა, ვცხოვრობთ!.. — აღტაცებით წამოიძახა და ტაშის შემოკვრით თავის ნომერში შევიდა. შესვლის უმალ მოწყვეტით ტახტზე მიეშო და...

ჩქარა გულიანი ხვრინვა შემომესმა.

— ვცხოვრობთ!.. — გავიმეორე მეც აღტაცებით კი არა, გულჩაწყვეტით და მივწექი.

ჩემდა უნებურად ამ დღეს ნახული და გაგონილი მომაგონდა. დაღალული გონება მკაფიოდ აღარ ასურათებდა მოქმედ პირებს. თანდათან ფერი, პიროვნება ეკარგებოდათ. ვანო, შაქრო, სიმონა, მთა, მთვარე, არაგვი — ერთმანეთში აირივნენ. ბოლოს შუილ-ხარხარიღა მეყურებოდა, მეტი აღარაფერი და...

მეც გაუგებრად ძილმა მომიპარა...“

* *

„აი, ჩემო ერასტი, ასე ვატარებ დროს! წერილით მეკითხებოდი: რატომ არას მწერ, როგორ ატარებ დროსო. მეც, აი, ერთი დღე აგიწერე. ერთი დღე მეორეს ძალიან წააგავს. მეორე კიდევ მესამეს და ასე მისდევს. ვანო, სიმონა, შაქრო თუ არ იქნებიან, იმათ მაგიერ ნოკო, ალექსი, არჩილი და სხვები შეგხვდებიან, იმათთანაც ეგრეთვე გაატარებ დროს. თუ ხორველის ამბავს არ მოგიყვნენ, სხვაზე მაგვარსავე ამბავს გეტყვიან. ღვინო, მთა, მთვარე, მზე კი ყველგან შეგხვდება ჩვენს საქართველოში.

ვცხოვრობთ, არა, ჩემო ერასტი?!

ეს კია, დღე დღეს ჰგავს, მაგრამ რატომ მე ეხლანდელი შალვა, პატარა შალვას არ ვგევარ? რატომ იმისავით შეუხამებელი, უბიწო არა ვარ?! ეს...

მაგრამ კმარა საამდღეოდ, თორემ მოგეწყინება ჩემი წერილის კითხვა. ბევრი მაქვს მოსაწერი, სხვა დროისთვის გადავდოთ...

მარად შენი შალვა.“*

1898 წ.

---

* ეს წერილი ერასტიმ გადმომცა და მეც იმის ნებართვით ვასტამბინებ.

„ხა, ხა, ხა, რა სულელი ხარ!..“

(ფსიქოლოგიური ეტიუდი)

— პატივცემულო მკურნალო, ყველაფერი, რასაც მიკრძალავთ, რომ შევასრულო, ხომ სამუდამოდ განვთავისუფლდები, ხომ მოვრჩები? — ეკითხებოდა მკურნალს თვალებგაბრწყინებული, გამხდარი ახალგაზრდა და თან რამდენჯერმე ყრუდ ჩაახველა.

— გამოგიტყდებით, როგორც ინტელიგენტს, — ცოტა ხნის ჩაფიქრების შემდეგ უპასუხა მკურნალმა, — საეჭვოა. იქნება ერთს ან ორ წელიწადს იცოცხლოთ. თქვენი ფილტვების გასინჯვის შემდეგ, მეტი არა, მეთქმის რა. მაგრამ ქვეყნიერებაზე ზოგჯერ ისეთი სასწაულთმოქმედება ხდება, რომ თქვენისთანანი კი არა, სიკვდილის პირას მისულნიც კი განკურნებულან.

— მგონი, პატივცემულო მკურნალო, ჩემ დასამშვიდებლად დაუმატეთ ეგ „მაგრამ“ და სხვა... — მწარის ღიმილით დაეკითხა ახალგაზრდა.

— თითქმის! — შუბლის შეჭმუხვნით უპასუხა მკურნალმა.

— მაშ ერთისა ან ორი წლის სიცოცხლეა მაქვს, არა?!

— აკი გითხარით!.. ისიც იმ პირობით თუ მყუდროდ, ძალიან მყუდროდ იცხოვრებთ.

— ახ, რა ბედნიერი ვიქნები!.. — დაცინვით წამოიძახა და კიდევ ყრუდ ჩაახველა.

— რაო?! ვერ გავიგე თქვენი „ახ!“

— არა, ისე!.. მაშ მყუდროდ, ძალიან მყუდროდ რომ ვიცხოვრო, ორ წელიწადს ვიცოცხლებ?

— დიაღ!

— ეს მყუდროება რაში მდგომარეობს?..

— ხომ გითხარით: სასმელს ერიდეთ, ნურაგვარ გრძნობათა ღელვას ნუ მიიკარებთ, თუნდ სიყვარულსაც; ნამეტნავად ამ უკანასკნელს ერიდეთ. — ცოტა წყენით უპასუხა მკურნალმა და სახის მოძრაობით ანიშნა, რომ დროა მოშორებიყო.

— უკაცრავად, მკურნალო, ახლავე წავალ. — უთხრა ზიზღით და განაგრძო: — იმ ორ წელიწადს ჩემი სიცოცხლე რას ემსგავსება?

— ვერ გამიგია თქვენი კითხვა.

— რისთვის უნდა ვიცოცხლო, თუ კი ცოცხალი მკვდარს დავემსგავსები?..

— როგორ თუ მკვდარს?.. განა თქვენ არ იცით, რომ თითო წამშიაც კი მთლად თავის საცხოვრებელს მისცემენ, თუ კი მომაკვდავთ სიცოცხლეს განუგრძელებენ!..

— მხოლოდ იმ პირობით, თუ იმ წუთს სიამოვნებაში, მოქმედებაში გაატარებს და არა ჩემსავით ცოცხალი უკანასკნელ წუთებამდის მკვდარს დაემსგავსოს.

— განა თვით სიცოცხლე სიამოვნება არ არის?

— რომ უმზიროს, სხვები როგორ სიამოვნებენ და ის კი... მშვიდობით!.. გმადლობთ!..

• •

— მო, მარო, ხელი მომეცი, ჰო, ეგრე. ახლავე რომ სული ამომძვრეს, ბედნიერი ვიქნები! ეს გრძნობა წამყვება თან, ეს!.. — იძახდა ახალგაზრდა და თან მაგრად, მაგრად ეკონებოდა მაროს ხელს, რომელიც ჩუმად ცრემლს აფრქვევდა.

— ეფრემ, გენაცვა, რატომ... — ვეღარ დაათავა სიტყვები, გული ყელში მოებჯინა და, რომ თავისი ქვითინი დაემალა, ეფრემის შუბლს დააკვდა.

— ოხ, ნეტარებავ!.. ათი წლის სიცოცხლეც რომ მქონდეს, ამ ერთ წუთში მივცემდი! ჰა, ჰა!.. შედექ, გულო, ჯერ ადრეა! ჯერ... ოხ!.. გინდა ბუდიდან გადმოვარდე?.. ჰაახ.. — ხელი გულზე იტაცა და საშინლად გაფითრდა.

— წყალი!.. — წამოიძახა მარომ და იქ მსხდომ ეფრემის მეგობრებს თვალები მიაპყრო, რომლებიც ნერწყვგამშრალნი შესცქეროდნენ ეფრემს და მაროს.

მაროს სიტყვებზე ერთი მათგანი წამოვარდა და საჩქაროდ წყალით ხელში თავს დაადგა.

— მარო, მომეცა, მე მოვუვლი, შენ მოერიდე. — ჩუმად წასჩურჩულა ეფრემის ამხანაგმა და წინ წადგა.

— არასდროს, თუნდაც ახლავე სული ამომხდეს! უკანასკნელ წამებს ვერ გავუმწარებ. — უპასუხა მარომ და თან შუბლი უპკურა.

ცივი წყლის ზეგავლენით გონება მოუბრუნდა ეფრემს. გაცრიაგებული თვალები გადაატრიალ-გადმოატრიალა და სიამოვნების ცრემლები გადმოსკდა.

— ბედნიერი ვარ!.. ჩემ საყვარელთ ეხედავ!.. მარო, თითქოს გიტირნია?! რა იყო? მე ხომ კარგად ვარ? მაშ რა გატირებს?! — დაეკითხა ეფრემი და მაროს ხელი ტუჩებთან მიიტანა.

— ბუნებავ, გინდოდა ცოცხალი მკვდარს დაგემსგავსებინე, მაგრამ ვერ მოახერხე!.. მე... ჰა, კიდევ?! ბარემ გადმოვარდი ბუდიდან და... ღვინო შემასვით!..

— ეფრემ, ხომ თავს იწამლავ მაგ საქციელით და სიცოცხლეს ისწრაფებ?! — უთხრა ერთმა ამხანაგთაგანმა მზრუნველობით და წითელი ღვინით სავსე ჭიქა მიაწოდა.

— მწარე შხამს ტკბილით ვათავებ. მინდა... კიდევ დამისხი! — ოჰო!.. ჩემი გული ფერხულში კიდევ ებმის, ხტუნაობა მოსურვებია, ჰა, დაიწყე!.. ჩემო მარო, ნუ შესწუხდები!... მე... მომეცი ღვინო!

— ეფრემ, გეყოფა!.. — ჩასძახა მარომ და ხელი შუბლზე გადაუსვა.

— ეგრე... ეგრე!.. მსურს ამაღამ გრძნობით დავითრო, ჯერ არ მეყოფა... მომეცი ღვინო!.. ჯერ ხომ ადრეა?.. იქნება გეძი-

ნებათ კიდევაც?! ძილს მოესწრებით, ვისიამოვნოთ!.. ახ, რა გრძელდება ეს ღამე?

— რა დაემართა, რომ მაგრე ლაპარაკობს? — წასჩურჩულა ამხანაგმა მეორეს და წითელი ღვინით სავსე ჭიქა მიაწოდა.

— რა მეჯავრება წყვდიადი ღამე!.. ნეტავი ჩქარა მაინც გათენდეს!.. არა თენდება?! მაშ გაუმარჯოს დღის სინათლეს!.. აჰა, ჩამომართვი! კარგი ღვინოა... რატომ თქვენ კი არა სვამთ?.. მარო, ნუ მომშორდები!..

— არ მოგშორდები, გენაცვა, არა!

— გეყურებათ?! მამალი ყივის... ოხ, ნეტარებავ!.. დღის სინათლეს კიდევ ვიხილავ... მაგრამ... — უეცრად აჩქარებული სუნთქვა დაიწყო. საშინელი დაბალი ღმუილი მორთო და ტანმა მთლად თრთოლა დაუწყო.

— ეფრემ, ეფრემ!.. — ჩასძახოდნენ მაროსთან ერთად ეფრემის ამხანაგები, მაგრამ ეფრემს არა ეყურებოდა რა.

— გენაცვა, ეფრემ, შენს მაროს აღარ გინდა შეხედო?! ეფრემ!.. ვაი, მე ბედშავს!..

— უუ!.. უუ!.. უუ!.. — ღმუოდა ეფრემი და თან კანკალებდა.

— რამ შეგაშინა?! ნუ გეშინიან, ჩემო ეფრემ, ჩვენ აქა არა ვართ?! — ტირილით ეუბნებოდა მარო და აღარ იცოდა, როგორ მოევლო...

— მარო... მარო... ნუ მომშორდები!.. — ღიმილით წამოიძახა ეფრემმა და უეცრად ხველა აუვარდა.

— არ მოგშორდები გენაცვალე, არა და არა! აი, შენი ამხანაგებიც აქ არიან!.. რათა კანკალებ?! შემომხედე, გენაცვალე, შენს მაროს ვეღარა სცნობ?!

ეფრემი უაზროდ ატრიალებდა ბინდგადაკრულ თვალის კაკლებს და მაროს ხვეწნას ყურადღებას არ აქცევდა.

— ნუ კანკალებ, ეფრემ!.. — ჩასძახა ერთმა ამხანაგმა და ხელი დაუჭირა.

— უუუ!.. უუ!.. — ეფრემმა ისევ წაიღმუვლა და ტანის თრთოლამ მოუმატა.

— ოხ, რა საშინელი წამებია!.. — წამოიძახა ისევ იმ ამხანაგმა და გარეთ გავარდა.

უმთვარო ცაზე ვარსკვლავები ცელქობდნენ და მიძინებულ დედამიწას თითქოს დასცინოდნენ, რომ სიცოცხლით არ სარგებლობსო.

ეფრემის ამხანაგმა გამოსვლის უმალ ცას გადააავლო თვალი და, თავისდა უნებურად, წამოიძახა:

— ცავ, შენზე ადამიანის მწუხარება არ მოქმედებს?!.

— ხა, ხა, ხა, რა სულელი ხარ!.. — ჩამოჰკისკისეს ზეციან ვარსკვლავებმა.

1898 წ.

ბედნიერი დედა

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა მზექალამ და ტანში ჟრუანტელმა დაურბინა. — ნუთუ... — სიტყვა ვეღარ დაათავა შიშით, თავი გაიბერტყა და ორივე ხელით შუბლი მოიწურა, რომ არასასიამოვნო აზრები გამოედევნა იქიდან. მართლაც, თითქო დამშვიდდა, საშიშო აზრები მოშორდა და, ცოტა არ იყოს, სასიამოვნო გრძნობამ შეიპყრო მისი არსება: ხედავს თავის პირმშოს, ერთადერთ ბიჭუკას, პატარა ოთარს და სიხარულით გულში იკრავს. — რას შვრები, რას? — მწარის ღიმილით წამოიძახა მზექალამ და ისევ იმავე კილოთი განაგრძო: ვინ მაღირსებს იმ ბედნიერებას, რომ ჩემ ოთარს, ჩემ ბიჭუკას, გამარჯვებულს ვნახავდე!

მზექალა გადაესვენა სავარძელში და თვალები დახუჭა.

ერთადერთი ძე, ათი წლის ოთარი, გაისტუმრა სასწავლებელში. დღეს უნდა გადაწყდეს მისი ბედი. დღეს უკანასკნელად გამოსთქვამენ მის ოთარზე უკანასკნელ სიტყვას, მის უვარგისობაზე, და, აი, მზექალამ ვერცკი გაბედა თავის ოთარის გვერდით ყოფნა. რატომ არ გაჰყვა თავის ოთარს სასწავლებელში, როდესაც იგი უნდა გამოსცადონ?.. მზექალა ამტყუნებს თავის თავს, ჰკიცხავს და თან ამასაც ფიქრობს: „ვაი თუ ოთარმა ვერ გაიმარჯვოს და იქ მას ყველას წინ სისუსტე დაემართოს, ვერ აიტანოს თავისი საყვარელი ოთარის ღამცირება და ისედაც დამცირებული ოთარი თავის სისუსტის გამომჟღავნებით უფრო დაამციროს? ეს ხომ...“

— ეჰ! — ტანის შერხევით ამოიკვნესა მზექალამ და სხეული უფრო მოუდუნდა, მოელეშა... „ოთარი!.. ოთარი...“ გაუხტა მზექალას მისი ძის სახელი გონებაში და მთლად მისი წარსული თვალწინ გადაეფურცლა... „ოთარი, ოთარი!..“ უეცრად მოაგონდა მზექალას მისი დაბადების დღე. რა იყო მაშინ ოთარი? ღმერთო, ღმერთო! კარგად ახსოვს მზექალას, გული რანაირად გაუხეთქეს. შეუბრალებლად პირში მიახალა მშობელ დედას მოწვეულმა მკურნალმა, რომ ოთარი დღენაკლულია, მალეც სულს განუტევებს, მალე აღიგვება მისი ხსენებაო...

ამის თქმა ადვილია, მაგრამ დედის გული განა ადვილად აიტანდა ამას? როგორ დაიჯერებდა ამას მზექალა?! მან გააათკეცა შვილის მოვლა... დღენაკლული ფეხზე წამოაყენა, თუმცა ეს დღენაკლულობა კიდევაც ეტყობოდა. მზექალას უნდოდა, თუმცა მკურნალობის არა სჯეროდა, გასამხნევებელი რამ გაეგონა. ამისათვის კიდევ მოიწვია იგინი. კიდევ ჩააბარა თავისი პირმშო და რამდენისამე ხნის შემდეგ, აი, რა გაიგონა: ტყუილად უვლი ოთარს... მისი სიცოცხლის წუთები დათვლილიაო... კიდევ იგივე არა სანუგეშო სიტყვები... კიდევ... ოხ, ღმერთო, ღმერთო!.. მთლად ცრემლად დაიღვარა მზექალა, მაგრამ ოთარის მოვლას უფრო გულმოდგინედ შეუდგა. რაც გამოცდილთ, დახელოვნებულთ თავიანთი წამლებით ვერ შესძლეს, ის დედის მხურვალედ მოსიყვარულე გულმა გამოაცოცხლა. დათვლილი წუთები უთვალავად გახადა და აი, უკვე ათი წლისა გახდა ოთარი და საშუალო სასწავლებლისთვისაც მოემზადა...

გულგატეხილმა მზექალამ შვილის გამოცდაზე დასწრება ვეღარ გაბედა და ამისათვის არის, რომ ეგრე მოუთმენლად მოელის ოთარის სასწავლებლიდან დაბრუნებას.

ჩუ!.. ვისიღაც ფეხის ხმა მოისმის! მზექალა სმენად გარ-

დაიქცა. უნებურად ზეზე წამოიჭრა... „ფეხის ხმაა, ფეხისა!“ ბუტბუტებს მზექალა.

მართლაც, ფეხის ხმა უფრო მკაფიოდ ისმის...

არა ჰგავს დაღონებულის, დამარცხებულის ფეხის ხმას... ოთახის კარიც გაჭრიალდა და კარებში მოცინარი, სახეგაბრწყინებული ფუნჩულა ბავშვი გამოჩნდა.

— ოთარ!..

— დედი!..

თითქმის ერთად წამოიძახა დედა-შვილმა და უსიტყვოდ გაიგო ერთი-მეორის პასუხი... სწრაფ გამარჯვებულთ გული გულს შეუერთეს და...

მომლოცველნი რომ არ მოსულიყვნენ, იქნებ დედა-შვილი ერთმანეთს არ გასცლოდა...

1898 წ.

„სისულელეა!“

(ეტიუდი)

...გუგუნებს ბუხარი, გუგუნებს და მალხაზას მოუთხრობს წარსულს — ბავშვობის ამბავს:

„გახსოვს მალხაზ“? — ეკითხება ბუხარი:—რა აღტაცებით მოელოდი ამ ღამეს, რა მოუსვენრად, უდარდელად კისკისებდი, როდესაც დედაშენი გოზინაყს კეთებას დაუწყებდა?.. შენც შველოდი, გინდოდა, ჩქარა გაეკეთებინა, საკვლეო ხონჩა დაემზადებინა, რომ დილით, ძალიან დილით, სავსე ხონჩით შემოსულიყავ და მოგელოცნა შენი ჭერისათვის, მშობლებისათვის. ცოტათი რაკი მოიზარდე, მეკვლეობას აღარავის ანებებდი. მეკვლეობა დიდ ბედნიერებად მიგაჩნდა...

„...ხა, ხა, ხა!.. ისიც ხომ გახსოვს, ხონჩიდან ერთხელ მოხარშული დედალი გადაგივარდა და ძაღლმა მოგტაცა?!... დაგავიწყდა მეკვლეობა, ხონჩა ძირს დასდგი და ღრიალით ძაღლს გამოეკიდე. ხა, ხა, ხა!.. გეგონა დიდი უბედურება რომ დაგატყდა თავზე...“

ამ მოგონებაზე პირზე ღიმილი მოუვიდა, სიამოვნებით შეიშმუშნა და კვლავ ბუხრის გუგუნს ყური დაუგდო!

„ოო... მაშინ, ჩემო კარგო, — გუგუნებს ისევ ბუხარი: — გწამდა ყველაფერი: გეგონა, ახალი წელიწადი მართლა ახალი იყო; შენც ყოველ ახალწელიწადის დღეს თავს გაახლებულად ჰგრძნობდი; გეგონა, სულ ხალისდებოდი და ამისთვის შენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა... ახლა?!

„წწ... ფუუუ!..“ უეცრად ერთი ღერო წინ წამოვარდა, ჯერ მოუწვავი თავიდან წამოცრემლა და შიშინი დაიწყო...

— ახლა?!. ახლა?! — წინ წამოვარდნილ ღეროს ფეხი გა-

ჯავრებით წაჰკრა და აჩქარებით ოთახში გაიარგამოიარა. — შენ თუ არ ჩამეკითხე, მე კი არ ვიცი! — ლაპარაკობს სიარულის დროს მალხაზა: — რანაირად გულს მიწამლავს ყოველგვარი სიმხიარულე...

„ჰო!.. ჰო! ჰო!“ — ამშვიდებს ბუხარი და ისევ მხიარულად გუგუნებს.

— რანაირად მქენჯნის, გულს მისერავს ჩემი არსებობა, ურწმუნოება და...

„ჰო!.. ჰო!.. ჰო!..“ — ძალაუნებურად იზიდავს ბუხარი თავისკენ, ეალერსება მალხაზას და აშლილ ფიქრებს უქარწყლებს.

ისიც აჩქარებულ სიარულს თანდათან უკლებს, თავის და უნებურად ბუხარს უახლოვდება და ჩქარა ისევ სავარძელში გადაწოლილი სიამოვნებით ყურს უგდებს ბუხრის გუგუნს.

• •

— ღმერთო, ეს სადა ვარ?! სიზმარია თუ ცხადია?!. არა მჯერა, გენაცვა, არა!.. ნუთუ ჩემი ნატვრა, ჩემი ოცნება გამართლდა?! ხშირად მითქვამს, ჩემო კარგო: „ოღონდ დამარწმუნე, რომ გულწრფელად გიყვარვარ და მაშინ... მაშინ საქაოს ტანჯვას, თუნდ საიქიოს, თუკი არსებობს, ჯოჯოხეთის ტანჯვაც ზედ დაურთეთ, მაშინ მე მაინც ბედნიერი ვიქნები; მაშინ თუნდ ყოველგვარ საზიზღრობას, ცას, ხმელეთს, ზღვას შეგებრძოლები; მაშინ ჭირი და ლხინი გაერთიანებული მექნება, სიკვდილიცკი ლხინად მიმაჩნდებამეთქი.“ და, აი, თითქო მართლდება ჩემი ოცნება!.. მე მჯერა, გულწრფელია შენი სიყვარული... არ ვიციკი და მჯერა...

— ტყუილად გჯერა, ტყუილად!.. მე არ მიყვარხარ!.. — პასუხს აძლევს ჯერ ისევ შეუბღალავი, უმანკო არსება და თან თავის პასუხისავე რცხვენიან, მის მკრთალ სახეს ალმური ასდის.

— ჩაუკვირდი შენს გულს, ჩაუკვირდი და ისე მიპასუხე! აბა, რადა სტყუი, რადა? ხომ ეგ არ უნდა გეთქვა?!

— მართალს გეუბნები, მალხაზ, მართალს!

— რად ცბიერობ, ჩემო ელეონორა, რად?!. მე მჯერა, შენ გიყვარვარ, გიყვარვარ გულწრფელად და ამას შენ ვერ უარჰყოფ!.. ელეონორა, სარკე მაინც გედგას წინ, ის დაგარწმუნებდა შენი სიტყვების უშინაარსობას!..

— რა ვქნა, არ მიყვარხარ!..

— შეუძლებელია!.. შენ ხომ ქალი ხარ, ადამიანის შთამომავალი!.. მაშ ნუთუ შენზე გრძნობა, გულწრფელობა არ მოქმედებს?! კლდეს ააცრემლებს, ლითონს დაადნობს და... არა, სტყუი, გიყვარვარ!.. გიყვარვარ, ჩემო ელეონორა!..

— შენ არ მიყვარხარ, სხვა მიყვარს!.. — წაილუღლუღა ელეონორამ და თავი ძირს ჩაჰკიდა.

— ვინ სხვა?!.

— მასაც ვუყვარვარ!..

— სიცრუეა!.. მე გეუბნები, შენ მე გიყვარვარ... გიყვარვარ მისთვის, მე რომ გულწრფელად მიყვარხარ. საკმარისია, მგონი, ამის თქმა, რომ ყოველი ეჭვი გავაქარწყლოთ.

— მისი სიყვარულიც გულწრფელია!..

— მაშ უპირატესობას მის სიყვარულს რად აძლევ?

— მე ეგ არ ვიცი!

მალხაზა ჩაფიქრდა. სახე მოეღრუბლა, ძნელი იყო იმისთვის, დაეთმო ვისთვისმე ეს განხორციელებული სინაზე, მაგრამ...

— ელეონორა!.. — სასოწარკვეთილებით წამოიძახა: — მე არა მჯეროდა, ვითომ შენ სხვა გიყვარდა. ახლაც მრწამს: ჩემი გულწრფელი სიყვარული შენში თანაგრძნობას იწვევს.... მაგრამ... რა მეთქმის, როდესაც შენ პირდაპირ ამბობ... იქნება, გგონია, მე ის გავიცხო?! ის!.. ჩემი მეტოქე! არა და არა!.. მე შემეძლო მეთქვა: მას მოვკლავ, შევმუსრავ, მაგრამ არ ვამბობ, რადგანაც გულწრფელად მიყვარხარ, ვამბობ კი არა, არც მართლა მოვკლავ... იცოცხლოს... ნუ კი იფიქრებ, ვითომ მე არ შემეძლოს იმასთან ბრძოლა?! შენი გულისთვის ჩემ ძარღვებში ერთი წვეთი სისხლის მეტიც რომ არ ნაკადულობდეს,

იმასაც გავწირავ; მაგრამ მხოლოდ შენის სიყვარულით უკუ-ვსდგები, მე არ მინდა პირუტყვთ დაგადარო...

— რას მეუბნები?!

— ყური დამიგდე: ხომ გინახავს ყოჩთა ბრძოლა დედალი ცხვრისათვის? მე ყოველთვის ყოჩთა ბრძოლას მაგონებს მამაკაცთა სიტყვით თუ საქმით შებრძოლება ქალის წინაშე. ორი მებრძოლი მამაკაცი სცდილობს ერთიმეორის გამასხარავებას, რომ ქალის ყურადღება დაიმსახუროს. ყოჩთა შეხედე: მაგასვე არ სცდილობენ?! თავპირს იმტვრევენ, ილახვენ, რომ ერთმა მეორე შორს გააძევოს და თითონ ხელთ იგდოს დედალი. დედალი ცხვარიც გულის ფანცქალით, ტუჩთა ცმაცუნით და ენის სავსავით გამარჯვებულ ყოჩს ქვეშ ეფინება. ქალი?!. განა ქალიც მაგავე გრძნობით არ ეგებება მამაკაცსა?!

— გაჩუმდი, მალხაზ!..

— მე არ მინდა ცხოველს შეგადარო და ამისათვის ჩემს მეტოქეს არ ვებრძვი... მშვიდობით იყავ და გისურვებ ყოველ-გვარ ბედნიერებას... — ამ სიტყვის წარმოთქმის შემდეგ მალ-ხაზა გატრიალდა და გული კი ელეონორასთან რჩებოდა.

— მალხაზ, მიყვარხარ!..

— ელეონორა, შენ ამბობ მაგას?! ჩემო, ჩემო, გამაგონე კიდევ ეგ სიტყვა!..

— მიყვარხარ, მალხაზ!..

— ელეონორა, მრწამდა შენ ადამიანი იყავ და...

— არ გეყურება, რამდენი ხანია ვაბრაგუნებ, მალხაზ!.. — შემოესმა ხმაურობა და კედლის ბრაგუნი მეორე ოთახიდან...

— ჰა!.. — დაბნევით წამოიძახა, აქეთ-იქით მიიხედა და... სინათლის მკრთალი ნათელი, თავის ოთახის კედლები თვალთ წაეჩხირა, ბუხარიც კი აღარ გუგუნებდა, ჩანელებუ-ლიყო. ელეონორა?!.

ელეონორას სიტყვები ისევ ყურში ესმოდა...

ამის მნახველს გული მოელაფნა და მწარე ღიმილით წა-მოიძახა „სისულელეა! წრფელ გრძნობას მხოლოდ ოცნება აჯილდოვებს!..“

— არ გეყურება, მალხაზ?!

— ახლავე!.. განა დრო არის?!

— საცაა ახალი წელი ჩემსავით კარებს შეგვინძრევს... შენს მეტი ყველა აქ არის.

— მეც ეხლავე მოვალ და ვიყოჩაოთ!... — უკანასკნელი სიტყვა თვითონაც არ იცოდა, რად წარმოსთქვა, თუმცა კი თავისდა უნებურად საყოჩაოდ მზადებას შეუდგა...

1899 წ.

ᲨᲔᲛᲣᲡᲕᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲪᲜᲔᲑᲐ

(ლეგენდარული ამბავი)

I

...მონადირენი არა სცხრებიან. მრავალი ირემი, ტახი და ქურციკი დასჭრეს და მოჰკლეს; დამფრთხალი ნადირი უგზო-უკვლოდ გარბის: ლომი, ვეფხვი, ირემი, ქურციკი ერთმანეთში აირივნენ და ყველა ერთსა სცდილობს, მოარიდოს თავი მონადირეთ.

ხმაურობს ტყე... საითაც კი სპილონი ხორთუმს გაიქნევენ, ლაწალუწით გზას უთმობენ ხეები. ნადირთა ამ უცნაურ მოძრაობაზე ფრინველთაც ხმაურობა ასტეხეს.

დიდებული დიდებულის ხმაურობით მიიღო ტყემ. სეფისწული თავისის მხლებლებით ნადირობს. ველი მოიფინა ტყიდან გამოცვივნულ ნადირით. მხლებლები მოკლულ ნადირის შეგროვებას ვეღარც კი ასდიან. ნადირობამ გაიტაცა. იმას აღარა ახსოვს რა ამის მეტი. თანდათან ნადირობის სურვილი უფრო უცხოველდება.

აგერ, ტყიდან გამოხტა ვეფხვი. თან ირემთა და ტახთა ფარა გამოჰყვა. ყურადღება აღარც კი მიაქცია ირემთა და ტახთა, რადგანაც უკვე მრავალი დახოცა. მოისურვა თავის ტაიჭის გამოცდა. ვეფხვს ცხენდაცხენ გამოეკიდა და სურდა, ლახტით მოესპო მისთვის სიცოცხლე. იგრძნო ტაიჭმა მხედრის სურვილი და ვითა ფრინველი, ისე გამოეკიდა, უგზო-უკვლოდ განვლეს მინდორი, ველი, ყანები. შემკრთალი ყანებში მომუშავენი თაყვანსა სცემენ და მუშაობა ავიწყდებათ. მთლად

მხედველობათ გარდაქმნილნი უმზერენ სეფისწულს. მათ თვალს უკეთესი არა უნახავს რა.

სეფისწულმა შორს ტყეს თვალი მოჰკრა. ხედავს, ნადირი ტყეში შეასწრობს. და ამისათვის, რაკი თავისი სურვილი ვერ შეისრულა, მშვილდისარს მიმართა...

ტაიჭი გაშეშდა. აჩქარებული სუნთქვა, ცხვირის ნესტოების საბერველივით ბერვა ამხელდნენ მის დაქანცვას...

მხედარი თვალის დახამხამების უმალ ძირს გადმოხტა და ჯერ ისევ მფორთხიალე ვეფხვს ხელი წაავლო, რომელსაც ისარი მარცხენა მხარის უკან დასმოდა და ზედ მილურსმოდა.

— კაკ-კუკ!.. კაკ-კუკ!.. — შემოესმა სეფისწულს ამდროს ყანიდან კაკუნი.

მიიხედა იქით, საიდანაც კაკუნი მოისმოდა და დაინახა: ვიღაც თმაგაწეწილი, ხნულში მჯდომი კაცი, გულმოდგინედ და დინჯად ორივე ხელით ქვას ხეზე ურტყამდა და თან ოდნავ კაკუნს თავსაც აყოლებდა.

სეფისწულს უცნობი კაცის ამგვარი უკმეხი საქციელი ეოცა. ყველა თაყვანს სცემს, ყველა მოწიწებით ეპყრობა და ეს კი, თითქოს მის ახლო არავინ არისო, თავისთვის ქვებს აკაკუნებს...

ვეფხვს ხელი უშო და უცხო კაცს უყივლა:

— ჰოი, კაცო, ვინა ხარ, ან რა სულიერი?!

უცნობი არცკი შეინძრა სეფისწულის ხმაზე. ის ისევ ისე ქვებს აკაკუნებს და თავის ქნევასაც ისევ ისე აყოლებს...

უარესად განრისხდა სეფისწული და სწრაფლ უცნობს მიეჭრა.

— თუ ენის მოძრაობაც მაგრევე შეგიძლიან, როგორც ხელებს და თავს ამოძრავებ, მიპასუხე, თორემ, ვფიცავ ჩემ წინაპართ, მოძრაობას მთლად შეგიყენებ! — ოდნავ ხელის შეხებით შესძახა სეფისწულმა.

უცნობმა შეაყენა კაკუნი. ცერად შეხედა სეფისწულს და ცალი თვალის მოხუჭვით ჩაქინებით მზერა დაუწყო.

— გამიგონე!.. — დაეკითხა სეფისწული, თუმცა კი სახის გამომეტყველებაზე შეატყო უცნობ კაცს შეშლილობა: — ვინა ხარ?

— ადამიანი!.. — იყო პასუხი შეშლილისა, და მისი თვალი მაინც არ შორდება სეფისწულს.

— სულელო, ადამიანისა რა გაქვს? — ღიმილით შეეკითხა სეფისწული.

— ხიჰ!.. სისულელე!.. — ღრეჭით უპასუხა შეშლილმა და სწრაფლ თავის გულმოდგინე მოქმედებას მიმართა: ისევ ქვების კაკუნი, ისევ თავის აყოლება, თითქოს ის ამით სეფისწულს ეუბნებოდეს: მომშორდი თავიდან, შენ შენი საქმე გაქვს მე კიდევ ჩემიო...

სეფისწულს, თითონაც არ იცის რად, მოღიმარი სახე თანდათან ეღრუბლება და სულ რამდენისამე წამის შემდეგ მთლად მოექუშა.

„ადამიანი!.. სისულელე!..“ აი, ახლა რამ შეიპყრო სეფისწული. ამას გარდა სხვა აღარა ახსოვს რა. დაავიწყდა ტაიჭი, მოკლული ვეფხვი, ნადირობა, რასაც ამ რამდენისამე წუთის წინად მთლად შეპყრობილი ჰყავდა...

— უმსგავსო, სეფისწული თავს გადგას, და შენ კი თაყვანს არა სცემ!.. — უეცრად სეფისწულის გვერდით გაჩნდა ერთი მხლებელთაგანი, ძლიერის ხმით შეუყვირა და თვალის დახამხამების უმალ შეშლილს ლახტი თავში დასცა.

სეფისწულმა ხმის ამოღება ვერცკი მოასწრო, ისე სწრაფად მოხდა ეს ამბავი.

თავჩაჩეჩქვილი შეშლილი გადაგორდა, რამდენჯერმე გაიკლაკნა და მოძრაობა მთლად შეუდგა...

— ჯავალი?!

— სეფისწულო...

თუ კი მდომოდა, მეც შემეძლო იამას საშინელი სახლისაკენ მაგისი გასტუმრება.

— მე...

სეფისწული გატრიალდა, ტაიჭს მოახტა და აუჩქარებლივ, ხმისამოუღებლივ სასახლისკენ გაემგზავრა...

II

...ორასამდის ბუმბერაზს უღრანი ტყის პირს უდარდელად სძინავს. მათი მკერდი მძიმედ ადის და დადის კაშკაშ მთვარის შუქზე. ეს პირველი ღამეა, რაც სეფისწული მამის ბრძანებით სახლიდან გამოვიდა. დღისა ათისა სავალი კიდევა აქვთ და აგრედვე უდარდელად დაიძინებენ ათ ღამესაც ცის ქვეშ. ორასი რჩეული ბუმბერაზი არას შეუშინდება, თუნდაც მთელი ქვეყანა მათზე ამხედრდეს. ხშირად, ძალიან ხშირად უღრან ტყეში თვითეულ მათგანს თვეობით გაუტარებია და ახლა შეერთებულთ რა გაუკრთობთ ძილს?!

მათი ტაიჭნიც განაპირას ხასხას, უმწიკვლო ბალახს მადიანად სძოვენ. პატრონებივით უშიშრად შეექცევიან და დროგამოშვებით ოდნავ ფრუტუნით აცხადებენ თავიანთ არსებობას.

წყნარად მოსისინე ნიავი თავს ევლება ტყეს; ყოველ ხეს ერთად ეკონება და საიდუმლოდ ეჩურჩულება, ესიყვარულება; ალერსით აფრთოვანებული ტყე გუგუნებს, ბუტბუტებს და ბანაკის განაპირს ხის ძირზე ზურგით მიყრდნობილ სეფისწულის გონებას სააზროვნოდ, საფიქროდ გამზადებულს ხელს უწყობს...

ერთი თვეა მის გონებას თავს არ ანებებს ერთი და იგივე კითხვა. არც დღე და არც ღამე მოსვენებას არ აძლევს. განმარტება სურს ამ კითხვისა. უნდა შეიგნოს. თითქოს კიდევაც სწვდება გონება მისი, შორს, შორს ეხატება მისი ახსნა, განმარტება; შორით ულიმის. აგერ, კიდევაც ფრთოვანდება სიხარულით მისი არსება, უნდა დაიძახოს: ახლაკი გამოვარკვიევო... მაგრამ, იმის სამწუხაროდ, სწორედ იმ დროს ან მამა მიიხმობს, ან რომელიმე დიდებული შევა იმასთან და გადასცემს მამის ბრძანებას, და ასე ახლოს მოტანებული ახსნაგანმარტება უეცრად უფსკრულში იკარგება, წყვდიადით იმოსება. ხოლო ამის მაგივრად მისი გონების თვალი ხედავს თავჩაჩეჩქვილ, მკლაკნავ შეშლილის გვამს და მოესმის მისი პასუხი: „ადამიანი!.. სისულელე!..“

ისევ ისე ხელმეორედ იწყება მისი ტანჯვა, ისევ ისე ტვინს ულრღნის კითხვა. სურვილი განმარტებისა უფრო უცხოველდება, ხოლო ხელის შემშლელნი სძულდება. მშობლებთან ყოფნა, დიდებულთა ხილვა მისთვის აუტანელი ხდება.

სასახლეში ყველა ხედავს სეფისწულის გუნების შეცვლას და თავისებურად ხსნის ამგვარ გამოცვლას. მეფემ დიდებულთათანა თათბირის შემდეგ მოიხმო თავისი ძე და ამ სიტყვებით მიმართა: „ძეო ჩემო! ახლა კი დაუძლურდა ხორცი ჩემი, აღარ ძალუძს გვამსა ჩემსა ურვება ქვეყნის სიკეთისათვის. აწ შენ უნდა იზრუნო ქვეშევრდომთათვის. ხოლო ვიდრემდის გარდმოგცემ ტახტსა ჩემსა, გაემგზავრე მეფე ლაქშმანთან, თან წაიყოლე რჩეული ბუმბერაზნი და მეომარნი. მეფე ლაქშმანს ჰყავს ასული, რომელიც ემსგავსების მზესა მას უბინდოსა. მიდი, დაამარცხე მისი ბუმბერაზნი და წამოიყვანე ასული იგი ცოლად. მე კი, ვიდრემდის შენ დაბრუნდებოდე, შეგიმზადებ ერს შენდა მოსაგებებლად...“

სეფისწულმა დაბლად თაყვანი სცა მეფეს და, აი, შედეგი ამ ბრძანებისა: ორასამდის ბუმბერაზი თან წამოიყვანა მეორე დღესვე ხმის ამოუღებლად და პირველ ღამეს ამ ტყის პირას დაბანაკდა...

ღრმა ძილში არიან ბუმბერაზნი. მხოლოდ სეფისწულს არ სძინავს და ახლაც, როდესაც იგი მზისა დარისა მოსაყვანად მიდის, მწუხარების მეტი სახეზე არა ეხატება რა. იქნება იმისთვის სწუხდეს, ვითომ ეფიქრებოდეს, ვაი თუ გაწბილებული გამომაბრუნონო, როგორც მრავალი სხვა გამოუბრუნებიათ. არა, ამისი ფიქრი სრულებით არა აქვს. მისი მსგავსი ჭაბუკი ჯერ დედამიწას არ უნახავს. ამას თითონაც კარგად გრძნობს. მარტოდაც გაემკლავება თუნდ ყველა ერთად შეკრებილთ ქალის ბუმბერაზთ და იმედიც აქვს გამარჯვებული გამოვიდეს. ანკი რად უნდოდა ეს ორასამდის ბუმბერაზი, როდესაც მარტოკასაც შეეძლო ქალის ბუმბერაზებზე გამარჯვება. მაგრამ მამის სიტყვას ველარ გადავიდა და ამისათვის იახლა თან...

ახლა კიდევაც რომ მივიდეს, როდესაც გული არ მისწევს, გაიმარჯვებსღა?! თუნდაც გაიმარჯვოს, ესიამოვნებაღა ეს?!

სეფისწულისთვის ამჟამად მხოლოდ ერთია სასიამოვნო, ეს განმარტება თავის არსებისა. კარგად იცის, მას ადამიანი ეწოდება, როგორც მის მსგავსს სხვებსაც და იმანაც კი, ვისაც ამ ერთი თვის წინად იმისმა მხლებელმა თავი ჩაუჩეჩქვა, თავის თავს ადამიანი უწოდა. მაშ...

— უაააა! — ამ დროს მოისმა შორიახლოდან თავზარდამცემი ღრიალი.

ტაიჭთ ყურები სცქვიტეს, ძოვნა შეაჩერეს და მოუსვენრად ფეხების ბარტყუნი დაიწყეს...

სეფისწულმა იცნო მხეცთა მეფის ღრიალი და ყურადღება სრულებითაც არ მიაქცია. ის ისევ თავის ფიქრებს მიეცა: „ისიც, მეც და სხვა მრავალი, — ფიქრობდა სეფისწული, — ადამიანები ვართ. აგერ გადაშხლართულებს სძინავთ. ეგენიც ადამიანები არიან. მსგავსი მზისა უბინდოისაც ადამიანია?! ადამიანია. მეც და სხვანიც დავდივართ, ვსვამთ, ვიბრძვით, ვქორწილდებით და ბოლოს ერთი წამი და...“

შეშლილის გვამი ცხადად ეკლაკნება თვალწინ. მკაფიოდ მოისმის მისი პასუხი... „ეს ხომ, აგერ, ტაიჭთ, სხვა ცხოველთაც ემართებათ?! თვით იმ მხეცთა მეფესაც იგივე მოელის, რომელმაც ასე მედიდურად დაიღრიალა... მაშ...“

თითქოს მისმა სხეულმა იგრძნო საფრთხე, რომ სულ უნებურად მიიხედა ტყისკენ. ფეხზე წამოხტომა ვერც კი მოასწრო სეფისწულმა, რომ მხეცთა მეფემ ტყის ნაპირიდან შეკრა კამარა და... საშინელი ჭექა მოისმა. სეფისწულმა ჯდომელამ სწორედ დროზე მოუქნია ლახტი და ლომს თავი შუაზე გაუპო. მხეცთა მეფე მის წინ უსულოდ დაეცა და მხოლოდ რამდენჯერმე გაიკლაკნა...

არაჩვეულებრივ ჭექაზე ტაიჭნი ყალყზე შესდგნენ, ბუმბერაზნიც წამოიშალნენ, მაგრამ გამოუფხიზლებელი თვალები უაზროდ აქეთ-იქით მიატრიალეს, შეიშმუშნენ, ისევ მიწვნენ და ღრმად ქშინვა დაიწყეს...

თუმცა ყოველივე ეს სწრაფად მოხდა, სეფისწულმა მაინც მკაფიოდ შენიშნა და ტუჩებზე მწუხარების ღიმმა გაუელვა: „აჰა, ისაც და ესაც უხმოდ, — წარმოსთქვა სეფისწულმა, —

თავჩაჩეჩქვილნი უსულოდ ჩემ თვალწინ გაიკლაკნენ. ორსავე ხვედრი ერთი და იგივეა... მაშ, რაღაა ადამიანი?!

„ადამიანი... ადამიანი... ეჰ!“ — სახის დაჭმახვნით მხრები აიჩეჩა და ზიზღით გადახედა ბუმბერაზთ, თითქოს ისინი ყოფილიყვნენ დამნაშავენი, რომ კითხვა ვერ განმარტა. „შეუძლებელია, ადამიანი ცხოვრობდეს და კი არ იცოდეს, რას წარმოადგენს, რა ადგილი უჭირავს სხვა ცხოველთა, მცენარეთა და სხვათა შორის!.. ჯერ ეს უნდა შევიგნო და შემდეგ მზისა დარიც იქნება და მეფობაც... მანამდის კი — არც ერთი...

„ჯერ... მაგრამ როგორ, როგორ გამოვარკვიო, როდესაც ყოველ ჟამს ხელს გიშლიან და მოსაფიქრებლად ერთ წუთსაც თავისუფლად არა გტოვებენ?!

„არა! ასე შეუძლებელია!.. უნდა განვმარტოვდე, წავიდე, გადავიკარგო. არავინ არ უნდა იცოდეს ჩემი სამყოფო. მხოლოდ მაშინ შემეძლება ახსნა-განმარტება!..“ — გარდაწყვეტით წარმოსთქვა და ზეზე წამოდგა...

III

..— ოხ, მშვენიერებავ!.. — ხმის კანკალით წარმოსთქვა მოხუცმა, პალაზას* ქვეშ რომ, ვითა ბრინჯაოსაგან გამოქანდაკებულს, ქალს თვალი მოჰკრა, და ნაბიჯი წინ ვეღარ გადადგა, თითქოს ეშინოდა, ქალის მყუდროება თავის მოძრაობით არ შეერყია.

დიდხანს, დიდხანს იდგა დამუნჯებული მოხუცი, რომელსაც გულზე ქვის ფიცარი ჰქონდა მიფარებული და სუნთქვაც კი შეუდგა. უმზერდა მოხუცი ღრმად ჩაფიქრებულს ახალგაზრდა ქალს, მის დახუჭუჭებულ თმას, რომელსაც გვირგვინად პალაზას მშვენიერი ყვავილები დასდგომოდნენ, მის აღგზნებულ თვალებს, რომლებიც ერთ წერტილს მისჩერებოდნენ; მის ოდნავ მოძრავ მკერდს, მკლავებს; მის ერთადერთ სამკაულს, რომელიც ბუმბულისაგან შესდგებოდა და

* „პალაზა“ ხეა. მშვენიერ წითელ ყვავილებს და უვარგის ნაყოფს ისხამს.

ქალის ხოლოდშობილებას წელს ქვევით მუხლებამდის ჰფარავდა; მის წვივებს, მთლად მის სხეულს, რომელსაც არავითარი ხინჯი, უსწორმასწორობა არა მოეპოვებოდა რა, და მთლად ვნებამ შეიპყრო.

თვალთ აუჭრელდა მოხუცს. პალაზა თავის მშვენიერი ყვავილებით თანდათან დიდდება, ფართოვდება; ჩქარა სივრცედ გარდაიქმნა, რომელშიც მხოლოდ მშვენიერი ყვავილები დაცურავენ და მათ შორის უმშვენიერესი ასული...

„ფფუუ!..: — მწარედ წაიფშუილა მოხუცმა და შიშისაგან ტანში ჟრუანტელმა დაურბინა.

ეგონა, ქალი ეგ ეგ არის სივრცეში გაიბნევა, ყვავილებში აირევა და სამუდამოდ დამეკარგებაო. თვალები მაგრად დაისრისა და როდესაც გაახილა, ისევ ის ხე, ისევ ის ქალი ხის ძირზე მხრით მიყრდნობილი დაინახა. სხეულის თახთახმა აიტანა მოხუცი: მკლავები, მუხლები, მთლად მისი სხეული, ყოველი წერტილი მისი სხეულისა თრთის, კანკალებს... უხარიან მოხუცს, რომ ასული ისევ მის ახლოს არის, მაგრამ ვერ გაუბედნია მივიდეს, მიუახლოვდეს. ისიც ვეღარ მოუხერხებია, აღარ იცის, საით გადაადგას ნაბიჯი, რომ მიუახლოვდეს.

ჭაბუკურ ვნებათაღელვას ვეღარ შეუძლო მოხუცის სხეულმა. თახთახი შეუდგა, ძარღვები მოუუძლურდა და ლაფანივით ჩაეხვია. თითქოს თვალთაც დაუბნელდა, მის გონებას რაღაც გაეკრა, შეჰბოჭა მისი თავი და აზროვნება შეუყენა...

კარგა დრომ განვლო, ვიდრე გონს მოვიდოდა მოხუცი...

—ოხ!... — მისუსტებულის ხმით წამოიძახა მოხუცმა და გამოურკვეველი, სხეულის სასიამოვნო სისუსტე იგრძნო, როდესაც მისმა თავმა აზროვნება დაიწყო.

აღარა ახსოვდა რა. მხოლოდ ერთს სასიამოვნო გრძნობას შეეპყრო, რომელიც მთლად მის სხეულში გაბნეულიყო და ასე მძლავრად მიესუსტებინა. სხეულის ყოველი წერტილი სტეხავდა, მაგრამ სასიამოვნო ნეტარი ტეხა იყო, და უნდოდა, სწყუროდა დიდხანს გაგრძელებულიყო ეს სიამოვნება...

— ვიჰ!.. — უნებლიედ წამოიძახა, როდესაც უეცრად თვალი მოჰკრა თავის დამბნედავს, და სწრაფლ ზეზე წამოიჭრა.

ტეხვა, ნეტარი ტეხვა დაეკარგა. ძალა მოიკრიფა და ფეხაკრეფით ქალს მიუახლოვდა...

— ვინა ხარ, მშვენიერო, ქვეყნად ვინ მოგავლინა?! — ჩუმად ნიავივით ჩუმად ეჩურჩულება მუხლმოდრეკილი მოხუცი: — იქნება განრისხებულმა კუვერამ ჩემ სანუგეშოდ ქვეყნად გადმოგაგდო?!* მაგრამ რას ვამბობ?! ნუთუ შენი სიმშვენიერე კუვერას, წინ, რაც უნდა დიდი დანაშაული გქონოდა, არ დაჰფარავდა?! არა!.. იქნება, როგორც ეს ხე, მშვენიერი ხარ და ამისავით უსარგებლო?! შენც...

ქალი ისევ ისე გაშტერებით მისჩერებოდა სივრცის ერთ წერტილს და მას მოხუცის ბაასი არ ეყურებოდა.

მოხუცმა ვეღარ მოითმინა, ხელი წაავლო ქალის ერთადერთ სამკაულს და ოდნავ დასწია. ქალმა იგრძნო. ის ვერხვის ფოთოლივით ათრთოლდა და მშველივით განზე გახტა, სამკაული კი მოხუცს ხელში შერჩა...

— ჰაა, ჰაა!.. — ერთიორჯერ დაბნევით და ტანის კანკალით წამოიძახა მოხუცმა, შემკრთალ ქალს რომ თვალი მოჰკრა, და მერე...

მერე იგი გონებამიხდილი იქვე გაგორდა...

— უეჭველად ბრამინთაგანი იქმნები?! — როდესაც, როგორც იყო, ქალმა მოასულიერა მოხუცი და თავისი სამკაული ისევ გაიკეთა, ამ კითხვით მიჰმართა.

— არა, მშვენიერო. მე... მე... — ხმის კანკალით ეუბნება მოხუცი: — მე სეფისწული ვარ...

— შენ? — განცვიფრებით დაეკითხა ქალი და, თითქოს რაიმეს იგონებსო, შუბლი შეიჭმუხნა და ღრმად ჩაფიქრდა.

— ჰო... ჰო, მე სეფისწული ვარ...

— ძალნო ცისანო! — ხელების მაღლა აპყრობით ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ წამოიძახა ქალმა და გაკვირვებით მიმართა მოხუცს: — ნუთუ შენ ის სეფისწული ხარ, რომელზედაც ზღაპრად მოგვითხრობენ?!

---

* კუვერა ღმერთია. ინდოელთა რწმენით მას ახვევია მშვენიერ მხეკვალთა გუნდი და რომელიც მათგანი გაარისხებს, დასასჯელად ქვეყნად, კაცთა შორის ისტუმრებს („რამას განდევნა", ს-ლის თარგმანი).

— როგორ თუ ზღაპრად?! — განცვიფრებითვე დაეკითხა სეფისწული...

— ამ ოცდაათის წლის წინად... — დაიწყო ქალმა...

— როგორ თუ ოცდაათის წლის წინად?!

—ჰო, რას გაიკვირვე?.. გუშინაც მაგრე მიამბო დედაჩემმა... იყო გმირი; იმისთანა, — ამბობდა დედაჩემი: — დედამიწის ზურგზე არ დაბადებულიყოვო... მამას უნდოდა მეფობა გარდაეცა, მაგრამ მეფობის გარდაცემამდის ჯერ ცოლის მოსაყვანად გაგზავნა და თან რჩეულნი ბუმბერაზნი გააყოლაო...

— ჰო... ჰო, მართალს ამბობ, მართალს. მერე?

— მერე, თურმე იმ ღამეს მინდორში ლომი მოეკლა და თითონაც სადღაც გადავარდნილიყო... ამის შემდეგ მისი გზა და კვალი დაიკარგა...

— ღმერთო, ღმერთო!.. ნუთუ ოცდაათი წელიწადია მას შემდეგ?!

— მაშ, შენ ხარ ის სეფისწული?

— რომელიც შენ ასწერე, ისა ვარ, მაგრამ ოცდაათი წელიწადი...

— ოჰ, სეფისწულო! — სიტყვა აღარ დაათავებინა ქალმა, იგი ფეხქვეშ ჩაუვარდა და მის ფეხებს კოცნა დაუწყო...

სეფისწული დაიბნა... მის სიამოვნებას საზღვარი აღარა ჰქონდა... თვითონაც ჩაიკეცა და ქალი გულში ჩაიკრა. სრულებით მოულოდნელი იყო იმისთვის ამისთანა შედეგი...

— სეფისწულო!..

— მშვენიერებავ!..

ერთიერთმანეთს აღარ აცდიდნენ სიტყვას. ორივე თრთოდა, ორივე ვნებად იყვნენ გარდაქმნილნი.

— გუშინ დედაჩემს ვუთხარი...

— მშვენიერებავ, რას მოვიფიქრებდი...

— ის ცოცხალი იქმნება და მოვამეთქი... გმირთაგმირი...

— ჰაა?!. შენ... მშვენი...

— გმირთაგმი...

— ყიიიპ!.. — უეცრად დასჭყივლა შორიახლოს ფარშევანგმა და ტყეს აუწყა გმირთაგმირის დაბრუნება...

IV

...მთლად მოკუმშულა სეფისწული. პალაზას ქვეშ მოკეცილა, ზის და ჭირის ოფლს ასხამს. ეწვის ტანი. სხეულის ჩხვლეტა, — ტეხვა აქვს... განძრახვისა ეშინიან... ეშინიან უკან მიხედვისა. ჰგრძნობს მის სიახლოვეს. თვალით არ უმზერს, მაგრამ ჰხედავს კი, რომ იგი, რომელსაც ამ რამდენისამე წამის წინ გულში სიყვარულით იკრავდა, რომელსაც უერთდებოდა, გულხელდაკრეფილი მის უკან სდგას და ზიზღით უცქერის... ოო, რა ცეცხლის მფრქველი თვალებია!.. თვით ყოველი არსების შემმუსვრელ აგნისაც არ ექმნება მაგეთი მრისხანე თვალები!.. შუბლზე ხელი მოისვა, ჩაიჭყლიტა თვალები სეფისწულმა და მწარის ღიმილით თავი გაიქნ-გამოიქნია. ამ დროს თვალი მოჰკრა მის წინ მგდებ ქვის ფიცარს და, თითქოს პირველად ხედავდესო, გულმოდგინედ კითხვა დაუწყო ჯვარედინად ზედ აღწერილს:

ჰოი კაცო!
„ნურას დროს ნუ დაეკითხები შენს თავს! რა არის ადამიანი!“
„ყოველგვარ მოვლენას შენ ცხოვრებაში გულგრილად შეხვდი!“
„ეცადე, შენი ცხოვრება მხოლოდ სიამოვნებით გაატარო!“

გულგრილად შეხვდი!.. მხოლოდ სიამოვნებით გაატარო!.. ხა, ხა, ხა, ხა!... ხა, ხა, ხა!... — დაიწყო გაბრაზებულმა საშინელი ხარხარი და ამავე ხარხარით განაგრძნო: — ოცდაათი წელიწადი, ჰოი, ადამიანო, იტანჯე, იწვალე; რამდენი მწარე ცრემლი აფრქვიე, რომ ეს სისულელე დაგეწერა?! მთელი შენი ძალა შეალიე და ახლა... ახლა რატომ ვერ მისწვდი სიამოვნებას, როდესაც შემთხვევა გქონდა, ან რატომ გულგრილად არ შეხვდი ამ შენს უძლურებას?! ააა!... ხა, ხა, ხა, ხა!.. ადამიანო, ადამიანო?! — ზეზე წამოიჭრა და ქვის ფიცარი ზედ აღწერილი სამი მცნებით მაღლა ამართა... — რა ხარ, რა, ადამია-

ნო?! — დაიღრიალა სეფისწულმა და ისე მაგრა მოუჭირა ქვის ფიცარს ხელები, რომ თითქოს მის დაქუცმაცებას ლამობდესო.

„ხა, ხა, ხა, სისულელე!..“ მკაფიოდ მოესმა ნაცნობი ხმა შეშლილისა და მისი ქვის კაკუნი...

სეფისწული გამოერკვა. ქვის ფიცარი — ოცდაათი წლის ნაშრომი — ძლიერად მიანარცხა პალაზას ძირს და ლუკმა-ლუკმა შემუსრა. მასთან ერთად თითქოს თავისი ძალაც მიაყოლაო, თვითონაც შეიმუსრა და იქვე ჩაეხვია.

ქალის მრისხანება კი განცვიფრებად შეიცვალა ამ სურათის შემდეგ...

1899 წ.

პატარა პეპელა

(ეტიუდი)

— მოიწი ჩემკენ, მოიწი!.. შენ კი არა გცივა?.. მე კი, აი, სიცივისაგან მთლად დავიბუხე, ლამის არის გავშეშდე, სიცოცხლე შემიდგეს... — ეხვეწება პატარა, ფუნჩულა თეთრი პეპელა, რომელიც ყვითელფოთლიან ჯაგს ამოჰფარებია, იქავე მჯდომ ჭრელ პეპელას და იმოდენა არაქათი აღარა აქვს, რომ თითონ მიიწიოს იმისკენ...

წვრილი ფეტვის-მარცვალი წვიმა კი დაჟინებით თავს დასდის, და თან სუსხიანი ქარი უსისინებს...

— ლამის არის მთლად ზედ შეგდგე, სადღა მოვიწიო?!

— არ გებრალები?! — კვნესით შესძახა ფუნჩულა პეპელამ და ოდნავ პატარა ფრთები შეარხია...

— მებრალები, მაგრამ რა ვქნა, როდესაც მეც შენი დღე მადგას?! — გულმხურვალებით უპასუხა ჭრელმა პეპელამ და ცალი ფრთა ზედ გადააფარა.

— ჰოო, ეგრე, ეგრე... ოხ, რა მადლობელი ვარ!

— ეეეხ, მართლა და, რა სულელი გამოვდექი, იმათ რომ დავუჯერე!.. — გულამოსკვნით წამოიძახა ისევ ფუნჩულა პეპელამ რამდენისამე წუთის სიჩუმის შემდეგ.

— რა იყო?.. როგორ? — ეკითხება ჭრელი პეპელა და გადაფარებულ ფრთას უფრო უჭუჭკავს.

— ახლა რომ მაგონდება, — კანკალით ამბობს ფუნჩულა პეპელა: — სირცხვილით ვიწვი...

— არ მეტყვი, რა იყო?

— ჯერ ახლად თვალი რომ გავახილე, — დაიწყო ფუნჩულამ: — და არემარეს გადავავლე, დავითვერი, სიამოვნების

ერუანტელმა დამირბინა ტანში. ჩემ თვალწინ გადაშლილიყო... ბედშავს, ველარც კი გამომითქვამს იმისი სიმშვენიერე!.. ათასფრად აყვავებული მდელო, რომელსაც შიგ შუაში მიუჩხრიალებდა ანკარა კამკამა წყალი და ნაპირებს აპკურებდა თავის გამაცოცხლებელი წინწკლებით, გადაჭიმულიყო ჩემ თვალწინ. ყოველ საგანს სინაზე, სიახლე ეტყობოდა. უთუოდ ისინიც ახლად იყვნენ გამოწვეულნი, გამოცოცხლებულნი, რომ პირველ მზის სხივზე მათ ცრემლვა დაიწყეს. მათი ცრემლი მზის სხივზე კრთოდა, ელვარებდა, და ის ანკარა წყალიც უთუოდ იმისთვის მოსთქვამდა ისე ნაზად და სასიამოვნოდ... არემარე ჩემსავით დამთვრალი იყო სიცოცხლის პირველი სხივით და სტიროდა სიხარულით!..

„...ახ, რა კარგია!.. გამოვერკვიე თუ არა, უნებურად წამოვიძახე და არ ვიცი, როგორ და რად დავიწყე ნავარდობა... მართლადაც, რა კარგი იყო!! ხან ერთს ყვავილს დავაკვდებოდი ზედ გულზე და ხან კიდევ მეორეს. მინდოდა, ყველას მივვალერსებოდი, ყველას გულში ჩავკროდი და ამისათვის არც ერთ ყვავილთან, არც ერთ მცენარესთან დიდხანს არ გავჩერებულვარ.

„ასე ვნავარდობდი, ვიდრემდის ბინდმა არ შემაყენა. ვიძახდი, რად დაბნელდა, რომ კიდევ მენავარდნა...

„გათენდა. ისევ ის ნავარდობა, ისევ ის სიამოვნება. ყოველ დღე ვსიამოვნებდი და სამწუხაროდ მხოლოდ ის მქონდა, რომ ღამეც არ შემეძლო სიამოვნება.

„ერთ ღამეს... ცოტა კიდევ ამომიჭუჭკე ფრთა... ეგრე, ეგრე... რანაირი სუსხიანი ღამეა!.. ჰო!.. ერთ ღამეს, მეთქი, ის იყო ბალახებში ჩავძვერი და ძილს ვაპირებდი, რომ უეცრად რაღაც სინათლე თვალს მომადგა. გავიხედე იქით, საიდანაც შუქი მოდიოდა და, აღარცკი მიფიქრია, მაშინვე იქითკენ გავეშურე. რას ვხედავ?! ირგვლივ ისხდნენ... უთუოდ გენახვება სადმე: ისინი ხშირად დადიან ძინდვრად და მათი მსგავსი პატარები ჩვენს ძმებს კიდევაც დასაჭერად დასდევდნენ... რა ვქნა, რამ დამავიწყა მათი სახელი?!

— ადამიანები?

— ჰო, ადამიანები!.. არგასაშვებმა მათმა პატარებმა ერთხელ კინაღამ დამიჭირეს... შემოსხდომოდნენ მაგიდას და ვახშმობდნენ... მაგიდას შუა იდგა რაღაც პატარა თეთრი, რომელსაც თავს დასობოდა მოელვარე, მოციმციმე ენა. მისი შავი ძარღვი ცოტათი წამოხრილიყო და გაღვივებული წვერი გამოენაპირებინა... ახ, რა მშვენიერება რამ იყო!!. ის, ის ჰფენდა არემარეს მკრთალ ნათელს... ის ატკბობდა იმ საზიზღრებს!.. პირველი შეკრთომის შემდეგ გავსრიალდი და თავს შემოვევლე... მისი სიახლოვე ვიგრძენ... ფრთა შევახე და.. ოხ, რა ნეტარების ჟრუანტელმა დამიარა ტანში!.. სიმწვავე ვიგრძენ, მაგრამ ნეტარი სიმწვავე!.. ტანი მომეშალა და, დარეტიანებულმა, მსწრაფლ ძირს ფორთხიალი დავიწყე...

„...რა სულელები არიან ეს მწერები: სიცოცხლეს თითონვე ისპობენო,“ — წამოიძახა ერთმა მაგიდის გარს მსხდომ ადამიანთაგანმა და იატაკზე გადამანარცხა...

„ძალიან მეწყინა... სატრფო მთლად დამავიწყდა... „სულელები... მწერები!..“ ეს სიტყვებიღა მიტრიალებდნენ თავში... მოვიკრიბე ძალღონე და მედიდურად ავუფრინდი მათ ცხვირწინ... მე დაგიმტკიცებთ, რომ მწერები სრულებითაც არ არიან სულელები მეთქი, თან ეს მივაძახე, და ის იყო და ის, მას შემდეგ ყოველგვარ სიამოვნებას მოვშორდი. ვერიდებოდი... „იგინი ჭკვიანები არიან, სულდგმულთა მეფედ ითვლებიან, მაშასადამე, უთუოდ სიცოცხლე სიცოცხლისათვის რაიმეს წარმოადგენს მეთქი“, ვფიქრობდი და ყოველთვის, როდესაც კი შევნიშნავდი რაიმე სიმშვენიერეს, რომელიც მაფრთოვანებდა, მიზიდავდა და გულს მიტოკავდა, დღე იქნებოდა ეს თუ ღამე, ვერიდებოდი, ვუფრთხოდი და, აი, სიცოცხლე დავიცევი ამ სუსხიანი ღამისთვის. სიცოცხლე შევინახე, რომ იგი ტანჯვით მომსპობოდა!.. ოოჰ, თუ გადავრჩი ამ სუსხიან ღამეს...

მაშინ... მცივა... მცივა... მაშინ... — შესწყვიტა ფუნჩულამ ამბავი, ჭრელი სმენად იყო გადაქცეული. დიდხანს ელოდა. ფუნჩულა რას იზამდა, თუ იმ ღამეს გადარჩებოდა, მაგრამ იგი მხოლოდ გაუგებრად წრიპინებდა. ჩქარა წრიპინიც შესწყდა...

— მაშინ რას იზამდი?! — ჩაეკითხა მოთმინებიდან გამოსული ჭრელი პეპელა, მაგრამ ფუნჩულა სდუმდა.

ჭრელმა პეპელამ შეარხია ფუნჩულა. ფუნჩულა ძირს ჩაგორდა.

— ვეღარ გადარჩა ამ ღამეს!.. — მწარედ წარმოსთქვა ჭრელმა პეპელამ და ღრმა ფიქრებს მისცა თავი.

1899 წ.

გიული*

I

მარტის ნახევარი იქმნებოდა, როცა ოჰანეზამ დატვირთული ურემი ალიას ბინის წინ დააყენა. ურემი ალიასივე იყო და იმისივე შვილი მოუძღოდა წინ. ამისთვის — არ ამოიღეს ხმა ქოფაკებმა. ოდნავ კი მოიხედა რამდენიმე წყვილმა ქოფაკმა ხმაურობაზე და ისევ ისე განცხრომას თავი მისცეს.

— ოო, მოხვედ მშვიდობით, ჩემო ოჰანეზ!.. — მიეგება ალია, რომელმაც, ის-ის იყო, ფარეხის დაბალ კარებიდან შაქრის თავივით ტყავის ქუდი გამოყო და შემდეგ ტკბილად მოღიმარი გრძელი, ჭაღარა, თითქმის გათეთრებული წვერულვაშით შემოსილი სახე გამოაჩინა.

— დამხვდი მშვიდობით, ალი!... როგორი დოლია?!. ცოლ-შვილით ხომ კარგადა ხარ, ჩემო ალი!... — ღიმილითვე ჰკითხა ოჰანეზამ ალიას და მოდუნებულად გამოწვდილს ხელს მოდუნებულადვე გაუქლასუნა.

— ალლაჰის წყალობით კარგადა ვარ! შენი მწყალობელიც იყოს, — უპასუხა ალიამ და დურა ტყავი, რომელიც ქოშების ქუსლებამდის ჰსწვდებოდა, მოიბურა.

— ცოტა არაა, ჰსუსხავს, შევიდეთ ფარეხში? — მიიპატიჟა ალიამ და წინ გაუძღვა.

— შენ დურა-ტყავს მკათათვეშიაც არ იშორებ. რა დროს სუსხვაა? მე კიდევაც მცხელა! — უპასუხა ალიას ოჰანეზამ

---

* გიული პირდაპირ ვარდს ნიშნავს. თათრები ქალსაც უწოდებენ ამას სახელად, როგორც ჩვენ „ვარდოს“. თათრებში მომეტებულ ნაწილად სახელად ყვავილების სახელებს არქმევენ.

და შემდეგ თავის მოჯამაგირეს მიმართა: — მიტრო, ხურჯინი ფარეხში შემოიტანე!...

ოჰანეზა, წელში ორად მოხრილი, შევიდა თუ არა, შედგა, წელში აიმართა და აქეთ-იქით ცქერა დაიწყო: მაგრამ პირველ წუთს ვერა გაარჩია რა. თუმცა ნაცნობი იყო ეს ფარეხი, მაგრამ მაინც წინ ფეხის გადადგმა ვერ გაბედა, რადგანაც ეშინოდა, არას მიჰხეთქებოდა: რამდენჯერმე თვალები მოიფშვნიტა, კიდევ მიიხედ-მოიხედა და შემდეგ, როდესაც კერის პირას ბოძზე მიყუდებულ, კბილებგამოყრილ და სახედაღმენჭილ დედაკაცს თვალი მოჰკრა, თვითონაც კბილები გამოყარა და მიუახლოვდა:

— ააა, იეთარ, როგორა ბრძანდები?!

— კარგადა, ჩემო ოჰანეზ. შენ როგორღა ხარ, შენის შვილებით?!. — თავის მხრით მოიკითხა იეთარმა და ხელი ჩამოართვა.

— აქა მშვიდობა! — შემოჰყო თავი თუ არა კარებში, დაიძახა მიტრუამ, და ისიც ოჰანეზასავით კარებში შედგა.

— აი, კერისაკენ მოიტა ხურჯინი! — დაუძახა ოჰანეზამ.

— დამაცა, თვალი გავიტეხო, ვერასა ვხედავ! — უპასუხა მიტრუამ თვალების ფშვნეტით.

თვალების მოფშვნეტის შემდეგ კარგად გატენილი პატარა ხურჯინი კერის პირას დასდო მიტრუამ.

— აბა, შენ იცი, მიტრო, როგორც ყველაფერს რიგიანად გააკეთებ. ხომ გახსოვს, შარშან სადაც გვედგა კარავი, იქავე დადგი, — უთხრა ოჰანეზამ მიტროს და ხურჯინს მიუჯდა.

თხუთმეტამდის დიდი თუ პატარა ოჰანეზას გარს შემოეხვია. ყველას თვალები ისე უბრწყინავდა, თითქოს, აგერ, ეს ეს არის, უნდა ხელი სტაცონ და დაითრიონ ხურჯინიო. ალია კი გვერდით მოუჯდა ოჰანეზას და ჩაყვითლებულს კბილებს არ მალავდა.

ცეცხლი ოდნავ ბჟუტავდა კერაზე და ღრჩოლავდა, რის გამოც ისეც ბნელი ფარეხი კვამლით იბურებოდა.

— აი, იეთარ, ეს შენთვის წამოვიღე! — დაიძახა ოჰანეზამ, როდესაც ხურჯინიდან ქაღალდში შეხვეული ნივთი ამოიღო.

— ოო, ჩემო ოჰანეზ! — მეტი არა უთქვამს რა. იქავე ჩა-

ცუცქდა და მაშინათვე გაშალა, წითელნიადაგიანი და თეთრ-ფოთლიანი ჩითი რომ დაინახა, პირი სიამოვნებით ყურებამ-დის გაეპო, და ისეც წვრილი, ჩაცვინული თვალები ბუდეში სულ დაემალა.

— ეს კიდევ ლეილას! — მეორე ნაჭერი მეორე დედაკაცს, იეთარზე უფრო უმცროსს, გაუწოდა.

ლეილაც იეთარს მიუჯდა და კალთაში წითელი მითელი გადიშალა. იეთარმა და ლეილამ ერთმანეთის საჩუქრებს გა-ფაციცებით სინჯვა დაუწყეს. ამ დროს რვამდის წვრილფე-ხობა მოუსვენრად ადგილობრივ ტიტველა ფეხებს ათამა-შებდა და ოჰანეზას თითქმის კალთაში უვარდებოდა. მაგრამ ოჰანეზა ხურჯინის ამოლაგებას არა სჩქარობდა. ის, თითქოს მღვდელმოქმედობდაო, მძიმედ ალაგებდა ხურჯინიდან.

— შენი რძლები სადღა არიან, ალი!.. აი, ეს ქოშები იმათ მოვუტანე!...

— რა კაცი ხარ, ოჰანეზ, რა კაცი!.. რომ არავინ დაგვიწ-ყებია! — მხარზე ხელის დარტყმით ჩამოართვა ქოშები და თავის ცოლებს გადააწოდა.

— სად არიან ქალები?! — თავის მხრივ დაეკითხა ცო-ლებს, როდესაც ქოშები მიაწოდა.

— წყალზე! — მოკლედ უპასუხა იმათ და ქოშებს ქექვა დაუწყეს.

— ეს კიდევ შენს ფარის. ის სადღაა?! — ისევ მძიმედ წამოიძახა ოჰანეზამ და მძიმედვე გაუწოდა რაღაც ქაღალდში გახვეული.

— ოჰანეზ! — მეტი ვეღარა თქვარა ალიამ. მთლად დადნა სიამოვნებით, რომ მისი უმცროსი, მისი საყვარელი ქალი, ათი წლის ფარი, არ დავიწყებია ოჰანეზას...

— ლეილა, ფარი სად არის?! — ჩაეკითხა ფარის დედას ალი და საჩუქარი გადააწოდა.

— ძალუებს გაჰყვა წყალზე!.. — ალიაზე არა ნაკლებ ნა-სიამოვნებმა ლეილამ უპასუხა და საჩქაროდ შემოაფცქვნა საჩუქარს ქაღალდი.

წვრილფეხობას უკვე იმედი გადაუწყდა. „ყველასათვის ამოიღო საჩუქრები“, — ფიქრობდა წვრილფეხობა. — „და ჩვენთვის კი არაო, ჩვენ არა მოგვიტანა რაო“. მოცმუკუნე შიშველა ფეხები შეუდგათ და მობრწყინვალე თვალები მოეღრუბლათ.

— აბა, ეხლა თქვენ მომიახლოვდით!.. — უეცრივ სწორედ დროზე მიჰმართა ოჰანეზამ წვრილფეხობას, თორემ წვრილფეხობა სასოწარკვეთილებას მიეცემოდა, და ერთი ქაღალდის პარკი ხურჯინიდან ამოაძვრინა.

მოღრუბლული თვალები წვრილფეხობას ისევ მოეწმინდათ ოჰანეზას ხმაზე და ფეხები ისევ აუთამაშდათ.

ოთხმოცამდის თითი მიეგება ოჰანეზას. იმას თითქმის კიდევაც შეეშინდა; თავი უკან გადიღო და ისე დაიწყო ფოჩიან კონფეტების დარიგება.

— ოოო, ოოო! — ყვიროდნენ ბავშვები, და ოჰანეზა კიდევ კონფეტებს უწყობდა ხელში მათ.

როდესაც ქაღალდის პარკი დაცარიელდა, ბავშვებმა საჩქაროდ პირი იბრუნეს, ხტუნაობით ფარეხის ხშირ და დაბალ ბოძებში აირივნენ და სიბნელის გამო აღარ მოჩანდნენ; მხოლოდ მათი ყიჟინაღა მოისმოდა, და აქა-იქ ბოძების შუადან მათი თვალები გამოასინათებდნენ.

— ოოო! — გაისმა ერთხმად ყველას ხმა და ფუნდრუკაობით ერთი-ერთმანეთს აღარ აცდიდნენ გარეთ გავარდნას.

— ალლაჰიმც გიშველის, რომ ე ბალღები გაახარე!.. — ალიამ ხელის გადახვევნით მიმართა ოჰანეზას, როდესაც ბავშვები კისრის მტვრევით გარეთ გაცვივდნენ.

— ახლა შენც გაგახარო და, ალი!.. აი, ეს კიდევ შენ! მოხუცებული ხარ, ჩაი, შაქარი გეყვარება,—უპასუხა ოჰანეზამ და ხურჯინიდან ერთი პატარა შაქრის თავი ამოიღო და გირვანქის მეოთხედი მცირეფასიანი ჩაის პარკუჭანა.

— რანაირად გადაგიხადო მადლობა, ოჰანეზ!.. — აღტაცებით წამოიძახა ალიამ და ლმობიერად მზერა დაუწყო.

II

იეთარი და ლეილა ქეთლის ადუღებას შეუდგნენ. ჩქარა კერაზედ ცეცხლი გააჩაღეს. ამ დროს ოჰანეზა და ალია გარედ გამოვიდნენ, რომ ენახათ, მიტრუა და ალიას შვილი ქერბალაი როგორ საქმიანობდნენ.

ალიას ბინა ცოტა ბექობზე იყო მოთავსებული. თითქმის მთლად ყარაის მინდორი მოჩანდა; თუ კი ვისმე თვალი კარგად უჭრიდა, ალიას ბინიდან ყველაფერს დაინახავდა. ოჰანეზა გამოვიდა თუ არა, თავის უნებურად გაშტერდა, და არემარემ თვალი მოსტაცა. მთლად ეს ტრიალ მინდორი, ქვევით კიდევ მტკვრის პირას ტყით შემოსილი ადგილი მწვანე ხავერდის სუფრად ქცეულიყო, რომელსაც უთვალავი ცხვარი შესეოდა, აქა იქ, თითქმის ყველგან, თითქოს თეთრი ძაფით ამოუქარგავთ მწვანე სუფრაზედო, ისე მოჰფენოდა ცხვარი. შორს, შორს სულ ქვევით გადახრილ მზის სხივებზე მოელვარებდა და მობრწყინავდა ჯაანგირი.*

— ეხლა რა ლამაზია ყარაია, ალი! — სულ უნებურად წამოიძახა ოჰანეზამ.

— კარგია ყარაია, აპრილის თხუთმეტამდის, ან გასულამდის. მერე კი წყეულია, — უპასუხა ალიამ და მიტრუასთან და ქერბალაისთან მივიდა, რომლებმაც კარავი უკვე დადგეს და ახლა ურმიდან კოდებს და ქვაბებს გადმოღება დაუწყეს.

— ქერბალაი, შენ წადი წყალზე. ქალებმა რაღაც დაიგვიანეს. ხომ არა შეემთხვათ რა. ამის გადმოლაგებას მეც ვუშველი. — ცოტა არეულის სახით უთხრა შვილს და კოდი კარავთან მიათრია.

— გიულიც იქაა? — შუბლშეჭმუხვნით დაეკითხა ქერბალაი მამას.

— იქაა!..

— მაშ შენ წადი!..

ალია ამ პასუხით გამშრალი გამოტრიალდა ოჰანეზასკენ, რომელიც ამ დროს მთებისკენ, საიდანაც ოდნავ ჯვარი მოჩანდა, მიბრუნებულიყო და პირჯვარს იწერდა.

---

* ჯანგირი — ტბაა ყარაიაზში.

— ოჰანეზ, — მხარზე ხელის დადებით ნაღვლიანად მიჰმართა ალიამ, — ხომ არ გამოივლი იქით?! მიტრო და ქერბალაი თითონ მოაწყობენ. შენი აქ ყოფნა მეტია.

— ვა, ალი, რატომ არ გამოვივლი! მაგრამ ჩქარა მოსაღამოვდება. აგერ მზე რამდენად გადახრილია!... სანამ იქ მივალთ, თუმცა ძალიან მინდა იმის დათვალიერება და თაყვანისცემა, მაგრამ ვერც მოვასწრობთ!

— ეეჰ, რა დროს თაყვანისცემაა?!.. მე ხომ თქვენ სალოცავისაკენ არ გიწვევ, — წარბების აწევით წამოიძახა ალიამ და წვერზე ხელი ჩამოისვა.

— ეს რამდენი წელიწადია, აქ მოვდივარ და ჯერ ერთხელაც არ მილოცნია და არ მინახავს ნათლიმცემლის საბერო! ვენაცვალე იმის მადლს, სულ ერთბაშად გადავუხდი... დავით გარეჯის საბეროც არის, აგერ, ჯაანგარის ტბის პირდაპირ... ოჰ, როდის მოვილოცავ იმას!

— როცა გინდა, მაშინ მოილოცე. ეხლა მე იმათ მოსალოცავად არ გიწვევ!

— იცი, ალი, ეგ ხომ ქართველების საბეროა, იმათი წმინდანების აშენებულია, მაგრამ მე მაინც...

— ქრისტიანები ყველა ერთი სისხლისა მგონიხართ! ეგ მე არ ვიცი. როცა გინდა, ილოცე და როცა გინდა, ილანძღე, ეხლა კი, ამ წყაროსაკენ გავიაროთ!

— წყაროსაკენ?!

— ჰო!...

— წავიდეთ!.. მეგონა, საბეროსკენ მეუბნებოდი. ვენაცვალე იმათ მადლს, როდისმე უეჭველად მოვილოცავ!..

III

ქოფაკი! — წამოიძახა ქერბალაიმ, როდესაც მამა, ალია მკვახე სიტყვით გააბრუნა და კოდს სწორება დაუწყო.

— ქერბალაი, — რატომ აგრე ურიგოდ იხსენიებ მამაშენს?! — დაეკითხა მიტრო ქერბალაის და ურმის ჭავლს მოჰკიდა ხელი.

— ურიგოდ მოხსენება კი არა, დახრჩობაც ცოტაა! —

უპასუხა ქერბალაიმ და კოდზე მისვენებით მიტრუას თვალებში მზერა დაუწყო.

— რა ვიცი, ქერბალაი, მე რომ მამა მყვანდეს, ყველაფერს ვაპატიებდი! ეს ოხერი, არც დედა და არც მამა არ მახსოვს, და ისე კი მგონია, რომ მშობლებს ყველაფერს მივუტევებდი და მაგრე ურიგოდ არ მოვიხსენიებდი.

— მშობლები რომ არ გახსოვს, მაგრე იმისთვის ამბობ. მამაშენს ის რომ ჩაედინა, რაც მამაჩემმა, მაშინ, განა არ გიცნობ, შვილოსა, ცოცხალს შესჭამდი.

— ისეთი რა ჩაიდინა რომ მაგრე ამბობ?!

— ჰო და... ჯერ გაიგე და მერე ისე გამამტყუნე!..

— მაინც ისეთი რა ჩაიდინა!?

— რაღა რა ჩაიდინა, დაიწყო ქერბალაიმ და აქეთიქით მიიხედა, გასაკეთებელი ხომ აღარ დაგვრჩა რაო და ყველაფერი რომ რიგზე დაინახა, განაგრძო: — ხომ გახსოვს. შარშან ზამთარს ჩვენ გვერდით, აგერ იქ, რომ ბინა ეჭირა, ველი-ბაირამ-ქუჩუკ-ოღლის? ჰო, და შარშან ეშმაკად აქ ჩამოვიდა ჯალაბობით. წინად ერთხელაც არა ყოფილა აქ. იქნება აღარც კი მოვიდეს როდისმე აქა, არ ვიცი, შარშან რამ მოათესლა აქ?! ნეტავი, ფეხი გახმობოდა და შარშანაც არ მოსულიყო!..

— უი, უი, ბედშავო, რად ამბობ მაგას?! ნეტავი, წლეულაც მოსულიყო!.. ისეთი ლამაზი...

— მიტრო, — უეცრივ შეაწყვეტინა სიტყვა ქერბალაიმ, — იმისი ქალი შენ ძალიან მოგწონდა, განა?!. ეხლა მაგონდება, რამდენჯერ გითქვამს ჩემთვის: „ახ რა კარგი რამ არისო!...“ რამდენს ემასხარავებოდი ჩემთან და ეუბნებოდი: „მოგიტაცებ და ცხრა მთას იქით წაგიყვანო!..“

— მართალს ამბობ!.. — უპასუხა მიტრუამ, და ქერბალაის აღელვებამ იგი ძალიან შეაშფოთა.

— შენ კიდევაც მითნარი, განა, დამეხმარე, იქმნება, როგორმე მოვიტაცოვო?!

— მართალია, მართალი!..

— მართალია და... იცოდე, ეხლა ის ქალი ჩემი დედინაცვალია!.. — შუბლშეჭმუხვნით და მკაფიოდ წამოიძახა ქერბალაიმ.

— როგორ?!. — მეტი ვერა მოახერხა რა მიტრუამ და სწრაფად ქერბალაის ერთის გადახტომით ხელი დაუჭირა.

— როგორ და ისე, რომ დედაჩემი მოკვდა. ერთი თვის შემდეგ მამაჩემმა ის ქალი მოიყვანა...

— უი, საწყალი!.. რა დაემართა?!. დედასავით მიყვარდა დედაშენი. ნეტავი არ გეთქვა! რა კარგი ადამიანი იყო!.. — გულწრფელი მწუხარება გამოიხატა იმის სახეზე.

ქერბალაის გული აუჩუყდა მიტრუას მწუხარებაზე და თვალებზე ცრემლი მოადგა.

— საწყალი ხაჯა!.. თვალწინ მიდგა იმისი კეთილი სახე; იმისი ტკბილი ხმა მეყურება: „შვილო მიტრო“, თითქოს ისევ ტკბილად მეძახოდეს, „მოდი, პური მოგშიოდა, ჭამეო!“

ქერბალაიმ თვალები მოიწმინდა, თავი შეარხია და დაიწყო:

— ჰო, დედაჩემს ძალიან ვუყვარდი. კეთილი ადამიანი იყო. ხშირად უთქვამს: „ნეტავ მიტრო ქართველი არ იყოსო. ან მუსულმანი იყოსო, რომ ჩემი სალბი ჩემი ხელითვე მივუყვანო და ცოლად დავუსვაო. მიტროს მე სასყიდელს არ გამოვართმევდიო... დედაჩემი ძალიან მიყვარდა... ისე არავინ მყვარებია ჯერ. ჩემი სონაც არ მიყვარს ისე. ხომ სონას მეტი ჯერ აღარა მომცემია რა და მომეცემა თუ არა, ეგ ალლაჰმა უწყის. ის სონა რომ მომკვდომოდა, ის მერჩივნა, ოღონდ დედაჩემს ეცოცხლნა.

— საწყალი ხაჯა, საწყალი! — მწუხარებით გაიძახოდა მიტრო და, თითქოს გიული სულ გადაავიწყდაო, აღარ უხსენებია...

— მიტრო, — რამოდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ ლმობიერად მიუბრუნდა ქერბალაი: — დედაჩემს ძალიან ვუყვარდი. აი, ეს მესამე წელიწადია, აქ მოდიხარ და მეც შენი ცუდი არა გამიგონია რა. მხოლოდ შენი სიკეთე და სივაჟკაცე მოუხმენია ჩემს ყურებს. წინად, როცა დედაჩემი ცოცხალი იყო, შენი სივაჟკაცე და სიკეთის გაგონება მწყინდა, მშურდა და... ეჰ, ჩემო მიტრო, რა დაგიმალო, კიდევაც ვცდილობდი შენს დაღუპვას. მინდოდა შენი აქედან გაძევება და ოჰანეზასათვი-, საც რამდენჯერმე შენზე ცუდი მითქვამს...

— ქერბალაი, — სიტყვა გააწყვეტინა მიტრუამ და პირდაპირ თვალებში ცქერა დაუწყო: — მე კი ძმასავით მიყვარდი და ისე გენდობოდი, როგორც ჩემს თავს...

— მე კარგად ვიცი, მიტრო, კარგად და ეხლა იმისათვის ვწუხვარ, რომ რად მომდიოდა ეგ! დედიჩემის უბედურების გაგონებაზე შენმა წუხილმა თვალები ამიხილა. მამაჩემს, მამიჩემის პირველ და მესამე ცოლებს, ისმაილს და ალავერდის — ჩემ ძმებს — ისე არ უწუხნიათ, როგორც ეხლა შენ შესწუხდი... შენმა შეწუხებამ გამაშავა და, მეგობარო, უარესად ნუღარ გამაშავებ!.. დამნაშავე ვარ შენთან!..

— ქერბალაი, რად მეუბნები მაგეებს?!. მარტო იმისთვის გითხარი, რომ შენზე იჭვიც არ შემიტანია, გეჯავრებოდი თუ არა და ეხლაც არ მჯერა.

— ვიცი, ვიცი, მიტრო, და დღეის შემდეგ შენ თავს ისე ნუ ენდობი, როგორც მე მენდო...

— დღეის შემდეგ კი არა, გიმეორებ, ყოველთვის მაგრე ვიყავი.

— მაშ მოიტა ხელი და დედიჩემის სული იყოს ჩვენი მოწმე ჩვენი ძმადგაფიცვისა! — აღგზნებით წამოიძახა ქერბალაიმ და მაგრად მოხვია ხელი მიტრუას...

— მამაშენი საით წასულა? ოჰანეზა სადღაა?! — დაუძახა იეთარმა ქერბალაის, რომელიც ამ დროს ფარეხიდან გარეთ გამოვიდა ჩაიზე მისაწვევად.

— გიულის მოსაყვანად წავიდა!.. — მკვახედ მიაძახა ქერბალაიმ.

გიულის ხსენებაზე მიტროს გული აუტოკდა, ფერი ეცვალა და სხეული შეუთრთდა. იეთარს კი ტუჩები გაეპო და მსხვილი კბილები გარეთ გადმოუცვივდა.

— უი, არ იყოს იმისი თავი, არა!.. სამოცდათექვსმეტის წლის კაცია და ჩვიდმეტი წლის გოგოს ცოლად ირთავს!.. ნეტავი თავი ჰქონდეს მაინც რისამე! — ზიზღით წამოიძახა იეთარმა და წყაროსკენ მიიხედა...

— მგონი, ჩვენზე კბილებს ილესავს, რომ გიული წყალზე გავგზავნეთ!.. — ცოტა სიჩუმის შემდეგ იეთარი მიუბრუნდა ქერბალაის და მიტროს.

— გიული ქალბატონად გაგიხადათ მამაჩემმა.

— ქალბატონად კი არა, დედოფლად უნდა მამაშენს.

ქერბალაი ამ სიტყვებზე მოიჭმუხნა, თავი ძირს დახარა და შარჯვენა ფეხის ქალამნის ჭვინტით მიწას თხრა დაუწყო.

მიტრუა ხომ გიულის ხსენებაზე ტანის თახთახით, თითქოს იმათ ლაპარაკს ყურადღებას არ აქცევსო, გულაღმა გადაწვა კონკილა გამოცლილ ურემში.

— იცი, იეთარ, მიტრუას არა სცოდნია დედაჩემის სიკვდილი და სალბის გათხოვება!..

— საწყალი ხაჯი, ოცი დღის შემდეგ გარდაიცვალა სალბის გათხოვების შემდეგ!.. — დაიწყო წუწუნი იეთარმა და იქვე ფარეხის დერეფნის ბოძთან ჩაჯდა!..

მიტრუაც ურმის ზეწარს გადმოეყრდნო და იეთარის წუწუნს ყური დაუგდო.

— განა ოჰანეზას არ უთქვამს შენთვის, მიტრო, ხაჯის უბედურება?!.

— არა!..

— ოჰანეზაც აქ იყო ხაჯის უბედურებაზე. ოჰ, რა ადამიანი იყო!.. ეხლა ხაჯის მაგივრად, მამაჩემმა ვერ უყურებ, რა დედა მომიყვანა!..

მიტრუას გული ისევ აუტოკდა, გაფითრდა და ტანი შეუნესტდა. ფეხზე რომ მდგარიყო, დაეცემოდა, ისე მოუდუნდა სხეული.

IV

ალია და ოჰანეზა ერთმანეთს მხარდამხარ ამოუდგნენ და ხმის ამოუღებლივ წყაროსაკენ გაემგზავრნენ. ორივე თავთავიანთ ფიქრებში იყვნენ გართულნი. ოჰანეზა ფიქრობდა: „ეს ცხვარი რომ სულ ჩემი იყოს, მაშინ ნახავდა ქალაქი თავის დღეს! ოჰ, ამ სააღდგომოდ ბატკანს და ყველს რამდენს ამოვაღებინებდი!.. მაგრამ, აგერ, ჩემი ერთი კარავი მოსჩანს და სხვისი კიდევ ათასი. ყველანი მოსულან ყველის საკეთებლად. სხვებმა კიდევაც დამასწრეს!.. ეჰ, ჩემ ძმას რა უთხრა, რომ ამდენ ხანს დამაგვიანა. ვინ იცის, აქნობამდის რამდენს ყველს

გავაკეთებდი“... — ფიქრობდა ოჰანეზა და ალიას არც კი ამჩნევდა, რომელიც აგრეთვე ფიქრებში იყო გართული, მაგრამ სულ სხვაგვარ ფიქრებში: იმას თვალწინ ეხატებოდა გიული და თავბრუ ესხმოდა. ძაღლივით უკანა სდევდა ალია ვიულის. უნდოდა დღე და ღამე სახლში ჩაეკეტნა, სახლიდან გარეთ არ გაეშვა, კლიტე დაედო, როდესაც თვითონ სხვაგან წავიდოდა სადმე. ასეც აპირობდა, მაგრამ სახლში ყველანი ეწინააღმდეგებოდნენ; ყველამ მგლის თვალით დაუწყო ცქერა და ისეთ-ისეთ სიტყვებს აგონებდნენ, რომ გულსა და მუცელს უმღვრევდნენ. რა ექმნა ალიას, ისე როგორ მოეხერხებინა, რომ მუდამ თვალყური ედევნებინა გიულისათვის, რომ ის მარტოკა არსად გაეშოთ?!. ფიქრობდა დღე და ღამ იმაზე ალია, მაგრამ ვერა მოეგვარებინა რა. თითქმის ყოველთვის ამის წინააღმდეგი მოსდიოდა. იმის წინ, თუ უკან, მისი ჯალაბობა ყოველთვის გზავნიდა ხან სადა, და ხან სად არა. რამდენჯერ წინააღმდეგობა გამოუცხადა ალიამ, რამდენჯერ დაუტია იეთარს და ლეილას: „ნურსადა გზავნიო“!.. მაგრამ დატევაზე უარესი მოახდინეს. „ჩვენ ქალბატონი არავინ გვინდაო!“ ყოველთვის მკვახედ მიახლიდნენ ხოლმე პირში. ორსავე ცოლს დააღრჩობდა, მაგრამ... ოხ, იეთარს პირველად დააღრჩობდა... „ის, ის შეღობება ყოველთვის წინ!.. “ — გაიფიქრა მწარედ ალიამ: — იმან გადამირია შვილები!..“

„ლამის არის, შვილებმა წამახრჩონ. ოხ, იეთარ, იეთარ!.. — კბილებს კრაჭუნით უსიტყვოდ წამოიძახა ალიამ და შუბლი მაგრად მოიჭყლიტა: „რაღა მაშინ მოგაგონდება ხოლმე, შე ქოფაკო, ოცდაათი ძროხა და ხუთასი ცხვარი, როდესაც ჩემი შვილები ერთად დგანან: „ეხ, ჩვენი ოცდა ათი ძროხა და ხუთასი ცხვარი, რომელიც ემ გომბიოში მისცა მამათქვენმა, ეხლა რომ გვყვანდეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო“!.. იეთარის ამ სიტყვებმა ახლაც გაუელვეს თავში, მკაფიოდ მოესმა მისი ღვარძლიანი ხმა და გული ბრაზით აევსო. ამ წუთას იეთარი რომ წინ შეფეთებოდა, ხელი არც კი აუკანკალდებოდა, ისე წააღრჩობდა. კიდევაც თვალებგაბრწყინებულმა მიიხედმოიხედა, ეგონა, იეთარი აქ მოგვდევსო და იმისთვის მომესმა ასე მკაფიოდ მისი ხმაო, მაგრამ თავის

გვერდით ოჰანეზას მეტი ვერავინ დაინახა, რომელიც რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა და გამოერკვა...

„მართლა, — ჩაილაპარაკა თავისთვის ალიამ: — ძვირად დამიჯდა გიული!.. ოცდაათი ძროხა და ხუთასი ცხვარი, მგონი, ბეგებსაც არ მიუციათ ქალში. მე კი... ოო, ქუჩუკ-ოღლი ეშმაკი კაცია!.. შემატყო, რომ გიულის იქით გზა არსით მქონდა და ამისთვის ფეხი დამაჭირა. ძალიან ბევრი მივეცი. შვილები გავღვარცლე, მაგრამ“...

რამდენიმე წუთით მოსაზრება შეუწყდა. საზრის მაგივრად თვალწინ გამოეჭიმა გიული თავისი ცეცხლის მფრქვეველი თვალებით, რომლებიც დროგამოშვებით იბინდებოდნენ მეტისმეტი ვნებით, თავისი საროს ტანით ჯერ შემოსილი, მერე კი შიშველი, მისი მთრთოლვარე კუნთები, მკერდი, რომელზედაც ოდნავ, საშინლად ნაზად ხელს უსვამდა!.. ოხ, რა ნეტარება, სიამოვნება იგრძნო ალიამ!.. მის გვერდით წევს გიული, ვერხვის ფოთოლივით თრთის ყოველს მის ხელის მიკარებაზე. ალია?!. ალია მხოლოდ ამით სიამოვნებს, მთლად დნება!.. მეტი არა უნდა რა და მოდუნებულს მეტიც არა შეუძლიანრა!.. ძალა აღარ შესწევს!.. რა ბედნიერია ამ დროს ალია!.. ამ ბედნიერებისთვის...

— მთლად ჩემს სიცოცხლეს შევსწირავ!.. — ხმამაღლივ წამოიძახა ალიამ და ხელი მაგრად გაიქნია, რომელიც ოჰანეზას შიგ ცხვირში მოხვდა...

— ვაი! — ერთი ისეთი დაიღრიალა ოჰანეზამ და იქავე ჩაიკეცა, რომ ალიას გული გაუსკდა.

— ოჰანეზ, ოჰანეზ!.. — გულგახეთქილი ალია დასტრიალებდა ოჰანეზას...

— ნუ მომკლავ, შენი ჭირიმე!.. — გონებამიხდილი ოჰანეზა ეევედრებოდა ალიას, და თან ცხვირიდან ორტოტად სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა.

— ოჰანეზ, დამშვიდდი, შენი მოკვლა არავის უნდა. უცაბედად მომიხვდა ხელი!

— ოჰ, ალი!.. — ცოტათი გონსმოსულმა ოჰანეზამ წამოიძახა: — რა საძაგელი ხელი გქონია!.. ტყვიასავით მომხვდა.

— მეც არ ვიცი, როგორ მომიხვდა ხელი! ადე, წყაროსთან მოიბანე. ექავე, ბექობს იქიდან არის!

— ჩემთვის ჩაფიქრებული მოვდიოდი. უეცრივ ისე მწვავედ მომხვდა, რომ გონება დამეკარგა!.. — თავწინ წახრილი, ჩაცუცქული იჯდა ოჰანეზა და წყაროზე წასვლას სრულებით აღარ ფიქრობდა.

შემოესმათ ამ დროს ხმაურობა. ალიამ მიიხედა და ქალები დაინახა, რომელთაც ბექობის იქითა მხარედან თავები ამოჰყვეს და ზურგზე თოკებით დაშარტული სპილენძის თულუხების* თავებიც ამოაჩინეს.

— აი, ჩქარა წამოდით! — ხელის ქნევით დაუწყო ყვირილი ალიამ.

მამის ხმის გაგონებაზე ფარი სრიალით გამოქანდა და თან თიხის ლიტრას, წყლით სავსეს, მოარბენიებდა. სხვა ქალებმაც ფეხი ააჩქარეს.

ოჰანეზას შესწყდა სისხლი. ერთი ლიტრა წყალი მოახმარა ალიამ. ქალებიც მოვიდნენ თულუხებით და მათ ოჰანეზა ახალუხის კალთებიდან გამოგლეჯილ ბამბით ცხვირის ნესტოებ გამოტენილი, რაც ისეც უშნო ცხვირს უფრო აუშნოებდა, ელაპარაკება, ღრეჭით ელაზღანდარავება.

— ყველანი მოიკითხა, ფარის მადლობა გადაუხადა და გიული, რომელიც ყველაზე განაპირებით იდგა, დაღონებული რომ დაინახა ალიას რძლებს დაეკითხა: „ეს ვიღააო“?...

— ეგ ჩვენი დედამთილია!.. — ცოტა არ იყოს, შხამიანი ღიმილით უპასუხეს ოჰანეზას.

— როგორ?! — გაკვირვებით დაეკითხა ოჰანეზა.

— როგორ და ჩვენი მამამთილის ცოლია!.. — იმავე ღიმილით უპასუხეს ქალებმა.

ოჰანეზა გაკვირვებით ხან ალიას შეხედავდა და ხან კიდევ გიულის. ფერმიხდილი გიული რძლების დაცინვაზე მიწაში ჩავარდნას ნატრობდა. ალიამ კი თვალები გადუბრიალა ქალებს და უსიტყვო კითხვის პასუხი მისცა ოჰანეზას: „გიული ჩემი ცოლიაო“!..

ოჰანეზამ თავი გაასავსავა, ხუთი თითით პირჯვარი გადიწერა და, თითქოს არავის უცქერისო, წამოიძახა: დაილოცოს

---

* კოკის მსგავსი სპილენძის ჭურჭელია. მთიულეთშიაც ხმარობენ ამ ჭურჭელს.

ალლახი, რომ შენისთანა მოხუცს ემაგისთანა მარიხვარსკვლავზე ულამაზესს ნორჩს ქალს აკუთნებს ხოლმე!“.

ოჰანეზას მოძრაობა და კილო ისე ოხუნჯური იყო, რომ ქალებს ძალაუნებურად ფრუტუნი აუტყდათ. გიულისაც კი, თუმცა ის, რაც ალიას ცოლად მისცეს, გულჩათხრობილი იყო, მკვრივი ტუჩები გაეპო და ნაღვლიანი ღიმი გაუთამაშდა.

ალია კი მოიღრუბლა ოჰანეზას სიტყვებზე.

ოჰანეზას კილო გულს ლახვრად მოხვდა და ქალებს სასტიკად უბრძანა: „მგონი, დროა სახლში წასვლისა; გეყოფათ ლაზღანდარობა!“

ოჰანეზა მიჰხვდა თავის შეცთომას. ოჰანეზამ ქალების სასიამოვნოდ იოხუნჯა და უმთავრესი კი დაავიწყდა.

ქალები მაშინვე ტუსტუსით წავიდნენ ბინისკენ. ოჰანეზა და ალიაც მათ უკან დაედევნენ. ოჰანეზამ მოასწრო ბინაში მისვლამდის ალიას გულის მოგება და ისევ ისე მეგობრები მიეიდნენ ბინაში, როგორი მეგობრებიც იქიდან წამოვიდნენ...

V

იეთარმა ჩამოურიგა კერის გარს შემომსხდართ ჩაით სავსე ჭიქები და კვნიწებად დამტვრეული შაქარი. ზოგმა მათგანმა რამდენიმე კვნიწი შიგ ჩაყარა. ზოგმა კიდევ თითო კვნიწი პირში ჩაიგდო, ცხელი ჭიქა თითის წვერებზე დაიყენეს და ოდნავ წახრილებმა ხვრეპა დაუწყეს. ვინც დაიშაქრა, რამოდენისამე წამის შემდეგ იმათ ეგრევე შეიყენეს ჭიქები და ისევ ისე ხვრეპა დაიწყეს. დამშაქრავებთ ცოტათი დაუგვიანდათ, რადგანაც ერთი კალის კოვზი იყო და ამისათვის ელოდნენ რიგს. ჯერ ოჰანეზამ მოურია, მერე ალიამ, ამის შემდეგ იეთარმა, ლეილამ, და ბოლოს ალიას უფროსმა რძალმა — ქუქაზბანმა. ყველანი, რაკი ჩაი ცხვლი იყო, ჭიქებს ტუჩებს არც კი აკარებდნენ და შორიდან სრუტავდნენ, რის გამოც მათი სრუტვის ხმაურობა გარედაც გაისმოდა...

დასცალეს თითო ჭიქა. მეორეც ჩქარა მოჰყვა. მეორეს კიდევ მესამე და ზოგმა მეოთხეც ზედ მიაყოლა, მაგალითად, ალიამ და ოჰანეზამ.

მიტრუამ კი ერთი ჭიქის შემდეგ უარი განაცხადა. იგი ქერ-ბალაის გვერდით იჯდა და დროგამოშვებით გიულის შეუმჩ-ნევლად თვალს აპარებდა. გიული და ფარი ერთად ისხდნენ; პირველ ჩამორიგებაზე მათ ჭიქები არ შეხვდათ და მეორე ჩა-მორიგებაზე კი, რადგანაც მიტრუამ უარი განაცხადა, მისი ჭი-ქა გიულის გადაუდგა იეთარმა.

ოჰ, რა სიამოვნება იგრძნო მიტრუამ, როდესაც გიულის ტუ-ჩები შეეხნენ იმ ჭიქას, რომლითაც იმან ჩაი დალია! ყველანი ჩაის სმაში იყვნენ გართულნი, მხოლოდ მიტრუა ვერ ისვენებ-და, არ ეჯდომილებოდა აქ. უნდოდა გასულიყო გარეთ, მაგ-რამ გიულის სახე იჭერდა, ვერ დაეთმო, თუმცა ოდნავ, დრო-გამოშვებით, შეეხედავდა ხოლმე. ეხლა უფრო დამშვენებუ-ლიყო გიული. წინად მხიარული, უდარდელი გიული, დადინ-ჯებულიყო. სახე ცოტათი მოჰლრუბლოდა, და ეს უფრო ამ-შვენებდა გიულის*. გიულის შეხედავდა თუ არა მიტრო, მაშინვე ალიაზე გადიტანდა თავის თვალებს, და ყოველთვის, მისდაუნებურად, ქერბალაის სიტყვა — „ქოფაკი“ — გაურ-ბენდა ხოლმე თავში...

„ეხვევა, ჰკოცნის“ — უეცრივ თვალწინ წარმოუდგა მიტ-რუას ალია და გიული ერთ ლოგინში, და ტანი შეუკრთა: „იქმ-ნება კიდევაც... — გაეფიქრა უეცრივ მიტრუას და ტანის წვა აუვარდა, მაგრამ ამავე დროს იეთარის სიტყვები მოაგონდა: „ნეტავი თავი ჰქონდეს მაინც რისამე“-ო — და, თითქოს უება-რი წამალი იყოსო, ისე იმოქმედა ამ სიტყვებმა. წვა შეუდგა და გულსაც ეფონა.

მიტრუამ კიდევ შეხედა გიულის. გიულის გაეთავებინა ჩაის სმა, ბოძს მიჰყრდნობოდა და ნაღვლიანი თვალები მის-თვის მიეჩერებინა. ერთმანეთს შეხვდნენ მათი თვალები, და ორთავემ, ჭარხალივით წამოწითლებულებმა, თავები ძირს დაჰხარეს...

ჩაის სმა გაათავეს თუ არა, მაშინვე ფლავით თავშედგმუ-

---

* თბილისის ახლო-მახლო თათრის ქალები სრულებით აღარ ერიდებიან მამაკაცებს, ნამეტნავად გლეხობაში. თავიანთ წრის კაცს, თუ კი რამდენ-ჯერმე ყოფილა ოჯახში, ისე ეჭცევიან ქალი და კაცი ერთმანეთს, რო-გორც ქართველ გლეხობის ოჯახის ქალები, უფრო თავისუფლადაც.

ლი ორი ლანგარი* მოიტანეს იეთარმა და ლეილამ. ერთი ალიას, ოჰანეზას, მიტრუას და ქერბალაის დაუდგეს, მეორე კი თითონ დანარჩენ ქალებთან ერთად დაიდგეს. თან მოაყოლეს აგრეთვე თეფშით წვრილად დათლილი ყველი და ხის ჯამით გათქვეფილი, ცოტათი ნივრით შენელებული მაწონი. ჩაის სმისაგან გაოფლიანებულები ახლა ფლავის ჭამას შეუდგნენ და ისე აკუმშებდნენ ლუკმებად თითებით რომ, თუმცა ლანგრები გავსებული იყო, ფლავის ერთი მარცვალი ძირს არ გადმოვარდნილა. მაგრამ ხელები და ტუჩები კი ყველას უბრწყინავდათ, და ერბოს წვეთები თითებიდან უჟონავდათ. ტუჩებიდან მამაკაცებს წვერებზე უცვიოდათ, ხოლო ქალებს მთლად ნიკაპი, ტუჩებიდან დაწყებული, ჩამოეგლისათ.

მიტრუამ რამდენიმე ლუკმა აიღო, ხელები საცვეთებზე** წაისვწამოისვა და საჩქაროდ ფეხზე წამოდგა...

— აღარ მინდა! საცაა, ცხვარი მოვა, მე კი წყალი არ მომიტანია. — უპასუხა მიტრუამ, როდესაც დაეკითხნენ: „სად მიხვალო“ და საჩქაროდ გარეთ გავიდა.

ნამდვილი მიზეზი კი სხვა იყო. მიტრუამ მესამე ლუკმა როდესაც აიღო, ჩუმად შეხედა გიულის, რომელიც დაღონებული და გაწამებული იჯდა. იგი ძირს დაიცქირებოდა და მისი მკერდი ოდნავ მოძრაობდა. წამს მიტრუამ გონების თვალით ჭრელი გულისპირის ქვეშ მოძრავი მკერდის მოყვანილობა გაითვალისწინა, და მაშინათვე თავიდან ფეხებამდის ჟრუანტელის ისარმა ელვასავით გაურბინა. აღარ შეეძლო ისე ჯდომა. ან უნდა გიულის მკერდს დაჰკდომოდა, ან კიდევ გასცლოდა, სრულებით აღარ ემზირნა მისთვის. მიტრუამ უკანასკნელი ირჩია, რადგანაც პირველი შეუძლებელი იყო.

გიულიმ თვალი გააყოლა მიტრუას მოსხეპილს ტანს და უეცრივ, მისდაუნებურად, გულის სიღრმიდან ისეთი ოხვრა ამოსკდა, რომ ყველას ყურადღება მიიქცია...

მხოლოდ ახლა შენიშნეს, რომ გიული ფლავს არ დაჰკარებია..

---

* ლანგარი ტაბაკზე ცოტათი პატარა სპილენძის თეფშია (საინი) რომელსაც ფლავისათვის ხმარობენ თათრები.

** ტყავის პაჭიჭები.

იეთარმა მისი დაღვრემილი სახე რომ დაინახა, გულმტკივნეულობით ჰკითხა გიულის:

— ფლავს რატომ არა სჭამ, გენაცვა?..

გიული ჩვეული არ იყო ალის უფროსი ცოლისაგან ამგვარის კილოსი, და ამისთვის მისთვის მეტად საგრძნობიერო იყო. მისი უმანკო გული ატოკდა და ცრემლებმა ღრჩობა დაუწყო, ისე იმოქმედა იმაზე. ალი ხომ სულ გადაირია იეთარის გულმტკივნეულობით...

— არ მინდა!.. — ოდნავ წამოიძახა გიულიმ.

— ხომ არა გტკივარა, ჩემო კარგო?.. — იმავე გულმტკივნეულობით დაეკითხა იეთარი.

ალი სულ გადაირია იეთარის საქციელით: „იეთარს შეჰყვარებია გიული!.. — გაიფიქრა ალიმ: — „მაშ შვილებსაც აღარ ამიღელვებსო...“ და მოწირპლული თვალები სულ ჩაებჟუტა მეტისმეტის სიამოვნებით...

— არა მტკივარა! — უპასუხა ხმის კანკალით გიულიმ და ცრემლები ძლივს შეიმაგრა.

— მაშ, ჩემო სულო, გაიარე!.. იქნება წყაროზე წახვიდე?! — ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა იეთარმა.

გიული მაშინვე წამოდგა. ალიას ბრწყინვალე სახე ოდნავ შეიღრუბლა, მაგრამ, როდესაც ფარიმ წამოიძახა: „მეც წავალო“, ალიას სახე ისევ მოეწმინდა.

ფარის საშინლად უყვარდა გიული და თითქმის ფინიასავით ყოველთვის უკან დასდევდა, გიულიც სამაგიეროს უხდიდა ფარის. ერთადერთს არსებას ჰხედავდა გიული, რომელსაც გულწრფელად უყვარდა იგი, რომელსაც მისი მწუხარება და სიამოვნება თავის მწუხარებად და სიამოვნებად მიაჩნდა. თუმცა ფარი გიულიზე რამდენიმე წლით უმცროსი იყო, მაგრამ გიულიმ რაკი ასეთი თანაგრძნობა ჰპოვა ფარიში, მეგობრულად ექცეოდა. დანარჩენები კი ალიას ოჯახში, გარდა წვრილფეხობისა, რომელთაც ამ ქვეყნისა არა გაეგებოდათ რა, მგლის თვალით უცქეროდნენ. რასაკვირველია, გიულიც უნდობლად უცქეროდა ყველას, გარდა ფარისა.

მართალია, ფარის გარდა ერთსაც უყვარდა გიული ამ ოჯახში. ეს ალია იყო, მაგრამ მისი სიყვარული...

გიულიმ მაშინვე თულუხი ქვაბში ჩასცალა, რაწამს იეთარმა წყალზე წასვლა უთხრა და საჩქაროდ გარეთ გავიდა. მას ფეხდაფეხ ცალიერა ლიტრით ფარი გაჰყვა...

მთლად მოატიტვლეს ლანგრები. ერთი მარცვალიც აღარ დაუტოვებიათ ზედ. შემდეგ პურის ლუკმები მაწონში ამოაწეს და მაწონში ამოვლებული ლუკმები შესჭამეს. ხის ჯამებიც დაცალიერდა. ახლა ყველს დაუწყეს ჭამა...

ფლავისაგან მეტისმეტად ასუყებული გული მაწონმა და ყველმა ჩაწმინდა და ყველანი კარგ გუნებაზე დადგნენ...

— იჰ!.. — თითქმის ყველამ ერთად წამოიძახა, როდესაც უკანასკნელი ყველის ნაჭრები პირში ჩაიდეს, და მამაკაცებმა ერბოიანი ხელები წვერულვაშზე ჩამოიწმინდეს; მერე წვერს ბერტყვა დაუწყეს და ლიტრით ცივი წყალი ჩამოირიგეს. ქალებმაც გაპოხილი ხელები და ტუჩ-ნიკაპი ფესტამლებით გაიწმინდ-გაიქრიშეს და, შემდეგ მამაკაცებისა, ლიტრით წყალი მოირიგეს.

ოჰანეზაც ისე იქცეოდა, როგორც ალია და ქერბალაი. ვინ იცის, რამდენი წელიწადია, ოჰანეზა ყოველს გაზაფხულს, როდესაც კი დოლი დაიძვრება, და ცხვარს წველას დაუწყებენ, მაშინვე თავის კარავით აქა ჩნდება, რომ სულ მუქთად ყველი დაისვას. კარგად ჰქონდა თათრების ზნეჩვეულება შესწავლილი, და ამისათვის პირველს ნახვაზე ყარაიაში, ტანისამოსით რომ არ გამორჩეულიყო, ვერ შეატყობდი, თუ ეს სხვა ტომისა იყო... ოჰანეზამ ჩიბუხი ამოიძრო ჩუსტის ყელიდან, შემდეგ პრტყელ ქამარს ხელი გააყოლა და ქამარში უკან თავით გაკეთებული თამბაქოს ქისა ამოიღო...

— თუ ღმერთმა ქმნა და ამისთანა პირი დაიჭირა ცაი, ჩქარა მოგიხდებათ მთაში წასვლა, — დაიწყო ტკეპნით ოჰანეზამ, და თან ქისაში ჩაყუდებულს ჩიბუხს დაჭრილი წენკოთი სტენავდა.

ამ დროს ბაღარი — ქერბალაის ცოლი — წამოდგა და ჭურჭელს ალაგება დაუწყო...

— მაისის ნახევრობამდის სულ დაცალიერდება ყარაია,

თუ ალლაჰის წყალობით ასეთი დარები დაიჭირა. — პასუხად სთქვა ალიმ და თითონაც ჩიბუხი მოამზადა, რომ ოჰანეზას შემდეგ მის ქისაში თავის ჩიბუხი ჩაემალა...

.. ჩამოვარდა ამინდზე ლაპარაკი. ქალებმაც თავიანთვის ხმამაღლივ ლაპარაკი დაიწყეს. ამ დროს, სად იყო და სად არა, უეცრივ ჟივილ-ხივილით შემოცვივდნენ ბავშვები და ფარეხს თავსა და ბოლოს მოექცნენ. ახლა ქალალდებსღა დაარბევინებდნენ კონფეტების მაგივრად.

VI

მიტრუა ფარეხიდან გამოვიდა თუ არა, მაშინვე კარავში შევიდა და რამდენსამე წუთს გაშეშებული დარჩა. არ იცოდა, რისთვის წამოვიდა ფარეხიდან, ან ეხლა რად იდგა კარავში. ის ვერასა ჰხედავდა. მერე მოიკრიბა გონება, მოაგონდა, რომ ფარეხიდან გამოსვლის მიზეზად წყალის მოტანა მოიგონა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა. იქავე ცარიელი კოკა, რომელც ქალაქიდან მოიტანეს, მიწაზე გაგორებული დაინახა, საჩქაროდ მხარზე მოიგდო და წყაროსკენ ჩაფიქრებული წავიდა. გიული და ფარი გამოვიდნენ თუარა ფარეხიდან და წყაროსკენ პირი ქმნეს, შორი-ახლოს მიმავალ მიტრუას თვალი მოჰკრეს.

— აგერა, მიტრუაც, წყალზე მიდის!.. — წამოიძახა ფარიმ და შემდეგ გიულის მიმართა: „წავიდეთ ჩქარა, იქნება დავეწიოთო“...

— რად გინდა, ჩემო ფარი, რომ მიტრუას დავეწიოთ?! — გულჩათხრობით დაეკითხა გიული ფარის.

— ჰოო, შენ არ იცნობ მიტრუას! იმოდენას მაცინებს ხოლმე, რომ... — ფარიმ აღარ იცოდა, როგორ დაეთავებინა თავისი სიტყვა და ამისათვის გიულის ხელი წაავლო და წინ გასწია:

— აბა, ჩქარა წამოდი, შენ თითონ ნახავ, როგორ გვაცინებს...

გიულიმ ფეხი ააჩქარა. თითონაც არ იცოდა, რად ესიამოვნა ფარის სიტყვები: „აბა, ჩქარა წამოდი, შენ თითონ ნახავ, როგორ გვაცინებსო“. უეცრივ მოაგონდა წინა ზამთარი. მოაგონდა მიტრუა, რომელიც ისე ემსახურებოდა და მართლაც ბევრს აცინებდა. გიული ძალიან შეეჩვია მიტრუას. მისი ნახვა, მასთან ხუმრობა ყოველთვის სასიამოვნოდ ჰქონდა, მაგრამ მის თავში არც ერთხელ არ გაუვლია იმ აზრს, რომ მიტრუას შეყვარება შეიძლებოდა. პატარაობიდანვე ძვალსა და რბილში გამჯდარი ჰქონდა, რომ გათხოვება მხოლოდ მაჰმადიანზე შეიძლებოდა, და მიტრუა კი ქართველი იყო. ჯერ არც ვინმე მაჰმადიანზე უფიქრია გათხოვება, თუმცა იგი თექვსმეტის წლის ქალი იქნებოდა. სახლში ძალიან გათამამებული იყო. იმის მამას შვიდ ვაჟიშვილში ის ერთი ქალი ჰყავდა და ამისათვის თითქმის ყველანი იმის ყოველ სურვილს ასრულებდნენ. თავისნება იყო გიული. იმას ძალას არავინ ატანდა, გაეკეთებინა რამ. თუ მოისურვებდა რისამეს გაკეთებას, აკეთებდა. ხმის გამცემი არავინ იყო. ხშირად მოიქეიფიანებდა და რამდენსამე ასს სულ ცხვარს ცალკე გაირეკდა და ეტყოდა თავის მშობლებს: „ამეებს მე ვაძოებო“. მშობლებიც სიამოვნებით ეტყოდნენ: „აძოვე, ყაჩაღანაო“. და ისიც დაირეკავდა ცხვარს. როდესაც საღამოთი მოპრეკდა ცხვარს, წამოეჩხუბებოდა ხოლმე ძმებს და მწყემსებს: „თქვენ ცხვარს სულ არ უვლით, არ აძოვებთ!.. აი, მე რანაირად დამაძღრები მოვლალეო!..“ ისინიც ღრეჭით აძლევდნენ პასუხს: „შენი ცხვრები ერთი-ორად მეტს იწველიან, ვიდრე ჩვენებიო!“

— მაშ არა და?!. — ამაყად პასუხს აძლევდა გიული და ამაყადვე წამოწვებოდა ხოლმე მხართეძოზე მამის გვერდით.

ყოველივე ეს მკაფიოდ მოაგონდა გიულის და გულს მოეშო: სახე გაუბრწყინდა, ტუჩები ღიმად გაეპო და... მაგრამ ამავე დროს თვალწინ წარმოუდგა ალიას ფარეხი, და ღიმად გაპობილი ტუჩები დაეღრიჯა...

— ფარი, მიტრუას დაუძახე, დაუძახე!.. — თითონაც არ იცოდა გიულიმ, რად მიმართა ამ სიტყვებით ფარის.

— აი! აი! აი!.. — ხმამაღლივ დაიწყო ყვირილი ფარიმ...

მიტრუა კი უკან მოუხედავად გაჩქარებით მიდიოდა. ის ავიდა პატარა ბექობზე, დაეშვა კიდეც. გიული მიტრუას ფეხებს ვეღარც კი ხედავს, რადგანაც ბექობის წვერს მუხლებამდის მოეფარა. მიტრუა მუხლებ ზევითაც ეფარება ბექობის წვერს...

— დაუძახე, დაუძახე!.. — ხმის კანკალით და ტანის თრთოლით ხელი მაგრა მოუჭირა ფარის.

— მიტრო, მიტრო! — ფარიმ უფრო ხმამაღლივ მორთო ყივილი, მაგრამ თავის ოცნებებში გართული მიტრუა ჩაეფარა ბექობს. გიულიმ ნაბდის ქუდსღა მოჰკრა თვალი...

მოდუნდა გიული, როდესაც ნაბდის ქუდიც მის თვალს გამოეცალა. მუხლები მოსწყდა და ძლივს მიათრევდა.

— წყარო ჯერ შორს არის. ორი ბექობი კიდევა აქვს გადასავალი. მოვეწევით!.. — წამოიძახა ფარიმ და გიულის უფრო ძლიერად გასწია წინ, ვიდრე პირველად, როდესაც გიული მუხლებმოკვეთილი თითქმის შესდგა.

— მოვეწევით?!. — ნაღვლიანად დაეკითხა გიული და შესდგა.

— თუ არ მოვეწევით, იქიდან ხომ წინ შეგვხვდება?! ვუთხრათ, მოგვიცდის!..

გიული უეცრივ გონს მოიყვანა ფარის სიტყვებმა.

— წავიდეთ! — წამოიძახა გიულიმ და ფარი თითქმის დაითრია.

რად უნდოდა გიულის მიტრუასთან ლაპარაკი?!. თვითონაც არ იცოდა. რომ გეკითხნათ, ვერას გიპასუხებდათ. იქნება, თავისთავისთვისაც ვერ ეპასუხნა. უყვარდა მიტრუა?!. არა!..

მიეჩქარება გიული. ფეხდაფეხ ფარი მისდევს. თვალწინ წამოუდგა ცხვარი, რომელსაც ის მწყემსავდა და ამ დროს წყაროდან მომავალი მიტრუა...

მკაფიოდ მოესმა თავისი სიტყვები: „ეი, წყალი დამალეგინე, ძალიან მწყურიანო...“ ჰხედავს ნათლად, მიტრუა როგორ მაშინვე მივიდა იმასთან და საჩქაროდ კოკა იღლიაში

ამოიგდო; ჰხედავს აგრეთვე, თვითონ როგორ შეახო პირი და კოკიდან ცალმუხლზე დაჩოქილმა წყალი დალია.

ეს პირველი შეხვედრა იყო მიტრუასთან. მერე?.. მერე თითქმის ყოველდღე ხვდებოდა, რადგანაც გიულის მამის ბინა ალიას ბინის მახლობლად იყო...

ბექობს შეუდგნენ გიული და ფარი. გიული თითქმის მირბის. მხარდამხარ ფარიც მისდევს. მისი უდარდელი ცხოვრების მოწამე მიტრო იყო და იმასთან ლაპარაკით თითქოს დაუბრუნდებოდა წარსული, რომელსაც ასე უწყალოდ მოიშორა და ალიას ოჯახში ჩააგდო — ალიას მკერდს მიაკრო.

— ჰხედავ, გიული, მიტრუა როგორ დაგდებულა!.. — წამოიძახა ფარიმ, როდესაც ბექობის წვერიდან გადაიხედეს.

მიტრუა მართლაც პირქვე დაგდებულიყო. კოკა კი იმის იქით გაგორებულიყო.

გიული უეცრივ შესდგა. მუხლები ისე მოუსავდა, კინალამ იქვე ჩაიკეცა უეცრივ.

— უი, ხომ არა მოუვიდა რა!.. — წამოიძახა საშინლად შეწუხებულმა.

ფარის შეეშინდა გიულის სიტყვებისა და ფერმიხდილმა მზერა დაუწყო შემკრთალს გიულის.

— გიული, რა მოუვიდოდა?!. — ხმის კანკალით დაეკითხა ფარი.

გიული გონს მოვიდა, როდესაც ფარის გაფითრებულს სახეს თვალი მოჰკრა.

— წავიდეთ ჩქარა და ვნახოთ!.. — უპასუხა გიულიმ და თავი მოარიდა, რომ ფარის იმისი სახის ცვლილება არ შთაბეჭდიყო...

ორივე ქალი სრიალით ჩავიდნენ დაბლა და მიტრუას უეცრივ თავს წაადგნენ. იმათი ფეხის მოძრაობა მწვანე ბალახზე ისე უხმო იყო, რომ მიტრუამ ვერ გაიგო ქალების მისვლა. რაკი მიტრუა არ გაინძრა მათ მისვლაზე, ფარიმ უეცრივ ხელი დასტაცა და დასჭყივლა:

— მიტრო!..

შემკრთალმა მიტრუამ, ამ მოულოდნელს ხელის ტაცება-

ზე და დაკივლებაზე უეცრივ წამოიჩოქა და, რა გიული თავის წინ დაინახა, მოდამბლავდა, წელი მოსწყდა და ფერმიხდილი გულაღმა გადაიქცა.

— რა მოგივიდა, მიტრო?! — თითქმის ერთხმად დაეკითხნენ შეშინებული ქალები...

— გული მიწუხდება!.. — წამოილუღლუღა მიტრუამ.

— წყალი!.. — წამოიძახა გიულიმ.

ფარიმ არც კი აცადა სიტყვის გათავება. მაშინვე ლიტრით წყაროსკენ გაჰქანდა და უკან აღარც კი იხედებოდა. გიულიმ კი საჩქაროდ ზურგზე მიკრული თულუხი მოიხსნა და დააგორა, რომელიც მიტრუას კოკის გვერდით შედგა.

— გიული!.. — გულის სიღრმიდან ამოიკვნესა მიტრუამ, როდესაც გიული იმის გვერდით ჩაჯდა და შუბლზე ხელი გადაუსვა, და წამოჯდა.

— ალიას როგორ მისთხოვდი!! — განაგრძო მიტრუამ და ნაზად ხელი შემოხვია გიულის. მაგრამ გიულიმ უნებურად მიტრუას ხელი მოიშორა და თავი ჩაღუნა.

— ნუთუ ალია გიყვარს, გიული?!. — ეკითხება თითქმის ჩურჩულით მიტრუა და ხელს მაინც არ აყენებს, ისევ ხვევს.

გიული კი იშორებს მიტრუას ხელს; მაგრამ არ ემორჩილებიან იმას თავისი ხელები. ოდნავ უფაცუნებს მიტრუას ხელებს, რომელიც ალერსს უფრო ემსგავსებოდა, ვიდრე წინააღმდეგობას. მიტრუამ შემოურკალა ხელები, თითქმის კალთაში ჩაისვა გიული და მთლად გულში ჩაიკრა...

— გიული, როგორ არ გებრალებოდა შენი სილამაზე, შენი სიყმაწვილე, რომ ალიას კუთვნილებად გახადე შენი თავი?! — თან ეუბნება მიტრუა გიულის.

პირველს მიალერსებაზედვე გიულის უნდოდა ეპასუხნა მიტრუასათვის, რომ ის დამნაშავე არაა ამაში, რომ ის მამამ მიათხოვა, მაგრამ ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებდა. ამისათვის თავი ჩაღუნა და უნდოდა როგორმე გული მოებრუნებინა, მაგრამ მიტრუას ტკბილი ხმა, იმის ალერსი ცეცხლში ნავთს ასხამდა. უფრო მოებჯინა ტირილი და, როდესაც მიტრუამ გულში ჩაიკრა, ქვითინი წამოსკდა...

— გიული, გიული!.. — მეტს გეღარას ახერხებდა და გაშმაგებით ეკონებოდა მიტრუა გიულის თვალებს, ტუჩებს, თითქოს ეს უებარი წამალი ყოფილიყოს გიულის დასამშვიდებლად. გიულიც აღარ ეწინააღმდეგებოდა. თავის მხრივ ეკვროდა, იმანაც ხელები შემოხვია მიტრუას და, თითქოს წვიმის შემდეგ მზემ დაფლეთილ ღრუბლებიდან გამოიჭვრიტაო, მოღიმარი და ცრემლისაგან მთლად დასველებული ტუჩები საკოცნელად გაუწოდა. გონებადაბნეული მიტრუა დაეკონა იმის ტუჩებს. აქნობამდის მიტრუას ეგონა, ძალდატანებით ვკოცნიო, ესარგებლობ ქალის სისუსტითა და მწუხარებითაო და ამისთვის, ცოტა არ იყო, გული ეჩრჩილებოდა. ეხლა კი, როდესაც გიულის გაწვდილი ტუჩები დაინახა, სიხარულით აინთო და მთლად შეუერთა თავისი ტუჩები გიულის მთრთოლვარე ტუჩებს...

ფარი კი გარბოდა, გარბოდა... აგერ, გორაკს კიდევაც გადაეფარა. იმის სურვილი იყო — დროით მოეტანა წყალი, რომ მიტრუა განსაცდელისაგან დაეხსნა...

VII

ფარეხის წინ ძეძვით შემობაკილი იყო კარგა დიდი ადგილი, რომელსაც რამდენიმე ლასტის კარები ჰქონდა შებმული. ყოველს კარებში ორ-ორი ადამიანი იყო ჩამომჯდარი დიდრონის ქვაბებით და ამ საღამოს გულმოდგინეთ სწველიდნენ ცხვარს. პატარა ბავშვები ფარეხში გამომწყვდეულ ათას სულ მეწველ ცხვარში დარბოდნენ, და ხან ერთ კარებთან ზიათრევდნენ დედა-ცხვარს, და ხან კიდევ მეორე და მესამე კარებთან, სადაც ქვაბებზე უკანა ფეხით ალაჯებინებდნენ, ცურზე ორივე ხელებს მაგრად უჭერდნენ და სწრაფის ნაკადულით რძეს ადენდნენ, რომელიც ქვაბებში ჩხრიალით ჩადიოდა და ქაფდებოდა. ყველანი საქმეში იყვნენ გართულნი. ოჰანეზა კარავის გვერდით დადგმულ კოდთან*, რომელსაც პირზე რვაკეცი ჯალაშა** ჰქონდა გადაფარებული, დამკ-

* კოდი — ბოჩკა.

** ჯალაშა — სქელი ლეჩაქი, რომელსაც რძის გასაწურავად ხმარობენ.

ლავებული იდგა და ელოდა რძით სავსე ქვაბებს, რომლებსაც მიტრუა მოეზიდებოდა. ქვაბები აივსებოდა თუ არა, მაშინვე მშველელნი გამოიტანდნენ ცოტა აქეთ და მიტრუას გარდასცემდნენ, რომელიც საჩქაროდ მიარბენინებდა კოდთან და, ოჰანეზას მიშველებით, კოდში ასხამდა.

ივთარის და ლეილას გარდა, რომლებიც ძროხებს სწველიდნენ და რძე ფარეხში შეჰქონდათ, რომ შემდეგ არაქანა მოეხადნათ და შეედღვიბნათ, ყველანი ცხვარს სწველიდნენ. ალია იჯდა მარტო უსაქმოდ. ის კარავის ახლოს დამჯდარიყო და მოწიწებით თვალყურს ადევნებდა გიულის, რომელიც კარავის ახლოს ბაკის კარებთან იჯდა და სწრაფად ანთავისუფლებდა ცხვრებს... ჩამოწველილი ცხვრები, ხელიდან გაუშვებდნენ თუ არა, ფუნდრუკაობით მირბოდნენ და ფარეხზე ცოტათი მოშორებით, სადაც რამდონიმე ბოთვერა — ყელჩანგლიანი ძაღლი უდარდელად წამოწოლილიყო და გულიანად ხვრინავდა, გროვდებოდნენ...

გიულიმ გაავსო ქვაბი. სწრაფად წამოდგა და წელში მოხრილი სავსე ქვაბით ოჰანეზასკენ მიძუგძუგებდა. მიტრუა მაშინვე მიეგება და ქვაბის ჩამორთმევის დროს წასჩურჩულა: „არ დაგავიწყდეს, ამაღამ ფარეხს უკან გელიო!“ გიული თავჩაღუნული შუა გზაში გაჩერდა. მიტრუამ სავსე ქვაბი ოჰანეზას მიშველებით კოდში ჩასცალა და ცალიერა ქვაბი უკან წამოუღო გიულის.

— გიული, უეჭველად გელი!.. — კიდევ წასჩურჩულა და ქვაბის მიწვდის დროს ხელზე ხელი მაგრად მოუჭირა.

გიული კანკალით მივიდა ბაკის კარებთან და არეულად ცხვარს წველა დაუწყო. ალია კი მაინც გიულის თვალს არ აშორებდა და ჩაყვითლებულს კბილებს გარეთ ჰყრიდა...

გაათავეს წველა, და ოჰანეზამ უკანასკნელი ქვაბი კოდში ჩასწურა თუ არა, მაშინვე ათკეცი ჯალაშა მოხსნა კოდს ჯერ ისევ თბილ რძეს დედა მისცა და სუფთა კეტით გაურია. შემდეგ ოჰანეზამ ნაბადი გადააფარა კოდს და სხვადასხვა სიდიდის ხის ჯამები გადმოალაგა და ჩაამწკრივა: მიტრუამ

კი ჯალაში გარეცხა და კარავზე გაფინა, რის შემდეგაც კარვის წინ ოჰანეზას გვერდით ჩამოჯდა, და ორივემ იქაურობას თვალყურის დევნება დაუწყეს.

ლეილას და იეთარს მოეწველათ ძროხები. იმათი ადგილი ეხლა ხბორებს დაეჭირათ, რომლებიც შესჯდომოდნენ ქვეშ და დროგამოშვებით თავებით დედებს მუცელში უბრაგუნებდნენ, რომ მათთვის მეტი რძე მოეცათ. ძროხები კი ზოგი ალერსიანათ ლოკავდნენ თავიანთ ხბორებს, და ზოგი კიდევ წარბშეუხრელათ ხბორების ბრაგუნზე იდგნენ და თავიანთთვის იცოხნებოდნენ...

— ეგა�ა, აი, დედის ჯიგარი!.. — დაიწყო ოჰანეზამ და ჩიბუხის ტარი ტუჩებით გამოიტკაპუნა: „ხბოები ძალაზე უჯლაგუნებდნენ თავებს, ისინი კიდევაც ჰლოკავდნენ“...

— ჩვენში ამბობენ, აღა: „ხელის გულზე შვილმა დედის გულისთვის ერბო-კვერცხიც რომ მოიწოსო, მაინც დედის ამაგს ვერ გადიხდის“, — უპასუხა მიტრუამ.

— ერბო-კვერცხს კი არა და, ეხლანდელი შვილები დედის გულისათვის გახურებულ ზაფხულშიაც კი პირს არ შაიბანენ ცივი წყლით, თუმცა ეს ცივი წყალი მათვე გააგრილებს...

ოჰანეზა და მიტრუა რომ ამ ბაასში იყვნენ, შორი-ახლოდან მოისმა ბღავილი. ამ ბღავილზე ათასს სულამდის დაწველილი ცხვარი წამოიშალა და შექმნა თავის მხრივაც ბღავილი. გარშემო ბღავილის მეტი აღარა ისმოდა რა. დედაცხვარი და ბატკანი სირბილით მიეგებნენ ერთმანეთს. მაინც ბღავილი კარგა ხნობამდის არ შეწყვეტილა. დედაცხვარი ბღავილით თავის ბატკანს დაეძებდა, ბატკანი კიდევ — თავის დედას...

— აბა, მიტრო, ჩაიხედე კოდში, ხომ არ შეყველებულა? — ამ ბღავილში მიჰმართა ოჰანეზამ მიტრუას.

— შეყველებულა!.. — უპასუხა მიტრუამ, როდესაც კოდს ნაბადი გადაჰხადა და შიგ ჩაიხედა.

— მაშ მოვაკვერეულოთ!.. — მძიმედ წამოიძახა ოჰანეზამ და დიდ ხის ჯამს ხელი წამოავლო...

VII

დაწყნარდა არემარე. ახლა აღარც ცხვრისა და ბატკნის ბღავილი მოისმოდა. ეს ორი კვირა მეტია, ცხვარს მიწურ ფარეხში აღარ ერეკებიან, რადგანაც ფარეხში მეტად სცხელოდათ ცხვარი მთლად გარეთ იყო, გარდა სამოცამდე დავარდნილი ცხვრისა. დანარჩენი ცხვარი კი: ჭედილა, თოხლი, დედაცხვარი და მოსაგები სულ ცალ-ცალკე ჯგუფებად დაყოფილნი ცალკე ეყარნენ და ყველას გარს აქა-იქა მწყემსები შემოსწოლიყვნენ. მათთან ერთად ალიას შვილებიც თავიანთ ცოლ-შვილით გარეთ იწვნენ და ტკბილი ძილისთვის მიეცათ თავი. იეთარი, ლეილა და ფარი ფარეხის წინ იწვნენ ბაკში, სადაც ორმოცამდის ძროხა და ცხენი იყო გამომწყვდეული. იმათთან ახლოს ერთი მწყემსთაგანიც იწვა. ალია კი ჯერ გარეთ არა წვებოდა, რადგანაც სიცივეს იმიზეზებდა და, რასაკვირველია, გიულისაც თავისთან ფარეხში იწვენდა. გიული ბევრჯერ გამოექცა კიდევაც გარეთ და ფარის ჩაუგორდა, მაგრამ ალია მაინც არ ეშვებოდა. უეჭველად უნდა თავის გვერდით დაეწვინა. გიულის გული უწუხდებოდა ფარეხის სუნით; ზამთარში ისე შესამჩნევი არ იყო სუნი, როგორც გაზაფხულით, როდესაც მთლად მინდორი მწვანის სურნელით იყო გაჟღენთილი და გულს ატკბობდა, ფარეხი კი მწვირის სუნით, ამ ღამესაც გიულიმ გარეთ მოინდომა დაწოლა, მაგრამ ალიამ ხელი წაავლო და გიული თრთოლით ფარეხში შეიყვანა.

— არ გააცი, გიული, შენი ქმარი! — ჩვეულებრივად მიაძახა იეთარმა გიულის ზიზღით ამ ღამესაც და ზიზღით თვალი გააყოლა ფარეხში შემსვლელთ.

ალიას ბრაზი ყელში მოაწვა, როგორც ყოველთვის. ერთს წამს გაიფიქრა კიდევაც: „მივალ და წავაღრჩობ იმ საზიზღარსაო“, მაგრამ ვერ გაბედა თავის აზრის განხორციელება და ისევ ყური მოიყრუა. ვითომ არც კი გაუგონიაო, ისე შევიდა ფარეხში, სადაც თითონ უკვე დაემზადებინა ლოგინი და მხრჩოლავი ლამპარი. შესვლის უმალ კარები მიჯარა და გულში ჩაიკრა გიული...

გიული შეურაცხყოფილად სთვლიდა თავის თავს, და დღე მუდამ მასში მატულობდა ზიზღი ალიასადმი. ამ ღამეს ხომ გიულის მეტი დაემართა. როდესაც ალიამ ჩაიკრა გულში, და თრთოლა აუარდა, ხელები ალიას ყელთან მიიტანა და შემოურკალა კიდევაც, რაც ალიას ესიამოვნა, უნდოდა მოეჭირა, ბრჭყალები შიგ გაეყარა და წაეხრჩო, მაგრამ უეცრივ მოაგონდა, რომ ამის გამო იმას ჯვარს აცვამენ, და ხელები აუკანკალდა, მოუდუნდა...

ჩაწვნენ ორივენი ლოგინში. გიული ზღარბივით იკუნტეზოდა, ბორგავდა ალიას ხელის შეხებასა და ალერსზე და ნატრობდა მის მალე დაძინებას. მაგრამ ალია არა სცხრებოდა. შეუძლებელიღა იყო გიულის მხრივ მეტის მოთმენა. ის გამოუსხლტა ალიას და გარეთ გავარდნას აპირობდა, მაგრამ საუბედუროდ ფეხი საბანში გაეხლართა და იქავე პირქვე დაეცა.

— აი, ჩემო ჯეირანავ, გაქცევა გინდოდა?.. — დაიძახა ალიამ და ისევ ლოგინში ჩაითრია... გიულიმ ახლა სხვა საშუალებას მიჰმართა. ჩქარა თავი მოიმძინარა და ალიას კითხვებზე ხმას არ იღებდა. რაკი ალიას გიული დაძინებული ეგონა, ის უფრო მორიდებით უსვამდა სხეულზე ხელს, ხახდისხან კიდევაც შეაჩერებდა ხოლმე ხელს და ოდნავღა უცაცუნებდა თითებს.

ამდენმა მღელვარებამ ალია მოთენთა; მერე იმ აზრმა, რომ გიულიმ დაიძინაო, დაამშვიდა და ძილი წამოებურა.

ალია, რაც გიული ცოლად მოიყვანა, არ იძინებდა, ვიდრემდის გიულის არ დაეძინებოდა. მხოლოდ როდესაც გიული ჩაიძინებდა. მაშინ გულდამშვიდებით იძინებდა. ამ ღამესაც ასე დაემართა...

ალიამ ხვრინვა ამოუშვა. გიულის კი ტანი უთრთის. ალია ჯერ კიდევ მღვიძარე ჰგონია, ალიამ ხვრინვას უფრო მოუმატა. გულის ფანცქალით გიულიმ ალიას ხელს, რომელიც მისს თეძოზე იყო დაბჯენილი, მძიმედ ასწია და, რომ ალიას ხელის ძირს დაშვება არ ეგრძნო, თავის თეძოს მაგივრად მუთაქის თავი შეუდგა ხელს.

გიული უმოძრაოდ იდგა რამდენსამე წუთს და ყურს ალიას ხვრინვას უგდებდა. არ იცოდა, როგორ გასულიყო გარეთ. კარებიდან გასულიყო, — კარი ჭრიალს მორთავდა, და ალიას უეჭველად გამოეღვიძებოდა. მაშ... გონება აღარ ემორჩილებოდა გიულის...

— გიულიჰ!... —თითქოს შემთხვევით ჰაერის რხევა არისო ისე შემოესმა გიულის ფარეხის ბოლოდან, სადაც სანათური იყო. გიული ერთს წამს შეკრთა, თავი შეარხია და სწრაფ ფეხაკრეფით იქით გაექანა.

სხვას რომ ყური მოეკრა, გიულის გარდა, ამ დაძახებისთვის ყურადღებას არ მიაქცევდა, მაგრამ გიული მაშინვე მიხვდა.

გზაში კინაღამ ცხვრებს არ შესდგა ზედ. ცხვრებმა ფრუტუნი მორთეს. გიულის ფერი ეცვალა. წამს შესდგა, ყური დაუგდო, და, რაკი ალიას წყნარი ხვრინვა ისევ შემოესმა, სიფრთხილით სანათურისკენ წავიდა.

— გიულიჰ!.. — იმავე კილოთი ჩამოისმა სანათურიდან ხმა.

— მიტრო! — წყნარადვე, იმავე სიფრთხილით გასცა პასუხი ქვევიდან გიულიმ და ხელები სანათურში აჰყო...

IX

მიტრუაც დიდხანს წვალობდა კარავში. ის ჩქარობდა, კვერეულს კვერეულზე სწრაფად სწურავდა: მაგრამ ოჰანეზა, რომელიც მძიმედ, აუჩქარებლივ ჩვილი ყველით თავშედგმულ ხის ჯამებს აბრუნებდა და თან მალი-მალ წაუბზუკუნებდა: „კარგად მოწურე დაძინებას მოესწრებიო“ და ისევ ხელმეორედ უბრუნებდა კვერეულებს. მიტრუა შიშობდა: „ვაი, თუ გიული გამოვიდეს. მე რაკი ვერ მიპოვის ფარეხის უკან, უკანვე შებრუნდება და შემდეგ როგორღა გამოვიყვანოვო“. მიტრუას ცალი ყური გარეთ ჰქონდა. გააფრჩუნებდა თუ არა რამე, მაშინვე თაბახს, რომელშიაც ხის ჯამებს სდგამდა ყველის მოწურვის დროს, დაავლებდა ხელს

და გარეთ მიარბენინებდა, რომ დაეთვალიერებინა, გიული ხომ გარეთ არ გამოვიდაო...

— ვა, რა მალიმალ გაარბენინებ ე თაბახს?!. — შეუტია ოჰანეზამ და შუბლი შეუკრა.

— მაშ, შრატს ნუ გავიტან?! — წყრომითვე უპასუხა მიტრუამ.

— მამაცხონებულო, ყოველ წვეთს ცალ-ცალკე ხომ არ გაიტან?!.

— თაბახი ივსება და შენ თითო წვეთს ეძახი?!.

— რატომ მე არ მევსება?!.

— შენ რა!.. ჯერ ერთი კვერეულიც არ მოგიწურავს და მე აგერ მეხუთეს ვწურამ!..

ოჰანეზამ გადახედა კვერეულებს და შუბლშეკრულმა მიმართა მიტრუას:

— კარგადაც მოგიწურავს, შენმა მზემ! ვერა ჰხედავ, შენი თითები ზედვე ეტყობა?! კვერეული ისე უნდა მოსწურო, რომ გამოჩარხულს ჰგვანდეს!..

— ენდე და, შენ გამოჩარხე!.. — წყრომით უპასუხა მიტრუამ და თაბახი მიაგდო.

მიტრუას თითო წამი სიცოცხლეს ერჩივნა. ჩქარობდა, როგორმე დროებით მოეშორებინა თავიდან ეს საქმე და აქ კი „გამოჩარხვას“ ეუბნებოდნენ...

— რასა სწყრები, შე კაი მამას შვილო, შენთვის გეუბნები?! — დაყვავებით შეეხმაურა ოჰანეზა, რაკი შეატყო, რომ მიტრუას გული ყელში მოებჯინა.

— მიტრო, შრატს რას უშვრები?!. — ცოტა სიჩუმის შემდეგ შეეკითხა ოჰანეზა.

— ძაღლების გეჯაში ვცლი. — ცოტა მომბალად უპასუხა მიტრუამ.

მიტრუამ თავის მოწურულ კვერეულებს გადაჰხედა და თითონვე დაირცხვინა. მართლაც ძალიან აჭიჭყნილი იყო კვერეულები. რამოდენიმე წუთის შემდეგ ისევ ხელმეორედ გულმოდგინედ დაუწყო მოწურვა და მართლაც „გამოჩარხა“.

ოჰანეზა კი ამ დროს ცალი თვალით უცქეროდა და ტუ-

ჩებზე სიამოვნების ღიმი უკრთოდა, რომ მიტრუას რიგიანად მუშაობა დააწყებინა...

— აჰა, ეხლა კი დავიძინოთ!!. — წამოიძახა ოჰანეზამ, როდესაც კვერეულები მეორე კოდში ჩააწყეს და იქაურობაც მიალაგ-მოალაგეს.

— ოჰანეზამ იქვე კარავში გაიშალა ლოგინი; მიტრუამ კი გარეთ გაიტანა თავისი...

— მიტრო, რატომ აქ არ წვები?!

— გარეთ დავწვები!

— შენი ნებაა!.. დილაზე წყალი კი არ დაგავიწყდეს!..

— არ დამავიწყდება.

ოჰანეზას მაშინვე ჩაეძინა. მიტრუამ კი ლოგინი კარავის მოშორებით გაიტანა, გაშალა და მაშინვე გულაღმა მოსხეპით დაეცა.

წამს ყველაფერი დაავიწყდა, ისე გაიტაცა ცის კამარამ, რომელზედაც თითქოს მადლიან მფარცხავს უხვად მოუფანტნია თესლი ხნულშიო. მთლად ძირისძირობამდის მოჭედილი იყო ცა მოციმციმე ვარსკვლავებით. მიტრუა შესცქეროდა ცას და თვალები აქაიქ დაურბოდა. ვერც ერთს ვარსკვლავზე ვერ გაეჩერებინა თავისი თვალები. დაეძებდა უმჯობესს, უფრო უპრჭყვიალესს, მეტმშუქოვანს, რომელსაც მიეზიდნა მისი არსება, შეებოჭნა იგი. მაგრამ უეცრივ სხეული აუთრთოლდა, სწრაფად წამოდგა ფეხზე და გაშტერებით ფარეხს მზერა დაუწყო. უეცრივ მოსხლტა ადგილიდან და ნიავსავით, უჩუმრად მივიდა ფარეხის სანათურთან და წაპირქვავდა. მთლად სმენად გარდიქმნა...

წყნარად გულიანი ხვრინვა შემოესმა ფარეხიდან. მიტრუა დაიბნიდა. ეგონა, — გიული ხვრინავსო. უცბად გაუელვა თავში მიტრუას: „გიული გამოვიდა გარეთ, მე ვერ მნახა და ისევ დასაძინებლად შევიდა ფარეხშიო“.

— გიულიჰჰ! — უეცრივ ამოსკდა გულიდან მიტრუას, და ტანის თახთახით მოელოდა ფარეხიდან ფაჩუნსაც კი.

მის პასუხად ცხვრებმა ფრუტუნი შეჰქმნეს. მათ ფრუტუნში ხვრინვაც მოესმა.

გულჩაწყვეტილმა კიდევ ჩაიკვნესა. კიდევ ახსენა გიულის სახელი, თითქმის თვალცრემლიანმა და ტანი ახარა ასადგომად, რომ ამ დროს სანათურიდან წყვილი მკლავი ამოცურდა...

მაშინვე იცნო მიტრუამ მკლავები და მაგრად ჩაჰკიდა ხელები, რომ უკანვე არ ჩაბრუნებულიყვნენ.

თვალის დახამხამებაზე ამოიტაცა გიული და გაშმაგებული კოცნით ლოგინისკენ გააქანა...

დაბნელდა ცა. დამუნჯდა ბუნება. ყოველივე საგანმა მათთვის არსებობა დაჰკარგა. ქვეშ ლოგინის არსებობასაც კი ვეღარა ჰგრძნობენ... ტუჩებს გააშორებდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ იმავე წამს ამოსუნთქვის შემდეგ ისევ შეეერთებინათ...

ასე გადახვეულები ისხდნენ და, დიდხანს იყვნენ, თუ ცოტახანს, არა გაუგიათ რა. გიული მისუსტდა და, როდესაც ტუჩები გააშორეს, მუთაქაზე თვალებმილულული გადაესვენა. მიტრუას ამაზე უმშვენიერესი არა ენახა რა. პერანგის ამარა, გიული მოდუნებული, იყო მისვენებული ნეტარი გრძნობისაგან მითენთილი, მისი მკერდი ოდნავ ადიოდ დადიოდა და ოდნავ არხევდა პერანგს, რომელიც ისე გადაჰფარებოდა, რომ სხეულის მოყვანილობა და მისი აღმართ-დაღმართი მკაფიოდ იხატებოდა.

აღტაცებაში მოდიოდა მიტრუა მისი მკერდის მოძრაობით. მაგრამ ერთი რამ აჩრდილებდა მის აღტაცებას: ეს პერანგი, რომელიც ფარავდა გიულის მკერდს... ვეღარ მოითმინა. პერანგის ბოლოს მოჰკიდა ორივე ხელი და სწრაფად გაჰხია ბოლოდან თავამდის და, თითქოს თვალით შეჭმა უნდაო, ისე დააშტერდა, როდესაც გიულის ჩამკვრიეებული მკერდი პერანგისგან განთავისუფლდა.

გიული კი ისევ ისე უნძრევლად იყო და თვალებმილულული ოდნავ სუნთქავდა. თითქოს მისძინებიაო, ისე უმოძრაოდ იყო მისვენებული. მაგრამ გიულის არ ეძინა. მხოლოდ მოითენთა, განძრევა აღარ უნდოდა, რომ ოცნება, თუ სიამოვნება არ მოჰშორებოდა. მთელი ექვსი თვე იტანჯებოდა

ალიას ხელში, ზიზღით ითმენდა მის ხელის შეხებას, მისი ცოლების, შვილების და რძლების დაცინვას, კიცხვას და ხშირად ლანძღვასაც, და ახლა, ექვსი თვის შემდეგ, წილად ხვდა იმისთანა კაცთან ყოფნა, რომლის ნახვაც, სიახლოვეცა და ხელის ხლებაც ესიამოვნებოდა. ბევრი ტანჯვის შემდეგ ცოტაოდენმა სიამოვნებამაც დაბნიდა და იმას ეშინოდა, არ მოესპო ეს ცოტაოდენი სიამოვნებაც...

თავს მეხი დაეცა მიტრუას...

— ოოო!.. მიტრო!.. — გიულიმ მწვავედ წამოიკვნესა და თავის ბრჭყალები მაგრა ჩასჭიდა მიტრუას მკერდს.

გიულის ხმაზე იქვე ახლოს მძინარე ძაღლი წამოყუნცდა წინა ფეხებზე. ყურები სცქვიტა და რამდენჯერმე წამოიყეფა...

— არიქააა! — მეორე მხრიდან დაიძახა ძაღლის ყეფაზე გამოღვიძებულმა მწყემსმა და გვერდი იცვალა.

თხუთმეტამდე ძაღლმა ამ დაქსევაზე ყეფა ასტეხა დ. თვალების ბრიალი დაიწყეს, რადგანაც არ იცოდნენ, საით გაქანებულიყვნენ.

თითქმის ყველას გამოეღვიძა ძაღლების ყეფაზე, მაგრამ რაკი ძაღლებმა ყეფა ჩქარა შესწყვიტეს, ისევ მიწვნენ და ხვრინვა დაიწყეს.

ძაღლების ალიაქოთი არც კი გაუგიათ. მიტრუა და გიული შეხორცებულები ერთად იწვნენ და განძრევაც აღარ უნდოდათ, სხეული ისე მოელეშათ. მათი სურვილი იყო — ბოლო არ ჰქონოდა ამ ნეტარ მდგომარეობას...

მაგრამ დრო არ იცდიდა. იქავე ფარეხის ახლოს მამალმაც იყივლა. სულ ერთის წუთის შემდეგ ფარეხის კარი გაჭრიალდა და მკაფიოდ შემოისმა ალიას სიტყვები.

— იეთარ, იეთარ, გიული რა იქნა?!

— ალლაჰმა თუ იცის შენი თავი! — შეუტია იეთარმა და გაჯავრებულმა რიღასიც ბუტბუტი დაიწყო.

— შეძრწუნდნენ ორივენი და სწრაფად, თითქმის ბობღით, მივიდნენ ფარეხის სანათურამდის.

— გიული, ერთი-ორი კვირის შემდეგ, ჩვენ ველარავინ

დაგვაშორებს! — აღგზნებით წამოიჩურჩულა მიტრუამ და გულში ჩაიკრა.

— შენ იცი! — თვალცრემლიანმა გიულიმ გულნაკლულად წაუჩურჩულა და სანათურში ფეხები ჩაჰყო.

მიტრუამ ხელები დაუჭირა და მძიმედ ჩაუშვა ფარეხში ძვირფასი განძი. იმის გული თან ჩაჰყვა...

ასტყდა ბატკნისა და დედა-ცხვარის ბღავილი. მეცხვარეებმა დაარჩიეს ცხვარი ბატკნისაგან და საძოვრად გაირეკეს, რომ დილით სადილობის დროს ისევ მოერეკათ და დაეწველათ.

ალია თითქმის ცხვრებშიც კი დაეძებდა გიულის. გაბრაზებული შევიდა ფარეხში, რომ ძირის-ძირობამდის დაევლო. აანთო ლამპარი და ალია განცვიფრდა, როდესაც გიული ლოგინში დაინახა.

— გიული?..

— რა გინდა?

— სად იყავი?..

— სად უნდა ვყოფილიყავი?!

— მე გეძებდი, გეძახდი...

— მერე რა?! შენ რომ გახვედი, ფარეხის ბოლოს ვიყავი.

— რატომ ხმა არ გამეცი, როდესაც გეძახდი?

— „რატომ ხმა არ გამეცი, როდესაც გეძახდი“, — გააჯავრა გიულიმ ალიას და შემდეგ განაგრძო: — იმისათვის არ გაგეცი, რომ შენი წვალება მინდოდა.

— აი, შე ეშმაკო, შენა!.. — ღიმილით უთხრა ალიამ და ლოგინში ჩაჯდა.

— დაწექი, რაღა ჩემო ალი!..

ალია განცვიფრდა, ისე ალერსიანად უთხრა გიულიმ. მთლად გადარეული ალია მაშინვე ჩაწვა ლოგინში.

— ჩემო ალი!.. — ლმობიერად ამოიძახა გიულიმ და მის წვერზე კოცნით განაგრძო უფრო მომხიბლავის კილოთი: — მეეინება, გენაცვა, ნუ გამაღვიძებ...

ალია დაიბნიდა გიულის ალერსით. პირველად მიეალერ-

სა გიული იმ ღამეს ალიას, და იგი მზად იყო იმ ალერსის გულისთვის თავი შეეწირნა...

გიულიმ ხელისგული ყურ ქვეშ ამოიდო და ჩქარა ტკბილად ქშინვა დაიწყო. ღრმად, ღრმად ჩაეძინა მოქანცულს გიულის. მხოლოდ ტუჩებზე სიამოვნების ღიმი უკრთოდა...

ალია კი განძრევასაც ერიდებოდა, რომ გიული არ გაეღვიძებინა და მხოლოდ მის ქშენვით, მის სიახლოვით სტკბებოდა....

X

ის იყო, მიტრუა მორჩა ყველაფერს: დარეცხა, დაასუფთავა იქაურობა და კარავის ცოტა დაშორებით მყუდრო ადგილას მწვანეზე გადაგორდა. მაშინვე თავის მომავალზე დაიწყო ფიქრი, თავის გაჭირვებულს გარემოებაზე. თუმცა პირველში ძალიან ადვილად შეადგინა გეგმა, რომლის განხორციელებასაც კიდევაც შეუდგა და სწორედ ახლა შეეპარა ეჭვები და აღარ იცოდა, რანაირად მოეგვარებინა. ნატრობდა, რომ დროით შეღამებულიყო, რომ გიულისთან მოელაპარაკნა და იმის რჩევით და დახმარებით ესარგებლნა. მთელი დღეა, მუშაობის დროსაც კი, სულ ერთსა და იმავე საგანზე ფიქრობდა; და რაც მეტს უკვირდებოდა საგანს, მით უფრო იბნეოდა, იკარგებოდა...

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო... — წამოიძახა მიტრუამ და თვალები მაგრად მოისრისა.

— მიტრო!.. — შემოესმა უეცრივ ვიღაცის ხმა.

მიტრუა შეკრთოლდა ამ ხმაზე და სწრაფად წამოჯდა.

— ქერბალაი, შენაა!!. — უცნაურის ხმით შეეკითხა მიტრუა ქერბალაის, რომელიც თავს წამოსდგომოდა.

— მიტრო, ისე რა გაგიჭირდა, რომ ეგრე გულნატკენად ღმერთს შეჰბღავლე?!. — ღრეჭით დაეკითხა ქერბალაი და თვალები კი ისარივით გაუყარა.

მიტრუამ ვერ გაუძლო ქერბალაის თვალებს, გაწითლდა, თავი ძირს დახარა და ძლივს იმტყუნა:

— ისე!.. შინაურობა მომაგონდა, დღეს ჩვენი დიდი ოთხშაბათია. ამ ღამეს ჭიაკოკონას ვანთებთ და ზედა ვხტებით. მეც ბევრჯერ მიხტუნავია პატარაობაში. ის მომაგონდა. მაშინ უდარდელი ვიყავი, მხიარული, დედმამა თავს დამტრიალებდა. ახლა კი... ხომ ხედავ, მოჯამაგირე ვარ და ხვის წარბის მოძრაობას შევცქერი...

ქერბალაი თითქმის რწმუნდებოდა მიტრუას სიტყვებით, ბოლოს და ბოლოს ისე გულწრფელად ისროდა სიტყვებს. ქერბალაის ეგონა, მიტრუა მართლა მოგონებით იყო შეწუხებული. მაინც გადასწყვიტა ქერბალაიმ პირდაპირ ლაპარაკი, რომ სამუდამოდ დარწმუნებულიყო მის უდანაშაულობაში.

— მიტრო, ხომ იცი, გიული, ეს ორი დღეა, დაიკარგა?..

მიტრუა დაიბნა. სრულებით არ მოელოდა ამას იმის შემდეგ, რაც ზევით იმტყუნა და ისე ხელოვნურად...

— ვიცი, ვიცი!.. მერე?! — დაბნევით უპასუხა ქერბალაის.

— მერე ისა, რომ გიული სადაც არის, შენ იცი!.. — მოახეპით უთხრა ქერბალაიმ და უფრო დაჟინებით ცქერა დაუწყო.

ცივმა ოფლმა დაასველა მიტრუა. „დავიღუპე“. — უსიტყვოდ წამოიძახა და მაინც სიცრუეს მიმართა:

— ნეტავი ვიცოდე გიულის ბინა?!. მაშინ... — ველარ მოახერხა რა და თავი უფრო დაბლა დახარა მიტრუამ, რომ მისი სახის კრთომა ქერბალაის არ შეემჩნია.

ქერბალაი თითქმის დარწმუნდა, რომ გიული მიტრუასაგან იყო გატაცებული, და ამისთვის, რომ მისთვის ნათელი ყოფილიყო, უფრო მისახვედრად უთხრა:

— ეს არის, ახლა მამაჩემმა ყველა შვილები შეგვკრიბა. „საოჯახო შერცხვენაოო“, — დაიწყო მამაჩემმა. — მართლაც საოჯახო შერცხვენაა. ჩემო მიტრო! ჩვენ ვერ მოვითმენთ ოჯახის შერცხვენას!.. ოჯახიდან ქალი მოგვტაცონ?!. ამაზე მეტი თავზე ლაფის დასხმაღა გინდა?.. თუმცა ყველა ჩვენის ოჯახის წევრნი მოხარულნი არიან, რომ მამაჩემს ასეთი

მარცხი დაემართა, მაინც საწყენად აქვთ ყველას. შეურაცხ-ყოფაა ოჯახისა...

— მართალს ამბობ, ჩემო ქერბალაი, ოჯახის გალანძღვა-არის. — გააწყვეტინა ლაპარაკი ქერბალაის მიტრუამ.

— ჩვენს ახლოს ბინა არა არის რა, — განაგრძო ქერბა-ლაიმ: — ჯერ გიულის დაკარგვა არავის გაუგია. ჩვენ გვინდა გიული ისე მოვიყვანოთ, რომ არავინ იცოდეს...

— მერე, საიდან მოიყვანთ?! — განცვიფრებით დაეკი-თხა მიტრუა.

— შენის საშუალებით. — გადაჭრით უთხრა ქერბალაიმ და განაგრძო: — ამაღამ შენ გიულისთან წახვალ; ჩვენ მოგ-ყვებით უკან, და, სადაც არის, ვიპოვით. თუ ძალას იხმარ, ჩვენც რამდენიმე ძალას ვიხმართ და ძალით გაგანად-გურებთ...

— საწყალი გიული!.. — უნებურად წამოიძახა მიტრუამ. ახლა კი ეჭვის შეტანაც აღარ შეიძლებოდა. ქერბალაიმ დარწმუნდა: მიტრუას რაც უნდა ეთქვა, ვეღარ გადაარწმუ-ნებდა ქერბალაის. მიტრუაც დარწმუნდა, რომ ყველაფერი შეუტყვიათ. საგონებელს მიეცა მიტრუა. ამაღამ რომ არ წა-სულიყო, გიული გაგიჟდებოდა; თუნდაც არ გადარეულიყო, მშიერმწყურვალი რას იზამდა?! — გარეთ ის ვერ გამოვიდო-და, და თუ გამოვიდოდა, მაშინ ძნელიღა იყო იმისი დამალვა. მაშ რა ექმნა?!.

მიტრუა ჩავარდა ამ წვალებაში და აღარ იცოდა, რა ექმ-ნა. გულში იბრუნებდა ამ მწვავე აზრებს და უფრო ჰქენჯნი-და. ქერბალაი მაინც აქ არ იჯდეს, რომ ჰაერისათვის მაინც შეეჩივლა თავისი გარემოება. იქნება, ცოტათი შემცირებუ-ლიყო მისი ტანჯვა, ჰაერის სიოს შთაეგონებინა რამ. მაგრამ ქერბალაი აქ იასაულივით იჯდა და პირში შესცქეროდა. ტუ-ჩების განძრევასაც ვერ ახერხებდა. მიტრუა არ უცქეროდა ქერბალაის, მაგრამ გრძნობდა კია, რომ იგი თვალს ადევ-ნებდა.

მართლაც, ქერბალაი გაშტერებით ადევნებდა მიტრუას სა-ხის მოძრაობას თვალს და ტუჩებზე ღიმი უკრთოდა.

მიტრუას სუნთქვა შეუდგა. საჩქაროდ წამოდგა და წასვ-ლა დააპირა, რომ ცალკე თავის თავს გამოლაპარაკებოდა.

— მიტრო, მოიცა! — წამოიძახა ქერბალაიმ და ჩოხის კალთა დაუჭირა.

— თავი დამანებე! — წყრომით უთხრა მიტრუამ და ჩო-ხის კალთა ხელის დაქნევით გააშვებინა.

— მიტრო!.. — წამოდგა ფეხზე ქერბალაი და მიუახლოვ-და.

— სულთამხუთავი ხომ არა ხარ, რა გინდა?!. — შეუტია მიტრუამ და თვალებანთებულმა ისე დაუწყო მზერა, თითქოს ხელად ქერბალაის წაღრჩობა უნდაო, რომ ერთი მტრით ნაკ-ლები ყოფილიყო.

— ნუ მიწყრები, ჩემო მიტრო! — ტკბილად უთხრა ქერ-ბალაიმ და მხარზე ხელი დაადო.

— მე არ გიწყრები!.. გასაწყრომი რა მაქვს?!. — უპასუხა ლუღლუღით მიტრუამ და იმავე სახის გამომეტყველებით ელოდა, რითი გათავდებოდა ქერბალაის საქციელი.

— ყველაფერი გითხარი. ახლა რას აპირობ?!.

— რას მიედებ-მოედები, რა მითხარი?!. ან რას უნდა ვაპირობდე?!. გიული გაგექცათ, მე რა საქმე მაქვს?! — ისე დაიწყო, ვითომც იმას სრულებით არ ეკითხება გიულის საქ-მე და არც რამე იცის გიულის შესახებო.

— მიტრო, მოიგონე შენი სიტყვები: „ჩემს თავს ისე არ ვენდობი, როგორც შენაო“.

— მახსოვს! მერე რა?!

— მერე ისა, რომ რატომ გულახდით არ მეტყვი?..

— რა უნდა გითხრა, როდესაც არა ვიცი რა?!

— მაშ კარგი, მე გეტყვი: გახსოვს, პირველს დღეს ფლა-ვი რომ არ სჭამე და წყალზე წახველი. მერე წყალზედვე იეთარმა გიული გამოჰგზავნა. გიულის ფარიც გამოყვა...

— მერე, მერე?! — უნებურად წამოიძახა მიტრუამ, და სიწითლე ყურებიდან შეეპარა.

უეცრივ თვალწინ წარმოუდგა პირველი ხვეენა და...

— მერე, მოითმინე და ყური დამიგდე: თქვენ რომ წახ-ველით, ჩვენ მხიარულად ლანგრები დავლოკეთ. მხიარულად-

ვე გარეთ გამოველით და დამაძღრები ვმასლაათობდით. მე მამაჩემს თვალყურს ვადევნებდი. ცა თანდათან იღრუბლებოდა და წყაროსაკენ მალიმალ კისერს იღრეცდა... „ბაღარ, — დაუძახა ჩემს ცოლს მამაჩემმა: — შენც რომ წყალი მოიტანო, არ მოგვეჭარბებაო“. — უთხრა მამაჩემმა და ისე გადუბრიალა თვალები, რომ უარს ვერ ეტყოდა ჩემი ცოლი. იეთარმა ღრეჭა დაიწყო, რამაც მამაჩემს გულმუცელი აუმღვრია. ბაღარმა კი თულუხი გამოიტანა ფარეხიდან. მაშინვე მივუხვდი მამაჩემს, წყალი რისთვისაც უნდოდა. მაშინვე წამოვდექი და ჩემს ცოლს ხელიდან თულუხი გამოვგლიჯე. „მე წავალ წყალზე, გავლა მინდამეთქი!, — წამოვიძახე და წამოველი. ჩემი ცოლი ხეპრეა. ვიცოდი, გიული შეგხვდებოდა. დიდი ხნის უნახავს გული აგიტოკდებოდა და ჩემი ცოლი კი თავის უგუნურობით ხელს შეგიშლიდა. ამისთვის მე წამოველი. არც მოვტყუვდი. გადმოვდექ თუ არა პირველს ბექობს, შენ და გიული გადახვეულები იყავით. ფარი კი თავგადაგლეჯილი გარბოდა. ჩემი ცოლი რომ წამოსულიყო, თავს წამოგადგებოდათ თავის უგუნურობით და ხელს შეგიშლიდათ. მე კი მაშინვე გზა აგიქციეთ...“

მიტრუა მთლად გაწითლდა და თვალები აენთო.

— მე ცოტა თქვენზე ადრე დავბრუნდი და მამაჩემი დავამშვიდე. იმას აღარავითარი ეჭვი აღარ ჰქონდა, როცა თქვენ წყალი მოიტანეთ. იმ ღამეს შენ და გიული ერთად იყავით. ხომ გახსოვს?.. მე თქვენი მეთვალყურე ვიყავი... შემდეგ აღარა ვიცი რა. თავი მიგანებეთ.

— მაშ, სულ შენ გამოგიქვეყნებია და ხელში მიგიცივარ! — დაიღრიალა მიტრუამ და მკლავი მაგრად დაუჭირა.

— გამოქვეყნება რომ მდომნოდა, მაშინვე გამოვაქვეყნებდი და არც მოგატაცებინებდი გიულის. მე თუ თვალყურს ვადევნებდი მხოლოდ იმისთვის, რომ, თუ ვინიცობაა, სხვაც დაგინახავდათ, მათთვის თვალი ამეხვია... შენი დაღუპვა რომ მდომნოდა, არც ასე გელაპარაკებოდი. შენთან არ მოვიდოდი და არ გეტყოდი, თვალყურს გადევნებთმეთქი...

— ქერბალაი! ქერბალაი!.. — უეცრივ გონს მოვიდა მიტრუა და ქერბალაის მხურვალედ გადაეხვია...

— ახლა მაინც მითხარი, რას აპირობ?!. — დაეკითხა ქერ-ბალაი, როდესაც მიტრუას მკლავებისაგან განთავისუფლდა.

— ქერბალაი, არ ვიცი, რას ვაპირობ, ტვინი ისე მაქვს არეული, რომ არ ვიცი, რას ჩავიდენ და რას არა. ამას კი გეტყვი, თუ ამაღამ გიული არ ვნახე, ის გადაირევა. მშიერ-მწყურვალი მოკვდება.

— თუ ამაღამ წახვალ გიულისთან, დაიღუპებით ორივე-ნი. დღეს მამაჩემმა ყველას ერთად თავი მოგვიყარა და გვითხ-რა: „ჩვენი ოჯახი, მგონი, მიტრუამ შეურაცჰყოვო. მოჰკა-ლით, დააღრჩეთ, თუ მართლა ეგ არის ჩვენი ოჯახის შემარ-ცხვენელიო. თუ მე ცოლი მომტაცა, თქვენ დედა გაგიუპატიუ-რათო. გიული თქვენი დედა არისო...“ ყველანი შეგინებუ-ლად სთვლიან ჩვენს ოჯახს იეთარს გარდა. იეთარს კიდევაც უხარიან. მეც ისე ვაჩვენე მამაჩემს თავი ვითომც გაბრაზე-ბული ვარ.

— ვის გავუცივარ, ვის?! — წამოიძახა მიტრუამ და კბი-ლები გააკრაჭუნა.

—მგონი არავის: „მამაჩემს ეჭვი ჰქონდა შენზე, როგორც დღეს ჩვენ გვითხრა; ეშმაკურად გამოეკითხნა ოჰანეზასთვის. იმას ეთქვა: „წუხელს გარეთ გაველ და მიტრუა სადღაც და-კარგულიყოვო“. ოჰანეზამ, მგონი, გიულის დაკარგვა არც კი იცის. თუ გკითხოს რამე, არა უთხრა რა...

— მიტრო! — შეაწყვეტინა ლაპარაკი ოჰანეზას ხმამ.

— შვილო მიტრო, — დაიწყო ოჰანეზამ, როდესაც მიტ-რუა მივიდა იმასთან და ცალკე გავიდნენ... ქერბალაი კი გო-რაკს მოეფარა.

— შვილო მიტრო, — ისევ ამ სიტყვებით მიჰმართა მიტ-რუას: — ეს არის, ეხლა იეთარმა მიამბო გიულის დაკარგვა....

— მერე, მე რა?! — მკვახედ გააწყვეტინა სიტყვა მიტ-რუამ.

— კიდეც ეგ არის, რომ შენ რა, მაგრამ შენზე მოუტა-ნიათ ეჭვი.

— ჩემზე?! — გაიკვირვა მიტრუამ.

— ჰო, შენზე და ამაღამვე ქალაქში უნდა წახვიდე. მაინც ყველები უნდა გამეგზავნა ხვალ საღამოთი და...

— ჰო და ხვალ საღამოთი წავიღებ!

— მოშორდი, თუ ღმერთი გწამს, შარსა და შამაათსა, თათრების ამბავი ხომ იცი, რჯულამდის ჩაგყვებიან და მგონი სისხლიც გაგიშრონ. შენს მაგივრად ლექსუა გამოგზავნე. შენ იქ დარჩი.

— ამაღამ არ წავალ!.. — გადაჭრით უპასუხა მიტრუამ და განაგრძო: — რა ვუყო, რომ მაგათ ეჭვი შემოიტანეს?!. თუ კი მე უბრალო ვარ, მაგათ რაც უნდა, იფიქრონ.

— გირჩევ...

— ხვალ წავიღებ ყველებს.

— შენი ნებაა, მაგრამ...

XI

— ქერბალაი დაიღუპება, თუ ამაღამ არ წავედი! — შუბლის მოკმუხვნით წამოიძახა მიტრუამ და სახრით ქექვა დაუწყო ბალახებს.

— იცი მეგობარო, რას გირჩევ, — ცოტა სიჩუმის შემდეგ მიჰმართა ქერბალაიმ მიტრუას: — ჩვენ დღესვე, როგორც შენთვის ოჰანეზას ურჩევია, ქალაქისკენ წავიდეთ. ახლავე ყველები დააბარგე. ნუღარ დაახანებ.

— რას ამბობ, ქერბალაი?! აკი გეუბნები: „ამაღამ თუ გიული უნახავი დარჩა, გადირევამეთქი“!

— მეც ამისთვის გეუბნები და ქალაქში წასვლას გირჩევ, რომ უნახავი არ დარჩეს გიული.

— ვერ გამიგია...

— ამას რა გაგება უნდა! ჩვენ ახლავე წავალთ. შეღამდება თუ არა, შენ გიულისაკენ წახვალ, მე კი მოგიცდი სადმე. მეთვალყურედ ვეცდები მე წამოგყვე, მეც დეკეულებს წამოვლალავ ქალაქში გასასყიდად.

— კარგი, თუ შენ გამომყევი! მაგრამ სხვა რომ გამომაყოლონ, მაშინ? — ცოტა ჩაფიქრების შემდეგ დაეკითხა მიტრუა.

— აკი გეუბნები: ვეცდები მე გამოგყვე და, თუ ისე მოხდა, როგორც შენ ფიქრობ, მაშინ, ჩემო მიტრო, ერთი-ღა

დაგრჩენია, — მასწავლო, სადაც არის გიული და, ძმობას გეფიცები, დილაზე შენზე ადრე გიულის ქალაქში მივიყვან და, როდესაც შენ მოხვალ ქალაქში, ჩაგაბარებ.

მიტრუამ, ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით შეხედა და დიდხანს ასე გაშტერებით თვალი თვალში გაუყარა ქერბალაის.

— რატომ აგრე ეჭვის თვალით მიყურებ, მიტრო?!

— რა ვიცი!

— შენი ნებაა...

მიტრუას მეტი გზა არ ჰქონდა. გულის მოკუმშვით დაეთანხმა ქერბალაის და ასე გამოეხმაურა:

— მართალს ამბობ, ქერბალაი!.. მეტი ხსნა არა მაქვს. გასწავლი, სადაც გიული არის, მაგრამ... — შუბლი უნებურად შეეჭმუხნა, და სიტყვა შეუწყდა.

მიტრუას გული უფრო მოეკუმშა და ცივი ოფლი გადმოსკდა...

— ჰე! — გულის სიღრმიდან ამოსკდა კვნესა, და მთლად ღმერთს მიანდო შედეგი.

— მიტრო, — დაუწყო ქერბალაიმ, როდესაც მიტრუას ყოყმანი შეამჩნია: — თუ გული გეთანაღრება, ნურას მეტყვი და ისე მოიქეცი, როგორც შენმა ჭკუამ გასჭრას.

— გეტყვი, თუ არ გეტყვი, ახლა სულ ერთია, ჩემო ქერბალაი! ახლა შენ ხელთა ვარ.

— მაშინ დროით, თორემ შეგვნიშნავენ.

— ხომ იცი იოანე ნათლიმცემლის საბერო? ჰო და, იქ კლდეებში ბევრი გამოქვაბული სენაკებია. საყრდის ხელმარჯვნივ — აქედან რომ მიდიხარ — ერთ ამ სენაკთაგანშია. აღმოსავლეთით მესამეა. შეღამდება თუ არა, გიული კარებში დადგება. მიაგნობ. მისვლისას ერთი-ორჯერ დაუსტვინე და გიულიც სტვენითვე გაგცემს პასუხს...

— კარგი. მაშ დაეჩქარე! — სიტყვა შეაწყვეტინა ქერბალაიმ და უეცრივ გატრიალდა.

დაღონებული მიტრუა დიდხანს უმზერდა ბინისკენ მიმავალს ქერბალაის და ადგილიდან არ იძროდა. თანდათან გული ბრაზით ევსებოდა და ეჭვი ეპარებოდა, რომ ქერბალაიმ, ვაი თუ, მიმტყუნოსო. რაც დრო გადიოდა, და ქერბალაი

გორაკს ეფარებოდა, მიტრუა მოსაზრებას ჰკარგავდა, და მის გონებას მხოლოდ ერთი, ერთი ფიქრი — ვაი თუ მიღალატოსო — იპყრობდა...

— დავაღრჩობ, ძაღლივით დავაღრჩობ, თუ... — ვეღარ დაათავა. თითები ერთმანეთში გადახლართა და, თითქოს აღრჩობს ვისმეო, მაგრად დაუწყო სრესა.

— ქერბალაი!.. — წამოიყვირა ერთბაშად, როდესაც ქერბალაი გორაკს მოეფარა და მისკენ მოჰკურცხლა.

— დაგაღრჩობ, დაგაღრჩობ, თუ მიღალატე! — ბუტბუტებდა მიტრუა, მაგრამ ქერბალაის იმის სიტყვები არ ეყურებოდა.

მირბოდა მიტრუა და ქერბალაის მოწევნას, ვიდრემდის ის ბინაში მივიდოდა, ჰლამობდა, რომ ჩაეგონებინა იმისთვის: „თუ მიღალატე, დაგაღრჩობო“...

— მიტრო?! — გორაკის მეორე მხარეს გადაჰხედა, თუ არა, ოჰანეზა წინ დაუხვდა.

— დაგაღრჩობ, დაგაღრჩობ!..

— მიტრო?!. — ხელმეორედ დაუძახა გაოცებულმა ოჰანეზამ და გზა გადაუჭრა.

მიტრუა შესდგა ოჰანეზას დანახვაზე და დაეკითხა:

— ქერბალაი ხომ არ შეგხვედრია?!

— როგორ არა, აგერ ფარეხში არ მივიდა? — ტკბილად უპასუხა ოჰანეზამ და ხელით ანიშნა ქერბალაი.

— ჰო!.. აგერ, ფარეხში არაა!.. — წამოიძახა მიტრუამ და აღგზნებულ თვალებს ზევით ქუთუთოები ოდნავ წამოაფარა.

ხაფანგში მომწყვდეულ თაგვივით ფართხალობდა მიტრუა; ყველგან შეღობილი დაუხვდა გზა, და მოქანცული დამორჩილდა თავის ხვედრს...

— რაც მოსახდენია, დეე, მოხდეს! — გულის ტკენით წამოიძახა კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ და ოჰანეზას შეხედა.

— მიტრო, იმისთვის დაგეძებდი, რომ კიდევ მერჩია ამაღამ ქალაქში წასვლა. — უთხრა ოჰანეზამ, როდესაც მიტრუამ ლმობიერად შეჰხედა, და სრულებით არ აგრძნობინა, რომ იმისმა უკანასკნელმა სიტყვებმა ყველაფერი გამოამჟღავნა.

-- მართალს ამბობ, ოჰანეზ! წავიდეთ, ყველები დავაბარგოთ და გზას გავუდგები.

— ჰოო, გიშველა ღმერთმა!..

მეტი აღარა უთქვამს რა. მაშინვე კარავისკენ მხარდამხარ ამომდგრები ჩქარის ნაბიჯით წავიდნენ, ურემზე ყველის დაბარგებას გულმოდგინედ შეუდგნენ.

იმათ მუშაობას გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა ალია, რომელიც ფარეხის წინ იჯდა. ველარ მოითმინა და დაეკითხა:

— ოჰანეზ, ქალაქში ხომ არ გზავნი ყველს?

— ჰო!.. — მოკლედ უპასუხა ოჰანეზამ.

— ვის მიაქვს?!

— მიტრუას.

— როდის?!

— ამაღამ.

ხმა გაქმინდა ალიამ. თვალები უეცრივ აენთო და ფეხაკრებით ფარეხში შევიდა.

— მომეცით თოფი! — ფარეხში შესვლის უმალ წამოიძახა ალიამ და იქავე ბოძს ხელი მაგრად მოჰხვია.

— თოფი რად გინდა?! — შეეკითხრა ისმაილა, რომელიც, ეს ორი დღეა, თავგადაგლეჯით გიულის დაეძებს და ცხვარში აღარ დადის.

დაღალული აქეთ-იქით ხეტიალით მხართეძოზე წამოწოლილიყო და ალიას ხმა რომ გაიგონა, უეცრივ ფეხზე წამოვარდა...

— მინდა მოვკლა, მოვკლა! — დაიძახა და ბოძს ხელი უფრო მაგრად შემოურკალა.

— ვინ?...

— ვინ და ჩემი დამღუპველი!.. ჩემი... მიტრუა, მიტრუა!.. — უკანასკნელი სიტყვები ჩურჩულითღა წამოიძახა, რადგანაც სიბრაზით გული ყელში მოებჯინა.

— მამი, ჯერ მოიცადე. აჩქარება არ ვარგა ამ საქმეში. ხომ გადავწყვიტეთ თვალყურის დევნება. ვადევნოთ, და თუ მართლა მაგისგან ვართ შერცხვენილნი, გეფიცები, პირველად მე გავუყრი ყელში ამ ხანჯალს!..

— ეგაა, ეგაა ჩემი დამღუპველი! გული მეუბნება და არც მატყუებს ხოლმე. ყული ტყუილად გავგაზვნეთ გიულის მამასთან. გიული არ გაიქცეოდა... ის განგებ არის წაყვანილი, მოტაცებული, თორემ თითონ არ წავიდოდა. ალაჰსა ვფიცავ, ეს ასეა. ამ ბოლოს ძალიან შევუყვარდი. სულ ჭირსა მჭამდა. თითონ არსად წავიდოდა, არა!..

— იქმნება, სხვა მოიტაცა და მიტრუას სულ. ტყუილად აბრალებ.

— გიული!.. ჩემო გიული!.. პატარა ჯეირანო, სადა ხარ?! — ლმობიერად წამოიძახა და თვალები ცრემლებით აევსო.

ისმაილას შეებრალა მამა, თუმცა კი წინად იმისი ასეთი გატაცება სიცილსა გვრიდა, და თანაგრძნობით მიჰმართა:

— მამი, მე მოგიკვდე, თუ გიული არ გიპოვოთ!

— შვილო, ისმაილ, შენ იცი!.. — სლუკუნით წამოიძახა და ისმაილას მხარი ცრემლებით დაულბო.

— აღუუ!.. — თავისთვის წამოილუღლუღა აქნობამდის გაჩუმებულმა იეთარმა და მუჯლუგუნი წაჰკრა თავის რძალს ქუქაზბანს, რომელიც იეთარივით გაჩუმებული ისმენდა მამამთილისა და თავის ქმრის ბაასს.

ორთავე მანდილოსანთ ჩუმი, თავდაჭერილი ფრუტუნი აუტყდა.

— გაიგეთ? —ამ დროს დაინახა ქერბალაიმ კარებიდან:— მიტრუა ქალაქში მიდის.

ქერბალაის ხმაზე მამა-შვილნი გაშორდნენ ერთმანეთს. ალიამ თვალები მოიწმინდა და მოაგონდა, რომ ამ ამბის სათქმელად შემოვიდა ესაც.

— ჰო, გავიგე!...

— გაიგე და რას აპირობთ?!

— მე არა გამიგია რა! — სთქვა ისმაილამ და თვალი გადაავლო მამას და ძმას.

— აგერ, ყველას აბარგებენ.

— მე ამ ამბის სათქმელად შემოვედი წეღან და ბრაზმა სულ გადამავიწყა.

— იმის მაგივრად, რომ ეთქვა რამ, მაგან ტირილი დაიწყო და ისმაილაც ააღელვა, — წამოილაპარაკა იეთარმა.

— ოეთარ, გულს ნუღარ მიკლავ მაინც!..

— ჰო, ემაებს თავი დაანებე! ისა სჯობია, მოვიფიქროთ რამე.

— მართალს ამბობ, ჩემო ქერბალაი!..

XII

დილაადრიანათვე სემინარიის გვერდით ქუჩა ახმაურდა. კაცს რომ ყური დაეგდო, ერთ გარკვეულ ხმას ვერ გაიგონებდა. ადამიანთა და პირუტყვთა ხმა ერთმანეთში ირეოდა და უცნაური, გაუგებარი ვრგვინვა გამოისმოდა. ვაჭრებს გამოეტანათ სანოვაგე: ყველი, ლორი, მწვანილი, საადგომო ნამცხვარი, დაკლული ინდოური, გოჭი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, აქა-იქა ადგილებიდან გაჰკიოდნენ. ზოგნი დაკლულ გოჭებს და ინდოურებს ხელით დაარბეინებდნენ და არა ნაკლებ მაგიდებთან მოვაჭრეებზე გაჰკიოდნენ და ხან ერთს მსყიდველს გაუშვერდნენ გაყვლეფილს გოჭს, და ხან მეორეს. უფრო მომეტებულად ცოცხალი გოჭები უკან ფეხებით ეჭირათ, რომლებიც საშინლად ჭყვიტინებდნენ რითაც ქვეყანას ამცნობდნენ ყურადღებას არავინ აქცევდა.

მსყიდველნი, გაბრუებულნი ამ გრგვინვით, დადიოდნენ და აღარ იცოდნენ, დაავიწყდათ კიდევაც, რის სასყიდლად გამოვიდნენ. აქეთაც ეწევიან და იქითაც ჩარჩები, — წინაც და უკანაც ყიდულობს ყველაფერს, რასაც აწვდიან. სანოვაგის სიკეთის გასინჯვასაც კი ვეღარ ახერხებს. ერთადერთი სურვილი იმისი — ისაა, რომ დროით განშორდეს ჟრიამულს, თავის გამაბრუებელს ხმაურობას. აგერ სამარხვო ზარის რეკაც გაისმის, მაგრამ არავის ეყურება. ისევ ყიჟინი, ჭყივილი, ჭყვიტინი და ბღავილი. ხალხის მოძრაობას არა რა აყენებს. არც სასტიკი ქარი, რომელიც განთიადისას ამოვარდა და აქაურობას ანგრევს, ჰსუსხავს და სულდგმულთ სისხლის მოძრაობას უყენებს. მიტრუაც გაფაციცებით დარბის აუარებელს ხალხში და ხან ერთი ჩოხიანთან გაჩერდება, და ხან მეორესთან. ყველები ჩააბარა თუ არა ბაყალ გეუას, აღარც კი დააცადა გამოეკითხნა რამ, მაშინვე ხალხში გაერია და

თავგადაგლეჯით დაეძებდა ქერბალაის. იმას არც ღრიანცელი ესმის და ვერც სუსხიან ქარსა ჰგრძნობს...

მთელს ღამეს თვალი არ მოუხუჭნია. გამალებით მოერეკებოდა ურემს. ისმაილი, რომელსაც დეკეულობა მოუდიოდა გასასყიდათ, ბევრჯერ შეემუდარა: დავისვენოთ, რას მივეჩქარებით! დილაზე მაინც ადრიანად შევალთ ქალაქშიო". მაგრამ მიტრუას თითქოს არც კი ეყურებოდა ისმაილის სიტყვები. მხოლოდ ერთხელ უპასუხა: „თუ გინდა, შენ დაისვენე, მე კი არ შემიძლიანო". ისმაილი დიდის სიამოვნებით ჩამორჩებოდა და მწყემსურ ძილს გამოაცხობდა; მაგრამ ოჯახური თათბირ-დადგენილობით ისმაილი მეთვალყურედ იყო გამოგზავნილი, და ამის გამო ვერ შორდებოდა. მიტრუამ მოკლე გზებით ატარა ურემი და ჯერ არც კი ერაჟრაჟნა, რომ წმ. ბარბარეს საყდარს დაუახლოვდა. აქ კი შეაყენა ურემი, ხარები გამოუშვა და იქეთ-აქეთ ხეტიალი დაიწყო. ისმაილამ მწყემსები გაიხმო და ჩუმად დაარიგა ერთი მათგანი, რომ შორიახლოს ადევნებოდა და თვალი არ მოეშორებინა. თითონ კი ურმის ქვეშ წაეგდო და აქედან უპირობდა თვალყურის დაჭერას, მაგრამ სწრაფად ხვრინვა ამოუშვა...

„ამ გზას ვერ ასცდება", — ფიქრობდა მიტრუა ხეტიალის დროს: „აქეთ გამოივლის და თვალს მაინც მოვკრავ, თუ ეს ოხრები მითვალყურებენ და გამოლაპარაკებას ვერ მოვახერხებ...

— ოხ, რა ძნელია ეს ოხერი ლოდინი!.. — დაიძახა კარგა ლოდინის შემდეგ და დედამიწას დაემხო.

დიდხანს, დიდხანს ასე დამხობილი დედამიწის პირას გაიცქირებოდა ყარაისაკენ, მაგრამ ვერავინ დაინახა. უეცრივ ზეზე წამოვარდა. ურემთან მიირბინა და დაიძახა:

— წავიდეთ, ჩქარა წავიდეთ, თორემ დაგვაგვიანდება.

ბმაურობაზე ისმაილას გამოეღვიძა, ფშმუილით ურმის ქვეშიდან გამოძვრა და წაიბუტბუტა:

— შენც რა დაგემართა?!. ბავშვივით ერთს წამს გუნებას იცვლი.

— ჩემო ისმაილ, ვერა ჰგრძნობ ამ ქარის სუსხს, და არ

გეყურება სისინი?! მე ვიცი, მოუმატებს და მაშინ ამ ღია ადგილას ამოგვაშეშებს ჩვენცა და საქონელსაც!

— მაგას კი მართალს ამბობ!

თუმცა ისმაილას ქარი მოუმიზეზა, ნამდვილად კი სხვა იყო მიზეზი ასე უეცრივ ურმის შებმისა. აქნობამდის მიტრუას ეგონა, ქერბალაი ამ გზით წამოიყვანდა გიულის. მაგრამ აქ უეცრივ მოაგონდა, რომ უფრო მარჯვე გზა იოანე ნათლიმცემლის საბეროდან კახეთის გზატკეცილისაკენ იყო. „იმ გზით უფრო წავიდოდა ქერბალაი, — გაიფიქრა მიტრუამ, — რომ გზაში ბინები ნაკლებად შეხვდებაო“.

ქარმა მართლა უმატა, ჩქარა სასტიკად დაჰბერა და კორიანტელი ააყენა. მგზავრები თვალის ახელას ვეღარ ახერხებდნენ, რადგანაც პირდაპირი ქარი იყო და თვალებში მტვერს აყრიდა...

— უჰ, რა არამი ქარია!.. — წამოიფშმუვლა ისმაილამ და ზურგი შეუქცია ქარს.

— ჰო, ვეღარასა ვხედავ!.. — უპასუხა მიტრუამ და იმანაც ზურგი შეუქცია.

ასე ზურგშექცეული მიერეკებოდა ხარებს, ვიდრემდის ნავთლუღის თავს კახეთის გზაზე არ გადმოვიდა, აქ შეაყენა ურემი. აქეთ-იქით მიმოიხედა, მერე თვალები კახეთის გზას გააკრა...

უკვე გაფითრებულიყო ცა. სინათლეს კუმეტი გაეპო და არემარე გამოექანდაკებინა. საგნები კარგად ირჩეოდა.

— ჰააამოო... — ტანის ჟრუოლით დასჭყივლა ხარებს და ერთი ისეთი გადუჭირა სახრე ხარს, რომ ხარი ხელნას მიეკრა და ასე გვერდ-გვერდ ხელნაზე მიკრული რამდენიმე წამს მიდიოდა.

მიტრუას იმედი ჰქონდა, გზაში უეჭველად ჰნახავდა გიულის. ეს იმედი ისე ძლიერი იყო, რომ ერთს წამსაც ეჭვი არ შეპარვია. და, აი, როგორ გაუმართლდა ეს იმედი: თითქმის ქალაქში შემოვიდა, და ის კი არსად იყო, თვალი ვერ დაჰკრა. მწვავე იყო ამისთვის იმედის გაცუდება, იმდენად მწვავე, რომ გონება აერია და ისე ძლიერად გადუჭირა სულ უნებურად ისევ სახრე ხარს, თითქოს ძლიერის დარტყმით

იმედს დაიბრუნებდა. მართლაც სიმწვავე სახრეს გაატანა. გაბრუვდა მიტრუა და გაშტერებული იჯდა ურმის თავზე...

ჰქროდაღა ქარი?..

აღარ ეყურებოდა რა. გონს მხოლოდ, სირაჯხანის თავდაღმართში რომ ჩადიოდა ურემი ისმაილას წინამძღოლობით, მაშინ მოვიდა, შუბლზე ხელი მოისვა, და მოაგონდა, რომ ქერბალაი გზაში არ შეხვდა, უნდა ენახა კია. ნავთლუღის თავში აქეთ-იქით იცქირებოდა და მერე რა მოხდა?.. აღარ ახსოვდა რა. საშინლად გაიკვირვა, რომ ურემი სირაჯხანის თავდაღმართში ნახა. ასე უეცრივ ურემი აქ როგორ გაჩნდა?!.

— ისმაილ, მეიდნისკენ წავიდეს, მეიდნისკენ... — დაუძახა მიტრუამ ისმაილას, როდესაც იმან ხარები რიყის ქუჩისაკენ მოირეკა...

— ოჰ, გამოიღვიძე?! რა დაგემართა, კაცო. ისე რამ გაგაშეშა?!. რამდენჯერმე დაგიძახე, ურემი კინაღამ გზის თხრილებში არ გადაბრუნდა. მაგრამ შენ გახევებული იჯექი. მეღა გამოვრეკე. — ჩაეკითხა ისმაილა და ხარებს ჩამოეცალა.

— რა ვიცი! — მოკლედ უპასუხა მიტრუამ.

— მე საქონელს რიყეში შევრეკამ გასასყიდად. ურემზე, აი, მამედა წამოგყვება.

— კარგი!

მიტრუა მთლად გამოერკვა. ხარებს შეეხმაურა და ურემი თათრის მოედნისაკენ წაიყვანა. „იქნება, ქერბალაი დუქანშიაც მელისო“, — გაიფიქრა იმან: „და მე კი ტყუილუბრალოდ თავბრუ დამეხვა“...

მომხიარულდა მიტრუა. ხარებს ალერსით ხელი გავაზე გადასდო, თითქოს თავისი სასტიკობა ამით უნდოდა გაექარწყლებინა და ალერსითვე წასძახა:

— აბა, თქვენი ჭირიმე, ააჩქარეთ ფეხი, თორემ...

ზუზუნებს, ზუზუნებს ქარი. სასტიკად უსტვენს... ამ გმინვას ქარისას ბანს აძლევს ადიდებული მჩქეფარე მტკვარი. რიყის პირას, თითქოს საბრძოლველად ემზადებაო, ტრიალებს, გმინავს, ძალას იკრეფს და იერიში მიაქვს ზღუდეზე, რომ ერთბაშად ჩანთქას, შემუსროს და კალაპოტი გაა-

განიეროს, სამფლობელო გაიფართოვოს. მაგრამ ამაოდ, კიდენი სალის კლდისანი გულგრილად უხვდებიან განრისხებულ ტალღებს, რაც უფრო აშფოთებს მტკვარს. აქაფებული, აღშფოთებული ამგვარ მედიდურობით, ღრიალით მიქანაობს. მაგრამ იქაც ისევ ის გულგრილი წინააღმდეგობა და ისეთივე გამარჯვება გულქვასი. მთლად განადგურებული მტკვარი მეორე ხიდს ქვევით გატვრენილი მიდის, რომ თავის სირცხვილი დამალოს, გააქარწყლოს...

მიტრუამ ხარებს ხელი ანება, როდესაც ხიდზე შეაყენა ურემი, მარჯვენა მხარი ფარად აიფარა და ქუდი მოიხადა.

— ოჰოჰოჰო, რა ქარია! — წაიბზმუილა მიტრუამ და მარცხენა ხელით ხარს სახრე გადაჰკრა.

მოეფარა მიტრუა სახლებს. სიონისკენ ჩაუხვია. ვეღარ ხედავს სტიქიონის სასტიკ ბრძოლას. თითქოს ქარმა იყუჩა. მიტრუას გონება უფხიზლდება, სახე უცინის. ახლა მიეჩქარება დუქნისაკენ, სადაც ქერბალაის ნახავს და გიულის ამბავს შეიტყობს; იქნება გიულიც ნახოს!..

— ჰაამო, ჰაამო!.. — ალერსით აჩქარებს ხარებს, ნატრობს, ნატრობს ფრთების გამოსხმას. მაგრამ ხარები, ჩვეულებრივად, თავისებურად კუდის ქნევით მიიზლაზნებიან სიონის აღმართზე...

— ცოტაღაა, ცოტაღა!.. — უსიტყვოდ გაიძახის მიტრუა და ხარებს უფრო ჰჯმუჯნის, ეხვევა...

მაგრამ კიდევ იმედის გაცრუება... ქერბალაი იქ ვერ ნახა. ხმის ამოუღებლივ ყველები დუქანში შეზიდა, ხმის ამოუღებლივ გამოეშურა ბაზრისაკენ და აგრეთვე ხმის ამოუღებლივ დაეძებს ქერბალაის აუარებელს ხალხში.

მოიქანცა მიტრუა ამ ღრიანცელით. თითქმის ათჯერ შემოირბინა მთელი სავაჭრო მოედანი. მაგრამ ქერბალაის მზგავსი ვერავინ ნახა!..

— მაშ მომატყუილა, მომატყუილა იმ??. — სიტყვა ვეღარ გაათავა და სასოწარკვეთილმა პუშკინის ბაღის ღობეს ზურგით მიეყრდნო.

რა აზრმა არ გაურბინა თავში?!. ყველა აზრი კი ერთიმეორეზე ძლიერად სტანჯავდა და სხეულს უდაგავდა...

— არა!.. არა! ეგ შეუძლებელია! — წამოიღრიალა მიტ-

რუამ, როდესაც მისდაუნებურად გაურბინა თავში იმ აზრმა, ვითომ ქერბალაიმ გიული ისევ ბინაზე წაიყვანაო.

— მერე მზის ცქერა აღარ უნდა?!. — განაგრძო აღშფოთებით მიტრუამ და ისევ ძებნა დაუწყო...

XIII

ჩაკი თბილისში საქონელიც მოუდიოდათ გასასყიდად, თათბირის დროს ისმაილას მიანდეს მიტრუასთან ერთად წასვლა, რადგანაც მხოლოდ ისმაილას დაუდიოდა გასასყიდად საქონელი. იმ თავითვე ისმაილა განაგებდა ამ საქმეს. ქერბალაის კი ჯერ ერთი ხბოც არ გაეყიდნა და ამისათვის ის არ გააყოლა მიტრუას, თუმცა კი ყველას სურვილი იყო ეს...

— მე ვერ მოვდივარ შენთან, მიტრო, მაგრამ არა უშავს რა! — თათბირს შემდეგ ქერბალაიმ მოახერხა ჩუმად წალაპარაკება: — ძმობას გეფიცები, რომ გზაშივე დაგახვედრებ გიულის.

მიტრუას არ ესიამოვნა ეს ამბავი. ამაღამ ქერბალაი რომ წაჰყოლოდა, თვითონ წავიდოდა გიულისთან. მაგრამ რა გაეწყობოდა... დამორჩილდა ხვედრს. ქერბალაის სიტყვებით დაიმედებული ისმაილასთან ერთად თბილისის გზას გაუდგა.

ქერბალაი კი, რა წამს ყველამ მიიძინა, წამოდგა. მიიხედ-მოიხედა და, ის იყო, გაემგზავრებას აპირობდა, რომ ფარეხის მეორე მხარეს აჩრდილივით ვიღაც დაიარებოდა. თვალები დააშტერა და ალია იცნო. „საწყალს ვეღარ მოუსვენია!“ — უნებურად წამოიძახა ქერბალაიმ.

ალია კარავის კარებთან მივიდა და ჩურჩული დაიწყო:

— ოჰანეზ, ოჰანეზ!..

— ჰმ, ჰმ!.. — მოისმა ოჰანეზას ძილისაგან გამოურკვეველი ბზმუილი.

— ოჰანეზ, ოჰანეზ, მე ვარ!..

— ალი, შენა?!.

— ჰო... — მოკლედ უპასუხა და კარავში შევიდა.

— ამ დროს რად გარჯილხარ?.. — გაკვირვებით ჰკითხა ოჰანეზამ და მხრჩოლავი თუნუქის ლამპარი აანთო.

— რა ვიცი, არ მეძინება!.. ადამიანთან ლაპარაკი მოგინდა!..

— დაბრძანდი, დაბრძანდი!..

— ჩემს ცოლ-შვილს ხმას ვერ გასცემ, მგლებივით მიცქერიან; ამისთვის შენ მოგნახე. — დაიწყო ალიამ და ოჰანეზას ლოგინზე მოიკალათა.

ქერბალაის ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვია. ის გაუნძრევლად იდგა და სახე თანდათან ეღრუბლებოდა. ალიას ყოველი სიტყვა, იმისი მოძრაობა გულს უფხაჭნიდა და სიბრალულს უღვიძებდა. ის ზიზღი, რომელიც ქერბალაის გულში ჰბუდობდა მამისადმი, თანდათან ქარწყლდებოდა. წინად როდესაც ალია მიეალერსებოდა გიულის, ქერბალაის ზიზღსა გვრიდა, მწარედ კბილებს გააკრაჭუნებინებდა ალიას ამგვარი საქციელი; ეხლა კი იმისი ხმა, მოძრაობა, ჩამომხმარი სახე გულს სიბრალულით უვსებს...

„საწყალი, ამ ორ-სამ დღეში რანაირად ჩამოხმა, განადგურდა!.. — ფიქრობდა უნებურად ქერბალაი. — ან კი რა დააშავა ისეთი?“..“ — უეცრივ ელვასავით გაურბინა თავში ამ კითხვამ: „განა სხვები კი ასე არ იქცევიან?“.. ცალი ფეხი...“

— ცალი ფეხი სამარეში მიდგას. ერთადერთი სიამოვნება ჩემი — გიულისთან ახლოსყოფნა იყო და ესაც შეშურდათ!.. ესაც... — შემოესმა ქერბალაის მამის თითქმის ქვითინი.

ამას კი ვეღარ გაუძლო. იმასაც თვალებზე ცრემლი მოადგა. ერთი ნაბიჯი წინ გადადგა და მამისაკენ გაქანება დააპირა, რომ ენუგეშებინა, ეთქვა: „ეხლავე აქ გავაჩენ გიულისო“. მაგრამ ამავე დროს მიტრუა წინ აემართა...

— ააა!.. — მწვავედ წამოიშმუვლა ქერბალაიმ და თავის მკლავს მაგრად, მაგრად ღრღნა დაუწყო...

— შინაურებმა დამღუპეს, ჩემო ოჰანეზ, თორემ გარეშე რას მიზამდა...

— აა!.. — უფრო მწვავედ დაიღმუვლა და იოანე ნათლისმცემლის საბეროსკენ რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოჰკურცხლა...

XIV

შებინდდა თუ არა, გიული სენაკის პირას გამოდგა და აღგზნებული თვალებით მზერა დაიწყო იქით, საიდანაც მიტრუა უნდა მოსულიყო. კარგად იცოდა, ჯერ ადრე იყო, ჯერ

მიტრუა აგრე მალე ვერ გაათავებდა საქმეს; მერე, ვიდრეკ-დის სხვები არ დაიძინებდნენ, ის ვერ გაჰბედავდა წამოსვ-ლას, მაგრამ გული არ უთმენს. ჯერ დღეც, თუმცა დარწმუ-ნებული იყო, რომ ის დღე ვერ მოვიდოდა, მალიმალ ქურდუ-ლად გამოიხედავდა ხოლმე და ახლა ხომ, როდესაც დარწმუ-ნებული იყო, იმას ვერავინ დაინახავდა, რა დაუშლიდა გარეთ ყოფნას!..

ეს მესამე დღეა, სენაკში იმყოფება, და ჯერაც არ მოს-წყენია მარტოდ ყოფნა. მარტო ღამღამობით ჰხედავს თავის მიტრუას, რომელსაც მიანდო თავისი სული და გული და, ისაც ცოტა დროთი, სულ რამდენიმე საათით, და ამათიც კმაყოფილია, მხიარული. წელიწადიც რომ გაგრძელდეს ასე-თი მდგომარეობა, მაინც კმაყოფილი იქნება, მაინც ღმერთს მადლობას შეწირავს. მარტო ერთი რამ აჩრდილებს იმის გო-ნებას: ალიაზე მოგონება. ჩაფიქრდება თუ არა, — ეს კი ხში-რად ემართება, — რადგანაც აქ მეტი არა დარჩენიარა, მაშინვე ალია წარმოუდგება თვალწინ, ის ეხვევა, გულში იკრავს და „გიული, გიული“-ს ჩაჩურჩულებს. ყოველ მოგონებაზე უნებურად სხეული უხტის, კრთება და, რომ განდევნოს არა-სასიამოვნო მოგონებანი, ქურდულად გარეთ გამოიხედავს. ალიას ოჯახის მოგონებაც უწყლავს გულს. ერთადერთი არ-სებაა ალიას ოჯახში, რომლის დაკარგვაც ეძნელება: ეს — ფა-რია. წარმოუდგებოდა თუ არა ფარი, ღრმად ეწაფებოდა იქა-ზე მოგონებას და გამორკვევა ენანებოდა. უნდოდა სულ იმაზე ეფიქრნა. „ახ“, — ხშირად წამოიძახებდა ხოლმე, — „ფარიც რომ ჩემთან იყოს, მაშინ“... აღარ ათავებდა სიტყ-ვას. თვალებზე მომდგარ ცრემლებს გამოიფურავდა და ძალ-მიხდილი ზურგს კედელს მიაყუდებდა. მამის ოჯახში, როდე-საც ეთხოვებოდა, ისე არავინ დაჰნანებია, როგორც ახლა ფარის ცრემლები; რამდენჯერ ფარის ალერსს გამოუყვანია სასოწარკვეთილებიდან, გული გაუმხიარულებია?!. ის იყო ალიას ოჯახში ამის მფარველ ანგელოზად. „საწყალი ფარი“, — ყურებში უდგია მიტრუას სიტყვები, რომლებითაც იმან უპასუხა მოტაცების შემდეგ პირველ შეხვედრაზე, როდესაც გიულიმ ფარი იკითხა, „მთელ დღეს ცრემლი არ შეჰშრობია!“

უეჭველად ფარისაც წამოვაყვანინებ მიტრუას!“ — წამოიძახებდა ხოლმე ამის შემდეგ გიული და ამ იმედით გამხიარულებული ახლა მიტრუას გონებით ეალერსებოდა...

— ახლა დაიძინებდნენ! — წამოილაპარაკა გიულიმ, როდესაც კარგა შეღამდა, და კუმეტი თვალები არემარეს გადაავლო.

ბნელი ღამე იყო. ბნელიც რომ არა ყოფილიყო, მაინც გიული დიდ სივრცეს ვერ გადაავლებდა თვალს, რადგანაც წინ მთები ქონდა აფარებული, და ამისკენ გზა მხოლოდ მიკლაკნილ ხევით მოდიოდა. გიულიმ ამ ხევს გააყოლა თვალი, როდესაც თვალის გადავლების დროს მხოლოდ შავად ამართული კლდეები დაინახა. თვალის დაუხამხამებლივ კარგა ხანს უცქეროდა ხევს, მერე რამდენიმე ნაბიჯი ძირს ჩამოდგა სიფრთხილით, რადგანაც ვიწრო ბილიკი მიდიოდა ძირს, ხევისკენ, და ჩამოჯდა. ძირს ჩაიხედა და შეეჯოლდა. ძირს წყვდიადი, შესაზარი სიბნელე სუფევდა. გიული შეუჩვევარი იყო ამგვარ სიბნელეს, ამგვარ ადგილებს. მართალია, ბევრჯერ უნახავს ამგვარი ადგილები, უფრო უარესიც და უარეს ღამესაც, მაგრამ სხვებთან ერთად. მარტოკას კი არასდროს...

— ახლა მოდის!.. — გასამხნევებლად წამოიძახა, თავი მაღლა აიღო და კლდეს მიეყუდა.

ერთს წამს უაზროდ ატარებდა ცის ნაგლეჯზე მხედველობას. არა მოჩანდა რა ყომრალი ნაბდის მეტი, რომელიც ცას გადაჰკროდა. უეცრივ თვალი მოკრა ცის ნაგლეჯის ნაპირას ოდნავ მბჟუტავ ვარსკვლავს. ესიამოვნა, თვალები ოდნავ მიეღულა ცოტა მზერის შემდეგ, და ტუჩები ღიმად გადაექცნენ. გონება კი მიტრუას გვერდში ამოუდგა. მოდიან ორივენი. გამოიარეს ნაცნობი ადგილები. წყაროსკენ ბექობი ჩაიარეს და ძირს, მეორე ბექობის დასაწყისში, შედგა იმისი გონება. აქ, ამ ადგილას, იგრძნო პირველად, თუ რა იყო თავდავიწყებული კოცნა სიყვარულმოდებული ადამიანისა; აქ, ამ ადგილას, პირველად იგრძნო, თუ სიცოცხლე რა ტკბილი ყოფილა, როდესაც ორი სიყვარულით მთრთოლარე გული შეერთდება... საუკუნოდ ამ ადგილს დარჩენა. ემუდარება მიტრუას „მოიცა, მიტრო, ჩემო კარგო, აქ... აქ, მინდა დავრჩე შენთან

ერთად! შენთან ერთად აქ მინდა დავიმარხო!..“ მაგრამ მიტრუა არ ეთანხმება, ამას ყურს არც კი უგდებს და ჰშორდება ამ ადგილს.

— მიტრო, მიტრო!.. — მისძახის გიული და სასოწარკვეთილებას ეძლევა.

— ღმერთო, საით გაუხვია?!. მე დავავიწყდი კიდევაც!.. მიტროოო!..

— ნაუუუ!.. — მოისმა სამგლოვიარო შუაღამის ზარის რეკა შორი-ახლოდან.

— ჰა?! — წამოიძახა დაფეთიანებულმა გიულიმ და თვალები დააჭყიტა.

ზარის უკანასკნელი გუგუნი ისევ გაისმოდა მიდამოში.

— რااა?.. — დაეკითხა თავისთავს და თვალების ცეცება დაიწყო.

მისუსტდა ზარის ხმა. ოდნავ ხმაღა მოისმის. სწორედ ამ დროს განმეორდა „ნაუუ“ ძლიერად. გიული დამშვიდდა. იცნო ზარის ხმა. ძალიან ხშირად გაუგონია ეს ხმა აქ ყოფნის დროს. გაეხარდა კიდევაც, რომ ამის გარდა სხვებსაც არ სძინავთ. თავი ისევ კლდეს მიჰყუდა და თვალები მილულა. გონება ისევ მიტროსკენ გაქანდა. სულ ახლო შეეფეთა მიტრუას. რამდენიმე წუთიც და გონებასთან ერთად თითონ გიულიც მოეხვევა, გულში ჩაეკვრის თავის საყვარელს მიტრუას...

ზარი კი ისევ ისე გუგუნებს. ხან მისწყდება მისი გუგუნი და ხან კი უეცრივ ძლიერად გამოეხმაურება მიდამოს...

— ჩემო მიტრო, ჩემო... მოხვედი?! — აცმაცუნებს ტუჩებს გიული.

ამ დროს ფეხაკრებით ხევში შემოვიდა ქერბალაი და პირდაპირ წამოვიდა. მივიდა ბილიკთან, რომელსაც კლდეზე სენაკთან აჰყვა და წაუსტვინა.

— მიტრუა, მიტრო!.. — ოდნავ ჩურჩულებდა გიული და ეხვევა მიტრუას...

ზარს მაინც რეკენ. ისევ ისე გუგუნი გაისმის მიდამოში...

ქერბალაი კი შედგა. ყური დაუგდო, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

„ავალ ზევით. იქნება ჩაეძინა, ზევით დავუსტვენ და იქნება მაშინ მომცეს პასუხიო“.

ქერბალაი ნავალი იყო. კარგად იცოდა აქაური სენაკები. ხშირად დაურბენია და ამისთვის თამამად შეუდგა კლდის ბილიკას. უნიშნოდაც აივლიდა, მაგრამ არ იცოდა, რომელ სენაკში შესულიყო, რადგანაც ამ ბილიკს ბევრ სენაკისკენ მიჰყვანდა.

კარგა ზევით რომ ავიდა, შესდგა. აქ ბილიკი იყოფოდა. აღარ იცოდა, საით წასულიყო. ისევ წაუსტვინა ძლიერად.

— მიტროო!.. — გაახილა თუ არა თვალები დასტვენაზე, დაინახა იქვე ახლოს და სწრაფად გულში ჩაეკრა.

— მიტრო, მიტრო!.. — ჩურჩულებდა გიული და თან მხურვალედ კოცნიდა ქერბალაის.

ქერბალაი პირველად შეკრთა. უნდოდა მოეშორებინა და აეხსნა, რომ ის მიტრუა არ იყო. მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც მკლავში ხელი წაავლო და მოშორება დააპირა, გიული მხურვალედ დაეკრა ქერბალაის ტუჩებს. რა დაემართა ქერბალაის?!. მოშორების მაგივრად ხელები მაგრად მოხვია და გონებამიხდილმა მაგრად ჩაიკრა გიული გულში. ქერბალაის ცოლშვილი ჰყავს. თითქოს უყვარს კიდევაც. ცოლსაც უყვარს. მაგრამ ცოლის კოცნით ასე არასდროს არ აღელვებულა; ასეთი სითბო, ნეტარი სითბო, სხეულის მომშლელი სითბო არასდროს არ უგრძვნია. განა ცოლს არ უკოცნია ამისთვის?! თითონაც უკოცნია!.. მაგრამ რა?! ცოლის კოცნა ოდნავ, ცივად ტუჩების შეხებაა; ლოყაც კი ძლივს გრძნობს. ახლა კი ისეთი ძლიერებით, ისეთი სითბოთი იყო კოცნა, რომ ყოველმა მისმა სხეულის წერტილმაც კი იგრძნო; ყოველი წერტილი მონაწილეობას იღებს ამ კოცნაში. ქერბალაი მხოლოდ ერთსღა გრძნობს, რომ გიულის მთელი ძალა იმაზე გადმოდის და იმისი კიდევ — გიულისაზე. ძალების ასეთი მოგზაურობას კი ნეტარებას ჰბადავს და ყველაფერს ავიწყებს. აღარ ახსოვს არც ცოლი და არც შვილი, არც მამა და არც დედა, არც მიტრუა და აღარც ის, თუ რისთვის მოვიდა აქ. ერთადერთიღა ენატრებოდა ქერბალაის: ეს—დიდხანს გაგრძელებულიყო ასეთი მდგომარეობა. ხმის ამოუღებლივ მხურვალედ ჯმუჯნიდა გიულის და სამაგიერო პასუხსაც იღებდა...

— ჩემო კარგო, რად დაიგვიანე?! ჰო, ვიცი, რადაც!.. —

ხელი მხარზე დაადო, როდესაც მოიქანცა ხვევნით, თვალებში ალერსით ჩააცქერდა და ალერსითვე მიეხმაურა. ქერბალაის დაავიწყდა, რომ გიულის ეს სიტყვები მიტრუასადმი იყო მიმართული. დაავიწყდა ისიც, რომ გიულის ხვევნა, ის ნეტარება, რომელიც ამ წამს გამოსცადა და სცდის, ნაქურდალია. აღგზნებულმა ამ ალერსით ქერბალაიმ ნაზად წაავლო მკლავში ხელი და ტკბილად, ტკბილად მომხიბლავის ხმით დაიწყო:

— გიული, დავიგვიანე?! გეფიცები ალლაჰს, საუკუნოდ შენთან დავრჩები, შენი...

— ქერბალაი!

— გიული, რად შეჰკრთი?!. ხომ ხედავ, სამტროდ...

— გამიშვი, გამიშვი!..

— მოიცადე, გენაცვა, ყური დამიგდე...

— ღმერთო!..

— გეფიცები ალლაჰს, შენ არ მოგშორდები. წავიდეთ, შორს გადავიკარგნეთ! მე...

— გონს მოდი. ქერბალაი!.. რეებს ლაპარაკობ?! ნუ გავიწყდება, მე დედიშენის ფეხი ვარ, მამიშენის ცოლი!..

— რას დავეძებ მაგას?! მიყვარხარ...

— ხომ არ გაგიჟდი?! ხელი გამიშვი!.. — ბრაზმორეული გიული შეებრძოლა ქერბალაის, მაგრამ ვერას გახდა რა.

— მიტრუა, საცაა აქ მოვა!

— ხა, ხა, ხა,—გადიხარხარა ქერბალაიმ წინააღმდეგობით გახელებულმა და ამავ კილოთი განაგრძო:

— მიტრუას ნახვას ვეღარ ეღირსები!

— ის გაგცემს პასუხს, შე... შე შეჩვენებულო!..

— აკი გეუბნები, გიული, მიტრუას ვეღარ ნახავ!..

— რატომ, შე წყეულო, განა მოკვდა?!

— მოკვდა, მოკვდა, გიული, აი, ამ ხანჯალმა გაუპო გული! — ქერბალაიმ ხელი გაუშვა გიულის და ხანჯალზე გაივლო.

გიულიმ ისარგებლა ამ წამით. რაც ძალა ჰქონდა, ორივე ხელები გულის ფიცარში კრა და სწრაფად ზევით გატრიალდა დასამალავად. მაგრამ მიბრუნების დროს ძლიერად თავი კრა

კლდის ქიმს, გვერდზე წატორტმანდა და თავი ვეღარ შეიმაგრა.

— ვაი!.. — გიულის გაბმგმირავი ხმა გაისმა ჰაერში და ჩქარა ისევ მიწყნარდა. ქერბალაიმ თვალი ვერც კი მოჰკრა, ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა.

— გიული!.. — მწარედ წამოიკვნესა და ყურები სცქვიტა.

ხევის ძირიდან კლდიდან ჩაცვივნული ქვების რახუნიღა მოესმა; სწრაფად გაჩნდა იქ და გულაღმა დაწოლილ გიულის დაემხო.

— გიული, გიული!.. — ეხვევა ქერბალაი, ჩასძახის ტირილით და ხან ხელში აიყვანს, მაგრამ გიული პასუხს აღარ აძლევს. ჯერ ისევ თბილი გვამი მის ხელებში ლაფანსავით იკეცება.

— გიული!.. — სასოწარკვეთილებით დაიძახა ქერბალაიმ, დაიჩოქა და გვამი ძირს დაუშვა.

დიდხანს, დიდხანს დასცქეროდა გაშტერებით უძრავ გვამს ხმის ამოუღებლივ.

რაზე ფიქრობდა ამ დროს ქერბალაი?!. თითქმის არაფერზე. ასე გახევებული დასცქეროდა დაჩოქილი ქერბალაი გიულის გვამს, რომელსაც თანდათან სითბო აკლდებოდა.

— შვილო, მამაშენივით დედაშენს რად უღალატე?!. — უეცრივ მკაფიოდ მოესმა დედის სიტყვები.

უშიშარი ქერბალაი შიშის ზარმა აიტანა. ქუდი მაღლა წაუვიდა. სწრაფად ხანჯალი გაიძრო ხელების თახთახით და ფეხზე წამოდგა. მიიხედმოიხედა. ისევ ის წყვდიადი სუფევდა, ისევ ის სიჩუმე იყო და არა არღვევდა რა. უფრო შეეშინდა ამ წყვდიადისა. ქუდი გადმოუვარდა. თვალის კაკლები კი დაუდიდნენ და ბუდიდან გადმოვარდნას უპირებდნენ.

— მიტრო, აქა რა გინდა; ჰა?!. აკი ქალაქში წახვედი?! მაშაჩემიც მოგყავს?!. ნუ, ნუ მორბიხარ, თორემ, აი, ხანჯალი!.. არ იშლი?!. შედექი!.. აი!..

XV

წითელ პარასკევსაც არ დაწყნარებულა ქარი. მარტყოფის ფინდვრებზე თავისუფლად დათარეშობდა, საშინელ კორიანტელს აყენებდა და აბნელებდა მიდამოს. კახეთის გზაზე თითქმის მოძრაობა შესწყდა. თავზე ხელაღებული თუ გაჰბედავდა ამ დროს მგზავრობას. მართლაც თავზე ხელაღებული არავინ გამოჩნდა, მიტრუას გარდა, რომელიც შემოკალთავებულ ჩოხით დილაადრიანად ორად მოხრილი გარბოდა კახეთის გზაზე. თითქოს ამ გაბედულობით განრისხებული ქარი უფრო უმატებდა კივილს, უფრო სასტიკობას იჩენდა და მიტრუას მთლად მტვერში ასვევდა. მაგრამ მიტრუა არც კი ამჩნევდა ქარის სასტიკობას. მარტო გიულის და ქერბალაის შეეპყრო მისი გონება. ამათ მეტზე ფიქრს ვეღარ ახერხებდა, და ვეღარც არას ამჩნევდა. დიდ ხუთშაბათი ქალაქში ძებნას მოანდომა. სანთლების ანთებისას დუქანში მივიდა მთლად განადგურებული. გეომ შეხედა თუ არა, გაიკვირვა მიტრუას მდგომარეობა.

— კაცო, რა დაგმართნია?! — დაეკითხა თანაგრძნობით გეო.

— ავადა ვარ!..

— ავადა ხარ და სადღა დაიკარგე?!

— ხომ არავის უკითხივარ? — თითქოს გეოს კითხვა არც კი გაუგონიაო, დაეკითხა თავის მხრივ მიტრუა.

— არა.

— აღა, უნდა შინ დამითხოვო, ავადა ვარ!

— ამისთანა დროს, შვილო, მტერი მტერს არ დაანებებს თავს და შენ ხომ...

— რა ვქნა, არ შემიძლიან, — სიტყვა გააწყვეტინა მიტრუამ და კედელს მიეყრდნო.

გეო ცოტა ყოყმანის შემდეგ დასთანხმდა; აშკარად ატყობდა, გეო, რომ მიტრუა არა სტყუოდა, რომ იგი თავის ქერქში არ იყო.

მიტრუა მაშინვე გამოტრიალდა და წელმოწყვეტილი ავ-

ლაბრისკენ წამოვიდა. იმ ღამეს ბაკებში იბორგა და დილით, ჯერ ისევ გაუთენებლივ, გზა მონახა.

გაიარა თუ არა ორხევი, მარჯვნივ გადაუხვია და უგზო-უკ-ვლოდ მიდიოდა იოანე ნათლისმცემლისაკენ. ხევი, ღრე და კლდე ისე გაიარა, რომ დაღლილობა არ უგრძვნია. მხოლოდ მაშინ მოეკვეთა მუხლები, როდესაც იმ ხევთან მივიდა, რომელიც სენაკის გზას შეადგენდა. აქ კი შედგა, მუხლები აუთრთოლდა და ჩაიკეცა. გულმაც მედგრად დაუწყო ძგერა, უნებურად თვალები ჩიელულა, ტანი მოუდუნდა და კლდის ძირს მიესვენა.

ქარი კი გმინავდა, სტვენდა, სტიროდა. ის ერთი სენაკიდან წივილკივილით და გმინვით გამოჰქროდა და მეორეში გრიალი შეჰქონდა; კლდის ერთი კალთიდან მეორეზე გადარბოდა და ბოლოს ვაივაგლახით ხევში ჩამოჰქროდა.

მიტრუა შეძრწუნდა ამ გმინვით. სწრაფად წამოხტა და ბილიკისკენ გაემართა. წამს გაიფიქრა: „იქნება ქერბალაიმ ვერ იპოვა გიული, ისევ აქ არის და ეს ვაივაგლახი ჭკუიდან შეშლისო“.

შეუხვია თუ არა კლდის ფრთას, მიტრუა გაშეშდა. იმის წინ ჩასისხლიანებული გიული გულაღმა ეგდო, რომლის კაბას და თმას ქარი უწყალოდ აფრიალებდა, და იმის გვერდით კი თვალებგადმოკარკლული, სახე ალეწილი ქერბალაის გვამი ეგდო, რომელსაც შიგ გულში ხანჯალი ჰქონდა გატარებული.

— გიული, გიული!.. — დაიკივლა მიტრუამ და მაგრად მოხვია ხელები გაცივებულ გიულის გვამს.

— ხააახაახახა!.. — დაჰხარხარა მიტრუას პასუხად ზევით, მთის წვერებიდან, ქარმა და შემდეგ გასწივლა, რაც შორს, შორს კვნესად შეიცვალა...

1899 წ.

სარჩევი

„ესაა ჩვენი ცხოვრება!...“ 3
მოგონება . . 11
ახალწლის ღამეს . 18
სოფლად . . 26
აბრეშუმის ცხვირსახოცი . 37
„მომილოცნია ახალი წელი!..“ 58
„ჩემო შვინდავ!“ . 62
ჰარამ-ხანის სურათი 74
„ადამიანი!..“ . 82
„არ გვინდა, არა!“ . . 102
„მამას მიწა მივაყალეთ!..“ 114
„ყველაი დავკარგე!..“ . . 118
„ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!..“ 129
„ვაი ჩვენი ბრალიც!..“ . 155
„ადე, ჩამოვიდა!..“ 162
„ის“ 168
„მერე, რიღათი იცხოვროს?!“ 175
და-ძმა 183
„ქარი-კი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა.“ 244
„ღმერთო, რა დაგიშავე?“ . . 252
„ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი!..“ 258
„...ხითხითებს და ხითხითებს“... 267
„...მხრები-ღა ავიჩეჩე...“ 277
მელოს დღიურიდან 304
„ბეჩა, რადა მკლავ?!“ 312
„ჭეშმარიტად!..“ 318
„ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი!..“ . 324
„ი... ყუ... ჩე!..“ . . . 327
„გმადლობ, უფალო გმადლობ!..“ . 329
„...მძულხართ...“ . . 335
წერილის ნაგლეჯი . . 340
„ღირსი ვარ ამისა, ღირსი...“ 343

„...სულ ერთია!..“ 350
იუდა . . 371
ორი მკურნალი 384
„ბაბდო-კი“... 393
„გულცივობამ!..“ . . 397
„რა ზიზღით მიცქერის!“ 403
„ვცხოვრობთ!..“ 409
„ხა, ხა, ხა, რა სულელი ხარ!..“ . 425
ბედნიერი დედა . . 430
„სიუულელეა!“ . . 433
შემუსვრილი სამი მცნება 438
პატარა პეპელა . 450
გიული . . 454

Шио Арагвиспирели

Рассказы

(На грузинском языке)

Государственное издательство
„Сабчота Сакартвело“
Тбилиси
1962

რედაქტორი კ. ბობოხიძე
მხატვარი ა. სოხაშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე
ტექრედაქტორი ბ. სიხარულიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/XII-61 წ.
ქაღალდის ზომა 84×108 1/32. სააღრ. საგ. თაბახი 22,54.
ნაბეჭდი თაბახი 26,45. საავტორო თაბახი 22,07.
ტირაჟი 20 000. შეკვ. № 928.
ფასი 1 მან. 50 კაპ.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის სტამბა № 1-ლი,
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

1-я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.